ე. ჩერნიაკი

სუთასწლიანი ფაღური



(დაზვერვის ისტორიიდან)

წიგნი მეორე

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი — 1993

9
9(S)
ჩ 482

შეა საუკუნეების ვენეცია, ინგლისის დედოფლის ელისაბედის სასახლის კარი, მთლად გამსჭვალული ავბედითი შეთქმულებებისა და თავსამტერეი ინტრიგების ატმოსფეროთი, რიშელიეს, მაზარინის და ლუი XIV ფარული „დიპლომატია“, დაზვერვის საქმიანობა ნაპოლეონის ომებში, პრუსიის „მაძებართა მეფე“ ვილჰელმ შტიბერის მაქინაციები, დრეიფუსის საქმის ფარული მიზეზები, ფარდაახდილი ამას წინათ ნაპოვნი საბუთებით, პოლკოვნიკ რედლის ღალატი, იაპონიის ჯაშუშობის გაშლა, შემდეგ კი ურიცხვი „ბრძოლა საიდუმლოებათათვის“ პირველი მსოფლიო ომის წლებში, დაწყებული ინგლისის საზღვაო სამინისტროს ხელმიუწვდომელი „ნომერი ორმოცი სახლით“ და გაფავებული მატა ჰარის, „ფრაუ დოქტორის“ და სხვათა ჭეშმარიტი ცხოვრებისეული ისტორიით. ასეთია თემები ამ წიგნში შესული მოთხრობებისა.

ათობით მწვავესიუჟეტიანი ნოველა, რომლებიც ხშირად ჩვენს ლიტერატურაში სრულიად გაუშუქებელ ფაქტებს გადმოგვცემს, ამ გამოცემას უჩვეულოდ წარმტაცს ხდის მკითხველთა უაღრესად ფართო წრისათვის.

მთარგმნელი ნოდარ ძოწენიძე

4702010201 — 003
ჩ ——————— — 93
M 601 (08) — 93

© გამომცემლობა „საქართველო“, 1993

ბონაპარტის „საიდუმლო ბიუროს“

თვით ნაპოლეონმა საფუძვლიანად ჩამოაყალიბა თავისი დაზვერვა ჯერ კიდევ იტალიის კომპანიის დროს 1796—1797 წლებში. როდესაც ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი ბონაპარტი არმიაში ჩავიდა, მას გენერლების ოპოზიციასთან მოუხდა შეტაკება. ისინი მტრულად შეხვდნენ „პარიზელი ადვოკატების“ მიერ დანიშნულ „მეტიჩარას“, პარიზელი ადვოკატებისა, როგორც ზიზღით უწოდებდნენ დირექტორიის წევრებს. ტყუილად როდი უთხრა ერთმა ყველაზე უფრო ნიჭიერმა გენერალმა მასეამ მეორეს, სტენჟელს: „ჩვენი სარდალი იდიოტიაო“. ნაპოლეონს დაზვერვა სჭირდებოდა არა მარტო მტრის წინააღმდეგ, არამედ თავისი საკუთარი გენერლების სამეთვალყურეოდაც (განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც არმიამ გამარჯვებების მოპოვება იწყო და გენერლები ცდილობდნენ მიესაკუთრებინათ ნადავლის მნიშვნელოვანი ნაწილი).

ნაპოლეონი ფართოდ იყენებდა პრაქტიკაში ტყვეების დაკითხვას და მათ შორის აგენტების მოგროვებას. ტყვედ ჩავარდნილ ოფიცრებს პირდებოდნენ დიდ ჯილდოს, თუკი ისინი საფრანგეთის სამსახურში უფრო მაღალი წოდების ოფიცრებს გადმოიბირებდნენ.

მაგრამ განსაკუთრებული სამსახური გაუწია ნაპოლეონს ჯერ კიდევ 1794 წლიდან მისთვის კარგად ცნობილმა შვეიცარიელმა ბანკირმა ჰალერმა. თავის მოგონებებში იტალიის ლაშქრობაზე ნაპოლეონი შეგნებულად დუმს იმაზე, თუ რრგორ იქნა დაკავებული პიემონტის მნიშ-

ვნელოვანი ციხე-სიმაგრე კერასკო. საქმე ის არის, რომ ჰალერი უბრალოდ მოელაპარაკა კომენდანტს, რომელმაც უბრძოლველად ჩააბარა ფრანგებს ციხე-სიმაგრე. თუმცა მას ჰქონდა დიდი არტილერია და საბრძოლო იარაღი, ამასთანავე ახლოს იდგა პიემონტის არმია, რომელიც მზად იყო ალყაშემორტყმულებს დახმარებოდა. კერასკოს ციხე-სიმაგრის გარნიზონის კაპიტულაციამ დიდი როლი შეასრულა პიემონტის თანხმობაში — დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება საფრანგეთთან, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ნაპოლეონის არმიას შემდგომ გამარჯვებებში.

ნაპოლეონის ერთ-ერთი, ყველაზე უფრო წარმატებით მოქმედი აგენტი იყო ფრანჩესკო ტოლი. მან ავსტრიის არმიის მთავარსარდალს მელასს მიაწოდა ცრუ ცნობები საფრანგეთის არმიის განლაგებისა და რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ, რამაც სერიოზულად შეუწყო ხელი ავსტრიის ჯარის დამარცხებას. ტოლიმ ნაპოლეონს მიაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები ავსტრიის გენერალ ვურმსერის ახალ არმიაზე: ისიც განადგურებულ იქნა ფრანგების მიერ. იტალიის ლაშქრობაში ნაპოლეონის თანმხლები მხატვარი ბიოჟი წერდა, რომ საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი ყოველდღე ღებულობდა უამრავ უცნობ პირს: „მათ შორის იყვნენ გემოვნებით ჩაცმული ქალები, მღვდლები, სხვადასხვა წოდების პირები, ის კარგად უხდიდა მათ და ამიტომაც, ყველაფერი იცოდა“.

ამავე დროს მთავარსარდლის შტაბში თავს იყრიდა იმ დაზვერვის მონაცემები, რომელსაც ფრანგი დიპლომატები ხელმძღვანელობდნენ. „ყოველმა გენერალმა, რომელიც მოქმედებს დასახლებულ მხარეში და არა უდაბნოში, და რომელსაც მოწინააღმდეგეზე საკმაო ცნობები არა აქვს, თავისი საქმისა არა იცის რაო“, — იტყოდა ხოლმე ნაპოლეონი. ბევრმა გენერალმა შეითვისა მისი მითითება და პირადად ასრულებდა მზვერავის ფუნქციებს. ასე, მაგალითად, გლეხის ტანისამოსგადაცმულმა გენერალმა (შემდგომში მარშალმა) ნეიმ შეაღწია ქალაქ მანჰეიმში, დარწმუნდა, რომ ამ ქალაქისათვის შეიძლება მოულოდნელად შეეტიათ და თავის მიერ მოგროვილი ცნობების საფუძველზე დაამარცხა მტერი.

ჯერ კიდევ 1796 წლის მაისში ლოდისთან ბრძოლისა და მილახლების შემდეგ ნაპოლეონმა, წინანდელი სადაზვერვო ორგანიზაციების მაგივრად, რომლებიც მთავარი ბანაკისა და ცალკეული გენერლების შტაბებში იმყოფებოდნენ, ჩამოაყალიბა „საიდუმლო ბიურო“ და მას კავალერისტთა პოლკის მეთაური ჟან ლანდრე დაუყენა ხელმძღვანელად. ბიურო გაყოფილი იყო ორ განყოფილებად: საერთო და

პოლიტიკურ განყოფილებებად; უკანასკნელის ამოცანა იყო ოკუპირებული ტერიტორიის მეთვალყურეობა, სახალხო მღელვარების ჩახშობა და სხვა ამბები. პოლიტიკური განყოფილების უფროსმა გალდიმ დაიქირავა აუარება აგენტი, რომელთა შორის შეიძლება შეხვედროდით კაპუცინ ბერს, ციხიდან ამნისტიით განთავისუფლებულ სისხლის სამართლის დამნაშავეს, ინჟინერს, მაღალი საზოგადოების ქალებს, როგორიც იყვნენ გრაფის მეუღლე ალბანი (მილანში) და გრაფის მეუღლე უჯერი (ბრეშიაში).

ლანდრე თავის აგენტებს გზავნიდა ნეაპოლში, რომში, ფლორენციაში, ტურინში. ენენციაში და ავსტრიის ჯარში, თვით ვენაშიც კი. ხშირად „საიდუმლო ბიურო“ დღეში რამდენიმე ანგარიშს ადგენდა ნაპოლეონისათვის. სარდლის გარდა ბიუროს ანგარიშის წაკითხვის უფლება ჰქონდა მხოლოდ შტაბის უფროსს ბერტიეს. ამრიგად, „საიდუმლო ბიურო“ ეწეოდა დაზვერვასაც და კონტრჯაშუშობასაც. ლანდრეს პარიზშიც ჰყავდა თავისი აგენტები. მათი მოვალეობა იყო იმ პირთა მეთვალყურეობა, რომლებსაც დირექტორია გზავნიდა სხვადასხვა თანამდებობაზე იტალიაში მებრძოლ საფრანგეთის ჯარში.

„საიდუმლო ბიურო“ უხვად იყო მომარაგებული ფულით, ზოგიერთ აგენტს მოტანილი ცნობებისათვის დიდ თანხას უხდიდნენ (რამდენიმე ათეულ ათას ფრანკს). ზოგჯერ ინფორმაცია, რომელიც „საიდუმლო ბიუროს“ მოხსენებებში იყო, იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდებოდა, რომ ნაპოლეონს არ სჯეროდა ის და ლანდრეს თანამდებობიდან განთავისუფლებით ემუქრებოდა, მაგრამ თითქმის ყოველთვის ეს ცნობები მართლდებოდა.

ლანდრე და მისი ბიურო იყენებდნენ ტექნიკას, რომელიც შემდგომში მტკიცედ შევიდა დაზვერვის პრაქტიკაში. კერძოდ, „საიდუმლო ბიურო“ ეწეოდა რთულ თამაშს ორმხრივ ჯაშუშებთან. ერთ-ერთი ასეთი ორმხრივი ჯაშუში იყო, მაგალითად, გრაფის მეუღლე პალესტრინა. მისი საშუალებით ავსტრიელებს ყალბი ცნობებით ამარაგებდნენ. თამაშში თვით ნაპოლეონიც ჩაება. ხშირად გრაფის მეუღლის თანდასწრებით მას რაიმე „წამოცდებოდა“ ხოლმე მნიშვნელოვან საკითხზე, როცა ხან ვითომ მრისხანებდა, ხან კი, პირიქით, სიხარულს გამოხატავდა.

„საიდუმლო ბიურო“ პროვოკაციებსაც მიმართავდა. სწორედ ბიუროს თანამშრომლებმა გაუკეთეს ორგანიზაცია „სახელგამტეხი მასალის“ შეგროვებას ვენეციის წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიის დაპყრობა გადაწყვიტა ნაპოლეონმა, რათა ხურდა ფულად გამოეყენებინა ის ავსტრიელებთან მოლაპარაკების დროს. ამასთან, იყენებდნენ

სხვადასხვა მეთოდებს: ხან აწყობდნენ „სახალხო აჯანყებებს“ ვენეციის მთავრობის წინააღმდეგ და ფრანგებს დახმარებას თხოვდნენ, ხან კი, პირიქით, ფრანგების წინააღმდეგ აწყობდნენ აჯანყებას და ნაპოლეონის არმიის დაჭრილ ჯარისკაცებს ხოცავდნენ. ვერონაში ამას ხელმძღვანელობდა ვინმე ჯოვანელი. ამ პროვოკატორმა, რომელსაც ქალაქში ოფიციალური პოსტი ეკავა, ხალხი აამხედრა დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცების წინააღმდეგ, თვითონ კი გაიპარა, სანამ ვერონაში ნაპოლეონის მიერ საჩქაროდ გამოგზავნილი ჯარი შემოვიდოდა. გაქცეულს ძებნა არ დაუწყეს... ხოლო მოგვიანებით, უკვე ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადების მერე, ჯოვანელმა სწრაფად გაიკეთა კარიერა საფრანგეთის სამსახურში. შესაძლებელია, რომ ვერონაში პროვოკაციის ორგანიზატორი „საიდუმლო ბიუროს“ გარდა, თვით ნაპოლეონიც იყო. ის გარკვეული დროიდან აღარ ენდობოდა ლანდრეს, რომელიც მანამდე მისი ყველაზე ახლობელი და დიდად დაფასებული თანამშრომელი იყო. „საიდუმლო ბიუროს“ პატივმოყვარე უფროსს ჰქონდა საკუთარი გეგმები, რომლებიც ყოველთვის როდი ემთხვეოდა ნაპოლეონის გეგმებს.

დ'ანტრეგის დაპატიმრების დროს (რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი) მოხდა აშკარა განხეთქილება. ნაპოლეონი ლანდრეს აბრალებდა, რომ მას რაღაც საეჭვოდ დიდ ხანს ჰქონდა დ'ანტრეგის ჩანთა, და განრისხებულმა ბრძანა „საიდუმლო ბიუროს“ უფროსი 15 დღით დაეპატიმრებინათ. ცხელ გულზე გაცემული ბრძანება გაუქმებულ იქნა, მაგრამ ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავდა. ლანდრე იძულებული იყო გადამდგარიყო და საფრანგეთში გამგზავრებულიყო. ნაპოლეონის მმართველობის წლებში მას მუქარის ტონით ურჩიეს ენას კბილი დააჭირეო. იმპერატორმა აკრძალა მისი დანიშვნა ყოველგვარ სახელმწიფო პოსტზე.

იტალიიდან საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ძლევამოსილი გენერალი ბონაპარტი დირექტორიამ დიდი არმიით ეგვიპტის დასაპყრობად გაგზავნა. ეგვიპტისაკენ მიმავალმა ესკადრამ, რომელსაც საფრანგეთის ჯარი გადაჰყავდა, გზად კუნძული მალტა დაიპყრო. ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კუნძული მალტის რაინდთა ორდენს ეკუთვნოდა. მის ხანგრძლივ ალყაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. საფრანგეთის ესკადრაზე ნადირობდა უფრო ძლიერი ინგლისის ფლოტი ადმირალ ნელსონის მეთაურობით. მაშ როგორ აიღეს მალტა?

დაახლოებით ერთი წლით ადრე, ერთი ფრანგი დიპლომატი, გენუაში აკრედიტებული საელჩოს თანამშრომელი ვინმე პუსიელგი,

ნაპოლეონის წინადადებით, მალტაზე გაგზავნეს. გამოცდილი ფრანგი მალე შეუთანხმდა ორდენის ყველაზე უფრო გავლენიან წევრებს და, როდესაც 1798 წლის ივნისის დამდეგს ნაპოლეონის ფლოტი მიადგა ძლიერ ციხე-სიმაგრედ გადაქცეულ მალტას, ის უბრძოლველად ჩააბარეს ფრანგებს. გამარჯვებულებმა თავის მხრივ გულუხვად ვადაუხადეს რაინდებს, რომლებმაც კუნძულის გაყიდვაში განსაკუთრებული კომერციული ნიჭი გამოიჩინეს.

ეგვიპტის ექსპედიციის დროს ნაპოლეონმა ვერ მოახერხა ისეთი სადაზვერვო სამსახურის შექმნა, რომელიც შეძლებდა ეფექტური მეტოქეობა გაეწია ლანდრეს „საიდუმლო ბიუროსათვის". საფრანგეთის დაზვერვამ მაინც მოახერხა მოესყიდა ეგვიპტის მამლუქების ერთ-ერთი ბელადი მურად-ბეი.

საფრანგეთში დაბრუნებისა და 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ, რის შედეგადაც ის პირველი კონსულის წოდებით სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ნაპოლეონმა, უპირველეს ყოვლისა, ხელი მოჰკიდა თავისი დაზვერვის, უფრო ზუსტად, რამდენიმე სადაზვერვო ორგანიზაციის ერთდროულად შექმნას. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მოვალეობანი ეკისრებოდა პოლიციის სამინისტროს, რომელსაც ფუშე მეთაურობდა, მისგან დამოუკიდებელ პარიზის პოლიციის პრეფექტ დიუბუას ბიუროს, და პირველი კონსულის პერსონალურ აგენტებს, რომლებმაც თავისი განსაკუთრებული ორგანიზაციები შექმნეს (მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი სამხედრო პირები, როგორიცაა დიუროკი, დავუ, ლანი, ჟიუნო, სავარი — ნაპოლეონის იმპერიის მომავალი მარშლები და მინისტრები). ამ პირად დაზვერვას ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა თავისი მდივნის ბურიენის საშუალებით.

შემდგომში ნაპოლეონის დაზვერვას აგენტები ჰყავდა ევროპის სახელმწიფოთა ყველა დედაქალაქში და მრავალ დიდ ქალაქში. ჩვეულებრივად ესენი კარგი ჯამაგირის მქონე რეზიდენტები იყვნენ. როდესაც ამა თუ იმ აგენტის მოღვაწეობის რაიონი მოექცეოდა ომების ცენტრში, ამ მზვერავს ძალიან დიდ თანხას აძლევდნენ ინფორმაციისათვის.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა „შავი კაბინეტი", რომლის სათავეში იდგა გამოცდილი მზვერავი, ფოსტების დირექტორი ლავალეტი. 1811 წელს ნაპოლეონმა ბრძანება გასცა ჩამოეყალიბებინათ „შავი კაბინეტის" ფილიალები თავისი უზარმაზარი იმპერიის მრავალ ქალაქში — ტურინში, გენუაში, ფლორენციაში, რომში, ამსტერდამში, ჰამბურგში. ფაქტიურად ლავალეტი გადაიქცა პოლიციის მეორე ში-

ნისტრად და ნაპოლეონის კონტრდაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. სხვათა შორის ნაპოლეონმა ლავალეტის დახმარებით შეიძინა ათი-თორმეტი ძვირადღირებული აგენტი, რომლებსაც უნდა წარედგინათ საიდუმლო მოხსენებები საფრანგეთის ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის სხვადასხვა წრის განწყობილებაზე. ამ აგენტთა შორის იყო ცნობილი მწერალი, ქალბატონი ჟანლისი. მოხსენებებს, დალუქული კონვერტებით, გადასცემდნენ ლავალეტს, რომელიც შემდეგ მას ნაპოლეონს გადასცემდა.

ნაპოლეონის დაზვერვა ხშირად მიმართავდა ემიგრანტი როიალისტების სამსახურს არა მარტო სხვა როიალისტებისათვის თვალყურის სადევნებლად, არამედ სხვადასხვა სახის ჯაშუშურ დავალებათა შესასრულებლადაც. ასეთი დავალებების შესრულებაში ამ აგენტებს ეხმარებოდა იმპერიის რეჟიმის მოწინააღმდეგის რეპუტაცია. აი ერთი მათგანი ნ. ე. დიუ ბუშე ჯერ ემიგრანტი იყო, შემდეგ უკიდურესი „რევოლუციონერი“ გახდა, რათა მოგვიანებით როიალისტების იატაკქვეშეთის მონაწილე გამხდარიყო. ის იმყოფებოდა ლუი XVIII კარზე (1795 წელს), თავს აცხადებდა მეფის თავგამოდებულ მომხრედ. ნაპოლეონის დაცემისა და ბურბონების რესტავრაციის შემდეგ ლუი XVIII გაგზავნილ წერილში ბუშე ტრაბახობდა ტახტისა და საკურთხევლის სადიდებლად ჩადენილი გმირობით და თხრობას წყვეტდა ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების თარიღზე. „ამ დროიდან, — თავმდაბლად უმატებდა ბუშე — დგება ხანგრძლივი შესვენება, რომლის დროსაც მე არ მქონდა საშუალება თქვენი უდიდებულესობისათვის წარმომედგინა ჩემი თავგამოდების ახალი დამამტკიცებელი საბუთები, მე იძულებული ვიყავი ყველაფერი ჩემს გულში ჩამემალა“. ბუშეს მხოლოდ დაავიწყდა ეხსენებინა, რომ „გულში ჩამალული“ „თავგამოდებით“ მან მუშაობა დაიწყო ნაპოლეონის პოლიციაში და გახდა საგარეო საქმეთა მინისტრის ტალეირანის აგენტი ლონდონში (1804 წ.), შემდეგ ჯაშუში ვარშავაში (1807 წ.), სანამ თავისი არასასურველი ჩჩევებით იმპერატორის რისხვა არ გამოიწვია.

იგი ცდილობდა შეექმნა ფართო საჯაშუშო ქსელი თავისი მტრების წინააღმდეგ. ამავე დროს ნაპოლეონი ისწრაფოდა ყოლოდა ეფექტური კონტრდაზვერვა მტრის აგენტებთან საბრძოლველად. როდესაც 1804 წელს საფრანგეთის ჯარი ბულონის ბანაკიდან, სადაც ის თავმოყრილი იყო ინგლისში გადასასხმელად (რაც ვერ განხორციელდა), სწრაფი მარშით გაგზავნილ იქნა რეინზე, ავსტრიის წინააღმდეგ, ნაპოლეონი პოლიციის მინისტრს სწერდა: „აუკრძალეთ გაზეთებს რაიმეს

წერა არმიაზე, თითქოს ის სრულიადაც არ არსებობდეს". კერძო პირებს დროებით ჩამოართვეს მაშინ არსებული ოპტიკური ტელეგრაფით სარგებლობის უფლება. განსაკუთრებულ ზომებს იღებდნენ საიდუმლოებათა დასაცავად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქაღალდებისათვის არსებობდა ნაპოლეონისა და მისი შტაბის უფროსის ბერტიეს შიფრი.

თვით ნაპოლეონი დემონსტრაციულად რჩებოდა ბულონში, შემდეგ კი პარიზში გადავიდა, სადაც დიდებულ ზეიმებს აწყობდა. ყველაფერი მტრის დეზორიენტაციისათვის კეთდებოდა, მაგრამ მთავარ წარმატებას მიაღწიეს ავსტრიაში შეგზავნილი ნაპოლეონის განსაკუთრებულად იღბლიანი მზვერავის დახმარებით. საქმე ეხება ცნობილ შულმაისტერს.

ულმის მახე

კარლ შულმაისტერი დაიბადა 1770 წელს ელზასში, პროტესტანტი პასტორის ოჯახში, თუმცა შემდეგში ამტკიცებდა, რომ მამამისი იყო უნგრელი არისტოკრატი. ეს მტკიცება დიდების იმ მანიის მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინება იყო რომელიც შემდგომში შულმაისტერს ბუნებრივ პატივმოყვარეობად გადაექცა. მოგვიანებით გამოჩნდა ამ ტყუილის „დამადასტურებელი" ყალბი მასალები. ახალგაზრდა შულმაისტერმა ხელი მოჰკიდა ჯერ რკინით ვაჭრობას, მაგრამ ჩქარა გადაწყვიტა, რომ კონტრაბანდა გაცილებით უფრო ხელსაყრელი ხელობაა. ამ ახალი პროფესიის შემოსავალი ნებას აძლევდა შულმაისტერს დაეკმაყოფილებინა თავისი დიდი ხნის ყინი — შეეძინა ელეგანტური ტანსაცმელი, მოეჩვენებინა თავი მდიდარ და ცნობილ ადამიანად. 1799 წელს მან გაიცნო ფრანგი პოლკოვნიკი სავარი, მომავალი ჰერცოგი როვიგო, რომელსაც შემდგომში პოლიციის მინისტრის პოსტზე უნდა შეეცვალა ფუშე. სავარი არ განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისაგან ნიჭით, მაგრამ საკადრისი უნდა მივუზღოთ მომავალ მინისტრს ადამიანთა შეფასებაში. შულმაისტერის შესაძლებლობანი როგორც მზვერავისა, მან გაცნობისთანავე შეაფასა.

სავარიმ შულმაისტერს რამდენიმე პატარა საქმე დაავალა და მანაც ყველაფერი წარმატებით შეასრულა. მაგალითად: შულმაისტერმა მიამსგავსა ხელი ენგიენის ჰერცოგის საყვარლის ხელწერას. რაც საფრანგეთის ჟანდარმებს დაეხმარა ხელთ ეგდოთ იგი სხვის ტერიტორიაზე და საფრანგეთში ჩამოეყვანათ.

1805 წელს ნაპოლეონმა ომი გამოუცხადა ავსტრიასა და რუსეთს. შულმაისტერი გაემგზავრა ვენაში დავალებით, გაეგო შედარებით წვრილმანი ხასიათის ამბები და თუ შესაძლებელი იქნებოდა, ავსტრიის სარდლის გენერალ მაკის გეგმებიც. საეჭვოა, ნაპოლეონს ეფიქრა, რომ შულმაისტერი ბევრის მიღწევას შეძლებდა, მაგრამ მისმა წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა.

შულმაისტერი ვენაში ჩამოვიდა და უკვე ჩვეული უნგრელი არისტოკრატის სახელით იმალებოდა. მისი თქმით, იგი საფრანგეთიდან გააძევეს, რადგან ეჭვი ჰქონდათ, რომ ის ავსტრიის სასარგებლოდ ჯაშუშობდა. შულმაისტერმა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა საფრანგეთისა და განსაკუთრებით მისი არმიის მდგომარეობაზე. მან ჩქარა მოიპოვა ვენის არისტოკრატიული წრის ნდობა და სიმპათიები. იგი წარუდგინეს გენერალ მაკს, რომელიც დანიშნული იყო ავსტრიის ჯარების სარდლად. შულმაისტერის მიერ გადაცემული ცნობები მაკს იმდენად მნიშვნელოვნად მოეჩვენა, რომ ეს თავაზიანი, მცოდნე და საქმიანი კაცი თავისი შტაბის ოფიცრებში ჩარიცხა. შულმაისტერს ჰყავდა ორი სანდო აგენტი — ვენდი და რულსკი, რომლებიც „ადასტურებდნენ" მის ცნობებს.

მალე შულმაისტერს შესთავაზეს ისეთი თანამდებობა, რომელიც არ ღირსებია არცერთ მზვერავს. ის დანიშნეს იმ სახელმწიფოს დაზვერვის უფროსად, სადაც თვითონ იყო შეგზავნილი ჯაშუშად. ამ პოსტზე შულმაისტერის ტალანტმა ხომ ფრთები გაშალა. გენერალ მაკის ყველა მნიშვნელოვანი გეგმა მან ნაპოლეონს გადაუგზავნა. საფრანგეთის იმპერატორის ბრძანებით საგანგებოდ დაბეჭდეს გაზეთების ნომრები, რომლებიც იუწყებოდნენ, საფრანგეთში მღელვარება დაიწყოო. ამასვე იტყობინებოდნენ თითქმის ყოველდღე მოსული წერილებიც — ვითომდა უკმაყოფილო საფრანგეთის არმიიდან. ნათქვამია, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. მაკს ეგონა, საფრანგეთი ეს არის აუჯანყდება ნაპოლეონსო. ამ პირობებში ავსტრიის არმიის მხედართმთავარი ოდნავადაც არ დააეჭვა იმ ცნობებმა, რომ ნაპოლეონმა რეინის ფრონტიდან ჯარების გაყვანა დაიწყო. რასაკვირველია, საჭირო იყო ფრანგების დადევნება, რაც მაკმა კიდეც გააკეთა. ის ძალზე განცვიფრდა, როდესაც ავსტრიის ჯარები, მას რომ ეგონა. იმაზე ბევრად უფრო ადრე შეხვდა „უკანდახეულთა" კორპუსს. სინამდვილეში ეს იყო გენერალ ნეის კორპუსი, რომელიც მას მახეს უგებდა. უფრო მეტად განცვიფრდა მაკი, როდესაც ნახა, რომ მის ფლანგებზე და ზურგში ნაპოლეონის სხვა გენერლების — მარმონის, სულტის, ლანის, მიურატის — ჯარები აღმოჩნდნენ. მალე მაკის ჯარი

ულმში გამოიმწყვდიეს. ავსტრიის არმიის მთავარსარდალს, რომელიც ოცნებით უკვე გამარჯვებული მიდიოდა პარიზისაკენ, ერთადერთი ჯამოსაცალილა დარჩენოდა, თავისი ჯარით (33 ათასი ჯარისკაცი, 18 ჯენერალი, 60 ქვემეხი) ტყვედ ჩაბარებოდა. ავსტრიის საუკეთესო დივიზიები ომის დასაწყისშივე ფრანგების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ახლა მთელი სიმძიმე რუსეთის ჯარს დააწვა.

მაკთან ერთად „ტყვედ“ ჩავარდა შულმაისტერიც. მაგრამ მას თავისი მისია დამთავრებულად როდი მიაჩნდა. გაითამაშეს მისი გაქცეეა საფრანგეთის ტყვეობიდან ყალბი საბუთებით. ამ საბუთებით უნდა დაერწმუნებინა ავსტრიის იმპერატორი ფრანცი და, რაც მთავარია, რუსეთის მეფე ალექსანდრე I, ისე ემოქმედათ, რომ ამას გამოეწვია მათი ჯარების სწრაფი განადგურება.

ამჯერად შულმაისტერს ბედმა არ გაუღიმა. ავსტრიელი დიდებულების ნაწილმა ეჭვი მიიტანა მასზე და იგი დააპატიმრეს. შულმაისტერი სასამართლოს და უეჭველ სასიკვდილო განაჩენს გადაარჩინა იმან, რომ საფრანგეთის ჯარმა სწრაფად აიღო ვენა, რის შემდეგაც ნაპოლეონმა ის ავსტრიის დედაქალაქის სამხედრო ცენზორად დანიშნა.

რუსეთის არმიის სარდალი კუტუზოვი დიდხანს არ ებმებოდა ბრძოლაში, ვინაიდან იმდროინდელი ძალთა თანაფარდობის პირობებში არ შეიძლებოდა ბრძოლა ფრანგების სასარგებლოდ არ დამთავრებულიყო. მაშინ ნაპოლეონმა ფაქტიურად გაიმეორა ფანდი, რომელიც ადრე გააკეთა შულმაისტერმა. მან გაგზავნა გენერალი სავარი ალექსანდრე I-თან თხოვნით, პირადად შეხვედროდა მას. ალექსანდრე I დაკმაყოფილდა მოსალაპარაკებლად თავისი წარმომადგენლის, გონებაშეზღუდული თავად დოლგორუკოვის გაგზავნით. მასთან საუბარში ბონაპარტმა ითვალთმაქცა, თითქოს შეშინებულია საფრანგეთიდან მოსული არასახარბიელო ცნობებით და მომავალი ბრძოლით. დოლგორუკოვი დაგებულ მახეში გაება. ნაპოლეონის თქმით, თავადი მას ელაპარაკებოდა „როგორც ბოიარინს, რომელსაც ციმბირში გადასახლებას უპირებდნენ“. მიუხედავად კუტუზოვის კატეგორიული წინააღმდეგობისა, ალექსანდრე I თავისი გაიტანა, ბრძანა ბრძოლა გაემართათ ნაპოლეონისათვის. მეფისა და ავსტრიის გენერალიტეტის უაზრო ბრძანებებმა კიდევ უფრო გააღრმავეს მოკავშირეთა მძიმე მდგომარეობა. აუსტერლიცთან ბრძოლა წაგეს. ავსტრიას სეპარატული ზავი უნდა ეთხოვა ნაპოლეონისათვის.

ავსტრიის წინააღმდეგ 1809 წლის ომის დროს შულმაისტერი ისევ მოქმედებდა ავსტრიელთა ზურგში. ის დააპატიმრეს და დახვრეტა

მიუსაჯეს. მან ღვინით დაათრო გუშაგი ჯარისკაცები, გადაიცვა ავსტ-რიელის მუნდირი და გაიქცა. შულმაისტერმა კარგად იცოდა გრიმის გაკეთება და თავისი გარეგნობის შეცვლა. ის იშვიათ მოხერხებულ-ობას იჩენდა. მომხდარა ხოლმე, რომ ავსტრიელი გენერლის მოპარულ მუნდირში გამოწყობილი დასწრებია სამხედრო საბჭოს იმპერატორ ფრანცთან და კუბოში ჩაწოლილს გამოუღწევია ალყაშემორტყმული ქალაქებიდან. ერთ დროს შულმაისტერი არ იშორებდა მოკლედ გაკ-რეჭილ პატარა ძაღლს, რომელსაც ის ხუჭუჭი შალის შალითას აც-მევდა. ძაღლი შალითას ქვეშ ატარებდა მნიშვნელოვან საბუთებს. ნაპოლეონისაგან, ხოლო უფრო ადრე ავსტრიელებისაგან მიღებული ფულით იგი გამდიდრდა, მაგრამ უფრო მეტი სიმდიდრე შეიძინა ქრთამით, რომელსაც ის იღებდა, სამხედრო მომმარაგებლებისაგან მას შემდეგ, რაც 1809 წელს ნაპოლეონმა ის საფრანგეთის არმიის მომა-რაგების გენერალურ კომისრად დანიშნა.

შულმაისტერი ნაპოლეონის ბევრ სხვა სადაზვერვო დავალებას ასრულებდა (ინგლისშიც კი იყო), მაგრამ მათ არ ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა. ნაპოლეონის მმართველობის ბოლო წლებში მზვერავის შემდგომ კარიერას ხელი შეუშალა იმპერატორის მეორე ცოლის — ავსტრიის პრინცესა მარია-ლუიზას და მის ირგვლივ მყოფთა ინტ-რიგებმა, რომლებსაც სძულდათ შულმაისტერი 1805 წელს ავსტ-რიის განადგურების დროს შესრულებული როლის გამო. მიუხედა-ვად ამისა, შულმაისტერი ნაპოლეონის ერთგული დარჩა, მონაწილე-ობდა ასი დღის მომზადებაში და ვატერლოოსთან იმპერატორის სა-ბოლოო დამარცხების შემდეგ მიცემულ იქნა სამართალში. დიდი ჯარიმის, მთელი თავისი ქონების სამი მეოთხედის გადახდა მიუსაჯეს. დანარჩენი შულმაისტერმა ბირჟაზე სპეკულაციის დროს წააგო. ეტ-ყობა, ბირჟის მგლებმა შეძლეს ამ დიდი ჯაშუშის გაცურება. მან კიდევ ორმოცი წელი იცოცხლა, 1853 წლამდე. უკანასკნელ წლებში, მოწ-ყალების სახით, ნება დართეს სტრასბურგში გაეხსნა პატარა დუქანი და დაეწყო თამბაქოთი ვაჭრობა, რომელიც სახელმწიფო მონოპო-ლიად ითვლებოდა.

სამმხრივი თამაში

ნაპოლეონისდროინდელი საფრანგეთის დაზვერვა და კონტრდაზ-ვერვა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანობა, რომელიც მხოლოდ იმპერატორის ინტერესებისათვის მოქმედებდა. 1810 წლამ-

დე, მოკლე შესვენებებით, პოლიციის მინისტრის პოსტი ეკავა ყბადაღებულ ჟოზეფ ფუშეს. რევოლუციამდე მღვდელი, შემდეგ კონსტიტუციური მონარქისტი, იაკობინელთა დიქტატურის ეპოქაში „ულტრარევოლუციონერი“, 9 ტერმიდორის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, დირექტორიის დროს პოლიციის მინისტრი, რომელმაც დირექტორია გენერალ ბონაპარტეს მიჰყიდა—ეს მოხერხებული პოლიტიკური ქამელეონი და პროფესიონალი მოღალატე ამავე დროს პოლიციის საუკეთესო მაძებარი იყო, როგორიც შეეძლო მოეძებნა თავისთვის იმპერატორს.

ფუშე მიხვდა, რომ ზოგჯერ ფიზიკურ წამებაზე და მუქარაზე უკეთ მოქმედებს მორალური მდგომარეობის შერყევა, ფსიქოლოგიური წამება და მის ხელში ჩავარდნილი მტრის აგენტების შიმშილით დაუძლურება. ფუშეს ხელქვეითები ახერხებდნენ მეგობრული ნიღბით დაეტყუებინათ ყველა საჭირო ცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ გზავნიდნენ მთლად „გამოწურულ“ მსხვერპლს გილიოტინზე.

ფუშე სჭირდებოდა ნაპოლეონს, მაგრამ ნაპოლეონი არასოდეს მთლად არ ენდობოდა თავის პოლიციის მინისტრს. პატრონმა კარგად იცოდა, რომ მსახური მზად იყო ყოველგვარი ღალატისათვის, თუკი ამას თავისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა. ამიტომ იმპერატორის პირადი ჯაშუშები თვალს არ აშორებდნენ მის ერთგულ პოლიციის მინისტრს, ის კი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა შეეცნო თავისი იმპერატორის ჯაშუშები. ფუშეს უახლოესი თანაშემწეები იყვნენ პოლიციის გენერალური ინსპექტორი რეალი და საიდუმლო პოლიციის საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილების უფროსი დემარე.

ფუშე, რომელიც ყოველთვის იტოვებდა უკანდასახევ გზას, როიალისტების მიმართ ძალიან ეშმაკურ ხაზს ატარებდა. საფრანგეთში მისი პოლიცია აგნებდა მათ კვალს და ბევრიც გაგზავნა ეშაფოტზე. მაგრამ როიალისტებთან, რომლებიც მათთვის უშიშარ ადგილზე, ინგლისში იმყოფებოდნენ, პოლიციის მინისტრს სულ სხვა ლაპარაკი ჰქონდა. მისმა აგენტებმა არაერთხელ გადაკვეთეს ლამანში და უჩურჩულებდნენ სხვადასხვა ემიგრანტ როიალისტებს, რომ ფუშე თურმე გულის სიღრმეში ყოველთვის რჩება „კანონიერი მეფის“ ლუი XVIII მხარეზე. ლონდონში ფუშეს მისატყუარს ხარბად წამოეგო პიშეგრიუს საქმიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ფოშ-ბორელი. ნაპოლეონის მინისტრის „როიალისტებისადმი მალული სიმპათიები“ სალაპარაკო თემად გადაიქცა ემიგრანტთა მეფესთან დაახლოებულ პირთა შორის. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ფუშეს უნდა გაეთვალისწინე-

ბინა, რომ მისი მანევრები არ გამოეპარებოდათ ნაპოლეონის ჯაშუშებს. ამიტომ პოლიციის მინისტრი ხშირი უქვეშევრდომილესი მოხსენებების დროს დაწვრილებით აცნობდა ნაპოლეონს თავის ინტრიგას, და უხსნიდა, რომ ყველაფერი ეს კეთდება სამსახურის ინტერესებისათვის. მას სურს შიგნიდან გახრწნას ემიგრანტთა ბანაკი და შემოიტყუოს ზოგიერთი განსაკუთრებით საშიში პირი საფრანგეთში. მართლაც, რამდენიმე როიალისტი, რომლებიც საიდუმლოდ გადმოვიდნენ საფრანგეთში ფუშესთან კავშირის დასამყარებლად, ნაპოლეონის ბრძანებით დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს როგორც ინგლისის ჯაშუშები (მათ შორის იყო ფოშ-ბორელის დისწული შარლ ვიტელი, რომელმაც წერილი ჩამოუტანა პოლიციის მინისტრს). ნაპოლეონს, რომელიც ცოტა ვინმეს თუ სცემდა პატივს, არ შეეძლო დაემალა თავისი განცვიფრება „მეფის მკვლელის“ მოხერხებულობის გამო — ფუშემ კონვენტში ხმა მისცა ლუი XVI სიკვდილით დასჯას. ფუშემ დაარწმუნა ემიგრანტები, რომ სწორედ ის არის როიალისტთა პარტიის იმედი. ფუშეს და ემიგრანტების ურთიერთობა იმპერატორს მეტად საეჭვოდ მიაჩნდა. მან გადაწყვიტა არ დაკმაყოფილებულიყო იმ პროვოკატორებით, რომლებსაც ფუშე გზავნიდა, და ლონდონში თავისი პირადი ჯაშუშები შეეყვანა, რათა გაეგოთ, რა კავშირი ჰქონდა სინამდვილეში პოლიციის მინისტრს როიალისტებთან.

1807 წ. ფოშ-ბორელთან მტკიცე კონტაქტი დაამყარა ვინმე პერლემ, რომელიც დიდ ერთგულებას ეფიცებოდა ბურბონებს. ეს იყო ჯაშუში, მიგზავნილი როიალისტებთან პარიზის პოლიციის პრეფექტის დიუბუას მიერ. როიალისტების ნდობა რომ მოეპოვებინა, პერლემ მათ გადასცა პარიზის ციხე ტემპლში მყოფი პოლიტიკური პატიმრების სია. პერლე არწმუნებდა ფოშ-ბორელს, რომ საფრანგეთში მოქმედებს როიალისტების საიდუმლო კომიტეტი, რომელიც მალე ჩამოაგდებს ნაპოლეონს და შექმნის დროებით მთავრობას, ის კი საფრანგეთში ლუი XVIII მოიწვევსო. პერლემ აღაფრთოვანა ლონდონში მყოფი როიალისტები, აქედან ის მათი დავალებებით გაემგზავრა ემიგრანტებთან ბერლინში და ყველაფერს დაწვრილებით აცნობებდა პარიზს. საიდუმლო კომიტეტის წევრთა შორის მოხსენიებული იყო ფუშეც. ეინაიდან შეუძლებელი იყო ფუშესაგან დაემალათ პერლეს ლონდონში გამგზავრება, პოლიციის მინისტრს აუხსნეს, რომ ამ მგზავრობის მიზანია ფოშ-ბორელის შემოტყუება საფრანგეთშიო. მინისტრმა დიდი სიმძაფრით გაილაშქრა ამგვარი ხაფანგის დაგების წინააღმდეგ, რისთვისაც ჰუმანურ მოსაზრებებს იშველიებდა. ასეთი

მოსაზრებების გამოთქმა იმ ადამიანისაგან, რომელმაც უდანაშაულო ადამიანების ზღვა სისხლი დაღვარა, ნაპოლეონისათვის, რასაკვირველია, ფუშეს უსინდისობის დამამტკიცებელი იყო. ფუშეს ეშინოდა, თუ ფოშ-ბორელი დააპატიმრეს, გამცემსო. ნაპოლეონმა გადაწყვიტა ფუშესათვის ემიგრანტების თვალში სახელი გაეტეხა. ამიტომ პერლემ მოულოდნელად ახალი დავალება მიიღო: დაემტკიცებინა როიალისტებისათვის, რომ მათ პოლიციის მინისტრისაგან ხელშეწყობის იმედი არ ჰქონოდათ. ასე ცდილობდა ნაპოლეონი პერლეს საშუალებით აეძულებინა როიალისტები არ ეცადათ ფუშესთან კავშირის დამყარება. მაგრამ ფუშემ ნელ-ნელა სხვადასხვა მანევრებით მოადუნა ნაპოლეონის ეჭვი. სწორედ ამ დროს ფუშეს პოლიციამ ვაანადგურა ინგლისის ჯაშუშური ქსელი საფრანგეთში და დააპატიმრა ლონდონისა და როიალისტების ერთ-ერთი მთავარი აგენტი პრიჟანი, რის შესახებ მკითხველმა უკვე იცის.

ფუშემ ისევ მოახერხა ხელთ აეღო პროვოკაციული „მოლაპარაკება“ ფოშ-ბორელთან. 1808 წლის ზაფხულში ფოშ-ბორელს ეწვია ვინმე ბურლიაკი, რომელიც აგრძელებდა პერლეს მიერ დაწყებულ თამაშს. ის ყვებოდა მოგონილ ამბებს, თითქოს ის გამოგზავნა როიალისტების არალეგალურმა ორგანიზაციამ „საიდუმლო კომიტეტმა“, რომელშიაც შედიან დიდებულები და ნაპოლეონის გენერლები, რომ უკვე მომზადებულია გადატრიალება, რომელსაც სენატი განახორციელებს, როცა ისარგებლებს იმპერატორის იქ არყოფნით. ვითომდა როიალისტი ემისარი ლონდონში ისევ სერიოზულად მიიღეს. ბურლიაკი შეხვდა მინისტრებს კანინგსა და ჰოკსბერის. საინტერესოა, რომ ნაპოლეონის თანხმობით გაგზავნილ პროვოკატორ ბურლიაკს ჰქონდა განსაკუთრებული დავალება ისევ აეწია ფოშ-ბორელისა და როიალისტების თვალში ფუშეს აქციები, რომელიც რამდენადმე შერყეული იყო ვიტელის სიკვდილით დასჯითა და პერლეს ინტრიგებით. ბურლიაკმა აცნობა ლუი XVIII, რომ ფუშე მეფის ერთგულია. ლუიმ დიდი ყურადღებით მოისმინა ეს ცნობა და სურვილი გამოთქვა, ვადმოებირებინათ მარშლები ბერტიე და მაკდონალდი, აგრეთვე ემიგრაციაში მყოფი გენერალი მორო. ამგვარად ემიგრანტთა მეფემ კეთილგანწყობილებით მიიღო ყოფილი „მეფის მკვლელის“ აღთქმა საიდუმლო ერთგულებაზე.

როგორც გამოცდილმა ფსიქოლოგმა, ფუშემ, გადაწყვიტა, მოხსენებაში, რომელიც ნაპოლეონისათვის უნდა წარედგინა, ბურლიაკის მისიის ეს უკანასკნელი დეტალი არ აღენიშნა. პოლიციის მინისტრის ძალიან დიდი მოხერხება შეიძლება ისევ არ მოსწონებოდა ეჭვიან

იმპერატორს... თუმცა ფუშე იმ დროს არც ფიქრობდა ნაპოლეონის გაყიდვას ბურბონებზე. მან ხელსაყრელად ჩათვალა ამის გაკეთება რუსეთში ნაპოლეონის დიდი არმიის განადგურების შემდეგ. იქამდე კი ჯერ ძალიან შორს იყო.

მალე „საიდუმლო კომიტეტი" პოლიციის მინისტრის მიერ ლიკვიდირებულ იქნა, როგორც არასაჭირო ორგანიზაცია, ხოლო როცა მოვიდა ბურბონების რესტავრაცია და როიალისტებმა დაიწყეს „საიდუმლო კომიტეტის" კვალის ძებნა, ფუშემ განაცხადა, აქტიური წევრი ვარ იმ სახელოვანი ორგანიზაციისა, რომელიც გმირულად იბრძოდა კორსიკელი უზურპატორის წინააღმდეგო.

ხარბი „ანა ივანეს ასული"

ნაპოლეონის ობერ-მზვერავმა შულმაისტერმა საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორების ერფურტში შეხვედრის დროს (1808 წლის სექტემბერი) თავი იმით ისახელა, რომ კარგად ზვერავდა შეხვედრის მონაწილეებს, მეტადრე, რასაკვირველია, მეფე ალექსანდრე I. მეფის ყველა საყვარელი, რომლებსაც ის მალიმალ იცვლიდა, როგორც წესი, შულმაისტერის სამსახურში ხვდებოდა, მაგრამ ყველგან მყოფ მთავარ ჯაშუშს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმპერატორ ალექსანდრე I, მაინც გამოეპარა მეფის ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, უფრო ზუსტად, არ იცოდა და ვერ მიხვდა, რაზე ლაპარაკობდნენ ამ შეხვედრის დროს.

ინგლისის მზვერავებმა, ღრუბლებივით რომ ეხვევნენ ერფურტს, იმპერატორების შეხვედრებზე საკმაოდ ზუსტი და დაწვრილებითი ანგარიში მიიღეს. ამ ჯაშუშურ ანგარიშებში იტყობინებოდნენ ორი ძლევამოსილი მონარქის შეტაკებაზე, რომელიც მეგობრული მოლაპარაკების ნიღბით იფარებოდა.

დიდად გამოცდილმა ინგლისის დაზვერვამაც ვერაფერი გაიგო ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდზე. მართალია, თვითონ ნაპოლეონსაც შემდეგ წლებში ბუნდოვნად ახსენდებოდა, რომ რაღაც ამგვარი იყო, მაგრამ სად, რა პირობებში და, რაც მთავარია, ვისი მონაწილეობით — ყველაფერი ეს იმპერატორისათვის საიდუმლოდ დარჩა მისი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე. პირველად ეს ამბავი უკვე ჩვენ დროს მოგვითხრო ცნობილმა საბჭოთა მკვლევარმა აკადემიკოსმა ე. ვ. ტარლემ, რუსეთის დიპლომატიური არქივების შესწავლის საფუძველზე.

ამ ეპიზოდის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ რუსეთის მეფე ალექსანდრე I და საფრანგეთის უკვე გადამდგარი საგარეო საქმეთა მინისტრი თავადი ტალეირანი, რომელმაც ძველებურად შეინარჩუნა გავლენა საფრანგეთის პოლიტიკაზე. არ არის აუცილებელი, წარმოვადგინოთ ისინი. რუსეთის მეფე, „მბრძანებელი სუსტი და ცბიერი", როგორც მას პუშკინი ახასიათებდა, ისევე კარგად იყო ცნობილი, როგორც მისი მოსაუბრე, რომლის სახელი დიპლომატიური მოქნილობისა და ვერაგობის სინონიმი გახდა. ეს იყო სწორედ ის თავადი ტალეირანი, არისტოკრატი, შემდეგში დიპლომატი და საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრი (ის ვერ შეეწყო მხოლოდ იაკობინელებს), რომელმაც რესპუბლიკა ნაპოლეონს მიჰყიდა, მერე თვითონ ნაპოლეონი მიჰყიდა ბურბონებს, თხუთმეტიოდე წლის მერე კი ბურბონები გაყიდა და ბურჟუა მეფე ლუი-ფილიპე ორლეანელის სამსახურში გადავიდა. ეს სწორედ ის ტალეირანია, რომელზეც თანამედროვენი ამბობდნენ: იმიტომ არის ის ასეთი მდიდარი, რომ ჰყიდდა ყველას, ვინც მას ყიდულობდაო. ადამიანი, რომლის სიკვდილის შემდეგ ენაკვიმატი ხალხი კითხულობდა: „ტალეირანი მოკვდა? საინტერესოა, რად დასჭირდა ეს?"

მაგრამ 1808 წელს ტალეირანის რეპუტაცია უკვე საკმაოდ მყარი იყო. რუსი დიპლომატები ოფიციალურ მიმოწერაში მას ეძახდნენ „გაკრეჭილ ხუცესს", „ტირანის საქმის მწარმოებელს", პროფესიონალ გამცემს, ასევე პროფესიონალ მექრთამესა და ხაზინის ქურდს, რომელმაც ორივე ხერხით ურიცხვი მილიონები მოაგროვა. მაგრამ არავინ უარყოფდა მის ჭკუას, შორსმჭვრეტელობასა და წინდახედულებას. ის მზად იყო ყველაფერი ეს შეეფარდებინა ყოველგვარი დანაშაულისათვის, თუკი ამისგან მოგებას ნახავდა. ამას აკეთებდა აბსოლუტური უნამუსობით, რომელსაც ის მოხერხებულად მალავდა დიდებულის თანდაყოლილი ზანტი და დიადი ქედმაღლობით.

ასეთი იყო ეს პიროვნება, რომელიც წარუდგა ალექსანდრე პავლეს ძეს ერფურტში. უნდა დავსძინოთ, რომ მეფისათვის ეს პიროვნება მეტად არასიმპათიური იყო. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ალექსანდრემ ვერ აპატია მას ერთი ნოტა, რომელიც ტალეირანმა ნაპოლეონის ბრძანებით შეადგინა. ამ ნოტაში აშკარა ქარაგმა იყო მისი შამის მეფე პავლე I მკვლელობაში ალექსანდრეს მონაწილეობაზე.

„არამზადა" ტალეირანთან შეხვედრა მით უფრო არასასიამოვნო იყო მეფისათვის, რომ საფრანგეთთან დაახლოებისა და ინგლისთან მტრობის პოლიტიკამ, რომელიც უნდა გაეტარებინათ ტილზიტის შემდეგ, რუსეთის თავადაზნაურობის მზარდი უკმაყოფილება გამო-

იწვია, ვინაიდან შელახა მისი ეკონომიური ინტერესები: ალექსანდრე თავის პირად უშიშროებაზეც ღელავდა ერფურტში, რომელიც ნაპოლეონის ჯარს ეკავა. სწორედ ასეთ პირობებში ბაიონში ნაპოლეონმა ბრძანა დაეპატიმრებინათ იქ ჩასული ესპანეთის მეფე და მემკვიდრე პრინცი!

ალექსანდრე უფრო გააოცა ნაპოლეონის უახლოეს მრჩეველთან ლაპარაკის შინაარსმა. ტალეირანის მიერ გამოთქმული აზრი, თუ ამოეაგდებთ ბევრ მიკიბულ-მოკიბულსა და ლამაზ სიტყვას, შემდეგი იყო: ის, ტალეირანი, არ ეთანხმება ნაპოლეონის თავაწყვეტილ დაპყრობითს გეგმებს. არ ეთანხმება ამას საფრანგეთიც. სახელმწიფოს მხოლოდ უნდა საზღვარი რეინზე, ალპებსა და პირინეებზე, დანარჩენი, ე. ი. ევროპის დიდი ნაწილი, რომელიც ექვეშევრდომება ნაპოლეონს, არის მისი პირადი მონაპოვარი. მასთან კი, თავადის თავაზიანი განმარტებით, „საფრანგეთს“ არავითარი საქმე არ აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტალეირანი წინასწარ უარს ამბობდა ამ დაპყრობილ ტერიტორიებზე — ის დარწმუნებული იყო, რომ მათ შენარჩუნებას დიდი ხნით მაინც ვერ შეძლებენ — იმათ სასარგებლოდ, ვინც დაეხმარებოდა ბოლო მოეღოთ ნაპოლეონის ხელისუფლებისათვის. ალექსანდრესთან ახალი დამოკიდებულების განსამტკიცებლად ტალეირანმა განაცხადა, რომ მზად იყო გადასულიყო რუსეთის სამსახურში, რასაკვირველია, საიდუმლოდ და, რაც თავისთავად გასაგებია, შესაფერი ხელფასით. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, დათქვეს და შეათანხმეს არა პირველი შეხვედრისთანავე, არამედ შემდგომი შეხვედრების დროს.

უფრო მეტიც, რომ დაემტკიცებინა თავისი გადაწყვეტილების სერიოზულობა, ტალეირანმა აქვე გაანდო მეფეს ნაპოლეონის საიდუმლოებანი, უთითებდა საფრანგეთის იმპერატორის მოთხოვნებისა და გეგმებისადმი წინააღმდეგობის იმ ზღვარზე, სანამდისაც შეიძლებოდა მისვლა ისე, რომ არ მომხდარიყო საბოლოო განხეთქილება. ხოლო შემდეგ, ნაპოლეონთან ბაასის დროს ტალეირანი მწუხარებით ოხრავდა, როდესაც უსმენდა ნაპოლეონის ჩივილს, მოლაპარაკების დროს მეფის უეცარი სიმტკიცის გამოვლინების გამო.

თუმცა ტალეირანი უკვე არ იდგა საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში, მაგრამ ძველებურად, როგორც ნაპოლეონის დაახლოებული პირი, გარკვეული ეყო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის საიდუმლოებებში. ვინაიდან გამოცდილმა თავადმა კარგად იცოდა, რომ ის ვერ შეძლებდა დაემალა თავისი მეტამორფოზები ამგვარ საქმეში, ისეთი ყნოსვის მქონე პოლიციის მეძებრისაგან, როგორიც იყო

ფუშე, ტალეირანმა გადაწყვიტა ის თავის მხარეზე გადმოებირებინა, ფუშე, ისევე როგორც ტალეირანი, ხვდებოდა ნაპოლეონის დაპყრობითი პოლიტიკის საშიშროებას, ამიტომ დაიკავა მეგობრული ნეიტრალური პოზიცია და შემთხვევის დროს კიდეც აწოდებდა ტალეირანს პეტერბურგში გადასაცემად ისეთ ცნობებს, რომლებიც მას აკლდა. რუსეთის საიდუმლო დიპლომატიურ წერილებში ბენევენტის ჰერცოგი, უბრწყინვალესი თავადი ტალეირან-პერიგორი, ურიცხვი ორდენების კავალერი, იმ დროიდან იწოდებოდა „იურისკონსულტად", „ჩემს მეგობრად", „ჩვენი წიგნების გამყიდველად", „ბიძაშვილ ანრად" და ზოგჯერ უბრალოდ „ანა ივანეს ასულად".

აღსანიშნავია, რომ ანა ივანეს ასული, ისევე როგორც გოგოლის ნაწარმოების ერთი გმირი ქალი, ყოველმხრივ სასიამოვნო როდი აღმოჩნდა. თავის საქონელში ის აუცილებლად მოითხოვდა საკადრისი ფასის გადახდას და ისეთ გადაჭარბებულ ანგარებას იჩენდა, რომ საფრანგეთში მყოფ რუსეთის საელჩოსა და პეტერბურგს შორის მიმოწერას ყოველთვის თან ახლდა დაჟინებული თხოვნა — გადმოეგზავნათ დამატებითი თანხა. ამ პიროვნების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციიდან მხოლოდ იმის გაგება არ შეიძლებოდა, რომ სულ მალე იგი (მეტერნიხის საშუალებით, რომელიც მაშინ ავსტრიის ელჩად იყო პარიზში) შეთავსებით ავსტრიას მიექირავა და მოხერხებულად მანევრირებდა ორ დამქირავებელს შორის, რომელთა ინტერესები, რასაკვირველია, ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ანა ივანეს ასული სამხედრო ჯაშუშობასაც არ თაკილობდა, ავსტრიელებს საფრანგეთის ჯარის მოძრაობის შესახებ ცნობებს აწვდიდა ავსტრიის წინააღმდეგ 1809 წელს ახალი ომის დაწყების წინ.

ნაპოლეონმა რასაკვირველია, არაფერი იცოდა ამ „ნეგოციაციებზე", როგორც წერდნენ ძველი ენით იმდროინდელი რუსეთის დიპლომატიურ საბუთებში, მაგრამ იმპერატორს მაშინვე აცნობეს ტალეირანისა და ფუშეს დაახლოების შესახებ, რომლებიც აქამდე ერთმანეთის აშკარა მტრები იყვნენ. ამ ცნობამ აიძულა ესპანეთში მყოფი ნაპოლეონი, დაეტოვებინა ჯარი და საჩქაროდ პარიზს დაბრუნებულიყო. 1809 წლის 23 იანვარს საზეიმო მიღებაზე იმპერატორი გაოფთრებული დაესხა თავს ტალეირანს, სახალხოდ გაახსენა ყველა ღალატი და ბნელ საქმეებში მონაწილეობა. „რატომ არ ჩამოგახრჩვე კარუსელის მოედანზე, მაგრამ მოვასწრებ, კიდევ მოვასწრებ ამას! თქვენ სიბინძურე ხართ აბრეშუმის წინდებში! სიბინძურე! სიბინძურე!.." ყვიროდა გაშმაგებული ნაპოლეონი.

მაგრამ ტალეირანი ყოველ მოკვდავზე ნაკლებად აქცევდა ყურად-

ლებას საჯაროდ წარმოთქმულ შეურაცხმყოფელ სიტყვებს თუ, რასაკვირველია, ამ სიტყვებს მიღმა არ იმალებოდა უფრო საშიში უსიამოვნებანი. რადგან ნაპოლეონმა ჯერ არ იცოდა თავადის მოღვაწეობა ორმხრივი ჯაშუშის როლში, „ანა ივანეს ასული“ წინანდელი გულმოდგინებით განაგრძობდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას პეტერბურგისა და ვენის წინაშე. ტალეირანმა კიდეც მოსთხოვა ვენას, რომელსაც იმ პერიოდში ძალიან სჭირდებოდა მისი სამსახური, რამდენიმე ასი ათასი ფრანკი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

მუშაობა არ შეწყვეტილა მომდევნო, 1810 წელსაც. მაგრამ იმ ინფორმაციის ფასი, რომლითაც ვაჭრობდა თავადი, 1810 წლის შუა ხანებში ძალიან დაეცა. დაიშრიტა ინფორმაციის მთავარი წყარო — ფუშე...

ფერფლიდან აღორძინება

ჰ

ჰ. უელსის ერთი ფანტასტიკური მოთხრობის გმირმა დედამიწას უბრძანა გაჩერდიო. დაიწყო კოსმოსური კატასტროფა. სასტიკად შეშინებულმა დამნაშავემ ძლივს მოასწრო თხოვნა ყველაფერი თავის ძველ მდგომარეობას დაუბრუნდესო. ადამიანებს თავისი დაღუპვისა და საოცარი გადარჩენის შესახებ არც კი გაუგიათ არაფერი. აი, სწორედ ამგვარი რამ მოხდა 1810 წლის ივლისში საფრანგეთის საიდუმლო სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფენიქსი არ იყო, მაინც აღორძინდა... დამწვარი საბუთების ფერფლიდან.

უკვე 12 წელი იყო, რაც პოლიციის სამინისტროს სათავეში იდგა ჟოზეფ ფუშე, რომელმაც შექმნა უდიდესი, ყველგან ჩამწვდომი ჯაშუშური ქსელი. ისინი უთვალთვალებდნენ მოსახლეობის ყველა ფენას, წარჩინებულებსა და სამხედროებს, როგორც ფრანგ, ისე უცხოელ დიპლომატებს, ნაპოლეონის ადმინისტრაციის მოხელეებსა და ლიტერატორებს, რომლებიც მორჩილებით ჰპოვებდნენ შთაგონების წყაროს იმპერატორის ცენზურის მითითებებში. პოლიციამ აკრძალა ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვანი კრებები, საოჯახო ზეიმები და მეგობრების შეხვედრაც კი ისე, თუ მათ არ დაესწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი. ერთხელ ერთმა ცნობილმა გენერალმა დააპირა მეგობრულ სუფრასთან მიეპატიჟებინა თავისი თანამებრძოლი ამხანაგები. გულადი მეომარი აღშფოთდა. როცა გაიგო, რომ პოლიციის წარმომადგენლის გარეშე ამის გაკეთება აკრძალული იყო.

მან ფუშესთან იჩივლა. მინისტრი თანაგრძნობის ნიშნად ალერსიანად უქნეედა თავს, მაგრამ უკან არ დაიხია. როდესაც გენერალი უკიდურესად აღშფოთდა, ფუშემ უეცრად რალაც მოისაზრა:

— არ შეგიძლიათ მომცეთ მოწვეულთა სია? — ჰკითხა მან, უცბად გადააელო თვალი დაპატიჟებულთა გვარებს და მშვიდად დასძინა:

— კეთილი, გენერალო საჭირო აღარ არის პოლიციის წარმომადგენლის დასწრება...

ფუშე საშინ ძალად გადაიქცა: მის წინაშე, რომელმაც იცოდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა კულისებსმიღმა ცხოვრების ყველა მხარე და მათი სისუსტე, უფრო დიდ შიშს განიცდიდნენ, ვიდრე თვით იმპერატორის წინაშე. ფუშემ ფრიად კარგად იცოდა იმპერატორის საგვარეულოს ასაელ-დასავალი, იმპერატორის დების გარყვნილება და ისიც, თუ ვისთან ღალატობდა იმპერატორს მისი საყვარელი. მაგრამ ახალგამომცხვარ ოტრანტის ჰერცოგს განუწყვეტლივ ღრღნის დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა. პოლიციის სამინისტროს კედლებში ის ეიწროდ გრძნობს თავს. ნაპოლეონი ესპანეთშია. ინგლისელებმა გამოიყენეს მისი არყოფნა და ბელგიაში ჯარი გადმოსხეს. ფუშე იმპერატორის სახელით მოკლე დროში ქმნის, ასწავლის, აიარაღებს მთელ არმიას და აგზავნის მას მოწინააღმდეგის შესახვედრად. ინგლისის დესანტს საჩქაროდ უხდება უკან წასვლა.

მაგრამ ჟოზეფ ფუშე უფრო მეტზე ოცნებობს. მან იცის, თუ რა ფართოდაა გავრცელებული მშვიდობისადმი მისწრაფება. მშვიდობა ბოლოს მოუღებდა მრავალწლიან დამაუძლურებელ ომს ინგლისთან, რომ ლონდონშიც არის გავლენიანი ძალები, რომლებიც მზად არიან წავიდნენ კომპრომისზე, შეთანხმებაზე. ამით ისევ გაეღება ინგლისის საქონელს ნაპოლეონის მიერ ჩაკეტილი ევროპის ქვეყნების ჭიშკარი და აი, ფუშე თავისი საკუთარი ინიციატივით აგრძელებს ნაპოლეონის ჯიუტობით შეწყვეტილ მოლაპარაკებას ინგლისთან. ფუშე მზადაა უარი თქვას ფრანგების მიერ მოპოვებულ დაპყრობათა ნაწილზე. მისი აგენტია ბნელი საქმოსანი ბანკირი უვრარი, მაგრამ ის ფიქრობს, რომ მოქმედებს იმპერატორის დავალებით, რომლის ნებასურვილის აღმასრულებელი არის პოლიციის მინისტრი. უფრო მეტიც, ჰოლანდიის მეფეც, ბონაპარტის ძმა ლუი ბონაპარტი დარწმუნებულია, რომ ჰოლანდიასთან მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, იმპერატორის თანხმობით და ნებართვით მიმდინარეობს.

რასაკვირველია, ნაპოლეონს მარტო ფუშეს პოლიცია როდი ჰყავდა, იყო კიდევ მეორე პოლიცია, რომელიც ფუშეს უთვალთვალებდა. არსებობდა აგრეთვე ფოსტების მთავარი დირექტორის პოლიცია,

რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა იმ პოლიციისათვის, ის კი თავის მხრივ უთვალთვალებდა ოტრანტის გაქნილ ჰერცოგს. იმპერატორს კიდევ ჰყავდა სხვა პოლიციელები... ფუშე თვითონაც ხომ უთვალთვალებდა მის მოთვალთვალე პოლიციას. ასე იყო, თუ ისე, ეს გველების ხლართი განაგრძობდა კლაკვნას, მაგრამ ნაპოლეონმა მაინც ვერ მიიღო საჭირო ინფორმაცია თავისი აგენტებისაგან. ფუშეს მოქმედების ამბავი მან სრულიად შემთხვევით გაიგო. როდესაც ნაპოლეონი ახალი მეუღლით, ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილით, მარია-ლუიზათი ჰოლანდიას ეწვია, ლუი ბონპარტმა გაკვრით ახსენა ეს მოლაპარაკება, როგორც კარგად ცნობილი ფაქტი. აუცილებელი არ იყო ნაპოლეონობა, რომ გაეგოთ, თუ ვინ იმალებოდა უვრარის ზურგს უკან. გაცოფებული იმპერატორი ბრძანებას აძლევს ჟანდარმერიის მეთაურს, სავარის ჰერცოგ როვიგოს, საჩქაროდ, უხმაუროდ დააკავონ ფუშეს აგენტი. პარიზში ნაპოლეონი ეკითხება პოლიციის მინისტრს, იცის თუ არა მან რაიმე უვრარის მოლაპარაკების შესახებ? ის, რასაკვირველია, ჩქარობს ხელი აიღოს თავის წარმომადგენელზე. მაშინ ნაპოლეონმა თამაში განაგრძო და უბრძანა ფუშეს დააპატიმროს უკვე დაპატიმრებული უვრარი, პოლიციის მინისტრი ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას და ამით მხოლოდ თავის თავს ამეღავნებს.

მეორე დღეს პოლიციის მინისტრად ნაპოლეონმა სავარი დანიშნა. ოტრანტის ჰერცოგმა ძალიან ბევრი რამ იცოდა და მისი ასე უბრალო პანღურით გაგდება ადვილი არ იყო. ისევე როგორც ერთხელაც, ფუშეს ხანმოკლე გადადგომის დროს, თანამდებობიდან მის განთავისუფლებას თან ახლდა საპატიო დანიშვნა იმპერატორის ელჩის პოსტზე რომში. მაგრამ ფუშემ უკვე თავი აიწყვიტა. ის ჩქარობს აჩვენოს ნაპოლეონს, რომ უფრო მეტი ღირს, ვიდრე მის ვარშემო მყოფი ცბიერი და მორჩილი მსახურები, რომლებსაც მინისტრების პორტფელები აქვთ ჩამორიგებული. ფუშემ პოლიციის უბადლო მანქანა შექმნა და მას სხვა პატრონი არ ეყოლება!

როდესაც ჰერცოგი როვიგო წარუდგა ოტრანტის ჰერცოგს და იცნობა, რომ ის, სავარი, დანიშნულია პოლიციის მინისტრის პოსტზე, ფუშე არაჩვეულებრივი თავაზიანობით შეხვდა თავის მემკვიდრეს. სავარი მოტყუვდა. მან თავისუფლადაც კი ამოისუნთქა. უფლებამოსილ და საშიშ ადამიანთან მძიმე ლაპარაკისა და უსიამოვნების მაგივრად, მათ შორის მეგობრული საუბარი გაიმართა. ბრძანებით ერთი ვალდებული იყო მიეღო საქმე, ხოლო მეორე მზად იყო სიხარულით ჩაებარებინა მისთვის დამამძიმებელი ვალდებულებანი. ფუ-

შემ მზადყოფნაც კი გამოთქვა დახმარებოდა ახალ მინისტრს ბევრი ახალი და მისთვის უცნობი საკითხის გარკვევაში. რასაკვირველია, ცოტა დრო დასჭირდება, რომ სამინისტროს საქმეები წესრიგში მოიყვანოს, ვინაიდან იმპერატორის ბრძანება ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ოტრანტის ჰერცოგმა ვერ მოასწრო სამინისტროს რთული აპარატის მომზადება თავისი მემკვიდრისათვის გადასაცემად. თუ ჰერცოგი როვიგო არ იქნება წინააღმდეგი, ფუშე რამდენიმე დღეში ყველაფერს მოაწესრიგებს და ამ დროისათვის ოტრანტის ჰერცოგის მეუღლეც მოასწრებს ახალ ბინაში გადასვლას. რასაკვირველია, სავარი არ არის წინააღმდეგი, და დიდად კმაყოფილი გადის. ფუშემ და მისმა ყველაზე სანდო მოადგილემ კი ხელი მოჰკიდეს საქმეს. საბუთები, რომლებიც მნიშვნელოვან საიდუმლო აგენტურას ეხება, ისპობა ან საჩქაროდ გადააქვთ საკუთარ სამალავში, სადაც მათ ვერ მოძებნიან იმპერატორის მზვერავები. მრავალრიცხოვანი აგენტები — სამხედროები, მოხელეები, წარჩინებული პირები, მღვდლები — ყველა ესენი ფუშეს და მხოლოდ ფუშეს ჯაშუშები იყვნენ და მას არ სურს ისინი ნაპოლეონს გადასცეს. რჩება მხოლოდ ცნობები უმნიშვნელო აგენტებზე, რომლებიდანაც არ შეიძლება რამე სერიოზული ამბის გაგება. ოთხ დღე-ღამეს გრძელდება გაცხარებული მუშაობა, ოთხ დღე-ღამეს ანთია ბუხარი, რომელიც უკვალოდ ნთქავს ყოველივეს, რაც ფუშეს საჭიროდ არ მიაჩნია შეინახოს და, ამავე დროს, არ სურს დაუთმოს სავარის.

ყოველივე ამის შემდეგ საქმე გადაეცა ჰერცოგ როვიგოს, რომელსაც ეჭვი არ აუღია არაფერზე. ფუშეს მთელი სადაზვერვო ქსელი გაწყვეტილ იქნა მრავალ წვრილ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ნაგლეჯებად, რომელთა მთავარი ელემენტები უკვალოდ დაიკარგა. ოცდაოთხი საათის შემდეგ სავარი ყველაფერს ხვდება, იგი იძულებულია დიდი შიშით მოახსენოს იმპერატორს ეს უცნაური შემთხვევა. ნაპოლეონი უგზავნის ფუშეს მოთხოვნას დააბრუნოს მოპარული საბუთები, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მაგრამ ის პასუხად მხოლოდ ამტკიცებს, რომ დიდი ხანია დაწვა საბუთები, რომელთაც მას თხოვენ. ფუშე გადაკვრით ეუბნება ნაპოლეონის გამოგზავნილს, ეს იმიტომ გავაკეთე, რომ დამეცვა იმპერატორის საგვარეულოს ღირსებაო (აშკარა ქარაფშუტობა იმის შესახებ, რომ გადამდგარ მინისტრს ხელთ აქვს მნიშვნელოვანი და სახელის გამტეხი საბუთები). მაგრამ ფუშე მოტყუვდა, მან ვერ შეაფასა ნაპოლეონის შეუპოვრობა. ის უბრძანებს თავისი პირადი პოლიციის უფროსს დიუბუას: ფუშემ ან დააბრუნოს საბუთები, რომლებსაც მას სთხოვენ, ან ის გაიგზავნება ცი-

ხეში ათობით ჟანდარმის ბადრაგით და ჩქარა. იგრძნობს, თუ რას ნიშნავს იმპერატორის რისხვა.

მხოლოდ ახლა ხვდება ფუშე, თუ რა შორს შეტოპა — დიუბუამ დაულუქა ქაღალდები ყოფილ მინისტრს. მართალია, ყველა მნიშვნელოვანი საბუთი დიდი ხანია საიმედო ადგილასაა შენახული; მაგრამ ნათელია, იმპერატორს ვერაფერი ვერ შეაკავებს, რომ გასტეხოს ფუშე. ფუშეც დროის მცირე მონაკვეთში ნამდვილად მოტყდა. ამაოდ სწერს ის დამამცირებელ წერილებს ნაპოლეონს, სთხოვს, მიმიღეო. მას უხეშად პასუხობენ, რომ მისი სამსახური უკვე საჭირო არ არის. პანიკური შიშით შეპყრობილი ფუშე სტოვებს პარიზს და მიემგზავრება იტალიაში, ჩადის სხვადასხვა ქალაქებში, აბნევს კვალს, აპირებს ოკეანის გაღმა გამგზავრებას — მას აკავებს მხოლოდ შიში, რომ ხელთ არ ჩაუვარდეს ინგლისელებს. ამ დროს კი ოტრანტის ჰერცოგის მეუღლე უთანხმდება ნაპოლეონს. ის უკან უბრუნებს ყველაზე მნიშვნელოვან საბუთებს, რომლებიც ეხება პირადად ნაპოლეონს და იმპერატორის საგვარეულოს. ამის შემდეგ გადამდგარ მინისტრს საშუალება ეძლევა თავის მამულში დაბრუნდეს (ეს კიდევ არაა უკანასკნელი ეტაპი ფუშეს კარიერაში — მას ელოდება ახალი დაწინაურება და ახალი დაქვეითება).

ჯერჯერობით კი სავარი, რომელსაც არ გააჩნდა ფუშეს ნიჭი, მაგრამ შრომისმოყვარე და გულმოდგინე მსახური იყო, ნელ-ნელა იწყებს დანგრეული სადაზვერვო მანქანის აღდგენას. ფუშემ ვერ მოასწრო ზოგიერთი კვალის მოსპობა. მაგალითად, დარჩა მეორეხარისხოვანი მაცნეების გვარებისა და მისამართების აღრიცხვის წიგნი. ზოგიერთებს იცნობენ სამინისტროს მოხელეები და თვით მეკარეც კი. და როდესაც მნახველები, რომელთა შორის ბევრი ფუშეს აგენტია და რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ მომხდარ ამბებზე, სიფრთხილის გამო ვიზიტს უკეთებენ ახალ პატრონს პოლიციის სამინისტროს შენობაში, მინისტრი საჩქაროდ ეთათბირება მეკარეს,— ნახულობდით თუ არა აქ მყოფთ ოტრანტის ჰერცოგთან მოსულებსო. სავარი მალავდა თავის უცოდინარობას და ახერხებდა დაერწმუნებინა: მიღებაზე მოსულთა უმეტესი ნაწილი, რომ მას ხელთ ჰქონდა მათი წარსულის ყველა მასალა, რომელთაც ფლობდა ფუშე. ეს მასალა ხომ ხშირად ფულზე უფრო უკეთესი გარანტია იყო აგენტების ერთგულებისა. ასე ნელ-ნელა, თვით აგენტებისათვისაც შეუმჩნევლად, რომლებსაც ეჭვიც კი არ ჰქონდათ იმ სადაზვერვო მანქანის დაშლაზე, რომლის ნაწილებიც თვითონვე იყვნენ, დაიწყო ამ მანქანის აღდგენა. თუმცა მრავალი „ნაწილი“ დაკარგული იყო; ის ისევ ამუშავეს.

საამკინძაო საქმის წვრილმანები

ნაპოლეონის იმპერიის უკანასკნელ წლებში ფარული ომი სულ უფრო მწვავდებოდა. დიდ ხანს არ დასჭირვებია ხვეწნა შოტლანდიელ ბერს ჯეიმს რობერტსონს, როდესაც მას შესთავაზეს გაეცვალა თავისი სენაკი ინგლისის სადაზვერვო სამსახურზე. გერმანულად ყარგად მოლაპარაკე ბერი კუნძულ გელგოლანდიდან, რომელიც ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ცენტრს წარმოადგენდა, ჩრდილოეთ გერმანიაში გადაისროლეს. რობერტსონმა ბერის ანაფორა გაიძრო და პასპორტი შეიძინა ქალაქ ბრემენის მკვიდრის ადამ როორაუერის სახელზე. ჰამბურგში „როორაუერმა" გაიცნო ესპანელი მღვდელი მისი საშუალებით კი ესპანელი კაპიტანი, რომელიც იქაურ ჰოსპიტალში გამოსაჯანმრთელებლად იმყოფებოდა. ვითომ წვრილი მოეაჭრე ვარო, ბერი თავისი ახალი მეგობრების თანხლებით დანიას გაემგზავრა. იქ კუნძულებზე განლაგებული იყო ესპანეთის არმიის საუკეთესო ნაწილები, რომლებიც ნაპოლეონმა ჯერ კიდევ ესპანეთის დაპყრობამდე გამოითხოვა, როგორც დამხმარე ჯარი და სამშობლოდან მოშორებით დააბანაკა. რობერტსონმა მიაღწია ესპანეთის კორპუსის მხედართმთავარ გენერალ ლა რომანთან და დაუსახელა მას პაროლი, რომელზედაც ის ჯერ კიდევ მადრიდში ყოფნისას იყო შეთანხმებული ინგლისის დიპლომატიური მისიის მდივან ბ. ფრერთან. დათქმულ დროს ლა რომანმა თავი მოუყარა თითქმის 10 ათას ჯარისკაცს, თითქოსდა ესპანეთის ახალი მეფის ბონაპარტის ძმის იოსებისათვის ფიცის მისაცემად და ფრანგების ცხვირწინ ჩასვა ისინი მოახლოებულ ინგლისის ხომალდებში, რომლებსაც ადმირალი კიტსი მეთაურობდა. ეს ჯარი შეუერთდა ინგლისის ველინგტონის არმიას, რომელიც ესპანეთში ნაპოლეონის მარშლების წინააღმდეგ იბრძოდა. 1810 წელს ინგლისის დაზვერვა ცდილობდა როიალისტების დახმარებით მოეტაცა ესპანეთის მემკვიდრე პრინცი ფერდინანდი — იგი დაპატიმრებული ჰყავდათ საფრანგეთში — და ამით ნაპოლეონისათვის საგრძნობი დარტყმა მიეყენებინათ. ასეთი გზით ინგლისელები მიისწრაფოდნენ გაელრმავებინათ ის სიძნელეები, რომლებიც იმპერატორს ესპანეთში შეხვდა. ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა და მისი ორგანიზატორი ბარონი დე კოლი დახვრიტეს. ინგლისის დაზვერვას სურდა დაეჩქარებინა ავსტრიის ჩაბმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში და 1813 წელს მონაწილეობა მიიღო იმპერატორ ფრანცის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. შესამჩნევად გამწვავდა საფრანგეთისა და რუსეთის დაზვერვათა ბრძოლა.

პარიზში ჩამოსული მეფის წარმომადგენელი, მისი ადიუტანტი-პოლკოვნიკი ჩერნიშევი 1809 წელს ნაპოლეონს ახლდა ავსტრიის წინააღმდეგ ომში და უურადღებით აკვირდებოდა საფრანგეთის არმიას. ჩერნიშევს, რასაკვირველია, განსაკუთრებით აინტერესებდა ოფიციალური მოხსენებები საფრანგეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე, რომლებსაც ყოველკვირეულად უდგენდა სამხედრო სამინისტრო ნაპოლეონს. ხელთ რომ გვქონოდა ეს მასალა, მაშინ ნათელი წარმოდგენა გვექნებოდა საფრანგეთის არმიის შეიარაღებაზე, რაოდენობასა და დისლოკაციაზე. რასაკვირველია, ეს მოხსენებები სახელმწიფოს მკაცრ საიდუმლოებას წარმოადგენდა. ჩერნიშევს შეეძლო დაენახა მხოლოდ ლამაზი ყდები, რომლებშიც იკინძებოდა მოხსენებები. მაგრამ ესეც არ იყო ცრტა. მოხსენებები იკინძება ყდებში, ე. ი. ვიღაც აკეთებს ამას. ხომ შეიძლება ამ ამკინძველთან დაახლოება? სულ მალე ჩერნიშევმა მოახერხა არა მარტო სამხედრო სამინისტროს მკინძავ-მიშელთან შეხვედრა, არამედ მისი დასმარებით, რასაკვირველია, უხვი გასამრჯელოს გაღების შემდეგ, იმ მოხსენებების გადაკითხვაც, რომლებიც მხოლოდ იმპერატორ ნაპოლეონის თვალებისათვის იყო განკუთვნილი. მიშელს თანამონაწილენიც ჰყავდა: სამხედრო სამინისტროში მომუშავენი — საქე, სალმონი, მოზესი და იმ სასტუმროს მეკარე ავსტრიელი ვუსტინგერი, რომელშიც რუსეთის საელჩო იყო მოთავსებული. ვუსტინგერი შუაკაცი იყო მიშელსა და ჩერნიშევს შორის.

ნაპოლეონის საიდუმლო პოლიციამ მხოლოდ 1812 წლის თებერვალში, ე. ი. ორი წლის შემდეგ მიაგნო კვალს. პოლიციელებმა ისარგებლეს ჩერნიშევის იქ არყოფნით და მოულოდნელად გაჩხრიკეს მისი ბინა. ჩერნიშევს უპოვეს სადაზვერვო მუშაობის უდავო დამამტკიცებელი საბუთები.

ჩერნიშევი, რომელმაც მეფე ნიკოლოზ I დროს თავისი დახელოვნებული მლიქვნელობით დიდი კარიერა გაიკეთა, არ ეკუთვნოდა სერიოზულ და გამჭრიახ მზვერავთა რიცხვს. ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ მეფის ადიუტანტის მიერ შეკრებილ ცნობებში ძალიან შემცირებულია საფრანგეთის არმიის რაოდენობა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ეს შეგნებული პროვოკაცია იყო ნაპოლეონის მხრივ.

რუსეთის „აზიური ვერაგობით“ აღშფოთებული ნაპოლეონი ლაშქრობისათვის კიდევ უფრო დაძაბულ სადაზვერვო მომზადებას აწარმოებდა. საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა რუსეთში ლორისტონმა ზუსტი ცნობები შეკრიბა რუსეთის არმიის ძალისა და

განლაგების შესახებ. იშოვა აქტის დაფები, საიდანაც იბეჭდებოდა საიდუმლო სამხედრო რუკები. ჯერ კიდევ 1811 წლის მიწურულს ნაპოლეონმა მითითება მისცა საფრანგეთის ელჩს ვარშავის საჰერცოგოში ბარონ ბინიონს შეექმნა განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც უნდა ეწარმოებინა სამხედრო და პოლიტიკური ჯაშუშობა რუსეთის წინააღმდეგ. ნაპოლეონმა ბრძანა რუსეთში შეეგზავნათ რეზიდენტები, რომლებსაც ევალებოდათ შეექმნათ სადაზვერვო უჯრედები პეტერბურგში, მოსკოვში, ბალტიისპირეთის პროვინციის მთავარ ქალაქებში, ზოგიერთ გამაგრებულ ცენტრში, მთავარ გზებზე, რომლის გავლითაც ნაპოლეონის არმია აპირებდა დასავლეთ საზღვრიდან შუაგულ რუსეთში შეჭრას, მაგრამ ბინიონმა ვერ მოახერხა იმპერატორის ბრძანების შესრულება.

ომის დასაწყისშივე რუსეთის დაზვერვამ ბევრ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ნაპოლეონის წინააღმდეგ გერმანიაში რუსეთის სადაზვერვო ქსელის გაშლის საქმეში აქტიური როლი შეასრულა შტეინმა — პრუსიის მთავრობის ყოფილმა მეთაურმა. შტეინი ნაპოლეონის შეურიგებელი მტერი იყო და პრუსიის მეფეს, გამარჯვებული მრისხანე დამპყრობლის მოთხოვნით, უნდა გაეძევებინა მინისტრი თავისი ქვეყნიდან. შტეინის დახმარებით რუსეთის დაზვერვამ შეძლო მოეგვარებინა გერმანიაში იატაკქვეშა ანტინაპოლეონური გაზეთის ბეჭდვა. რუსეთის დაზვერვის აგენტები გახდნენ პრუსიის მეფის პასტორი შლეიერმახერი და პოლიციის მინისტრი გრუნერი. ისინი ცდილობდნენ შეეფერხებინათ ნაპოლეონის არმიისათვის სამხედრო ტვირთის მიზიდვა პრუსიის გზებით, დაეწვათ პრუსიის ტერიტორიაზე განლაგებული საფრანგეთის სამხედრო საწყობები, გაევრცელებინათ დეზერტირობა დამხმარე კორპუსის პრუსიელ ჯარისკაცთა შორის, რომელიც ნაპოლეონის მოთხოვნით გაგზავნეს რუსეთის წინააღმდეგ. განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა მიიღო ამ მოღვაწეობამ მაშინ, როდესაც ნაპოლეონის დიდი არმია გაანადგურა რუსმა ხალხმა და არმიამ. ევროპაში რუსეთის არმიის განმათავისუფლებელი ლაშქრობის დროს, როგორც მზვერავმა, თავი გამოიჩინა პარტიზანთა ცნობილმა მეთაურმა ა. ს. ფიგნერმა. მან, იტალიელად გადაცმულმა, შეაღწია საფრანგეთის არმიაში და ნაპოლეონის გენერლის რაპის ნდობა მოიპოვა.

თვით რუსეთში კი სამამულო ომის დროს დიდი როლი შეასრულა ინგლისელმა მზვერავმა ვილსონმა, რომელიც დიდ ინტრიგებს უწყობდა კუტუზოვს, ვინაიდან მას არ სურდა რუსეთის ინტერესები, ინგლისის პოლიტიკის მიზნებისათვის დაემორჩილებინა. როდესაც

ნაპოლეონის იმპერია დაღუპვის უკანასკნელ საფეხურზე იდგა, ლონ-დონმა ისევ დაიწყო თავისი როიალისტური აგენტურის გამოყენება, კავშირს აბამდა იმპერატორის იმ მარშლებთან და მინისტრებთან, რომლებიც დაღუპული გემიდან გადარჩენას ცდილობდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ მოახლოებული კრახის დაჩქარებას.

მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი ნა-პოლეონი დაზვერვის ნიჭიერი ორგანიზატორი იყო. იგი ამ საქმეში ბევრად სჯობდა თავის მოწინააღმდეგეებს. ნაპოლეონის ჯაშუშურმა ქსელმა დაფარა მთელი ევროპა. იმ დრომდე, სანამ საფრანგეთის დაზვერვა ემსახურებოდა გეგმებს, რომელთა შესრულება ისტო-რიულად შესაძლებელი იყო, საფრანგეთმა დიდ წარმატებებს მიაღ-წია. ნაპოლეონმა ზედიზედ განიცადა მარცხი. მაშინ, როდესაც სცადა გამოეყენებინა თავისი დაზვერვა მთელ მსოფლიოზე გაბატონების ქიმერული გეგმის განსახორციელებლად. მარცხს მარცხი მოსდევდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც დიდი არმია რუსეთის ველებ-ზე განადგურდა და რუსეთის ჯარმა თავისი განმათავისუფლებელი ლაშქრობა დაიწყო ევროპაში, რამაც ნაპოლეონის იმპერია საბოლოო განადგურებამდე მიიყვანა.

1814 წლის მარტში მოკავშირეთა ჯარები პარიზში შეიდნენ. ნაპოლეონმა უარი თქვა ტახტზე. იგი გააძევეს ხმელთაშუა ზღვის კუნძულ ელბაზე. საფრანგეთში ბურბონების მონარქია აღადგინეს. მზვერავთა მთელი ჯგუფები ცდილობდნენ გაეგოთ დიპლომატების საიდუმლოებანი, რომლებიც 1814 წელს შეიკრიბნენ ვენის კონგრეს-ზე, სადაც შეუდგნენ ევროპის ომისშემდგომი მოწყობის საკითხის განხილვას. ინგლისმა და ავსტრიამ კავშირი დადეს ლუი XVIII მთავრობასთან რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ელბაზე მყოფი ნაპო-ლეონი კარგს არაფერს უქადდა ბურბონებს და ავსტრიისა და ინგ-ლისის იმ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ რუსეთის წინააღ-მდეგ ბრძოლაში ლუი XVIII დახმარებას.

1815 წლის 25 თებერვალს ნაპოლეონმა დატოვა ელბა, პატარა რაზმით გადმოვიდა სამხრეთ საფრანგეთში და თოფის გაუსროლად პარიზამდე მოვიდა. ლუი XVIII გაიქცა. დაიწყო ნაპოლეონის ახა-ლი მმართველობის ცნობილი 100 დღე. ეს 100 დღე დამთავრდა ვა-ტერლოოსთან დამარცხებით და იმპერატორის გადასახლებით წმინდა ელენეს შორეულ კუნძულზე (სხვათა შორის, ვატერლოოს-თან გამარჯვებულ ჰერცოგ ველინგტონს ჰყავდა ეფექტურად მოქმე-დი დაზვერვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰენრი გარდინგი, ინ-დოეთის მომავალი მეფისნაცვალი, აგრეთვე პოლკოვნიკი კ. გრანტი).

უკანასკნელ წლებში ინგლისელმა ისტორიკოსმა ჰ. ბარტელმა წამოაყენა ჰიპოთეზა, თითქოს „არწივის აფრენა“ — ასე უწოდებდნენ ნაპოლეონის გადმოსვლას საფრანგეთში, — და 100 დღე იყო პროვოკაციის შედეგი, რომელიც ბრიტანეთისა და ავსტრიის დაზვერვამ მოაწყო. ეს აზრი არ იყო უცხო ბევრი საკმაოდ ინფორმირებული თანამედროვისათვისაც[1], რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კესლრიმ, ავსტრიის კანცლერმა მეტერნიხმა და ბურბონების სამსახურში გადასულმა ტალეირანმა, გადაწყვიტეს ნაპოლეონი საფრანგეთში შეეტყუებინათ, რომ იქ ან მოეკლათ, ან შეექმნათ საბაბი მისი გაძევებისათვის. სადმე შორს ევროპის ნაპირებიდან (მანამდე იყო ნაპოლეონის მოკვლის ცდები — თავდასხმის ორგანიზაციისათვის საფრანგეთის დაზვერვამ ელბაზე გაგზავნა ვინმე ბრიული, მაგრამ გეგმა ვერ განხორციელდა, ვინაიდან ყოფილ იმპერატორს საიმედო პირადი დაცვა ჰყავდა).

1815 წლის იანვარში ვენიდან კუნძულ ელბაზე ყოველგვარი ხმაურის გარეშე გაემგზავრა გენერალი კოლერი, ავსტრიის კომისარი. კოლერი ჩავიდა ელბაზე და თითქოს აცნობა ნაპოლეონს, რომ ინგლისი და ავსტრია მზად არიან თანხმობა განაცხადონ ნაპოლეონის ტახტზე დაბრუნებაზე, თუკი ის დააკმაყოფილებს ლონდონისა და ვენის რამდენიმე მოთხოვნას. ამ პროვოკაციაზე ნართაულებს შეიცავს ლივორნოში საფრანგეთის კონსულის მარიოტის ნაწერები. იგი ნაპოლეონის მეთვალყურე ჯაშუშთა ქსელს ხელმძღვანელობდა ელბაზე. რასაკვირველია მარიოტი ისეთი მოწმეა, რომელიც მაინცდამაინც ნდობას არ იმსახურებს, მაგრამ არის სხვა ჩვენებებიც. ვატერლოოს და ბურბონების დაბრუნების შემდეგ საფრანგეთში გაასამართლეს მარშალი ნეი, რომელიც ლუი XVIII გაგზავნა ნაპოლეონის წინააღმდეგ და მის მხარეზე გადავიდა. ნეი ამტკიცებდა, თითქოს ნაპოლეონმა დაარწმუნა ის, რომ მოკავშირე სახელმწიფოები არ არიან ნაპოლეონის ტახტზე დაბრუნების წინააღმდეგი. ნაპოლეონმა დაუმატა, ეს რამდენჯერმე განაცხადა გენერალმა კოლერმაო. 26 თებერვალს ელბიდან გამგზავრების წინ ნაპოლეონმა მიიღო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და შენიშნა, საფრანგეთში ჩემს დაბრუნებას უცხო სახელმწიფოები კმაყოფილებით შეხვდებიანო.

---

1 ვიგების საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი ლორდი გრეი პირდაპირ ბრალად სდებდა ინგლისის მთავრობას თავისი მოვალეობისადმი „მეტწილად დანაშაულებრივ უყურადღებობას“ და მოითხოვდა გამოძიებას.

არსებობს კიდევ არაპირდაპირი მტკიცებანი: ინგლისის, ავსტრიისა და საფრანგეთის პასიურობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ელბაზე მყოფი თავისი აგენტურიდან იღებდნენ უამრავ ცნობას (რომლებიც დაცულია არქივებში), ნაპოლეონის საფრანგეთში გადასვლის მომზადებაზე. მეტერნიხის უახლოესი თანამშრომლის გრაფ ლებცელტერნის ახლახან გამოქვეყნებული მემუარები იტყობინება, რომ ავსტრიის დაზვერვას ხელში ჩაუვარდა ნაპოლეონის მიმოწერა მის ყოფილ მარშალ ნეაპოლის მეფე მიურატთან, წერილები ეჭვს არ ბადებდა, რომ ნაპოლეონს განზრახული ჰქონდა დაეტოვებინა ელბა. მეტერნიხი გაეცნო ამ ცნობებს... და არაფერი იღონა. გრაფი ფერანი, საზღვაო მინისტრი ლუი XVIII მთავრობაში, თავის მემუარებში გვარწმუნებს, თითქოს მას ბრძანება გაეცეს, ტულონიდან ორი-სამი სამხედრო გემი „გაეგზავნათ კუნძულ„ ელბას სამეთვალყურეოდ, ვინაიდან უტყუარი ინფორმაცია მიიღო ნაპოლეონის საფრანგეთში გადმოსვლის განზრახვაზე. მაგრამ ფერანი გადადგა და მისი ბრძანებაც გაუქმდა.

„მარიოტის აგენტებმა წინასწარ აცნობეს ელბაზე მყოფ ინგლისის კომისარს, ნაპოლეონი კუნძულიდან გაქცევას აპირებსო. კემპბელი — გამოცდილი სამხედრო და დიპლომატი იღებს ამ ცნობას და... მთელი 12 დღით (16—28 თებერვლამდე). მიემგზავრება ელბიდან — ჯერ ლივორნოში, შემდეგ კი ფლორენციაში თავის საყვარელთან მართალია, 23 თებერვალს მან გაგზავნა კუნძულზე კორვეტი „პარტრიჯი“. „კორვეტის კაპიტანმა ედიმ ინახულა ნაპოლეონი და ხომალდმა მაშინვე დატოვა კუნძული. იმპერატორს უნდა შექმნოდა რწმენა, რომ კემპბელს იმ დროს არ შეეძლო თვალი ედევნებინა ნაპოლეონის გეგმებისათვის და ხელი შეეშალა მათ განხორციელებაში.

იმიტომ ხომ არ წავიდა კემპბელი, რომ შემდეგ საშუალება ჰქონოდა „გაემართლებინა თავი, „ადგილზე არ ვიყავი ნაპოლეონის ელბიდან გაქცევის დროსო? რასაკვირველია, ინგლისის ოფიციალურ მიმოწერაში არ არის არავითარი მითითება, რომ კემპბელს ლონდონიდან მიეღოს ამგვარი ინსტრუქციები. მაგრამ ასეთ საჩოთირო შემთხვევაში ინგლისის საადმირალო და საგარეო საქმეთა სამინისტრო „ამჯობინებდა „არავითარი კვალი არ დაეტოვებინა.

ეჭვგარეშეა, რომ პ. ბირტელის ჰიპოთეზა ძალიან სუსტადაა დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, ის მაინც ინტერესს იწვევს საფრანგეთში.

კიდევ ერთი ამგვარი ჰიპოთეზა დაკავშირებულია ფრანგ მზვერავ მონტოლონის სახელთან როგორც უკვე „აღნიშნული „იყო, ნაპოლე-

ონის აღსვევების უკანასკნელ წლებში საიმპერატორო დაზვერვის ხარისხი შესამჩნევად დაეცა. დაზვერვის ბევრი ნიჭიერი ორგანიზატორი გადააყენეს პოსტებიდან. ამავე დროს თვით ნაპოლეონიც სულ უფრო ნაკლებად იყო განწყობილი მოესმინა მართალი მოხსენებები, თუკი ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მის გეგმებს. 1812 წელს ნაპოლეონის ერთმა მზვერავმა, მონტოლონმა, ქ. ვიურცბერგში შექმნა სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც ყურადღების ქვეშ უნდა ჰყოლოდა გერმანია დიდი არმიის რუსეთზე ლაშქრობის დროს. მონტოლონი ყოველ კვირას უგზავნიდა პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრს მარეს სულ უფრო შემაშფოთებელ ცნობებს. 19 ოქტომბერს, როდესაც ნაპოლეონმა მოსკოვიდან უკან დახევა იწყო, მარემ აცნობა მონტოლონს, რომ ის იმპერატორს უკვე მთლად შერისხული ჰყავს. ამის მიზეზი იყო მონტოლონის შეუღლება კანცლერ კამბასერესის ძმისწულთან, რომელმაც უკვე მოასწრო სამჯერ დაქორწინება და გაყრა. სამივე ქმარი მას ღალატს სწამებდა. ნაპოლეონი გამოვიდა ზნეობის დამცველად მისთვის ძალზე არასახარბიელო დროს, როდესაც მონტოლონის ცნობები განსაკუთრებით ძვირფასი იყო. უნდა დავძინოთ, რომ მონტოლონი ახლდა იმპერატორს წმინდა ელენეს კუნძულზე, მისი ცოლი კი, ერთგული თავისი რეპუტაციისა, ნაპოლეონის საყვარელი გახდა.

გამოკვლევებით, რომლებიც 1964 წელს ჰარუელის ატომური ცენტრის ლაბორატორიებში ჩაატარეს, ინგლისელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ „წმინდა ელენეს" კუნძულზე დიდი ხნის განმავლობაში ნაპოლეონი დარიშხანის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ეს დასკვნა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც მისი თმის ოთხი ღერი დაბომბეს ნეიტრონებით და ამ თმაში ფიქსირებულ იქნა დარიშხანის ატომის რადიოაქტიური გამოსხივება. მკვლევარებმა ყველაზე უფრო შესაძლებელ ვარაუდად მიიჩნიეს ის, რომ ნაპოლეონი მოწამლა მონტოლონმა, რომელსაც მან ანდერძით დიდი სიმდიდრე დაუტოვა.

იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებმაც ცდები ჩაატარეს ნაპოლეონის თმებზე, ეკუთვნიან, კერძოდ, ჰამილტონ სმიტი — ფიზიკოსი გლაზგოს უნივერსიტეტიდან, აგრეთვე შვედები სვენ ფორსჰვუდი და ანდერს ვასენი. ფორსჰვუდი ემყარებოდა მანამდე ჩატარებულ ექსპერიმენტებს და ჯერ კიდევ სამი წლით ადრე გამოაქვეყნა წიგნი, სადაც ცდილობდა დაემტკიცებინა ნაპოლეონის მოწამვლის ვერსია.

ცნობამ ბრიტანეთისა და შვედი მეცნიერების ცდების შესახებ დიდი ხმაური გამოიწვია საფრანგეთში: ზოგიერთებმა ეჭვიც კი მი-

იტანეს „ინგლისის ინტრიგაზე“ ამ საქმეში, ხაზს უსვამდნენ, რომ მათ სურთ თავიდან მოიხსნან და ფრანგებს გადააბრალონ ნაპოლეონის სიკვდილის გამო პასუხისმგებლობაო, რომ „მტკიცებანი“ მოწამვლის შესახებ მეცნიერულად დამარწმუნებელი არ არის, რომ საეჭვოა ისიც, ნამდვილად ეკუთვნოდა თუ არა ნაპოლეონს გამოკვლევისათვის აღებული თმებიო, დარიშხანი შეიძლებოდა თმებში მოხვედრილიყო პუდრიდან ან როცა ნაპოლეონის გვამი მიწაში იდო.

მაგრამ თვით საფრანგეთში, ნაპოლეონის სიკვდილთან დაკავშირებით სხვა, უფრო ნაკლებ დასაბუთებული ლეგენდა გავრცელდა. არსებობდა თქმულება კუნძულ წმინდა ელენედან ნაპოლეონის გამოქცევაზე. ეს თქმულება ერთ საიდუმლო ბონაპარტისტულ ორგანიზაციას მიაწერდა ყოფილი იმპერატორის პატიმრობიდან გატაცებას და იმას, რომ ნაპოლეონის ნაცვლად კუნძულზე დატოვეს კაპრალი ფრანსუა რობო, რომელიც ძალიან ჰგავდა იმპერატორს. 1821 წლის 5 მაისს რობო გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე, ნაპოლეონმა იტალიამდე მიაღწია და დასახლდა ვერონაში მედუქნე რევარის სახელითო. აქ ის ცხოვრობდა 1823 წლამდე. 1823 წლის სექტემბერში რევარი გაუჩინარდა, ორიოდე კვირის შემდეგ კი, ვენაში შენბრუნის სასახლესთან, სადაც ნაპოლეონის ერთადერთ ვაჟი იწვა, გუშაგმა მიახვრიტა ვიღაც უცნობი, რომელიც ცდილობდა სასახლის ქვის გალავანზე გადმოსვლასო. სასწრაფოდ გამოცხადებულ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებს უარი უთხრეს მოკლულის გვამის მიცემაზე და დაასაფლავეს იმ ადგილის გვერდით, რომელიც ნაპოლეონის ცოლისა და შვილის დასაკრძალავად იყო განკუთვნილიო.

ამ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არაერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული ლიტერატურაში: მისი ანარეკლი იყო „ნაპოლეონის ლეგენდა“. რომლის წინაშეც ვალი მოიხადეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, ჰაინემ. სიტუაციის უჩვეულობა, რომელშიც ამ თქმულებით ხვდებოდა ხალხებისა და ქვეყნების ყოფილი დამპყრობი, პაროდიებსაც ბადებდა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთ ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდა პიესა, მისი შინაარსი „წმინდა ელენეს“ კუნძულიდან ნაპოლეონის გაქცევის ახალ ვარიანტს შეიცავდა. ნაპოლეონი, რომელიც პატარა დუქნის მესაკუთრე ხდება, სულ უფრო მოეშვა, მთლიანად გატაცებულია თავისი წვრილმანი ვაჭრობის უმნიშვნელო ინტერესებით. და როდესაც მისმა მარშლებმა და გენერლებმა იმპერატორს აცნობეს, ყველაფერი მზადაა მის სასარგებლოდ სახელმწიფო გადატრიალებისათვისო, მათ დახვდათ გამოთაყვანებული მეწვრილმანე

ვაჭარი, შეწუხებული მხოლოდ იმით, რომ როგორმე მოგებით მიჰ-ყიდოს თავისი საბაყალო საქონელი ძუნწ და ხელმოჭერილ მეზობ-ლებს.

ნაპოლეონის იმპერიის დანგრევასთან დაკავშირებულია „კომერ-ციული“ დაზვერვის კლასიკური შემთხვევა, ე. ი. ცნობების შეგრო-ვება კომერციული მიზნებისათვის.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვენეციის „სახელმწიფო“ დაზ-ვერვასთან ერთად სხვა სავაჭრო რესპუბლიკებში თავი იჩინა მსხვილი ჩრდილოიტალიური სავაჭრო სახლების კერძო დაზვერვამ. XVI საუკუნეში თავისი დაზვერვა ჰყავდა სამხრეთ გერმანულ ფუ-გერების საბანკირო სახლს, რომელიც ფულს აძლევდა ევროპის ბევრ მონარქს. რომ ზუსტად ცოდნოდა, რამდენად მყარია თავისი მოვა-ლეების მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა. ეს კია, ამ დაზვერ-ვამ ვერ გაითვალისწინა მთავარი მოვალის — ესპანელი ჰაბსბურგე-ბის მთლიანი ფინანსური გაკოტრება. რამაც შეარყია ფუგერების სახლის ძლიერება. XIX საუკუნის დამდეგს თავისი დაზვერვა ჰყავდა ბანკირ როტშილდების სახლს. ის ნაპოლეონის წინააღმდეგ მოქმე-დებდა (თუმცა მანაც არაერთხელ გამოიყენა ამ ფინანსისტების საქ-მიანი მიმოწერა, რომ ვექილებთან და ხარჯებთან ერთად რეგულარუ-ლად მიეღო სადაზვერვო ხასიათის ცნობები ლონდონიდან). ამის წყალობით 1815 წლის ივნისში ლონდონელმა ბანკირმა ნათან როტ-შილდმა მთავრობის შიკრიკის მოსვლამდე მიიღო ლონდონში საფრან-გეთის იმპერატორის ვატერლოოსთან დამარცხების ცნობა. როტ-შილდმა ბირჟაზე ითამაშა ინგლისის სახელმწიფო ობლიგაციების ფასის დაცემაზე. ვინაიდან ყველა მას უთვალთვალებდა, არავის შე-პარვია იოტისოდენი ეჭვიც კი იმაში, რომ ბანკირმა, ალბათ, ცნობა მიიღო ბრიტანეთის ჯარის სასტიკ დამარცხებაზეო. ბირჟის საქმოს-ნებმა საჩქაროდ დაიწყეს თავისი ქაღალდების გასაღება იმის შიშით, რომ მათი ფასი კიდევ უფრო დაეცემოდა. ატყდა პანიკა, ფასი სულ დაბლა იწევდა. ამ დროს როტშილდმა თავისი ხალხის მეშვეობით სულ იაფად შეისყიდა დიდძალი ფასეულობა. მეორე დღეს ყველამ გაიგო ვატერლოოსთან მომხდარი ბრძოლის შედეგი. ქაღალდის კურ-სმა მკვეთრად აიწია და როტშილდმა „ვადამდე“ მიღებული ცნობის საშუალებით უამრავი სიმდიდრე შეიძინა.

ᲐᲛᲐᲝ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ

ფარული ომის ისტორიაში ზოგჯერ მცირე ადგილი როდი უკავია შემთხვევებს... რომლებიც სულაც არ მომხდარა. არ მომხდარა, მაგრამ ვიღაცის გეგმები ან ინტერესები მოითხოვდა იმის მტკიცებას, რომ ეს ეპიზოდები სინამდვილეში ხდებოდა. ჯაშუშობის შეთხზული ბრალდება არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და კიდევ არაერთხელ ვილაპარაკებთ ჩვენს მოთხრობაში. მაგრამ ბევრი იყო საწინააღმდეგო მაგალითიც. დაზვერვას მიაწერდნენ იმას, რაც არასოდეს არ განუხორციელებია, რათა განედიდებინათ არარსებული გმირობისა და მიღწევების მონაწილენი. ამ მოგონილმა ამბებმა სხვადასხვა ფორმა მიიღეს — ლიტერატურული მისტიფიკაციიდან თვითმარქვიების გამოჩენამდე, რომელთა მოთხრობების ირგვლივ ათეული წლების მანძილზე განუწყვეტლივ მწვავედ კამათობდნენ.

... ნაპოლეონის დაცემისა და ბურბონების რესტავრაციის შემდეგ დიდი ხმაური გამოიწვია ცნობილი ფრანგი მწერლის შარლ ნოდიეს მისტიფიკაციამ. მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში: „არმიაში სამხედრო პირთა შეთქმულებებისა და იმ საიდუმლო საზოგადოებათა ისტორია, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბონაპარტის მთავრობის დამხობას“ (პარიზი, 1815 წ.) — მოთხრობილი იყო, თუ რას აკეთებდა ნაპოლეონის ჯარში ფართოდ გაშლილი როიალისტური იატაკქვეშეთი. ამ საიდუმლო ორგანიზაციის წევრ როიალისტ ოფიცრებს მომადლებული ჰქონდათ განსაკუთრებული სათნოება; ისინი ყველანი ვაჟკაცური ხასიათის და იმდროინდელი მოდური რომანტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულნი იყვნენ.

მაგრამ „ფილადელფიელთა“ საიდუმლო კავშირის ისტორიაში ერთი არსებითი ნაკლი იყო: ის სრულიად არ არსებობდა იმ სახით, როგორითაც იყო წარმოდგენილი! სინამდვილეში „ფილადელფიელთა“ კავშირი ახალგაზრდების ძალზე მცირერიცხოვან წრეს წარმოადგენდა, რომელსაც რამდენიმე უკმაყოფილო სამხედრო პირი მიეტმასნა, მაგალითად, გენერალი მოლე. ეს წრე ნაპოლეონისათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. მართალია, მოლემ 1812 წლის 22 ოქტომბერს, ღამით, გაავრცელა ხმები ნაპოლეონის რუსეთში დაღუპვის შესახებ და სცადა გამოეცხადებინა დროებითი მთავრობის შექმნა (მან მოახერხა ერთი-ორი სამხედრო პირის მოტყუება და ზოგიერთი წარჩინებულის დაპატიმრება, მაგრამ მთელი ავანტიურა რამდენიმე საათში ლიკვიდირებულ იქნა), მაგრამ ამას „ფილა-

დელფიელებთან“ უკვე არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ნოდიე ისტორიას ფანტაზიაში ურევდა ხოლმე. როდესაც მწერალი ჰყვებოდა საფრანგეთის რევოლუციაში თავის მონაწილეობაზე, ბევრი მისი მსმენელი, ერთ-ერთის თქმით, „იმდენად დარწმუნებული იყო, რომ მან სიცოცხლე გილიოტინაზე დაამთავრა..., თავის თავს ეკითხებოდა, თუ როგორ მოახერხა ებრძანებინა, თავი ადგილზე მიეწებებინათო“. „ფილადელფიელებზე“ მონაყოლს დაუჯერეს, რადგან რესტავრაციის წლებში საფრანგეთში მნიშვნელოვანი ძალები დაინტერესებული იყვნენ, რომ თვითონ დაეჯერებინათ და, რაც მთავარია, სხვისთვისაც ჩაეგონებინათ თავად-ოფიცერთა „გმირული“ ბრძოლა „კორსიკელი უზურპატორის“ წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, მოქმედება უკუქმედებას იწვევს. იმ ძალებთან ერთად, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, რომ დაეჯერებინათ მათ მიერ მოგონილი ზღაპარი, არსებობდა კიდევ წრეები, რომლებსაც სხვადასხვა მოტივით ის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ყველა ეს მონაპორი სააშკარაოზე გამოეტანათ. შაშინ ფარულ ომზე ნამდვილად შეთხზული ამბების ირგვლივ ფარული ბრძოლაც იმართებოდა და აშკარაც. ზოგჯერ ამ ბრძოლას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, სხვა შემთხვევებში ის მმართველი კლასების შიგნით კერძო ჯგუფური ინტერესების შეტაკებას ასახავს.

ნოდიეს მისტიფიკაციის მაგალითი ცხადჰყოფს, თუ რამდენად მწვავედ განიცდიდა რესტავრაციის ეპოქაში როიალისტი თავადაზნაურობა, რომელმაც ძალაუფლება დაიბრუნა, იმ მტკიცების უსუსურობას, თითქოსდა ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ ჯერ რევოლუციას და მერე ნაპოლეონს. არცთუ ისე სასიამოვნო იყო იმის აღიარება, რომ მხოლოდ უცხოელმა ხიშტებმა დაუბრუნეს ხელისუფლება ემიგრანტებს. ამასთანავე, ტალეირანის ცნობილი გამოთქმით, ხიშტზე შეიძლება დაყრდნობა, მაგრამ დაჯდომა არა.

რევოლუციის იდეური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში როიალისტებმა შექმნეს ლუი XVI და მარია-ანტუანეტას „წამებულთა“ ნამდვილი კულტი. მაგრამ ამავე დროს ისევ წარმოიქმნა ერთი არასასიამოვნო გარემოება: როგორ ავხსნათ, რომ არა მარტო ხალხმა ვერ გამოგლიჯა „ავაზაკებს“, ე. ი. რევოლუციონერებს, „გაღმერთებული მონარქი“, არამედ თავადაზნაურობაც უსუსური აღმოჩნდა გადაერჩინა მეფე და დედოფალი. არაფრით არ აიხსნება „ერთი მუჭა ავაზაკებისადმი“ როიალისტების წინააღმდეგობის ეს უძლურება. ამ საფუძველზე ძალიან ადრე წარმოიშვა ლეგენდა: თუ არ მოხერხდა მეფის გადარჩენა, სამაგიეროდ, როიალისტებმა მოახერხეს საიდუმ-

ლოდ მოეტაცათ და გაეყვანათ საფრანგეთიდან მისი შვილი და მემკვიდრე, რომელიც ემიგრანტთა წრეებში ლუი XVII-ედ იწოდებოდა. მოთხოვნილება მოწოდებას წარმოშობს. როდესაც 1815 წლის შემდეგ მოთხოვნილება გადიდდა, ლუი XVII მალე მოიძებნა. მართალია, ერთბაშად გამოჩნდა რამდენიმე ლუი, მაგრამ ისინი არცთუ ისე დახელოვნებული გაიძვერები აღმოჩნდნენ, დიდი შრომა არ დასჭირვებია მათ გამოაშკარავებას. პრეტენდენტი ოკეანის გაღმაც აღმოჩნდა. ეს გახლდათ ნიუ-იორკის შტატში დაბადებული მეტისი ელიზარ ვილიამსი. რომელმაც მრავალრიცხოვანი მიმდევრები შეიძინა. სხვადასხვა დროს 40-მდე პრეტენდენტი აღმოჩნდა (საბოლოოდ დეგრადირებული „ლუი XVII-ების კომპანიის“ ნაკლებპატივცემული წარმომადგენელი ძალიან კარგად გამოსახა მარკ ტვენმა, ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს რომ გადმოგვცემს). უნდა გავიმეოროთ, რომ ყველა ეს ლუი მალე გამოააშკარავეს. გარდა ერთისა, რომლის საქმე არც ისე ნათელი იყო.

ლუი XVI და მარია-ანტუანეტას შვილი შარლ-ლუი, დოფინი (მემკვიდრე პრინცი), ნორმანდიის ჰერცოგი, რევოლუციის დროს გაძიძავებული იყო მეწაღე სიმონის ოჯახში. ეს იმით კი არ იყო ნაკარნახევი, რომ „დაესაჯათ“ 7—8 წლის ბავშვი, არამედ, პირიქით, აღზრდის ყოვლისშემძლეობის იმ რწმენით, რომ პატიოსანი მშრომელის ოჯახში „ტირანის შვილი“ აღიზრდება საზოგადოების სასარგებლო წევრად. როიალისტთა წრეებში გავრცელებული ხმები, რომ ცოლ-ქმარი სიმონები სასტიკად ეპყრობოდნენ ბავშვს, რომლის მზრუნველობა ჰქონდათ დავალებული, უსაფუძვლო იყო. ჭეშმარიტი იაკობინელი სიმონი ცდილობდა აღეზარდა იგი რევოლუციის ერთგულ მომხრედ, ხოლო მისმა ცოლმა ნამდვილად შეიყვარა აღსაზრდელად მისთვის მინდობილი ბავშვი. იაკობინელთა დიქტატურის დაცემის შემდეგ, 9 ტერმიდორის კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად, სიმონი ეშაფოტზე დაიღუპა ჩამოგდებული რობესპიერის სხვა მომხრეებთან ერთად. ახალმა ტერმიდორულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბავშვი, რომელიც საზღვარგარეთ გამოცხადებული იყო „მეფე ლუი XVII-ედ, ტემპლის ციხეში გამოემწყვდია. ძალიან დიდი იყო შიში, რომ მას გაიტაცებდნენ როიალისტები და ემიგრანტ თავადაზნაურთა ძალების თავმოყრის ცენტრად აქცევდნენ. 1795 წლის 8 ივნისს 10 წლის „ლუი XVII“ გარდაიცვალა ციხე ტემპლში. არის საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მის სიკვდილსა და დამარხვას საერთო სასაფლაოზე. ბურბონების რესტავრაციის შემდეგ დოფინის ნეშტის ნახვის ცდები უშედეგო აღმოჩნდა.

ლეგენდა დოფინის გატაცებისა და იმის შესახებ, თითქოს ტემპლში დაასაფლავეს სხვა ბავშვი, დაიბადა იმ კანონების შესაბამისად, რომლითაც ყოველთვის იქმნება ასეთი ამბები. ინგლისში XV საუკუნის მიწურულს წარმოიშვა ლეგენდა იმაზე, რომ თავისი ბიძის რიჩარდ გლოსტერის ბრძანებით მოკლული მცირეწლოვანი მეფე ედუარდ V რაღაც სასწაულით გადარჩა და გავიდა საზღვარგარეთ, მის მაგიერად დაიღუპა ვიღაც სხვა. გავიდა ჰერცოგ გლოსტერის ხანმოკლე მეფობა. იგი მეფობდა რიჩარდ III სახელით. ბოსვორტის ბრძოლაში მისი დაღუპვის შემდეგ, რითაც დამთავრდა წითელი და თეთრი ვარდების სისხლიანი ომი, ტახტზე ავიდა ჰენრი VII ტიუდორი. დიდი ხნის მანძილზე მას ტახტს ეცილებოდნენ თვითმარქვიები, რომლებიც ედუარდ V სახელს ირქმევდნენ.

რუსეთში ივანე მრისხანის უმცროსი ვაჟის მეფისწულ დიმიტრის მოკვლის (თუ უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპვის) შემდეგ, პოლონელებისა და შვედების ინტერვენციის დროს, XVII საუკუნის დამდეგს ასევე გამოჩნდნენ თვითმარქვია დიმიტრები: ერთმა მათგანმა ინტერვენტების დახმარებით მცირე ხნით კიდეც დაიკავა რუსეთის ტახტი.

დოფინის გადარჩენის ლეგენდა სულ მალე წარმოიშვა მისი სიკვდილის შემდეგ და ის მრავალმა როიალისტმა დაიჯერა (რადგან უნდოდა დაეჯერებინა). მაგრამ როიალისტების ბანაკში იყო წრეები, რომლებსაც აშკარად არ აინტერესებდათ ამ ლეგენდის გავრცელება. ეს იყო ლუი XVI ძმა, პროვანსის გრაფი. როგორც კი მიიღო ცნობა დოფინის სიკვდილის შესახებ, მან საჩქაროდ გამოაცხადა თავი მეფე ლუი XVIII. ხმები დოფინის გაქცევის შესახებ მხოლოდ ავნებდნენ ლუი XVIII პრესტიჟს, რომელსაც უამისოდაც ანგარიშს არ უწევდნენ უცხო სახელმწიფოები. როდესაც ნაპოლეონის დაცემის შემდეგ მოკავშირეთა ჯარების ფორნებზე მჯდომი ლუი XVIII წინაპართა ტახტზე დაბრუნდა, მას არ სურდა გაეგონა თავისი ძმისწულის „გადარჩენის“ ამბავი, რომელიც ზიანს აყენებდა მისი ტახტზე ასვლის უფლებას. მაგრამ თვით ლეგენდისათვის ლუი XVIII მტრობა სასარგებლოც კი აღმოჩნდა: მან საშუალება მოგვცა აგვეხსნა სხვა მხრივ აუხსნელი ის მდგომარეობა, რომ 1795 წელს „გადარჩენილ“ დოფინზე, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოხვდა, არაფერი ისმოდა, რომ ის ისევ გამოჩნდა პარიზის ტემპლიდან მისი გაქცევიდან მხოლოდ ათეული წლების შემდეგ.

ასე შეიკრა კვანძი, რომლის გახსნასაც ათეული წლების მანძილზე

ცდილობდნენ საგაზეთო პოლემიკით და სასამართლო პროცესებით, პარლამენტში შეტანილი შეკითხვებით, ოფიციალური სახელმწიფო განცხადებებით, ასობით გამოკვლევებით, ისტორიული საზოგადოების და ჟურნალის საგანგებო შრომებით, რომლებიც მთლიანად ეძღვნებოდა ამ საკითხის შესწავლას.

ასეთი შეუნელებელი ყურადღების პირობებში თავისი როლი შეასრულა გავლენიანი წრეების პირადმა და პოლიტიკურმა ინტერესებმა. რესტავრაციის ეპოქაში და ივლისის მონარქიის დროს თითქოსდა „გადარჩენილი" დოფინის მემკვიდრეობის უფლების მოთხოვნა მონარქიის მომხრეთა წრეებში იწვევდა უხერხულობას, ხოლო რესპუბლიკელთა შორის დაუფარავ ირონიას. რესპუბლიკელები აღნიშნავდნენ, რომ გამოჩნდა „ნამდვილი კანონიერი", ყველაზე „ლეგიტიმური" პრეტენდენტი საფრანგეთის ტახტისა. უფრო გვიან, XIX საუკუნის მიწურულს, დოფინის საკითხი გახდა ერთ-ერთი ჩვეული ხერხი ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესის გასაღვიძებლად მონარქისტული პროპაგანდისათვის. აქ გადაეხლართა XIX საუკუნის მიწურულის საფრანგეთში მონარქისტების რესტავრაციის გეგმები და სენსაციის მოყვარული ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის ზნეჩვეულება. გამოკვლევები, რომლებიც ეხება „ლუი XVII" საკითხებს, შეიძლება მოვიყვანოთ იმის საფუძვლიან მაგალითად, თუ როგორ მისდევენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები უმნიშვნელო სიუჟეტებს და გვერდს უვლიან ნამდვილად მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემებს. ყველაფერი ეს უთუოდ ასეა. მაგრამ მაინც ეს ისეთი საკითხია, რომლის გვერდის ახვევა არ შეიძლება, როდესაც ფარულ ომს ვეხებით.

მნიშვნელოვანია, რასაკვირველია, არა საკითხი, იყო თუ არა „კანონიერი" (ბურბონების მონარქიის „კანონიერი" მომხრეების — ლეგიტიმისტების თვალსაზრისით) პრეტენდენტის მაძიებლობა ლუი XVII როლზე, უფრო საინტერესოა დავადგინოთ, ჰქონდა თუ არა ადგილი დაზვერვათა იმ დაძაბულ ბრძოლას, რომელიც უნდა ყოფილიყო, თუკი შარლ-ლუი ნამდვილად გაიყვანეს საფრანგეთიდან და ამასთანავე უზრუნველყვეს მისი მთლიანი „ჩამოცილება" პოლიტიკური ცხოვრებიდან. თუ „ლუი XVII" გაქცევის ისტორია სინამდვილეა, მაშინ ჩვენს წინ არის ფარული ომის ერთი ყველაზე დახლართული და არცთუ ისე უმნიშვნელო ეპიზოდი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა ნაპოლეონის იმპერიის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა ბურბონების მონარქიის რესტავრაცია შესაძლებელი იყო დარჩენილიყო პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში, რომელიც შემდეგ სინამ-

დვილად გადაიქცა (1814—1830 წწ.). შემდგომში ბურბონების ახალი რესტავრაციის შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული, თანაც ბევრ თანამედროვეს მიაჩნდა იგი უფრო რეალურად, ვიდრე სინამდვილეში იყო. ამ პირობებში საკითხი პრეტენდენტისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ის არის ლუი XVII, არ შეიძლება ყოფილიყო ფუჭი საკითხი, ხოლო იმ მთავრობას, რომელსაც ექნებოდა „პრეტენდენტის“ უფლების დამადასტურებელი ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი, შეეძლო ძვირად გაეყიდა თავისი დუმილი ან კიდევ რაიმე სხვა საშუალებით მიეღო მოგება ასეთი საიდუმლოების დაცვისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეტენდენტები საკმაოდ იყვნენ. ისინი ჯერ კიდევ ნაპოლეონის მართვის წლებში გამოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანი ავანტიურისტი ჟან მარი ერვაგო, როგორც ეტყობა, 1802 წელს კიდეც სარგებლობდა ნაპოლეონის პოლიციის მინისტრის ფარული მფარველობით. გაუგებარი რჩება, რა ჰქონდა. მხედველობაში დიდად გამოცდილ მოღალატე ფუშეს — გამოეცხადებინა ცრუ დოფინის სახელით უარი მის უფლებებზე პირველი კონსულის სასარგებლოდ, თუ პირიქით, ხელთ ჰყოლოდა ადამიანი, რომელსაც ხელსაყრელ პირობებში დაუპირისპირებდა ნაპოლეონს? ფუშეს ხასიათს ვინც იცნობს, თამამად შეუძლია ივარაუდოს, რომ ის ითვალისწინებდა ორივე შესაძლებლობას.

ერვაგოს სიკვდილის შემდეგ, 1812 წელს ახალი „დოფინები“ კიდევ უფრო აშკარა გაიძვერები აღმოჩნდნენ. ამასთან ძალიან სწრაფად და ადვილად ახერხებდნენ მათი ნამდვილი გვარებისა და დაბადების ადგილის გამორკვევას. ყველაზე საინტერესოა ის, რომ მათ მიმართ რესტავრაციის პერიოდში და 1830 წლის შემდეგ, ივლისის მონარქიის დროს, პოლიცია არავითარ ზომებს არ ღებულობდა, ხელს არ უშლიდა გამოეცათ წიგნი, რომელსაც ისინი „ლუი XVII“ სახელით უშვებდნენ. ერთ პრეტენდენტს, რიშმონს, 1834 წ. სხვადასხვა „მხატვრულობისათვის“ 12 წლის კატორღა მიუსაჯეს...და მალე გაანთავისუფლეს. უკვე მაშინვე იბადებოდა კითხვა, ხომ არ იყვნენ ყველა ესენი (ან უმრავლესობა) აშკარად ცრუ „ლუიები“, პოლიციის ფასიანი აგენტები, რომელთა გამოჩენის ერთადერთი აზრი იყო საზოგადოების თვალში გაემასხარავებინათ „ნამდვილი“ პრეტენდენტი.

ასეთი პრეტენდენტი იყო გაურკვეველი წარმოშობის პირი, რომელსაც პრუსიაში კარლ ვილჰელმ ნაუნდორფი უწოდეს. ის 1810 წელს გამოჩნდა ბერლინში და ამ დროიდან მის ცხოვრებაზე ადვი-

ლად შეიძლება დაკვირვება შემონახული ოფიციალური საბუთების საშუალებით. საფრანგეთის ხელისუფალთა დამოკიდებულება მის მიმართ განსხვავებული იყო სხვა პრეტენდენტებისადმი დამოკიდებულებისაგან. ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის თავს არიდებდა მისი უფლების გადასინჯვას; მის მიერ ლონდონში გამოშვებული ავტობიოგრაფია საფრანგეთში აკრძალული იყო. აკრძალულ წიგნებთან ერთად მასაც კონფისკაციას უკეთებდნენ საფრანგეთის საზღვრებზე. საფრანგეთის მთავრობის მიერ მის შესახებ გაკეთებული განცხადება, როგორც დადგენილია დოკუმენტურად, შეიცავდა აშკარად გამოგონილ ცნობებს.

თავის ბიოგრაფიაში, რომელიც გამოცემული იყო 1834 წელს, ნაუნდორფი გვარწმუნებს, რომ ის დოფინია და ციხიდან გაიტაცეს 1795 წელს. თავდაპირველად მას ტემპლის სხვენზე მალავდნენ, საკანში კი დადებული იყო დიდი თოჯინა. ამავე დროს ვიღაც ბავშვი გაგზავნეს სტრასბურგში, რომ ხელისუფლება მცდარ კვალზე დაეყენებინათ. უფრო მოგვიანებით თოჯინა შეცვალეს მუნჯი ბავშვით, რომელიც დოფინად გამოაცხადეს. ბავშვი მალე გარდაიცვალა, ის ჩუმად დამარხეს, კუბოში კი ჩააწვინეს დოფინი, ოპიუმით დაძინებული. გზაზე ის დამალეს ფორანში, რომლითაც ნეშტი მიჰქონდათ სასაფლაოზე, ცარიელ კუბოში კი ჩაყარეს მიწა. დოფინის გატაცებაში თითქოს მონაწილეობდა ჟოზეფინა ბოგარნე, იმ დროს დირექტორიის გავლენიანი წევრის ბარასის მეგობარი, შემდგომში ნაპოლეონის მეუღლე. ნაუნდორფი ამტკიცებდა, რომ მას შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს გატაცების ისტორიის მნიშვნელოვანი წვრილმანები, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ თავი აარიდა პრეტენდენტისათვის ამ საშუალების მიცემას.

შემდეგ ნაუნდორფი განაგრძობს, რომ ის ვიღაც ქალის თანხლებით, რომელიც მას თავის შვილად ასაღებდა, შვეიცარიიდან ვანდეაში გაიქცა. გზაში ისინი დააპატიმრეს, შემდეგ კი ჟოზეფინა ბოგარნეს ჩარევის გამო გაათავისუფლეს. გაქცეულები იტალიაში გაემგზავრნენ, იყვნენ ვენეციაში, ტრიესტში და რომში. მაგრამ იტალია მალე საფრანგეთის რესპუბლიკის ჯარებმა დაიკავეს და დოფინი გაიქცა ჯერ ინგლისში, შემდეგ გერმანიაში და საფრანგეთში. მას ხშირად აპატიმრებდნენ. თავისი ყმაწვილობის დიდი ნაწილი საკანში გაატარა. 1809 წელს ის იბრძოდა ნაპოლეონის ჯარის წინააღმდეგ მაიორ შილეს პარტიზანულ რაზმში და დაჭრილი ტყვედ ჩაუვარდა ფრანგებს. საფრანგეთში ის ციებით მძიმედ დაავადებული დატოვეს რომელიღაც სოფელში, საიდანაც გერმანიაში მოახერხა გაქცევა. მან და-

კარგა ძველი ნაცნობები და ბერლინში ჩამოსვლის შემდეგ, როგორმე რომ ეარსება, მესაათე გახდა. ვინაიდან მას მალე მოსთხოვეს პასპორტი და სხვა საბუთები, ის წავიდა პრუსიის დედაქალაქის პოლიციის პრეზიდენტ ლეკოკთან. ნაუნდორფმა ლეკოკს გადასცა საბუთები, რომლებიც მის ნამდვილ გვარს და წარმოშობას ადასტურებდნენ. ლეკოკმა ეს საბუთები წაუღო პრუსიის მეფეს და განუცხადა, რომ ნაუნდორფისათვის საშიში იქნებოდა ბერლინში დარჩენა. მას მისცეს პასპორტი როგორც კარლ ვილჰელმ ნაუნდორფს, დაბადებულს ვაიმარში, პროფესიით მესაათეს. ამ სახელით ის 1812 წელს შპანდაუში დასახლდა.

ბურბონების რესტავრაციის შემდეგ 1816 წელს მან წერილი გაუგზავნა „თავის" დას, ანგულემის ჰერცოგის მეუღლეს, რომელიც რევოლუციის წლებში მასთან ერთად იმყოფებოდა ტემპლში, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ასევე უპასუხოდ დარჩა ბურბონების დინასტიის სხვა წარმომადგენლებისადმი მიწერილი წერილები.

ნაუნდორფი კი განაგრძობდა შპანდაუში პრუსიელი ობივატელის ცხოვრებას, ცოლად შეირთო ერთი ფაბრიკანტის ქალიშვილი და გახდა მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა. 1821 წელს, სახლის ყიდვის დროს, ის დაუკავშირდა საეჭვო პირებს, რომლებიც ყალბი ფულის მჭრელები აღმოჩნდნენ და მოხვდა საბრალდებო სკამზე. სასამართლოზე ის იძულებული იყო დაესახელებინა თავისი ნამდვილი გვარი, ვინაიდან საქმის წარმოების დროს გამოირკვა, რომ ვაიმარში არასოდეს არ უცხოვრია არავითარ კარლ ვილჰელმ ნაუნდორფს. ბუნებრივია, მისმა მონაყოლმა მოსამართლეები ვერ დაარწმუნა და მას პატიმრობა მიუსაჯეს. ყველაფერი შეხედულებაზეა დამოკიდებული: ნაუნდორფის მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ მისი პროცესი გამოეყენებინათ იმის დასამტკიცებლად, რომ პრეტენდენტი თაღლითი იყო, მომხრეები კი მზად იყვნენ აქაც დაენახათ გადარჩენილი დოფინის მტრების ხრიკები.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ (1825—1828 წწ.) ნაუნდორფი კროსენში გადავიდა. მას ძალიან უშლიდა ხელს ის, რომ არ შეეძლო დაემტკიცებინა თავისი ნამდვილი წარმოშობა, რომ ცხოვრობდა აშკარად არასწორი საბუთებით. ნაუნდორფმა შეიტყო, პრუსიის მეფეს ბრძანება გაეცა მისი კვლავ დაპატიმრების შესახებ და გაიქცა პრუსიიდან. გერმანიის სხვა სახელმწიფოებში ერთ ხანს ხეტიალის შემდეგ 1833 წელს საფრანგეთში ჩამოვიდა.

ასეთია ნაუნდორფის ნაამბობი. რამდენად შეიძლება დაეჯეროთ მას? ნაუნდორფის გადმოცემული ბევრი ცნობა შეიძლება შემოწმე-

ბულ იქნეს და მთლიანად ან ნაწილობრივ დამტკიცდეს არქივის საბუთებით (მაგ., პირობები, დაკავშირებული პრუსიაში ნატურალიზაციასთან), მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ნამდვილია ავტობიოგრაფიის სხვა ნაწილი და უპირველესად ის, რომ ნაუნდორფი ტემპლიდან გამოქცეული დოფინია. ბევრი რამ მის გაქცევაში და განსაკუთრებით ხეტიალში ჰგავს საშინელებათა „გოთურ“ რომანს. მაგრამ, იმ ბობრქარ ეპოქაში ისეთი ამბები ხდებოდა, რომ დაუოკებელ ფანტაზიასაც კი გაუჭირდებოდა მსგავსის მოგონება. ფაქტად რჩება, რომ არ მოხერხდა ნაუნდორფის წარმოშობის რაიმე კვალის მოძებნა და რომ პრუსიის ხელისუფლებამ რაღაც მიზეზით მისცა მას აშკარად ყალბი პასპორტი.

ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ დოფინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ანგარიშში არის საკმაო წინააღმდეგობანი, გაუგებარი ან თითქოს ორაზროვანი ადგილებიც კი. მაგალითად, სამედიცინო დასკვნის ოთხი ხელმომწერი ექიმიდან, ყველა ცნობით, ორ ექიმს ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჰქონდა მკვდარი ბავშვის ნახვის საშუალება. თავის დასკვნაში ისინი რატომღაც დიდი სიფრთხილით გამოთქვამენ აზრს, რომ მათ აჩვენეს გვამი და უთხრეს ეს არის „კაპეტის (ე. ი. ლუი XVI) შვილი“. ეს შეიძლება მივიღოთ უბრალო ფაქტის კონსტატაციად და დამატებით შენიშვნად, რომ ექიმები არ ეხებიან საკითხს, თუ ვის გვამს ათვალიერებდნენ, რომ მათ მიერ ფიქსირებულია მხოლოდ ათი წლის ბავშვის გვამის გაკვეთის შედეგები.

სიკვდილამდე შარლი ტემპლში ინახულეს ტერმიდორული კონვენტის წარმომადგენლებმა. შემდგომში ერთ-ერთი მათგანი, არმანდი, მოგვითხრობდა, რომ ბავშვი მორჩილად ასრულებდა ყველა ბრძანებას, რომელსაც მას აძლევდნენ, მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, მას ერთი სიტყვაც კი ვერ დააცდენინეს, იქმნებოდა აზრი, რომ ბავშვი მუნჯია. თავისი მოგონებები არმანდმა გამოაქვეყნა 1814 წელს, როცა საფრანგეთში დაბრუნებულმა ლუი XVIII-ემ ზემო ალპების დეპარტამენტის პრეფექტად დანიშნა. ამ მოგონებების გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც აშკარად არ მოეწონა მეფეს, არმანდი გადააყენეს თავისი მაღალი ადმინისტრაციული პოსტიდან, რის გამოც სიღატაკეში ამოხდა სული.

თუ დავუჯერებთ არმანდს და ამასთანავე უკუვაგდებთ ნაკლებად დასაჯერებელ ჰიპოთეზას, თითქოს ბავშვი თვეობით დუმდა, რადგან „არ სურდა საქმე ჰქონოდა“ რესპუბლიკელების ხელისუფლებასთან, მაშინ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დოფინი ნამდვილად შეცვალეს სხვა ბავშვით. აღსანიშნავია, რომ იმავე 1814 წელს ვინმე ეკარდ-

მა გამოაქვეყნა პირველი წიგნი დოფინზე და დამალა საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის კომიტეტის აგენტის, სენარის შენიშვნა, რომელიც მას ხელთ ჰქონდა. ამ შენიშვნაში, რომელიც შედგენილი იყო მალე სხეულის სამედიცინო გაკვეთის შემდეგ, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მკვდარი არ არის დოფინი. რამდენიმე თვის შემდეგ, 1796 წლის მარტში, სენარი გარდაიცვალა (საბუთი, რომელზედაც ლაპარაკია, შემდგომში ხელთ ჩაუვარდა ერთ ფრანგ ისტორიკოსს).

საინტერესოა, რომ 1795 წლის 1 ივნისს, ე. ი. დოფინის სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე უეცრად გარდაიცვალა მისი მეთვალყურე ექიმი, ცნობილი ქირურგი დესო. ის კარგად იცნობდა თავის პაციენტს და ცოცხალი რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, არ შეეძლო სამედიცინო დასკვნაში დაეწერა, რომ მას და მის კოლეგებს აჩვენეს მკვდარი და აუხსნეს, რომ ეს გვამი არის „კაპეტის შვილი". დესოს დისწულმა ქალბატონმა ტუვენენმა 1845 წელს ფიცით აჩვენა, რომ მისმა ბიცოლამ, ქირურგის ქვრივმა, აცნობა მას თავისი მეუღლის სიკვდილის შემდგომი ვითარება; დესო ეწვია ტემპლს და დარწმუნდა, რომ დოფინი, რომელსაც ის მკურნალობდა, შეცვლილია სხვა ბავშვით. როდესაც მან ამის შესახებ აცნობა, კონვენტის რამდენიმე დეპუტატმა წვეულებაზე დაპატიჟა ის. სახლში დაბრუნების შემდეგ დესომ თავი ცუდად იგრძნო. დაეწყო მწვავე სპაზმები და ჩქარა გარდაიცვალა. ეს ამბავი დაადასტურა ლონდონში დესოს მოწაფემ ექიმმა აბეიმ, რომელსაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრთხე ელოდა და ამიტომ საფრანგეთიდან გაიქცა.

თუ ვივარაუდებთ, რომ დოფინი ნამდვილად წაყვანილი და შეცვლილი იყო სხვა ბავშვით, მაშინ ბევრ ვინმეს აღეძვრებოდა სურვილი თავიდან მოეშორებინა არასასურველი მოწმეები. უპირველეს ყოვლისა იმათ, ვინც გაქცევა მოაწყო და შიში ჰქონდათ, რომ რესპუბლიკის მთავრობა დასჯიდა მათ. ასეთი შიში ჰქონდათ იმათაც, ვინც ხელს უშლიდა გაქცეულის დაპატიმრებას, თუკი ის ჯერ კიდევ იმყოფებოდა საფრანგეთის ტერიტორიაზე. მეორე, აგენტებს პროვანსის გრაფისა, რომელმაც იჩქარა და თავი ლუი XVIII გამოაცხადა, მესამე — თვით ოფიციალურ ხელისუფლებასაც, რომელიც დოფინის გაქცევაში დარწმუნდა და უკეთესად მიიჩნია ის მკვდრად გამოეცხადებინა და სახელი გაეტეხა მისთვის, როგორც თვითმარქვიასათვის, თუკი ის საზღვარგარეთ გამოჩნდებოდა და როიალისტების მიზიდულობის ცენტრი გახდებოდა. ხელისუფალთა ნამოქმედარში არ ჩანს განსაკუთრებული სურვილი დეტალურად დაეზუსტებინათ, ვინ მოკვდა სინამდვილეში 1795 წლის 8 ივნისს. კანონი მოითხოვდა

გარდაცვლილის ნათესავების დასწრებას გარდაცვალების საბუთების შედგენის დროს. ტემპლში იმყოფებოდა დოფინის უფროსი და, მაგრამ რატომღაც არ ჩათვალეს საჭიროდ მოეყვანათ ის გარდაცვალებულის გამოსაცნობად.

მართალია, არის ჩვენებები, რომლებიც თითქოს გამორიცხავს ეჭვს, რომ 1795 წლის 8 ივნისს გარდაცვლილი ბავშვი იყო შარლ-ლუი. არსებობს ჩვენებანი დოფინისათვის მიყენებული ტემპლის ციხის ორი დარაჯის, გომენისა და ლანისა, რომლებმაც ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწიეს. ამ ჩვენებებში დაწვრილებითაა მოცემული ყველა ვითარება, დაკავშირებული დოფინის ავადმყოფობასა და სიკვდილთან. მაინც საფუძველი გვაქვს დავეჭვდეთ ამ ჩვენებაში, ვინაიდან ის ეკუთვნის რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის პერიოდს. ორივე ყოფილ დარაჯს შეიძლება სერიოზული საფუძველი ჰქონდა სინამდვილის დასაფარავად. გომენი, მაგალითად, უხვ პენსიას იღებდა ლუი XVIII-საგან, ხოლო ანგულემის ჰერცოგის მეუღლემ ის დანიშნა ერთ-ერთი თავისი სასახლის მმართველად. ერთი სიტყვით, გომენს და ლანს ბევრი მიზეზი ჰქონდათ ელაპარაკათ ის, რაც მათ მწყალობლებს სურდათ. მათი ჩვენებებიდან უდავო საბუთებთან შედარების დროს ირკვევა არა მარტო ბევრი უზუსტობა, რომელიც შეიძლებოდა აიხსნას მეხსიერების ღალატით, არამედ შეგნებული ტყუილიც.

ამ ჩვენებების საწინააღმდეგოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1794 — 1795 წლების ციხის მესამე გუშაგის, ლორანის წერილები. ეს წერილები ხელმოუწერელია, მაგრამ შეიძლება მხოლოდ ლორანს ეკუთვნოდეს. ჟან ჟაკ კრისტოფ ლორანი იყო კრეოლი, ჟოზეფინა ბოგარნესავით კუნძულ მარტინიკიდან მოსული. როგორც შემონახული სამსახურებრივი საბუთებიდან ჩანს, გომენი დანიშნული იყო, ლორანის თანაშემწედ 1795 წლის 31 მარტიდან, ლორანის სამსახურიდან წასვლის შემდეგ. თუ დავუჯერებთ გატაცების ვერსიას, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ შარლ-ლუი ტემპლიდან წაიყვანეს ჯერ კიდევ გომენის ციხის ზედამხედველის თანამდებობაზე დანიშვნამდე. ამასვე ამბობენ ლორანის წერილებიც.

პირველი წერილი დათარიღებულია 1794 წლის 7 ნოემბრით. მესამე და უკანასკნელი კი 1795 წლის 3 მარტით. ყველა წერილი გაგზავნილია „გენერლის" სახელზე (როგორც ეტყობა, გენერალ ფროტეს, როიალისტების იატაკქვეშეთის აქტიური მონაწილის სახელზე). ამ წერილებიდან გამომდინარეობს, რომ ლორანი იყო იმ შეთქმულების მონაწილე, რომლის შედეგად დოფინი მუნჯი ბავშვით შეცვა-

ლეს. წერილებში ნათქვამია არმანდის მიერ ცრუ დოფინის ნახვის შესახებაც. პირველი წერილიდან გამომდინარეობს, რომ შეცვლა მოხდა მანამდე, სანამ გომენი და ლანი შეუდგებოდნენ ციხის გეშაგების მოვალეობის შესრულებას. ამ წერილების მიხედვით დოფინს ახალი დაპატიმრება მოელოდა, მაშასადამე, ჯერ კიდევ საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

ლორენის წერილები უეჭველად დაადგენდნენ დოფინის გაქცევის ფაქტს... თვითონ რომ არ იწვევდნენ ეჭვს. ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ წერილების ასლებმა, რომლებიც თითქოს შედგენის დროით ახლოა ნავარაუდევ ორიგინალთან, მაგრამ გამოჩნდა მხოლოდ ათეული წლების შემდეგ. რევოლუციის ისტორიის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ წერილები ძალიან დამაჯერებლად გამოიყურება. მეორე მხრივ, მათში შეიძლება შევნიშნოთ გომენისა და ლანის როგორც მოწმეების აცილების ცოტა წინასწარგანზრახული მისწრაფება, აგრეთვე საბუთებში აღნიშნულია ისეთი ვითარებები, რომლებიც ცნობილი გახდა მხოლოდ მე-19 საუკუნის 20—30-იან წლებში. მაგრამ მაინც, როგორც თვითმხილველს, ლორენს შეეძლო ცოდნოდა ყველა ეს გარემოება და ჩაეთვალა აუცილებლად შეხებოდა მათ ფროტესადმი მიწერილ წერილებში. უფრო მეტიც, ეტყობა, რომ წერილებში ხსენებული ზოგიერთი დეტალი მტკიცდება უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებული საბუთებით. მთლიანად სინამდვილის „მომხრე“ და „მოწინააღმდეგენი“ თითქოსდა ერთმანეთს აწონასწორებენ.

იბადება კითხვა, მართალია თუ არა ჟოზეფინა ბოგარნეს მონაწილეობა ტემპლიდან დოფინის გაყვანაში? პასუხი საკმაოდ უტყუარი იქნება, თუ გავითვალისწინებთ მის იმდროინდელ სიმპათიებს როიალისტებისადმი და იმასაც, რომ მისი საყვარელი ბარასი მოლაპარაკებას აწარმოებდა როიალისტებთან ბურბონების მონარქიის რესტავრაციის შესახებ, რისთვისაც მრავალი მილიონი ფრანკის მიღებას იმედოვნებდა. უპრინციპო პოლიტიკოსს და მექრთამე ბარასს სავსებით შეეძლო ეცადა შეექმნა დოფინის სახით დამატებითი კოზირი. თავის რთულ თამაშში — თუ ეცოდინებოდა, სად იმყოფებოდა შარლ-ლუი, ბარასს შეეძლო რესტავრაციის შემდეგ ხელთ ჰქონოდა მძლავრი იარაღი ლუი XVIII შანტაჟისათვის. შემთხვევით როდი იყო, რომ ცხრა ტერმიდორის გადატრიალების და რობესპიერისა და იაკობინელთა სხვა ლიდერების დასჯის შემდეგ, ბარასმა, როგორც კონვენტის წარმომადგენელმა, იჩქარა დოფინის ნახვა ტემპლში და გამოჰკითხა ბავშვს, ზედამხედველებს რაიმეს ხომ არ უჩივი, როგორ გეპყრობიან ისინიო. ვენეციელი დესპანის ბროლიე-სოლარის ცოლს,

რომელიც რევოლუციამდე მიღებული იყო საფრანგეთის მეფის კარზე, ბევრჯერ ჰყავდა ნანახი დოფინი, მან „იცნო“ ის 1810 წელს, როდესაც შეხვდა „პრეტენდენტს“ ლონდონში. მის მოგონებებში მოთხრობილია, რომ მან დაიფიცა და გააკეთა შემდეგი განცხადება: 1803 წლის ზამთარში ის ბრიუსელში შეხვდა თავის კარგ ნაცნობს ბარასს. ჩამოგდებული დირექტორიის წევრი ბოროტად იხსენიებდა გამარჯვებულ „კორსიკელ არამზადას“ და დასძენდა, რომ ნაპოლეონის პატივმოყვარე გეგმები არ განხორციელდება, ვინაიდან ცოცხალია ლუი XVI შვილიო. ბარასის სიკვდილის შემდეგ, უკვე რესტავრაციის წლებში, მისი ქაღალდები კონფისკებულ იქნა ლუი XVIII ბრძანებით, მაგრამ ამისათვის უდოფინოდაც იყო საკმაოდ ბევრი მიზეზი: დირექტორიის ყოფილმა მონაწილემ ბევრი რამ იცოდა და საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა „ემიგრანტთა მეფესთან“.

თანამედროვეების მოგონებებში (მათ შორის რუსების — თავადის ქალის ვორონცოვას, ალექსანდრე I გენერალ-ადიუტანტის გრაფ ტრუბეცკოსის ქალიშვილის) ვხვდებით ბევრ ნართაულს იმაზე, რომ 1814 წელს ჟოზეფინა ბოგარნემ პარიზში აცნობა მეფეს ტემპლიდან დოფინის გაქცევის საიდუმლოება. ალექსანდრე I იმ დროს დიდი გავლენით სარგებლობდა (რუსეთის ჯარი, რომელმაც დაამარცხა ნაპოლეონი, პარიზში იდგა), და გასაგებია, როგორი მოუსვენრობით უნდა ეგდო ყური ლუი XVIII ამგვარი ხმებისათვის. თუ ვიმსჯელებთ ზოგიერთების მოგონებათა მიხედვით, ეს საიდუმლოება ჟოზეფინამ თითქოსდა გაანდო ზოგიერთ პირს ალექსანდრეს ამალიდან. ამასვე უკავშირებენ ჟოზეფინას მოულოდნელ სიკვდილს, რომელსაც მრავალნი მოწამლულად თვლიდნენ. მისი ქაღალდები დაუყოვნებლივ ხელთ იგდო პოლიციამ. ჰორტენზია ბოგარნე შემდგომში გადმოგვცემდა თავისი დედის მონაყოლს დოფინის ტემპლიდან გატაცების შესახებ.

არის კიდევ სხვა ჩვენებები დოფინის ტემპლიდან გაქცევის ვერსიის სასარგებლოდ. ჯერ ერთი, სიმონის ქვრივისა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ინვალიდების სახლში ცხოვრობდა. იგი მრავალი წლის მანძილზე — ნაპოლეონის იმპერიისა და რესტავრაციის დროსაც — სხვადასხვა პირებთან საუბრისას გამოთქვამდა რწმენას, რომ დოფინი შეცვლილი იყო სხვა ბავშვით. მაგრამ ყოფილი აღმზრდელის განცხადებებში, მიუხედავად იმისა, რომ ის იმოწმებდა იმ პირებთან საუბარს, რომლებმაც კარგად იცოდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო ტემპლში 1795 წელს, არის აშკარად დაუჯერებელი ამბები. 1816 წელს სიმონის ქვრივს ხელი მოჰკიდა ლუი XVIII პოლიციამ, რო-

მელმაც მას მკაცრი სასჯელის მუქარით უბრძანა შეეწყვიტა დოფინის შესახებ ყოველგვარი ლაპარაკი.

მეორე მხრივ ყურადღებას იპყრობს ვინმე ინგლისელი ქალბატონი ატკინსი. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა როიალისტთა ინტრიგებში და პარიზშიც კი მოგზაურობდა საიდუმლოდ. ის რევოლუციამდე იცნობდა მარია-ანტუანეტას და უთუოდ იმყოფებოდა იმ როიალისტთა შორის, რომლებიც ოცნებობდნენ შარ-ლუის ტემპლიდან გატაცებაზე. მის ახლო მეგობართა შორის იყო სწორედ ის გენერალი ფროტე, რომლის სახელზე, როგორც უკვე ვიცით, გაგზავნილი ჰქონდა წერილები ციხის გუშაგს ლორანს.

1795 წლის 2 თებერვალს უილიამ პიტისადმი მიწერილ წერილში, რომელიც ინგლისის პრემიერ-მინისტრის შეკითხვის პასუხადაა გაგზავნილი, ატკინსი წერდა: „ბატონ პიტისათვის ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვაცნობებ, რომ ლუი XVII უკვე ტემპლში აღარ იმყოფება“. წერილი განიხილავდა კიდეც ამ ვითარების შედეგებს საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობისათვის. ჯერ კიდევ 1794 წლის დეკემბრის მიწურულს ქალბატონმა ატკინსმა მიიღო ბარათი ფროტესაგან. ის ფიცულობდა და არწმუნებდა მას, რომ „მეფე“ (ე. ი. ლუი XVII) „გადარჩენილია“ და რომ შემდგომი ცდა ამისათვის ზედმეტია. მაგრამ ატკინსისა და თვით პიტის სახელზე გაგზავნილი ფროტეს ეს და შემდგომი წერილები შედგენილია ორაზროვანი გამოთქმებით და პირდაპირ არ ამბობენ იმას, რომ შარლ-ლუი წაყვანილია ტემპლიდან.

ანალოგიური ხასიათისაა მეორე შეთქმულის, ბარონ ივ კორმიეს წერილებიც. ალბათ, ამაზე იყო დამყარებული ატკინსის რწმენა, რომელიც მან გამოხატა პიტისადმი გაგზავნილ ციტირებულ პასუხში. 1795 წლის 3 ივლისით დათარიღებულ კორმიეს წერილის მიღების შემდეგ ლედი ატკინსი უკვე ფრთხილად წერს, რომ ის დაწერილი იყო დოფინის „ნამდვილ თუ მოგონილ სიკვდილამდე“. ქალბატონ ატკინსის ნათლული გრაფი ლერი 1810 წელს ამტკიცებდა, თითქოს ატკინსმა აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ დოფინი წაყვანილი იყო ტემპლიდან, მაგრამ ხელში ჩაუვარდა მტრებს. არის ცნობები, რომ როიალისტებმა ტემპლიდან გატაცებული ბავშვი მიუყვანეს ატკინსს, მაგრამ ის აღმოჩნდა მუნჯი ბიჭი, რომლითაც შარ-ლუი შეცვალეს.

საჭიროა დავძინოთ, რომ ატკინსი კარგ დამოკიდებულებაში იყო ლუი XVIII; 1797 წელს საგანგებო წერილით ის მადლობას უხდიდა იმ სამსახურისათვის, რომელიც მან მეფის ოჯახს გაუწია. და საფრანგეთის როიალისტური იატაკქვეშეთის მოღვაწეობაში პირადი მონა-

წილეობისათვის. შეიძლება ეს იყო მიზეზი, რომ ატკინსმა უფრო ფრთხილი პოზიცია დაიკავა დოფინის ბედის საკითხში. მაგრამ თვით ქალბატონი ატკინსი ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ გატაცების გეგმა განხორციელდა, და დიდ ინტერესს იჩენდა ყოველი პრეტენდენტის გამოჩენის დროს.

აქამდე ყველაფერი, რაც გაქცევის ვერსიის სასარგებლოდ ვთქვით, ჯერ კიდევ როგორღაც შესაძლებლობის ფარგლებშია. მაგრამ სხვა „მტკიცებანი", რომლებიც მოჰყავდა ნაუნდორფს და განსაკუთრებით მის მომხრეებს, უკვე სრულიად დაუჯერებლად გამოიყურება. ისინი ცდილობენ ტემპლიდან გაქცევის „საიდუმლოების" ცოდნას დაუკავშირონ ნაპოლეონის მიერ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტა და ივლისის რევოლუციის შემდეგ მისი მამის პრინც კონდეს თვითმკვლელობა, რომლის უზარმაზარი ქონება დარჩა ლუი-ფილიპეს შვილს, ომალის ჰერცოგს. პრეტენდენტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ჰერცოგი ბერიელი თანახმა იყო „ეცნო" ნაუნდორფი. და რომ 1820 წელს ხელოსან ლუველის მიერ ჰერცოგის მკვლელობა პოლიციამ მოაწყო. ნაუნდორფი ამტკიცებდა, რომ მიიღო ჰერცოგ ბერიელის წერილი, რომელშიც ეწერა: „ან უზრუნველყოფ თქვენი უფლების წარმატებით აღდგენას, ან დავიღუპებიო". სხვათა შორის, პარიზში პრუსიის ელჩის გრაფ გოლცის პატაკში აღნიშნული იყო, რომ ჰერცოგმა ბერიელმა ლუველის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი. დადიოდა ხმები, ჰერცოგისა და ლუი XVIII ურთიერთობა ძალიან გამწვავდაო. მაგრამ ეს მართალიც რომ ყოფილიყო, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მიზეზი პრეტენდენტის საკითხი იყო. სხვათა შორის ნაუნდორფის დამცველები მიუთითებენ, რომ, ლეგიტიმისტების აზრით, საფრანგეთის კანონიერი მეფის, გრაფ შამბორის საბოლოო უარი 1873 წელს ბურბონების ახალი რესტავრაციის პერსპექტივების წარმოქმნის დროს თითქოს დაკავშირებული იყო მისწრაფებასთან, არ დაერღვიათ პრეტენდენტის მემკვიდრეობის უფლება. სინამდვილეში ეს უარი გამოწვეული იყო იმ სურვილით, რომ არ ეცნოთ საფრანგეთის სამფეროვანი ეროვნული დროშა — მე-18 საუკუნის რევოლუციის მემკვიდრეობა — მთავარი კი, რასაკვირველია, იყო იმის შეგნება, რომ ბურბონების ხელისუფლების აღდგენის ცდას შეიძლება მხოლოდ რევოლუციის ახალი აფეთქება გამოეწვია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ნაუნდორფს. 1834 წელს ის გამოჩნდა პარიზში, და „იცნო" ეოლიმ — იუსტიციის უკანასკნელმა მინისტრმა ლუი XVI დროს და დოფინის აღმზრდელმა ქალბატონმა რამბომ. რო-

გორც ეს მოხუცი ქალბატონი ამტკიცებდა, მან შენიშნა, რომ ნაუნ-დორფს დოფინის ყველა დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდა. მაგრამ დოფინის და — ანგულემის ჰერცოგის ცოლი მარია-ტერეზა განაგრძობდა პრეტენდენტის დემონსტრაციულ იგნორირებას, არ პასუხობდა წერილებზე, რომლებშიც დოფინი შეხვედრას თხოვდა, და არც მისი მომხრეების წერილებზე. შემდგომში ფართოდ გავრცელდა ლეგენდა, თითქოს თვით ანგულემის ჰერცოგი და დოფინის და „შეცვლილი" ყოფილიყოს ვიღაც ქალიშვილით, რომელსაც ბუნებრივია, ეშინოდა ლუი XVII შეხვედრისა. მაგრამ არის კიდევ სულ უბრალო განმარტება. 1795 წელს ტემპლიდან განთავისუფლების შემდეგ მარია-ტერეზა გადაასახლეს ავსტრიაში. მას დაუბრუნეს მშობლების ქონების ნაწილი, რომლის მემკვიდრეც უნდა გამხდარიყო მისი ძმა, თუ ის ცოცხალი იქნებოდა. ეს თავმოთნე, მეტად უცნაური ქალიშვილი, რომელსაც მის სამშობლოში მომხდარი ამბები მხოლოდ შიშსა და ზიზღს ჰგვრიდა, მდიდარი საცოლე გახდა. ის საჩქაროდ მიათხოვეს ანგულემის ჰერცოგს, გრაფ დ'არტუას შვილს (მომავალ მეფე კარლოს X I), რომელიც ბიძისა და მამის სიკვდილის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ რჩებოდა. ამრიგად, დის შანსები, რომ ოდესმე გამხდარიყო საფრანგეთის დედოფალი, დამოკიდებული იყო მისი ძმის სიკვდილზე. მარია-ტერეზას მძიმე, მერყეე ხასიათს იმით ხსნიდნენ, თითქოს დარდობდა, ძმას როგორ დავაკარგვინე ტახტის უფლება; რელიგიურად განწყობილი ქალი თითქოს იმასაც ფიქრობდა, რომ დასჯილია ამისათვის და ამიტომ არის უშვილო. მოგონებებიდან ჩანს, რომ ის თავის რწმუნებულებს უგზავნიდა პრეტენდენტს, მაგრამ ყველას, ვინც ამ პრეტენდენტს „სცნობდა", ეუბნებოდა: გაწაფული მატყუარაა, რომელმაც დოფინის ცხოვრება დაწვრილებით ისტორიული წიგნებიდან შეისწავლაო. ჰერცოგის მეუღლემ უარი თქვა ემსჯელა ბავშვობის იმ მოგონებებზე, რომლებსაც აცნობებდა ნაუნდორფი და რომლებიც, თუ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდნენ, ეკუთვნოდნენ მხოლოდ შარლ-ლუის. მარია-ტერეზა მომდევნო წლებშიც თავს არიდებდა ნაუნდორფთან შეხვედრას და თავს იმით იმართლებდა, რომ არ სურდა ამით ხელი შეეწყო ავანტიურისტის მიზნებისათვის. ერთი, შესაძლოა აპოკრიფული მოწმობით, ანგულემის ჰერცოგის ცოლმა სიკვდილის წინ თითქოს იცნო „პრეტენდენტი".

პარიზში ყოფნის დროს ნაუნდორფს თავს დაესხნენ. საფრანგეთიდან პრეტენდენტის გასახლებისა და ლონდონში გადასვლის შემდეგ ერთხელაც სცადეს მისი მოკვლა: მაგრამ შესაძლოა ეს იყო მხოლოდ თავდასხმის ინსცენირება, რომ ნაუნდორფის მტკიცებისათ-

ვის უფრო დიდი ფასი მიეცათ? 1845 წელს ნაუნდორფი გარდაიცვალა. მისი შვილები (ისინიც, როგორც თვით პრეტენდენტი, გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ბურბონების დინასტიის წარმომადგენლებს) ჰოლანდიაში დამკვიდრდნენ. ნიდერლანდების მეფემ მათ ნება მისცა ეტარებინათ ბურბონთა გვარი. ნაუნდორფის ზოგიერთი მემკვიდრე XX საუკუნის დამდეგს ამაოდ ცდილობდა მიეღო საფრანგეთის მოქალაქეობა. ვერსია, რომ ნაუნდორფი ნამდვილად დოფინი იყო, გადმოცემის სახით არსებობდა ბევრ სამეფო დინასტიაში (კერძოდ, ესპანეთის ბურბონთა შორის), რომლებსაც შესაძლრა ინფორმაციის თავისი საიდუმლო წყაროები ჰქონდათ. დროთა განმავლობაში საკითხმა დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და გადავიდა ამოუხსნელ ისტორიულ გამოცანათა რიცხვში. იყო თუ არა ნაუნდორფი ნამდვილად ტემპლიდან გამოქცეული შარლ-ლუი, იყო თუ არა მატყუარა ან, რაც ყველაზე უფრო შესაძლებელია, მანიაკი, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა თავისი მტკიცებანი, ამ გამოცანის ამოხსნა საშუალებას მოგვცემდა ნათელი მოგვეფინა უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ საინტერესო და დახლართული დეტექტიური ამბისათვის ფარული ომის მატიანის ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ „ლუი XVII-თვის“ დაზვერვათა ბრძოლის საკითხის განსაკუთრებით გულმოდგინე გერმანელი მკვლევარი 1914 წელს ფრანგებმა ამხილეს სრულიად რეალურ ჯაშუშობაში გერმანიის სასარგებლოდ. მას ბრალი დასდეს, რომ თავის სამფლობელოდან, ატლანტიკის ოკეანის კუნძულ ბელ-ილიდან, ნიშანს აძლევდა გერმანიის წყალქვეშა ნავებს. ხოლო შოვინისტმა ფრანგმა მონარქისტებმა გამოაცხადეს, ნაუნდორფის მემკვიდრეები თავისი ინტრიგებით ცდილობენ გზა გაუკაფონ საფრანგეთის ტახტისაკენ... ვილჰელმ II კაიზერის შვილსო. ერთი სიტყვით, შემდეგ დაიწყო უკვე ნამდვილი სისულელე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთი მკვლევარი სერიოზულად ამტკიცებდა, თითქოს ჰიტლერელები ეპირებდნენ საფრანგეთის მმართველად მოღალატე პეტენის ნაცვლად დაესვათ ნაუნდორფის რომელიმე მემკვიდრე. საფრანგეთის ტახტის მეორე „პრეტენდენტის“ — პროვანსის გრაფის (კარლოს X შთამომავალი) მომხრეები ცდილობდნენ, ამ გზით სახელი გაეტეხათ „კონკურენტებისათვის“, მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ მათაც პატრიოტიზმისა და ჰიტლერელ ოკუპანტებთან თანამშრომლობის საკითხში ყველაფერი მთლად წესრიგში არ ჰქონდათ...

ამ საკითხის მიმართ ინტერესი გააღვივა ცნობილმა ისტორიკოსმა

ა. კასტელომ, რომელმაც 1947 წელს გამოსცა წიგნი „ლუი XVII გახსნილი საიდუმლოება“. წიგნში ყურადღებას იპყრობდა ნაუნდორ-ფისა და დოფინის თმების შედარების ამბავი; ეს შედარება სასამართ-ლო-სამედიცინო ექსპერტიზას მოუხდენია (თმები შენახული იყო მის საქმეში). ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ თმები ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს. 50-იანი წლების შუა ხანებში „ტემპლის საიდუმლო-ებაზე“ დაწერილ წიგნთა რაოდენობამ ორას ცალს გადააჭარბა. გა-მოვიდა „საიდუმლოებისადმი“ მიძღვნილი სპეციალური ჟურნალები. 1954 წელს საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლო ინსტანციებმა და-იწყეს ნაუნდორფის მემკვიდრეთა მორიგი შუამდგომლობის გარჩევა. ხელმძღვანელობდნენ რა ნაუნდორფის სიკვდილის მოწმობით, ისინი მოითხოვდნენ დოფინის სიკვდილის აქტის გაუქმებას და მის აღიარე-ბას 1845 წ. გარდაცვალებულად. სასამართლოში მხარეებად გამო-ვიდნენ ცნობილი იურისტები და ისტორიკოსები. სასამართლოს მსვლელობის დროს ნათელი მოეფინა ბევრ საკითხს.

მაგალითად, გამოირკვა, რომ მადრიდთან მოლაპარაკებას შეეძლო წაექეზებინა თერმიდორული მთავრობის ზოგიერთი წევრი, მონაწი-ლეობა მიეღო ბავშვის გატაცებაში ან ხელი შეეწყო ამ საქმეში რო-იალისტებისათვის. ესპანელი ბურბონები ზავის დადების პირობად აყენებდნენ (საფრანგეთისათვის, რომელიც იძულებული იყო ებრძო-ლა მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა კოალიციასთან ძალზე სა-საგებლო ზავის პირობად) დოფინის გაცემას. ამ მოთხოვნაზე აშკა-რად დათანხმება თერმიდორელებს არ შეეძლოთ ისე, რომ თავისი პრესტიჟი არ დაეცათ. მით უფრო სასურველი ხდებოდა მათთვის დოფინის „გაქრობა“.

გამოირკვა აგრეთვე ლუი XVIII გაუგებარი და ხაზგასმული გულ-ცივობა ძმისწულის ხსოვნისადმი. ის იყო მეფის ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელზეც რესტავრაციის მთელი პერიოდის განმავლობაში არ ჩატარებულა მოსახსენებელი რელიგიური წესი.

ნაუნდორფის მტკიცება, რომ მან თავისი ქაღალდები გადასცა პო-ლიციის პრეზიდენტს ლეკოკს, ბევრს მიაჩნდა გამოგონილად და ამას-თანავე არც თუ ისე მოხერხებულ ფანდად. ძნელი წარმოსადგენია, ქაღალდები შერჩენოდა ყველა იმ ურიცხვი თავგადასავლისა და ხი-ფათის შემდეგ, რომლებიც ნაუნდორფს გადახდა მისივე რწმუნებით. მაგრამ ერთმა გერმანელმა არისტოკრატმა ფიცით დაამოწმა, რომ 1920 წელს პრინც ავგუსტ ვილჰელმ პრუსიელმა მაცნობა, გერმანი-ის არქივში ვნახე საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ ნაუნდორფის ნათქვამსო. ასეთია „მომხრეთა“ ახალი არგუმენტები, მაგრამ „საწი-

ნააღმდეგო“ მოსაზრებანი ან გაუგებრობის გამომხატველ კითხვათა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. შეიძლებოდა თუ არა ნაუნდორფს დავიწყებოდა ფრანგული ენა, თუ ის დოფინი იყო და 10 წლამდე მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდა? სხვათა შორის თავის დეკლარაციაში ნაუნდორფმა პირდაპირ განაცხადა, რომ „დაავიწყდა“ მშობლიური ენა. მისი მომხრეები ცდილობენ დაასუსტონ ამ „საწინააღმდეგო“ არგუმენტის ძალა და იმოწმებენ იმას, რომ საფრანგეთში ჩამოსვლის შემდეგ ნაუნდორფმა უკვე იცოდა ფრანგული, ფრანგულად ელაპარაკებოდა იმ პირებს, რომლებმაც ის „იცნეს“.

შეტად სერიოზულ „საწინააღმდეგო“ მოსაზრებად მიაჩნდათ, რომ არ იყო ცნობილი, თუ სახელდობრ ვინ განახორციელა მოტაცება. არც ერთ მის მონაწილეს არასოდეს არ განუცხადებია ამის შესახებ ხმამაღლა, თუმცა ამისათვის ბევრი საბაბი არსებობდა. ვანდეელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ დოფინი ტემპლში გარდაიცვალა. არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძოდა, რამდენადაც ცნობილია, არ ჰქონდა დოფინის დევნის, მისი ციხეში ჩასმის საფუძვლიანი მოტივი, როგორც ამას გადმოგვცემს ნაუნდორფი, რომელიც არსად არ ასახელებს ზუსტ ადგილს და რიცხვს. ხოლო ლუი XVIII ემიგრაციის წლებში საეჭვოა ჰქონოდა საშუალება, რომელიმე სახელმწიფოს დაუხმარებლად განეხორციელებინა ეს დევნა.

ლორანის წერილები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ახლა უკვე ნაყალბევად მიაჩნია ნაუნდორფის ზოგიერთ მომხრესაც. მითუმეტეს, რომ აღმოაჩინეს გენერალ ფროტეს წერილი (რომლის სახელზეც გაგზავნილია ეს ყალბი ჩანაწერები). 1795 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ფროტე, რომელიც უკვე იყო პარიზში და პირველ წყაროებიდან ჰქონდა ცნობები, ატკინსს ატყობინებდა დოფინის სიკვდილს. ხოლო პიტის სახელზე ამ ცნობების მიღებამდე გაგზავნილი ატკინსის წერილები, უთუოდ დაფუძნებული იყო აშკარად ყალბ ინფორმაციებზე. მათ გადასცემდნენ ცალკეული ემიგრანტები, რომ გამოეძალათ ფული მდიდარი ინგლისელი ქალბატონისათვის.

ნაუნდორფის მომხრეები მთელი საუკუნის მანძილზე დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ანგულემის ჰერცოგის მეუღლემ სრული სიმართლე ჩაწერა ანდერძში, რომელიც მისი სურვილის შესაბამისად უნდა გაეხსნათ მისი სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ, ე. ი. 1951 წლის 19 ოქტომბერს. მაგრამ ამ თარიღის გასვლის შემდეგაც ანდერძის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს.

მეცნიერთა შეკითხვებზე ვატიკანის არქივის გამგემ, სადაც, გადმოცემით, ანდერძი ინახებოდა, უპასუხა, რომ არავითარი ამგვარი საბუთი არ არის აღმოჩენილი (ეს ხელს არ უშლის პრეტენდენტის მომხრეების მტკიცებას, რომ მოგვიანებით პაპი იოანე XXIII გაეცნო ნაუნდორფის დოსიეს და ცნო მისი მემკვიდრეობის უფლება). ვენაში გაგზავნილ შეკითხვებზე მიღებულ იქნა ნაკლებ კატეგორიული პასუხი.

თმების ახალმა ექსპერტიზამ (თუ ჩავთვლით კიდეც, რომ ეს ნამდვილად ნაუნდორფისა და დოფინის თმებია) გამოარკვია, რომ ისინი სხვადასხვა პირებს ეკუთვნიან. კასტელომ თავისი წიგნი ხელახლა გამოსცა და ამტკიცებდა, რომ ნაუნდორფი თვითმარქვია... დადგენილ იქნა დამატებითი ფაქტიც. დოფინს აცრილი ჰქონდა ორივე ხელზე, ხოლო ნაუნდორფის გვამზე ასეთი ანაცერი მხოლოდ ერთ ხელზე ნახეს.

ნაუნდორფის მომხრეთა მეტად სერიოზული არგუმენტი ის იყო, რომ ის „იცნო" ხალხმა. რომელიც ხშირად ნახულობდა დოფინს ბავშვობაში. მათ შორის ფრეილინა რამბომაც. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ქალბატონი რამბო არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მეხსიერებით — მან დოფინად იცნო კიდევ ერთი პრეტენდენტი — ცნობილი გაიძვერა რიშმონი.

1830 წლის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის მთავრობას არავითარი მიზეზი არ ჰქონდა უარი ეთქვა ნაუნდორფის მემკვიდრეობის უფლებაზე, თუ ეს უფლება ნამდვილი იქნებოდა. პირიქით, მეფე ლუი-ფილიპისათვის ხელსაყრელი იყო ასეთი „ცნობით" განხეთქილება შეეტანა მისი მტრების, ლეგიტიმისტების ბანაკში, რომლებსაც კანონიერ მეფედ მიაჩნდათ 1830 წლის ივლისის რევოლუციის შედეგად ჩამოგდებული ბურბონების უფროსი თაობის წარმომადგენელი. 1830 წლის შემდეგ ანგულემის ჰერცოგის მეუღლესაც კი არავითარი საფუძველი არ ჰქონდა არ ეცნო ნაუნდორფი, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო მის თვითმარქვიობაში.

გამოირკვა დოფინის სიკვდილთან დაკავშირებული ზოგიერთი გარემოებაც. სიკვდილამდე ის ინახულეს კომუნის მოხელეებმა — გერენმა, დამონმა. ისინი მას ადრე იცნობდნენ და უნდა შეენიშნათ შეცვლა. ორივემ დაადასტურა (ერთმა 1795 წელს, მეორემ 1817 წელს), რომ მათ მიერ ნახული ბავშვი დოფინი იყო.

ეარდაცვალების აქტი, როგორც გეიჩენა მისმა შედარებამ სხვა ანალოგიურ საბუთებთან, შედგენილი იყო იმდროინდელი ფორმა-

ლობის ზუსტი შესაბამისობით. ის უცნაურობანი აქტში, რომლებსაც ყურადღებას აქცევდნენ ნაუნდორფის მომხრეები, უფრო ახლო გაცნობის დროს აღმოჩნდა ამ საბუთში ჩვეულებრივი ფორმულირების განმეორება. რაც შეეხება დესოს სიკვდილს — ის გარდაიცვალა 1795 წლის 20 მაისს და არა 1 ივნისს, როგორც ამას ადრე აბტკიცებდნენ, საეჭვოა, რომ მასში რაიმე იყოს საიდუმლო. ჰოსპიტალში, სადაც ის მუშაობდა, გაჩნდა ეპიდემია, რის გამოც დესოს გარდა მისი ორი კოლეგაც გარდაიცვალა — დიუბიუ და ფერანი, რომლებსაც დოფინი არ უნახავთ. ასე რომ, მოწამვლის დადასტურების არავითარი საბუთი არ არსებობს.

სხვა ბავშვით დოფინის „შეცვლის" ყველა ცნობა წინააღმდეგობებითაა სავსე. მაგალითად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ბავშვი, რომელიც კონვენტის წარმომადგენლებმა ინახულეს, არ პასუხობდა კითხვებზე და თავი ისე ეჭირა, როგორც მუნჯს. ეს ითვლება „შეცვლის" მტკიცებად, მაგრამ ნაუნდორფი იხსენიებს, რომ მან ტემპლში მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და რამდენიმე ხნით დაკარგა მეტყველების უნარი.

არსებობს დოფინის „ორმაგი შეცვლის" ვერსიაც: ჯერ ერთი ბავშვით, შემდეგ მეორეთი და ა. შ. მაგრამ ეს აშკარა მოგონილი ამბავია, თუმცა წიგნთა ნაკადი ამ თემაზე არ წყდება. „გატაცების" ისტორიაში არაერთხელ ეცადნენ გამოეყენებინათ დეტექტიური რომანებიდან ქირით აღებული გამოძიების მეთოდები.

პრეტენდენტის მომხრეების არგუმენტებიდან ერთ-ერთი, რომელიც ჯერ კიდევ ვერაა უარყოფილი — ეს არის ის, რომ არაა ცნობილი ნაუნდორფის დაბადების ადგილი. მაგრამ განა ცოტაა ხალხი, რომლის წარმოშობის გამოკვლევა არ ხერხდება, მეტადრე, თუ ისინი თვითონ უწყობენ ხელს თავისი წარსულის დამალვას? ძიებამ გამოარკვია, რომ ნაუნდორფი დაქორწინების შემდეგაც ერთ ხანს ისე იქცეოდა, როგორც ლუთერანი და არა როგორც კათოლიკე. გერმანიის არქივიდან ამოღებული მთელი რიგი საბუთების შედარების გზით შეიძლება ნაუნდორფის გაიგივება პრუსიის ჯარის ერთ დეზერტირთან. მართალია, საფრანგეთის სასამართლომ უარყო ნაუნდორფის მემკვიდრეების შუამდგომლობა, მისი მომხრეები მაინც არ ფიქრობენ იარაღის დაყრას. აჟიოტაჟი „საიდუმლოების" ირგვლივ, რომელიც იკვებება უმთავრესად სენსაციით, მაგრამ რომელიც საკმაოდ ხშირად ღებულობს აშკარად რეაქციონერულ, პოლიტიკურ ელფერს — აღარ ცხრება.

ლეონარდ მაკ-ნელის გული და პრინციპები

რაც არ უნდა დიდი ხნის წაკითხული გქონდეთ „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, ვერაფრით ვერ დაივიწყებთ კეთილი მისტერ პიკვიკისა და მისი მეგობრების ხიფათებს, რომლებიც მათ მოგზაურობის დასაწყისშივე შეემთხვათ. მკვლევარის ციებ-ცხელებით გატაცებული პიკვიკის კლუბის პრეზიდენტი დაწვრილებით ეკითხებოდა მეეტლეს, რამდენი წლის არის თქვენი ცხენიო. პასუხი, რომელსაც წარბებშეკრული მეეტლე აძლევდა, აშკარად მოწმობდა, რომ იგი უკმაყოფილო იყო საუბრით — ცხენი, მისი სიტყვით ორმოცდაორი წლის უნდა ყოფილიყო! მეეტლემ მგზავრობის ქირად შილინგი არ მიიღო და გულმოსულმა იგი მიწაზე დაახეთქა.

— აბა წარმოიდგინეთ, — მიმართავდა მეეტლე ხალხს, — შენს ეტლში ჯდება ჯაშუში და იწერს არა მარტო შენს ნომერს, არამედ დამატებით კიდევ ყველაფერს, რასაც შენ ლაპარაკობ (მისტერ პიკვიკს უბის წიგნაკი გაახსენდა)... მეეტლემ პირადი საკუთრებისადმი სრული უყურადღებობა გამოიჩინა, თავისი ქუდი მიწაზე დაანარცხა და მისტერ პიკვიკს სათვალე ჩამოგლიჯა. იერიშზე გადასულმა, პირველი ცხვირში გაარტყა, მეორე — გულმკერდში ისევ მისტერ პიკვიკს, მესამე — თვალში მისტერ სნოდგრესს, მეოთხე მრავალფეროვნებისათვის მისტერ ტაპმენს ჟილეტში, შემდეგ ჯერ ქვაფენილზე გადახტა, მერე უკანვე ტროტუარზე და ბოლოს მთლიანად დაურღვია სუნთქვის რიტმი მისტერ უინკლ — ყველაფერი ეს რამოდენიმე წამში მოხდა...

— ჯაშუშები! — ღრიალებდა ხალხი.

აქ ჩვენ მოგვიხდება პიკვიკელები რთულ მდგომარეობაში დავტოვოთ და შევეცადოთ გავიგოთ, რამ გამოიწვია ერთად თავშეყრილ შემთხვევით გამვლელთა ასეთი მძვინვარე აღშფოთება.

ინგლისის მმართველმა წრეებმა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ყველაზე უფრო აქტიურად ჯაშუშობა გამოიყენეს. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ინგლისში მე-19 საუკუნის 20-იან წლებში არ იყო კარგად ორგანიზებული პოლიციური ძალები, რომელთაც ცენტრიდან ისე ვერ ხელმძღვანელობდნენ, როგორც კონტინენტურ სახელმწიფოებში.

აი მხოლოდ ერთი მაგალითი. საფრანგეთის რევოლუციის წლებში ირლანდიაში, ინგლისის ძველთაძველ და დაბეჩავებულ კოლონიაში, დაიწყო ფართოდ გაშლილი სახალხო მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის. „გაერთიანებული ირლანდიელების“ ორგანიზაციამ, რომელიც

წარმოიშვა ჯერ როგორც ლიბერალური ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის პარტია, მალე მასობრივი ხასიათი მიიღო. წყალი შეუდგა ინგლისის ბატონობის საფუძვლებს. ორგანიზაციის ცნობილმა იდეოლოგმა და ხელმძღვანელმა ვოლფ ტონმა კავშირი გაბა საფრანგეთის რევოლუციურ მთავრობასთან და იმედოვნებდა, რომ ირლანდიაში საფრანგეთის დესანტის გადმოსხმა დაეხმარებოდა ინგლისელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ტონის მიერ საფრანგეთში გაგზავნილი პირი იყო ერთ-ერთი მისი თანამოაზრეთაგანი ჯეკსონი. 1794 წელს ის ლონდონზე გავლით საფრანგეთიდან ირლანდიაში ბრუნდებოდა.

ლონდონში ჯეკსონმა თავის მეგობარ ვექილ კოკეინს გაანდო გულისნადები. მან მაშინვე ყველაფერი პრემიერ-მინისტრ პიტს მოახსენა და თუ ადრე ის არ იყო ინგლისის ჯაშუში, ამ წუთიდან ის ჯაშუში გახდა, თან დაჰყვებოდა ჯეკსონს და თვალყურს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას. ჯეკსონი დუბლინში დააპატიმრეს, სიკვდილი მიუსაჯეს და კიდეც დასაჯეს. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა დაეხმარა ტონს აეცდინა იგივე ხვედრი და საზღვარგარეთ ემიგრაციაში გაემგზავრა. ჯეკსონს ვექილი ლეონარდ მაკ-ნელი იცავდა. სწორედ მას სთხოვა მსჯავრდადებულმა სასჯელის სისრულეში მოყვანამდე ეზრუნა მის ოჯახზე. მაკ-ნელის გადასცეს ჯეკსონის ანდერძი, რომელშიაც ის წერდა: „დაბეჭდილია და ხელმოწერილია ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობრის ლეონარდ მაკ-ნელის თანდასწრებით, რომლის გულმა და პრინციპებმა რეკომენდაცია უნდა გაუწიონ მას, როგორც ღირსეულ მოქალაქეს“. რა იცოდა ჯეკსონმა, რომ ამ ქაღალდს აძლევდა ერთ ყველაზე საშიშ ინგლისის ჯაშუშს, რომელიც შემდგომ წლებში ურიცხვ ზიანს მიაყენებდა „გაერთიანებულ ირლანდიელებს“, რომ ხელს შეუწყობდა მრავალი საუკეთესო რევოლუციონერის დაღუპვას?!

1797 წელს „გაერთიანებული ირლანდიელების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა გადაეცა საიდუმლო დირექტორიას, რომელმაც აჯანყებისთვის ინტენსიური მზადება დაიწყო. და ისევ ღალატი. ლეინსტერის პროვინციის დირექტორიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ცენტრალურ დირექტორიას ექვემდებარებოდა, პოლკოვნიკი რეინოლდსი, ინგლისის მეფისნაცვლის აგენტი გახდა. 1798 წლის 12 მარტს დირექტორიის ერთ-ერთი წევრის — ოლივერ ბონდის — სახლში სხდომისათვის თავი მოიყარა საზოგადოების ხელმძღვანელობამ. როგორც კი სხდომის ყველა მონაწილე შეიკრიბა, სახლს ალყა შემოარტყა პოლიციამ და რევოლუციური საზოგადოების ლი-

დერები დააპატიმრეს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საერთო აჯანყებამდე დათვლილი კვირეებიღა რჩებოდა, რეინოლდსი არ დაუპატიმრებიათ. ამან, ბუნებრივია, ეჭვი გამოიწვია. თავისუფლად დარჩენილმა „გაერთიანებული ირლანდიელების“ ხელმძღვანელმა, გაბედულმა და მგზნებარე რესპუბლიკელმა ს. ნეილსონმა უკაცრიელ ქუჩაში რევოლვერი ამოიღო, რეინოლდსს მკერდზე მიადო და ჰკითხა: „რისი ღირსია არამზადა, რომელიც შემომეჩვია და ჩემი ნდობა დაიმსახურა იმ მიზნით, რომ გამყიდოს?“ რეინოლდსი არ დაიბნა. „თქვენ მას გული უნდა გაუხვრიტოთ“ — უპასუხა მან. გაოცებულმა ნეილსონმა იარაღი ძირს დაუშვა და ამ დროიდან ეჭვიც კი ეპარებოდა რეინოლდსის დანაშაულში. ეს მოხდა აჯანყების წინ, უკანასკნელ გადამწყვეტ დღეებში, რეინოლდსმა შეძლო განეგრძო თავისი გამცემლური „საქმიანობა“.

გამოსვლების წინ, თავის ბინაში, დაპატიმრების დროს, სასიკვდილოდ დაჭრეს მოღალატის მიერ გაცემული საზოგადოების სამხედრო ხელმძღვანელი, ნამდვილი, ნიჭიერი რევოლუციონერი ე. ფიტცჯერალდი. ალბათ ამ საქმეებთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა რეინოლდსსაც, რომელმაც, მეგობრის ნიღაბს ამოფარებულმა, მის მეუღლეს გამოსტყუა ცნობები დუბლინში დამალულ ფიტცჯერალდზე. ხოლო განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი სხვა ბელადი — ძმები ჩირსები დაპატიმრებულ იქნენ მთავრობის კიდევ ერთი ჯაშუშის, კაპიტან არმსტრონგის წყალობით, რომელმაც მათი ნდობის მოპოვება მოახერხა. ჩირსები ჩამოახრჩვეს.

აჯანყებამ მაინც იფეთქა, მაგრამ „გაერთიანებული ირლანდიელების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მწყობრიდან იქნა გამოყვანილი. ამიტომ მოძრაობამ დაკარგა ცენტრალიზებული ხასიათი, ყოველი ოლქი დამოუკიდებლად, სხვა ოლქთან ყოველგვარი კავშირის გარეშე მოქმედებდა. მთელ რიგ რაიონებსა და საგრაფოებში ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ ხელი შეუშალა საერთოდ აჯანყების დაწყებას. აღნიშნულის მიუხედავად, 1798 წლის აჯანყებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ინგლისის ჯარმა ის გაჭირვებით ჩაქრო. რამდენად უფრო ძლიერი და ორგანიზებული იქნებოდა იგი, რომ ხელმძღვანელები ჰყოლოდა! ათასობით მოკლული, ჩამოხრჩობილი, დახვრეტილი, დილეგებში გატანჯული — ასე ზღო ირლანდიელმა ხალხმა თავისი გმირული ცდისათვის — დაემხოთ უცხოელ მჩაგვრელთა ბატონობა. და, რაც მთავარია, საუკუნეზე მეტ ხანს დარჩა ინგლისელთა აუტანელი ჩაგვრის ქვეშ მრავალტანჯული ირლანდიის გლეხობა, რომელსაც შიმშილით აშოწყვეტა მოელოდა.

თავიანთი ჯაშუშური გამოცდილება ინგლისის მმართველმა წრეებმა თვით ინგლისშიც არსებული რევოლუციური ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მიერ დევნილი, იატაკქვეშეთში ჩაგდებული პროფკავშირების წინააღმდეგ ფართოდ გამოიყენეს. ჯაშუშები ხშირად გამოდიოდნენ პროვოკატორების როლში, აქეზებდნენ მშიერ და სასოწარკვეთილ მუშებს — ნაადრევ, წინასწარვე მარცხისათვის განწირულ გამოსვლებისაკენ. ყოველ ასეთ გამოსვლას, ჩვეულებრივად სასამართლო პროცესები, მკაცრი განაჩენი მოსდევდა, ხშირად იდგმებოდა სახრჩობელები და ეშაფოტზე აჰყავდათ მუშათა მოძრაობის ახალგაზრდა რევოლუციური ბელადებიდან ყველაზე უფრო გაბედულნი და შეუპოვარნი.

ლონდონის ბრბოს ყველა საფუძველი ჰქონდა განრისხებისათვის, პიკვიკის კლუბის უწყინარი წევრები შეცდომით მიაჩნდათ „მაბეზღარებად".

ამერიკელი ფუზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომმა (1861—1865 წწ.) დიდი დაღი დაასვა ჩრდილოელების და სამხრეთელების საიდუმლო სამსახურს. ომის წინ ჩრდილოეთში ცენტრალური სახელმწიფო აპარატი, არმიის წრეების ჩათვლით, სავსე იყო სამხრეთის აჯანყებულთა მომხრეებით ან იმ პირებით, რომლებიც მონათმფლობელურ კონფედერაციას თანაუგრძნობდნენ და მათთან შერიგების ყოველგვარი პირობების ქომაგნი იყვნენ. ფაქტიურად საიდუმლო სამსახურის თავიდან ჩამოყალიბება მოუხდათ. დაიწყო მისი შევსება სხვადასხვა ხალხით. ზოგიერთნი, საერთო-სახალხო ბრძოლით გატაცებულნი, მონათმფლობელთა აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ, სხვანი საკუთარი კარიერით, ოქროთი და ჩინებით იყვნენ გატაცებულნი, ამასთანავე მათ შორისაც აღმოჩნდნენ სამხრეთთან კომპრომისის მომხრეები. თუმცა იყვნენ აგრეთვე ანგარიშიანი პატიმოყვარენი, რომლებიც ბუნებას არ დაეჯილდოებინა არც ჭკუით, არც ენერგიით, არც ნებისყოფით, და იმედს სახალხო განწყობილების გამოყენებაზე ამყარებდნენ. მონათმფლობელთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში მოჩვენებითი შეუდრეკელი მებრძოლის წარმოსახვით უნდოდათ მიეღწიათ დაწინაურებისათვის, მოეპოვებინათ პატივი და ხელისუფლება.

მათ რიცხვს, უეჭველად, ეკუთვნოდა 36 წლის ნიუ-იორკელი

ლაფაიეტ ბეიკერი, ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის შვილიშვილი. 1861 წლისათვის ბეიკერს ქვეყანაში მოგზაურობისა და სან-ფრანცისკოში მკაცრი ბურჟუაზიული „წესრიგის“ დამყარების საქმეში მონაწილეობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ბეიკერი ქალაქის „სიფხიზლის კომიტეტის“ წევრია და ამ თანამდებობაზე სამძებრო სამსახურის ნიჭი გამოიჩინა. გამოცდილი მსროლელი ლაფაიეტ ბეიკერი, რომელსაც არაერთხელ უხმარია რევოლვერი, თუ ეს მას საჭიროდ მიაჩნდა, სასარგებლოდაც კი თვლიდა ეტარებინა პურიტანელი ფარისევლის ნიღაბი: ღმერთმა დამიფაროს შევბილწო პირი „ეულგარული“ სიტყვით ან ჭიქა სასმელითო.

1861 წ. იანვარში, როდესაც ჰაერში თოფის წამლის სუნი იდგა, ამ ძლიერმა ყოალწვერამ, რომელსაც ცივი, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, იგრძნო, რომ მისი დრო დადგა. დატოვა თუ არა დასავლეთი სანაპირო, ბეიკერი ჩრდილოელების სარდალ გენერალ სკოტთან გამოცხადდა ვაშინგტონში. ბეიკერი კაბინეტში შეიყვანეს დაღლილ მოხუცთან, რომელიც სამოქალაქო ომის პირველი თვეების არეულ-დარეულობისა და ქაოსის გამო სრულიად დაბნეული იყო. სკოტმა არ იცოდა, ვის მინდობოდა ამ პირობებში, როდესაც მრავალმა კადრის ოფიცერმა იდეზერტირა, ხოლო სხვები მოხერხებულ შემთხვევას უცდიდნენ, რომ გადასულიყვნენ მტრის მხარეზე.

ბეიკერს შეეძლო ნდობის მოპოვება. საუბარში მოხერხებულად ჩაკრულმა სიტყვამ, რომ ბეიკერის მამა სკოტის მეთაურობით მექსიკის წინააღმდეგ ომში იბრძოდა, გული აუჩუყა მოხუც გენერალს და ძლიერი, თვითდარწმუნებული, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი სტუმრისადმი კეთილად განეწყო. სკოტმა თვითონ მოიხსენია ის სიძნელეები, რომლებიც მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის სრული უქონლობით იყო გამოწვეული. ბეიკერმა აქვე გამოთქვა სურვილი დახმარებოდა საჭირო ცნობების მოპოვებაში. იგი მზად იყო ჩასულიყო აჯანყებულთა დედაქალაქ რიჩმონდში და იქიდან საჭირო ინფორმაციით დაბრუნებულიყო. გენერალმა მიიღო წინადადება და მაშინვე გადასცა სტუმარს სახარჯოდ ათი ოცდოლარიანი ქაღალდი.

თავისი ნიჭის გამოჩენის მიზნით ლაფაიეტ ბეიკერი დაუყოვნებლივ გაუდგა გზას. მან თან არც იარაღი წაიღო, არც ფედერალური (ე. ი. ჩრდილოეთის) პასპორტი, რომლებსაც შეეძლო მისი გამქელავნება. ბეიკერმა გადაწყვიტა ემოგზაურა მოხეტიალე ფოტოგრაფის სახელით (იმ დროს ამგვარი ხელობა ჯერ ახალი იყო). ახალგამომცხვარმა მზვერავმა შეიძინა უზარმაზარი ფოტოგრაფიული კამერა—

უფრო პატარა მაშინ არ იყო,—თუმცა მის მოხმარებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

ბეიკერი მარტო მოქმედებდა. მისი ექსპედიციის შესახებ ჩრდილოელების არც ერთმა მეთაურმა არაფერი არ იცოდა. ამიტომ ფრონტის ხაზზე გადასვლის დროს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. მას ყოველთვის ფოტოკამერა შველოდა: იგი სიამოვნებით იღებდა სურათებს და მათ ჩაბარებას მოგვიანებით ჰპირდებოდა. ვისაც სურათებს უღებდა, მათ ფოტოების მიღების შანსები ნაკლებად ჰქონდათ. ერთხელ, სამხედრო ბანაკის გადაღების შიზნით ბეიკერი ბორცვიდან ბორცვზე გადადიოდა, შემდეგ იქვე ტყეში მიიმალა და მალე სამხრეთელთა განლაგებაში აღმოჩნდა. ასე ეგონა ბეიკერს, სანამ მის წინ... ჩრდილოელთა გუშაგი არ აღმოჩნდა. გააფთრებულმა ფოტომოყვარულებმა ბეიკერი საჩქაროდ გადაგზავნეს ბადრაგით გენერალ სკოტთან, როგორც შეპყრობილი სამხრეთელების ჯაშუში. საჭირო გახდა საქმის ხელახლა დაწყება. მეორეჯერ ბეიკერი მაშინ დააპატიმრეს, როდესაც იგი ცდილობდა შეუმჩნევლად გაპყოლოდა ფრონტზე მიმავალ პოლკს. მაშინ ბეიკერმა ფოტოკამერაზე ხელი ჩაიქნია, ფერმერი მოისყიდა და მალე მოფარებული ბილიკებით კონფედერატების პოზიციამდე მიაღწია.

პირველადვე შეხვედრილმა ორმა სამხრეთელმა ჯარისკაცმა იგი მაშინვე დააპატიმრა. მაგრამ ალკოჰოლის აშკარა მოწინააღმდეგემ, მებადრაგეების დათრობა მოახერხა და გაიპარა. ამის შემდეგ ისევ მალე დააპატიმრეს. ამჯერად უკვე კავალერისტებმა. ბეიკერი სამხრეთ შტატებში უმთავრესად ეტაპით, პატიმრის სახით მოგზაურობდა, რაც სრულიად არ უშლიდა მას ხელს ჯაშუშობაში. დაპატიმრებული ბეიკერი სამხრეთელების ცნობილ გენერალ ბორეგართან მიიყვანეს. ბეიკერმა მისგან თავაზიანი დაპირება მიიღო, რომ დაუყოვნებლივ იქნებოდა ჩამოხრჩობილი. როგორც კი საბოლოოდ დადგინდება, რომ იგი „წყეული იანკების“ (ასე უწოდებდნენ სამხრეთში ჩრდილოელებს) ჯაშუშია. მაგრამ ბორეგარი მთლად არ იყო დარწმუნებული. იგი შეცდომაში შეჰყავდა იმ ყალბ ქაღალდებს, რომლებიც კალიფორნიელი სემ მენსონის სახელზე მოდიოდა, მენსონისა, რომელსაც ბეიკერი დასავლეთ სანაპიროზე ხვდებოდა. ის სამხრეთის შტატის — ტენესის მოსამართლის შვილი იყო. ბეიკერს აღმოაჩნდა აგრეთვე ვაშინგტონში შედგენილი სხვადასხვა წერილები და საქმიანი ქაღალდები.

პატიმრობის პირობები არ იყო ძალიან მკაცრი — ერთ ხანს მრავალი საქმის გამო ბორეგარის შტაბს უბრალოდ ავიწყდებოდა ეც-

ნობებინა, თუ რაში სდებდნენ ბრალს ადამიანს, რომელიც თავს მენსონად ასაღებდა. შემორჩენილი 10 დოლარი ოქროს მონეტი დაეხმარა ბეიკერს, რომ არა მარტო მებადრაგესთან ,ერთად გარეუბნებში სეირნობის უფლება მიეღო, არამედ დაეთრო თავისი გუშაგი და სრულიად მარტო ვსეირნა. მაგრამ ბეიკერი არ აჰყვა გაქცევის ცდუნებას და ისევ ციხეში დაბრუნდა. ამ დროისათვის იქ უკვე იყო მიღებული ცნობა, რომ ის დაპატიმრებულია ჯაშუშობაში ეჭვის მიტანის გამო. ერთ-ერთი პატიმარი, რომელიც თავს ჩრდილოელების აგენტად ასაღებდა, ცდილობდა ბეიკერის ნდობის მოპოვებას. რასაკვირველია, მისი ცდა ამაო გამოდგა. ერთხელ ბეიკერთან ციხეში მივიდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც პატიმრებს რელიგიური ხასიათის წიგნებს ურიგებდა. ფილანტროპმა წასჩურჩულა, ჩრდილოეთის ტერიტორიაზე ვაპირებ გადასვლას დასთან, ვიმედოვნებ, რომ საშვს მივიღებ ბორეგარისგან, ამიტომ ხომ არ გსურს რაიმეს გადაცემა ვაშინგტონშიო? ცრუ მენსონმა თავაზიანი უარი უთხრა უცნობ ქალს სამსახურზე (მათი შემდეგი შეხვედრა მოხდა უკვე ჩრდილოელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, როდესაც ფედერალური საიდუმლო სამსახურის უფროსი ბეიკერი სამხრეთელების ჯაშუშ ქალს ბელ ბოიდს შეეჯახა).

ბეიკერი მალე მისი საქმის გამოსაძიებლად რიჩმონდში ჩამოიყვანეს. მან ბევრი სასარგებლო რამის დანახვა მოახერხა. სამხრეთელების დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე პატიმარს მოულოდნელად აცნობეს, რომ მისი ნახვა სურდა მონათმფლობელური კონფედერაციის პრეზიდენტს ჯეფერსონ დევისს, რომელიც დაზვერვასა და კონტრდაზვერვას პირადად ხელმძღვანელობდა. იმისათვის, რომ დაებნია პატიმარი, დევისმა პირდაპირ განუცხადა: „თქვენ აქ გამოგზავნილი ხართ როგორც ჯაშუში“ — მაგრამ, ბეიკერის წონასწორობიდან გამოყვანა ადვილი არ იყო: მან პასუხად საჩივრები წაუყენა იმ ადამიანის უკანონოდ დაპატიმრების გამო, რომელიც ნორმალურ საქმიანობას ეწევა. სამხრეთელების პრეზიდენტს ეტყობოდა, რომ მისი არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა. ბეიკერი ციხეში გაგზავნეს, სადაც ის მოუთმენლად ელოდა დევისთან ახალ გამოძახებას. განმეორებითი დაკითხვის დროს პრეზიდენტმა ბეიკერს მთელი რიგი შეკითხვები მისცა, რომლებიც ჩრდილოეთის არმიას შეეხებოდა. ის შეეცადა რაღაც უმნიშვნელო ინფორმაციების გაცემით. დაკმაყოფილებულიყო, რადგან არ უნდოდა რაიმე ტყუილი ეცნობებინა. თითქოს მისი საქმეები უკეთ მიდიოდა, მაგრამ ბეიკერი ამაოდ ოდი ფრთხილობდა. მოულოდნელად დევისმა ჰკითხა: ბატონო მენსონ, თქვენი მშობ-

ლიური ქალაქის. — ნოკსვილის — მცხოვრებლებიდან ტენესში ვის იცნობთო. ბეიკერმა, რომელსაც ცივი ოფლი ასხამდა, ძლივს დაასახელა რამდენიმე გვარი. იგი მიხვდა, რომ მას აუცილებლად დაუპირისპირებდნენ ვინმეს. მართლაც, დევისმა დარეკა და შემოსულ კლერკს რაღაც ბარათი გადასცა. ეს იყო ბრძანება — მოეყვანათ ვინმე, რომელიც წარმოშობით ნოკსვილიდან იქნებოდა. ბეიკერის გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო! იგი დევისის კაბინეტში კარებთან ახლოს იჯდა და შეამჩნია. რომ პრეზიდენტთან გამოცხადებულნი მისაღებში მდივანთან თავიანთ გვარებს ქაღალდის ბარათებზე წერდნენ, შემდეგ ეს ბარათები მორიგეს დევისთან შეჰქონდა.

პრეზიდენტის მითითების მიღების შემდეგ კლერკი მალე დაბრუნდა ვიღაც კაცის თანხლებით, რომელმაც სხვების მსგავსად თავისი გვარი დაწერა ბარათზე. სანამ პრეზიდენტი სხვა საქმეებით იყო დაკავებული, ბეიკერმა ბარათზე თვალის შეევლება მოასწრო. მასზე აღნიშნული იყო ბროკის გვარი. როდესაც ეს კაცი სამხრეთელების პრეზიდენტის კაბინეტში შემოიყვანეს, ბეიკერმა გადაწყვიტა, რომ გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო, თუ ლაპარაკს თვითონ დაიწყებდა „ა, ბროკ, — წამოიძახა მან, — როგორ ცხოვრობ, მეგობარო?“

„თქვენ იცნობთ ამ კაცს?“ ჰკითხა დევისმა შემოსულს და ბეიკერზე მიუთითა: განცვიფრებულმა ბროკმა ძლივს წარმოთქვა:

„დიახ..., მაგრამ ახლა არ მაგონდება მაგისი გვარი“. ბეიკერი დაეხმარა: „მენსონ, განა თქვენ არ იცნობთ მოსამართლე მენსონის შვილს, რომელიც კალიფორნიაში გაემგზავრა?“ „სემ მენსონი?“ — ჰკითხა ფიქრებში წასულმა ბროკმა. „რასაკვირველია!“ „ჰო, ამ შემთხვევაში მე თქვენ გაგიხსენეთ“.

დევისმა დაიჯერა, მაგრამ საფრთხე მთლიანად არ იყო გავლილი. მეორე დღეს ბროკი ბეიკერთან საკანში მივიდა. ჩრდილოელების მზვერავისათვის არ იყო საჭირო ახსნა-განმარტება: ნოკსვილის მცხოვრები მოვიდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ის არ შეცდა „თანამემამულის“ შეცნობაში. ამჯერად ბეიკერმა ლაპარაკის ინიციატივა თავის თანამოსაუბრეს დაუთმო. შემოიზღუდა რა თავისი გაურკვეველი შენიშვნებით, იგი მოხერხებულად იყენებდა იმ მცირეოდენ ცნობებს, რომლებიც მან ნოკსვილზე იცოდა. ბეიკერი ისეთ სახეს ღებულობდა, თითქოს ესმოდა ბროკის ნართაული საუბარი ქალაქში მომხდარ მისთვის სრულიად უცნობ ამბებზე და იცინოდა ასევე მისთვის სრულიად გაუგებარ ადგილობრივ სკანდალურ ქრონიკაზე. ინტერვიუ მშვიდობიანად დამთავრდა და მოაწერა თუ არა ვალდებულებას ხელი, არ დაეტოვებინა უნებართვოდ რიჩმონდი, რამდენიმე დღეში

გაათავისუფლეს. მაგრამ სამხრეთის დედაქალაქის ქუჩებში ხეტიალის დროს მან რამდენიმეჯერ შეამჩნია, რომ უთვალთვალებდნენ. სამხრეთელების მაძებრებს გამოცდილება აკლდათ, — მათ ვერ შეძლეს კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ „მენსონს“ ხშირი გასეირნების დროს, რის გამოც იგი დღითი დღე ავსებდა თავის ცნობებს სამხრეთელების სამხვდრო ძალებზე.

ერთ-ერთი ასეთი განსაკუთრებით სასარგებლო სეირნობის დროს მას დაუძახეს: „ბეიკერ, აქ რას აკეთებთ?“ მას წინანდელი მშფოთვარე ცხოვრების დროს შეძენილი ერთ-ერთი ნაცნობი მიუახლოვდა. ბეიკერმა ცივად აუხსნა შეცდომა, რომ იგი არავითარი ბეიკერი არ არის და არც არასოდეს არ იცნობდა ასეთი გვარის ჯენტლმენს. მისი ნამდვილი გვარია მენსონი... მართალია, მან მოახერხა ჩამოეშორებინა განცვიფრებული მეგობარი, მაგრამ რიჩმონდში დარჩენა უკვე საშიში იყო და არც არავითარი აზრი არ ჰქონდა. საჭირო იყო საჩქაროდ გადაეცა გენერალ სკოტისათვის შეგროვილი ცნობები.

დაიწყო თავგადასავლებით აღსავსე, უკან დაბრუნების გზა. ახალი დაჭერები, ახალი მოხერხებული მანევრები და სულ ბოლოს — სამხრეთელების ტყვიების ქვეშ ძველი კაპანოთი, ჩრდილოელების მიერ დაკავებულ პოტომაკის მეორე ნაპირზე გაქცევა.

მოტანილი ინფორმაცია ძალზე დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ბეიკერი ჩრდილოელების მიერ ჩამოყალიბებულ საიდუმლო სამსახურში უცბად საპატიო პიროვნება გახდა, სულ მალე კი ფაქტიურად კონტრდაზვერვას ჩაუდგა სათავეში. მას „ამერიკელ ფუშეს“ ეძახდნენ. უფრო გამოცდილმა დასავლეთევროპელმა კოლეგებმა მის „ტექნიკას“ ყურადღებით დაუწყეს თვალის დევნება.

პინკერტონი და მხიარული ქვრივი

ბეიკერის მეტოქე, რომელმაც სამხრეთში ფართო სადაზვერვო ქსელი ჩამოაყალიბა, ხოლო ჩრდილოეთში — კონტრდაზვერვა, კერძო სამძებრო სააგენტოს დირექტორი ალენ პინკერტონი იყო (მისი გვარი ნახსენებია ურიცხვ დეტექტიურ რომანებში). შვილი შოტლანდიელი პოლიციის ოფიცრისა, რომელიც გაფიცულებთან შეტაკების დროს მოკლეს, თუ ბიოგრაფებს დავუჯერებთ, ახალგაზრდობის დროს რადიკალიზმით იყო გატაცებული და იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა, რათა მუშათა მოძრაობაში მონაწილეობის გამო აეცდინა პატიმრობა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ მას ამერიკაში

უკვე სხვა როლში ვხედავთ — ჯერ ჩიკაგოს პოლიციის სამმართველოს მაძებრად, მერე კერძო დეტექტიური სააგენტოს ორგანიზატორად, რომელსაც იმთავითვე და განსაკუთრებით კი შემდგომში, ფართოდ იყენებდნენ მეწარმენი მუშებისათვის თვალყურის სადევნებლად, გაფიცვების დროს პროვოკაციების მოსაწყობად და ა. შ.

მაგრამ სამხრეთელებთან დავაში პინკერტონის სიმპათიები ჩრდილოელების მხარეზე იყო. თავისი აგენტურა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დაწყებამდე აწვდიდა მას ცნობებს სამხრეთელების საიდუმლო გეგმებზე. მაგალითად, პინკერტონმა გაიგო, რომ მერილენდის შტატში ახლად არჩეულ პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნზე თავდასხმა მზადდებოდა. ამ შტატის დედაქალაქის, ბალტიმორის, ერთ-ერთ ქუჩაზე შეთქმულთა რამდენიმე წევრს ჩხუბის ინსცენირება უნდა მოეხდინა. ამით ისინი ყურადღებას მიიპყრობდნენ, ხოლო დანარჩენი რვა, რომლებიც ფარული კენჭისყრით იყვნენ არჩეულნი, პრეზიდენტის ეკიპაჟზე თავდასხმას და ლინკოლნის მოკვლას აპირებდა. ლინკოლნთან საუბარში პინკერტონი ირწმუნებოდა, რომ ამ კენჭისყრაში მისი აგენტიც მონაწილეობდა. ყოველი მხრიდან საგანგაშო ცნობების მიღების გამო ლინკოლნი იძულებული იყო მიეღო გამაფრთხილებელი ზომები.

ამერიკელი ხალხის რჩეულს რკინიგზის სადგურებში ჩაკეტილი ეტლებით უხდებოდა მისვლა. მიღებულ იქნა ზომები რკინიგზის ხაზზე მატარებლების მოძრაობის შეწყვეტისათვის, რათა ხელი შეეშალათ პრეზიდენტის ექსპრესთან დაჯახებისათვის. პინკერტონის აგენტებმა გადაჭრეს ტელეგრაფის ხაზები, რათა შეთქმულებს ვერ მოესწროთ ეცნობებინათ იმ მატარებლის მოძრაობის შესახებ, რომლითაც ლინკოლნი მგზავრობდა. ფილადელფიაში პინკერტონი პირიქით მოიქცა. მან ხერხი იხმარა და დააკავა ვაშინგტონში მიმავალი ღამის რეგულარული ექსპრესი. პრეზიდენტი დახურული ეკიპაჟით სხვა გზით გადაიყვანეს ვაგზლიდან ვაგზალში, სადაც მანამდე ერთმა ქალმა, პინკერტონის აგენტთა რიცხვიდან, საძინებელ ვაგონში ადგილების უმეტესობა შეიძინა. ის ყველას განუმარტავდა, რომ თავისი ავადმყოფი ძმისა და მისი მეგობრების წაყვანას აპირებდა დედაქალაქში. პინკერტონი და მისი თანაშემწენი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს გზას, რადგანაც წინასწარ იცოდნენ ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა თავდასხმა მოეხდინათ.

მატარებელი ბალტიმორში დილის ოთხის ნახევარზე ჩავიდა. მგზავრობა რომ გაეგრძელებინათ, მეორე ვაგზალში სხვა მატარებელში უნდა გადამსხდარიყვნენ. ეკიპაჟი მთელი ქალაქის გავლით მიდი-

ოდა. ღამით ბალტიმორში მგზავრობამ უხიფათოდ ჩაიარა, — შეთქმულების მონაწილეებმა ვერ გაიგეს მარშრუტის შეცვლის საიდუმლოება და პრეზიდენტის გავლის დრო. მაგრამ ვაგზალში გამოირკვა, რომ მატარებელი მხოლოდ ორი საათის შემდეგ გავიდოდა. საჭირო იყო ორი საათის შემაწუხებელი ლოდინი, მაშინ როდესაც ყოველ წუთს შეიძლებოდა ლინკოლნის ინკოგნიტო გამჟღავნებულიყო და იგი, თითქმის სრულიად დაუცველი, მისი სასტიკი მტრების ხელთ აღმოჩენილიყო. მაგრამ პრეზიდენტმა შეძლო ორსაათიანი დაძაბულობის შემსუბუქება, იგი თავის თანამგზავრებს სხვადასხვა მხიარულ ისტორიებსა და ანეკდოტებს უამბობდა. ჩქარა მატარებლის შემადგენლობაც ჩამოდგა და 1861 წლის ბალტიმორის შეთქმულება მარცხით დამთავრდა.

ომის დასაწყისში პინკერტონი გენერალ მაკ კლელანის განკარგულებაშია. ფედერალური არმიის პირველი დამარცხების შემდეგ იგი ლინკოლნმა ჩრდილოეთ ჯარების მთავარსარდლად დანიშნა. მაკ კლელანი — ჩრდილოეთის მსხვილი ბურჟუაზიის რჩეული და საყვარელი ადამიანი, არ თანაუგრძნობდა მისწრაფებას, გადაექციათ სამხრეთთან ბრძოლა მონობის სალიკვიდაციო რევოლუციურ სამოქალაქო ომად. მოგვიანებით იგი სამხრეთთან შეთანხმების მომხრე და 1864 წლის პრეზიდენტის არჩევნებში ლინკოლნის მეტოქე გახდა. ამგვარად, პინკერტონი აშკარად დაუკავშირდა ჩრდილოეთის ბურჟუაზიის მეტად კონსერვატიულ ნაწილს, რომელიც სამხრეთთან კომპრომისული ზავის დადებას ფიქრობდა. მაგრამ მონათმფლობელების მიერ წამოყენებული პირობები და არც ქვეყნის გაყოფა — ამ ბურჟუაზიულ წრეებსაც არ უნდოდათ. სარგებლობდა რა ლინკოლნის მთავრობის მიმართ ლოიალობით, პინკერტონი გულმოდგინედ შეუდგა ვაშინგტონში სამხრეთელთა აგენტების დაჭერას. მაგრამ მისი მოღვაწეობის საზღვრები მკვეთრად შემცირდა. პინკერტონს შეეძლო დაეჭირა და დაეპატიმრებინა სამხრეთელების უშუალო აგენტები, რომლებიც ჩრდილოეთის ჯარის გადაადგილების შესახებ ჯაშუშურ ცნობებს გადასცემდნენ. მაგრამ იგი თითსაც ვერ აკარებდა ბანკისა და სავაჭრო წრეების იმ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს, რომლებიც სამხრეთ პლანტატორებთან დაზავებას მოითხოვდნენ. თავისუფლად გამოდიოდნენ მათ მიერ შესყიდულ გაზეთებში იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ საბოლოოდ ჩაეხშოთ მონათმფლობელთა აჯანყება და გაეთავისუფლებინათ მონები. ამ „ჟანგაროებს“, ასე ეძახდნენ იმ პირებს, რომლებიც სიმპათიით იყვნენ გამსჭვალული სამხრეთის მიმართ, შეეძლოთ თითქმის ომის დამთავრებამდე, პრაქტიკუ-

ლად, დაბრკოლებების გარეშე განეგრძოთ თავიანთი მოღვაწეობა. ეს კი მოიცავდა როგორც საიდუმლო კორესპონდენციებს სამხრეთელ მეთაურებთან პრეზიდენტ ლინკოლნის წინააღმდეგ შეთანხმებულ მოქმედებაზე, ისე ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში მთავრობის საწინააღმდეგო მღელვარების პროვოცირებასა და ჯარში გაწვევის ხელის შეშლის ცდებს. ყოველივე ეს არც პინკერტონსა და არც სხვა ფედერალური კონტრდაზვერვის ორგანიზატორებს „არ ეხებოდა“.

მაგრამ უამისოდაც მათ საქმე ყელამდე ჰქონდათ, გრძნობდნენ რა დაუსჯელობას, სამხრეთელების აგენტურამ ვაშინგტონში საბოლოოდ აიხსნა აღვირი. აღსანიშნავია-ჯაშუშ როზა ო'ნილ გრინჰაუს შემთხვევა, რომლის კერძო სახლიც, როგორც ამას შემდეგში სამხრეთელები წერდნენ, „თეთრი სახლიდან სათოფეზე იყო“. ადრე დაქვრივებულ ქალბატონ გრინჰაუს დედაქალაქის ყველაზე მაღალი საზოგადოების წრეებში მრავალი ნაცნობი ჰყავდა. მართალია, ბევრი მისი მეგობარი სამხრეთში გადავიდა და კონფედერაციულ მთავრობაში საპატიო ადგილები დაიკავა, მაგრამ ისინი სხვა გავლენიანმა მეგობრებმა შეცვალეს, რომელთა შორისაც იყო სახელმწიფო მდივანი სიუარდი. როზა გრინჰაუ ფაქტიურად იმ ფართო დაქსაქსული ჯაშუშური ცენტრის ხელმძღვანელი გახდა, რომელიც სხვადასხვა ინფორმაციას აგროვებდა ჩრდილოეთის არმიაზე და მათ მონათმფლობელურ მთავრობას უგზავნიდა სამხრეთში. ჩრდილოელთა არმიის ათასობით ჯარისკაცს მხიარული ქვრივის ვაშინგტონში ხანგრძლივი შეუფერხებელი მოღვაწეობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მისმა ინფორმაციებმა დიდად შეუწყო ხელი იმ დამარცხებებს, რომლებიც ჩრდილოეთის არმიამ სამოქალაქო ომის პირველ თვეებში იგემა.

ამ ჯაშუშური ბუდის ლიკვიდაციისათვის ხელი უნდა მოეკიდა პინკერტონს. მთელი დღეების განმავლობაში ის თვალყურს ადევნებდა როზა გრინჰაუს სახლს. ერთხელ იგი იმ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებიდან, რომლებიც მას ჰყავდა, ერთ-ერთმა ინახულა. მაძებარმა მასში იცნო ქვეითი ჯარის კაპიტანი. ის სამხედრო პოლიციის სამმართველოში მსახურობდა. პინკერტონმა დაინახა, რომ მან ჯაშუშ ქალს ვაშინგტონის სიმაგრეების რუკა მიუტანა და მათი საუბარიც მოისმინა. რასაკვირველია, პინკერტონი და მისი მხლებელი თანაშემწე თვალყურს ადევნებდნენ ოფიცერს მას შემდეგ, როცა მან მაცდუნებლის სტუმართმოყვარე სახლი დატოვა. როგორც ჩანს, კაპიტანმა შეამჩნია მეთვალყურენი. პენსილვანია-ავენიუს კუთხეში იგი უცბად გაუჩინარდა ერთ-ერთი სახლის კარებში, საიდანაც დაუყოვნებლივ გამოვიდა ოთხი ხიშტიანი ჯარისკაცი და ორივე მა-

ძებარი დააპატიმრეს. შენობა, ყაზარმა აღმოჩნდა და კაპიტანმა, რომელმაც თავი მდგომარეობის ბატონ-პატრონად ჩასთვალა, დაპატიმრებულთა დაკითხვა დაიწყო. პინკერტონმა თავი ე. დ. ალენად გაასაღა. ეს იყო ფსევდონიმი, რომლითაც იგი მაძებრად მუშაობის დროს სარგებლობდა. ღამე პინკერტონმა ბნელ საკანში გაატარა, და ეს ღამე შეიძლება უკანასკნელი ყოფილიყო, რომ მას კარისკაცის ნდობის მოპოვება და მისი საშუალებით თავის თავზე ცნობის გადაცემა არ მოეხერხებინა.

დილით პინკერტონი, რასაკვირველია, უმალვე გაათავისუფლეს. სამხედრო მინისტრისადმი კონტრმზვერავის მოხსენების შემდეგ კაპიტანი დააპატიმრეს. იგი წელიწადი ჰყავდათ ციხეში, მაგრამ უარს აცხადებდა რაიმე ცნობის მიცემაზე. ერთხელ კაპიტანი ნახეს საკნის იატაკზე დაგდებული ჯიბის დანით ყელგამოჭრილი. გამოურკვეველი დარჩა თვითმკვლელობა იყო ეს, თუ სამხრეთელთა აგენტების მიერ გამქღავნების თავიდან აცილების მიზნით მოწყობილი თვითმკვლელობის იმიტაცია. მონათმფლობელთა მომხრეებით მთავრობის აპარატის დანაგვიანებისას არაფერი იყო გასაკვირი. მართალია, ბოლოსდაბოლოს როზა გრინჰაუ დააპატიმრეს, მაგრამ, დანაშაულის დადასტურების მიუხედავად, იგი რამდენიმე ხანს გააჩერეს ციხეში და სამხრეთელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადაგზავნეს. იქ ჯაშუში დიდი პატივით მიიღეს და კონფედერაციის ხელმძღვანელებმა ხოტბა შეასხეს.

პინკერტონმა მოახერხა სამხრეთ შტატებში თავისი სადაზვერვო ქსელის გაბმა. ასე მაგალითად, კარგი მზვერავი აღმოჩნდა სამსახურში მის მიერ მიღებული ნიუ-იორკის 21-ე ქვეითი პოლკის რიგითი ჯარისკაცი დეივ გრეჰემი. დამტარებლისა და მეწვრილმანის სახით მან სულ დაიარა სამხრეთ არმიის განლაგების მრავალი რაიონი. ერთხელ საწყობი და საბრძოლო საჭურვლით დატვირთული ვაგონებიც კი ააფეთქა. როგორც ჩანს, გრეჰემს ერთხელაც არ გამოუწვევია სამხრეთელთა ხელისუფლების სერიოზული ეჭვი. მას არასოდეს არ დასჭირვებია მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად თავისი საუკეთესო ხერხის გამოყენება. გრეჰემს იმდენად არტისტულად შეეძლო ეპილეფსიური შეტევის იმიტაცია, რომ გამოცდილი ექიმიც კი შეჰყავდა შეცდომაში.

„ბრიტანეთის ლორდი თავისუფლებით ამაყობს“.

„ინგლისის ლორდი,
მტკიცე, ვით ლოდი,—
ცრუ პატრიოტი,
თავისუფლება
აფიქრებს როდი.

პატიეი უყვარს,
სმა-ჭამაც ბლრმად
და ჭამის შემდეგ
ჩაჯდომა ხომალდს“.

რუსი პოეტის პოლეჟაევის ეს ცნობილი ლექსი ყველაზე უკეთ გვიხატავს იმ სახეს, რომლის შექმნასაც ცდილობდა ჩრდილოეთის ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი მზვერავი.

მზვერავების უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებ შესამჩნევი იყოს. პინკერტონის მიერ დასავლეთ ვირგინიაში — ჩრდილოეთისა და სამხრეთის განსაკუთრებით გააფთრებული შეტაკების ადგილზე შეგზავნილმა აგენტმა პირდაპირ საწინააღმდეგო ხერხი გამოიყენა.

აშშ-ში ნატურალიზებული ახალგაზრდა ინგლისელი პრაის ლუისი და მისი თანაშემწე, სამხრეთში დაბადებული 50 წლის სემ ბრიჯმენი თავიანთ სახიფათო მოგზაურობას შეუდგნენ ეტლით, რომელზედაც ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე თოკით მიკრული იყო ზანდუკი, როგორსაც ინგლისის არმიაში ხმარობდნენ. ლუისის თანაშემწე მას ისე მიმართავდა, როგორც საერთოდ მსახურები თავის არისტოკრატ პატრონებს მიმართავენ ხოლმე, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სრულიად არ იყო მიღებული რესპუბლიკურ ამერიკაში. ვარაუდი უბრალო იყო. მზვერავები იმედოვნებდნენ, რომ ფონს გავიდოდნენ ამერიკის შეძლებული კლასების, მათ რიცხვში სამხრეთის მონათმფლობელების საყოველთაოდ ცნობილი მიდრეკილებით ბრიტანეთის არისტოკრატიისადმი, რაც თითქმის პირფერობა იყო. უფრო მეტად კი სამხრეთის ძლიერი დაინტერესებით, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, უზრუნველეყოთ ინგლისის მთავრობის გადასვლა მეგობრული ნეიტრალიტეტის პოზიციიდან სამოქალაქო ომში პლანტატორების მხარეს პირდაპირ გადასვლამდე. განა საჭიროა ლაპარაკი, რომ ბრიტანეთის ლორდს, რომელიც ოფიციალური წრეების მიერ იმისათვის იყო გაგზავნილი, რომ მდგომარეობა ადგილზე გაერკვია (თუ ასე არა, მაშ რატომ უნდა ემოგზაურა მას ასეთ საშიშ დროს დასავლეთ ვირგინიის ნაკლებად ცნობილ ადგილებში?), სამხრეთელმა ოფიცრებმა ყველაზე თბილი შეხვედრა მოუწყვეს.

თუმცა პრაისი შეიძლება ზედმეტადაც ამჟღავნებდა თავის „ლორდობას“, იცვამდა ლონდონის უკანასკნელი მოდის მიხედვით მიყრუ-

ებულ პროვინციაში, — ესეც შერჩა. მას მრავალი საბუთი ჰქონდა, რომლებიც მის არისტოკრატიულ ნაცნობობას თითქოს ადასტურებდნენ. ინგლისში ლუისი ლორდ ტრესის ახლოს ცხოვრობდა და, როდესაც ეს საჭირო იყო, თავისი ყოფილი მეზობლის უმცროს ვაჟად მოჰქონდა თავი.

უმეტეს შემთხვევებში ლუისი ამჯობინებდა არ დაესახელებინა თავისი გვარი, რაც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობასა და სიმართლის ელფერს აძლევდა მის მისიას, რომელიც, სამხრეთელების აზრით, უეჭველად დაკავშირებული იყო ლონდონის კაბინეტის საიდუმლო გეგმებთან. უფრო მეტიც, პირველი კლასის სასტუმროებში გაჩერებისას ლუისი რეგისტრაციის დროს თავის საკუთარ გვარსაც კი ასახელებდა. ეს უფრო მეტად არწმუნებდა კონფედერატებს, რომ მილორდი სხვისი სახელით მოგზაურობს, თუმცა, როგორც თანდაყოლილი არისტოკრატი, არც მაინცდამაინც იწუხებდა თავს იმაზე ზრუნვით, რომ როგორმე ინკოგნიტო შეენარჩუნებინა. პირველი ხარისხის შამპანურებით მზრუნველობით დატვირთული ლუისის ეტლი უკანასკნელ ეჭვს უფანტავდა სამხრეთელ ოფიცრებს. ღირდა კი შარის მოდება სამხრეთის მიმართ აშკარა სიმპათიებით განწყობილი მაღალი წრის ინგლისელისათვის, თუკი მან მოგზაურობის დროს საჭიროდ არ ჩათვალა თან წამოეღო პასპორტი? ღირდა კი, რომ დანაშაულად ჩაეთვალათ უცხოელისათვის, თუ ის ზოგჯერ გამოჩნდებოდა ჯარის განლაგების ადგილას, რაზედაც მას ეჭვიც არ ჰქონდა? ლუისი უხსნიდა თავის მოსაუბრეებს, რომ ის ყირიმის ომის მონაწილე იყო და კარგად იცნობდა სამხედრო ტექნიკის სიახლეებს, რომლებსაც სევასტოპოლის ცნობილი ალყის დროს იყენებდნენ. პოლკოვნიკმა პატონმა (მეორე მსოფლიო ომის დროს ცნობილი ამერიკელი გენერლის პაპა), რომელმაც ის დაჰკითხა, დეტალებისადმი ისეთი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა, რომ ლუისს გაუჭირდა საუბარი მისთვის ნაკლებად საშიშ თემაზე გადაეტანა.

მაგრამ ყველაზე დიდი საშიშროება „ლორდ ტრესის“ და მის მსახურს, სამხრეთის ერთ-ერთ მთავარ ქალაქ ჩარლსტონში ელოდა. ამ რაიონში სამხრეთელების ჯარების სარდალმა გენერალმა ვაიზმა (ადრე ის იყო ვირგინიის გუბერნატორი, რომელმაც ბრძანება გასცა მონობის წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლის ჯონ ბრაუნის სიკვდილით დასჯაზე) შექმნა ჯაშუშომანიის ატმოსფერო. ვაიზმა დააპატიმრა ათეულობით ადამიანი ეჭვით, რომ ჩრდილოეთს ეხმარებიან ან მის მიმართ სიმპათიით არიან განწყობილნი. მიუხედავად ამისა ლუისი იძულებული გახდა ვაიზისათვის ეთხოვა მიმიღეთო, ვინაიდან უპას-

პორტოდ მგზავრობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გენერალმა კატეგორიული უარი უთხრა. მაშინ ლუისმა გადაწყვიტა ბოლომდე განეგრძო თამაში და ცივად აუხსნა გენერალს, რომ პასპორტს მისი დახმარების გარეშე მიიღებდა.

— რა გზით? — აბუჩად ამგდები თავაზიანობით ჰკითხა სამხრეთელმა.

— რიჩმონდში ბრიტანეთის საკონსულოს მეშვეობით, — უხეშად უპასუხა ლუისმა.

როდესაც ლუისმა სასტუმროში კონსულისათვის წერილი შეადგინა და თავისი სრული გვარი მოაწერა, მისი „მსახური" ბრიჯმენი წინააღმდეგი წავიდა. მან უთხრა, ეს იმას ნიშნავს, რომ წერილს თუ გააგზავნი, უნდა გიპასუხონ, რაც კონფედერატების წინაშე გამოგვაამჟარავებსო. ლუისი არ დაეთანხმა, რადგანაც პასუხის მიღებამდე ხელისუფლება მათ ხელს ვერ დააკარებდა. ეს კი დროის მოგებაა, რომელიც ინფორმაციის შეგროვებისათვის სჭირდებოდათ. და, მართლაც, ლორდის ტიტული, შამპანურის მარაგი, აგრეთვე ამბები ინგლისის არმიაზე, ენას უხსნიდა სამხრეთელ ოფიცრებს, რომლებიც შესადარებლად თავიანთი ჯარების ამბებს ამოულაგებდნენ ხოლმე ბრიტანელ მეგობარს, მაგრამ აწყობილი საქმე უსიამოვნო ეპიზოდმა შეწყვიტა. სასტუმროს პატრონმა, სადაც ლუისი გაჩერდა (შესაძლებელია, ჩრდილოელთა საიდუმლო მომხრემ), ერთხელ ფრთხილად განზე გაიხმო წარჩინებული მდგმური და აცნობა, რომ მისი მსახური კარგად შეზარხოშებული მობრძანდა, ამასთანავე ნება მისცა თავის თავს სახალხოდ მიეყენებინა შეურაცხყოფა სამხრეთელთა ოფიცრებისათვის, თუმცა ეპიზოდს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ცრუ ლორდს თავისი თანამგზავრისათვისაც ყური უნდა მიეგდო, რომელსაც სასმელი ადვილად ჯეთუნებდა.

მაგრამ უკვე დრო იყო დაეტოვებინათ ჩარლსტონი. დღე დღეზე მოსალოდნელი იყო კონსულის პასუხის მოსვლა, რომ ის არ იცნობს არავითარ ბატონ ლუისს. ჩარლსტონიდან გამომგზავრების პირველსავე ცდაზე კი ორივე მოგზაური რისკის წინაშე დგებოდა: ვაიზი მათ მაშინვე დააპატიმრებდა. ისინი ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა. გენერალი საჩქაროდ გაემართა თავისი ჯარით ფრონტზე, ხოლო მისი შემცვლელი პოლკოვნიკი ტიმკინსი უფრო დამყოლი ადამიანი აღმოჩნდა. მართალია, მან არ მისცა პასპორტი, ვინაიდან არ ჰქონდა ასეთი რწმუნება, მაგრამ ურჩია რიჩმონდში გამგზავრება, სადაც ლუისი, მისი სიტყვით, კიდეც აპირებდა წასვლას. ტიმკინსი ურჩევდა დიდი გზით გამგზავრებას, სადაც საშვი თითქოს არც კი იყო საჭირო.

ინგლისური ეტლი დილაადრიან სასწრაფოდ გავიდა ჩარლსტონიდან. მალე ლუისმა და მისმა თანამგზავრმა რიჩმონდისაკენ მიმავალი გზიდან გადაუხვიეს და მთებისაკენ დაიძრნენ, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ ჩრდილოეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გავიდოდნენ. განსაკუთრებით საშიში იყო ახლა შეხვედრა ჩარლსტონელ ნაცნობებთან, რომელთაც შეიძლება გაკვირვებოდათ შარშრუტის მოულოდნელი შეცვლა. ერთ პატარა ქალაქში ისინი მაინც დააკავეს. მართალია, ლუისმა დაარღვია წესი, რომელიც მოითხოვდა თავის თავზე ერთი და იმავე ცნობების მიცემას, სამაგიეროდ, ამჯერად თავი ისე წარადგინა, როგორც მსხვილი ინგლისელი ფაბრიკანტის შვილმა და იმედი ჰქონდა, რომ, მიუხედავად ჩრდილოეთის ბლოკადისა, სამხრეთიდან ბამბას მაინც მიიღებდა.

დარტყმა ისევ ზუსტი გამოდგა — სამხრეთელები სწორედ იმაზე ოცნებობდნენ, რომ ინგლისის დახმარებით გაერღვიათ ბლოკადა, რომელიც ჩრდილოელებმა ზღვაზე დაამყარეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ინგლისი აუცილებლად დაეხმარებოდა მათ, ვინაიდან მათი ფაბრიკები დიდხანს ვერ იარსებებდა სამხრეთის ბამბის მიუწოდებლად. მოსვლა ინგლისელი ფაბრიკანტის შვილისა, რომელიც ძალიან ცდილობდა მიეღო ბამბა, იმის საუკეთესო დამადასტურებელი იყო, რომ სამხრეთელების იმედები არ შეიძლებოდა დიდხანს შეუსრულებელი დარჩენილიყო. ლუისმა კიდეც წარმოთქვა ასეთი შინაარსის იმპროვიზებული სიტყვა ჯერ პოლკოვნიკთან, რომელიც ქალაქში განლაგებულ ჯარებს მეთაურობდა, და შემდეგ კი ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფის წინაშე, რომლებიც აქამდე მის, როგორც საეჭვო უცხოელის, დაპატიმრებას მოითხოვდნენ. საღამოს სტუმართმოყვარე პოლკოვნიკთან მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, თუმცა ლუისი თვალს არ აშორებდა სუფრასთან მიწვეულ სემს, რომ ზედმეტი არ დაელია და არ გაეფუჭებინა ასეთი წარმატებით ჩატარებული თამაში.

პოლკოვნიკს სტუმრის ლაპარაკი იმდენად მოეწონა, რომ მან სთხოვა კიდეც გამოსულიყო ფრონტზე გასაგზავნი ჯარისკაცების ორი ასეულის წინაშე. ლუისი დათანხმებას აპირებდა, მაგრამ უცებ ენაზე იკბინა, რომ გაიგო, ეს ასეულები გენერალ ვაიზის განკარგულებაში მიდიოდნენ! ლუისმა პოლკოვნიკს აუხსნა, სამწუხაროდ, გამთენიისას გამგზავრებას ვაპირებო. მიუხედავად ამისა, სტუმართმოყვარე პოლკოვნიკმა მაინც მოასწრო საღამოს წარედგინა იგი ათეულობით ადამიანისათვის, უფრო მეტიც, შეეთრია იგი ადგილობრივ საცეკვაო დარბაზში, სადაც ლუისმა ინგლისის სახელით

სამხრეთისადმი სიმპათიები გამოთქვა. იგი მხოლოდ ღამის ორ საათზე განთავისუფლდა, ხუთზე კი — უკვე გასამგზავრებლად მოემზადა...

ის იყო ლუისმა ეკიპაჟში ფეხი შედგა, რომ მის წინ პოლკოვნიკი აღიმართა და მკაცრი ტონით სთხოვა გაჰყოლოდა. ლუისი დაძაბული იხსენებდა, რას შეეძლო გაემჟღავნებინა: უბრალო ეჭვს, ინფორმაციას გენერალ ვაიზიდან, თუ სხვა რაიმეს, რომელმაც გასცა ინგლისელი ფაბრიკანტის ცრუ შვილი. ყველაფერი გაცილებით უბრალო აღმოჩნდა. პოლკოვნიკმა მოიტანა ერთი ბოთლი ძველი ღვინო, რომელიც სურდა მასთან ერთად დაელია დასამშვიდობებლად. ლუისის ეკიპაჟს თავშეყრილი ოფიცრებისა და ჯარისკაცების აპლოდისმენტები აცილებდა. მას ბედნიერ მგზავრობას უსურვებდნენ.

მიაღწია თუ არა თავისიანებამდე, ლუისმა პინკერტონის ბრძანებით ყველა მის მიერ მოგროვილი ინფორმაცია გენერალ კოკსს გადასცა. ლუისმა კოკსის პირისპირ მდგომ სამხრეთელებზე საკმაოდ ნაკლები რიცხვი აჩვენა, ვიდრე მათი არმიის დაზვერვა იძლეოდა. აუტანელი ყოყმანის შემდეგ კოკსი ენდო ჩამოტანილ ცნობებს და დაიწყო შეტევა, რომელიც შესამჩნევი წარმატებით დამთავრდა. გენერალი თავისი გამჭრიახობისათვის უხვ ქება-დიდებას იღებდა და, რასაკვირველია, საჭიროდ არ ცნობდა გაეხსენებინა, თუ ვისგან იყო დაეალებული ინფორმაციებით. ღირდა კი ასეთი წვრილმანის გახსენება?

ექვსი ბატონის მსახური

ლუისისაგან განსხვავებით, ჩრდილოელების მეორე მოხერხებული მზვერავი ფილიპ ჰენსონი პინკერტონთან არ იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ, მას ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პატრონი ჰყავდა. ერთდროულად ექვსი გენერალი მას თავის სამსახურში თელიდა. ამ გენერლებიდან ოთხი სამხრეთელი იყო, ორი კი ჩრდილოელი. მიუხედავად დამჭირავებლების ასეთი სიმრავლისა, ჰენსონი ერთგულად ემსახურებოდა თავის ჩრდილოელ პატრონებს. და ატყუებდა სამხრეთელებს. მაგრამ ისე კი არა, სულ არ მიეცა რაიმე ცნობები კონფედერატებისათვის, — ამას შეიძლება მთელი საქმე გაეფუჭებინა. უფრო მეტიც, მისი ინფორმაცია შეესაბამებოდა კიდეც სინამდვილეს, უბრალოდ საკითხი ყოველთვის შედარებით უმნიშვნელო ამბებს ეხებოდა. სინამდვილეს შეეფერებოდა ისიც, რომ როგორც

ჰენსონმა კონფედერატების გენერლებს აცნობა, იგი წარმოშობით სამხრთელი იყო, ხოლო იმაზე, რომ მისი სიმპათიები მთლიანად ჩრდილოელების მხარეზე იყო, ჰენსონმა გაჩუმება არჩია. ამ დეტალს არავის, ახლობელ ნათესავებსაც კი არ ანდობდა. მისმა ცოლმაც არაფერი იცოდა თავისი ქმრის მიერ წამოწყებულ რთულ თამაშზე, ხოლო ამ ქალის მოტყუება სამხრეთელი გენერლების გაცურებაზე უფრო ძნელი იყო.

თავისი ნათესავებისაგან განსხვავებით ჰენსონმა მოხერხებულად აიცდინა სამხრეთელების ჯარში გაწვევა საკმაოდ ორიგინალური ხერხით. მან ზედამხედველად დაიწყო მუშაობა ერთი თავისი მეგობრის პლანტაციაში. ეს კი მისისიპის შტატის კანონით ანთავისუფლებდა სამხედრო ვალდებულებისაგან. როდესაც შტატის ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს ჩრდილოეთის ჯარებმა, რომლებმაც დესანტი ახალი ორლეანის მახლობლად გადმოსხეს, ჰენსონმა რამდენიმე დიდი თანამდებობის სამხედრო პირი გაიცნო, მათ შორის დაზვერვის ხელმძღვანელი ტრიუსდეილიც. ჰენსონი თავიდანვე დაეხმარა ჩრდილოელებს ბამბის შესყიდვასა და გაზიდვაში, რომელიც აუცილებელი იყო ჩრდილოეთის ფაბრიკებისათვის, შემდეგ კი დათანხმდა შეესრულებინა ტრიუსდეილის თხოვნა სამხრეთელთა გენერლის პაისის გეგმების გაგების შესახებ.

ჰენსონის ძალა იმით გამოიხატებოდა, რომ ეს შუახნის, სასიამოვნო მანერების მქონე და, რაც მთავარია. გაელენიან პლანტატორთა წრეებთან დაკავშირებული სამხრეთელი მიღებული იყო მათ მიერ როგორც თავიანთი კაცი და თუ მან ვაშინგტონის მთავრობას ერთგულების ფორმალური ფიცი მისცა, ეს არაფერს ნიშნავს. ასე იქცეოდა პლანტატორთა უმრავლესი ნაწილი, რომელიც ჩრდილოელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა. სამხრეთის არმიის ჯარისკაცებისათვის კი ჯენტლმენს ყოველთვის თან ჰქონდა საუკეთესო პურის არაყის მარაგი და არაფრით არ შეიძლება ყოფილიყო „დაწყეველილი იანკების“ აგენტი. ჰენსონი ეყრდნობოდა თავის არაჩვეულებრივ მეხსიერებას და არასოდეს არ აკეთებდა ჩანაწერებს, რომელთაც მისი გაცემა შეეძლოთ. ამიტომ ტრიუსდეილის თხოვნის შესრულება ჰენსონისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მან ადვილად მიაღწია სამხრეთის არმიის განლაგების ხაზს, წაეხუმრა გუშაგებს და ამგვარად, სრულიად შეუფერხებლად მიაღწია პრაისის შტაბამდე. ჰენსონს მაშინვე შეეძლო უკან დაბრუნება, მან ყველაფერი კარგი უსურვა თავის ნაცნობ გუშაგებს და გამოემგზავრა. ჩამოსელისას შეგროვილი ცნობები ჩრდილოელების სარდლობას გადასცა.

შემდეგ ამგვარი რეიდები არაერთხელ მეორდებოდა. ჰენსონს ყველგან ჰყავდა მეგობრები. ისინი მზად იყვნენ დაეფიცათ, რომ ის ნამდვილად სამხრეთელი ჯენტლმენია. მაგრამ კონფედერატების გენერალმა როდიმ, რომელიც ალაბამის შტატის ჯარებს სარდლობდა, მაინც გამოთქვა ეჭვი და ბრძანა ჰენსონი მასთან მიეყვანათ. გენერლის მოღუშული გამოხედვა ჰენსონს კარგს არას უქადდა. მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ როდის რისხვა გამოწვეული იყო იმით, რომ ჰენსონი არ იმყოფებოდა სამხრეთის არმიის რიგებში. ამაზე მზვერავს, რასაკვირველია, წინასწარ ჰქონდა მომზადებული გასამართლებელი პასუხი. ჰენსონის განცხადებით, მისი სახლი ჩრდილოელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ამიტომ მას, უპირველეს ყოვლისა, განზრახული აქვს გადმოიყვანოს ოჯახი, რის შემდეგ აუცილებლად ჩაეწერებოდა კონფედერატების რიგებში. დაპირების შემდეგ, რომ იგი აუცილებლად ჩაეწერებოდა კავალერიის ნაწილში, რომელსაც როდი ხელმძღვანელობდა, გენერალმა იგი გაათავისუფლა.

ამ დროისათვის ჰენსონი ჩრდილოელთა გენერლის, შემდგომში ტრანსკონტინენტური რკინიგზის მაგისტრალის იუნიონ პასიფიკის ცნობილ მშენებელ გრენვილიუ დოჯთან გადავიდა სამსახურში. 1862 წლის ბოლოს მისისიპში მოწინააღმდეგე არმიების დიდი შეტაკება უნდა მომხდარიყო. ამიტომ დოჯს უნდოდა კონფედერატების გეგმებზე ცნობები მიეღო. ჰენსონი ახალი დავალების შესახრულებლად წავიდა. სამხრეთელთა პატრულებმა იგი უმალვე დააკავეს და გენერალ რაგლსთან მიიყვანეს. ჰენსონს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ესარგებლა გენერლის სამსახურით და უარი არ ეთქვა შეთავაზებულ ფულზე. რასაკვირველია, რაგლსს ეგონა, რომ ის კი არ უწევდა ჰენსონს სამსახურს, არამედ პირიქით, ჰენსონი ემსახურებოდა მას. მაგრამ, ვინაიდან ეს ილუზია ჰენსონს ხელს აძლევდა, მან არ გაფანტა იგი. როგორც უკვე ითქვა, ფული აიღო და დაჰპირდა დაზვერვა სამხრეთელების სასარგებლოდ ეწარმოებინა. ასე, თითქმის ყოველ კვირას, წლინახევრის განმავლობაში, ის დადიოდა დოჯსა და რაგლსს შორის და მიითვისა პოლკოვნიკის ტიტული, რომელსაც არც ერთი მოწინააღმდეგე არ თვლიდა სადავოდ.

მალე ჰენსონის წინაშე უფრო რთული ამოცანა დადგა. მდ. მისისიპთან მდებარე ქალაქი ვიკსბურგი კონფედერატებმა ძლიერ ციხესიმაგრედ გადააქციეს. მრავალი თვის მანძილზე ეს სიმაგრე გარშემორტყმული იყო ჩრდილოეთის არმიის მიერ. ვიკსბურგის აღებით ისინი მთლიანად კონტროლს გაუწევდნენ ამ ქვეყნის მნიშვნელოვან

საწყლოსნო არტერიას და ორ ნაწილად გაყოფდნენ აჯანყებულ სამხრეთ შტატების ტერიტორიას. გასაგებია, რომ ჩრდილოეთის საიდუმლო სამსახური იწვოდა სურვილით — რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები მიეღო ვიკსბურგის სიმაგრეებზე.

ჰენსონმა მოქმედება უკვე ნაცადი ხერხით დაიწყო. მას ჰყავდა ერთი მეზობელი, ვინმე ჯონსი. მისი ვაჟები კონფედერატების არმიის სწორედ იმ ნაწილებში იბრძოდნენ, რომლებიც ვიკსბურგის ახლოს იდგნენ. მან შესთავაზა ჯონსს გაჰყოლოდა სამოგზაუროდ, და თან მეგობრულად, როგორც მეზობელს, კარგი ცხენი ათხოვა. ამგვარად, მგზავრობისათვის სრულიად შესაფერისი მოტივი იქნა გამოძებნილი. ამას ემატებოდა ის, რომ ჰენსონი სამხრეთელების აგენტად ითვლებოდა და კონფედერატებთან შეხვედრის დროს შეეძლო ნდობის მოპოვება, თუკი მათ ჩრდილოელების შესახებ უმნიშვნელო, მაგრამ რაღაც ნამდვილ ინფორმაციას მიაწვდიდა. შეაღწია თუ არა ვიკსბურგში, ჰენსონმა იმ გაჭირვების მოყოლა დაიწყო, რომელსაც ყველა პეშმარიტი კონფედერატი იანკების ხელისუფლებისაგან განიცდიდა. გენერალმა პენმბერტონმა სთხოვა მას გამოსულიყო და საჯაროდ გაემეორებინა თავისი მონაყოლი ჯარისკაცების წინაშე. ჰენსონმა ყველაფერი იმის დანახვა მოასწრო, რაც მას ვიკსბურგის თავდაცვით ნაგებობათა შესახებ ესაჭიროებოდა.

დაბრუნდა თუ არა დოჯთან მნიშვნელოვანი ინფორმაციებით, მოუსვენარმა ჰენსონმა ერთდროულად ორ სამხრეთელ გენერალს — გოლსტონსა და ფერგიუსონს შესთავაზა სამსახური. გაწვრთნილმა მზვერავმა იმას მიაღწია, რისი მიღწევაც მანამდე და მის შემდეგ მოუშავე მისმა კოლეგებმა ვერ შესძლეს. ის იმდენად არ ამარაგებდა თავის სამხრეთელ დამქირავებლებს ინფორმაციებით, რამდენადაც მათ სტყუებდა ბევრ მნიშვნელოვან ცნობებს და დაუყოვნებლივ გადასცემდა გენერალ დოჯს. ხოლო ზოგიერთმა ფუფუნების საგანმა, რომლის შოვნა ბლოკირებულ სამხრეთ შტატებში არ შეიძლებოდა და, რომლებსაც ჰენსონი შოულობდა ფრონტის ხაზის გამოვლით თავისი დამქირავებელი ერთ-ერთი სამხრეთელი გენერლის ცოლისათვის, კიდევ უფრო განუმტკიცეს შეუცვლელი. ადამიანის სახელი.

რასაკვირველია, გაუგებრობაც ხდებოდა. თავის მეგობარ რაგლსთან ერთ-ერთი მორიგი რეისის დროს ჰენსონი დარწმუნდა, რომ გენერალი გადაყვანილია ფრონტის სხვა უბანზე, ხოლო მისი შემცველელი ოფიცრები დიდი ეჭვით შეხვდნენ ჩამოსულ მზვერავს. ჰენსონი დააპატიმრეს, მაგრამ გუშაგები მოისყიდა ასიოდე სამხრეთული დოლარით, რომელიც სწრაფად უფასურდებოდა და გაიქცა.

ამ შემთხვევას, რასაკვირველია, ხელი არ შეუშლია ჰენსონისათვის ენახა თავისი მეორე დამქირავებელი, გენერალი გოლსტონი და იქ სამხედრო კარავში მოსვენების დროს მოესმინა მოხსენებები, რომლებსაც გენერალს მზვერავები და ნაწილების მეთაურები აუწყებდნენ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ცნობებით გამდიდრებული ჰენსონი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაბრუნებულიყო საჩქაროდ დოჯთან და ამიტომ უყოყმანოდ მიიღო გოლსტონის წინადადება, გაებედა და ისევ გადასულიყო ჩრდილოელების განლაგებაში. ომისაგან დანგრეული ადგილების გავლით. დანიშნულების ადგილას მიღწევა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მაგალითად, როგორ გადასულიყო მდინარე ტენესზე, როცა ყველა ნავი განადგურებული ან წაყვანილი იყო ორივე არმიის ჯარისკაცების მიერ? ჰენსონს დიდად დაეხმარა თავისი სიძე, თავგამოდებული კონფედერატი იანს ნობლსი, რომელიც ჰენსონს სამხრეთელების აგენტად თვლიდა.

ჰენსონის ერთი მგზავრობა განსაკუთრებით საშიში აღმოჩნდა. ამჯერად დოჯმა დაავალა მას ხანგრძლივად ემოგზაურა კონფედერატების ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. დოჯმა წინასწარ გამოაღო მაგიდის ყუთი, სადაც ყველა მისი ოპერატიული გეგმა ელაგა და შესთავაზა ჰენსონს აერჩია ის, რომელიც დაეხმარებოდა მას სამხრეთელების ბანაკში. ჰენსონმა ამოარჩია რამდენიმე ქაღალდი. ისინი, რომლებიც პირველი შეხედვით უფრო მნიშვნელოვანი ეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მიიღო თუ არა დოჯის თანხმობა ამ ქაღალდების გამოყენებაზე, ჰენსონი პირდაპირ ლომის ხახისაკენ გაემართა. მისი გზა სამხრეთის ერთ-ერთი მთავარი გენერლის ფორესტის შტაბში მიდიოდა. ის ცნობილი იყო ანგარიშის დაუნდობელი გასწორებით ყველა ეპვმიტანილთა მიმართ, რომელნიც ჩრდილოელებს ეხმარებოდნენ.

ჰენსონის „მეგობართა" ფართო წრეში მოხვედრილი ერთი სამხრეთელი ოფიცრის რეკომენდაციამ ფორესტზე მოსალოდნელი გავლენა ვერ მოახდინა. „თქვენ საიდან გამოცხადდით"? — აშკარა უნდობლობითა და სიმკაცრით ჰკითხა მან ჰენსონს. საოცარია, მაგრამ ფაქტი იყო, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ სიმართლეს შეეძლო, რასაკვირველია არა სრულ სიმართლეს. „გენერალ დოჯის შტაბიდან",— პირდაპირ უპასუხა ჰენსონმა და აუხსნა, რომ ის ჩამოვიდა გენერალ გოლსტონის ბრძანებით. ჰენსონმა არ იცოდა, რომ გოლსტონი იქვე იმყოფებოდა. როდესაც იგი ფორესტთან გამოიძახეს, მზვერავს ისევ არასასიამოვნო წუთების გადატანა მოუხდა. მაგრამ გოლსტონს არავითარი ეპვი არ ჰქონდა და ის ორი კვირა, რომელიც მათი უკანას-

კნელი შეხვედრის შემდეგ გავიდა, გენერალს დავალების შესასრულებლად სრულიად ბუნებრივადაც მოეჩვენა. გოლსტონმა დაარწმუნა ფორესტი, რომ ჰენსონი სამხრეთელების ერთგული აგენტია. ფორესტი ჯერ კიდევ მთლად არ იყო დარწმუნებული, მაგრამ ისიც კი შეყოყმანდა, როდესაც ჰენსონმა დოჯისგან მიღებული მასალები გადმოულაგა.

ზოგიერთი მასალის სიმართლეში ეჭვის შეტანა ფორესტს უკვე აღარ შეეძლო. იგი აღელვებული იყო იმ ახალი ამბით, რომელიც ჰენსონმა აუწყა გენერალ დოჯის მიერ სამხრეთელების ზურგში მზვერავთა მთელი ახალი ჯგუფის გამოგზავნის შესახებ. ჰენსონმა თავმდაბლურად დაუმატა, რომ ის ყველას იცნობს სახეზე. ამ ცნობაში ყველაფერი მართალი იყო, გარდა ერთისა: მზვერავებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და უკან დაბრუნდნენ ჩრდილოელთა განლაგებაში.

მაგრამ ფორესტს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. მან დაავალა ჰენსონს ერთ-ერთი თავისი დაზვერვის ოფიცრის თანხლებით შემოგზავნილი ჩრდილოეთის ჯაშუშების საძებნელად გამგზავრებულიყო. ფორესტისა და მეორე სამხრეთელი მხედართმთავრის გენერალ პოლკის მიერ ხელმოწერილი პასპორტით საომარი მოქმედების მრავალი რაიონის შემოვლის შემდეგ ჰენსონი, ყოველგვარი სიძნელის გარეშე, ძვირფასი ინფორმაციებით ისევ დოჯთან დაბრუნდა. ეს იყო უკვე 1864 წლის გვიან გაზაფხულზე. ომის უკანასკნელი წელი იდგა. ახლოვდებოდა მონათმფლობელთა კონფედერაციის კრახი.

დოჯმა კიდევ ერთი მგზავრობა შესთავაზა ჰენსონს, რომელიც, როგორც იგი იმედოვნებდა, უკანასკნელი იქნებოდა. ის არც შემცდარა, თუმცა ამბები სრულიად მოულოდნელად განვითარდა. უბრალოდ, ჰენსონი ფრონტის ხაზზე გადასვლის შემდეგ შეხვდა გენერალ როდის, რომელსაც ჯერ კიდევ სამი წლის წინ დაჰპირდა მისი კავალერიის რიგებში შესვლას. როდიმ ყური არ დაუგდო მის ახსნა-განმარტებას და ჰენსონი მაშინვე დაპატიმრა, შემდეგ კი ბადრაგით სამხრეთელების მთავარსარდლის რობერტ ლის თანამეგვარესთან ს. დ. ლისთან გაგზავნა. ის მკაცრად დაკითხეს. ჰენსონის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და მან გაბედულად განაცხადა, რომ იგი საბედისწერო შეცდომის მსხვერპლია და მზადაა მოკვდეს საყვარელი სამხრეთისათვის.

საბოლოოდ ლიმ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა რა ეფიქრა პატიმარზე, გადაწყვიტა თვითონ დაეკითხა იგი. გენერალმა ჰკითხა, იყო თუ არა ის ჩრდილოეთის ჯარების მიერ დაკავებულ ერთ ქალაქ-

ში. ჰენსონმა უპასუხა, რომ იყო და შეთხზა სინამდვილის მაგვარი ისტორია, რათა ამ ქალაქში თავისი ჩასვლა აეხსნა. მაშინ ლიმ პირდაპირ ჰკითხა: მისი აზრით, საიდან იყო მოსალოდნელი ჩრდილოელების მორიგი დარტყმა. ჰენსონმა უყოყმანოდ უჩვენა მიმართულება, საიდანაც უნდა დაწყებულიყო შეტევა (მას კარგად ესმოდა, რომ სამხრეთელებს უკვე არ ექნებოდათ დრო კონტრზომების მისაღებად). მართლაც, აქვე ლის მოუტანეს დეპეშა: ჩრდილოელების შეტევა სწორედ ჰენსონის ნაჩვენები პუნქტიდან დაიწყო. ლიმ ტუვე გენერალ პოლკთან გადაგზავნა, რომელიც მზად იყო გაეთავისუფლებინა იგი, მაგრამ საქმეში ისევ როდი ჩაერია. მან დაარწმუნა ფორესტი, რომელიც ყოველთვის ეჭვობდა ჰენსონზე, რომ ეს საშიში ადამიანი პატიმრობაში ჰყოლოდათ.

დაიწყო პატიმრობის თვეები... მაგრამ ფორესტმა ისევ გაიხსენა ჰენსონი. კონფედერატების არმია უკვე სულს ღაფავდა. მას დიდად ესაჭიროებოდა შევსება და ფორესტმა ბრძანა პატიმარი სამხრეთელების ჯარში ჩაერიცხათ. ჰენსონმა მოახერხა, რომ იგი 26-ე პოლკში გაეგზავნათ, რომელიც მისისიპის შტატის მცხოვრებლებისაგან იყო შედგენილი. მან იცოდა, რომ პოლკი ვირგინიაში მიემართებოდა და იმედი ჰქონდა, რომ გაიქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში ის ავად გახდა და ძალიან დასუსტდა, ბოლოს და ბოლოს მაინც მოახერხა გაქცევა. მან თავი ნათესავებთან შეაფარა (რომლებიც მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ ის არ იყო სამხრეთელების ჯაშუში), და ფედერალური ჯარების მოსვლას დაელოდა.

მონათმფლობელთა გუნაგში

სამოქალაქო ომის ისტორია მრავალ სხვა მზვერავს იცნობს, რომლებიც ბევრ რამეში ჰგავდნენ იმათ, ვიზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ, როგორც წესი, ნაკლებად იღბლიანები გამოდგნენ. ჩრდილოეთის აგენტთა შორის ქალებიც იყვნენ.

ოპერეტის მსახიობმა ქალმა პაულინა კეშმენმა კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილის თეატრში ფურორი მოახდინა, როდესაც სცენაზე უცებ შამპანურით სავსე ჭიქა ასწია და სამხრეთ შტატების წარმატება უსურვა. ქალაქს ჩრდილოეთის ჯარები უწევდნენ კონტროლს და კონფედერაციისადმი ამგვარი აშკარა სიმპათიების გამოთქმას აღტაცებით შეხვდნენ შეძლებულ მონათმფლობელთა მრავალრიცხოვანი მომხრეები. თეატრში აურზაური ატყდა, ხოლო მოსულმა სამხედრო

რაზმმა უმალ დააპატიმრა მსახიობი, რომელიც ხმამაღლა ესალმებოდა სამხრეთელებს. სამხრეთელები და მისი გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ პაულინას ასეთი თავხედური გამოსვლა ფედერალური ხელისუფლების მიმართ გამოწვეული იყო სამხრეთელი ოფიცრების თხოვნით, რომლებმაც ის საიდუმლოდ ინახულეს და გულუხვ ჯილდოს, 3 ათას დოლარს, დაპირდნენ, მაგრამ სინამდვილეში საქმე არც ისე უბრალოდ იყო.

მიიღო თუ არა ეს წინადადება, მსახიობმა, შესაძლებელია, პირველად დაუსვა თავის თავს კითხვა პოლიტიკურ სიმპათიებზე. ეს სიმპათიები ეკუთვნოდა ჩრდილოეთს, რომელიც მონათმფლობელთა აჯანყების წინააღმდეგ იბრძოდა. პაულინამ მაშინვე მიაშურა მურს— ქალაქის სამხედრო პოლიციის უფროსს. სწორედ მან შესთავაზა ქალს დათანხმებოდა სამხრეთელი აგენტების თხოვნას, რამაც კეშმენს კონფედერაციის თავგამოდებული მომხრის რეპუტაცია განუმტკიცა. 1863 წლის მაისში აჯანყებულებისადმი სიმპათიით განწყობილ სხვა ქალებთან ერთად პაულინაც გადაასახლეს სამხრეთში — სწორედ იმ რაიონში, სადაც განლაგებული იყო გენერალ ბრეგის არმია, რომელზედაც ფედერალური სარდლობა დაწვრილებითი ცნობების მიღებას ცდილობდა. მაგრამ პაულინამ, რომელსაც იმედი ჰქონდა თაყვანისმცემელთა თანხლებით სამხრეთელთა გამაგრებული რაიონები შემოეელო, ვერ მიაღწია წარმატებას. გენერალ ფორესტთან მიიყვანეს ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი მსახიობი. ის ამჯერად არც შეყოყმანებულა. სწრაფად ჩატარდა სასამართლო და განაჩენიც გამოიტანეს. მხოლოდ ჩრდილოელების შეტევამ გადაარჩინა პაულინა, რომელიც ციხეში იმყოფებოდა და განაჩენის სისრულეში მოყვანას ელოდა.

უფრო მეტი წარმატებით მოღვაწეობდა ელიზაბეტ ვან-ლეი კონფედერაციის დედაქალაქ რიჩმონდში. ფილიპ ჰენსონივით, მასაც ერთი დაუფასებელი უპირატესობა ჰქონდა, როგორც მზვერავს თავისი წარმოშობითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით მას თავისიანად თვლიდნენ მონათმფლობელურ დიდებულთა იმ წრეში, რომელიც სამხრეთში ბატონობდა. მართალია, მუქარისა და დაშინების მიუხედავად ის არ მალავდა ჩრდილოეთისადმი თავის სიმპათიებს. მან სამედიცინო დახმარებისა და თბილი საბნებით მომარაგების საქმის ორგანიზაცია მოაწყო რიჩმონდში დაკავებული ჩრდილოეთის არმიის სამხედრო ტყვეებისათვის. სწორედ ჩრდილოეთისადმი აშკარა სიმპათიების ასე დემონსტრაციულად გამოვლინება აღმოჩნდა სასარგებლო მისი სადაზვერვო მუშაობისათვის. ძნელი იყო ეჭვის მიტანა

იმ ადამიანზე, რომელიც არ_მალავდა თავის თანაგრძნობას მტრისადმი. ამ მუშაობაში მას აქტიურად ეხმარებოდნენ მისი მსახურები, ძირითადად მის მიერ განთავისუფლებული მონები. ქალბატონ ელიზაბეტს ქალაქგარეთ მიწის პატარა ნაკვეთი ჰქონდა, სადაც გაშენებული იყო ბალჩები. ეს ქმნიდა მოსახერხებელ საბაბს მსახურების ქალაქგარეთ გასასვლელად, ისინი მეკავშირეთა როლს ასრულებდნენ. უფრო მეტიც, თავის როლს რომ ასრულებდა, ის გამოცხადდა ჯეფერსონ დეივისთან და მოითხოვა დაეცვათ მეზობლების მუქარისაგან, რომლებიც აშკარა სიძულვილით უყურებდნენ მას სამხედრო ტყვეების დახმარებისათვის. უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ელიზაბეტის რჩევით, ერთი მისი ყოფილი მონა, მერი ელიზაბეტ ბაუზერი, მოსამსახურედ მოეწყო პრეზიდენტის ოჯახში და ხშირად ღამით ხვდებოდა თავის ყოფილ ქალბატონს...

ელიზაბეტმა მარტო ფართო სადაზვერვო ორგანიზაციის შექმნა როდი შეძლო. ის ხელმძღვანელობდა იმ მზვერავებსაც, რომლებიც სამხრეთის დედაქალაქში ჩრდილოეთიდან იყვნენ შემოგზავნილნი. უკიდურეს შემთხვევაში მათ ყოველთვის შეეძლოთ მდევრებისაგან დამალვა და მის სახლში თავშესაფარის პოვნა. ელიზაბეტის აგენტებს შორის იყო სამხრეთელთა სამინისტროს რამდენიმე მოხელე.

ელიზაბეტ ვან ლუიმ მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა გადასცა გენერალ ბატლერსა და ჩრდილოელების მთავარსარდალ გენერალ გრანტს. ელიზაბეტს რამდენჯერმე პროვოკატორები მიუგზავნეს, ბევრჯერ ის კინაღამ გამოააშკარავეს, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მან შეძლო 1865 წლის აპრილში რიჩმონდში ჩრდილოეთის ჯარს დახვედროდა. კონფედერატების წასვლის შემდეგ ელიზაბეტი მთავრობის სახლისაკენ გაიქცა, სადაც დამწვარ არქივებში ფედერალური ხელისუფლებისათვის საინტერესო საბუთების მოძებნას შეეცადა.

გენერალ ულის გრანტის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი დამხობილი კონფედერაციის დედაქალაქ რიჩმონდში მისი მთავარი მზვერავის, ელიზაბეტ ვან ლუის სახლში მისვლა იყო.

1865 წლის 9 აპრილს სამხრეთის არმიის ნაშთები გენერალ ლის მეთაურობით აპომატოკსთან გენერალ გრანტის არმიას დანებდნენ.

14 აპრილს ვაშინგტონში სამოქალაქო ომის გამარჯვებით დამთავრება აღნიშნეს. „ფორდის“ თეატრში სპექტაკლს ლინკოლნი ესწრებოდა. მსახიობმა ბუტსმა ისარგებლა მცველების გაუგებარი დაუდევრობით, შეიპარა ლოჟაში, სადაც ლინკოლნი იჯდა, და კეფაში ესროლა პრეზიდენტს. მეორე დღეს, ისე რომ გრძნობაზე არც კი მოსუ-

ლა, აბრაამ ლინკოლნი გარდაიცვალა. ამ მკვლელობას მაშინ ბევრი ისე უყურებდა როგორც სამხრეთის პლანტატორების მიერ მონათმფლობელობის გაუქმების გამო პრეზიდენტისადმი სამაგიეროს გადახდის დრამატულ აქტს. მაგრამ საეჭვოა, რომ ბუტსის გასროლა უკანასკნელი დანაშაული იყოს სამხრეთის დაზვერვისა სამოქალაქო ომში. საქმე უფრო რთული იყო: ბევრი კვანძი ჯერ კიდევ დღემდე გაუხსნელია.

საოცარია დაცვის გულგრილობაც, ისიც, თუ როგორ ადვილად მოახერხა გაქცევა დანაშაულის ადგილიდან ლინკოლნის მკვლელმა. ისიც, რომ ყველგან იყო დაყენებული დაცვა, გარდა იმ გზისა, რომელიც ბუტსმა აირჩია, ისიც, რომ ის მოჰკლეს დაპატიმრების დროს, მიუხედავად კატეგორიული ბრძანებისა, ცოცხლად დაეჭირათ. ჩრდილოეთში ძლიერ გავლენიანი ძალები დაინტერესებული იყვნენ არ გამორკვეულიყო, თუ ვინ იმალებოდა მკვლელის უკან.

მრჩეველი შტიბერის ღვთისმოსაობა და პორნოგრაფია

ოთხმოციოდე წლის წინათ ბერლინში გამოვიდა წიგნი, რომელიც მოგვითხრობდა იმ ხანებში გარდაცვლილი საიდუმლო მრჩეველის შტიბერის სათნოებაზე, საშობლოსადმი მის უანგარო სამსახურზე. წიგნი გამოცემული იყო მისი საკუთარი არქივის გამოუქვეყნებელი მასალების საფუძველზე. მაგრამ ის ამბები, რასაც ახლა მკითხველი შეიტყობს, არ შესულა წიგნში. შტიბერი და მისი ანდერძის ამსრულებლები დუმილს ამჯობინებდნენ იმაზე, რაც საიდუმლო ომის ისტორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო.

ვილჰელმ შტიბერი დაიბადა 1818 წელს, საქსონიაში. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საკმაოდ ცნობილი ადვოკატი გახდა სისხლის სამართლის დარგში. შტიბერს პროცესებზე ბედი სწყალობდა. ის ხშირად ახერხებდა დასჯას გადაერჩინა ბევრი, ნამდვილად დამნაშავე კლიენტი. წარმატების საფუძველი მარტო მისი მჭევრმეტყველება როდი იყო. შტიბერმა „პოლიციის ჟურნალის" გამოცემა დაიწყო და პოლიციაში საკმაოდ დიდი ნაცნობობა შეიძინა. მის განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის, რომ შტიბერი პოლიციის საიდუმლო სამსახურის აგენტი გახდა. მისი მოვალეობა იყო დაახლოებოდა გერმანელ რევოლუციონერებს და ავანტიურისაკენ წაექეზებინა ისინი. ეს დაეხმარებოდა პოლიციას დაეპატიმრებინა და ციხეში ჩაესვა პრუსიის მონარქიის ყველა მტერი. ასეთ

პირობებში სასამართლო ხელისუფლება თვალს არიდებდა იმას, რომ შტიბერი წინასწარ გებულობდა ყველა მტკიცებას. რომელიც პოლიციას ჰქონდა შეგროვილი მის სისხლის სამართლის დამნაშავე კლიენტებზე და შეეძლო ადრევე სათანადოდ მომზადებულიყო დაცვისათვის.

მაგრამ შტიბერის ნამდვილი კარიერა 1848 წლის რევოლუციის დროს დაიწყო. ერთხელ, მარტში, მან შეძლო გადარჩენა მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმისა, რომელსაც თავს დაესხა სახიფათოდ განწყობილი ბრბო. შტიბერმა მეფე უახლოეს შენობაში შეიყვანა და კარები ჩაკეტა.

ამ შემთხვევის შემდეგ, 1857 წლამდე, როდესაც ფრიდრიხ-ვილჰელმი, ადრეც რომ ემჩნეოდა არანორმალურობის ნიშნები, საბოლოოდ შეიშალა, შტიბერს შეეძლო ნამდვილად ჰქონოდა მეფის წყალობის იმედი. მიუხედავად მისი ნაკლებ იღბლიანი კოლეგების შურისა, რომლებიც მას უმეცარ დილეტანტად და მეტიჩარად თვლიდნენ, მან სამსახურში სწრაფად იწყო წინსვლა.

პოლიციის მეორე ჩინოვნიკთან, ვერმუტთან ერთად შტიბერმა 1850 წელს გამოაქვეყნა თხზულება ორ ტომად „მეცხრამეტე საუკუნის კომუნისტური შეთქმულებები", რომელიც გარკვეული აზრით ბურჟუაზიულ ლიტერატურაში რევოლუციურ მუშათა მოძრაობის ისტორიის სისტემატური ფალსიფიკაციის დასაწყისს წარმოადგენდა.

შტიბერმა ხელი მოჰკიდა საბუთების შეთხზვას, რომლებიც გაჩხრეკის, დაპატიმრებისა და სხვა პოლიციური დევნის საბაბი უნდა გამხდარიყო. შტიბერის მიერ დამზადებული საბუთების სიყალბე პრუსიის სამეფო სასამართლოსაც კი უნდა ეცნო.

შტიბერის ჟანდარმულმა გულმოდგინებამ მხოლოდ გაზარდა მისდამი მეფის კეთილგანწყობილება, მეფისა, რომელსაც ამასთან ერთად ძალიან მოსწონდა პროვოკატორის ნამდვილი მონარქისტული შეხედულებები. მთავრობის წრეებში ენამახვილობდნენ,— „შტიბერს ყველაფერი პოლიციელის აქვს, გვარიც კიო" („შტიბერი" გერმანულად მეძებარი ძაღლია). ფრიდრიხ-ვილჰელმი კი სიამოვნებით უგდებდა ყურს ყოველ დღე მის გრძელ ანგარიშებს, რომლებიც მუდამ ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ეხებოდა „მთავრობის მოწინააღმდეგე" რევოლუციონერების აქტივობას, მეორე კი მიძღვნილი იყო... მეფის ამალისა და პრუსიის სამეფო სახლის წარმომადგენლებისადმი. ფრიდრიხ-ვილჰელმი დაწვრილებით ცნობებს იღებდა მათზე დაწყებული იმით, თუ რას მიართმევდნენ დღეს სადილად და გათა-

ვებული იმით, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ამა თუ იმ დღეს მეფის ძმებს თავიანთ საყვარლებთან.

შტიბერმა გარკვეული დროიდან, როგორც გამოცდილმა კარისკაცმა, ფრიდრიხ-ვილჰელმის სასიამოვნოდ, ტაქტიანად იწყო მეფის თითოეული ძმის შესახებ ანგარიშის გადაცემა დახურული კონვერტებით,

1854 წ. ოქტომბერში მეფემ დაავალა შტიბერს საფრანგეთის, ავსტრიისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ დაზვერვის ორგანიზება. 1855 წ. მარტში პრუსიის პარლამენტმა მნიშვნელოვანი თანხა გამოყო საჯაშუშო სამსახურის დასაფინანსებლად, რომლის სათავეში შტიბერი იდგა.

მაგრამ შემდგომ, მეფის ჭკუაზე შეშლის გამო, შტიბერის კარიერა რამდენიმე წლით შეწყდა. მან ბევრი მტერი გაიჩინა. რაც მთავარია, მისი მოღვაწეობა აღშფოთებას იწვევდა საზოგადოების ფართო წრეებში. პრინცი-რეგენტი (შემდეგში მეფე ვილჰელმი), ფრიდრიხ-ვილჰელმის კეთილგანწყობილებას ისეთი ვიგინდარასადმი, როგორიც შტიბერი იყო, მისი წინამორბედის შეშლილობის კიდევ ერთ დამამტკიცებელ საბუთად თვლიდა. შტიბერი სამართალში მისცეს, მაგრამ ჯაშუშმა თავი დააღწია დასჯას. ის ამტკიცებდა, რომ ყველა უკანონო მოქმედებას, რაშიაც მას ბრალს სდებდნენ, ფრიდრიხ-ვილჰელმის ბრძანებით აკეთებდა. მონარქის გასამართლება პრუსიის სამეფო სასამართლოს, რასაკვირველია, არ შეეძლო, მაგრამ შტიბერს მაინც მოუხდა სახელმწიფო სამსახურის დატოვება. შტიბერი რუსეთშიც კი გაემგზავრა, სადაც ის მეფის საიდუმლო პოლიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით „კონსულტაციისათვის“ იყო მიწვეული.

შტიბერმა „ყოველ შემთხვევისათვის“ აქაც მოაგროვა ცნობები რუსეთის არმიის მდგომარეობის შესახებ, რომელიც პრუსიის სარდლობისათვის მეტად საინტერესო იყო.

ამ დროს პრუსიაში ბისმარკის ვარსკვლავი ამობრწყინდა. „უდიდესი ქვემძრომის“ სახელით ცნობილმა, მთავრობის მიერ მოსყიდული გაზეთის „ნორდდოიჩე ალგემაინე ციტუნგის“ გამომცემელმა ბრასმა შტიბერი ახალ პრემიერ-მინისტრს წარუდგინა. ყოფილ ჩინოვნიკს დიდი დრო არ დასჭირვებია დაერწმუნებინა მთავრობის მეთაური, რომ ის, შტიბერი, საკმაოდ გამოსადეგი კაცია.

ბისმარკმა წინადადება მისცა შტიბერს ჩამოეყალიბებინა სადაზვერვო სამსახური ავსტრიის წინააღმდეგ, რომელთანაც პრუსია ომს აპირებდა. შტიბერი მიხვდა, რომ მას დიდი წარმატება სჭირდებოდა

და თანაც — პირადად მის მიერ მოპოვებული. მხოლოდ ამ გზით შეეძლო პატივაყრილ პოლიციის ჩინოვნიკს ახალი კარიერის მიღწევა. შტიბერი ავსტრიაში გაემგზავრა და მეწვრილმანის სახით დაიწყო მოგზაურობა. იგი ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნივთებით: ხატებითა და პორნოგრაფიული სურათებით ვაჭრობდა. დაჰყო რა, ღმერთის მაგალითისამებრ, ადამიანები ცხვრებად და თხებად, შტიბერი თვლიდა, რომ თუ ერთით არა, მეორე საქონლით მაინც მოხიბლავდა ყველას. სოფლებში მოგზაურობის დროს შტიბერი გაცხოველებით უამბობდა თავის მუშტრებს ქალაქის ახალ ამბებს. პრუსიის ჯაშუში შეუმჩნეველად სტყუებდა ცნობებს სამხედრო ნაწილების დისლოკაციის, სიმაგრეების განლაგებისა და ყაზარმების შესახებ.

ორი წლის განმავლობაში, 1864 წ. აპრილიდან 1866 წლის მაისამდე, შტიბერმა მთლიანად გადასერა ავსტრიის ყველა პროვინცია, რომლებიც საომარ მოქმედებათა ასპარეზად უნდა გადაქცეულიყო. როდესაც ერთ პატარა სოფელში ყურს უგდებდა ფუნდუკში ვაჭრების ლაპარაკს, იგი იცნეს. „შტიბერია“, — განრისხებით წამოიძახა ერთმა იქ მყოფმა და პრუსიის საიდუმლო პოლიციის ყოფილ უფროსზე მიუთითა. ღამით ორი ავსტრიელი ჟანდარმის თანხლებით შტიბერი საზღვარზე მიიყვანეს. მაგრამ ბერლინში ის ხელცარიელი არ დაბრუნებულა. პრუსიის სარდლობამ მისგან მომავალი მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მდგომარეობის დაწვრილებითი ცნობები მიიღო, იმდენად დაწვრილებითი, რამდენადაც ეს ავსტრიის გენერალური შტაბის საიდუმლო საბუთების მოუპარავად შეიძლებოდა.

ავსტრიის ტერიტორიაზე შექმნილი იყო დაქსაქსული ჯაშუშური ქსელი, და, როდესაც პრუსიის არმიამ ლაშქრობა დაიწყო, ყოველ სოფელში მათ ხვდებოდა წინასწარ მითითებული კაცი. ის დაწვრილებით ცნობებს აძლევდა მტრის ძალების მდგომარეობაზე, ადგილობრივი სურსათის რესურსებსა და ცხენების საკვებზე.

ბისმარკს შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო. მან დაავალა შტიბერს, მეფისა და მინისტრების სიცოცხლის დაცვის საბაბით, ფორმალურად შეექმნა განსაკუთრებული სამსახური, რომელიც სინამდვილეში კონტრდაზვერვის ფუნქციას შეასრულებდა. ამგვარ სპეციალური კონტრდაზვერვის სამსახურს მშვიდობიანობის დროს ჯერ არც ერთი ევროპული ქვეყანა არ იცნობდა.

შტიბერმა ხელი მოჰკიდა აგრეთვე სამხედრო ცენზურისა და სამხედრო პროპაგანდის ორგანიზაციას, რათა დაეცვა ქვეყნის შიგნით

მტკიცე სულისკვეთება და მოეხდინა მოწინააღმდეგის დეზორიენტირება.

1866 წელს პრუსიის არმიამ ხანმოკლე კომპანიაში გაანადგურა ავსტრიის არმია. ბისმარკმა დაიწყო მზადება ომისათვის საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც მთავარი დაბრკოლება იყო „სისხლითა და მახვილით“ პრუსიის მბრძანებლობის ქვეშ გერმანიის გაერთიანების გზაზე. ბისმარკის დაჟინებით, შტიბერი ჯილდოებითა და პატივით, აავსეს, თუმცა კეთილშობილი გენერლები აბუჩად იგდებდნენ მეტიჩარა პოლიციელს. შტიბერი პოლიციის მინისტრი გახდა. თვით მეფე ვილჰელმმაც სინანული გამოთქვა, რომ თავიდანვე ვერ დააფასა ასეთი უერთგულესი მსახური. ფულით უხვად მომარაგებულმა შტიბერმა საფრანგეთში ისეთი სადაზვერვო ქსელი გააბა, ჯაშუშობის ისტორიამ აქამდე რომ არ იცოდა.

1866 წლის სექტემბრიდან 1869 წლის ოქტომბრამდე შტიბერი ოთხჯერ გაემგზავრა საფრანგეთში. მან და მისმა უახლოესმა თანაშემწეებმა — პოლონელმა ზერნიცკიმ და ბავარიელმა კალტენბახმა წელიწადზე მეტი იცხოვრეს საფრანგეთში. სადაც ერთიმეორის მიყოლებით შექმნეს პრუსიის ჯაშუშური ორგანიზაციის ლოკალური უჯრედები. თანდათან აამოქმედეს ჯაშუშთა მთელი არმია — უფრო მოგვიანებით, როგორც შტიბერმა დაიტრაბახა — 30 თუ 40 ათასი კაცი (სინამდვილეში, რასაკვირველია, ნაკლები, ვინაიდან შტიბერს არ ჰქონდა შტაბი ასეთი არმიის მართვისათვის). მათ რიცხვში იყო 4 თუ 5 ათასი კაცი, რომლებიც შენიღბული იყვნენ ან ადგილობრივი გლეხის, ან ვაჭრის, ან წვრილი მოსამსახურის სახით, კაფეების, რესტორნებისა და ატელიეების 7—9 ათასი მსახური ქალი, 600—700 ყოფილი პრუსიელი უნტერ-ოფიცერი, რომლებიც საფრანგეთში კომიეოიაჟორებად მოგზაურობდნენ და თვითონ შოულობდნენ ცნობებს ან აგროვებდნენ მას შტიბერის სხვა ჯაშუშებისაგან.

შტიბერის აგენტებს აინტერესებდათ არა მარტო სამხედრო გეგმები, შეიარაღება, ორგანიზაცია და საფრანგეთის არმიის დისლოკაცია, არამედ ოფიცრებისა და გენერლების ხასიათი და ოჯახური კავშირებიც. რადგანაც წინასწარ იცოდა, რომ პრუსიის ჯარი საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრებოდა, შტიბერი დეტალურად ირკვევდა საფრანგეთის ყველა გზისა და ხიდის გამტარუნარიანობას, საწყობების ადგილმდებარეობას, ითვლიდა ცხოველებს და შინაურ ფრინველებს იმ რაიონებში, სადაც სამხედრო მოქმედება უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მომავალი ოკუპანტები ადგილობრივი მცხოვრებლების კმაყოფაზე ყოფნას აპირებდნენ. წინასწარ იყო დადგენილი

კონტრიბუციის ოდენობა, რომელიც შეიძლებოდა დაედოთ ყოველი ქალაქის, ყოველი სოფლისა და ყოველი გლეხის მეურნეობისთვის. 1870 წელს პრუსიის ჯარი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, რაც ქვეყნის დაპყრობასა და გაძარცვაში გამოადგებოდა, საფრანგეთში შეიჭრა. ფრანგებს კი, პირიქით, შემდეგში ნაპოლეონ III აღიარებით, მოწინააღმდეგეზე არავითარი ცნობები არ გააჩნდათ.

ომის დროს შტიბერი საფრანგეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. უბრალოდ ეჭვმიტანილსაც კი სიკვდილით სჯიდნენ სრულიად უმნიშვნელო ან მოჩვენებითი დანაშაულისათვის. მაგრამ, როდესაც ომმა პრუსიის შემოსევის წინააღმდეგ საფრანგეთში განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი მიიღო, შტიბერის წარმატებებმა შესამჩნევად იკლო. ასობით და ათასობით ადამიანი სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, შედიოდა პრუსიელების მიერ ალყაშემორტყმულ საფრანგეთის ქალაქებში და თან მნიშვნელოვანი ცნობები მიჰქონდა. შტიბერის კონტრდაზვერვამ ამ საიდუმლო ომში ვერ შეძლო გამარჯვების მიღწევა.

1871 წლის იანვარში პრუსიელების ბანაკში მოსალაპარაკებლად მოვიდა საფრანგეთის მინისტრი ჟიულ ფავრი. შტიბერი ლაქიის ტანსაცმელში გამოეწყო და ბისმარკისა და ფავრის მოლაპარაკების დროს გულდასმით გაეცნო საფრანგეთის დელეგატის მთელ კორესპონდენციას. პირველად შტიბერმა ვერ მოასწრო ზოგიერთი საბუთიდან ასლის გადაღება. მაშინ ბისმარკმა განგებ რაღაც მიზეზით მოლაპარაკება ერთი დღით გადადო. ასლები გადაიღეს.

თავის მემუარებში შტიბერი თავშეუკავებლად ტრაბახობს, რომ მან გააცურა ჟიულ ფავრი: „მაგონდება, — ირონიულად წერდა შტიბერი, — კიბის თავზე რომ ვიდექი და ვუყურებდი, როგორ ეფარებოდა თვალს ეტლი, რომელსაც ფავრი უვან მიჰყავდა პარიზში. ორი უძილო ღამის გამო დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ მაინც მეღიმებოდა, როდესაც ფავრის ნაჩუქარ მონეტებს ხელში ვათამაშებდი“.

შტიბერის ტრაბახი უსაფუძვლო არ იყო: მას საქმე ჰქონდა პირწავარდნილ პოლიტიკოსთან და, რაც მთავარია. ადვოკატთან, რომელმაც თავისი კლიენტის ყველა დანაშაულებრივი ხრიკები იცოდა და შემთხვევის დროს თვითონაც იყენებდა მათ. ფავრმა ყალბი საბუთებით დიდი მემკვიდრეობა მიიღო, რამაც ის ძალიან გაამდიდრა. გამოაშკარავებისაგან ფავრი ნაპოლეონ III კარის დიდებულების მხარდაჭერამ იხსნა. 1848 წლის ივლისში პარიზის მუშათა სისხლი-

ანი ანგარიშის გასწორების აქტიურ მონაწილეს ფავრს ეზიზღებოდა საფრანგეთის პროლეტარიატი. მუშათა მასების წინაშე შიშით ფავრს თუმცა თავი პრუსიელი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლად მოჰქონდა, მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც კაპიტულაციის გზას დაადგა. ჟიულ ფავრისათვის ისევე, როგორც ტიერისა და მისი თანამონაწილეებისათვის, მთავარი მტრები იყვნენ პრუსიის ჯარისაგან საფრანგეთის დედაქალაქის გმირული დამცველები. რომლებმაც მალე გამოაცხადეს უკვდავი პარიზის კომუნა. იმისათვის რომ ხელახლა სისხლში ჩაეხრჩო პარიზის პროლეტარიატის გამოსვლა, ჟიულ ფავრი მზად იყო სამჯერ გაეყიდა ნაციონალური ინტერესები, ყოველნაირად მლიქვნელობდა პრუსიელების წინაშე. ყველაფერი ეს ბისმარკმა კარგად იცოდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ შტიბერის დახმარებით საფრანგეთის რწმუნებულის პორტფელს გაეცნობოდა.

ომის დამთავრების შემდეგ შტიბერი ევროპის ბევრ ქვეყანაში ჯაშუშური ქსელის მოწყობას შეუდგა. საიდუმლო ფონდები, რომელიც ჯაშუშობაზე იხარჯებოდა, 10—15-ჯერ გაიზარდა. შტიბერის აგენტები სასტუმროს მსახურები, თამბაქოს გამყიდველები ან მდიდარი ოჯახების გუვერნანტი ქალები, მოხეტიალე ხელოსნები და კეკლუცი ქალები, მოდური პარიკმახერები და საფოსტო უწყების თავმდაბალი მოხელეები იყვნენ. შტიბერთან ჯაშუშებად მუშაობდნენ გერმანელები, შვეიცარიელები, ბელგიელები, აგრეთვე იმ ქვეყნის მცხოვრებლები, სადაც ჯაშუშური „სამუშაო“ ტარდებოდა.

ამ წლებში შტიბერის მოღვაწეობაში მოხდა ერთი კოლორიტული ეპიზოდი. ეს იყო შემთხვევა ფრანგ გენერალ სისესთან. ეს გენერალი ტყვედ ჩავარდა საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. მას კარგად ეპყრობოდნენ. გენერალი ჰამბურგთან ახლოს ვილაში ცხოვრობდა. მიცემული ჰქონდა სიტყვა, რომ არ შეეცდებოდა გაქცევას: ამასთან, გარკვეულ ფარგლებში ნება ეძლეოდა ესარგებლა თავისუფლებით. ჰამბურგში მან გაიცნო ახალგაზრდა, ლამაზი ბარონესა კაულა. ეს უნიჭო გენერალი, მიუხედავად თავისი წლოვანებისა, ფრიად კარგი და დახელოვნებული საყვარელი აღმოჩნდა. კავშირი იმდენად სასიამოვნო გახდა, რომ მოშვებულმა მოხუცმა ძლივს მოიკრიფა ძალა, რათა ომის შემდეგ დაეტოვებინა ის ადგილი, სადაც ასე სასიამოვნოდ გაატარა პატიმრობის დღეები და საფრანგეთში დაბრუნდა. იგი ვერსალის ჯარის ერთ-ერთი კორპუსის მეთაურად დანიშნეს. სისეს ბრძანებით ასობით კომუნარი იქნა დახვრეტილი.

1875 წელს სისე სამხედრო მინისტრის პოსტზე აღმოჩნდა. შფოთიანი დრო იყო. ბისმარკი ახალ ომს აპირებდა, რათა საბოლოოდ

გაენადგურებინა საფრანგეთი, რომელიც სამხედრო განადგურების შემდეგ სწრაფად დგებოდა ფეხზე. შტიბერმა ბარონესა კაული გამოიძახა და სთხოვა, თითქმის უბრძანა გენერალ სისესთან შესახვედრად წასულიყო პარიზში. მაგრამ ბრძანება არ იყო საჭირო. ბარონესას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო განეახლებინა ნაცნობობა, თუმცა არა ახალგაზრდა, მაგრამ აღგზნებულ ფრანგ თაყვანისმცემელთან. შტიბერმა უხვად მოამარაგა თავისი აგენტი ფულით და საფრანგეთის დედაქალაქში გადასულმა კაულმა გენერალთან ძველი კავშირი მალე აღადგინა. მისი მდიდრული სახლი გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე სისესი, რომელიც იძულებული იყო არც თუ ისე დიდი ხელფასით დაკმაყოფილებულიყო. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, საშინაო ხალათსა და ღამის ჩუსტებში გამოწყობილი სისე, როდესაც ამ სახლში ისვენებდა ხოლმე, ხშირად უყვებოდა თავის საყვარელს სამსახურის სიძნელეებსა და უკულმართობაზე, საფრანგეთის ჯარის რეორგანიზაციის გეგმებზე. ყველაფერი ეს გვაგონებს ბილწ ფარსს, მაგრამ ეს იყო მეტისმეტი თავგანწირვა.

საფრანგეთის კონტრდაზვერვა — მეორე ბიურო — ბარონესათი დაინტერესდა და დაადგინა, რომ ის შტიბერს ხვდებოდა. მაგრამ მეორე ბიურო მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ კაულა საჩქაროდ გააძევეს საფრანგეთიდან, როგორც არასასურველი უცხოელი: პრეზიდენტი მაკ-მაგონი და მთავრობა ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ უსიამოვნებისათვის.

მაგრამ გამარჯვებული მაინც შტიბერი გამოვიდა. იმ დროისათვის, როცა კაულა გერმანიაში იქნა გაძევებული, გერმანიის დაზვერვამ უკვე ყველაფერი იცოდა საფრანგეთის გეგმების შესახებ.

უფრო გვიან მაღალი წრის ლამაზმანი გერმანიის მთავარი ჯაშუშის როლში შეცვალა ეკიპაჟის უბრალო მეეტლემ, რომელიც ახალ სამხედრო მინისტრს, გენერალ მერსიეს ემსახურებოდა. ამ ნიღბის ქვეშ გერმანელი ლუდვიგ ვინდელი იმალებოდა. მერსიესთან ერთად მან მოიარა საფრანგეთის ბევრი ციხე-სიმაგრე და გამაგრებული რაიონი, რომლებსაც ნახულობდა სამხედრო მინისტრი თავისი საინსპექციო მგზავრობის დროს.

ვინდელმა ამერიკაში გამოსცა მემუარები, რომლებსაც დამატებად წარუმძღვარა გრავიურა, სადაც ის გამოსახულია მინისტრის ეტლის კოფიზე მჯდომარე.

დაიწყო თუ არა სამსახური დაზვერვაში გენერალურ შტაბზე მიმაგრებული ოფიცრის სახით, ვინდელი სწრაფად დაწინაურდა. ერ-

თხელ მას მისცეს დელიკატური დავალება, გაეგო ვინ იყო იმ ანონიმური წერილების ავტორი, რომელიც მაღალი საზოგადოების ცხოვრებას ამხილებდა. ვინდელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წერილების ავტორი, რომელმაც ასეთი ხმაური გამოიწვია, იყო ჰერცოგი შლეზვიგ-ჰოლშტინელი, კაიზერ ვილპელმ II ნათესავი. ვინდელის მტკიცება არადამაჯერებლად მიიჩნიეს და ის მაშინვე აითვალისწუნეს. ამის შემდეგ მას აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დათანხმებულიყო საზღვარგარეთ მუშაობაზე. საფრანგეთში ხშირი მოგზაურობის შედეგად ვდნდელმა დიდ წარმატებას მიაღწია: მან აშხილა ერთი ორმხრივი ჯაშუში და საფრანგეთის არტილერიის ოფიცრის მუნდირში გადაცმული არმიის საიდუმლო მანევრებს დაესწრო. 1893 წელს ვინდელმა მიიღო ბრძანება გაესინჯა მიღებული ცნობა ფრანგების მიერ გერმანიის სატორპედო აპარატის ნახაზების მოპარვისა და მისი ტულონის არსენალში გამოცდის შესახებ. ვინდელი ნავით მიუახლოვდა აკრძალულ ზონას. გუშაგმა გაჩერების ნიშანი მისცა. მაშინ ვინდელმა თითქოს წაიბორძიკა და ნავი გადააბრუნა. დაზარალებულს დახმარება აღმოუჩინეს და ამასობაში მან მოასწრო ყველაფრის დათვალიერება, რაც მას ესაჭიროებოდა არსენალის ტერიტორიაზე. ბერლინში მიღებული ცნობების მიუხედავად ფრანგები ახალი სატორპედო აპარატის გამოცდას არ აპირებდნენ.

ამრიგად, სამხედრო მინისტრთან მეეტლედ სამსახური არ იყო ერთადერთი წარმატება მზვერავ ვინდელის კარიერაში.

როდესაც 1875 და 1884 წწ. ბისმარკი პროვოკაციის საშუალებით საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყებას ვარაუდობდა, გერმანელმა აგენტებმა მოამზადეს საფრანგეთის რკინიგზის დანგრევის გეგმები. შტიბერის სადაზვერვო ქსელი ფართოდ იყო ცნობილი, მაგრამ ევროპის ბევრმა ქვეყანამ ვერ შექმნა კონტრჯაშუშობის ეფექტური სისტემა. შტიბერი კი კონტრდაზვერვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

საინტერესო შემთხვევა მოხდა უკვე შტიბერის სიკვდილის შემდეგ. 1893 წელს გერმანიის სასამართლომ სასჯელი გამოუტანა საფრანგეთის ორ მეზღვაურ ოფიცერს დეჟუისა და დელგე მალავს, რომლებსაც ბრალად სდებდნენ გელგოლანდის სიმაგრეების რუკის შედგენის ცდას. სასამართლოზე გამოირკვა, რომ ამ ფრანგი ოფიცრების იალქნიანი გემით გელგოლანდისაკენ გამგზავრება გერმანიის პოლიციამ გაიგო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ორივე ფრანგი პარიზს დატოვებდა.

ჯაშუშობასთან ერთად შტიბერი ნერგავდა პოლიციური მეთვალ-

ყურეობის სისტემის ორგანიზაციას, დაშინებასა და შანტაჟს გერმანიის შიგნით.

„ჯაშუშთა მეფის“ — როგორიც მისი წარმატებებით აღტაცებულმა ვილჰელმ I-მა შტიბერს უწოდა — ერთ-ერთი ახალი წამოწყება იყო ბერლინში შექმნილი „მწვანე სახლი“, ფეშენებელური საროსკიპო, რომელიც პოლიციის მინისტრის უშუალო მმართველობაში შედიოდა. დაპატიჟებულ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებსა და საერთოდ ძალაუფლების მქონე პირთ (იმპერატორის ნათესავებსაც კი) თავაზიანად ითრევდნენ „ჩვეულებრივ“ გარყვნილებაში, რასაც მალე ყოველგვარი გაუკუღმართება ემატებოდა. ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ნარკოტიკებს. შტიბერმა იზრუნა, რომ გარყვნილობის „დონე“ მის „მწვანე სახლში“. უფრო მაღალი ყოფილიყო, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანაში, რის შედეგადაც ამ არისტოკრატიული პრიტონის მსხვერპლის მიმართ „მათრახისა და თაფლის კვერის“ პოლიტიკა შეიძლებოდა გამოეყენებინათ. თაფლის კვერი ადვილად შეიძლებოდა მათრახად ქცეულიყო: სასირცხვილო გამოაშკარავების მუქარას ხშირად ემატებოდა მსხვერპლისათვის არანაკლებ მტანჯველი მუქარა, მოეკლოთ მისთვის „მწვანე სახლის“ მომსახურება. შტიბერმა ძალაუფლების ისეთი დამატებითი ბერკეტები ჩაიგდო ხელში, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი კაცი გახდა თავის ქვეყანაში. შეიძლება იმ შიშის საუკეთესო დადასტურებას, რომელსაც შტიბერი ნერგავდა, წარმოადგენდა ხალხის დაუფარავი და თითქმის უხამსი მხიარულება მის დასაფლავებაზე: ეს ბევრისათვის სინამდვილეში. „რკინის კანცლერის“ მუქარისა და გამოძალვის პოლიციური აჩრდილის შიშისაგან განთავისუფლების ზეიმი იყო.

საიდუმლოებანი გაზეთების ფურცლებზე

თუმცა პამფლეტებმა, ანდა მათმა შემცვლელმა ყოველკვირეულმა და შემდეგ, ბევრად უფრო გვიან, ყოველდღიურმა გაზეთმა ევროპაში გავრცელება ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეებში ჰპოვეს, დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ მათ სახელმწიფო საიდუმლოების გაცემასთან არ შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონოდათ.

ისეთი მწვავე პოლიტიკური კრიზისების დროსაც კი, როგორიც იყო ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII საუკუნის შუა წლებში, ფრონდა საფრანგეთში, ინგლისის კოლონიების ომი სამხრეთ ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის (1775—1783 წწ.), ამ გამოცე-

შებს, როგორც პროპაგანდის იარაღს, შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდათ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ნაპოლეონ I ხელისუფლების დამყარების შემდეგ პრესა მან მკაცრი პოლიციური კონტროლის ქვეშ დააყენა, რომელიც სამხედრო ცენზურასაც მოიცავდა. მეორე მხრივ, პრესას, მთავრობის „მონიტერის" ჩათვლით, ფართოდ იყენებდნენ ოფიციალური პროპაგანდის გასავრცელებლად, ომში მიღწეული წარმატებების გაზვიადებით და დამარცხებათა დამალვის გზით, აგრეთვე მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად. ამას აღწევდნენ არა მარტო გაზეთების ყალბი ნომრების ბეჭდვით, რომლებიც, როგორც გვახსოვს, შულმეისტერმა ავსტრიის გენერალ მაკს გადასცა, არამედ ნამდვილ ფრანგულ გამოცემებში ცრუ ინფორმაციების მოთავსებით.

აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს პრეზიდენტ ლინკოლნის მთავრობა გაზეთების მიერ ჯარების გადაადგილების შესახებ მრავალი საიდუმლო ცნობის გაცემის ფაქტს წააწყდა. ვინაიდან საომარი მოქმედების თეატრის დიდ ნაწილზე მთლიანი ფრონტის ხაზი არ არსებობდა, ეს გაზეთები სწრაფად უვარდებოდათ ხელში სამხრეთელებს. სამხედრო საიდუმლოებათა გამხელა ზოგჯერ ბოროტ ხასიათს ატარებდა, ეს იყო ჩრდილოეთში გავლენიანი წრეების — „სპილენძისთავიანების" მტრობის შედეგი, რომლებიც მონათმფლობელებთან კომპრომისული ზავის დადებისაკენ ისწრაფოდნენ. „ეანგაროთა" გაზეთები ხშირად ცრუ სამხედრო ინფორმაციას ბეჭდავდნენ იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანათ არა მოწინააღმდეგე, არამედ ჩრდილოეთის შტატების მოსახლეობა. 1864 წელს გაზეთებმა „ნიუ-იორკ უორლდმა" და „ნიუ-იორკ ჯორნელ ოფ კომერსმა" დაბეჭდეს პრეზიდენტ ლინკოლნის ყალბი პროკლამაცია. რომელშიც სამხედრო მდგომარეობა მუქ ფერებში იყო შეფასებული და პროვოკაციულად აცხადებდნენ კიდევ ოთხასი ათასი კაცის არმიაში გაწვევას. ორივე გაზეთი ადვილად გადარჩა. მათი გამოცემა მხოლოდ სამი დღით აკრძალეს. ჩრდილოელების ცნობილმა გენერალმა შერმანმა, როდესაც თავის არმიაში უნებართვოდ შესული „ნიუ-იორკ ჰერალდის" კორესპონდენტი ტ. ნოკსი აღმოაჩინა, ბრძანება გასცა რეპორტიორი სამართალში მიეცათ, როგორც მტრის ჯაშუში. ეურნალისტი მსჯავრდადებულ იქნა, მაგრამ პრეზიდენტმა ლინკოლნმა განაჩენი გააუქმა. ზეციდან ჩარევის გამო გულმოსულმა შერმანმა განაცხადა: „რადგანაც ამერიკელები მოითხოვენ და უნდა მიიღონ ინფორმაცია, ისიც ნამდვილი, მაგრამ მაინც ინფორმაცია, — დაე მიიღონ. მაგრამ ისინი თავისი ჩვეულებით მოგვაგონებს ლოთს, რომელსაც იმდენად წამხდა-

რი აქვს ბუნებრივი მიდრეკილება, რომ მხოლოდ კონიაკი აკმაყოფილებს".

პრესის მიერ სამხედრო საიდუმლოებების გაცემის მაგალითები ძალიან ბევრია. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გერმანიის მესამე არმიამ ვერტესთან ბრძოლის შემდეგ მიმართულება დასავლეთისაკენ აიღო და ორი-სამი დღის სავალით მაკ-მაგონის საფრანგეთის ჯარს დაცილდა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ უტევდა. ამ დროს გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ ფრანგული გაზეთი, ის იტყობინებოდა, მაკ-მაგონის არმია რეიმსში იმყოფებაო. გერმანიის სარდლობამ თავისი ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაგზავნა და ფრანგების გეგმების განნორციელებას ხელი შეუშალა.

სამხედრო საიდუმლოებათა დანაშაულებრივი გამჟღავნების მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ „მანჯურიის არმიის მოამბე", რომელსაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს მეფის სარდლობა სცემდა. მასში იბეჭდებოდა ცნობები შორეულ აღმოსავლეთში მოსული სხვადასხვა სამხედრო შენაერთების შესახებ, აგრეთვე ნაწილების განლაგების ანგარიში, ბრძანებები, რომლებშიც მოცემული იყო ცნობები სხვადასხვა კორპუსისა და დივიზიის მდგომარეობისა და შემადგენლობის შესახებ. „მოამბე" აქვეყნებდა სამხედრო მომსახურეების უამრავ განცხადებებს, თავისი ნათესავებისა და მეგობრების ძებნის შესახებ. ამ განცხადებებს აქვეყნებდნენ ოფიცრები, რომლებიც უჩვენებდნენ თავის მისამართებს. ეს უფრო ნათელს ხდიდა რუსეთის არმიის დისლოკაციის სურათს შორეულ აღმოსავლეთში.

სამხედრო ცენზურა როგორც არა მარტო სამხედრო საიდუმლოებათა გამოვლინების აღმოფხვრის, არამედ როგორც მოწინააღმდეგის დეზინფორმაციისა და სამხედრო პროპაგანდის იარაღი ფართოდ იყო გამოყენებული პრუსიელების მიერ ავსტრიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დროს. ამ საქმეს შტიბერი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს, სამხედრო ცენზურა გავრცელდა საქმიან და კერძო მიმოწერაზე, განსაკუთრებით კი ნეიტრალური ქვეყნების კორესპონდენციებზე. იგი კონტრდაზვერვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი გახდა.

ჟონდრის კაცი ბისმარკის მაგიდის ქვეშ

მარსელის მუშებმა პარიზის მაგალითისამებრ 1871 წლის 28 მარტს სამხრეთ საფრანგეთის მთავარ სანავსადგურო ქალაქში ძალაუფლება ხელში აიღეს. რევოლუციონერებმა ფოსტა და ტელეგრაფი

დაიკავეს. ზედამხედველობა დააწესეს გასაგზავნ კორესპონდენციებზე.

ვერსალის მთავრობის მეთაურმა ტიერმა, გენერალ ესპივან დე ლა ვილბოას დაავალა ბურჟუაზიული „წესრიგი“ დაემყარებინა მარსელში. ეს იყო გონებაჩლუნგი მონარქისტი და კლერიკალი, რომელმაც თავისი კარიერა წარჩინებულ ქალთა სასტუმროებში მოიპოვა და სრული უნიჭობა პრუსიის წინააღმდეგ ომში გამოამჟღავნა. ახლა ამ ამპარტავანმა ჯალათმა, ვერსალელი სისხლიანი ქონდრის კაცის ბრძანებით გახარებულმა, დააპირა რევანში აეღო კომუნარებთან ბრძოლაში, რომლებსაც არც ტყვია-წამალი გააჩნდათ და არც სურსათი. და აქ გენერალს თავისი სამსახური სხვა ქონდრის კაცმა შესთავაზა. ამ ფრანტულად ჩაცმულ პატარა მსუქან კაცუნას უზომოდ მონგრეული მოკლე ფეხები და უზარმაზარი მახინჯი თავი ჰქონდა. ქონდრის კაცის მსუქან სახეს გარს შემოვლებული „სოლიდური“ ბაკები, კიბოსნაირი თვალები და ჩამოგდებული ქვედა ტუჩი ამშვენებდა. მის ცოლს, როგორც მან ახსნა, თავის სახლში ბინა ჰქონდა მიქირავებული აღმოსავლეთის ტელეგრაფის კომპანიისათვის. რომელსაც თავისი საკუთარი კაბელი ჰქონდა გაყვანილი ალჟირის ქალაქ ორანამდე. კომპანიამ ნება დართო შეეერთებინათ ეს ხაზი ვერსალში გამავალ კაბელთან. ასე იქნა დამყარებული კავშირი ტიერის მთავრობასთან და გენერალმა ვილბოამ მიიღო ინსურგენტებთან გასწორების საბოლოო ინსტრუქციები.

მარსელის კომუნა სისხლში ჩაახრჩვეს. სახლის პატრონის მეუღლე კი თავისი ჯაშუშური დამსახურებისათვის აღჭურვილ იქნა უფლებით, პირადად ეცნობებინა ამის შესახებ ვერსალისათვის.

ფეხმონგრეული ქონდრის კაცი გახლდათ ჰენრიხ გეორგ სტეფან დე ბლოვიცი. იგი დაიბადა 1825 წ. ჩეხეთში, გერმანელი თავადის ოჯახში. მაგრამ ბლოვიცის ცხოვრების ადრინდელი ისტორია ჩვენ ვიცით მხოლოდ მისი პირადი „მემუარებიდან“, რომლებიც ავტორისა და მთავარი მოქმედი პირის უზომო პატივმოყვარეობით დამახინჯებულ თაღლითურ რომანს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მოგონებებს. თუ ბლოვიცს დავუჯერებთ, როდესაც ის 16 წლის იყო, ხორვატიის საზღვარზე მიყრუებულ სოფელში ბოშა ქალმა უწინასწარმეტყველა მომავალი.

— „როდესაც ჯადოქარი მომიახლოვდა — გადმოგვცემს ბლოვიცი, — უცბად გამოცოცხლდა, უსიცოცხლო თვალები გაუბრწყინდა.

— არასოდეს არ მინახავს ისეთი ხელი, როგორიც შენ გაქვს. — მითხრა ჯადოქარმა. — შენი ბედი ბევრს შეშურდება.

— მაინც რა მომელის? — ვკითხე მე.

— შენ დაჯდები მეფეების გვერდით და ისადილებ პრინცებთან ერთად".

და, მართლაც, ბლოვიცის მოგონებები აღსავსეა ნაამბობით იმაზე, თუ რა განუწყვეტელი წარმატება ხვდა მას მაღალ საზოგადოებაში. როგორი კეთილგანწყობით ეპყრობოდნენ მას მონარქები, როგორ მეგობრობდა მინისტრებთან და ხვდებოდა სხვა ტიტულოსან პირებს, რომლებიც, რასაკვირველია, რანგით არ იყვნენ გრაფებსა და თავადებზე ნაკლებნი. რა თქმა უნდა, ცოტა როდია გალანტური თავგადასავლები, სადაც ჩერნომორი თავისი დიპლომატიური ქილვაშებით, ხშირად პირველი საყვარლის ამპლუაში წარმოგვიდგება. ერთხელ, მოგვითხრობს იგი, ბისმარკმა და გერმანიის დაზვერვამ მას მშვენიერი და ცბიერი ლამაზმანი, თავადის ასული კრალტა მიუგზავნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საიდუმლოების გასაგებად. ერთ საღამოს, როდესაც ბლოვიცი თავადის ქალის სალონში იმყოფებოდა, ისე მოხიბლა მისმა სილამაზემ და განუმეორებელმა მიმზიდველობამ, რომ მზად იყო ყველაფერი ეამბა. მაგრამ აქ მან ყურადღება მიაქცია ერთ არაჩვეულებრივ ნივთს: „მე შევამჩნიე, რომ კანდელაბრში ჩასმული სანთლის ალი, რომელიც სარკესთან იდგა, გადაიხარა და ციმციმი დაიწყო. ამან გამაკვირვა, რადგან კარები და ფანჯრები დაკეტილი იყო. ვერ განვსაზღვრე საიდან ქროდა ნიავი, რომელმაც სანთლის ალი გადახარა. კანდელაბრთან მიახლოებისას ვიგრძენი, რომ ჰაერი სარკიდან მოდიოდა. მაშინ კი უცბად მივხვდი, რომ ხაფანგში გავები. სარკეს რომ დავაკვირდი, შევნიშნე, იგი შედგებოდა ორი საგდულისაგან, რომელთა შორის ახლა მცირე მანძილი იყო დარჩენილი. ალბათ იქ ვიღაც იდგა და ყურს გვიგდებდა. თავადის ქალს მოციმციმე სანთელსა და სარკეში შემჩნეულ ჭუჭრუტანაზე მივუთითე და რაც შეიძლება წყნარად ვუთხარი:

— ქალბატონო, თქვენი ფანდები ამაოა, მე ყველაფერს მივხვდი. თავადის ქალმა შემომხედა და ხელი ელექტრონის ზარის ღილაკს დააჭირა. მსახური შემოვიდა. მან არც კი შემომხედა, ისე მიმითითა კარებზე".

მაგრამ ჩვენს გალანტურ რაინდს ყოველთვის როდი უთითებდნენ კარებზე. ხშირად იგი ახალგაზრდა ლამაზმანების საიდუმლო მხსნელის კეთილშობილურ როლში გამოდიოდა. რასაკვირველია, ყველა ისინი პრინცესები და ჰერცოგის ქალები იყვნენ, ამასთან ემუქრებოდა მათ მოთვალთვალეებს — უფრო მეტად გავლენიან თავადებს — მთელი რიგი ქვეყნების მხრიდან სამხედრო მოქმედებათა დაწყებით.

სინამდვილეში კი ბლოვიცის გავლენიანობა უზრუნველყო ძალამ, რომელსაც მეექვსე დიდ ევროპულ ქვეყანას ეძახდნენ. ეს იყო ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“. ბლოვიცის ნამდვილი კარიერა დაიწყო 1871 წ. მაისის სისხლიან დღეებში, როდესაც. სისხლისაგან· დამთვრალი ვერსალელები ბურჟუაზიული ქალბატონების ღვარძლიანი ბრბოს აღტაცებულ ყიჟინში შემზარავად უსწორდებოდნენ ტყვე კომუნარებს. პარიზის სისხლიანმა ორგიამ საზღვარგარეთ ზოგიერთი რესპექტაბელური კონსერვატიული გაზეთის შიში გამოიწვია. ტიერს უნდოდა, რომ ვერსალის ჯარის მასობრივ მხეცობაზე ანგარიშები შესწორებებითა და ამბების მიჩქმალვით დაბეჭდილიყო, რათა როგორმე შეერბილებინათ საერთო სურათი. ამიტომ ის დიდად კმაყოფილი შეხვდა ამბავს, რომ მისმა დიდი ხნის ნაცნობმა ბლოვიცმა, წინათ ყოფილმა მეორეხარისხოვანმა ჟურნალისტმა, დროებით მიიღო „ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტის თანაშემწის თანამდებობა.

ორივე ქონდრის კაცი თაღლითობდა: ტიერს უნდოდა ბლოვიცი გადაექცია თავისი მიზნების განსახორციელებელ იარაღად, ბლოვიცს კი — ტიერი. ბლოვიცი იყენებდა საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელის ნაცნობობას და შოულობდა პირველხარისხოვან ინფორმაციებს, რომლებსაც სხვა კორესპონდენტები ვერ ღებულობდნენ.

ერთხელ ბლოვიცმა შორიდან დაინახა, რომ ტიერი ერთ უცხოელ (ალბათ გერმანელ) ელჩს ელაპარაკებოდა. როდესაც მიუახლოვდა ტიერს, საუბარი უკვე დამთავრებული იყო. მთავრობის ხელმძღვანელმა უხერხულობა იგრძნო და „ტაიმსის“ დროებით კორესპონდენტს აუხსნა, რომ ელჩი ჩემი სამინისტროს მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯით გამოწვეული კმაყოფილების შესახებ მესაუბრებოდაო. მაგრამ ბლოვიცი არანაკლები შულერი იყო, ვიდრე მისი მოსაუბრე და პრემიერის სახის გამომეტყველებით მიხვდა, რომ იგი ტყუოდა. ბლოვიცმა ტიერისაგან მიღებული ცნობების „ტაიმსში“ გადაგზავნისაგან თავი შეიკავა და მთელ რიგ ნაცნობ პირთა გამოკითხვით საუბრის ნამდვილი შინაარსი დაადგინა: ელჩი საფრანგეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ მკვეთრ პროტესტს აცხადებდა. როდესაც „ტაიმსში“ გაქნილი პრემიერისა და ელჩის შეხვედრის შესახებ ცნობა დაიბეჭდა, ტიერის ყველა მეტოქე აღტაცებული იყო, თვითონ კი, რასაკვირველია, დიდად აღშფოთდა: „მე არავისთან არ მილაპარაკია ელჩთან საუბრის შესახებ, — უყვიროდა ის ბლოვიცს.— თქვენ მოგვაყურადეთ და არ უნდა გაგებედათ ამის დაწერა“. მაგრამ ბლოვიცთან სიტყვებით ვერაფერს გახდებოდი და წალაპარაკება

„ტაიმსის“ დროებით კორესპონდენტთანაც კი სასურველი არ იყო. ქონდრის კაცებმა ცოტა ხანში ისევ გამონახეს საერთო ენა.

1874 წელს ბლოვიცმა ბოლოს და ბოლოს მოახერხა „ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტის მუდმივი ადგილის მიღება, რომლის დაკავება მრავალ გავლენიან პირს სურდა. ამაში მას ესპანეთში მომხდარი მონარქიული გადატრიალება დაეხმარა. იგრძნო თუ არა სენსაცია, ბლოვიცი ესპანეთის საელჩოში გაიქცა, სადაც ცდილობდა გენერალ კამპოსოს მიერ მადრიდში ძალაუფლების ხელში ჩაგდების თაობაზე სრული ცნობები მიეღო. რესპუბლიკური მთავრობის ელჩი ცდილობდა დაერწმუნებინა ბლოვიცი და სხვა კორესპონდენტები, რომ მადრიდში მხოლოდ და მხოლოდ წარუმატებელი და ადვილად ჩასახშობი აჯანყების ცდა მოხდა, მაგრამ ბლოვიცმა, თვალს რომ ადევნებდა თვით საელჩოში საქმის მდგომარეობას, საწინააღმდეგო ხასიათის დასკვნა გამოიტანა: საელჩოს უფროსი შიკრიკს აგზავნიდა ტელეგრაფში, მაგრამ მადრიდიდან არავითარი ცნობები არ მოდიოდა. როდესაც მთავრობა იმარჯვებს, ფიქრობდა ბლოვიცი, საელჩო არასოდეს არ განიცდის გამარჯვების რელაციის ნაკლებობას, როდესაც, პირიქით, მთავრობას ამხობენ, მაშინ ელჩები უფროსებს დეპეშებით ამაოდ ბომბავენ და ინფორმაციას სთხოვენ. ერთი სიტყვით, ბლოვიცმა ელჩს არ დაუჯერა, მაგრამ გადატრიალების ფაქტის შესახებ ცნობის გადაცემა ვერ გაბედა. ბლოვიცი პარიზში მყოფ ტახტის პრეტენდენტ ასტურიის პრინცთან (შემდგომში მეფე ალფონს XII) გაექანა, მაგრამ იქ, ჭიშკრის გადალმა, რომელსაც პოლიცია იცავდა, არავის არ უშვებდნენ, იქვე კი ცნობისმოყვარეთა ბრბო იდგა და სხვა კორესპონდენტები მორიგეობდნენ. ბლოვიცმა მაინც შესძლო მეტოქეების გვერდის ავლა. მან გამოძებნა თავისი ძველი ნაცნობი გრაფი ბანუელოსი, რომელიც ასტურიის პრინცის დაახლოებული პირი იყო და თავისი ეტლით პრეტენდენტთან წაიყვანა. ბლოვიცი ეტლის ყველაზე ბნელ კუთხეში მიიმალა. ეტლი გაატარეს. უკანასკნელ წუთში გაისმა გაბრიყვებული კონკურენტების ყვირილი: „ბლოვიცი. ეტლშია“. ლანძღვა-გინება მიაყარეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. მეორე დღეს ინგლისის ერთადერთმა გაზეთმა „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა გადატრიალების დაწვრილებითი ცნობები, სამი კვირის შემდეგ კი ბლოვიცი მისი მუდმივი კორესპონდენტი გახდა პარიზში.

1875 წელს „პატარა დიადმა ადამიანმა“, როგორც ბლოვიცს უწოდებდნენ, წინასწარ აცნობა გერმანიის განზრახვა ახალი „პრევენტული“ ომის შესახებ საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც განადგურების შემდეგ სწრაფად იმართებოდა წელში და ამის გამო ბის-

მარკის წყრომა დაიმსახურა. ამასობაში, 1878 წელს, ბერლინში შეიკრიბა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც კვლავ უნდა გადაეწყვიტა „აღმოსავლეთის საკითხი“, საკითხი თურქეთის უევროპულ ნაწილში მდებარე ტერიტორიებისა და ხალხების ბედის შესახებ, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბალკანეთის ბედი, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის საკითხი.

ბისმარკისაგან რაიმე ინფორმაციის მიღებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

„საფრანგეთის რწმუნებული, — იგონებდა შემდეგ ბლოვიცი, — ფრთხილი იყო, ინგლისის დიპლომატები პრინციპულად არაფერს არ აცნობებდნენ ჟურნალისტებს, რუსეთის დიპლომატები არ ენდობოდნენ ინგლისის გაზეთის წარმომადგენელს, ავსტრიელები გერმანიისა და რუსეთის შიშით მუნჯებივით დუმდნენ. რაც შეეხება თურქეთის დიპლომატებს, იმათ თავისი ლანდისაც კი ეშინოდათ“. ბლოვიცმა გაითვალისწინა ყველაფერი ეს და თავისი კერძო დაზვერვა შექმნა. მან წინასწარ გაგზავნა დაქირავებული ავანტიურისტი, რომელსაც ვითომდა წარჩინებული ოჯახიდან გამოსულ მდიდარ ახალგაზრდა კაცს რომელიმე დიპლომატის ნდობა უნდა მოეპოვებინა. მალე ავანტიურისტი ამ წარჩინებულმა პირმა მდივნად მიიღო უჯამაგიროდ. მას დიპლომატიის რთული პროფესია უნდა შეესწავლა. კანცელარიის ყველა თანამშრომელს თვალყურს ადევნებდნენ, ამიტომ ბლოვიცი და მისი აგენტი ისე იქცეოდნენ, თითქოს ერთმანეთს არ იცნობდნენ. ისინი მხოლოდ სადილობდნენ იმ რესტორანში, სადაც მრავალი დიპლომატი და ჟურნალისტი დადიოდა და... ერთნაირ ცილინდრებს ატარებდნენ. ადვილი მისახვედრია, რომ ბლოვიცი წასვლის დროს თავისი აგენტის ცილინდრს იხურავდა, რომლის აბრეშუმის სარჩულის ქვეშ კონგრესის სხდომისა და ცალკეულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების მოკლე ოქმები იყო ჩადებული. მაგრამ სწორედ ეს ოქმები, მათი სიმცირის გამო, საკმარისი არ იყო ლონდონში გაგზავნილი გრძელი კორესპონდენციების შინაარსის შესავსებად. ბლოვიცი არ ეყრდნობოდა მცირეოდენ მასალებს, რომელთა ჩაწერასაც მისი აგენტი ასწრებდა, იწყებდა ნაცნობი დიპლომატების ჩამოვლას და ნამცეცობით ავსებდა ყველა რგოლს, რომელიც აკლდა მთლიან მოთხრობას კონგრესის მორიგი თათბირის შესახებ.

გაიძვერობა, ლაპარაკში გამოჭერა და მაძებრის ალღო არაერთხელ დაეხმარა „ტაიმსის“ კორესპონდენტს. გაზეთმა დაბეჭდა რუსეთის კანცლერის გორჩაკოვის სიტყვის დაწვრილებითი ანგარიში. ბლოვიცმა წინასწარ შეიტყო, რომ ინგლისისა და რუსეთის დელე-

გატები, დიდი ხნის შეტაკების შემდეგ, შეთანხმდნენ ძირითად საკითხებზე და ლონდონში უკან გამგზავრება, რითაც ბრიტანეთის პრემიერი დიზრაელი იმუქრებოდა (დემონსტრაციულად სპეციალური მატარებელიც კი იყო შეკვეთილი), აღარ მოხდებოდა. ბლოვიცის დეპეშებმა ბირჟა პანიკას ააცდინა, რადგანაც იცოდნენ, რომ პრემიერის გამგზავრება თითქმის რუსეთთან ომს ნიშნავდა...

იმ დროს აგენტს, რომელსაც ინფორმაციები მოჰქონდა ბლოვიცთან, საეჭვოდ დაუწყეს ყურება. ბლოვიცმა უხვად მოამარაგა იგი ფულით და როგორც ემიგრანტი, ისე გაამგზავრა ავსტრალიაში. მანამდე კი აგენტმა თავისი შემცვლელი იპოვა. კონგრესი დასასრულს უახლოვდებოდა. ახალი აგენტი დაჰპირდა, რომ წინასწარ იშოვიდა ტრაქტატის ზუსტ ასლს, რომელიც ხელმოწერილი იქნებოდა დასკვნით სხდომაზე. „ახლა მე უნდა დამეძლია ორი დაბრკოლება — წერდა შემდეგ თავის მემუარებში ბლოვიცი — ჯერ ერთი, კონგრესი იხურებოდა 13 ივლისს, შაბათს, ტრაქტატი კი მჭირდებოდა 12-ში, რომ 13-ში გაზეთში ყოფილიყო დაბეჭდილი, რადგან კვირაობით გაზეთები არ გამოდიოდა. ორშაბათს უკვე გვიან იქნებოდა, მეორე მხრივ, ტრაქტატის შოვნა ცოტას ნიშნავდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სხვა ჟურნალისტებს არ ჰქონოდათ ის. გერმანიის გაზეთები გულმოსულნი იყვნენ ბისმარკზე, რადგან მან არ მიიღო მათი წარმომადგენლები. მე ვვარაუდობდი, რომ კანცლერი მისცემდა მათ ტრაქტატს დასამშვიდებლად. თუ დოკუმენტი გერმანულ გაზეთებში შაბათს გამოქვეყნდებოდა, მაშინ მე დავმარცხდებოდი. სასოწარკვეთილებამდე ვიყავი მისული. როგორ შევუშალო ხელი ბისმარკს? როგორ ვუდეპეშო ტრაქტატი ლონდონში? ბერლინიდან შეუძლებელი იყო. პარიზიდან კი გვიან იქნებოდა. ბრიუსელზე შევჩერდი“.

ბლოვიცმა მოახერხა ბელგიის დესპანის მოტყუება ლონდონში და მისგან ნებართვა მიიღო დღე-ღამის განმავლობაში, როდესაც მოისურვებდა გადაეცა ვრცელი დეპეშა. რთული მანევრებით ბლოვიცმა ხელი შეუშალა თავის კოლეგებს მიეღოთ ძვირფასი დოკუმენტი. ხუთშაბათს კი ბლოვიცის აგენტმა მოიპარა ჯერ კიდევ ხელმოუწერელი ტრაქტატი. მიიღო თუ არა ეს საბუთი, ბლოვიცი დამწუხრებული სახით წავიდა სადგურისაკენ და ყველას ატყობინებდა, რომ ჭან ხელშეკრულების ტრაქტატის მიღების იმედი საბოლოოდ დაკარგა. როდესაც გაიგეს, დეპეშა მნიშვნელოვან დიპლომატიურ შეთანხმებას შეიცავდა, ბრიუსელის ტელეგრაფში მის გაგზავნაზე ჯერ უარი უთხრეს, მაგრამ შემდეგ დესპანის წერილის შედეგად საქმე მოგვარდა.

კონგრესის დელეგატები ხელს რომ აწერდნენ ტრაქტატს, მანქანები უკვე ბეჭდავდნენ „ტაიმსის“ შაბათის ნომერს შეთანხმების მთლიანი ტექსტით. ბისმარკი გაშმაგებული იყო, შტიბერს კი კინაღამ დამბლა დაემართა. თანამედროვენი ირწმუნებიან, ბისმარკი თავის სამუშაო ოთახში რომ შედიოდა, მაგიდის ქვეშ შეიხედავდა ხოლმე, ბლოვიცი აქ ხომ არ არისო. „ტაიმსის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ისევე, როგორც ყველა ინგლისელი დიპლომატი, სხვისი ხელით ამჯობინებდა ომს.

სიყალბეთა გენერალური შტაბი

დრეიფუსის ცნობილ საქმეს, რომლის საშუალებით მონარქისტები და კლერიკალები რესპუბლიკისა და დემოკრატიული ძალებისათვის დარტყმის მიყენებას იმედოვნებდნენ, საფრანგეთის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იშვიათია, დაზვერვის მოქმედება ასე გადაიხლართოს ქვეყნის ბედთან. დრეიფუსის საქმე მტკიცედ დამკვიდრდა ისტორიის სახელმძღვანელოში. ამიტომ აქ საკმარისი იქნება მასზე მოვყვეთ როგორც საიდუმლო ომის ერთ-ერთი დრამატული შემთხვევის შესახებ.

ამ საქმეში ერთმანეთს უცნაურად შეეჯახა ნამდვილი პატრიოტული გრძნობები და მხეცური შოვინიზმი, სამხედრო ხროვის უმცირესობის გამორჩენა და საფრანგეთის ხალხის ინტერესები, იეზუიტები და რესპუბლიკური წყობა. დიდი ჰუმანიზმი ილაშქრებდა რეაქციული დემაგოგიის სიმდაბლის წინააღმდეგ. ფართო საჯაროობას ენაცვლებოდა უმკაცრესი საიდუმლოება, ხოლო ნამდვილ დრამას — ოპერეტა. დეტექტიური რომანი მტკიცედ ჩაექსოვა საერთაშორისო ურთიერთობის ქსოვილში. მახინჯ ფერხულში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ყალბი საბუთები, მაღალი თანამდებობის ოფიცრები, რომლებიც აშკარა დამნაშავესთან შესახვედრად ყალბ წვერებსა და მუქ სათვალეს იკეთებდნენ, რათა დახმარებოდნენ მას დევნისაგან თავის დაღწევაში, სამეძავ სახლის პატრონი, რომელიც სიყალბისათვის ეროვნულ გმირად იყო გამოცხადებული, და მორჩილი მოსამართლეები, რომლებიც სამხედრო დისციპლინის შესაბამისად, ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ ყოველგვარ ზღაპარს. დრეიფუსის საქმე საფრანგეთში დაიწყო როგორც პატარა კერძო ეპიზოდი და გადაიზარდა საერთო პოლიტიკურ კრიზისში.

1894 წლის 15 ოქტომბერს კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი, ეროვ-

ნებით ებრაელი, გენერალურ შტაბში გამოიძახეს. ოთახში, რომელშიც-ის შეიყვანეს, რამდენიმე ოფიცერი იყო. ერთ-ერთმა მათგანმა, მაიორმა მარკიზ პატი დიუ კლამმა დრეიფუსს შესთავაზა დალოდებოდა გენერალს და შემდეგ, რაღაც მიზეზით, სთხოვა კაპიტანს დაეწერა რამდენიმე სიტყვა. ეს იყო წინადადება ანონიმური დოკუმენტიდან, რომელსაც შემდეგში „ბორდეროს" (აღწერას) უწოდებდნენ. მისი ავტორი წინადადებას იძლეოდა გერმანიისათვის გადაეცა საფრანგეთის სამხედრო საიდუმლოებანი. წინასწარ ყველაფერში დარწმუნებული ოფიცრები ამტკიცებდნენ, თითქოს დრეიფუსი აკანკალდა, როდესაც იწერდა წინადადებებს „ბორდეროდან", მაგრამ შემდეგ მან თავი შეიკავა და სრულიად დამშვიდდა. ეს იყო ერთადერთი „დამამტკიცებელი" საბუთი, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ დრეიფუსი დაეპატიმრებინათ და იქვე მიეცათ წინადადება — თავი მოეკლა. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ კაპიტანმა დრეიფუსმა უარი განაცხადა იმის შესრულებაზე, რაც მის მტრებს სურდათ. გადაწყვიტა ებრძოლა, რათა თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა. ოფიცრებმა გამოაცხადეს, რომ ეს მისი გამცემლობის კიდევ ერთი დამატებითი მტკიცება იყო.

„ბორდერო" საფრანგეთის კონტრდაზვერვის მაიორ ანრის მიუტანა ვინმე ბრიუკერმა, რომელიც გერმანიის სამხედრო ატაშეს პოლკოვნიკ შვარცკოპენს უთვალთვალებდა. ამ საბუთის ნამდვილი ავტორი იყო მაღალი საზოგადოების ავანტიურისტი და დაზვერვის თანამშრომელი მაიორი ესტერგაზი. ქაღალდით, რომელზედაც სიტყვა „ბორდერო" ეწერა, ანრი კარგად მიხვდა ვინ იყო მისი ავტორი, მაგრამ, კონტრდაზვერვის მაიორმა იცოდა, თუ რა სურდათ მის უფროსებს ანტისემიტურად და კლერიკალურად განწყობილი გენერალიტეტიდან და გაჩუმება არჩია.

მიუხედავად უდანაშაულობისა, 1894 წლის დეკემბერში სამხედრო სასამართლომ დრეიფუსს ციხე-სიმაგრეში მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. პარიზის გარნიზონის პოლკების თანდასწრებით ჩატარდა სახალხო პატივის აყრის ცერემონიალი: მისჯილს ჩამოაგლიჯეს ოფიცრის განმასხვავებელი ნიშნები და დაშნა გადაატეხეს თავზე. რასაკვირველია, მძიმე სანახაობის დამსწრეთაგან ბევრმა არ იცოდა, რომ ექსპერტები უარყოფდნენ დრეიფუსისა და „ბორდეროს" ავტორის ხელის იგივეობას, მაგრამ ეს სასამართლოს არ აცნობეს. დამცველებს კი დაუმალეს შვარცკოპენის ტელეგრამების დაშიფრული ასლები, რომელთაგან ერთ-ერთი უდავოდ, მოწმობდა დრეიფუსის უდანაშაულობას. იგი გაგზავნეს კატორღაში, კაიენში (საფრანგეთის

გვიანაში), ეშმაკების კუნძულზე, სადაც სიკვდილს მალე უნდა „ჩამოეცილებინა“ გზიდან მსჯავრდადებული. რეაქციული სამხედრო ხროვისთვის ჯერ კიდევ საშიში ადამიანი. საშიში იმიტომ, რომ თანდათანობით რესპუბლიკელთა ფართო წრეებმა საფრანგეთში ამდენხანს უცნობი კაპიტნის ჯაშუშური საქმისა და მასთან დაკავშირებული ანტისემიტური კამპანიის უკან დაინახეს სამხედრო ავანტიურისტების. კლერიკალებისა და მონარქისტულ შეთქმულებათა ცდა — ძირი გამოეთხარათ რესპუბლიკისათვის.

პოლკოვნიკი პიკარი, რომელიც 1895 წელს საფრანგეთის დაზვერვის უფროსად დანიშნეს, გარეგნობით არაფრით არ განსხვავდებოდა თავისი კოლეგებისაგან, იგი სავსებით ინაწილებდა იმათ ცრურწმენასა და სიმპათიებს — წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასოდეს ვერ მოხვდებოდა ასეთ თანამდებობაზე. დანიშვნისთანავე პიკარი მიიღო გენერალური შტაბის უფროსმა, რომელმაც დრეიფუსის საქმის შესახებ სავსებით გარკვეული მითითება მისცა. ის არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად — განუცხადეს პიკარს და ამიტომ სიფრთხილისათვის უნდა შევაგროვოთ დამატებითი სამხილი დრეიფუსის წინააღმდეგ, უნდა დავადგინოთ, რამ აიძულა იგი დამდგარიყო გამცემლობის გზაზე: ხომ არ იყო ბანქოს მოთამაშე, ხომ არ ჰყავდა ძვირადღირებული საყვარლები, ხომ არ ჰქონდა - რაიმე საიდუმლო ბიწიერება, რომელიც მას დიდძალი ფული უღირდა. იქნებ ფინანსური მარცხი განიცადა ბირჟაზე თამაშით? ერთი სიტყვით, დრეიფუსს, ამ საკმაოდ მდიდარ კაცს, რატომ დასჭირდა ფული? ეს იყო სურვილი ეწარმოებინათ არა დამატებითი გამოძიება, არამედ უბრალოდ მოემარაგებინათ შესაფერი საბუთები, თუმცა პიკარის წინამორბედმა საქმეების გადაცემის დროს მეგობრულად ურჩია მას საერთოდ არ მოეკიდა ხელი დრეიფუსის საქმისათვის. პიკარმა გაკვირვებით აღნიშნა ეს აშკარა წინააღმდეგობანი, მაგრამ პოლკოვნიკი სანდერი დიდხანს ავადმყოფობდა და მისი არ ყოფნის დროს საქმეებს მაიორი ანრი ხელმძღვანელობდა.

საფრანგეთში გერმანიის ჯაშუშობის მეთაურს, სამხედრო-ატაშეს პოლკოვნიკ შვარცკოპენს, თავის მხრივ, გარს ეხვია საფრანგეთის აგენტების ქსელი. მეორე ბიურო თვალყურს ადევნებდა პოლკოვნიკ შვარცკოპენს მთელ დღეს დილიდან გვიან საღამომდე. პოლკოვნიკმა პიკარმა, რომელზეც ხშირად მოგვიხდება ლაპარაკი ჩვენს მოთხრობაში, ბინა გერმანიის საელჩოს პირდაპირ მდებარე სახლში დაიქირავა. მის ქვემო სართულზე ცხოვრობდა შვარცკოპენის თანაშემწე მაიორი ზიუსკინდი და საფრანგეთის კონტრდაზვერვას შეეძლო სის-

ტემატურად მოესმინა ბუხრიდან გერმანელი დიპლომატების საუბარი. გარდა ამისა, ფრანგები მალულად სურათს უღებდნენ ყველას, ვინც საელჩოს შენობაში შედიოდა.

ბევრი ფრანგი სამხედრო თეორეტიკოსი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთმა 1870—1871 წწ. მარცხი განიცადა უმთავრესად პრუსიის ჯაშუშური სისტემის უპირატესობის გამო. გასაგებია, რომ ყველა ზომას ღებულობდნენ შეცდომების განმეორების წინააღმდეგ და გერმანიის ჯაშუშობის აქტივობის გასაბათილებლად. საფრანგეთის ოფიცრები და, განსაკუთრებით მაიორი ანრი, ხშირად იყენებდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამსახურს. მაგრამ ყველაზე მთავარი მეორე ბიუროს ჯაშუშებიდან იყო ქალბატონი ბასტიანი, რომელიც გერმანიის საელჩოში დამლაგებლად მუშაობდა და ამავე დროს ელჩის, გრაფ მიუნსტერის, ქალიშვილის პირადი მოახლის მოვალეობას ასრულებდა.

შვარცკოპენი დაარწმუნეს, რომ ქალბატონი ბასტიანი საშიში არ არის და, როგორც თვითონ ელჩი წერდა, „მათი" სიტყვებით, ვინც მას რეკომენდაცია გაუწია, ის „ჯაშუშობისათვის ძალზე გონებაჩლუნგია". გერმანელი დიპლომატი სასტიკად ცდებოდა.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო ფრანგ ქალს საელჩოს ყველა ოთახში ჰქონდა შესვლის უფლება. ვინაიდან გენერალური შტაბის საიდუმლო ფონდიდან მის სახელზე ყოველ წელიწადს ბანკში ხაკმაო ფულს რიცხავდნენ, ქალბატონი ბასტიანი თანახმა იყო შეთავსებით ემუშავა. იგი მუყაითად აგროვებდა სამუშაო კაბინეტებში დადგმულ ნაგვის უთუბიდან, აგრეთვე ბუხრებიდან ყოველივეს, რაც მოხვდებოდა და ნადაელს თვეში ორჯერ მეორე ბიუროს გადასცემდა. ქაღალდების მიტანა საუკეთესოდ იყო მოწყობილი. ქალბატონი ბასტიანი ზოგჯერ კონსიერჟის მოვალეობას ასრულებდა. ამის გარდა, ასეთ მრავალმხრივ „მოღვაწე" ქალს ჰყავდა რამდენიმე საყვარელი, რომლებსაც კარისკაცის ოთახში ღებულობდა. სწორედ აქედან, 1894 წლის სექტემბერში, ქალბატონ ბასტიანის ერთ-ერთმა საყვარელმა, ზემოთ ხსენებულმა ბრიუკერმა, მეორე ბიუროს ჯაშუშ მაიორ ანრის მოუტანა ცნობილი „ბორდერო", რის საფუძველზეც მსჯავრი დასდეს დრეიფუსს.

1896 წლის მარტში ქალბატონმა ბასტიანმა ჩვეულებრივი გზით შეატყობინა დამკვეთებს, რომ მას შეუძლია გადასცეს მორიგი ნადავლი. მაგრამ ანრი ამ დროს დაკავებული იყო ოჯახური საქმეებით. ვინაიდან იგი არავის არ უზიარებდა ქალბატონ ბასტიანის მოღვაწეობის ამბავს, ეს უკანასკნელი ძალზე გაოცებული დარჩა,

რომ არ მიიღო ეკლესიაში მიწვევა, სადაც იგი ჩვეულებრივად მეორე ბიუროს წარმომადგენელს ხვდებოდა. ქალბატონი ბასტიანი აფორიაქდა: მას გამოაშკარავების ეშინოდა, და თანაც ამ დროს უნდოდა დამატებით მიეღო განსაზღვრული თანხა საფრანგეთის დაზვერვისაგან. ერთი სიტყვით, მან შეუპოვრობა გამოავლინა. პოლკოვნიკმა პიკარმა ანრის ქალბატონ ბასტიანთან შეხვედრა უბრძანა, რათა მის მიერ ნაშოვნი დოკუმენტები მიეღო. მაიორმა შეასრულა ბრძანება. მან ზერელედ გადაათვალიერა ქაღალდების მორიგი ნაწილი, რომელიც ქალბატონმა ბასტიანმა მოიპარა. შემდეგში დიდ საზღაურს გადაიხდიდა ანრი, რომ როგორმე თავისი დაუდევრობა გამოესწორებინა.

მაგრამ მაიორი ანრი, თავისი ოჯახური მდგომარეობის გამო, შვებულებაში გავიდა. ეს ქაღალდები ხელში ჩაუვარდა კაპიტან ლოტს, რომელსაც დროებით უნდა შეესრულებინა ანრის მოვალეობა. ამ ქაღალდთა შორის იყო რამდენიმე ათეული ცისფერი ქაღალდის ნახევი, რომლებზედაც იმ დროს პარიზში მიღებული იყო თანდართული წერილების წერა. ამ ნაფლეთებად ქცეული წერილის აღდგენა მეორე ბიუროს თანამშრომლებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მართლაც, მალე პოლკოვნიკ პიკარის წინ უკვე იდო აღდგენილი დოკუმენტი, რომელშიც ეწერა:

„პარიზი, ბიენფეზანსის ქუჩა, სახლი 27, მაიორ ესტერგაზის.

მოწყალეო ხელმწიფევ! ჯერ ერთი, მე ვიშედოვნებ, რომ მივიღებ თქვენგან უფრო დაწვრილებით ინფორმაციას, ვიდრე ისეთს, როგორიც თქვენ გადმომეცით ცოტა ხნის წინ იმ საკითხზე, ჩვენ რომ გვქონდა საუბარი. ამიტომ გთხოვთ მაცნობოთ წერილობით, რათა საშუალება მომეცეს ვიმსჯელო — შემიძლია თუ არა შემდეგში კავშირი ვიქონიო ფირმა P-სთან.

„კ...ტ“.

თანდართული წერილი ჩვეულებრივად იკეცებოდა და უკონვერტოდ ეგზავნებოდა ადრესატს. ამ წერილზე არ იყო ფოსტის შტამპი, ე. ი. ის არ გაუტარებიათ ფოსტაში. ავტორის ვინაობაზე არავითარი ეჭვი არ არსებობდა. იგი შეიძლება მხოლოდ პოლკოვნიკი შვარცკოპენი ყოფილიყო. მართალია, წგრილი მისი დაწერილი არ იყო, იგი დაწერა ერთმა მისმა მეგობარმა, რომელიც წინათაც ადგენდა ანალოგიურ წერილებს პოლკოვნიკის მაგივრად „კ...ტ“-ს ხელმოწერით.

პოლკოვნიკ შვარცკოპენის თანამშრომლის ოდნავ შეცვლილ ნაწერს კარგად იცნობდა მეორე ბიურო ქალბატონ ბასტიანის შემწეობით.

თუ რატომ არ გაუგზავნეს წერილი ესტერგაზის, გამოცანად დარჩა. შესაძლებელია, შვარცკოპენმა შეცვალა გადაწყვეტილება — იგი ესტერგაზისთან კავშირის გაწყვეტას აპირებდა, ვინაიდან ვეღარ აწოდებდა მნიშვნელოვან ცნობებს. მან წერილი უცბად დახია და ნაგლეჯები უკვე ჩამქრალ ბუხარში შეყარა. მეორე ვერსიით, პოლკოვნიკი თვითონ აპირებდა წერილის წაღებას ფოსტაში, მაგრამ საქმეების გამო შეყოვნდა და ამიტომ გასაგზავნად გადასცა ქალბატონ ბასტიანს, რომელმაც იგი გადაგზავნა... მეორე ბიუროში. მაგრამ ეს ვერსია არ შეეფერება იმ ფაქტს, თითქოს წერილი ქალბატონ ბასტიანის მიერ წინასწარ იყო დახეული. წერილის დახევას და შემდეგ თავის დამქირავებლებთან მოგროვილი ნაგლეჯების წაღებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ერთი კი დღეს უდავოა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ნამდვილია. ეს მრავალი წლის შემდეგ თვით შვარცკოპენმა აღიარა. მაგრამ დრეიფუსის საქმის მსვლელობის დროს გენერლის მუნდირებიანი ფალსიფიკატორები დაჟინებით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ყველა ამ წერილის სიყალბეში, რათა გაებათილებინათ სიყალბე მათ მიერ შეთხზული ტყუილებისა.

პიკარი პატიოსანი კაცი იყო. პოლკოვნიკი გამოირჩეოდა მის ირგვლივ მყოფ უპრინციპო კარიერისტებისაგან, რომლებიც პატრიოტიზმისა და საფრანგეთის სადიდებელი ფრაზების უკან იმალებოდნენ. პიკარი დარწმუნებული იყო დრეიფუსის დანაშაულში (ის ხომ სამხედრო სასამართლომ სცნო დამნაშავედ!). ალბათ, კიდევ არის ერთი მოლალატე, გაიფიქრა პიკარმა და გადაწყვიტა ესტერგაზის საქმისათვის მოეკიდა ხელი. პიკარმა ამის შესახებ არაფერი უთხრა თავის უფროსებს. მაგრამ პიკარის ნებისთმა თუ უნებლიე სამსახურებრივმა დაუდევრობამ, რის გამოც შემდეგში მას სასტიკად კიცხავდნენ, თავიდანვე არ მისცა საშუალება გამოძიებას ჩამკვდარიყო.

მაგრამ ახლა უკვე დროა გავიცნოთ პოლკოვნიკ შვარცკოპენის კორესპონდენტი ესტერგაზი, ანუ გრაფი მარია-შარლ ფერდინანდ ვალსინ-ესტერგაზი, როგორც მას ოფიციალურად უწოდებდნენ. იგი დაიბადა პარიზში, გრაფის ტიტული თვითონ მიიკუთვნა. სწავლობდა ვენის სამხედრო აკადემიაში, მონაწილეობდა ავსტრია-პრუსიის ომში, შემდეგ კი საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში შევიდა. მისი შემდგომი კარიერა საფრანგეთის არმიაში ფრიად წარმოსადეგად გვეჩვენება: ესტერგაზმა თითქოს დიდი გმირობა გამოიჩინა საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. „თითქოსო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ეს

ცნობები ამოღებულია ესტერგაზის მეგობრების მიერ სამსახურებრივი ფორმულარიდან, რომელიც მისი კარნახით იყო შედგენილი. ისიც ნათელია, რომ ესტარგაზი საფრანგეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვისათვის მუშაობდა, — ჯაშუშობდა სხვა ოფიცრებზე. უამრავი ნაცნობი ჰყავდა სამხედრო წრეებში. მის ნაცნობებს შორის იყო ვინმე ოფიცერი ანრი, რომელმაც ესტერგაზისაგან დიდი თანხა, 6 ათასი ფრანკი ისესხა და ვერაფრით ვერ შეძლო ვალის დაბრუნება. ეს იყო სწორედ ის მაიორი ანრი, რომელიც მეორე ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა.

მაგრამ ესტერგაზი მარტო საფრანგეთის არმიის დაზვერვაში სამსახურით არ კმაყოფილდებოდა. ის ემსახურებოდა ყველას, ვინც კარგად გადაუხდიდა. საეჭვო გრაფი გახდა ნამდვილი საერთაშორისო ჯაშუში. ის საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა ინგლისს, იტალიას, ავსტრიას და, რასაკვირველია, პირველ 'რიგში, გერმანიას, რომელიც ყველაზე მეტს უხდიდა თავისი მთავარი მეტოქის, საფრანგეთის სამხედრო საიდუმლოებებში. 1930 წელს გამოქვეყნებული შვარცკოპენის მემუარებიდან ჩანს, რომ ესტერგაზი მის სამსახურში იმყოფებოდა 1894 წლის ივლისიდან 1897 წლის ოქტომბრამდე ე. ი. პოლკოვნიკის მიერ საფრანგეთში სამხედრო ატაშეს პოსტის დატოვებამდე. ესტერგაზი ყოველთვიურად იღებდა 2 ათას მარკას და ხშირად დამატებით თანხასაც იმ საბუთებისათვის, რომლებიც გერმანიის გენერალური შტაბისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო. გენერალურ შტაბში მივლინებულ ეს ბრწყინვალე არისტოკრატი საფრანგეთის ბურჟუაზიული მმართველი წრეების გახრწნის განსახიერებას წარმოადგენდა; უსაფუძვლოდ როდი სთვლიდა იგი რესპუბლიკის პრეზიდენტს მულტიმილიონერ კაიზერ პერიეს პოლიტიკურ პატივმოყვარედ, რომელსაც არც ნიჭი გააჩნდა და არც პრინციპები, სამხედრო მინისტრს — არარაობად, გენერალური შტაბის უფროსს გენერალ ბუადეფრის — იეზუიტების დამჯერ მარიონეტად, ხოლო პარიზის სამხედრო გუბერნატორს სოსიეს — სულელ ავხორც მოხუცად.

ფულის მოსახვეჭად ესტერგაზი ყველაფერს კადრულობდა: ბირჟაზე თამაშსა და გარ ლაზარის ახლოს მდებარე საროსკიპო სახლის შენახვას. ყოფილი საყვარლებისა და პარიზის როტშილდების საბანკო სახლის მეთაურის შანტაჟირებას. ხოლო როდესაც შანტაჟიდან და საროსკიპო სახლიდან შემოსავალი საკმარისი არ აღმოჩნდა და ბირჟაზე აქციებით თამაშმა იგი სერიოზულად დააზარალა, ესტერგაზიმ მშვიდად დაიწყო სამხედრო საიდუმლოებებით ვაჭრობა. ამასთანავე სავსებით შეინარჩუნა ჯენტლმენის საუკეთესო ოფიცრის რეპუტაცია.

იგი წინანდებურად ეკლესიისა და არისტოკრატიული სალონების თვალისჩინად დარჩა. რასაკვირველია, ესტერგაზის შენიღბული ცხოვრების მეორე მხარე ცნობილი გახდა შემდეგში. მაგრამ ის, რაც პოლკოვნიკმა პიკარმა 1896 წ. გაზაფხულზე ფრთხილად ნაშოვნი ცნობებიდან შეიტყო, საკმარისი იყო.

პიკარმა დაადგინა, რომ ესტარგაზის, რომელიც ყოველთვის განიცდიდა ფულის ნაკლებობას, მნიშვნელოვანი საიდუმლო საბუთებისა და ნახაზების ასლები ჰქონდა. პოლკოვნიკი პიკარი პირველ ხანებში ესტერგაზის თავხედობამ შეაშფოთა. ესტერგაზი თავს უშიშრად გრძნობდა და სამხედრო ფორმით თავისუფლად დადიოდა გერმანიის საელჩოში. პიკარმა ბრძანა თვალყური ედევნებინათ ესტერგაზისათვის, მაგრამ მისმა მოადგილემ მაიორმა ანრიმ საჩქაროდ აცნობა თავის მეგობარსა და კრედიტორს, რომ მასზე დაწესებულია მეთვალყურეობა. ამის შემდეგ ესტერგაზმა დაუდევრობა გამოიჩინა და გააგებინა მეორე ბიუროს საელჩოში სიარულის მიზეზი: უბრალოდ ის მხოლოდ ვიზას ღებულობდა თავისი უფროსის, 74-ე პოლკის მეთაურის ცოლისათვის, რომელსაც ელზასში გამგზავრება სურდა. მაგრამ პიკარის კვალიდან ჩამოცილება აღარ შეიძლებოდა. მან შეისწავლა „დრეიფუსის საქმის“ დოსიე და მისჯილი ოფიცრის წინააღმდეგ სამხილთა უქონლობის გამო განცვიფრებული იყო. მეორე მხრივ, შეადარა რა ესტერგაზის ხელნაწერი ქაღალდები უკვე ცნობილ „ბორდეროს“, პიკარი დარწმუნდა მათ იგივეობაში. კითხვა, თუ ვინ იყო გერმანიის ჯაშუში, მისთვის უკვე გასაგები იყო. რამდენიმე თვის ყოყმანის შემდეგ პიკარმა გაბედა წინასწარი გამოძიების შედეგები უფროსებისათვის მოეხსენებინა.

გენერალური შტაბის უფროსმა ბუადეფრმა წაიკითხა თუ არა პიკარის მოხსენებითი ბარათი, იგი სამხედრო სამინისტროს ერთ-ერთ ხელმძღვანელს გენერალ გონზს გაუგზავნა. განცვიფრებულმა გონზმა მხოლოდ ამის თქმა შეძლო: „ესე იგი დაშვებულ იქნა შეცდომა“. მაგრამ უცბად ჯონს მოვიდა და პიკარს უბრძანა ესტერგაზის საქმის გაძოძიება დრეიფუსის საქმესთან დაუკავშირებლად გაეგრძელებინა. პიკარი განაგრძობდა სულ ახალი სამხილების შეგროვებას. ამ მასალებით იგი ისევ წარსდგა გენერალ გონზის წინაშე. პიკარი ხაზს უსვამდა, რომ შეიძლება მომხდარიყო უსიამოვნება, რომელიც ზიანს მიაყენებდა არმიისა და გენერალური შტაბის ღირსებას. იგი ესტერგაზის დაპატიმრებისათვის სანქციის მიღებას თხოულობდა. გონზმა უარი უთხრა და გაბრაზებულმა შენიშნა, რომ ვერ გაუგია დრეიფუსის საქმით პიკარის დაინტერესების მიზეზი: ამ საქმის ხელახლა და-

წყება არ შეიძლება — მასში გარეული არიან გენერლები მერსიე და სოსიე. მაგრამ დრეიფუსი ხომ უდანაშაულოა — დააპირა შეპასუხება პიკარმა. ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — პასუხობს გენერალი. საქმის გახსნის შემთხვევაში თავი ეპრება გენერალურ შტაბს — პიკარი უკანასკნელად ცდის.

— თუ თქვენ ამის შესახებ არავის არაფერს ეტყვით, ვერავინ გაიგებს, — აცხადებს გონზი.

— ეს სისაძაგლეა, ჩემო გენერალო! — წამოიძახა პიკარმა. — მე არ მსურს ეს საიდუმლოება საფლავში ჩავიტანო.

სამხედრო ხროვა საფრთხეს გრძნობს. პარიზში პიკარი მრისხანე საშიშროებას წარმოადგენს. საჭიროა დედაქალაქიდან მისი საჩქაროდ გაძევება. სამხედრო მინისტრი პიკარს საჩქარო და საიდუმლო მისიას ავალებს. იმდენად საჩქაროს, რომ პიკარს ორი საათიც არა რჩება მოსამზადებლად, იმდენად საიდუმლოს, რომ პიკარმა უნდა ჩამოუაროს გერმანიის საზღვარზე განლაგებულ რამდენიმე არმიას, უნდა გაჩერდეს იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა სამსახურებრივი მოვალეობის საჩქაროდ შესრულებისათვის. პარიზიდან კი პიკარს მოსდის დამატებითი, მეგობრული ტონით დაწერილი, მაგრამ კატეგორიული წერილი — ბრძანებები: ჩქარა, ჩქარა! დღეს პიკარი მარსელშია, ხვალ — ლიონში, ზეგ — გრენობლში. როგორც კი მისია უახლოვდება დასასრულს, მას მეორე გადაუდებელ საქმეს ავალებენ — ორგანიზაცია გაუკეთოს სადაზვერვო სამსახურს საფრანგეთის კოლონიებში ალჟირსა და ტუნისში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი პიკარი ალჟირში მე-4 მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობას ღებულობს, რომელიც საფრანგეთის კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყებულ რაზმებს სდევნის. ასეთ პირობებში აჯანყებულის (შეიძლება დაჭირავებული გადაცმული მკელელის) ტყვიამ უნდა მოაშოროს გენერალთა ხროვას უხერხული მოწმე. ჯერჯერობით კი, რომ გააჩუმონ სამსახურისათვის თავდადებული პიკარი, გენერალური შტაბის გენერალი გონზი და სხვა ცნობილი ეარსკელავები პოლკოვნიკს მგზნებარე სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულ წერილებს უგზავნიან.

ყოველი შემთხვევისათვის იქმნება დაცვის მეორე ხაზიც. მეორე ბიურო, სადაც ახლა ყველაფრის ავანჩავანია ანრი, სასწრაფოდ ერთიმეორის მიყოლებით თითხნის ყალბ საბუთებს: ანონიმურ წერილებს სამხედრო მინისტრისადმი, რომლის შინაარსმაც უნდა მიიყვანოს იმ აზრამდე, თითქოს ყველაფერი ეს პიკარიდან მოდის. ამ წე-

რილების საშუალებით უნდოდათ დაემტკიცებინათ, თითქოს პიკარი ამხელს სამხედრო საიდუმლოებებს და მოსყიდულია დრეიფუსის საქმის გადასინჯვის მომხრეების მიერ.

გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის მიმართ თავისი მოკრძალების მიუხედავად, პიკარი ბუნდოვნად ხვდება, თუ რა ხდება. ის თხოულობს 8-დღიან შვებულებას, მიემგზავრება პარიზში და თავის ძველ მეგობარს ეთათბირება. ალჟირში დაბრუნების შემდეგ პიკარი ყოველი შემთხვევისათვის ადგენს ანდერძს, სადაც წერს, რომ ესტერგაზი ჯაშუშია, რომ მან პასუხი უნდა აგოს მოქმედებისათვის, რის გამოც უდანაშაულოდ და კანონის საკუთებით აბუჩად აგდების საფუძველზე დრეიფუსი დამნაშავედ ცნეს და სასჯელი გამოუტანეს.

სამხედრო ხროვამ გადაწყვიტა ჯიქურ ემოქმედა. იგი არა მარტო პიკართან ანგარიშის გასწორებას აპირებდა, არამედ სურდა ხმა. ჩაეკმენდინებინა ყველა დრეიფუსარისათვის (დრეიფუსის საქმის ხელახლა განხილვის მომხრეებისათვის), რომელთა რიცხვიც იზრდებოდა. სენატის ვიცე-პრეზიდენტი შერერ-კესტნერი ეჭვს გამოთქვამს დრეიფუსის დანაშაულობაში. მაშინ სამხედრო მინისტრი ბიო, რომელიც მის ძველ მეგობრად ითვლება, უგზავნის მას გენშტაბის ოფიცერს, ის კი საიდუმლოდ უცხადებს: სენატორისათვის უკეთესია არ შეეხოს დრეიფუსის საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შერერ-კესტნერი „შეიძლება საშინელი ინსინუაციების მსხვერპლი გახდეს". ამასობაში პიკარი პარიზში ხანმოკლე ყოფნის დროს ადვოკატ ლებლუას ხელით გადასცემს შერერ-კესტნერს თავის მიწერ-მოწერას გენერალ გონზთან.

1897 წლის 14 ივლისს შერერ-კესტნერი საზეიმოდ აცხადებს სენატში, რომ ის დარწმუნდა დრეიფუსის უდანაშაულობაში და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს დაამტკიცოს. მაგრამ სენატორმა ჯერ ძალიან ცოტა რამ იცის. მართალია, პიკარის სახელი ნახსენები არ არის, მაგრამ გენერალური შტაბის შეშფოთებული მესვეურებისათვის ნათელია, თუ საიდან აქვს შერერ-კესტნერს ეს ცნობები.

მალე ამას ახალი დარტყმა მოჰყვა. ჯერ კიდევ 1896 წ. მემარჯვენე გაზეთმა „მატენმა" იმისათვის, რომ დაემტკიცებინა დრეიფუსის უდანაშაულობა, გამოაქვეყნა „ბორდეროს" ასლი. ერთ-ერთმა მკითხველმა, ბანკირმა კასტრომ იმწუთშივე იცნო თავისი კლიენტის, ესტერგაზის ხელი. დრეიფუსარები პიკარის ცნობების გარეშეც სწორ გზაზე იდგნენ. ახლა კი გასამართლებული კაპიტნის ძმამ მატიუ დრეიფუსმა სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილ ღია წერილში

პირდაპირ დაადანაშაულა ესტერგაზი, როგორც „ბორდეროს“ ავტორი.

ესტერგაზის მეგობრები სამხედრო სამინისტროდან საგანგაშო დეპეშებით იბარებენ მაიორს პარიზში. დედაქალაქში ესტერგაზის, რომელიც ერთ-ერთ თავის საყვარელთან გაჩერდა, გენერალური შტაბის წარმომადგენელი პოულობს. მან აუწყა, რომ მიუხედავად გაელენიან პირთა მხარდაჭერისა, მაიორის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. მის წინააღმდეგ არსებობს უამრავი მხილება, რომლებიც ახლა ყველასათვის ცნობილია. ქებულ მამაცს იმდენად ეცვლება გამომეტყველება, რომ მისი ცნობა ძალიან ძნელი ხდება. ერთადერთი, ვისაც შეუძლია მისი გადარჩენა, ესაა გერმანიის სამხედრო ატაშე. ესტერგაზი ეტლში ჯდება და გერმანიის საელჩოში მიდის. ვერ შეამჩნია, რომ კვალდაკვალ პოლიციის აგენტი გაჰყვა. იგი ემუდარება პოლკოვნიკ შვარცკოპენს, იხსნას მისი სიცოცხლე და სთხოვს — განუცხადოს დრეიფუსის ოჯახს, რომ კაპიტანი მოღალატე იყო. შვარცკოპენმა, რასაკვირველია, უარი უთხრა თავის ჯაშუშს ფანტასტიკური თხოვნის შესრულებაზე.

გერმანელი პოლკოვნიკი ყველაზე ნაკლებად ხელმძღვანელობდა სიმართლის გრძნობით, ელემენტარული წესებით ანდა უბრალოდ იმითაც რომ ტყუილი არ ეთქვა. ესტერგაზის სასარგებლოდ. შვარცკოპენის სინდისი მრავალი წლის განმავლობაში დუმდა, მაშინ როდესაც არაერთხელ სთხოვეს გამოსულიყო პრესაში განცხადებით, თუ ვინ იყო დამნაშავე. მაგრამ პოლკოვნიკმა იცოდა, რომ ბერლინში კაიზერი ვილჰელმ II და მისი მრჩევლები სიამოვნებით იფშვნეტდნენ ხელებს, როდესაც საფრანგეთში მზარდი პოლიტიკური კრიზისის შესახებ ცნობებს ღებულობდნენ. რაც უფრო ღრმად ჩაეფლობა საფრანგეთის რესპუბლიკა „დრეიფუსის საქმის“ ჭაობში, მით უფრო უკეთესია ჩვენთვის — ფიქრობდნენ ბერლინში. მარტო ეს მოუკუმავდა პირს პოლკოვნიკ შვარცკოპენს, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ თუ იგი დრეიფუსს (ან ესტერგაზის) ოფიციალურად გერმანიის ჯაშუშად გამოაცხადებდა, ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა. გასაგებია, რატომ ეუბნებოდნენ ესტერგაზის უარს.

მელოდრამა ჩქარა ოპერეტამ შეცვალა. შიშისაგან თავგზააბნეული, გააფთრებული ესტერგაზი დაემუქრა შვარცკოპენს — სულ სხვა მხრივ გამოგააშკარავებო. ესტერგაზი ძალიან კარგად იცნობდა იმ კეკლუცს, რომელთანაც კავშირი ჰქონდა სამხედრო ატაშეს. ახლა უკვე არანაკლებ გამძვინვარებულმა პოლკოვნიკმა ფრანგ მაიორს კარებისაკენ მიუთითა. ესტერგაზიმ რევოლვერი იძრო და პოლკოვ-

ნიკს განუცხადა, ჯერ შენ მოგკლავ და შემდეგ მეც მოვიკლავ თავსო. გერმანელი იცნობდა მხდალ აუანტიურისტს. მან უბრალოდ პანღურით გამოაგდო ესტერგაზი გარეთ. ფარსის მორიგი მოქმედება დაუმთავრებელი დარჩებოდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ შვარცკოპენის კაბინეტში ესტერგაზი ისევ არ გამოჩენილიყო. მაგრამ როგორი ცვლილებები მოხდა მასში ამ რამდენიმე საათში! შვარცკოპენის წინ იდგა ზრდილობიანი, ოდნავ ქედმაღალი არისტოკრატი, რომელიც საპატივცემულო მეგობართან დასამშვიდობებლად მოვიდა...

მაინც რა მოხდა? გენერალური შტაბის გავლენიანი ოფიცრები ესტერგაზიზე არანაკლები მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს მის მოქმედებას და, როდესაც ნაცემი ძაღლივით საელჩოდან გამოგდებულმა ესტერგაზიმ მათთან მიაღწია, მათ მეგობრულად დაამშვიდეს მაიორი. შეხვედრა ხდება მონსურის პარკში. ულაზათო, განიერ პალტოებში გამოწყობილი ცრუწვერა და მუქსათვალიანი გენერალური შტაბის ოფიცრები ერთად, მეგობრულად ანუგეშებენ საერთაშორისო ჯაშუშს, საფრანგეთის აშკარა გამყიდველს, რომელსაც ნერვები მოეშალა. ესტერგაზიმ გაიგო, რომ გენერალურ შტაბს ხელთა აქვს კაპიტან დრეიფუსის დანაშაულობის უდავო მტკიცებანი, რომლებიც ჩააჩუმებს მის ძმას და ყველაზე, ვინც გაბედა მაიორისათვის ოდნავ ეჭვის თვალით შეეხედა. ასეთი დამამშვიდებელი ცნობებით მთლიანად გონს მოსული ესტერგაზი ნახა პოლკოვნიკმა შვარცკოპენმა, როდესაც მაიორი მასთან დასამშვიდობებლად მივიდა.

მაგრამ „ყალბი წვეროსნები" მარტო ნუგეშით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი ზუსტად ასწავლიან ესტერგაზის, როგორ უნდა მოიქცეს, და გახარებულმა არამზადამ მოქმედება დაიწყო. ანრისა და პატიდიუ კლამის შეგულიანებით ის წერილებს სწერს ჯერ სამხედრო მინისტრს, სადაც სთხოვს მიღებას საუბრისათვის, რომელსაც შეუძლია დიდი უსიამოვნების არიდება. მაგრამ მინისტრი მოქალაქეცაა და პოლიტიკოსიც, — ამიტომ ის ყურს არ უგდებს გენერლებს და არ უნდა მაიორის მიღებით სახელი გაიტეხოს. ესტერგაზი ამტკიცებს, რომ მხოლოდ „ანონიმური წერილებიდან" გაიგო პიკარის „მაქინაციები" და მისი დუელში გამოწვევა ვერ შეძლო იმის გამო, რომ პოლკოვნიკი პარიზში არ აღმოჩნდა, ხოლო რაც შეეხება მისი და „ბორდეროს" ავტორის ხელწერის მსგავსებას, ეს სრულიად ადვილად აიხსნება. დრეიფუსი თავის მეგობარი ბანკირების მეშვეობით ნამდვილად იცნობდა ესტერგაზის ფულზე ხელმოწერის ნიმუშს. როდესაც დრეიფუსი „ბორდეროს" სწერდა, მან უბრალოდ მიამსგავსა მაიორის ხელს. ესტერგაზისა და შვარცკოპენის ნაცნობობის ახსნა ძნელი არ

არის. ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის, როდესაც მაიორის მშობლებმა კურორტ კარლსბადში გერმანიის მომავალი ატაშე გაიცნეს (ესტერგაზის მამა გარდაიცვალა წერილის დაწერამდე 40 წლით ადრე). ესტერგაზი ცდილობდა გერმანიის საელჩოში სტუმრობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მნიშვნელობა არ ჰქონდა როდის მოხდებოდა ეს სტუმრობა, ღღისით, როგორც ამას დამნაშავე თავისი უმწიკვლოების სრული შეგნებით აკეთებდა, თუ სხვა დროს. ესტერგაზი რწმუნდებოდა, რომ სიმართლეს მიაღწევდა, თუ გერმანიის კაიზერს მიმართავდა, რომელიც, როგორც ჯარისკაცი, უარს არ ეტყოდა პატიოსანი სიტყვით დაემოწმებინა, რომ ფრანგ მაიორს არავითარი საძრახისი კავშირი არ ჰქონდა გერმანიის სამხედრო ატაშესთან.

ამგვარი დეკლარაციებით იყო აღსავსე ესტერგაზის წერილები, რომლებსაც იგი რესპუბლიკის პრეზიდენტს ფელიქს ფორს უგზავნიდა (ფორმა 1895 წელს შესცვალა კაზიმირ პერიე). ამ წერილებში არამზადა აშკარად იმუქრებოდა, რომ მისმა დადანაშაულებამ შეიძლება გერმანიასთან ომი გამოიწვიოს. პრეზიდენტმა ესტერგაზის წერილზე არ უპასუხა. თვით ამ მემარჯვენე პოლიტიკოსმაც კი, რომელიც სამხედრო მუნდირში გამოწყობილ უკიდურეს რეაქციონერებს ეპირფერებოდა, ვერ გაბედა ეპასუხა მისთვის. სამაგიეროდ, ესტერგაზი ინახულა ერთმა პიროვნებამ, რომელიც შემდეგ სასამართლო ანგარიშებში იწოდებოდა როგორც „ქალი ვუალში“. ამ ქალის ახლო გაცნობით აღმოჩნდა, რომ ის იყო პოლკოვნიკი პატი დიუ კლამი. მან ახალი, ყალბი საბუთი მიუტანა, რომელიც შეორე ბიუროში იყო შეთითხნილი. ეს საბუთი ესტერგაზიმ ზეიმით მიიტანა სამხედრო სამინისტროში. სამხედრო მინისტრის დავალებით, ესტერგაზი გენერალმა სოსიემ გამოიძახა. მან მეგობრულად დატუქსა იგი იმ თავშეუკავებლობისათვის, რომელიც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირისადმი მიწერილ წერილში გამოიჩინა.

მართალია, თვალის ახვევის მიზნით საქმე უნდა დაეწყოთ, მაგრამ ესტერგაზი დაამშვიდეს, რომ იგი სრულიად გამართლებული იქნებოდა. სენის დეპარტამენტის ჯარების სარდალმა გენერალმა პელიემ დაჰკითხა გამოჩენილი დრეიფუსარები და ბრძანება გასცა მათი ბინები გაეჩხრიკათ. მარტო ესტერგაზის ბინის გაჩხრეკა ჩასთვალა გენერალმა ზედმეტად! პროკურორად დანიშნულმა მაიორმა რიავარიმ საბრალდებო დასკვნის მაგივრად ესტერგაზის სათნოების პანეგირიკი შეადგინა. ერთადერთ დამნაშავედ, რასაკვირველია, დრეიფუსის გარდა, პოლკოვნიკი პიკარი გამოაცხადეს. გენერალ პელიეს წაქეზებით

ესტერგაზიმ (გენერალი გამოდიოდა ყურადღებიანი რედაქტორის როლში) შეთხზა ქედმაღლური განცხადება, რომელშიც სამხედრო საველე სასამართლოს სხდომის საჩქაროდ მოწვევას მოითხოვდა. ესტერგაზის განცხადება აღტაცებით დაიტაცეს რეაქციულმა გაზეთებმა.

1898 წლის იანვარში სასამართლომ გაარჩია ესტერგაზის საქმე. ქეშმარიტების მიუხედავად. „ექსპერტები" ჯიუტად აცხადებდნენ, რომ „ბორდეროს" ავტორისა და ესტერგაზის ხელნაწერებს არავითარი საერთო არა ჰქონდათ. ისინი უფრო შორსაც მიდიოდნენ, ვიდრე ესტერგაზი, რომელიც, როგორც დავინახეთ, ნაწილობრივ სცნობდა მსგავსებას. ესტერგაზიმ პატი დიუ კლამისაგან მიიღო დაწვრილებითი ინსტრუქცია, როგორ დაეჭირა თავი სასამართლოზე, რა ელიარებინა და რაზე ეთქვა უარი, სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელებთან როგორი კავშირი დაემალა და, პირიქით, როგორით ეტრაბახა თავისუფლად.

სასამართლო კომედიად გადაიქცა. სამხედროები — გენერლებიდან უმცროს ოფიცრებამდე — „ერთხმად" აძლევდნენ წინასწარ მომზადებულ ჩვენებებს. სასამართლოს თავმჯდომარე მაშინაც კი უხეშად არღვევდა დრეიფუსარების მოწმეების უფლებებს, როდესაც საქმე ისეთ ადამიანს ეხებოდა, როგორიც იყო სენატორი შერერ-კესტნერი, თუ არაფერს ვიტყვით პიკარზე, რომელიც ფაქტიურად დამნაშავედ ცნეს. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად. სამი წუთი დასჭირდა. ესტერგაზი გაამართლეს, სასამართლო დარბაზი მისი მომხრეების აღტაცებულმა ყიჟინამ მოიცვა. იგი შოვინისტური პრესისა და პარიზის სალონების კერპი და სათაყვანებელი პირი გახდა.

სწორედ ამ დროს მთელ საფრანგეთში იქუხა 1898 წლის 13 იანვარს გაზეთ „ოროროში" გამოქვეყნებულმა ემილ ზოლას ცნობილმა წერილმა „მე ვადანაშაულებ". დიდი მწერალი სამხედრო ხროვას და მის მოკავშირეებს მართლმსაჯულების დამახინჯებასა და სიყალბეში ადანაშაულებდა. ესტერგაზის შესახებ საინტერესო დაწვრილებითი ცნობები გაიხსნა. გაზეთ „ფიგაროში" გამოქვეყნდა მაიორის წერილები ერთ-ერთ საყვარელთან. ამ წერილებში იგი ციინიკურად დასცინოდა ფრანგ ხალხს, ულანთა რაზმეულის მეთაურობით ფრანგი ხალხის ხმლით აჩეხვის სურვილს გამოთქვამდა, პარიზი კი დასარბევად უნდოდა მიეცა ასიათასობით მთვრალი უცხოელი ჯარისკაცისათვის. „აი ზეიმი, რომელზედაც მე ვოცნებობ" — დასძენდა ესტერგაზი.

როდესაც ესტერგაზიმ შეიტყო, რომ მოსალოდნელი იყო ამ წერილების გამოქვეყნება, ანრისთან გაემგზავრა და სთხოვა ხელი შეეშალათ ამ წერილების გამოქვეყნებაში, რადგანაც იგი შეიძლებოდა გილიოტინაზე აეყვანათ. ანრის ან ხელი უნდა შეეშალა ამ წერილების პუბლიკაციისათვის, ან დაეტოვებინა საფრანგეთი და „ბორდეროზე" სრული სიმართლე ეთქვა (ეს იყო ნამდვილი შემონახული სვლა თაღლითისა, რომელიც აპირებდა გაზეთებისათვის მიეყიდა დრეიფუსის საქმის „საიდუმლო ისტორია" და ამით გამდიდრებულიყო). ანრიმაც თავის მხრივ მუქარით უპასუხა — გაცემულია ბრძანება ესტერგაზის დაპატიმრების შესახებ, თუკი იგი საზღვარზე გადასვლას შეეცდებაო. ამავე დროს მიიღეს ზომები ხელი შეეშალათ წერილების გამოქვეყნებისათვის: მთელმა რიგმა გაზეთებმა უარი თქვეს მის დაბეჭდვაზე, თანხმობა განაცხადა მხოლოდ ბულვარულმა „ფიგარომ". რომელიც სენსაციისაგან დიდი სარგებლის მიღებას იმედოვნებდა. მაგრამ მალე გაზეთზე დაწოლა მოახდინეს და მან სასწრაფოდ „დაიეიწყა" წერილები, რომლებიც თავის მკითხველებს გააცნო.

სასამართლო პროცესზე ზოლას წინააღმდეგ გამოსვლით ესტერგაზი „ეროვნული გმირის" როლის თამაშს განაგრძობდა. მის შემდგომ კარიერას ამ ასპარეზზე ერთი დელიკატური ფაქტის აღმოჩენამ შეუშალა ხელი: ამ „უმწიკვლო" ოფიცერმა, სხვათა შორის, უბრალოდ 35 ათასი ფრანკის მოპარვა მოასწრო, რომელიც ბანკში უნდა შეეტანა ნათესავის თხოვნით. გენერალური შტაბის გამოქომაგების მიუხედავად, სამოქალაქო სასამართლომ სულ სხვა თვალით შეხედა ეროვნული ცუღლუტის მორიგ „ოინბაზობას". მაგრამ ყველაფერ ერთბაშად არ მომხდარა.

ჯერჯერობით კი რეაქციამ სამაგიერო გადაუხადა ზოლას, იგი პასუხისგებაში მისცეს და მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს. ციხე რომ აეცდინა, ზოლა იძულებული გახდა წასულიყო ინგლისში, საიდანაც კვლავ განაგრძობდა ბრძოლას.

პიკარის მიერ სასამართლოზე ესტერგაზის დანაშაულის შესახებ გაკეთებული განცხადების, ზოლას წერილისა და დრეიფუსარების მიერ შეკრებილი დამამტკიცებელი მასალებისათვის გვერდის ავლა უკვე აღარ შეიძლებოდა. გენერლების ხროვას დრეიფუსის საწინააღმდეგო ახალი, საფუძვლიანი „დამამტკიცებელი" საბუთები სჭირდებოდა. მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას. მაიორმა ანრიმ, რომელმაც თავიდანვე იცოდა, თუ ვინ იყო გერმანიის ჯაშუში, გადაწყვიტა ისევ უფროსებს დახმარებოდა. ამისათვის მან შეთითხნა იტალიის

სამხედრო ატაშეს ყალბი წერილი (იტალია გერმანიის მოკავშირე იყო). წერილი იწყებოდა და თავდებოდა ნაწყვეტებით იტალიელი ოფიცრის იმ ნამდვილი დეპეშიდან, რომელიც ანრის ხელთ ჩაუვარდა, შუაში კი „ჩამონტაჟებული“ იყო ფრაზები, რომლებშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ პანიცარდი და შვარცკოპენი არ გაამხელდნენ კაპიტან დრეიფუსთან კავშირს. ამ მხატვრობის ფოტოასლი პიკარისათვის ახალ პროცესზე უნდა წარედგინათ (სამხედრო ხროვა თვლიდა, რომ პიკარი იოლად გადარჩა, რადგან მისჯილი ჰქონდა მცირე ხნით პატიმრობა).

1898 წ. თებერვალში პიკარი გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან, ივლისში კი სიყალბისათვის პასუხისგებაში მისცეს. სამხედრო პროკურორს კაპიტან კიუინეს (რომელიც სრულიადაც არ ეკუთვნოდა დრეიფუსის მომხრეებს) ნივთიერი მტკიცების განხილვის დროს ხელთ ჩაუვარდა ანრის ყალბი წერილის ორიგინალიც. კაპიტანი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და არ გაჩუმდა. ატყდა არნახული სკანდალი. ანრი ჯერ ცდილობდა სიყალბის მთელი დანაშაული გადაებრალებინა... პიკარისათვის, მაგრამ შემდეგ ყველაფერი აღიარა, რის გამოც იგი დააპატიმრეს. მეორე დღეს ანრი საკანში მკვდარი ნახეს. პატიმარს ყელი ჰქონდა გამოღადრული სამართებლით. თვითონ მოიკლა თავი თუ მოკლეს ანრი? ბევრი ფიქრობდა, რომ ყალბი წერილების ავტორი თავიდან მოიცილეს, ვინაიდან უხერხულობას ქმნიდა. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა პატიმრისათვის სამართებელი დაეტოვებინათ.

ანრის მიერ თავის მოკვლა, თუ ეს მართლა თვითმკვლელობა იყო, ერთადერთ შემთხვევას არ წარმოადგენდა. 1898 წლის 3 მარტს, პარიზში, სევრის ქუჩაზე მდებარე № 141 სახლში მოთავსებულ „ლამანშის“ სასტუმროში თავი მოიკლა ვინმე ლიუსიენ რობერტიმ. ამ სახელით იმალებოდა ლემერსიე-პიკარდი, რომელსაც ანრისაგან საბუთების ფაბრიკაცია ჰქონდა დავალებული. გაზეთები აშკარად წერდნენ, რომ სევრის ქუჩაზე მოხდა არა თვითმკვლელობა, არამედ მკვლელობა. ერთი ვერსიით ლემერსიე-პიკარდი ჯერ თითქოს მოწამლეს. შემდეგ კი თვითმკვლელობის ინსცენირების მიზნით უკვე მკვდარი ჩამოჰკიდეს. სამხედრო ხროვა ჯიქურ მოქმედებდა.

ანრის მოქმედების გამოაშკარავებით დაბნეულმა რეაქციონერებმა კვლავ მწვავე კამპანია გააჩაღა დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგ. მაგალითად, გაზეთი „ენტრასიჟანი“ წერდა. რომ გამონაკლისი (ანრის ნაყალბევი) ადასტურებს მხოლოდ წესს: ერთნი — მემარჯვენე გაზეთები არწმუნებდნენ მკითხველებს, რომ ანრიმ

ჩაიწერა მხოლოდ „ზეპირი სადაზვერვო პატაკი“, რომელიც დრეიფუსის დანაშაულობას მოწმობდა, მეორენი კი — რომ ანრიმ წარმოადგინა ყალბი დოკუმენტი, ვინაიდან სამსახურებრივი მოვალეობის გამო არ შეეძლო ეჩვენებინა ორიგინალი... ანტიდრეიფუსარების შერყეულ რიგებს ვატიკანი და იეზუიტები წამოეშველნენ.

1899 წ. ზაფხულამდე პიკარი ციხეში იმყოფებოდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ შესაძლებელია მალე ისიც ყელგამოჭრილი ნახონ საკანში.

მიუხედავად იმისა, რომ ესტერგაზის ჰყავდა ყოვლისშემძლე მფარველები, ანრის გამოაშკარავების შემდეგ იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა. მან საზღვარგარეთ გაპარვა გადაწყვიტა, რათა იქ რაც შეიძლება ძვირად მიეყიდა გაზეთებისათვის თავისი ჯაშუშური მოღვაწეობის ამბავი. ყოველგვარი ბარგის გარეშე, მსუბუქად, თითქოს გასეირნების მიზნით მაიორი მოულოდნელად ჩაჯდა საგარეუბნო მატარებელში, შემდეგ სხვაში გადაჯდა და მალე ბელგიაში ამოყო თავი, იქიდან კი ლონდონს გაემგზავრა. იქ იგი გამოტყდა, რომ „ბორდეროს“ ავტორი თვითონ იყო. ამის შემდეგ რეაქციულმა გაზეთებმა დაიწყეს წერა, რომ დრეიფუსარებმა მოისყიდეს „არამზადა ესტერგაზი“, რათა დანაშაული თავის თავზე აეღო. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ „ბორდეროს“ ავტორად ეს გამყიდველი ავანტიურისტი მიიჩნია, მალალი წრიდან გამოსული მისი მფარველები ისევ თავისას გაიძახოდნენ. 1899 წლის აგვისტოსა და სექტემბერში სამხედრო სასამართლომ კვლავ გადახედა დრეიფუსის საქმეს... და უკვე ახალი ყალბი საბუთის საფუძველზე, რომელზედაც თითქოს თვით ვილჰელმის ხელით იყო გაკეთებული აღნიშვნები, იგი კვლავ დამნაშავედ სცნო. სასამართლომ მხედველობაში მიიღო „ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოება“ და დრეიფუსს 10 წლით კატორღა მიუსაჯა. მაგრამ მოვლენები უკვე სამხედროების კონტროლს აღარ ემორჩილებოდა. რეაქციული სამხედრო ხროვის წინააღმდეგ აღშფოთებამ უკიდურეს წერტილს მიაღწია.

პრეზიდენტი ფორი დრეიფუსის საქმის მეორედ განხილვამდე მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი მკვდარი ნახეს საკმაოდ უწესო ყოფაქცევის ქალთან. როგორც რუსეთის ელჩი ურუსოვი პეტერბურგს ატყობინებდა, დილას ფორს ჩაუტარებია მინისტრთა საბჭოს სხდომა, საღამოს, დაახლოებით 10 საათზე კი „მომხიბვლელ ქალბატონ სტენლეის ხელში დალია სული“. მართალია, შოვინისტებმა ყვირილი ატეხეს, პრეზიდენტი დრეიფუსის საქმის გადახედვის მომ-

ხრეთა შეთქმულების მსხვერპლი გახდაო, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან ძნელი იყო... ერთ-ერთმა თვალსაჩინო დრეიფუსარმა, რადიკალების ლიდერმა კლემანსომ, პირიქით, მეორე დღეს თავის გაზეთ „ორორში" კატეგორიულად განაცხადა: „საფრანგეთს ერთი მამაკაციც კი არ დაკლებია... მე მხარს ეუბერ ლუბეს".

ახალი პრეზიდენტი გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. ადრე იგი პანამის არხის კომპანიის ფინანსური ყალთაბანდობის გამოაშკარავებასთან დაკავშირებულ ერთ გახმაურებულ სკანდალში იყო გარეული. ქუჩაში პრეზიდენტს ირონიული შეძახილებით ხვდებოდნენ: „გაუმარჯოს პანამა პირველს!" კომპრომისის ნიადაგზე საქმეების გაჩარხვის ოსტატმა გონივრულად ჩათვალა შეეწყალებინა დრეიფუსი. მაგრამ რეაბილიტაციისათვის დრეიფუსს ექვსი წლის ლოდინი მოუხდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს 1906 წელს ფორმალურად მის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ გაუქმდა. მაგრამ სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი დამნაშავენი, რომლებმაც სამარცხვინო „დრეიფუსის საქმე" შეთხზეს, რასაკვირველია, დაუსჯელნი დარჩნენ. ამ „პატრიოტებმა" ცოტა ზიანი როდი მიაყენეს საფრანგეთის ჯარსაც. კლემანსო წერდა „უნიჭო და უმეცარ გენერლებზე, რომლებმაც თავიანთ ხმლებზე ზეთით მოსხურების გარდა, სხვა არაფერი იცოდნენ". იგი სამხედრო მინისტრს ბიოს „უსინდისო არამზადას" უწოდებდა, გენერალ მერსიეს — „ბანდიტების მეთაურს", სამხედრო სამინისტროს — „ავაზაკების თავშესაფარს". ეს დახასიათებები ეკუთვნოდა იმ ადამიანს, რომელიც შემდეგში, პირველი მსოფლიო ომის წლებში, საფრანგეთის იმპერიალიზმს განასახიერებდა!

ანტიდრეიფუსარებს იარაღი არ დაუყრიათ. ისინი ანრისა და სხვა ყალბი საბუთების შემდგენელ ავტორებს შემდეგშიაც მიაწერდნენ „გმირობას" და „მოვალეობისადმი ერთგულებას". ამით განსაკუთრებით ფრანგი ფაშისტები გამოირჩეოდნენ და მათ ამ საკითხში ჰიტლერელებიც სავსებით ეთანხმებოდნენ. 1955 წელს გამოიცა ცნობილი დიპლომატის მორის პალეოლოგის მანამდე დაუბეჭდავი დღიურის ნაწილი. მას მე-19 საუკუნის დამლევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში თვალსაჩინო ადგილი ეკავა და ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი, თუ რა ხდებოდა პარიზის პოლიტიკური ცხოვრების კულისებში. დღიურის ხელნაწერი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სპეციალური ჩანიშვნების საფუძველზე, არსებითად იქნა გადამუშავებული ავტორის მიერ. ამიტომ დღიური „დრეიფუსის საქმეზე" შექმნილ შრომად უნდა მივიჩნიოთ.

1899 წლის დამდეგის ჩანაწერში პალეოლოგი ამტკიცებს, რომ

ესტერგაზის დანაშაული უნდა გაინაწილოს ერთმა მსხვილმა სამხედრო პირმა, რომელიც იმ დროს ჯარებს სარდლობდა. ესტერგაზი მხოლოდ ამ „x"-ის აგენტი იყო. მეორე მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო ვინმე ვეილი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

პალეოლოგის „დღიურის" გამოქვეყნების შემდეგ გამოჩნდა მთელი რიგი ისტორიული გამოკვლევები, რომლებშიც . ცდილობდნენ დაედგინათ საიდუმლოებით მოცული „x"-ის ნამდვილი გვარი. ამ წიგნების უმეტესი ნაწილი ნამდვილად რეაქციული შინაარსისაა. მათი ავტორები ცდილობენ პალეოლოგის მოწმობა გადააქციონ ჩვენებად, რომელიც... გაამართლებს საფრანგეთის გენერალიტეტს. ყველაზე დაწვრილებით ეს კონცეფცია განვითარებულია ა. ჟისკარ დ'ესტენის წიგნში „ესტერგაზიდან დრეიფუსამდე", რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა პარიზში. დაე „დრეიფუსის საქმემ", — განმარტებულია ამ წიგნში, — დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა. მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი დრეიფუსარის მოსაზრებისა, მან მხოლოდ ეს დაამტკიცა და მეტი არაფერი. სინამდვილეში იყო მხოლოდ „ესტერგაზის საქმე", რომელთანაც „დრეიფუსის საქმე" საბედისწერო შემთხვევების გამო დააკავშირეს. უფრო მეტიც, „ესტერგაზის საქმეს" განიხილავდნენ „დრეიფუსის საქმის" პრიზმაში, რაც მთლიანად ბუნდოვანს ხდიდა ამ „საქმეების" მიმდევართა თითოეული მონაწილის როლსა და მიზანს.

ახლა დავუბრუნდეთ დასაწყისს — საფრანგეთის გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილებას, რომლის წიაღიდან გამოვიდა „დრეიფუსის საქმე" და რომელსაც 1894 წელს პოლკოვნიკი სანდერი ედგა სათავეში. არსებითად ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ამ განყოფილების მხოლოდ კონტრდაზვერვის სექცია (ამ დროისათვის მისი ფუნქციები საიდუმლო სამსახურის სხვა განყოფილებებისაგან ჯერ ისე მკვეთრად გამიჯნული არ იყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შემდეგში). აღნიშნული სექციის თანამშრომლები იყვნენ მაიორი ანრი და კაპიტანი ლოტი. სექციის მოთავე ანრი ძველი მუშაკი გახლდათ, რომელიც უნტერ-ოფიცრობიდან იყო დაწინაურებული. მან კარგად შეითვისა სამხედრო პოლიციის მოვალეობანი. მაგრამ სხვა რამეში, — ამას ხაზს უსვამს პალეოლოგიც, — მაიორი არც ცოდნითა და არც ჭკუით არ გამოირჩეოდა. ამიტომ სექციის ნამდვილი უფროსი იყო კაპიტანი ლოტი.

იგი ახალი გადაყვანილი იყო 1893 წ. აგვისტოდან — კონტრდაზვერვის სექციაში და მას გერმანულ ენაზე შემოსული საბუთების შესწავლა ევალებოდა. პალეოლოგი გვაუწყებს, რომ ლოტი „x"-ის

სრული ნდობით სარგებლობდა, რომელმაც კიდეც მიაღწია მისთვის საჭირო კაცის დანიშვნას კონტრდაზვერვაში. კავალერიის ბრწყინვალე კაპიტანმა მალე შეძლო თავისი საგრძნობლად განუვითარებელი და უჭკუო უფროსის ხელში აყვანა. ეროტიკული წვრილმანებისადმი ყოველთვის ყურადღებიანი პალეოლოგი აზუსტებს, რომ ლოტმა თავისი მაცდუნებელი ნიჭის გამოყენებით ანრის ლამაზ და ახალგაზრდა ცოლთან მარტო წარმატების მოპოვება კი არ შესძლო, არამედ მისი საშუალებით მაიორზე დამატებით ზეგავლენას ახერხებდა. ამგვარად, „X"-ს ლოტის დახმარებით შეეძლო კონტრდაზვერვის მთელ საქმიანობაზე კონტროლი დაეწესებინა.

ვინ იყო „X"? იგი იმ ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, რომლის შემადგენლობაშიც ესტერგაზის გარდა ისინიც შედიოდნენ, რომელთაც უშუალოდ ანდა მასთან დაკავშირებული პირების შემწეობით თავისუფლად შეეძლოთ საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს ყველაზე უფრო საიდუმლო დოკუმენტებს გასცნობოდნენ. ესტერგაზის მარტო „X"-საგან შეეძლო მიეღო იმის მსგავსი საბუთები, რომლებსაც იგი შვარცკოპენს გადასცემდა და რომლის მნიშვნელობას გერმანიის გენერალური შტაბი აღიარებდა. პალეოლოგი წერს, რომ „X" — ეს „ყველაზე მაღალი რანგის ოფიცერია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხედრო სამინისტროში და ამჟამადაც (ე. ი. 1899 წლის იანვრიდან — ე. ჩ.) ჯარების სარდალია".

საიდუმლოების გახსნა მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება: შემოწმდეს იმდროინდელი საფრანგეთის არმიის ყველა უმაღლესი წოდების პირთა სამსახურებრივი სიები უკლებლივ და გადაირჩეს რმატი გვარები, რომელთა მონაცემები პალეოლოგის მიერ „X"-ზე გადმოცემულ ძუნწ ცნობებს ემთხვევა. შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ, რომ ამოცანის ამოხსნას რამდენიმე, ან ბევრგვარი ხერხი აქვს — განაცოტა იყვნენ ისეთი ოფიცრები, რომელთაც სამინისტროში პასუხსაგები პოსტები ეკავათ, შემდეგ კი ჯარების სხვადასხვა შენაერთებს მეთაურობდნენ? მაგრამ ფრანგი ისტორიკოსები, რომლებმაც ეს კვლევა ჩაატარეს, ამტკიცებენ — „X"-ის ნიშნებს მხოლოდ ორი პირის მონაცემები უდგებაო, ესენი არიან გენერლები მერსიე და რო.

მერსიე 1885 წელს და 1888 წლიდან 1893 წ.-მდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების გამგე იყო, ხოლო 1893 წ. აპრილიდან 1895 წ. 15 იანვრამდე სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი რვა წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში მაღალი რანგის ოფიცერი იყო, რომელიც სამხედრო

სამინისტროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამის შემდეგ მერსიემ პარიზი დატოვა. იგი მეოთხე არმიის კორპუსის მეთაურად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე იგი 1899 წ. დეკემბრამდე დარჩა და, მაშასადამე, იმავე წლის იანვარში ჯერ კიდევ „სარდლობდა ჯარებს“.

მეორე „კანდიდატად“ შეიძლება ჩაითვალოს პოლკოვნიკი, შემდეგში გენერალი რო, სამივე ერთმანეთის შემცვლელი სამხედრო მინისტრის, მათ რიცხვში გენერალ მერსიეს კაბინეტის უფროსი. 1896 წლიდან 1907 წლამდე რო სხვადასხვა სამხედრო ნაწილებს მეთაურობდა.

რომელია ამ ორიდან „x“? თუ არჩევანს მოვახდენთ, ალბათ, მერსიე (რადგანაც საფრანგეთის არქივებში სპეციალური კვლევა არ ჩაგვიტარებია, უნდა მივიჩნიოთ, რომ მათი ნამსახურობის ნუსხა „შეეფარდება“ „x“-ს). მაგრამ ამ შემთხვევაშიც არჩევანი მერსიეს სასარგებლოდ მაინც და მაინც არ არის უცილობელი. იგი ვარაუდობს, რომ როს არ შეიძლებოდა ემოქმედა მერსიეს თანხმობის გარეშე. სხვანაირად იგი არ გახდიდა დრეიფუსს განტევების ვაცად, რადგანაც შეიტყობდა თუ არა ნამდვილი მოღალატის სახელს, მას სამსახურში დაწინაურების საშუალებას არ მისცემდა. თვით სტილი პალეოლოგის ნათქვამისა „x“-ზე, მისსავე მერსიეს დახასიათებას მოგვაგონებს. თუ „x“ — მერსიეა, მაშინ რო ალბათ კაპიტან ლოტის მსგავსად მონაწილეობას მიიღებდა ყველა საქმეში, როგორც ხელქვეითი, უბრალო აღმასრულებელი.

უფრო აქტიური თანამშრომელი „x“-ისა იყო ვინმე ვეილი, რომელსაც თანამედროვენი ბალზაკის რასტინიაკის მსგავს, საქმოსან და ცინიკოს ბონვივანად ხატავენ. 1875 წელს იმდროინდელმა სამხედრო მინისტრმა, ჩვენთვის უკვე ცნობილმა გენერალმა სისემ, თადარიგის ოფიცერი ვეილი სამუშაოდ დაზვერვაში დანიშნა. სადაზვერვო სამსახურის ახალი კაპიტანი შტიბერის მზვერავის ბარონესა კაულას სალონის ხშირი სტუმარი გახდა... შემდეგში ვეილს მთელი რიგი თანამდებობები ეკავა სამხედრო სამინისტროში, უამრავი ნაცნობი ჰყავდა გენერალიტეტს შორის, ბანკების, პარლამენტისა და ჟურნალისტთა წრეებში. ვეილს ხშირად ნახულობდნენ უცხოელი დიპლომატების მიერ მოწყობილ მიღებებზე, — გაკილებით უფრო ხშირად, ვიდრე ეს შეიძლებოდა ახსნილიყო მხოლოდ მისი ცოლის საქმეების მოგვარების მიზეზით, რომელიც წარმოშობით ავსტრია-უნგრეთიდან იყო...

ვეილი თავის შესაძლებლობაზე აშკარად უკეთ ცხოვრობდა, თუ გავითვალისწინებთ, რასაკვირველია, მისი შემოსავლის მხოლოდ ცნობილ წყაროს. გასაგებია, რომ უკვე მაშინ, — სამოცდაათიან წლე-

ბში — მას თელიდნენ უცხო ქვეყნის ჯაშუშად. 1881 წელს იგი თაღლითობაში ამხილეს და იძულებული გახდა თადარიგში გასულიყო. დაკარგა თუ არა ოფიციალური შემოსავლის წყარო, ვეილს უფრო აქტიურად უნდა მოეძებნა გამდიდრების სხვა საშუალებები. რამდენიმე წლით იგი ესპანეთში დაიმალა, შემდეგ კი ისევ პარიზის ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა. ლამაზი ქალბატონი ვეილი პარიზის სამხედრო გუბერნატორის სოსიეს საყვარელი გახდა, მისი ქმარი კი ჩინით დააწინაურეს და საფრანგეთის არმიის გენერლებს შორის ყველაზე დიდი ჩინის მქონე შეყვარებული მოხუცის შტაბში მიღებულ პირად იქნა აღიარებული. ზოგიერთ ფრანგ ისტორიკოსს დღეს შიაჩნია, რომ ქალბატონ ვეილის სილამაზით ვაჭრობა არ იყო ერთადერთი მიზეზი თაღლითობაში გამოჭერილი საქმოსნის ახალი ამაღლებისა, რომ ამას ხელი შეუწყო აგრეთვე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციულ განყოფილების გამგის, გენერალ მერსიეს აქტიურმა ჩარევამაც. მოკლედ რომ ვთქვათ, ვეილი იყო მერსიეს აგენტი; რომელმაც ქალბატონ ვეილისა და გენერალ სოსიეს კავშირი საბაბად გამოიყენა (თუ შეიძლება ამ შემთხვევაში გამოვიყენოთ ეს სრულიად შეუფერებელი გამოთქმა) იმისათვის, რომ თავისი კაცი წაეწი› საჭირო ადგილზე. ეს ადგილი კი ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რათა ვეილს საბუთებთან ახლოს ყოფნისა და გერმანიის დაზვერვისათვის მასალების მიყიდვის საშუალება ჰქონოდა.

„X"-ის მერსიედ გამოცხადებით კონსერვატორ ისტორიკოსებს აშკარად სურდათ არა მარტო დაესამარებინათ პალეოლოგის მთელი ვერსია, არამედ მის მაგივრად წამოეყენებინათ სხვა — „პატრიოტული" ისტორია იმის შესახებ, თუ ფრანგი გენერლის მიერ გერმანელების გაბრიყვების ცდამ როგორი მოულოდნელი და სამწუხარო შედეგები გამოიწვია საფრანგეთში. თუ იმდროინდელ პირობებს გავითვალისწინებთ, მართლაც არც ისე დამაჯერებელი იქნება ეჭვი მივიტანოთ გენერალ მერსიეზე (რომელიც ბრწყინვალე კარიერას იკეთებდა), რომ იგი გერმანიის ფასიანი აგენტი იყო. იმისათვის, რომ საბოლოოდ გაეფანტათ მერსიეზე — ვიმეორებთ, ძალზე დაუჯერებელი ეჭვი, ხაზს უსვამდნენ, რომ გენერალმა არ გასცა ქალბატონი ბასტიანი, თუმცა აღ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ იგი საფრანგეთის დაზვერვას ამარაგებდა გერმანიის საელჩოში ნაშოვნი დოკუმენტებით. მოსაზრება ძალზე საეჭვოა: ბევრი სხვადასხვა მოტივი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომლებიც იძულებულს ხდიდა „X"-ს არ გაეცა ქალბატონი ბასტიანი.

თუ „X" მერსიეა. რასაკვირველია, ყველაზე უფრო სარწმუნოა

ის, რომ მას რამოდენიმე ერთგული ადამიანის დახმარებით მხოლოდ შეცდომაში შეჰყავდა გერმანიის დაზვერვა. სხვა საკითხია — ამას რატომღაც საერთოდ ივიწყებენ მერსიეს კანდიდატურის მომხრეები,— რომ გერმანელებსაც არ უნდა სცოდნოდათ თუ ვისგან მოსდიოდათ მათ ინფორმაციები, თორემ ისინი არ ირწმუნებდნენ მის სინამდვილეს.

1893 და 1894 წლებში სამხედრო სამინისტროს ჩვეულებრივ საიდუმლოებათა გარდა მერსიეს ჰქონდა სხვა რამეც, რომელიც გერმანელებისათვის უნდა დაემალა (მობილიზაციის გეგმა და სხვა). ლაპარაკია 75 მმ ქვემეხის საიდუმლოებაზე, რომელიც გერმანიის ანალოგიურ ნიმუშებზე გაცილებით უკეთესი იყო. გერმანიის დაზვერვამ ვერაფერი გაიგო მის შესახებ. რაიხსტაგმა მოიწონა ასიგნებანი ნაკლებსრულყოფილი ქვემეხის მასიურ გამოშვებაზე. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა 75 მმ ქვემეხის საიდუმლოება, მერსიემ — მისი ახალი ვექილების აზრით. — შექმნა თავისი „პირადი“ საიდუმლო ორგანიზაცია, რომელშიც ლოტი, ვეილი და, ბოლოს, ესტერგაზი შედიოდნენ. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ 1881—82 წწ. სტაჟიორად იყო საშინისტროს სადაზვერვო განყოფილებაში და ამიტომ იცნობდა ჯაშუშობის ტექნიკას. ვეილისა და ესტერგაზის რეპუტაცია საკმაოდ შებღალული იყო და ამიტომ გერმანიის დაზვერვას არ შეიძლება ეჭვი შეპარვოდა, რომ ისინი ორივე მზად იყვნენ დიდი თანხისათვის გამცემლობაზე წასულიყვნენ. რაც შეეხება კაპიტან ლოტს, მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა „დაეფარა“ მთელი ოპერაცია კონტრდაზვერვის საშუალებით, ე. ი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ეზრუნა იმაზე, რომ ცნობები მერსიეს განზრახვაზე რამენაირად არ გასულიყო საფრანგეთის სამხედრო წრეებში (ამას შეეძლო გამოეწვია ლაპარაკი, რომელსაც თავისთავად შეიძლება ბერლინამდე მიეღწია).

როგორია საბუთები ზემოთმოყვანილი თეორიის სასარგებლოდ, რომელსაც საფუძვლად დაედო „x“-ისა და მერსიეს იგივეობა?

ერთმანეთის მომდევნო პიკარის, ზოლას და ესტერგაზის პროცესების, თვით დრეიფუსის საქმის არაერთგზის გარჩევის დროს ამოუხსნელი დარჩა ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ: საიდან შეეძლო ეშოვა ესტერგაზის საიდუმლო ცნობები, რომლებსაც ის შეარცკოპენს აძლევდა. ეს იყო დიდი ხარვეზი დრეიფუსარების არგუმენტაციაში. გარდა ამისა, ესტერგაზი 1898 წლის ზაფხულამდე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ყოველთვის გამონახავდა დამცველებს სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობიდან (პირველ ხანებში კი სრულიად არ მალავდა თავის ნაცნობობას

შვარცკოპენთან). შეიძლება ესტერგაზის თანამონაწილე იყო მაიორი ანრი? მაგრამ მისთვის ხელმიუწვდომელი იყო საფრანგეთის გეგმები — მას მიზნად ჰქონდა გერმანიის საიდუმლოებების გახსნა. გარდა ამისა, როდესაც ანრიმ „ბორდერო" მიიღო, არავითარი ზომა არ მიუღია, დაემალა იგი თავისი უფროსებისათვის. ამასობაში ესტერგაზის თანამონაწილისათვის უფრო ლოგიკური იყო, რომ „ბორდერო" ხელში არ ჩავარდნოდათ ზემდგომ პირებს. ამიტომ, იმათ, ვინც თვლიდა, რომ ანრი დაკავშირებული იყო ესტერგაზისთან, ისღა დარჩენოდათ, რომ წინ წამოეწიათ ჰიპოთეზა, თითქოს მაიორს საშუალება არ ჰქონდა დაემალა „ბორდერო", ვინაიდან იგი დაინახეს ამ საბუთის კითხვის დროს.

პალეოლოგი წერს, რომ ანრის, რომელსაც სურდა დაემალა თავისი კრედიტორის ცოდვები, და ლოტს, რომელიც „x"-ის საიდუმლოების შენახვით იყო დაინტერესებული, „ბორდეროს" მოსპობა უნდოდათ, მაგრამ ამ დოკუმენტის კითხვის დროს სადაზვერვო განყოფილების მეორე სექციის თანამშრომელი კაპიტანი მატონი წაადგა თავს. მატონის მოულოდნელმა მოსვლამ აიძულა ორივე მზვერავი უარი ეთქვათ თავის პირვანდელ განზრახვაზე. მაგრამ ამ ეპიზოდიდან, თუკი მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, გამომდინარეობს მეორე განმარტებაც. მატონი შეიძლება პირველი იყო, ვისაც ანრიმ საბედისწერო „აღწერა" უჩვენა. საერთოდ, გაუგებარია ისიც, თუ როდის მიიღო „ბორდერო" და რამდენ ხანს გააჩერა იგი თავისთან, სანამ უფროსებს წარუდგენდა განსახილველად.

მიიღო თუ არა ცნობა „ბორდეროს" აღმოჩენაზე, მერსიემ დაუყოვნებლივ ბრძანა დაეწყოთ გამოძიება, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა დრეიფუსის „ღალატი". თუმცა შემდეგში თავიანთ ჩვენებებში გენერლები ირწმუნებოდნენ, რომ დამნაშავე მათთვის უცნობი იყო და მხოლოდ საქმის წარმოების დროს მიიტანეს ეჭვი დრეიფუსზე, ახლა კი უკვე აღარავინ უარყოფს იმ მიკერძოებას, როგორითაც გამოძიება მიჰყავდათ.

მერსიეს ვექილები ცდილობენ სწორედ ეს მიკერძოება გამოიყენონ, როდესაც პათეტიკურ კითხვას სვამენ: შეიძლება თუ არა დავიჯეროთ, რომ სამხედრო მინისტრი და მისი კოლეგები აშკარა სიყალბეზე წავიდნენ, რათა მსჯავრი დაედოთ სრულიად უდანაშაულო ადამიანისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილი მოღალატე, ვიღაც ესტერგაზი და მისი თანამონაწილე — ორი რიგითი ოფიცერი გამოეხსნათ? იძლევიან რა უარყოფით პასუხს ამ კითხვაზე, კონსერვატორი ისტორიკოსები ამჯობინებენ თვალი დახუჭონ იმაზე, რომ გენერ-

ლებს შეიძლება სულ სხვა პოლიტიკური მიზანი ჰქონდათ, რომ დრეიფუსის გასამართლება გახდებოდა ნიშანი პრესაში ისეთი კამპანიის გაჩაღებისა, რომელიც რეაქციულ გენერალიტეტთან ათასობით ძაფით დაკავშირებული მონარქისტებისა და კლერიკალების წრეების სურვილს პასუხობდა.

როგორც არ უნდა იყოს, მერსიეს დამცველებისათვის უარყოფითი პასუხი არის საფუძველი, რათა გამოიტანონ დასკვნა: დრეიფუსი შეწირეს მსხვერპლად, რომ დაეფარათ „x"-ის (ყველაზე უფრო შესაძლებელია თვით სამხედრო მინისტრის) მოქმედება, მაშასადამე, ეს გაკეთდა „ეროვნული ინტერესებისათვის". იეიწყებენ რა თავიანთ აღიარებას გამოძიების ტენდენციურობაზე, კონსერვატორი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ „x"-ის გარდა, სხვა გენერლები, რომლებმაც არ იცოდნენ საიდუმლოება, ისე მოქმედებდნენ, როგორც დრეიფუსის დანაშაულში გულწრფელად დარწმუნებულნი.

სხვათა შორის სარგებლობენ შვარცკოპენის ჩვენებითაც, რომელიც მან თავის მემუარებში გააკეთა, რომ „ბორდერო" მას ხელში არც კი ჩაეარდნია. გერმანელმა პოლკოვნიკმა მიიღო ალბათ არა დოკუმენტების „სია", არამედ თვით დოკუმენტები (შეიძლება ყალბიც). ამ შემთხვევაში „ბორდერო" შეგნებულად მიუგდეს ქალბატონ ბასტიანს, რომ მას იგი კონტრდაზვერვაში ჩვეულებრივი გზით მიეტანა. შეიძლება ყველაფერი ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ შეეცდინათ საფრანგეთის კონტრდაზვერვა, რომელმაც არ იცოდა „x"-ის წამოწყება და გამოარკვია, რომ ვიღაც ფრანგმა ოფიცერმა გერმანიის სამხედრო ატაშეს გასაყიდად შესთავაზა საიდუმლო ინფორმაცია.

მაშ ასე, გამოძიება ჩატარდა 23 დეკემბერს, დრეიფუსს განაჩენი გამოუტანეს. და მომდევნო წლის იანვარში ეშმაკის კუნძულზე გაგზავნეს, ესტერგაზი კი განაგრძობდა მერსიეს ვიზიტებს გერმანიის საელჩოში. მაგრამ, აი 1895 წლის 15 იანვარს მოხდა მთავრობის მორიგი კრიზისი. სამხედრო მინისტრის პოსტი გენერალმა ცურლინდენმა დაიკავა. მერსიე რამდენიმე თვის განმავლობაში პარიზში რჩება უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრის თანამდებობაზე, შემდეგ კი არმიის კორპუსის მეთაურის პოსტზე დაინიშნა და დედაქალაქი დასტოვა. სწორედ ამ დროს დაიწყო ჩვენილი შვარცკოპენმა, რომ ესტერგაზის მიერ მოტანილი ინფორმაციების ხარისხი უცებ საგრძნობლად გაუარესდა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ახალმა მინისტრმა არაფერი იცოდა მერსიეს „თამაშის" შესახებ, ახლა კი ამ „თამაშს" ესტერგაზი განაგრძობდა თავისი საკუთარი შიშითა და რისკით, რომ მეტი ფული გამოეტყუებინა შვარცკოპენისათვის? პროვინციულ გარ-

ნიზონში გადაყვანილი ესტერგაზი მაინც ყოველთვის პარიზში იმყოფება, ეძებს ნაცნობობას სამხედრო სამინისტროს ოფიცრებს შორის, რათა მოიპოვოს ინფორმაციის ახალი წყარო. ეს არ ხერხდება და შვარცკოპენი ცდილობს გაუფრთხილებელი აგენტი თავიდან მოიცილოს. ასე წარმოიშვა გერმანიის ატაშეს წერილი ესტერგაზისადმი, რომელიც მისი საყვარლის, ჰოლანდიელი დიპლომატის ცოლის, ქალბატონ ვეედის ხელით იყო დაწერილი. ეს საბუთი, შესაძლებელია, დრეიფუსის მომხრეების საშუალებით (მათ მგონი შექმნეს საკუთარი საიდუმლო სამსახური, რომელიც თვალყურს ადევნებდა შვარცკოპენს მისი ნამდვილი აგენტების დასადგენად) ხელში უვარდება პიკარს, რომელმაც შეცვალა სანდერი საფრანგეთის დაზვერვის ხელმძღვანელის პოსტზე.

ანრიმ ალბათ დასაწყისში არაფერი იცოდა მერსიეს „თამაშზე", მაგრამ ახლა საჭირო გახდა მისთვის საიდუმლოს განდობა (შეიძლება ლოტის მეშვეობით). ამის შემდეგ ანრიმ ხელი მოჰკიდა ყალბი საბუთების ფაბრიკაციას, რათა დაემტკიცებინა დრეიფუსის დანაშაული. ამას აკეთებდნენ იმისათვის, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, დაეფარათ „თამაში". ასე რომ, როდესაც ანტიდრეიფუსარები ლაპარაკობდნენ ანრის „ცრუ პატრიოტიზმზე", ისინი ახლოს იყვნენ სინამდვილესთან.

საბოლოოდ, იმავე ვერსიის მიხედვით, საჭიროა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ დრეიფუსის დამნაშავეობის საკითხს. განა საოცარი არ არის, რომ მისადმი მტრული დამოკიდებულება არმიას შემორჩა მისი რეაბილიტაციის შემდეგაც? რეაქციონერი ისტორიკოსები უკუაგდებენ იმ მოსაზრებას, რომ ამის მიზეზი იყო მონარქისტებისა და კლერიკალების სიძულვილი, გამოწვეული მათი დამარცხებით. და მზად არიან მიზეზი გამონახონ დრეიფუსის „მძიმე ხასიათში" და, რაც მთავარია, — შემორჩენილ ეჭვში, ხომ არ იყო იგი დამნაშავე. მართალია, სასამართლო რეაბილიტაციამ, შვარცკოპენის „მოგონებებმა", პალეოლოგის „დღიურმა" საბოლოოდ დაადგინეს, რომ დრეიფუსი არ იყო გერმანიის ჯაშუში. მაგრამ შეიძლება იგი მაინც იყო ჯაშუში, მაგრამ არა გერმანელების? ან, რაც ყველაზე შესაძლებელია, ხომ არ ასრულებდა ის ისეთივე „ორმხრივის" როლს, რომელიც „X"-მა ვეილსა და ესტერგაზის დააკისრა? გარდა ამისა, იმანაც ხომ არ აამხედრა დრეიფუსის წინააღმდეგ მოსამართლენი, რომ თავის პირველ პროცესზე თავი ისე ეჭირა, თითქოს რაღაცას მალავდა?

1895 წლის 5 იანვარს, დილით, როდესაც დრეიფუსი პატივის აყრის დამამცირებელი პროცედურის მოლოდინში იყო, მან თავის გამ-

ყოლ ქანდარმერიის კაპიტანთან ლებრენ-რენოსთან უცნაურად აღიარა (ამავე დროს იქ იმყოფებოდა კაპიტანი ატელი): „მე არა ვარ დამნაშავე, სამი წლის შემდეგ ჩემი უდანაშაულობა აღიარებულ იქნება. მინისტრმა იცის ამის შესახებ, მან ბრძანა ყოველივე ეს ჩემთვის მაიორ პატი დიუ კლამის საშუალებით ეცნობებინათ. მან იცის, რომ თუ მე გადავეცი უმნიშვნელო დოკუმენტები, მხოლოდ იმისათვის, რომ სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიმეღო". ლებრენ-რენომ დრეიფუსის ნათქვამი თავის კოლეგებს უამბო და მისჯილი „ბოროტმოქმედის" ნალაპარაკევი უბის წიგნაკში ჩაიწერა. მაგრამ ოფიციალურად მან არავის არ აცნობა ამ მნიშვნელოვანი აღიარების შესახებ. შემდეგში მერსიე ამტკიცებდა, რომ დრეიფუსის აღიარების შესახებ მან აცნობა რესპუბლიკის პრეზიდენტ კაზიმირ პერიეს, რომელიც ამას გადაჭრით უარყოფდა.

დრეიფუსარები მართებულად შენიშნავდნენ, რომ თუკი აღიარება სინამდვილეს შეეფერებოდა, გენერალური შტაბი დააჩქარებდა მის გამოყენებას და არ დაიწყებდა ყალბი დოკუმენტების შეთითხნას. ანდა როგორ შეიძლებოდა ასეთი აღიარება ეთქვა ადამიანს, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ ჩაწყვეტილი ხმით გაჰკიოდა თავის უდანაშაულობაზე. მერსიეს უახლოესი თაყვანისმცემლები აქაც ნახულობენ გამოსავალს. დრეიფუსი თითქოს პატივის აყრის ცერემონიალის დროს პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ მას მოღალატედ თვლიან იმ დროს, როდესაც იგი მხოლოდ სამხედრო მინისტრის დავალებას ასრულებდა. ამ შემთხვევაში მერსიეს შეეძლო აეკრძალა ლებრენ-რენოსათვის რაიმე ეთქვა დრეიფუსის აღიარების შესახებ, რათა „თამაშისათვის" ზიანი არ მიეყენებინა.

ვისთან თამაშისათვის? ამჯერად თურმე რუსეთთან. შესაძლოა დრეიფუსი მერსიეს განკარგულებით გახდა მეფის ჯაშუში? ეს იყო წლები, როდესაც საფუძველი ეყრებოდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირს. მეფე ალექსანდრე III ისწრაფოდა უტყუარი ცნობები მიეღო საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ, უფრო ზუსტად, შეემოწმებინა ის ცნობები, რომლებსაც საფრანგეთის მთავრობიდან ღებულობდა. მერსიემაც გადაწყვიტა დრეიფუსის დახმარებით სათანადოდ მომზადებული ინფორმაცია გადაეცა. თავისი მდგომარეობის მიხედვით დრეიფუსი გენერალურ შტაბში სწორედ ის პირი იყო, რომელსაც სრულად შეეძლო დაეკმაყოფილებინა პეტერბურგის ცნობისმოყვარეობა.

რასაკვირველია, ამ უკანასკნელი ვარაუდის სასარგებლოდ არავითარი საბუთი არ მოყავთ. ჩვენ ყოველ შემთხვევისათვის გადავხედეთ

არქივში შენახულ საბუთებს, რომლებიც იმ დროს პარიზში მყოფ მეფის სამხედრო ატაშეს ბარონ ფრედერიკს ეკუთვნოდა და. როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ ვნახეთ ისეთი რამ, რომელიც ოდნავ მაინც დაამტკიცებდა ამ ფანტასტიკურ ჰიპოთეზას.

რა შეიძლება ითქვას საერთოდ მთელ ვერსიაზე, რომელიც აშკარად მიმართული იყო გენერლის მუნდირში გამოწყობილი კლერიკალებისა და მონარქისტების „ღირსების“ დასაცავად? პირდაპირი მტკიცებების უქონლობას მისი მომხრეებიც აღიარებენ. მაგრამ, მთავარია, რომ ზემოთ მოყვანილი ვერსია დაფუძნებულია დრეიფუსის საქმის პოლიტიკური მხარის მთლიან უგულვებელყოფაზე. სწორედ ეს იყო ყველაზე ძირითადი, რამაც ამ მოვლენების მსვლელობა განსაზღვრა. მთელი თეორია აშენებულია ‘ვარაუდზე, თითქოს გენერალიტეტმა (შეიძლება როს გამოკლებით) არ იცოდა მერსიეს „საიდუმლოების“ შესახებ და სჯეროდათ დრეიფუსის დამნაშავეობა. მაგრამ, ეს სწორედ ის ვარაუდია, რომელიც ფაქტებთან შეხებისთანავე იმსხვრევა.

ფრანგმა ისტორიკოსმა გიიემენმა თავის წიგნში „ესტერგაზის საიდუმლოება“ (პარიზი, 1962 წ.) დაამტკიცა, რომ სამხედრო სამინისტროს ყველა მთავარი ხელმძღვანელი — გენერლები სოსიე, გონზი, ბუადერფი და სხვები კარგად იყვნენ ინფორმირებული, რომ დრეიფუსის მიმართ წაყენებული დანაშაული გამონაგონია, რომ ნამდვილი ჯაშუში ესტერგაზი იყო. ის ვერსია, რომ მერსიემ დრეიფუსი თითქოს იმისათვის იმსხვერპლა, რომ თავისი „თამაშის“ საიდუმლოება შეენარჩუნებინა, უკვე ამ ფაქტით იმსხვრევა. საკმარისი იყო გენერლებს ანრის, ლოტის, მატონისა და კიდევ ერთი-ორი პირისათვის ებრძანებინათ, რომ „ბორდეროს“ შესახებ გაჩუმებულიყვნენ, და საჭირო არ იქნებოდა „დრეიფუსის საქმის“ შექმნა, თუკი ის სამხედრო კამარილიას სულ სხვა სუფთა პოლიტიკური მოტივებისათვის არ სჭირდებოდა.

უნდა ითქვას, რომ თუმცა ეს მოტივები თანამედროვეთათვის სავსებით ნათელი იყო, რომ, მართალია, ბევრი სიმართლე ითქვა და დაიწერა გენერალური შტაბის პოლიტიკურ მიზნებზე, მაგრამ „დრეიფუსის საქმის“ ორგანიზაციაში უშუალოდ მისი როლის თაობაზე ბევრი რამ ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. ეს სრულიადაც არ იყო შემთხვევითი. ბევრ წამყვან დრეიფუსარს ეშინოდა არ შეხებოდნენ „არმიის ღირსებას“ და სინამდვილეში ხელს კი არ უშლიდნენ, არამედ ეხმარებოდნენ გენერალური შტაბის ხელმძღვანელებს თავი აერიდებინათ პასუხისმგებლობისათვის არა მარტო ჩადენილი ბო-

როტმოქმედების, არამედ „საქმის“ შეთხზვაში მათი მონაწილეობის გამოაშკარავების გამოც.

ყალბი საბუთები, რომლებიც ანრიმ და ესტერგაზიმ შეთხზეს, გამოაშკარავდა. მაგრამ სამაგიეროდ, გენერალურმა შტაბმა მოახერხა შემოეჩეჩებინა ყალბი ვერსია იმაზე, თუ როგორ იქნა გახსნილი ეს ნაყალბევი და ამ ახალ სიყალბეს ბევრმა დრეიფუსარმა დაუჭირა მხარი, რადგანაც ეს გენერლებს შველოდა. სინამდვილეში ეს „სიყალბე სიყალბეზე“ ამჟღავნებდა იმ გენერლების ახალ ტაქტიკას, რომლებიც მიხვდნენ, რომ საჭიროა ზომების .საჩქაროდ მიღება, რათა ანრისა და ესტერგაზისთან ერთად ისინიც არ დაეჭირათ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. სწორედ ამისათვის გადაწყვიტეს შეეწირათ ეს ორი პიროვნება და მათთან ერთად აგრეთვე პატი დიუ კლამიც, რომელიც მალე თადარიგში გაუშვეს. ისინი დიდი თანამდებობის შეთქმულთა ყველა ბოროტმოქმედების განტევების ფაცებად გადააქციეს. ამის შესახებ პირდაპირ და არაერთხელ განაცხადა ესტერგაზიმ, რომელმაც 1898 წლის ზაფხულიდან 1901 წლამდე ბევრი რამ მნიშვნელოვანი აღიარა. გაჯავრებული მაიორი ლონდონში თავს უშიშრად გრძნობდა და ლაფს ასხამდა თანამონაწილე უფროსებს. „მშიშრები“, „ორპირები“, „სახედრები“, „კრეტინები“ — ეს კიდევ არ იყო ყველაზე მაგარი გამოთქმები. „დრეიფუსის საქმის“ შესახებ შედგენილ თავის „მხილებაში“ ესტერგაზი ტყუოდა, რომ თვითონ გამომძვრალიყო და დანაშაული სხვისთვის დაებრალებინა. ეს გასაგებია, მაგრამ მისთვის ასეთი რამ ყოველთვის არ იყო სასარგებლო. ამიტომაც იგი ყოველთვის და ყველაფერზე როდი სტყუოდა. იგი ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმე იყო, რომელიც მოქმედების ცენტრში იდგა და შესანიშნავად იცოდა ნამდვილი ამბავი.

რასაკვირველია, მერსიეს, გონზისა და მათი თანამონაწილეებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ახლა არ დაეჯერებინათ ესტერგაზისათვის და უწინარეს ყოვლისა მისი იმ ჩვენებებისათვის, რომლებიც ნამდვილად სიმართლეს წარმოადგენდა, ვინაიდან „ბორდეროს“ ავტორის მოწმობა აცამტვერებდა ვერსიას, თითქოს ყალბი საბუთები გენერლებთან შეთანხმების გარეშე დგებოდა. რომლებიც თითქოს მოტყუების მსხვერპლი გახდნენ არაკეთილსინდისიერი ხელქვეითების მხრივ. სწორედ ამ ვერსიის გასამტკიცებლად გადაწყვიტეს არა მარტო ესტერგაზი, არამედ ანრიც და პატი დიუ კლამიც ემსხვერპლათ!

გენერლები და რეაქციული გაზეთები გულმოდგინედ შეუდგნენ ესტერგაზის სისხლის სამართლის დანაშაულის „ცოდვების“ შელამაზებას და იმის მტკიცებას, რომ მათ აბასწინანდელ კერპს აბსოლუ-

ტურად არ დაეჯერება. ყველაზე საინტერესოა, რომ დრეიფუსარების ბანაკის ბელადებმაც ამ მანევრით თავი მოატყუებინეს. უფრო სწორად, სიამოვნებით მისცეს გენერლებს უკან დასახევი გზა. დრეიფუსარები დათანხმდნენ არაფრად ჩაეგდოთ ესტერგაზის ჩვენებები. აზვიადებდნენ მის როლს და ფარავდნენ „საქმის“ ნამდვილ ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს. უფრო მეტიც, მაიორის „უცხო“ პირად — უნგრელად წარმოდგენით, რეაქციონერების სასარგებლოდ კიდევ ერთ დათმობაზე მიდიოდნენ. ეს ცოტათი განსხვავდებოდა „დრეიფუსის საქმეში“ ანტისემიტების ტაქტიკისაგან. ესტერგაზი არ შეიძლებოდა „უცხოელად“ ჩათვლილიყო ისევე, როგორც საფრანგეთის თავადაზნაურთა წრეებიდან გამოსული ასობით სხვა წარმომადგენლები, რომელთაც ნათესაური კავშირი ჰქონდათ. საზღვარგარეთის არისტოკრატიასთან. ესტერგაზის გვარი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში მიეკუთვნებოდა საფრანგეთის უმაღლეს თავადაზნაურთა წრეებს.

ანტიდრეიფუსარების ერთ-ერთი მთავარი მოსაზრების დამამტკიცებელი ის იყო, რომ ესტერგაზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო „ბორდეროს“ ავტორი, რადგან მისთვის მიუწვდომელი იყო გენერალური შტაბის საიდუმლო მასალები. ახლა თვით ესტერგაზიმ აღიარა, რომ მან „ბორდერო“ პოლკოვნიკ სანდერის კარნახით დაწერა. ამგვარად, გამოჩნდა ცნობების წყარო, რომლითაც ესტერგაზი სარგებლობდა. ყოფილი მაიორი არ მალავდა, რომ იგი ამ მასალებს შვარცკოპენს აძლევდა. იგი მხოლოდ ირწმუნებოდა, რომ ამას სანდერის დავალებით აკეთებდა, რომელიც ცდილობდა გერმანიის საიდუმლო სამსახურისათვის ყალბი ინფორმაცია მიეჩეჩებინა. ამ შემთხვევაში რომ ესტერგაზი არ ტყუოდა, ახლა უკვე აღარაფერია საეჭვო (თუმცა თავისი პირადი სარგებლობის ინტერესით მაიორი შვარცკოპენთან საკუთარ „თამაშს“ აწარმოებდა).

მაგრამ, ჰყვებოდა რა „ბორდეროს“ წარმოშობის შესახებ, ესტერგაზი თვით მთავარ ამბავზე ბოლომდე მაინც არაფერს ამბობდა. ამ სიაში ჩამოთვლილი საბუთები შვარცკოპენმა ხომ მანამდე მიიღო, სანამ „ბორდერო“ გერმანიის საელჩოში მოხვდებოდა? რა საჭირო იყო მაშინ მისი იქ მიტანა? ცხადია, არა იმისათვის, რომ იგი ხელში ჩავარდნოდა გერმანიის სამხედრო ატაშეს. და ისიც, როგორც ვიცით, გერმანიის პოლკოვნიკის მოგვიანო აღიარებიდან, მასთან არ მოხვედრილა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბორდერო“ საელჩოში მას შემდეგ მოიტანეს, როგორც კი შვარცკოპენი ბერლინს გაეგ-

მგზავრა (გერმანიის ატაშე 24 სექტემბერს გაემგზავრა და ჩამოვიდა მხოლოდ 1894 წ. 9 ოქტომბერს). შვარცკოპენის პარიზში უკან დაბრუნებისას „ბორდერო“ უკვე ანრის ხელთ ჰქონდა. სხვა საბუთებისაგან განსხვავებით, რომელიც ქალბატონ ბასტიანს მოჰქონდა, „ბორდერო“ არც დაუხევიათ და არც დაუქმუქნიათ. იგი ნამდვილად არ ეგდო იმ სანაგვე ყუთში, საიდანაც ქალბატონ ბასტიანს თავისი ნადავლი ამოჰქონდა.

უეჭველად წარმოიქმნება აზრი, რომ „ბორდერო“ ესტერგაზიმ იმიტომ კი არ გადასცა გერმანიის საელჩოს, რომ შეცდომაში შეეყვანა გერმანიის დაზვერვა, არამედ სულ სხვა მიზნით,—შეექმნათ „დრეიფუსის საქმე“. შეიძლება დავსვათ კითხვა, რად სჭირდებოდათ ანრის და მის უფროსებს შეეგზავნათ „ბორდერო“ საელჩოში, რომ შემდეგ უკან მიეღოთ ქალბატონ ბასტიანის საშუალებით? განა უფრო სწორი არ იქნებოდა, უბრალოდ გამოეცხადებინათ, რომ „ბორდერო“ საფრანგეთის აგენტმა გერმანიის საელჩოში იშოვა — მით უმეტეს, რომ მტკიცების წარდგენა სამხედრო მოსამართლეებისათვის არ იყო საჭირო, რადგან სახელმწიფო საიდუმლოებას მოიმიზეზებდნენ. მაგრამ ანრისათვის უფრო უტყუარი და დამამშვიდებელი იყო „ბორდერო“ მას შემდეგ მიეღო უკან, როცა იგი უკვე გერმანიის საელჩოში იქნებოდა მიტანილი და ქალბატონ ბასტიანის ხელში გაივლიდა. ამით იქმნებოდა საფუძვლიანი გარანტია იმ შემთხვევისათვის, თუკი „ბორდეროს“ წარმოშობის შესახებ გამოძიება მაინც დაიწყებოდა. გამოჩნდნენ დამატებითი „ნამდვილი“ მოწმეები, რომელთა ჩვენებებით შეიძლებოდა იმ პირთა შიშის ანდა შემორჩენილი სინდისის ნატამალის დაწყნარება, რომლებიც მერყეობდნენ ანდა უარზე იყვნენ უსიტყვოდ გაჰყოლოდნენ შეთქმულ გენერლებს. ამრიგად, ესტერგაზი-ჯაშუში ორეულის ფუნქციის გარდა შეთავსებით „დრეიფუსის საქმის“ ერთ-ერთი ორგანიზატორის მოვალეობას ასრულებდა. ამ შეთავსების შედეგად წარმოიშვა ის არეულ-დარეულობა, რომელიც „საქმის“ წარმოშობის თაობაზე ბევრი რამის გაგებას აქამდე ხელს უშლის. ანტიდრეიფუსარები თავიდან მთლიანად უარყოფდნენ ესტერგაზის ჯაშუშურ როლს. შემდეგ, თავიანთი კერპი რომ გამოეხსნათ, დაიწყეს სიტყვის გადაკვრა, თითქოს იგი ორეული იყო და მის შესახებ „ეროვნული ინტერესების“ გამო ლაპარაკი არ შეიძლებოდა. დრეიფუსარები ამაში მხოლოდ მოღალატის დაცვის მარჯვე ხერხს, ცდას, ხედავდნენ, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო უდანაშაულო დრეიფუსი დაისაჯა. დრეიფუსარები ასეთი ვერსიის წინააღმდეგ კიდევ იმიტომ გამოდიოდნენ, რომ ეს საშუალებას აძლევდა მათ არ ჩაწვ-

დომოდნენ იმ როლს, რომელსაც „საქმის“ ორგანიზაციაში გენერალური შტაბის ხელმძღვანელები ასრულებდნენ.

დრეიფუსარები ირწმუნებოდნენ, რომ ესტერგაზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჯაშუში ორეული, რადგან ამის შესახებ ეცოდინებოდა პიკარს, რომელმაც 1895 წელს გენერალური შტაბის სადაზვერვო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე სანდერი შეცვალა. პიკარმა ნამდვილად არაფერი იცოდა დავალებაზე, რომელიც თითქოს ესტერგაზის ჰქონდა მიცემული, — მიეწოდებინა გერმანელებისათვის ყალბი ინფორმაციები. პირიქით, მიიღო თუ არა ქალბატონ ბასტიანის დახმარებით შვარცკოპენის მიერ ესტერგაზისადმი გაგზავნილი წერილი, პიკარმა დაიწყო თავისი გამოძიება, რამაც იგი „ბორდეროს“ ნამდვილი ავტორის ვინაობის გამორკვევამდე მიიყვანა. სწორედ იმიტომ, რომ ესტერგაზი ორმხრივი ჯაშუშის გარდა პროვოკატორიც იყო, რომელიც „დრეიფუსის საქმის“ ფაბრიკაციაში მონაწილეობდა, შეთქმულების წევრებს შეეძლოთ არაფერი არ ეცნობებინათ მაიორის როლზე ისეთი შეუმოწმებელი ადამიანისათვის, როგორიც პიკარი იყო. უფრო მეტიც, ანრი და ლოტი აშკარად ცდილობდნენ დაემალათ თავისი უფროსებისათვის ესტერგაზის როლი. 1896 წ. ზაფხულში პიკარმა ბერლინში მყოფი ერთი თავისი აგენტისაგან მიიღო ცნობა, რომ შვარცკოპენთან კავშირი აქვს ვიღაც 45—50 წლის ოფიცერს (იმ დროს ესტერგაზი 49 წლის იყო). პიკარმა გადაწყვიტა თავისი ოფიცრები ბერლინელ აგენტთან შეეხვედრებინა. ამ მიზნით საფრანგეთის სადაზვერვო განყოფილებიდან ბაზელში გაიგზავნა ანრი და ლოტი, რასაკვირველია, პიკარს ესტერგაზის შესახებ არავითარი ცნობები არ მიუღია.

ლონდონში გაქცევის შემდეგ ესტერგაზი მრავალჯერ გამოვიდა „მხილებებით“, და მაინც ზოგიერთი მნიშვნელოვანი საბუთი ალბათ გადამალა, ფიქრობდა გამოეყენებინა ისინი უფრო გვიან თავისი ღირსეული თანამონაწილეების წინააღმდეგ როგორც შანტაჟის იარაღი. მაიორი კიდეც ტრაბახობდა პრესაში, რომ მას აქვს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც რაღაც მიზეზებით მაინც არ გამოუქვეყნებია. ესტერგაზის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, 1934 წ. ერთი ცნობილი ფრანგი მკვლევარი დაგვპირდა გამოეცა წიგნი მაიორზე და მოეტანა იქ გადამალული დოკუმენტები. წიგნი რატომღაც არ გამოვიდა...

ანრის და ესტერგაზის მხილების შემდეგაც გენერლები განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ ისინი ძველებურად დარწმუნებული არიან დრეიფუსის დანაშაულში, მაგრამ „ეროვნული ინტერესების“ გამო

არ შეუძლიათ გამოაქვეყნონ უსაიდუმლოესი საბუთების შინაარსი. რაზედაც დაფუძნებულია ეს რწმენა. ამასთან, გენერლების მთავარი კოზირი, რომლებიც თხოულობდნენ მათთვის სიტყვიერად დაეჯერებინათ, ის იყო, რომ მათ თვითონ გახსნეს ეს ყალბი საბუთები, რომლებიც შეთხზული იყო სამხედრო სამინისტროს კედლებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, უკვე ფართოდ ცნობილი ბოროტმოქმედების აღიარებას, რომლის გაანალიზება შეიძლებოდა, ყალბი საბუთების სინამდვილის „დამამტკიცებლად“ აქცევდნენ, ხოლო ამ საბუთების გამოჩენაზე შეთქმულები უარს ამბობდნენ სახელმწიფო საიდუმლოების შენარჩუნების საბაბით. შეიძლება სრულიად ზუსტად დავადგინოთ, როდის დაიწყო ამ ახალი ტაქტიკის გატარება — 1898 წლის ივლისიდან. ჯერ კიდევ 1898 წ. 7 ივლისს სამხედრო მინისტრი კავენიაკი ოფიციალურად იცავდა პარლამენტში წინანდელ ფალსიფიკაციებს, თვენახევრის შემდეგ კი მოხდა ანრის „მხილება“, რომელიც იმავე კავენიაკის კაბინეტში გათამაშდა.

გენერლების ტაქტიკის შეცვლა მთელმა რიგმა გარემოებებმა გამოიწვია. კერძოდ იმან, რომ ყველა ყალბი საბუთი, რომლებიც ესტერგაზის ჰქონდა, ხელში ჩაუვარდა „სამოქალაქო“ გამომძიებელს, რომ იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა ოფიციალურად ემხილებინა ყალბი საბუთები, რომლებსაც პანიცარდის აწერდნენ და რომ ამას შეიძლება მოჰყოლოდა მეტად არასასიამოვნო განმარტება შვარცკოპენის მხრიდან. წინა თვეები სავსე იყო ცდებით, რომ დაშინებით აეძულებინათ არასასურველი მოწმეები გაჩუმებულიყვნენ. უკვე 1897 წ. შემოდგომაზე ლემერსიე პიკარდმა (სწორედ იმ ყალბი საბუთების შემკეთებელმა, რომელიც 4 თვის შემდეგ, 1898 წლის 3 მარტს, ჩამომხრჩვალი ნახეს თავის ოთახში) დაიწყო გერმანელი პოლკოვნიკის შანტაჟი შვარცკოპენის ყალბი წერილების საშუალებით. შემდეგშიც იმავე ამოცანის გადაწყვეტა უნდოდათ და გერმანიის ატაშეს ემუქრებოდნენ საყვარლისადმი გაგზავნილი წერილების გამოქვეყნებით, რომლებიც მას პალტოს ჯიბიდან მოპარეს. ამასვე ცდილობდნენ პანიცარდის მიმართაც მისი პარიზიდან გამგზავრებამდე და ასევე უშედეგოდ. მართალია, შვარცკოპენი თითქოს დამუნჯდა — გერმანიის მთავრობა აშკარად იყო დაინტერესებული იმით, რომ საფრანგეთში გაგრძელებულიყო მწვავე ბრძოლა „დრეიფუსის საქმის“ ირგვლივ, მაგრამ მხილების შიში ყოველთვის ემუქრებოდა შეთქმულების მონაწილეებს და გენერლებმაც არჩიეს მოეცილებინათ თავიდან სამი ყველაზე უფრო სახელგატეხილი აგენტი. გადაწყვიტეს შეეწირათ: ანრი, ესტერგაზი და პატი დიუ კლამი.

კავენიაკმა, რომელსაც გულმოსული ესტერგაზი „სახედარს“ და „ჯამბაზს“ უწოდებდა, თვითონ მოჰკიდა ხელი ახალი გეგმის განხორციელებას. უშუალო შემსრულებლად არჩეულ იქნა ვინმე კაპიტანი კიუნიე, რომლის მოხერხებასა და ურცხვობას პირდაპირობისა და გულწრფელობის ნიღაბი ფარავდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ კიუნიეს ბედი არ განსხვავდებოდა მისი წინამორბედების — ესტერგაზის, ანრისა და პატი დიუ კლამის ბედისაგან. მან ძლივს მიაღწია ბატალიონის მეთაურის ჩინამდე და გაგდებულ იქნა თადარიგში. ერთი სიტყვით, „მავრმა თავისი საქმე გააკეთა“. 1898 წ. კი კიუნიე დიდი სიყვარულით სარგებლობს შეთქმულთა შორის და სწორედ მას დაავალეს ანრის „მხილების“ ინსცენირება.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, კავენიაკმა დაავალა კიუნიეს, კიდევ ერთხელ გადაეთვალიერებინა „დრეიფუსის საქმესთან“ დაკავშირებული მასალები, კაპიტანმა შემთხვევით გახედა სინათლეზე ანრის შეთხზულ საბუთს და დარწმუნდა, რომ ეს ყალბი საბუთი შეწებებული იყო რამდენიმე სხვადასხვა ქაღალდისაგან. მთელ ამ ამბავს ნამდვილი ხელოვნურობის დაღი აზის: გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ასე უხეშად შექმნილი სიყალბე აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო, თუმცა აქამდე ბევრჯერ იმყოფებოდა გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტების ხელში. აშკარაა, რომ სიყალბე მაშინ „ამხილეს“, როდესაც ეს შეთქმულებს დასჭირდათ. კიუნიეს „აღმოჩენა“ დაემთხვა ანრის შვებულებაში ყოფნას, 1898 წლის 13 აგვისტოს. რატომღაც კიდევ ორი კვირა, 30 აგვისტომდე მოიცადეს, ფორმალურად, თითქოს დამატებითი დამამტკიცებელი მასალების შესაგროვებლად. მხოლოდ ამის შემდეგ დააპატიმრეს ანრი და მიიყვანეს დაკითხვაზე არა პარიზის სამხედრო გუბერნატორთან, როგორც ამას წესი მოითხოვდა, არამედ კავენიაკის კაბინეტში (ალბათ უფრო დიდი თეატრალური ეფექტისათვის, რომლის გამოყენებასაც მინისტრი თავისი ავტორიტეტის ასაწევად ცდილობდა). „აღიარების“ შემდეგ ანრი გაგზავნეს მონ ვალერენში და არა სამხედრო ციხეში — ისევ გაუგებარი გადახრა ჩვეულებრივი პროცედურიდან. თვით თხრობა ანრის დაკითხვის შესახებ უხეირო „ბელეტრისტიკის“ სულითაა გამსჭვალული. შეიძლება ეჭვიც არ შეეტანოთ იმაში, რომ დაკითხვა არ მიმდინარეობდა ისე, როგორც ეს შემდეგში კავენიაკმა თავის თანამონაწილეებთან ერთად აგვიწერა.

შესაძლებელია, ანგარიში იმ ვითარებაზე, რომელიც დაკავშირებულია ანრის ციხეში ყოფნასა და შემდეგ მის თვითმკვლელობასთან, ასევე ძალზე „რედაქტირებულია“ შეთქმულთა მიერ. იტყობინებოდ-

ნენ, რომ ანრიმ დაწერა სამი წერილი. ერთი გენერალ გონზისადმი, თხოვნით, რომ ენახა იგი ციხეში. წერილის წერა დაამთავრა მოწმეების თანდასწრებით და მისი დამალვა არ შეიძლებოდა. დანარჩენი ორი — მეუღლის სახელზე. პირველი დაწერილია მისი ციხეში მიყვანისთანავე და შეიცავს გაუგებარ სტრიქონებს: „მე ვხედავ, რომ ყველა, შენს გარდა, გადამიდგა და ამასთანავე შენ იცი, თუ ვისი ინტერესებისათვის ვიღვწოდი“.

ქალბატონი ანრი შემდეგში აშკარად ლაპარაკობდა სხვისი კარნახით და განმარტავდა, რომ მის განსვენებულ მეუღლეს მხედველობაში ჰქონდა „საფრანგეთის ინტერესები“. ეს არადამაჯერებლად ეღერს. ალბათ ანრი პირდაპირ დაწერდა, რომ მოქმედებდა „ეროვნული ინტერესებისათვის“ თუკი ამის თქმა უნდოდა, და არა რაღაც სხვა რამეს, რაზედაც მისმა ქვრივმა გაჩუმება არჩია. რასაკვირველია, ანრის ეს სიტყვები (თუმცა დასაშვებია „მოხერხებული“ განმარტება) შეიძლება არ მოსწონებოდათ შეთქმულებს, მაგრამ ამავე წერილში ანრი ირწმუნება, რომ ყალბი საბუთი იყო მხოლოდ „ასლი“ რომელიღაც ნამდვილი დოკუმენტისა. ამიტომ საბოლოო ანგარიშში წერილის შენახვა „საქმის“ ორგანიზატორებისათვის სასარგებლო გახდა.

მეორე წერილიდან, რომელიც ანრიმ მეორე დღეს, თავის მოკვლამდე ცოტა ხნით ადრე მისწერა მეუღლეს, გადარჩენილია მხოლოდ დასაწყისი. ეს ფრაგმენტი შეიცავს რამდენიმე ფრაზას და დაწერილია უკიდურესად აღელვებულ მდგომარეობაში მყოფი, სიგიჟემდე მისული ადამიანის მიერ. ნაწყვეტი მტკიცე საფუძველს უქმნიდა თვითმკვლელობის ოფიციალურ ვერსიას და მისი შენახვით ამ ვერსიის დამცველები პირდაპირ იყვნენ დაინტერესებულნი... ხომ არ დარჩა ანრის სხვა ქაღალდები, შეთქმულთათვის უფრო ნაკლებ სასარგებლო? ანრის უფროსების „მუშაობის მეთოდებს“ რომ ვიცნობთ, ეჭვი არ არის, რომ ისინი უკან არ დაიხევდნენ „უხერხული“ მასალის მოსპობის წინაშე, თუკი ასეთი რამ არსებობდა.

დაპატიმრების შემდეგ ანრის თან სდევდა აზრი, რომ იგი შეგნებულად იმსხვერპლეს მისმა თანამონაწილეებმა თავიანთი თავის გადარჩენის მიზნით. ციხეში რომ მიჰყავდათ, გზაში ანრიმ თანმხლებ პოლკოვნიკ ფერის უთხრა: „რა უბედურებაა, რომ მე უნდა მემოქმედნა ასეთ საცოდავ ადამიანებთან ერთად! ისინი არიან მიზეზი ჩემი უბედურებისა!“ ვინ არიან ეს „საცოდავი ადამიანები?“ გენერალმა ცურლინდენმა იჩქარა თავაზიანად აეხსნა თავის ჩვენებებში, რომ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო პიკარზე და მის დამცველ ლებლუ-

აზე. გენერალი როეე, კავენიაკის კაბინეტის უფროსი, გვარწმუნებდა, რომ ანრი ალბათ ფიქრობდა პიკარზე, პატი დიუ კლამზე და კიდევ, შეიძლება, ესტერგაზიზე. მაგრამ ეს განმარტებანი საეჭვოდ გამოიყურებიან განსაკუთრებით მაშინ, თუ შევუპირისპირებთ ანრის სიტყვებს ცოლისადმი გაგზავნილ პირველ წერილში გამოთქმულ ფრაზას: „შენ იცი, თუ ვისი ინტერესებისათვის ვიღვწოდი“.

ანტიდრეიფუსარებმა აიძულეს ანრის ქვრივი გამოსულიყო ჩვენებით, რომელიც მათ მისთვის შეთხზეს. შეიძლება ისიც თანაუგრძნობდა შეთქმულებს. გარდა ამისა, განა ორგანიზებულად არ შეავროვეს ფული ანრის ოჯახის დასახმარებლად — ესეც ძალიან სერიოზული „არგუმენტია“. ორმოცი წლის შემდეგ ქალბატონ ანრის ერთმა ისტორიკოსმა სთხოვა მიეცა დაწვრილებითი ცნობები „დრეიფუსის საქმის“ შესახებ. მან ისტორიკოსს თხოვნაზე უარი უთხრა. მაგრამ ამასთანავე დასძინა, რომ ის საბუთები, რომლებიც გააჩნიათ, მკვლევარებს ვერ მისცემს შესაძლებლობას მთლიანად წარმოადგინონ „საქმის“ კულისებსმიღმა ისტორია.

გადაწყვეტილება, რომ ანრი „ემსხვერპლათ, ჩანს არ იყო ერთსულოვანი. ზოგიერთი გენერალი ფიქრობდა, რომ შეიძლება მისი რიგიც დამდგარიყო. გენერალი პელიე თავის წერილში, რომელშიაც იგი თადარიგში გასვლას თხოულობდა, ბრალს სდებდა უფროსებს, რომლებმაც აიძულეს ემოქმედა ყალბი საბუთების საფუძველზე. კიუინიე, რომელიც შეთქმულების მთავარი ხელმძღვანელების მესაყვირედ გამოდიოდა, პირიქით მოიქცა. მან გამბედაობა გამოიჩინა. დაარღვია ჩინის პატივისცემის ყოველგვარი წესი და თვით გენერალი გონზიც კი გააკრიტიკა, რომ მისმა მოუქნელობამ ხელი შეუშალა ანრის ნაყალბევის გამოაშკარავებაში (ეს კრიტიკა კიუინიეს სამხედრო წრეებში არ აპატიეს და იგი მისი კარიერის მარცხით დამთავრების ერთ-ერთი მიზეზი გახდა).

ერთი სიტყვით, „დრეიფუსის საქმის“ ისტორიაში, მისი პოლიტიკური არსის სრული სიცხადის მიუხედავად, ბევრი რამ ბნელითაა მოცული. ღიად რჩება კითხვა, ვინ იყო „X“ და თვით ამ „X“-ის არსებობა. „დრეიფუსის საქმის“ იდუმალებით მოცული გვერდები კიდევ ელოდება წამკითხველს.

ახლო და ფორეულ აღმოსავლეთში

მე-19 საუკუნეში აღმოსავლეთის ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებოდნენ საიდუმლო ომის ასპარეზად. ინგლისის დასავლეთმა შუა და ახლო აღმოსავლეთს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მე-19 საუკუნის 20-იან წლებში. ავღანეთში, ფერგანაში, კოკანდაში, ხივაში, ბუხარაში ზედიზედ გაიგზავნა ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტები. ზოგიერთი მათგანი დაიღუპა (მურკფორტი, შემდეგ ა. კონოლი და სტოდორი ბუხარაში). მაგრამ დანარჩენები დაჟინებით განაგრძობდნენ სადაზვერვო მოღვაწეობას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა 1836 წელს ლეიტენანტ ალექსანდრე ბერნსის მოგზაურობამ ავღანეთში. მაგრამ მისი ცდა, დაენერგა ინგლისის გავლენა, ჩაიშალა რუსი ოფიცრის ვიტკევიჩის მოქმედებით, რომელიც 1837 წ. ავღანეთში იმ მიზნით გაგზავნეს, რომ გაეერთიანებინა ავღანეთის ფეოდალები ინგლისელების შემოტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ვიტკევიჩი ხიველი ვაჭრის ტანსაცმელში გამოწყობილი მოგზაურობდა. რუსმა აგენტმა მოახერხა ხელშეკრულებები დაედო ავღანეთის მთელ რიგ მსხვილ ფეოდალურ ბელადებთან. 1839 წლის მაისში პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე, ვიტკევიჩი დააჯილდოვეს. დაიწერა ბრძანება მისი გვარდიაში გადაყვანის შესახებ. ვიტკევიჩს სწრაფი კარიერის გზა ეხსნებოდა და მოულოდნელად მან, დედაქალაქში ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ, უმიზეზოდ მოიკლა თავი სასტუმროში. სიკვდილის წინ დაწერილ წერილში იტყობინებოდა, რომ დაწვა ყველა მნიშვნელოვანი დიპლომატიური საბუთი, რომლებიც მას გააჩნდა. უკვე მაშინვე დაიბადა აზრი, ხომ არ იყო ეს იმათ მიერ ინსცენირებული „თვითმკვლელობა", ვისაც ვიტკევიჩის ქაღალდების ხელში ჩაგდება უნდოდა. სწორედ ამ დროს დაიწყო ინგლისმა ავღანეთის წინააღმდეგ ომი და ამ ქაღალდებს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მარცხმა, რომელიც ინგლისის ჯარმა ავღანეთში განიცადა. კი არ შეკვეცა, არამედ პირიქით, უფრო გააქტიურა მისი აგენტურა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ავღანელების წინააღმდეგ შემდგომ აგრესიულ ექსპედიციებს ამზადებდა. ბრიტანეთის მზვერავები ათეული წლების მანძილზე შუა აზიაშიც მოქმედებდნენ, როდესაც ის მეფის ჯარით იყო დაკავებული (გასული საუკუნის 60—80-იან წლებში). ბრძოლების დროს ინგლისელი ოფიცრები მოქმედებდნენ იმ რაზმების სამხედრო მრჩევლებად, რომლებიც მეფის არმიის შეტევის შეჩერებას ცდილობდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოს დაზვერვა აქტიური იარაღი გახდა კონცესიების, ნედლეულის წარმოებისა და იაფი მუშახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა მიზეზით (უპირველეს ყოვლისა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობის გამო) არ შეიძლებოდა სამხედრო დაპყრობის პირდაპირი მეთოდის გამოყენება. მაგალითად, ნაკლებად ცნობილმა ინგლისელმა დ'არსიმ გაიმარჯვა ყველა კონკურენტზე, მათ შორის ამერიკელებზეც და ირანის შაჰისაგან თითქმის მთელ მის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე ნავთობის მონოპოლიური მოპოვების უფლება მიიღო. დ'არსის წარმატების საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ინგლისის მძლავრი ფინანსური ძალებისა და ბრიტანეთის საადმირალოს აგენტად გამოდიოდა და ცდილობდა წინასწარ დაეყენებინა თავის კონტროლის ქვეშ ნავთობის საბადოები, რადგანაც ნავთობმა მალე შეცვალა ქვანახშირი, როგორც საბობბმა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემებისათვის. კონცესიის საფუძველზე დ'არსიმ შექმნა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანია, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ზღაპრული შემოსავალი მოჰქონდა ინგლისელი კაპიტალისტებისათვის.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში აღმოსავლეთში წარმოებულ საიდუმლო ომში, რომელშიც აქამდე ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები და აშშ მონაწილეობდნენ, იაპონიაც ჩაება, რომელიც სწრაფად ძლიერდებოდა.

ემზადებოდა რა თავის მოსალოდნელ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისათვის, ასეთებად კი უპირველესად ჩინეთი და რუსეთი ითვლებოდა, იაპონიის მმართველმა წრეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სადაზვერვო სამსახურის განვითარებას. ქვეყნის შიგნით საიდუმლო პოლიციის ჯაშუშობის სისტემა იაპონიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო გამოყენებული და თანაც ისეთი მასშტაბით, რომელიც სრულიად წარმოუდგენელი იყო ევროპის ქვეყნებისათვის.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იაპონიას უკვე ორი ათწლეული ჰქონდა გავლილი მეიძის რევოლუციის შემდეგ, რომელიც 1868 წელს მოხდა. მან საფუძველი ჩაუყარა საკუთარი მრეწველობის შექმნას და ევროპის მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნების მაგალითზე მის გარდაქმნას.

იაპონელები შეუდგნენ დაზვერვის ფართოდ გაშლას, და სპეციალური მისია გაგზავნეს შტიბერთან რჩევის მისაღებად. ზუსტად ასევე, სამხედრო ინსტრუქტორებად მათ პიყვანეს პრუსიის არმიის ოფიცრები, არმიისა, რომელიც 1870—71 წწ. ომში წარმატებების

შემდეგ უბადლოდ ითვლებოდა. კრეფდა რა კადრებს თავისი სადაზვერვო ორგანოებისათვის, იაპონიის ხელისუფლება იყენებდა პატრიოტულ გრძნობებს, რომლის დამახასიათებლად უსიტყვო მორჩილება და „ღვთაებრივი მიკადოსათვის“ სიცოცხლის შეწირვა ითვლებოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში იაპონიის ჯაშუშობის განსაკუთრებით საინტერესო მხარე ის იყო, რომ ჯაშუშობას ეწეოდნენ არა მარტო სამხედრო და საზღვაო უწყება, არამედ მდიდარი მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ დაარსებულ-დაფინანსებული კერძო „პატრიოტული საზოგადოებებიც“. მათ შორის განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი „შავი ოკეანის საზოგადოება“ სწორედ ამ საზოგადოების აგენტები მკვიდრდებოდნენ მეწვრილმანე ვაჭრების, პარიკმახერების, ხელოსნების, მოსამსახურეების სახით ჩრდილოეთ ჩინეთში, კორეაში, მანჯურიაში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც მეფის რუსეთის ჯარს ეკავა— პორტარტურის ციხე-სიმაგრეში, ქ. დაირენში, სოფლებსა და ქალაქებში, სადაც შენდებოდა გამაგრებული პუნქტები ან დაბინავებული იყო სამხედრო ნაწილები. რეზიდენტები — იაპონიის გენერალური შტაბის ოფიცრები — ხშირად გამოდიოდნენ საროსკოპოს, ოპიუმის მოსაწევი სახლების პატრონების როლში, აგრეთვე ფოტოგრაფის, მედუქნის, ზოგჯერ ნოქრის, მზარეულის, მეცეცხლურისა და გემებზე ოფიციანტის სახით. რეზიდენტები პატარა ჯაშუშური ჯგუფის ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ. ჯაშუშური ჯგუფის მონაწილენი კი ჩინელები და კორეელები იყვნენ. მათ ქირაობდნენ ღარიბების წრიდან. ისინი მზად იყვნენ შეესრულებინათ მძიმე საშიში სამუშაო სულ მცირე გასამრჯელოსათვის, რომელიც ზოგჯერ იხსნიდა მათ ოჯახებს შიმშილით სიკვდილისაგან. იაპონიის დაზვერვა აჯილდოებდა თავის რეზიდენტებს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოჩენისათვის. ისინი თითქოსდა მთელი ორგანიზაციის მთავარ ღერძს ქმნიდნენ. რეზიდენტებს მთლიანად ემორჩილებოდნენ მათ მიერ დაქირავებული აგენტები.

იაპონელებმა ფართოდ გამოიყენეს მთელი რიგი მეფის ოფიცრების არაკომპეტენტურობა, უდარდელობა და, უბრალოდ. გამყიდველობა.

როდესაც 1904 წლის იანვარში იაპონია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთის ესკადრას პორტ-არტურში, მომავალი სამხედრო მოქმედების მთელი ასპარეზი იაპონიის სადაზვერვო ქსელით იყო დაფარული. ყველგან, სადაც კი იაპონელთა ჯარი შედიოდა, ნახულობდა თავის ხალხს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ადგილ-

მდებარეობას და პირობებს. მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, იმ სადაზვერვო ჯგუფებს, რომლებიც რუსეთის ჯარის ზურგში რჩებოდნენ.

უჯრედები, როგორც წესი, ჩინელებისაგან შედგებოდა. ყოველ მუდმივ ჯაშუშს სამი ან ოთხი შიკრიკი ემსახურებოდა, რომელთა საშუალებითაც რეგულარულად ეგზავნებოდა ცნობები იაპონიის სარდლობას. შიკრიკებად იყენენ მოხეტიალე მოვაჭრენი და კულები, უცოდინარები და ისეთები, რომლებსაც ხშირად არ ესმოდათ, თუ რას აკეთებდნენ. ამ შიკრიკების გამომეღავნება იმ უამრავ მებარგულებში, მენახირეებში, ღარიბებში და უბრალო მაწანწალებში, რომლებითაც გავსებული იყო მანჯურიის ქალაქები და გზები, ძალიან ძნელი იყო.

ცნობების მისაწოდებლად მრავალ ხერხსა და ფანდს იყენებდნენ, ცნობებს ათავსებდნენ ფეხსაცმლის ლანჩაში, ტანსაცმლის ნაოჭებში, აწნავდნენ ჩინელების თმებში, იდებდნენ ოქროს კბილებში, ინახავდნენ საოჯახო ნივთებით დატვირთულ საზიდრებში.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა ხანებში მეფის მთავრობა ცდილობდა იაპონიაში მართლმადიდებლობა დაენერგა, რათა ამ გზით შეექმნა თავისთვის დასაყრდენი. იაპონიის ხელისუფლება არა თუ ხელს უშლიდა ამ ღონისძიების განხორციელებას, არამედ, პირიქით, ყველაფრით ახალისებდა რუსეთის მართლმადიდებლური მისიის მოღვაწეობას. ამის ახსნა უბრალოდ შეიძლებოდა: იმათ შორის, ვინც რწმენა მიიღო, ბევრი იყო იაპონიის ჯაშუში, რომლებიც ამ გზით აპირებდნენ რუსული ენის შესწავლას და რუსეთთან დაკავშირებას. მართლმადიდებლების მიერ გამოცემული რუსულ-იაპონური სასაუბროც კი სავსე იყო ჯაშუშური კითხვებით: სად იმყოფება რუსეთის ჯარი, როგორია მისი შემადგენლობა, არის თუ არა კავალერია. ეს იყო ნამდვილი დამხმარე სახელმძღვანელო ჯაშუშებისათვის. რასაკვირველია, იაპონიის დაზვერვის მონაწილეობით რუსეთში გამოცემული იაპონურ-რუსული ლექსიკონები სამხედრო საქმესთან დაკავშირებული მრავალი ცნების არასწორ თარგმანს იძლეოდა.

იაპონიის ჯაშუშობამ პორტ-არტურში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მაშინ მიიღო, როდესაც იგი ალყაშემორტყმული იყო იაპონიის არმიით. ფაქტიურად იაპონიის აგენტები გახდნენ პორტ-არტურის გამაგრებული რაიონის უფროსი გენერალი სტესელი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფოკი და სხვა მაღალი თანამდებობის მეფის ჩინოვნიკები. ისინი ყოველნაირად უწევდნენ საბოტაჟს პორტ-არტურის ციხე-სიმაგრის დაცვას, რომელიც იაპონელების მიერ იყო

ალყაშემორტყმული, უკრძალავდნენ მებრძოლი ნაწილების დახმარებას. ჯარისკაცებს იაპონიის არტილერიის ცეცხლის ქვეშ აყენებდნენ. სტესელი და ფოკი შეგნებულად აღვივებდნენ შუღლს არმიასა და ფლოტს შორის, წინასწარმეტყველებდნენ იაპონელებისათვის ციხე-სიმაგრის ჩაბარების აუცილებლობას, რომელიც საბოლოოდ კიდეც განახორციელეს. სწორედ მათმა ღალატმა არ მისცა საშუალება ათასობით ჯარისკაცსა და მეზღვაურს, აგრეთვე ისეთ ნიჭიერ და პატიოსან მხედართმთავრებს, როგორიც იყვნენ ადმირალი მაკაროვი და გენერალი კონდრატენკო, შეენარჩუნებინათ პორტ-არტური, რომელსაც ასე გმირულად იცავდნენ ისინი მტრისაგან.

მაგრამ იაპონიის ჯაშუშობა მარტო შორეული აღმოსავლეთით როდი იფარგლებოდა. იაპონიის მზვერავები აქტიურად მოქმედებდნენ ევროპულ რუსეთშიც. ასე, მაგალითად, იაპონიის საზღვაო ოფიცერი იასუნოსუკე იამომოტო დიდ ხანს მუშაობდა ოდესაში მზარეულად და აგროვებდა ცნობებს რუსეთის შავი ზღვის ესკადრაზე. იაპონიის სამხედრო ატაშე (1900 წლიდან) საფრანგეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, პოლკოვნიკი აკაში შეუთანხმდა პოლონეთის ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს (პილსუდსკის და სხვებს), ცდილობდა აგენტების გამონახვას ნაციონალისტურ მოღვაწეთა შორის ყაზანში, კავკასიასა და შუა აზიაში, აგრეთვე მოლაპარაკებას აწარმოებდა ესერების პარტიის „მებრძოლი ორგანიზაციის" ხელმძღვანელებთან აზეფთან და ყბადაღებულ ხუცეს გაპონთან, რომლებიც ამავე დროს მეფის ოხრანკის სამსახურში იმყოფებოდნენ.

1904 წლის სექტემბერში პეტერბურგში დააპატიმრეს იაპონელები — რუსეთის ერთი სანაოსნო კომპანიის წვრილი მოხელეები — კენზო კამაკურა და სეიკო აკიოში. ორივე იაპონელს მიღებული ჰქონდა მართლმადიდებლობა და ერთი მათგანი, კამაკურა, დაპატიმრების დღეს აპირებდა ჯვარის დაწერას თავის რუს საცოლეზე. დაპატიმრების შემდეგ გამოირკვა, რომ წვრილი მოხელეების ნიღბის ქვეშ იმალებოდნენ იაპონიის საზღვაო ოფიცრები, რომლებიც ინფორმაციას აგროვებდნენ რუსეთის ბალტიის ფლოტზე.

როგორც ცნობილია, ბალტიის ესკადრა ადმირალ როჟდესტვენსკის მეთაურობით ომის დროს მეფის მთავრობის მიერ იყო გაგზავნილი შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ფლოტთან საბრძოლველად. ეს იყო თვითმპყრობელობის დანაშაულებრივი ავანტიურა. იგი ცდილობდა გამოსულიყო იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელიც მას შორეულ აღმოსავლეთში ომისათვის მეფის რუსეთის სრულმა მოუმზადებლობამ თავს დაატეხა. რუსი მეზღვაურები სასიკვდილოდ იყვნენ

განწირულნი. ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრის დაღუპვაში დიდი როლი ითამაშა იაპონიის საიდუმლო სამსახურმა. მთელი მრავალათასკილომეტრიანი გზის მანძილზე, კრონშტადტიდან შორეულ აღმოსავლეთში, ყველგან, დანიის ჩრდილო ნაპირებიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვამდე, ესკადრას ყურადღებით ადევნებდნენ თვალს იაპონიის აგენტები და რეგულარულად აწვდიდნენ ტოკიოში ყველა საჭირო ცნობას.

იაპონიის დაზვერვის წარმატება უპირველესად მეფის ხელისუფლების მთლიანი უდარდელობითა და უნიჭობით აიხსნება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ დაზვერვისთვის მარტო ომის წლებში უამრავი თანხა — 120 მილიონი იენი ოქრო დახარჯა და განსაკუთრებით კარგ პირობებში მოქმედებდნენ, იაპონიის ჯაშუშებმა მაინც მთელი რიგი სერიოზული ჩავარდნები განიცადეს. მაგალითად, ომის პირველ თვეებში იაპონელები მუდმივად გაორკეცებულად აზვიადებდნენ შორეულ აღმოსავლეთში მყოფ რუსეთის ჯარის რაოდენობას. 1904 წლის იანვარში იაპონელების გაანგარიშებით რუსეთს 120 ათასი კაცი ჰყავდა, სინამდვილეში კი იყო 60 ათასი. იმავე წლის ივლისში — 300 ათასი, სინამდვილეში კი მხოლოდ 150 ათასი იყო. ასეთმა დიდმა შეცდომამ ხელი შეუშალა იაპონიის არმიას ეფექტურად გამოეყენებინა თავისი ძალების უპირატესობა და შეაფერხა მისი შეტევის ტემპი.

ომი ომამდე

პირველ მსოფლიო ომს წინ უძღოდა ხანგრძლივი მზადება. მზადება მიმდინარეობდა საიდუმლო ომის ფორმითაც. ყველა ევროპული ქვეყნის დაზვერვებიდან ერთადერთი იყო გერმანიის დაზვერვა, რომელიც ცდილობდა თავის მომავალ მოწინააღმდეგეთა საზღვრისპირა რაიონებში მასობრივი აგენტურა დაენერგა. ასეთი გერმანელი რეზიდენტებით სავსე იყო საფრანგეთის აღმოსავლეთი დეპარტამენტები და რუსეთის დასავლეთი გუბერნიები. გერმანიის დაზვერვაც აგრეთვე ერთადერთი იყო, რომელიც ადგენდა ვრცელ კარტოთეკას („შავ წიგნს"). მასში შეტანილი იყო სხვა ქვეყნების ათიათასობით მცხოვრებთა გვარები, რომელთა სამსახურში გადაბირება შეიძლებოდა. „შავ წიგნში" შეტანილ ყოველ პირზე დაწესებული იყო განსაკუთრებული ბარათი, რომელშიაც აღინიშნებოდა პირის ქონებრივი, სამსახურებრივი და ოჯახური მდგომარეობა, მისი ზნე-ჩვეულე-

ბები, სუსტი მხარე, საიდუმლო ნაკლი. ამ ცნობებზე დაყრდნობით გადაბირების დროს შეიძლებოდა ერთ შემთხვევაში დაშინებისათვის მიემართათ, მეორე შემთხვევაში — მოსყიდვისათვის, მესამე შემთხვევაში — მოტყუებისათვის.

გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბი უფრო ნაკლები მასშტაბით მოქმედებდა, მაგრამ ისიც ბლომად აგზავნიდა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში აგენტებს. კერძოდ, მათი მოქმედების ერთ-ერთი ფორმა იყო რუსეთის ტერიტორიაზე სავარაუდო სამხედრო მოქმედებათა თეატრის დაწვრილებითი რუკის შედგენა. აგენტები თავს ასაღებდნენ ავსტრიის სატყეო სკოლის პრაქტიკანტებად და ფაქტიურად უფასოდ იღებდნენ რუსი თავადაზნაურების მამულების გეგმებს. მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი „პრაქტიკანტის“ შემთხვევითმა დაპატიმრებამ აუხილა თვალები 1907 წ. რუსეთის ხელისუფლების ავსტრიის დაზვერვის ასეთ „მუშაობაზე. ავსტრიის ჯაშუშების შემოგზავნა ავსტრიული ფირმის მანქანებზე მძღოლების სახით გახსნილ იქნა უკვე ომის დაწყების შემდეგ.

იყენებდა რა მეფის რუსეთის ტექნიკურ ჩამორჩენილობას, უცხო კაპიტალის მოძალებას, გერმანიის დაზვერვამ შეძლო თავისი ხალხი რუსეთის იმ ქარხნებსა და ნავსაშენებში მოეწყო, რომლებსაც დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ასე, მაგალითად, პეტერბურგის პუტილოვის ნავსაშენი გერმანიის ფირმის „ბლიუმი და ფოსის“ კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ბელგიაში კრუპის, მაიზელისა და გერმანიის სხვა ფირმები თანახმა იყვნენ დაბალ ფასებში აეღოთ იჯარა და შეესრულებინათ გზისა და მიწის სამუშაოების დიდი ნაწილი ლიეჟისა და ნამიურის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაიპყრო ასე იოლად 1914 წ. გერმანიის ჯარმა ბელგიის ეს ციხე-სიმაგრეები. გერმანიის არმია დღე-ღამეში 25 კმ სიჩქარით მიიწევდა წინ. ბელგიაზე გადასვლისას 20 დღის განმავლობაში გერმანელებმა 3120 ათასი კაცი გადაიყვანეს. მათ გადასაყვანად საჭირო გახდა 11 ათასი მატარებლის შემადგენლობა. ასეთი გადაყვანის ორგანიზაცია გერმანიის დაზვერვის ხანგრძლივი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

გერმანელი აგენტები ორ ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ. პირველს წარმოადგენდნენ ხელმძღვანელები, რომლებიც გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკრების ზედაფენებიდან იყვნენ შერჩეული. მათი ნაწილი პირადად კაიზერის მიერ ინიშნებოდა. და დანარჩენები, რომლებზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი, გერმანიის აგენტურის ძირითად მასას შეადგენდნენ. შტიბერის სისტემასთან შედარებით აგენ-

ტების მუშაობაში სიახლეც შეინიშნებოდა. კერძოდ, საჯაშუშო ინტერესისათვის ფართოდ გამოიყენეს სავაჭრო ფირმები. ამ ფირმების ნაწილი უბრალოდ გერმანიის დაზვერვის შენიღბულ ფილიალებს წარმოადგენდნენ და საიდუმლო ფონდებიდან მათთვის გაღებული თანხებით მოქმედებდნენ. ისეთი რამდენიმე შენიღბული ჯაშუშური ფირმაც კი არწებობდა, რომლებსაც ბევრ ქვეყანაში თავისი განყოფილებები ჰქონდათ. მაგალითად, მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა „სასტუმროების მოსამსახურეთა ამხანაგობა", რომელიც 20 ათას წევრს ითვლიდა. ამათში ორი მესამედი გერმანელები იყვნენ. ორგანიზაციას კარგად შეეძლო ემოქმედა: „ამხანაგობის" წევრებს აძლევდნენ ორმაგ ჯამაგირს, როგორც სასტუმროს თანამშრომლებს და დამატებით როგორც მზვერავებს. მათი ამოცანა იყო ყურადღებით მოესმინათ საუბრები სასტუმროში, რომელიც, ბუნებრივია, ახალი ამბების ირგვლივ კამათის ადგილი იყო, შეეკრიბათ ცნობები სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე საერთაშორისო საქმეებზე.

გერმანელ მზვერავთა მეორე მასიურ ჯგუფში შედიოდნენ აღმზრდელი ქალები და ბონები, რომელთა დაქირავება ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მდიდარ ოჯახებში „მოდად" იყო გადაქცეული. საინტერესოა, რომ, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, რაც უფრო ვუახლოვდებოდით დიდმნიშვნელოვან სამხედრო ბაზებს, ბანაკებს და სხვა ობიექტებს, გერმანელ აღმზრდელ ქალთა რიცხვი მით უფრო სწრაფად იზრდებოდა.

მე-20 საუკუნეში გერმანიის დაზვერვას ევროპაში ძველებურად საუკეთესოდ თვლიდნენ. მაგრამ მისი ხელმძღვანელები ისევე ჩამორჩებოდნენ შტიბერს, როგორც საშუალო პოლიტიკოსები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ გერმანიის კანცლერის პოსტზე და ბისმარკის უხეირო მემკვიდრეები იყვნენ. გერმანიის დაზვერვის ახალი უფროსები მოკლებული იყვნენ იმ მოხერხებულობასა და მოქნილობას, რომელიც ძველი პოლიციელი მაძებრის განუყოფელ თვისებას წარმოადგენდა. შტიბერის მიერ შემოღებული წესები შაბლონად იქცა, რომელსაც წარმოდგენისა და გამჭრიახობის გარეშე, რაც მთავარია, ხშირად, შეცვლილი პირობების გაუთვალისწინებლად ხმარობდნენ. შტიბერის მთავარი „პრინციპიც" კი — ჯაშუშობის მასობრიობა ზოგჯერ წარუმატებლობის წყაროდ ხდებოდა. აგენტების მიერ შტიბერისათვის მიწოდებული იოტისოდენა ცნობები, რომელთაგანაც თითოეული მათგანი შორს იყო ინფორმაციის მთავარი წყაროსაგან, ისე ლაგდებოდა, როგორც პატარა, მაგრამ აუცილებელი ელემენტი მო-

ზაიკაში, როგორც ნაწილაკები, რომელთა შეერთება ქმნიდა ნათელ სურათს.

ახლა კი ასეთი იოტისოდენა ცნობები მცირე ღირებულების გროვად იკრიბებოდა, რომელშიაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლებიც კი არ ყოფილიყო. ხშირად ამ ინფორმაციების შემოწმება შეუძლებელი იყო. ეს ინფორმაცია მხოლოდ საქმეში ჩახედვის ილუზიას ქმნიდა, რითაც ადუნებდა სწრაფვას მდგომარეობის გამოსწორებისათვის. იმის გამო, რომ არცთუ ისე საჭირო ცნობების მისაღებად დიდი ძალა და საშუალება იხარჯებოდა, მთავარ და გადამწყვეტ საკითხებზე ცნობების ხელში ჩაგდებას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. შემდეგში ინგლისის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი ბაზილ ტომპსონი აღნიშნავდა, რომ გერმანელებს შეეძლოთ მათ მიერ დახარჯული თანხის ნახევრით ყოველ ქვეყანაში რამდენიმე ისეთი პირი მოესყიდათ, რომლებიც ნამდვილად მნიშვნელოვან საბუთებს იცნობდნენ, შაბლონი იყო გაბატონებული თვით ტექნიკაში, ჯაშუშთა ქსელის ორგანიზებაში და მუშაობის მეთოდებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ შტიბერის დროიდან იყო საქვეყნოდ ცნობილი. ყოველივე ეს გერმანიის დაზვერვას ყველაზე პასუხსაგებ მომენტში — პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში სასტიკი მარცხის ფასად დაუჯდა.

ქმნიდა რა მასობრივ აგენტურას, გერმანიის დაზვერვა, ჩანს, იმ წესით ხელმძღვანელობდა, რომელსაც ენამახვილები გერმანიის გენერალურ შტაბს მიაწერდნენ: „არ არის ნარჩენები, არის რეზერვი". მაგრამ, ამავე დროს გერმანელები მაინც ცდილობდნენ გამოეყენებინათ განსაკუთრებით გაწვრთნილი პირველი კლასის მცირერიცხოვანი მზვერავები, რომელთაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საიდუმლოებების გაგება შეეძლოთ.

ასეთ აგენტთა რიცხვს ეკუთვნის მზვერავი, რომელიც კარლ გრეევსის ფსევდონიმით იმალებოდა (თუ არაფერს ვიტყვით მის სხვა მოგონილ გვარებზე). იგი არის ავტორი ცნობილი მოგონებებისა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, გაურკვეველია ამ მოგონებებში რას შეიძლება დავუჯეროთ. გრეესი ამტკიცებდა, რომ იგი დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო გამოსული, მაგრამ რაღაც ინტრიგის შედეგად დაკარგა სიმდიდრე და თავისი უფლებები მაღალ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ კ. გრეესი გერმანელი არ იყო, იგი მაინც გერმანიის საიდუმლო სამსახურში მოხვდა ტრანსვაალში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდა და ტრანსვაალში სამხედრო ექიმად მუშაობდა. ინგლის-ბურების ომი იყო. ჰოსპიტალ-

ში მოიყვანეს ერთ-ერთი უცხოელი იმ მრავალრიცხოვან ოფიცერთა-გან, რომლებიც ბურების მხარეზე იბრძოდნენ. ეს იყო მაიორი რეი-ცენშტეინი. სწორედ მან შესთავაზა გრევსს გამხდარიყო გერმანიის დაზვერვის საიდუმლო აგენტი.

ინგლის-ბურების ომის დამთავრების შემდეგ გრევსი გერმანიაში გამოცხადდა. აქ იგი საზღვაო დაზვერვაში ჩარიცხეს. გაიარა ხუთთვი-ანი სწავლების კურსი. დაეუფლა ტოპოგრაფიას, ტრიგონომეტრიას, საზღვაო გემთმშენებლობას, ხაზვასა და სხვა საგნებს. კაპიტან სტე-ფენსის ხელმძღვანელობით გრევსმა შეისწავლა სამხედრო გემების, წყალქვეშა ნავების, საზღვაო იარაღების, ყუმბარების, ტორპედოები-სა და ნაღმების ყველა ტიპი. მას შეეძლო შორი მანძილიდან სილუ-ეტით გამოეცნო სხვადასხვა სახელმწიფოების სამხედრო გემები.

გრევსი დარწმუნდა, რომ გერმანიის დაზვერვა სამ მთავარ განყო-ფილებად იყოფოდა: არმიის, ფლოტისა და საგარეო საქმეთა სამი-ნისტროს სადაზვერვო სამსახურებად.

საგანგებო დავალების დროს ბერლინი ხელგაშლით ხარჯავდა ფულს. ერთი თავისი ჯაშუშური მისიის განსახორციელებლად 14. დღის განმავლობაში გრევსმა 20 ათასი მარკა დახარჯა. ყოველი საქ-მის წარმატებით შესრულების შემდეგ, თავისი ჩვეულებრივი მაღალი ჯამაგირის გარდა იგი დამატებით 30 ათას მარკას ღებულობდა. ფუ-ლის მესამედ ნაწილს პირადად კი არ უხდიდნენ, არამედ აგენტის ანგარიშზე რიცხავდნენ. ასეთი გზით ცდილობდნენ დაპატიმრების შემთხვევაში უზრუნველეყოთ მისი „ლოიალობა“.

წრე დავალებებისა, რომლებიც გრევსს ეძლეოდა დაზვერვაში სამსახურის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ძალიან ფართო იყო. მან მოისყიდა სინგაპურში მცხოვრები ინდოელი რაჯა და მისი საშუ-ალებით შორეულ აღმოსავლეთში მდებარე ინგლისის მსხვილი სამ-ხედრო ბაზის შესახებ თანამშრომლებისგან ცნობები მიიღო. იგი რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამდე ექვსი კვირით ადრე პორტ-არ-ტურში იმყოფებოდა (გერმანელებს უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორი წინააღმდეგობა შეუძლია გაუწიოს ციხე-სიმაგრემ. იაპონიის მომავალ თავდასხმას, რაც ბერლინისათვის საიდუმლოს „არ წარმოადგენდა).

მთელი რიგი დავალებების შესრულების შემდეგ გრევსი საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა. მას დავალებული ჰქონდა გამოერკვია, თურქეთის დიდებულთაგან ვინ იღებდა საფ-რანგეთისა და რუსეთის ჯამაგირს. გრევსი ერთ-ერთი სამეკიტნოს მოცეკვაჟეს, ფრანგ ცეცილია კურზანს დაუახლოვდა და ეს ამოცანა ამოხსნა. ეს იყო დიდი ვეზირის ერთ-ერთი გავლენიანი მრჩეველის

საყვარლის მადმუაზელ ბალნიოს მეგობარი. ცეცილია კურზანმა მალე გამოამჟღავნა ზრახვები და გრევსს საფრანგეთის დაზვერვაში სამსახური შესთავაზა. შოცეკვავე ქალმა ახალი ნაცნობი თავის ჯაშუშურ მიმოწერაში „საფოსტო ყუთადაც“ კი გამოიყენა. ცხადია, მან მიღებული წერილები ბერლინში, ვილჰელმ შტრასეზე გადაგზავნა, სადაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმყოფებოდა.

გრევსს სულ სხვადასხვა ხასიათის დავალებებს აძლევდნენ — მაროკოში მყოფ კრეისერ „პანტერას“ კაპიტნისათვის ვილჰელმ II საიდუმლო ბრძანების გადაცემით დაწყებული (ეს იყო 1911 წელს, „პანტერას“ ცნობილი ნახტომის დროს, რამაც კინაღამ სამხედრო ხანძარი გამოიწვია) და დამთავრებული გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწეების საიდუმლო შეხვედრის ორგანიზაციით, რომლის მიზანი იყო მოლაპარაკება ევროპის მომავალ ომში ბრიტანეთის შესაძლო ნეიტრალიტეტზე.

ინგლისში გრევსს დანაშაულზე წაასწრეს და დააპატიმრეს. სასამართლომ მას რატომღაც კანონით გათვალისწინებული შვიდი წლის მაგივრად მხოლოდ წლინახევრის პატიმრობა მიუსაჯა. ინგლისის დაზვერვამ გადაწყვიტა გრევსის მოსყიდვა, რომელიც პატრონების შეცვლის წინააღმდეგი არ იყო. გრევსს ციხიდან გაქცევის ინსცენირება გაათამაშებინეს და მალე მან უკვე მოქმედება დაიწყო, როგორც ინგლისის მზვერავმა. გრევსმა მოახერხა ნიუ-იორკში მიმავალი გერმანიის გემის „კაიზერ ვილჰელმ II“-ის საბარგოს გუშაგის მოსყიდვა. გახსნა გერმანიის მთავრობის შიკრიკის შმიდტის ზანდუკი და გადმოიღო მნიშვნელოვანი დიპლომატიური საბუთების ასლი — ეს იყო ინსტრუქციები გერმანელი დელეგატებისადმი, რომლებიც იაპონიის წარმომადგენლებთან საიდუმლო შეხვედრას ვარაუდობდნენ ნიუ-იორკის სასტუმრო „ასტორში“.

ინგლისში მოქმედებდა გერმანიის დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კაპიტანი შტეინჰაუერი. ეს ყოფილი მაძებარი, რომის შემდეგ გამოქვეყნებული წიგნის „კაიზერის მთავარი ჯაშუშის“ ავტორი, ნამდვილად ვილჰელმ II საყვარელი ადამიანი იყო. 1913 წელს დუვრში დააპატიმრეს. უცხოელი, რომელიც ამ მნიშვნელოვან ნავსადგურში სამხედრო ნაგებობებს იღებდა. დაპატიმრებული იმდენად აღელვებით გამოთქვამდა თავის აღშფოთებას, ისე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სურათებს იღებდა როგორც უბრალო ტურისტი, რომელსაც მის მნიშვნელობაზე წარმოდგენა არა აქვს, რომ ბოლოს და ბოლოს იგი გაათავისუფლეს. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ლონდონის მისამართი, რომელიც მან ხელისუფლებას აცნობა, მოგონილი იყო.

ინგლისის დაზვერვამ აგენტ-ორეულისაგან ლონდონში ცნობა მიიღო, რომ დუერში დაპატიმრებული მზვერავი გერმანელი შტეინჰაუერი („ოტო გარცი") იყო. უფრო მოგვიანებით გრიმიანი შტეინჰაუერი ერთ ქუჩაზე მის მეთვალყურე კონტრმზვერავ ეუდჰოლს შემთხვევით შეხვდა. ინგლისელი შეყოყმანდა; ვერ წარმოედგინა, რომ წვერიანი უცხოელი ის გერმანელი აგენტი იქნებოდა, რომელსაც ეძებდნენ. შტეინჰაუერმა მატარებელში ჩაჯდომა მოასწრო და ინგლისელებს ხაბოლოოდ გაუსხლტა ხელიდან.

გერმანიის საზღვაო დაზვერვა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის წინ არ იყო ეფექტური. გრევსი დააპატიმრეს ისე, რომ ვერ მოასწრო რაიმე არსებითის გაგება. გერმანელებმა მოახერხეს ინგლისელი უნტერ-ოფიცრის ჯორჯ ჩარლზ პეროტის დაქირავება; მაგრამ ის სრულიად უვარგისი მზვერავი გამოდგა. პეროტმა უეჭველად იცოდა ბევრი რამ ფლოტის ტექნიკური მხარეების შესახებ და შეეძლო მნიშვნელოვანი ცნობების გადაცემა, მაგრამ მას თვალთვალი დაუწყეს და გაყვნენ ბელგიაში, კერძოდ, ისტენდში, სადაც იგი თავის გერმანელ დამქირავებლებს შეხვდა. მისი მგზავრობის ყოველი ნაბიჯი ცნობილი გახდა. 1912 წლის აგვისტოში პეროტი ფლოტიდან გააგდეს, მაგრამ გერმანელებისათვის მუშაობას განაგრძობდა. იმავე წლის ნოემბერში ჯაშუში დააპატიმრეს. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა კითხვარი, რომელიც გერმანიიდან იყო გამოგზავნილი. ეს კითხვარი გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელების არც ჭკუაზე და არც მათ გათვითცნობიერებაზე არ მეტყველებდა. კითხვარში აღნიშნული ცნობების დიდი ნაწილის მიღება მათ ბრიტანეთის ოფიციალური გამოცემიდან, კერძოდ „ნეივლ ენდ მილიტერი რიკორდიდან" შეეძლოთ, სადაც იუწყებოდნენ სამამულო წყლებში ინგლისის სამხედრო ფლოტის გემების გადაადგილებაზე.

ამ წლებში ბრიტანეთის ჯაშუშობის შესახებ ჯერ კიდევ ცოტრამ არის ცნობილი. ინგლისის დაზვერვა ევროპაში მთლიანად იმ სისტემის საწინააღმდეგო ხასს მისდევდა, რომელსაც გერმანელები იყენებდნენ. შტიბერის მეთოდის — „მასობრივი" ჯაშუშობის მაგივრად, ინგლისელები თავისი დიპლომატიის სადაზვერვო, მოღვაწეობის შესაესებად ელჩების, სამხედრო და საზღვაო ატაშეების, „პოლიტიკური მრჩევლების" გარდა, დამოუკიდებელ ქვეყნებში შედარებით ნაკლებ ჯაშუშებს ინახავდნენ. მაგრამ, სამაგიეროდ, მათ დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ ახლოს გაცნობოდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. სადაზვერვო საქმიანობაში მონაწილეობდნენ მმართველი წრეების ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ უინსტონ ჩერჩილი და

მომავალი ფელდმარშალი ვილსონი. თავისი პირადი აღიარებით, ვილსონმა ომის წინ ველოსიპედით მთელი ბელგია მოიარა. ახალგაზრდობის რეაქციული ორგანიზაციის დამაარსებელმა ბადენ პაუელმა სიახლე შეიტანა: მან სამხედრო სიმაგრეები პეპელას და სხვა მწერების სახით ჩახატა.

ინგლისის დაზვერვა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ინფორმაციების არა სიმრავლეს, არამედ ხარისხს; მას უნდა გაეშუქებინა მთავარი და ძირითადი, ყურადღება არ გაეფანტა წვრილმანებზე. ასეთი ხაზი, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო. დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ, რომ ისევე, როგორც წინა ომებში, შეძლებდნენ სხვისი ხელით ეგლიჯათ ნარი. ინგლისის მთავრობას ამ დროს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რომ მას საჩქაროდ მოუხდებოდა მასობრივი არმიის შექმნა და მისი გაგზავნა გერმანელების წინააღმდეგ დასავლეთისა და მთელ რიგ სხვა ფრონტებზე. ამიტომ ჯერ კიდევ გარკვეულ დრომდე „წვრილმანები", რომელთა გადაცემაც მრავალ ჯაშუშს შეეძლო, დიდ ბრიტანეთს უფრო საჭიროდ ეჩვენებოდა მოკავშირეებისათვის, ვიდრე თავისი თავისათვის. მაგრამ მოკავშირეების ინტერესებისათვის გადაჭარბებული მზრუნველობა სრულიად არ იყო ინგლისის პოლიტიკის ტრადიცია.

აშკარა ჯაშუშობაში ოფიციალური პირებიც კი ამხილეს. ერთხელ, საფრანგეთში, მანევრების დროს, ინგლისის ატაშემ შეუმჩნევლად აიღო და შეინახა გასროლილი ახალი ჭურვის ნატეხი, რომელიც ჯერ კიდევ ცხელი იყო. მალე ყველა დამსწრემ გაკვირვებით შეამჩნია ატაშეს საპარადო ფორმიდან ასული სქელი ბოლი, იგი კი ცდილობდა შეენარჩუნებინა ნაქები ბრიტანული თავდაჭერილობა. ინგლისის მზვერავი დ. ასტონი იგონებს თუ როგორ გადახატა მან ბოსფორის სიმაგრეები. შორიდან იგი შეუმჩნევია თურქეთის პატრულს, მაგრამ სანამ თურქი ჯარისკაცები მოირბენდნენ ადგილამდე, სადაც ასტონი იმყოფებოდა, მან... მოძებნა თავისი შემცვლელი, თურქეთში მოგზაურობის დროს დაახლოებული თანამგზავრი, რომელმაც გადახატვის შესახებ არაფერი იცოდა. ასტონი რაღაც მიზეზით სწრაფად დაიმალა, მისი „მოადგილე" კი გარშემორტყმული აღმოჩნდა თურქებით. იგი გაჩხრიკეს, მაგრამ, რასაკვირველია, ვერაფერი უპოვეს. მალე ასტონი რამდენიმე სხვა ოფიცერთან ერთად შემთხვევის ადგილს მიუახლოვდა და პატრულის უფროსს მიუთითა, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა. თურქეთის ჯარისკაცებმა ის ადგილი მაინც ძირფესვიანად „გაჩხრიკეს", ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ დაპატიმრებულმა

ინგლისელმა მოასწრო ქაღალდების გადაგდება. ბრიტანეთის გავლენა თურქეთში ამ დროს იმდენად დიდი იყო, რომ როდესაც ამ ინციდენტის შესახებ სულთანმა შეიტყო, ბრძანა არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწიათ ინგლისელებისათვის სიმაგრეების დათვალიერებაში. მაგრამ ბრიტანეთის დაზვერვა შტიბერის მეთოდების გამოყენებას არ თაკილობდა, მაგალითად, მზვერავებს გზავნიდა ალმზრდელი ქალების სახით გერმანიის დიდი თანამდებობის სამხედროთა ოჯახებში.

ინგლისელი კაპიტნის სტიუარტის ჯაშუშობაში მხილებამ გერმანიაში დიდი ხმაური გამოიწვია, იგი გასცა ინგლისის მეორე ჯაშუშმა— გერმანელმა კომივოიაჟორმა. გერმანელი იღბლიანი ქორწინების შემდეგ მოულოდნელად განიმსჭვალა პატრიოტიზმის გრძნობით და თავისი ინგლისელი დამქირავებლები გასცა. კაიზერი მაშინ ინგლისს ეთამაშებოდა და სტიუარტი შეიწყალა (კაპიტანი ომის პირველ თვეებში დაიღუპა).

1910 წლის დეკემბერს ფრიდრიხსჰაფენში — დირიჟაბლების მშენებლობის ცენტრში —. ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს ფრანგი სამხედრო ინჟინერი, კაპიტანი ლუქსი. სასამართლოს შემდეგ ლუქსი სილეზიის გრაციის ციხე-სიმაგრეში მოათავსეს. ლუქსი გაიქცა. იგი შეუმჩნევლად გამოვიდა საკნიდან, გადახერხა დერეფნის ფანჯრის ჩარჩო და ციხის თეთრეულიდან გაკეთებული თოკით ძირს ჩამოვიდა. ლუქსმა მადლობის ნიშნად თავაზიანი წერილიც კი დაუტოვა ციხის კომენდანტს სტუმართმოყვარეობისათვის. ფრანგმა მოახერხა მდევრების მოტყუება და თავგამოდებული დევნის მიუხედავად იტალიაში გაიღწია. ორი დღის შემდეგ კი ლუქსი პარიზში სამხედრო მინისტრთან ოფიციალურ მიღებაზე გამოცხადდა.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლები იყო დრო ერთიმეორის მომყოლი მძაფრი საერთაშორისო კრიზისებისა, რომლებსაც არაერთხელ მიუყვანია მსოფლიო სამხედრო კატასტროფის ზღვართან. ამ ატმოსფეროში მკვეთრად გაძლიერდა, დაზვერვათა ომი. ყველაზე მეტ აქტიურობას გერმანიის იმპერიალიზმი იჩენდა, რომელსაც ომის დაწყება მანამდე, სანამ რუსეთის არმია ხელახლა შეიარაღებას მოასწრებდა, თავისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა, თუმცა გერმანიის მოწინააღმდეგეთა დაზვერვები მას არ ჩამორჩებოდა. გერმანიის მმართველი წრეები უცხოელი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ჩაბმის მიზნით ქვეყანაში ნამდვილი ჯაშუშომანიის ატმოსფეროს ქმნიდნენ, აზვიადებდნენ ყოველი ნამდვილი თუ მოჩვენებითი ჯაშუშობის შემთხვევას, რომელიც გერმანიის კონტრდაზვერვამ გახსნა. შოვინისტური პრესა ამას საერთაშორისო მდგომარეობის გამწვა-

ვებისათვის იყენებდა (ამგვარმა ჯაშუშომანიამ, რომელიც ხელს უშლიდა ნამდვილი მზვერავების დაჭერას, ომის პირველ თვეებში ანტანტის ყველა ქვეყანა მოიცვა). ჯაშუშთა ხმაურიან პროცესებს იმისათვისაც იყენებდნენ, რომ აეძულებინათ რაიხსტაგი სულ ახალ და ახალ სამხედრო ხარჯებზე დათანხმებულიყო.

უმეტეს შემთხვევაში გერმანიის საიდუმლო პოლიცია ახერხებდა იმ გერმანელების დაჭერას, რომლებიც დაქირავებული იყვნენ უცხოეთის დაზვერვის მიერ. რუსმა სამხედრო აგენტმა ტორპის ციხე-სიმაგრის შტაბის გადამწერი ველკერლინგი მოისყიდა, მაგრამ საიდუმლო საბუთები, რომლებიც შტაბის უფროსის სეიფში ინახებოდა, მისთვის მიუწვდომელი იყო. მას შემთხვევა დაეხმარა. შტაბის უფროსმა... დაბნეულობის გამო შაბათს გასაღები თავის მაგიდაზე დატოვა. როდესაც ორშაბათს ოფიცერი კაბინეტში მოვიდა, გასაღები ისევ იმ ადგილზე დახვდა. მაგრამ ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსმა არ იცოდა, რომ ერთი ღღის განმავლობაში ამ გასაღებმა დიდი მოგზაურობა მოასწრო: ის იმყოფებოდა ვარშავაში (ქალაქი მაშინ, ისევე როგორც პოლონეთის სხვა დიდი ნაწილი, რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა). იქ სეიფის გასაღების პირველხარისხოვანმა ოსტატმა საჩქაროდ გააკეთა ტეიფრი და მალე მწერალს შტაბის ოფიცრების არყოფნის დროს შეეძლო სეიფის გაღება. ველკერლინგი სეიფს შაბათს საღამოს აღებდა და საიდუმლო საბუთებს ფოტოგადაღებისათვის ვარშავაში გზავნიდა. როდესაც ორშაბათ დილას გერმანელი ოფიცრები შტაბის შენობაში მობრძანდებოდნენ, ყველაფერი თავის ადგილზე ხედებოდათ. როგორც ხედავთ, ჯაშუშს კვირადღის შეწირვაც კი არ მოუხდა. სამაგიეროდ, რუსი მზვერავები ვარშავაში ამ ღღეს ყელამდე დაკავებული იყვნენ საქმით. ერთ კვირა ღღეს მათ 10 ათასი ფოტოსურათი დაამზადეს.

ველკერლინგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩავარდა და ისიც იმიტომ, რომ შემოსავალთან შედარებით ძალიან ხელგაშლილად ცხოვრობდა. ქალბატონ ველკერლინგის ძვირფასმა ჩაცმულობამ ეჭვი გამოიწვია, რამაც ჯაშუში გამოააშკარავა. მას საკატორღო სამუშაოები მიუსაჯეს.

რუსეთის დაზვერვამ ჯერ კიდევ 1904 წელს შეძლო შლიფენის ცნობილი გეგმის ხელში ჩაგდება. იგი ფრანგებს გადასცეს, მაგრამ იქ ის ყალბად მიიჩნიეს. გეგმა ხომ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევას ითვალისწინებდა, რაც ინგლისის ჩარევას გამოიწვევდა. ბერლინში კი ყოველი ღონით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საფრანგეთთან და რუსეთთან ინგლისის შეერთებისათვის.

მოგვიანებით რუსეთის დაზვერვამ ხელში ჩაიგდო პირადად კაიზერის მიერ ხელმოწერილი „ბრძანება ომის შემთხვევაში“, რომელიც მხოლოდ სამ ეგზემპლარად იყო შედგენილი. გერმანელებმა გაიგეს რუსი მზვერავების წარმატება და „ბრძანებების“ შეცვლა გადაწყვიტეს, მაგრამ ომამდე ამის გაკეთება არ მოხერხდა, ფრანგებმა კი ესეც არ დაიჯერეს!

არჩევდა რა თავის აგენტებს ავსტრიაში სამუშაოდ, რუსეთის დაზვერვამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია... ავსტრიელ აგენტებს. რატომ უნდა დაეხარჯათ ძალა თავისი ხალხის. ავსტრიის არმიაში შესაგზავნად. ხომ შეიძლებოდა განსაკუთრებული შრომის გვარეშე, ფასის მომატებით მოეხყიდათ ავსტრიის ოფიცრები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სადაზვერვო სამსახურში იმუშავებდნენ?

ავსტრიის შტაბი რამდენიმე წლის მანძილზე რუსეთში გზავნიდა განსაკუთრებით შერჩეულ ოფიცრებს. მათ უნდა შეესწავლათ რუსეთი და რუსული ენა. რუსეთის მთავრობა ავსტრიის დაზვერვის მომავალი ხელმძღვანელების ამ შემოგზავნას არ ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, მათ უფლება ეძლეოდათ ეცხოვრათ ყაზანში. რა იცოდნენ ვენაში, თუ რა წარმატებით ახერხებდნენ ავსტრიელების გალოთებას, მათ ვალში ჩაგდებას და, რომ იტყვიან, სულით ხორცამდე მოსყიდვას.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲢᲚᲐᲠᲘ

ეს იყო ისტორია, რომელიც სრულიად შეეფერებოდა დეტექტიურ რომანს, ისტორია, რომელშიაც მოკითხვამდე წერილის მიღებლობამ, ჯიბის დანის ფუტლარის დაკარგვამ და მარცხიანმა ფეხბურთის მატჩმა საქმე საიდუმლოების გახსნამდე და გამოქვეყნებამდე მიიყვანა...

1913 წლის 26 მაისს ავსტრია-უნგრეთის მონარქიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ორი ცნობა, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ერთი ცნობა, ვენის დეპეშათა სააგენტოს განცხადება, გადაბეჭდილი ყველა გაზეთის მიერ, იტყობინებოდა ავსტრია-უნგრეთის არმიის მე-8 კორპუსის შტაბის უფროსის ალფრედ რედლის მოულოდნელ თვითმკვლელობას. „მეტად ნიჭიერი ოფიცერი, რომელსაც ბრწყინვალე კარიერა ელოდა, — ნათქვამი იყო ამ განცხადებაში, — იმყოფებოდა ვენაში და სამსახურებრივი მოვალეობის

შესრულების დროს, სიგიჟემ მოუარა...“ შემდეგ გვაცნობებდნენ ოფიცრის მომავალ საზეიმო დაკრძალვას, ოფიცრისა, რომელიც მრავალი კვირის უძილობის გამო ნერვიულმა გამოფიტვამ ამსხვერპლა.

მეორე ახალი ამბავი სპორტს, ქ. პრაღის ორი მოუყვარულთა გუნდის ბრძოლას ეხებოდა. მოულოდნელმა დამარცხებამ, რომელიც „შტორმ I“-ის გუნდმა განიცადა, მხოლოდ გაზეთ „პრაგერ ტაგებლატის“ ყურადღება მიიქცია. მან მწარე გაოცება გამოთქვა გუნდის დამარცხების გამო. ამ ფეხბურთის მატჩის შესახებ გამოქვეყნებულმა პატარა ანგარიშმა არა მარტო გააუქმებინა უკვე დანიშნული საზეიმო დაკრძალვა, არამედ გახსნა სახელმწიფო საიდუმლოება, რომლის დამალვას თავგამოდებით ცდილობდა ბეჭდვითი სიტყვის ოფიციალური სააგენტო. მწუხარება, რომლითაც პრაღის გაზეთი „შტორმ-I“-ის დამარცხებას იტყობინებოდა, სრულიად არ იყო ყალბი. ანგარიშის ავტორი, გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი, ამავე დროს ამ გუნდის კაპიტანიც იყო. დამარცხების მიზეზად ის თვლიდა ორი ძლიერი მოთამაშის არყოფნას და გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ნასადილევს ერთ-ერთ მათგანთან — ვაგნერთან გაემგზავრა, რომელიც პროფესიით ზეინკალი იყო.

თავისი კაპიტნის საყვედურებზე ვაგნერს შეეძლო მხოლოდ ეპასუხა, რომ მან არ ითამაშა სრულიად საპატიო მიზეზით. მასთან ბინაზე მოვიდნენ გავლენიანი სამხედრო პირები და პრაღის რომელიღაც ძალიან მდიდარ ოჯახში წაიყვანეს. ეს ოჯახი ეკუთვნოდა მაღალი წოდების სამხედრო პირს, რომელიც იმ დღეს გარდაიცვალა ვენაში. სახლში უკვე იმყოფებოდნენ პრაღის კორპუსის უფროსი და სხვა მაღალი წოდების პირნი, რომელთა ნაწილი ჩამოსული იყო ვენიდან. ისინი ალბათ ეძებდნენ ანდერძს; რადგან ვაგნერს უბრძანეს გაეხსნა ყველა ყუთის, კარადისა და სეიფის საკეტები. ეს არ იყო ადვილი სამუშაო. გენერალი თავის ქაღალდებს ძალიან სანდო საკეტებში ინახავდა. საკეტების გატეხის შემდეგ ამოიღეს დიდი რაოდენობით ქაღალდები, სამხედრო გეგმები, ფოტოსურათები და დიდძალი თანხა. ამ ქაღალდების ნაწილი დაწერილი იყო რუსულ ენაზე. ნახულმა მასალამ განაცვიფრა ოფიცრები, რომლებიც არც ცდილობდნენ დაემალათ აღშფოთება.

ვაგნერმა მეტი არაფერი იცოდა, მაგრამ ეს მოყოლილი ამბავი საკმარისი იყო ფეხბურთის გუნდის კაპიტნისათვის, რომ მასში გაზეთის მუშაკი გაღვიძებულიყო. თუმცა ჯერ მთლად გარკვეული არ იყო, მაგრამ რედაქციაში რომ დაბრუნდა, თვალში მოხვდა ვენის დეპეშათა სააგენტოს ცნობა რედლის თვითმკვლელობის შესახებ.

ყველაფერი ნათელი გახდა. რუსულ ენაზე დაწერილი ქაღალდები, სამხედრო საბუთები, საჩქარო ჩხრეკა კორპუსის სარდლისა და დედაქალაქიდან ჩამოსული ოფიცრების თანდასწრებით... ყველაფერს შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი ახსნა: რედლი აღმოჩნდა მეფის რუსეთის ჯაშუში.

რასაკვირველია, იმაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რომ ყველაფერი ეს გაზეთში ყოფილიყო დაბეჭდილი. პოლიცია კონფისკაციას გაუკეთებდა მთელ ტირაჟს მანამ, სანამ იგი სტამბიდან გამოვიდოდა, თვით გაზეთს კი ჯარიმა და სასამართლოს დევნა არ ასცდებოდა. მაგრამ ავსტრიელ გაზეთის მუშაკებს არ აკლდათ არც უნარი და არც გამოცდილება ქარაგმულად ეცნობებინათ ყველაფერი, რისი დაბეჭდვაც აკრძალული იყო, გადაეცით ახალი ამბები გაზეთის უარყოფის გამოქვეყნების სახით.

მეორე დღეს „პრაგერ ტაგებლატში“ დაიბეჭდა პატარა წერილი, რომელიც უცბად უდიდეს სენსაციად გადაიქცა: „ერთი მაღალი თანამდებობის პირი, — ნათქვამი იყო შენიშვნაში, — გვთხოვს უარვყოთ ხმები, რომლებიც უმეტესად გავრცელებულია სამხედრო წრეებში. ეს ეხება პრაღის კორპუსის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ რედლს. მან როგორც გაცნობებდით, კვირა დილას ქ. ვენაში თავი მოიკლა. ეს ხმები გამოწვეული იყო იმით, რომ პოლკოვნიკს ბრალად სდებდნენ, თითქოს მან ერთ სახელმწიფოს, კერძოდ, რუსეთს, სამხედრო საიდუმლოებანი გადასცა. სინამდვილეში კი პრაღაში ჩამოსულ უმაღლეს ოფიცერთა კომისიას, რომელმაც პოლკოვნიკის ბინა გაჩხრიკა, სულ სხვა მიზანი ჰქონდა“.

წერილის გამოქვეყნებამდე ავსტრია-უნგრეთში საიდუმლოება იცოდა მხოლოდ ათმა მაღალი წოდების ოფიცერმა. ის თვით იმპერატორ ფრანც-იოსებსაც კი დაუმალეს. „პრაგერ ტაგებლატის“ მორიგი ნომრის გამოსვლის შემდეგ საიდუმლოება მთელმა მსოფლიომ შეიტყო. ბევრი მნიშვნელოვანი დაწვრილებითი ცნობა კი გამოჩნდა 1918 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ.

რედლის გამოაშკარავება, როგორც ჩანს, მხოლოდ შემთხვევის საქმე იყო. 1913 წლის დამდეგს ვენაში, მთავარ ფოსტაში, რუსეთის საზღვართან ახლო მდებარე აღმოსავლეთ პრუსიის პატარა ქალაქ ეიდკუნენიდან მოვიდა წერილი მოკითხვამდე. დიდი ხნის განმავლობაში წერილს არავინ არ მიაკითხა და იგი უკან, გერმანიაში დააბრუნეს. ვინაიდან ავტორი უცნობი იყო, წერილი გახსნეს. მისი შინაარსი გერმანიის პოლიციამ საჩქაროდ აცნობა ავსტრია-უნგრეთის დაზვერვას. ასე გადმოგვცემს ამ საქმეს თავის მემუარებში ავსტრია-უნგ-

რეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უფროსი მაქს რონგე. უფრო შესაძლებელია, რომ წერილი სრულიადაც არ იყო გაგზავნილი გერმანიაში და მთელი ეს ისტორია გამოგონილი იყო რონგეს მიერ, რათა დაემალა ავსტრია-უნგრეთში „შავი კაბინეტის“ არსებობა.

ასე იყო თუ ისე, ეიდკუნენიდან გამოგზავნილი წერილი ავსტრია-უნგრეთის კონტრდაზვერვის ხელთ აღმოჩნდა. მისი შინაარსი ჩვეულებრივ წერილთან შედარებით არაჩვეულებრივი იყო: 6 ათასი ავსტრიული კრონის ბანკნოტები და ორი მისამართი: ერთი ჟენევაში და მეორე პარიზში. ორივე მისამართი კარგად იყო ცნობილი ავსტრიის კონტრდაზვერვისათვის როგორც სხვადასხვა ქვეყნის ჯაშუშების „საფოსტო ყუთი“. უეჭველია, 6 ათასი კრონი წარმოადგენდა გასამრჯელოს ჯაშუშური მუშაობისათვის. ამას მეტყველებდა არა მარტო მისამართები, არამედ თვით მნიშვნელოვანი თანხის წერილით გადაგზავნის ფაქტიც.

ცხადია, ფულის გადაგზავნა არ შეიძლებოდა აშკარად, საყოველთაოდ მიღებული გზით. როგორ დაეჭირათ ჯაშუში, რომელიც ავსტრიაში ცხოვრობს და რაღაც მიზეზებით (შეიძლება ავადმყოფობის გამო) ვერ მიიღო. გაწეული სამსახურისათვის გაგზავნილი გასამრჯელო? წერილი ვინმე ნიკონ ნიცეტასის სახელზე იყო გაგზავნილი. როგორც გამოირკვა, ეს გამოგონილი სახელია. ერთადერთი შესაძლებელი გზა იყო ფოსტაზე მეთვალყურეობის დაწესება იმ იმედით, რომ უცხოელი მზვერავი თვითონ გაებმებოდა დაგებულ მახეში.

ამ დროისათვის კიდევ მოვიდა ერთი წერილი მოკითხვამდე, რომელიც ისევე, როგორც პირველი, გაგზავნილი იყო ნიკონ ნიცეტასის სახელზე. მასში იდო 7 ათასი კრონი. შემდეგ მოვიდა მესამე წერილი. გავიდა აპრილი, მაისის ნახევარი, მაგრამ გამოუცნობი ნიცეტასი მაინც არ მოდიოდა იმ საკმაოდ დიდი თანხისათვის, რომელიც იდო მოკითხვამდე გამოგზავნილ სამ წერილში. კონტრდაზვერვამ დააბრუნა ფოსტაში პირველი წერილიც. ვითარება იძაბებოდა. ფოსტის ფანჯარა პირდაპირი სადენით შეერთებული იყო ახლომდებარე პოლიციის განყოფილებასთან. საკმარისი იყო ფოსტის მსახურს ხელი დაეჭირა ელექტროზარისათვის, რომ ერთი-ორი წუთის შემდეგ, კორესპონდენციის გაცემის ფორმალობაზე რომ გადავიდოდა, ფანჯრის წინ გაჩენილიყვნენ ვენის პოლიციის აგენტები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ამ საქმისათვის თვალყურის დევნება. მაგრამ დღეები გადიოდა, წერილები კი ისევ ფოსტაში ეწყო.

შაბათს, 24 მაისს, გვიან საღამოს, კონტრდაზვერვის უფროსი კაპიტანი რონგე სამსახურიდან სახლში წავიდა. როგორც კი ოთახში

შევიდა, გაისმა ტელეფონის ზარი — სახელმწიფო მრჩეველი გაიერი რეკავდა ვენის პოლიციის სამმართველოდან: „გთხოვთ, მობრძანდეთ ჩემთან ბიუროში, რაღაც საშინელება მოხდა!“.

შაბათს, დღის მეორე ნახევარში, ფოსტის ფანჯარასთან, როგორც იქნა, მოვიდა კაცი და ითხოვა თავისი წერილები, რომლებიც ასე დიდხანს ელოდა მას. ფოსტის მსახურმა უმალვე დააჭირა თითი ზარის ღილაკს, სცადა ცოტათი შეეჩერებინა მომსვლელი. მაგრამ პოლიციელები რატომღაც არ გამოცხადდნენ. სწორედ იმ წუთში პოლიციის სამმართველოს ოთახში არც ერთი კაცი არ იმყოფებოდა. კლიენტმა, როგორც კი მიიღო თავისი წერილები, დატოვა ფოსტა. წუთში მოვარდნილი სამი აგენტი დაედევნა მას, მაგრამ დამარცხდნენ. აგენტებმა მხოლოდ თვალი მოჰკრეს, როგორ ჩაჯდა ტაქსში ის კაცი, რომელმაც წერილები მიიღო, და წავიდა. ახლოს სხვა მანქანა არ იყო და ვერ დაედევნენ. მხოლოდ მანქანის ნომრის დამახსოვრება მოასწრეს. ეს იყო ერთადერთი ძაფი, რაც მათ ხელში შერჩათ. ისინი დაახლოებით 20 წუთს იდგნენ და ბჭობდნენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ამ დროს დაინახეს მათკენ მომავალი ტაქსი: ნომერი ემთხვეოდა, ეს იყო ის მანქანა, რომელმაც უცნობი წაიყვანა.

მაძებრები ჩასხდნენ ტაქსში და მძღოლს ჰკითხეს, სად წაიყვანა მან ერთი მათი მეგობარი ამ ადგილიდან. კაფე „კაიზერჰოფში“ — უპასუხა მძღოლმა. ახალმა მგზავრებმა სთხოვეს ისინიც იქ მიეყვანა. გზაზე მათ ჰქონდათ დრო კარგად დაეთვალიერებინათ ტაქსი. დათვალიერების დროს აგენტებმა ნახეს ჯიბის დანის რუხი შალის ფუტლარი. ეს არ იყო მაინცდამაინც სწორი კვალი, ამასთანავე ფუტლარი შეიძლებოდა დარჩენოდა რომელიმე სხვა მგზავრსაც, რომელმაც ტაქსი წერილების მიღებამდე დაიქირავა.

კაფე „კაიზერჰოფში“ ხალხმრავლობა იყო. თუმცა მაძებრებს უცნობის მარტო ზურგი ჰქონდათ ნანახი, მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ იქ მყოფთა შორის ის არ იყო. ხომ შეიძლებოდა, რომ იგი სრულებით არ შესულიყო კაფე „კაიზერჰოფში“ და კვალის დასაბნევად მხოლოდ ტაქსი გამოეცვალა. ახლომდებარე ტაქსის გაჩერებასთან პოლიციელებმა გამოარკვიეს, რომ დაახლოებით ნახევარი საათის წინ ვიღაც კაცმა, რომლის ნიშნები უცნობის ნიშნებს ემთხვეოდა, დაიქირავა მანქანა და სასტუმრო „კლომზერში“ გაემგზავრა. დეტექტივები საჩქაროდ გაეშურენ სასტუმრო „კლომზერისაკენ“. შვეიცარმა ვერ გასცა ზუსტი პასუხი, თუ ვინ მოვიდა უკანასკნელი საათის განმავლობაში ტაქსით. მოვიდა რამდენიმე კაცი, მათ შორის სასტუმროში მცხოვრები პოლკოვნიკი რედლიც, დეტექტივებმა

სთხოვეს გამოეკითხა მდგმურებისათვის, თუ ვინ დაკარგა ფუტლარი. მათი საუბარი ლამაზ სამოქალაქო კოსტიუმში გამოწყობილი კაცის გამოჩენის გამო შეწყდა. რასაკვირველია, მაძებრებმა მაშინვე იცნეს პოლკოვნიკი — გენერალური შტაბის ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა ავსტრია-უნგრეთის სადაზვერვო სამსახურს.

— ბოდიში, ბატონო პოლკოვნიკო, თქვენ ხომ არ დაკარგეთ ჯიბის დანის ფუტლარი?

— დიახ, ეს ჩემია, გმადლობთ,—დახედა თუ არა, უპასუხა პოლკოვნიკმა და სახეზე მკვდრის ფერი დაედო. მას გაახსენდა, თუ სად დაკარგა ფუტლარი. რედლმა ახედ-დახედა სამივე მოწმეს, რომლებიც მისი თვითგამოაშკარავების დროს იქ იმყოფებოდნენ და საჩქაროდ გავიდა ქუჩაში. ორი აგენტი უკან დაედევნა, ერთი კი სამოქალაქო მრჩეველს გაიერს სასწრაფოდ დაუკავშირდა ტელეფონით. გაიერმა ყველაფერი რონგეს აცნობა. „მივიღე თუ არა ცნობა,—იგონებდა იგი,—რომ ჩვენი დაზვერვის ბიუროს მრავალი წლის წევრი, ბევრი ჯაშუშის პროცესის სამხედრო ექსპერტი გამოაშკარავებულია, როგორც მოღალატე, პირდაპირ გავქვავდი“.

მალე დეტექტივებმა მჩიტანეს წერილების ნაგლეჯები, რომლებიც რედლს საჩქაროდ დაეხია და გადაეყარა. როდესაც ისინი შეაგროვეს და ტექსტი აღადგინეს, უკანასკნელი ეჭვიც გაქარწყლდა. მათში ნაჩვენები იყო მთელი რიგი „საფოსტო ყუთები“, რაც ამტკიცებდა რედლის კავშირს არა მარტო რუსეთთან, არამედ საფრანგეთთან და იტალიასთანაც.

როდესაც რონგე წერდა, თუ როგორ შეაძრწუნა რედლის ღალატის გაგონებამ, იგი სრულიად არ აჭარბებდა. ის და მისი თანამშრომლები პირველ წუთებში ელდანაცემი იყვნენ. რედლი იმ ოფიცერთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სწრაფად იკეთებენ კარიერას ავსტრია-უნგრეთის არმიაში, თანაც მთელი მისი სამსახური დაკავშირებული იყო დაზვერვასთან. იგი დაზვერვაში 1900 წლიდან მუშაობდა და მთელი რიგი „გაუმჯობესებანი“ შეიტანა, მაგალითად, ყველა იმ მომსვლელის შეუმჩნეველი ფოტოგრაფირება და ლაპარაკის ჩაწერა ფონოგრაფზე, რომლებსაც თავის კაბინეტში ღებულობდა, საავარძლის სახელურებს და პაპიროსებს, რომლებსაც მომსვლელებს აწოდებდნენ, მოყრილი ჰქონდა სპეციალური ფხვნილი. ასე რომ ყველა, ვინც რედლთან შედიოდა, ვერც კი ამჩნევდა ისე ტოვებდა თითების ანაბეჭდს. რედლის უფროსი გენერალი გიზლი დიდად აფასებდა თავის ხელქვეითს. როდესაც გიზლი ვენიდან პარიზში გადაიყვანეს, სა-

დაც განლაგებული იყო ავსტრია-უნგრეთის არმიის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი, მან თან წაიყვანა გამოცდილი დაზვერვის ოფიცერი. ამ დროისათვის რედლი უკვე პოლკოვნიკი იყო. ვენაში იგი კაპიტანმა რონგემ შეცვალა. მან თავის მხრივ რედლის „სიახლეებს“ დაუმატა ერთი, ძალზე ძველი ხერხი — მკაცრი საფოსტო ცენზურა, რომელსაც მანამდე სისტემატურად არ იყენებდნენ. მიზანი კონტრჯაშუშობა იყო, მაგრამ თვით ცენზორებსაც შთააგონეს, რომ მათი ამოცანაა კონტრაბანდასთან ბრძოლა.

ავსტრიის დაზვერვის მუშაკები, პოლკოვნიკ რედლს თავის მასწავლებლად და მაგალითის მიმცემად სთვლიდნენ. მის მიერ შედგენილი საიდუმლო ინსტრუქცია „რჩევები ჯაშუშობის გახსნისათვის“, სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა მისი მემკვიდრეებისათვის. ავსტრიის გენერალურ შტაბს რედლისგან არაფერი ჰქონდა დამალული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მტრის დაზვერვისათვისაც არაფერი არ იყო დამალული! შეშფოთებული რონგე თავის უფროსთან წავიდა, რათა გაუგონარი აღმოჩენა მოეხსენებინა.

... რედლი კი ამ დროს ვენის ქუჩებში დაეხეტებოდა, ფიქრობდა თავის მდგომარეობაზე და ცდილობდა გაეგო, დაწესებული იყო თუ არა მასზე მეთვალყურეობა. მალე ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. მაძებრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასდევდნენ. რედლი სწრაფად შემოტრიალდა და ოტელ „კლომზერში“ დაბრუნდა. ძნელია იმის თქმა, თუ რით ხელმძღვანელობდა რედლი მოქმედების დროს. შეიძლება მას კიდევ ჰქონდა გაქცევის იმედი, თუმცა გამოცდილი მზვერავისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო ასეთი ცდის განუხორციელებლობა, რადგანაც წრე უკვე შეკრული იყო. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი მაღალი საზოგადოებიდან გამოსული მოთამაშისა და მოქეიფის ფსიქოლოგიით მიხვდა, რომ თამაში წაგებული იყო და გადაწყვიტა დარჩენილი რამდენიმე საათი შეძლებისდაგვარად ტკბილად გაეტარებინა.

სანამ რონგე უფროსებს მოხსენებას უკეთებდა და ქალაქის კომენდანტისაგან დაპატიმრების სანქციას იღებდა, რედლი სასტუმროში თავის მეგობარს, უმაღლესი საკასაციო სასამართლოს პროკურორს ვიქტორ პოლაკს შეხვდა. მასთან ერთად იგი უცხოელი ჯაშუშების პროცესებზე გამოდიოდა. რედლი და პოლაკი ერთად წავიდნენ რესტორან „რიდჰოფში“, სადაც ცალკე კაბინეტში მათ საუკეთესო ვახშამი მიართვეს. ყური რომ დაეგდო მათი საუბრისათვის, ერთმა აგენტმა რესტორნის დირექტორს თავისი უფლებამოსილება გააცნო, ჩაიცვა მიმტანის კოსტიუმი და ორი წარჩინებული პირის მომსახუ-

რებას შეუდგა. მაგრამ რედლმა პოლაკს მაშინ გაანდო თავისი ამბავი, როცა მიმტანი ოთახიდან გადიოდა.

აღსარებაში იგი გამოუტყდა, რომ უზნეო მიდრეკილებების დასაკმაყოფილებლად დიდძალი ფულის შოვნა უხდებოდა. რედლი ლაპარაკობდა თავისი სულიერი აშლილობის შესახებ, მასზე, რომ ის შეურაცხად მდგომარეობაშია და პასუხს არ აგებს თავის საქციელზე. პირადი ჯაშუშური მოღვაწეობა პოლკოვნიკმა რატომღაც არ ახსენა. პოლაკმა იმავე წუთს გაიერს დაურეკა და საუბრის შესახებ აცნობა. აუწყა აგრეთვე, რომ რედლი, როგორც ჩანს, სერიოზული ფსიქიური ავადმყოფიაო. თორმეტის ნახევარზე რედლი დაემშვიდობა პოლაკს და დაბრუნდა სასტუმრო „კლომზერში", რომელიც ყოველი მხრიდან პოლიციით იყო გარშემორტყმული. ნომერში დაუკაკუნეს. ფორმაში გამოწყობილი ოთხი ოფიცერი შევიდა... რედლმა უარი თქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე — ყველა მასალის მიღება შეიძლება პრაღაში არსებულ ჩემს ბინაშიო. მან ან თვითონ მოითხოვა, ან შესთავაზეს რევოლვერი. ოფიცრები წავიდნენ.

დილის 5 საათზე ერთი აგენტი შევიდა ოტელში და განაცხადა, სასწრაფოდ წერილი მაქვს გადასაცემი რედლისთვისო. შევიდა თუ არა ნომერში, დაინახა პოლკოვნიკის გვამი, რომელსაც შუბლში ტყვია ჰქონდა მორტყმული. აგენტმა დილაადრიან თავის საგუშაგოზე მთვლემარე შვეიცარს სწრაფად ჩაუარა წინ. ხელისუფლება ცდილობდა დაემალა თვითმკვლელობის მიზეზი, საქმე ისე წარმოედგინა როგორც აბსოლუტური მოულოდნელობა. მაძებარი რომ წავიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ შვეიცარი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ვიღაცამ, რომელმაც არ დაასახელა თავი, მბრძანებლური ხმით ითხოვა საჩქაროდ გამოეძახათ პოლკოვნიკი რედლი ვესტიბიულში ტელეფონთან. შვეიცარი ნომერში შევიდა და მკვდარი პოლკოვნიკი რომ დაინახა, განგაში ატეხა. მოვიდა პოლიცია. მოკლულის გვერდით იდო წერილი. მასში რედლი იტყობინებოდა, რომ პირადი ცოდვების მონანიების მიზნით გადაწყვიტა თავის მოკვლა.

პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცეს ცრუ ცნობა. დაიწყეს მზადება საზეიმო დაკრძალვისათვის, რომელიც მოულოდნელად პრაღის ფეხბურთის გუნდის „შტორმ I"-ის წაგებამ ჩაშალა.

სპეციალურმა კომისიამ სასწრაფოდ დაიწყო რედლის მიერ მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრა, იმის გამორკვევა, თუ ავსტრია-უნგრეთის რა საიდუმლოება ჩაუვარდა ხელში მისი მეშვეობით უცხოეთის დაზვერვას. საბოლოოდ ამის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან საქმეში პოლიტიკური ანგარიში ჩაერია. დასაწყისში ყოველ-

ნაირად ცდილობდნენ შეემცირებინათ რედლის მოღვაწეობის მასშტაბი. ამ ხაზს ატარებდა რონგეც. იგი თავის მოგონებებში ცდილობდა გასული რიცხვით გადაერჩინა ავსტრია-უნგრეთის კონტრდაზვერვის პრესტიჟი. იყო კიდევ მეორე უკიდურესობა: წარმოედგინათ რედლი ავსტრია-უნგრეთის მესაფლავედ. ერთი მხრივ, თითქოს მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ავსტრიის მთავრობას რუსეთის არმიის მდგომარეობის შესახებ, განზრახ დაამცირა მისი ძალა და ამით ხელი ჰკრა ვენას ავანტიურისტული პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელმაც სამხედრო აფეთქება გამოიწვია, მეორე მხრივ, რედლმა ჰაბსბურგის მონარქიის ყველა სამხედრო გეგმის გაცემით სერიოზულად დაასუსტა მისი შეიარაღებული ძალები და წინასწარ განსაზღვრა ავსტრიის არმიის დამარცხება მსოფლიო ომში.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ზედმეტად გაზვიადებულია. ცხადია, არც რედლის მიერ ვენის მთავრობის დეზინფორმაციამ გამოიწვია მსოფლიო ომი და არც ავსტრიის არმიის მდგომარეობა იყო მსოფლიო კონფლიქტის შედეგის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. მაგრამ აშკარაა, რომ ავსტრიის იმ სამობილიზაციო გეგმების ცოდნა (რუსეთიდან), რომელიც რედლმა გასცა, დაეხმარა სერბიელებს დიდი ხნით შეეკავებინათ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შეტევა. რედლის ღალატის გაგებისთანავე ვენის გენერალურმა შტაბმა სერიოზული ზომები მიიღო და მობილიზაციის გეგმა შეცვალა, მაგრამ ძირითადად ის მაინც ძველი დარჩა. მომხდარი ცვლილებების მიხვედრა ადვილად შეიძლება, თუკი იცოდნენ ძველი გეგმა.

რედლის ჯაშუშური მოღვაწეობა 1902 წლიდან ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. მან ამისათვის ასიათასობით კრონი მიიღო. მის მიერ გაცემული საიდუმლოებები ღირდა ამ ფასად. ამ ცნობების საფუძველზე შეიძლებოდა წარმოდგენის ქონა ავსტრიის არმიის პირად შემადგენლობაზე, მატერიალურ ნაწილზე, სარდლობის გეგმებზე. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ რედლი ამხელდა ავსტრიის ყველაზე საშიშ ჯაშუშებს, რომლებიც შეგზავნილი იყვნენ რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებში. ერთხელ მეფის რუსეთის რომელიღაც პოლკოვნიკმა ვარშავაში გავლით მყოფ ავსტრიის სამხედრო ატაშეს ომის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთზე და გერმანიაზე რუსეთის შეტევის გეგმა შესთავაზა. საბუთი ყველაზე პირველად ხელში რედლს ჩაუვარდა. მან ნამდვილი გეგმა პეტერბურგს გადაგზავნა და მის მაგიერ საქმეში ყალბი გეგმა ჩადო. გარდა ამისა, მან აცნობა მეფის რუსეთის დაზვერვას მოღალატე პოლკოვნიკის ამბავი. პოლკოვნიკი მიხვდა, რომ გაყიდული იყო და თავი მოიკლა. ავს-

ტრიის სამხედრო ატაშე, რომელმაც თითქოს ყალბი სამხედრო გეგმა იყიდა, უკან გამოიძახეს ვენაში. რედლმა კი მეფის რუსეთიდან თავის სამსახურისათვის უდიდესი „ჰონორარი“ მიიღო.

მართალია, რედლის მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, თავისი პრესტიჟის ასამაღლებლად მას უნდა დაეჭირა ჯაშუშები, ამავე დროს არ შეეძლო გაეღიზიანებინა მისი დამჭირავებლები. საჭირო იყო არტისტული თამაში. 1903 წელს იგი შეეცადა დაეკავებინა მეფის რუსეთის დაზვერვის ერთი ჯაშუში, რომელიც თავისი პატრონებისათვის უკვე გამოუსადეგარი იყო. ეს გახლდათ ყოფილი სამხედრო პროკურორი ზიგმუნდ გეკაილო. იგი ჯერ სულ სხვა საქმეზე — სახელმწიფო ფულის გაფლანგვაზე დააპატიმრეს, მაგრამ სამხილი საკმარისი არ იყო და განთავისუფლებული გეკაილო საჩქაროდ წავიდა ემიგრაციაში ბრაზილიაში, სადაც კარლ ვებერის სახელი მიიღო. რედლმა სასამართლო ხელისუფლებას განუცხადა, რომ მას აქვს იმის დასამტკიცებელი საბუთი, თითქოს გეკაილომ რუსეთის დაზვერვას გადასცა რუსეთის წინააღმდეგ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ერთიანი საბრძოლო მოქმედების გეგმა. წარდგენილ იქნა უცილობელი ნივთიერი მტკიცებანი, რის მიღებაზეც, რედლის სიტყვებით, 30 ათასი კრონი დაიხარჯა.

ავსტრიის დიპლომატიამ მოახერხა გეკაილოს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავის გაცემა (ჯაშუშობაზე ამ შემთხვევაში დუმდნენ) და ის სასამართლოს გადასცეს. გამომძიებლებმა შეძლეს გეკაილოსათვის ეღიარებინებინათ კავშირი მაიორ ვენჩკოვსკისთან, რომელიც დააპატიმრეს. მასთან აღმოჩენილი საბუთების შედეგად დაპატიმრებულ იქნა კაპიტანი ახტი. ის ქ. ლვოვის გუბერნატორის ადიუტანტად მსახურობდა. საქმე გახმაურდა, მაგრამ მთავარი ექსპერტის, რედლის ქცევა, რომელიც იმ დროს მაიორი იყო, ძნელი ამოსახსნელი გახდა. მოულოდნელად მან ყოველგვარი ზომა მიიღო, რათა ვენჩკოვსკისა და ახტის დანაშაული შეემსუბუქებინა. ამან დააეჭვა ავსტრიელი იურისტი გაბერდიცი, რომელიც საბრალდებო მასალის მოგროვებაში მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ძალიან მეგობრულად იყო განწყობილი რედლის მიმართ, მან მოითხოვა შეეცვალათ მაიორი ვინმე სხვა ნაკლებ მიკერძოებული ექსპერტით. მაგრამ გაბერდიცის გადაკვრით ლაპარაკმა და ბრალდებამ რედლის უფროსების მხოლოდ სიცილი გამოიწვია. რედლმა კი მოულოდნელად ისევ შეიცვალა პოზიცია და პროკურორის ყველაზე უფრო გულმოდგინე მოადგილე გახდა. ყველა დამნაშავეს ხანგრძლივი ვადით კატორღაში მუშაობა მიუსაჯეს.

რედლის პოზიციების შეცვლა გამოწვეული იყო სერიოზული მიზეზებით. მეფის დაზვერვამ თვითონ სიამოვნებით მიაწოდა მას გეკაილოს საწინააღმდეგო მასალა და რედლს შესაძლებლობა მიეცა ჯიბეში ჩაედო ვითომ ამ საქმის გამოძიებისათვის დახარჯული 30 ათასი კრონი. მაგრამ მეფის მზვერავები ძალიან შეწუხებული იყვნენ ვენჩკოვსკისა და ახტის დაპატიმრებით და ულტიმატუმი წაუყენეს რედლს, ყველა ზომა მიიღე მათ გადასარჩენადო. მას უნდა ესინჯა — მაგრამ დარწმუნდა, რომ ხელი მოჰკიდა შეუსრულებელ ამოცანას. მაშინ რედლმა თავის პატრონებთან ახალი გარიგება დაიწყო. ისინი დათანხმდნენ ემსხვერპლათ ვენჩკოვსკი და ახტი. ამისათვის რედლმა გასცა ავსტრიელი მაიორი, რომელიც ვარშავის სამხედრო ოლქში სადაზვერვო მიზნით იყო გაგზავნილი. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ავსტრიის დაზვერვა არა მარტო იმაში მოტყუვდა, რომ შეეცადა რედლის თვითმკვლელობის მიზეზები დაეფარა. ჩხრეკის დროს მის ბინაში სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ურბანსკიმ და სამხედრო გამომძიებელმა ფორლიჩეკმა ყურადღება არ მიაქციეს ორ ფოტოაპარატს. ეს ფოტოაპარატები რედლის სხვა ქონებასთან ერთად აუქციონით გაიყიდა. რეალური სასწავლებლის მოწაფემ, რომელსაც ერთ-ერთი ფოტოაპარატი შეხვდა, გამოამჟღავნა შიგნით მოთავსებული ფირფიტები. ამ ფირფიტებზე გადაღებული იყო საიდუმლო სამხედრო საბუთები. მართალია, მასწავლებელმა გამოართვა ეს სურათები და სამხედრო ხელისუფლებას გადასცა, მაგრამ ინციდენტი უკვე ფართოდ გახმაურდა გაზეთებში, რამაც ურბანსკის სადაზვერვო კარიერა დაასამარა.

რედლის „საქმეში" ბევრი ბნელით მოცული ადგილი დარჩა. მაგალითად, გამოცდილი მზვერავის ძნელად ასახსნელი წინდაუხედაობა — ფულიანი კონვერტის დაგვიანებული მიღება (თითქოს ის გამოგზავნეს უდროო დროს), პოლკოვნიკისათვის თავის მოკვლის საშუალების მიცემა, სანამ ის დაწვრილებით ჩვენებებს მისცემდა (მას, რასაკვირველია, ვერ შეცვლიდა მის ბინაში ნახული, ვერავითარი ქაღალდები). ასეთი გაუგებარი კითხვების რიცხვი შეიძლება გაგვემრავლებინა. მოქმედებდა თუ არა რედლი მარტო, გავლენიანი თანამონაწილეების გარეშე? ალბათ, არქივები თავის საბოლოო სიტყვას კიდევ იტყვიან.

ბაკრეპა დაკრძალვის შემდეგ

გერმანიის სადაზვერვო ქსელის ორგანიზაციას ინგლისში ჰქონდა ერთი ნაკლი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა. ყველა გერმანელი აგენტი ბერლინს ერთი და იმავე „საფოსტო ყუთის“ საშუალებით უკავშირდებოდა.

გერმანიის ჯაშუშების დარბევა ინგლისში დაიწყო არა პირველი მსოფლიო ომით, არამედ... სიკვდილით. უფრო ზუსტად ინგლისის მეფის ედუარდ VII გასვენებით, რაც ომის დაწყებამდე ოთხი წლით ადრე მოხდა. მეფის დაკრძალვაზე მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ დელეგაციები, მათ შორის იყვნენ გვირგვინოსანი პირებიც. მათში, რასაკვირველია, გამოირჩეოდა გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II, რომელსაც თან ახლდა დიდებულთა ამალა. ერთმა გერმანელმა დიდებულმა მაშინვე მიიქცია „სკოტლანდ იარდის“ განსაკუთრებული ნაწილის ყურადღება. რომელიც კონტრდაზვერვას განაგებდა. ეს არისტოკრატი, ბარონი როსტოკი ცნობილი იყო როგორც გერმანიის ჯაშუშობის ერთ-ერთი ორგანიზატორი (როსტოკი უკვე წასწრებული იყო დანაშაულზე, როდესაც სამხედრო-საზღვაო ატაშედ მუშაობდა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ რესპუბლიკაში).

როსტოკზე შენიღბული, მაგრამ საგულდაგულოდ თვალთვალის შედეგად გამომჟღავნდა, რომ ის ინტერესს იჩენდა ვულიჯის არსენალისა და დედაქალაქის ყაზარმების მიმართ. ამას გარდა, ლონდონის ცენტრში გერმანელი მზვერავი თითქოს შემთხვევით შეხვდა და ელაპარაკა კაცს, რომელიც უკვე დიდი ხნით ადრე იყო ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი. საღამოს როსტოკი და მისი ნაცნობი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს კაფეში, რის შემდეგ პირველი ოტელში წავიდა. მაგრამ მისმა მეთვალყურე სამმა გამოცდილმა ინგლისელმა კონტრმზვერავმა გადაწყვიტა ყოველი შემთხვევისათვის შეემოწმებინა, ხომ არ გავიდოდა იგი მოგვიანებით სასტუმროდან. ინგლისელმა აგენტებმა სასტუმროს ყველა გამოსასვლელზე დააწესეს მეთვალყურეობა.

მოლოდინის საათები გაგრძელდა. დაახლოებით ღამის 12 საათზე გერმანელმა ფრთხილად გაიარა სასტუმროს უკანა კარი და იმავე წუთში ტაქსში ჩაჯდა. კონტრმზვერავებმა მალე იშოვეს სხვა ტაქსები, მაგრამ უკვე გვიან იყო: პირველი ტაქსის კვალი გაქრა. ინგლისის აგენტებს ბედნიერი შემთხვევა დაეხმარა: ერთ-ერთ ქუჩაზე შეიქმნა მანქანების ჭედვა, მათ შორის აღმოჩნდა ტაქსიც, რომელსაც გერმანელი მიჰყავდა. გერმანელი მანქანიდან გადმოვიდა და შევიდა პატარა საპარიკმახეროში, საიდანაც მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გამო-

ვიდა. სრულიად უდროო დროს გაპარსვა და გაკრეჭა ძვირად დაუჯდა გერმანიის სადაზვერვო სამსახურს. გერმანელმა მზვერავმა გაიარა კალენდონის ქუჩის გრძელი კვარტალი, ისევ ტაქსში ჩაჯდა და, როგორც მის უკან მომავალი სკოტლანდ-იარდის აგენტები დარწმუნდნენ, სასტუმროში დაბრუნდა.

შუაღამით არისტოკრატიული ოტელიდან შორს, პატარა ქუჩის საპარიკმახეროში გერმანიის კაიზერის წარჩინებული კარისკაცის მისელის მიზეზი აშკარა იყო და ეპვს აღარაფერი იწვევდა. მაგრამ გერმანელს უფლება მისცეს მეორე დღეს მშვიდობით დაბრუნებულიყო სამშობლოში. რასაკვირველია, ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ინგლისის მთავრობას არ სურდა მისი დაპატიმრება, ვინაიდან ეს უეჭველად დიდ საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა.

მაგრამ იყო სხვა მოსაზრებაც: აშკარა იყო, ბარონმა ინახულა ინგლისში გერმანიის ჯაშუშობის რომელიღაც ცენტრი, თუმცა წინასწარ არ შეიძლებოდა თქმა, რამდენად მნიშვნელოვანი კვანძი იყო პატარა საპარიკმახერო სადაზვერვო ქსელში, რომელიც ინგლისში შტიბერის მემკვიდრეებმა შექმნეს.

ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შემდეგ გამოირკვა ის როლი, რომელსაც ამ დაწესებულების პატრონი, ინგლისში ნატურალიზებული გერმანელი ასრულებდა. იგი ფორმალურად დაკავებული იყო საპარიკმახეროებისათვის იმპორტული მოწყობილობების მიწოდებით და მას ყოველ კვირას მოსდიოდა სამსახურებრივ კონვერტში ჩაწყობილი რამდენიმე ათეული წერილი უცხოეთის სხვადასხვა ფირმიდან. საპარიკმახეროს პატრონი ხსნიდა კონვერტებს, რომლებშიც ინგლისის სხვადასხვა რაიონში, განსაკუთრებით მთავარ ნავსადგურებში და სამხედრო ფლოტის დგომის ადგილებში გასაგზავნი კონვერტები იდო. ამ კონვერტებზე აწებებდა ინგლისის მარკებს და უშვებდა საფოსტო ყუთში. ასე ეგზავნებოდა ინსტრუქციები ინგლისში მყოფ ყველა გერმანელ აგენტს.

სკოტლანდ-იარდი საერთო სურათში გაერკვა და, რასაკვირველია, ხელი არ ახლო საპარიკმახეროს პატრონს. მაგრამ ყველა კორესპონდენციას, რომელიც მის სახელზე იგზავნებოდა, ფოტოასლს უღებდნენ. ასეთი გზით გაიგო ინგლისის კონტრდაზვერვამ ინგლისში მყოფი ყველა გერმანელი ჯაშუშის გვარი და საცხოვრებელი ადგილი. მაგრამ სკოტლანდ-იარდმა ახლაც შეიკავა თავი დაპატიმრებისაგან: განადგურებული სადაზვერვო ქსელის ადგილზე გერმანელები მშვიდობიან პირობებში ხომ ისევ შეძლებდნენ ახალი ქსელის გაბმას. ინგლისის კონტრდაზვერვამ კეთილგონივრულად გადაწყვიტა მოეცა-

და ომისათვის, რათა დიდი ხნის მეთოდურად მომზადებული დარტყმა მიეყენებინა.

ომის გამოცხადების შემდეგ ყველა გერმანელი ჯაშუში მაშინვე დააპატიმრეს (ამ დაპატიმრებულთა რიცხვი სხვადასხვა . მონაცემით ოციდან ორმოცდაათამდე მერყეობს). ბერლინმა გადამწყვეტ დღეებში სრულიად დაკარგა ინგლისის შეიარაღებულ ძალებზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების წყარო. უფრო მეტიც, ომის დროს გერმანიის დაზვერვამ მოახერხა ხელახლა შეექმნა ინგლისში ისეთი ჯაშუშური ქსელი, როგორიც ომის პირველ დღეებში ჰქონდა. მაგრამ გაუნადგურეს. ამას ძალზე სერიოზული შედეგები მოჰყვა. რასაკვირველია, გერმანიის დაზვერვა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ისევ შეეგზავნა თავისი აგენტები ინგლისში. იგი მიმართავდა როგორც გერმანელების, ასევე ნეიტრალური ქვეყნების მოქალაქეების სამსახურს. იშვიათად აღწევდა ბერლინი წარმატებას (ერთ ყველაზე შედეგიან გერმანიის მზვერავ ზილბერის თავგადასავალზე კიდევ გვექნება საუბარი), უფრო ხშირად კი გერმანელები მარცხს განიცდიდნენ.

ომის დასაწყისში ინგლისში გერმანიის დაზვერვის „დაბრმავების" უშუალო შედეგი ის იყო, რომ გერმანიის სარდლობამ ვერაფერი გაიგო საფრანგეთში ბრიტანეთის 90-ათასიანი საექსპედიციო კორპუსის გადასროლის შესახებ (ძირითადად ოთხ დღეში 10-დან 14 აგვისტომდე). თუმცა გერმანიის ზოგიერთი აგენტი მაინც დარჩა გამოუცნობი. ისინი ცდილობდნენ ეცნობებინათ ბერლინისათვის ბრიტანეთის დივიზიების ჩრდილოეთ საფრანგეთისა და ბელგიის ფრონტებზე გადასროლის ამბავი.

ომის პირველ დღეებში საფრანგეთის სამხედრო ცენტრამ მეორე ბიუროს ყურადღება მიაქცია დეპეშებს, რომელთაც დღეში რამდენჯერმე უგზავნიდა ლონდონის სტრუკერის ფირმა თავის პარტნიორებს პარიზში. დეპეშებში იტყობინებოდნენ ტექნიკურ ცნობებს ნახშირისა და ბამბის რაოდენობაზე, რომლებსაც საფრანგეთის ჩრდილოეთ ნავსადგურებში კარდიფიდან და მანჩესტერიდან ღებულობდნენ. საფრანგეთის კონტრდაზვერვის უფროსმა კაპიტანმა ლადუმ დახმარებისათვის მიმართა თავის ნაცნობს, რომელსაც საფრანგეთში სხვადასხვაგვარი იმპორტული საქონელი შეჰქონდა. მან განაცხადა, რომ დეპეშები სრულიად სარწმუნოდ გამოიყურებიან. ფრთხილად გაეცნენ სტრუკერის ფირმის ცნობებს. ფირმა დაარსებული იყო 1914 წლის მარტში, მაგრამ მათი სამი წარმომადგენლის ყოფაქცევაში, რომელთაგან ერთი ჰოლანდიელი იყო, ვერაფერი ნახეს საეჭვო.

11 აგვისტოს ლადუ ერთ თავის მეგობარს, კაპიტან ძლერს ესაუბრებოდა. ლაპარაკი ბუნებრივია, გერმანიის მასირებულ შეტევას ეხებოდა. ლადუმ ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის არმიას მარტო მოუხდება მტრის შეტევის მოგერიება, ვინაიდან ძნელია იმედის დამყარება ინგლისის მაშველ ჯარზე, რომელიც ოქტომბრამდე ვერ მოვიდოდა. უკეთესად ინფორმირებულმა ილერმა შენიშნა, რომ ინგლისელები ჩქარა მოახერხებენ ბრძოლის ველზე 100 ათასი კაცის გადმოსროლას და არომ ეხლა უკვე საფრანგეთში გადმოსხმულია 15 ათასი ჯარისკაცი.

ილერმა უჩვენა მეგობარს დოკუმენტი, სადაც ყოველდღიურად იყო აღნიშნული საფრანგეთისა და ბელგიის ნავსადგურებში გადმოსხმული ინგლისის ნაწილების რაოდენობა. ეს რიცხვები ლადუსათვის ცნობილი იყო — ისინი, რასაკვირველია, შეესაბამებოდა იმ ციფრებს, რომლებიც აღნიშნული იყო ამავე სახელწოდების პარიზის ფირმისადმი გაგზავნილ ლონდონის სტრუკერის დეპეშებში, რაზედაც უკვე რამდენიმე დღეა თავს იტეხდნენ ლადუ და მისი თანამშრომლები.

მაგრამ ლონდონისათვის ყოველივე ამის შეტყობინება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. საფრანგეთის ბიუროკრატიული მანქანის ყველა რგოლი რომ გაეცლოთ ცნობების გადაცემის ვიზის მისაღებად, საჭირო იყო დრო. ლადუმ ჯერ ოფიციალური გზით დაიწყო მოქმედება, მაგრამ მისი ცნობები არ მივიდა დანიშნულების ადგილამდე და სადღაც არქივებში ჩარჩა. საჭირო გახდა კერძო წყაროებისათვის მიმართვა. ლადუს მიერ რეკომენდებული ერთი ამერიკელი საჭირო ცნობებით ინგლისს გაემგზავრა.

სტრუკერისაგან ლონდონში დეპეშების გაგზავნა 25 აგვისტოს უცბად შეწყდა. კონტრდაზვერვა საფრანგეთის „ფირმის“ მეთვალყურეობას განაგრძობდა. სანამ დაპატიმრების ორდერების მიღებაზე ფორმალობა სრულდებოდა, სტრუკერის პარიზის განყოფილების სამივე მსახურმა გაპარვა მოასწრო. შემდეგში დადგინდა, რომ ესენი იყვნენ გერმანელი ოფიცრები, მაგრამ ისინი 1914 წლის 14 აგვისტოდან ნამდვილ დეპეშას კი აღარ ღებულობდნენ ლონდონიდან, არამედ მეორე ბიუროს მიერ შედგენილ „დეპეშებს“. დეპეშებში იტყობინებოდნენ ბრიტანეთის სუსტი კონტინგენტის გაგზავნის შესახებ. ამიტომ, როდესაც გერმანიის პირველი არმია, რომელიც გენერალ ფონ კლუკის მეთაურობით პარიზს უტევდა, ინგლისის საექსპედიციო კორპუსს შეხვდა და ბრძოლაში ჩაება, ეს გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ინგლისის მცირე არმიის მოულოდ-

ნელმა გამოჩენამ გავლენა მოახდინა სამხედრო მოქმედების მსვლელობაზე. მაგრამ მარნაზე საფრანგეთის გამარჯვებას ხელი შეუწყო რუსეთის შეტევის მოსაგერიებლად გერმანიის მნიშვნელოვანი ძალების გადასროლამ დასავლეთიდან აღმოსავლეთის ფრონტზე.

გერმანელებმა წინასწარ მიიღეს ზომები რუსეთის არმიაზე დაწვრილებითი ცნობების ხელში ჩასაგდებად. გერმანიისა და ნაწილობრივ ავსტრიის ჯაშუშობის განვითარებას მეფის რუსეთში ხელს უწყობდა რამდენადმე ხელსაყრელი პირობები: ჯერ ერთი — რუსეთის ეკონომიკის ჩამორჩენილობა და გერმანიის კაპიტალის შეჭრა ეკონომიკაში (გერმანიის ბევრი ფირმა კი, რომლებმაც მაგარი ფესვები გაიდგეს რუსეთში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაზვერვის ფილიალებს წარმოადგენდა). მეორე — ცარიზმის სახელმწიფო აპარატის გახრწნა, მისი გამყიდველობა, მთავარ როლებში ყველაზე გახრწნილი და თავზეხელაღებული ადამიანების დაწინაურება, რომლებიც რევოლუციური მოძრაობისადმი სისხლიანი ანგარიშის გასწორების ხარჯზე კარიერას აკეთებდნენ. ისინი სახელმწიფოს სახრჩობელებით, კაზაკების მათრახებითა და შავრაზმელთა მიერ მოწყობილი დარბევებით „ამშვიდებდნენ“. მესამე — ძლიერი გერმანოფილური მიმდინარეობა სასახლის კარზე. გერმანოფილები თავს იყრიდნენ გერმანელი დედოფლის ირგვლივ, რომელსაც შეეძლო თავის ჭკუაზე ეტარებინა მრისხანე და უჭკუო დესპოტი, სრულიად რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II. მეოთხე — ეროვნებით გერმანელი თავადაზნაურების მოძალეობა რუსეთის საზღვრისპირა ბალტიისპირეთის გუბერნიებში, ის გავლენა, რომელიც ჰქონდათ პეტერბურგის ბიუროკრატიულ და სასახლის კარის წრეებზე ტახტის ერთგულ ბურჯებად აღიარებულ ამ „ლიფლანდიის“, „კურლანდიისა“ და „ესტლანდიის“ ბარონებს. მეხუთე — მრავალრიცხოვანი გერმანელი ახალმოსახლეობის არსებობა, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, რომელთა შორის თითქმის კოლონიზაციის დროს იქმნებოდა ჯაშუშური ბუდეები (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი). კოლონისტების ნაწილი ომამდე სამხედრო სამსახურსაც კი გადიოდა გერმანიის არმიაში. იმ კანონის გვერდის ასავლელად, რომელიც უკრძალავდა უცხოელებს საზღვრისპირა ხაზზე მიწების შეძენას, ბევრ გერმანელს ორმაგი ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული (გერმანული და რუსული).

მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში მეფის რუსეთში მოქმედებდა ათზე მეტი მსხვილი ორგანიზაცია, რომლებიც გერმანიისა და ავსტრიის დაზვერვის მიერ იყო შექმნილი. მათ შეძლეს გაეგოთ მსოფლიო ომისათვის მეფის რუსეთის არმიის მომზადების მთლიანი

გეგმა. ჯაშუშური ქსელის ორგანიზაციაში გერმანელები იმავე ჯგუფურ მეთოდებს იყენებდნენ, რომლებმაც ომის დასაწყისში ინგლისში მათი აგენტურის ჩავარდნა განსაზღვრა. რუსეთის კონტრდაზვერვას ჰქონდა ცნობები გერმანიის ჯაშუშური ჯგუფების უმრავლესობაზე, მაგრამ ის ფაქტორები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მაინც დაეხმარა გერმანიის აგენტურას დარტყმა აეცილებინა.

ურიცხვი მსხვერპლის ფასად, უდიდესი ტერიტორიის დაკარგვით აანაზღაურა რუსეთის ჯარმა მაღალი წრის ჯაშუშების ფაქტიურად დაუბრკოლებელი მოღვაწეობა.

გარდა არმიის შუაგულში — სამხედრო სამინისტროში — შექმნილი ჯაშუშური ცენტრის, სამინისტროსი, რომელსაც გენერალი სუხომლინოვი მეთაურობდა, გერმანიის დაზვერვამ რუსეთის ფრონტის ზურგში თავისი მზვერავების მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოგზავნა. ჯაშუშობასთან ერთად დიდი როლი შეასრულა ავსტრიელებისა და გერმანელების მიერ რუსეთის სამხედრო კოდის გაშიფვრამ, რამაც საშუალება მისცა ომის მსვლელობის მნიშვნელოვან შანძილზე თავისუფლად წაეკითხათ რადიოთი გადაცემული მეფის შტაბების მოხსენებები და ბრძანებები. ესეც მიზეზი იყო იმ გაუმართლებელი, მძიმე, ნამდვილად სისხლიანი დანაკარგისა, რომელიც რუსეთის არმიამ განიცადა.

მტრედების მობილიზაცია

ომი იმპერიალისტური იყო, მაგრამ მასებზე ზეგავლენისათვის მმართველი კლასები თავის ნამდვილ მიზნებს მალავდნენ და „მამულის დაცვაზე“ გაჰყვიროდნენ. ანტანტის იმპერიალისტები ირწმუნებოდნენ, რომ აწარმოებენ „ომს, რომელიც ბოლოს მოუღებს ომებს“, ამტკიცებდნენ, რომ ევროპული კულტურა უნდათ გადაარჩინონ გერმანელი მილიტარისტებისაგან. გერმანიის იმპერიალისტები კი თავის მხრივ გაიძახოდნენ, თითქოს ევროპის „თავისუფლებას“ იცავენ ცარიზმისაგან, იბრძვიან იმისათვის, რომ ევროპელები არ გადაიქცნენ ინგლისის კოლონიურ ყმებად. ბურჟუაზია თავისი რეაქციული მიზნისათვის წარსული დროის ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიას აღვივებდა. მაგალითად, ფრანგი იმპერიალისტები დაბეჯითებით იღვწოდნენ ელზასისა და ლოტარინგიის „განთავისუფლებისათვის“, იტალიის ბურჟუაზია — ავსტრიაში იტალიელების უმცირესობის განთავისუფლებისათვის, რითაც ამართლებდნენ თავის მონაწილეობას

ომში, რომელიც ეროვნული ჩაგვრის გასაძლიერებლად, ახალი ქვეყნების და ხალხების დასამონებლად წარმოებდა.

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ომის მსვლელობაში მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორია დაიპყრეს. ანტანტის იმპერიალისტები, რომლებიც თვითონ ჩაგრავდნენ და ძარცვავდნენ კოლონიებში ასობით მილიონ ადამიანს, ცდილობდნენ თავი მოეჩვენებინათ იმ ხალხების განმათავისუფლებლად, რომელთა სამშობლო ოკუპირებული იყო გერმანიის მიერ. იმპერიალისტურმა დაზვერვამ თავისი დამახასიათებელი ცინიზმით ფართოდ გამოიყენა ეს ვითარება და ბევრი ხალხი ასეთი გაწაფული პროპაგანდის მსხვერპლი გახდა. ანტანტის საიდუმლო სამსახურის წარმატება ხშირად გადამწყვეტ მომენტში დამოკიდებული იყო იმაზე, რომ იგი ახერხებდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა პატარა ქვეყნების ხალხთა სიძულვილი გერმანელი ოკუპანტებისადმი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში უდიდესი რესურსები გადაეცა დაზვერვას — ტექნიკური სიახლიდან მოდარაჯე ძაღლებამდე. სადაზვერვო მუშაობისათვის მობილიზებულ იქნა უნივერსიტეტების მათემატიკური კათედრები და საფოსტო მტრედების ლეგიონები.

ომმა არნახულად გაზარდა შეიარაღებული ძალები. უკვე არა ათი და ასი ათასობით, არამედ მილიონობით და ათეული მილიონობით ჯარისკაცი ებრძოდა ერთმანეთს ანტანტისა და გერმანიის არმიებში. მის მოკავშირეებთან ერთად. კიდევ უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა საიდუმლო ომში ჩაბმული არმიის რიცხვი. მთავარი შეიარაღება სახელმწიფოების დაზვერვა ათჯერ და ასჯერ გაიზარდა. ანტანტას, ზოგიერთი (თუმცა გადაჭარბებული) ცნობით, მარტო ჰოლანდიაში 500-ზე მეტი სადაზვერვო ბიურო ჰქონდა. ბელგიაში 2 ათასზე მეტი ინგლისელი აგენტი მოქმედებდა. არ არსებობდა ერთიანი ცენტრი, რომელსაც შეეძლო ანგარიშის მოცემა თითოეული მეომარი ბლოკის სამსახურში მყოფი აგენტების რაოდენობაზე. გერმანელებს ერთ დროს სჯეროდათ, რომ სადღაც არის რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ანტანტის ყველა ჯაშუშის მოქმედების ადგილები. გერმანიის დაზვერვამ სცადა კიდეც ერთი ინგლისელის მეშვეობით ეშოვა ეს არარსებული რუკა. საერთოდ, დაზვერვათა შორის ძალთა შეღარდება შეესაბამებოდა მტრულად განწყობილი კოალიციის ძალების საერთო შეფარდებას. ომის დასასრულს, როდესაც გერმანიის დამარცხება გარდუვალი გახდა, შესამჩნევად გამოვლინდა ანტანტის მთავარი სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურის უპირატესობა.

ამა თუ იმ დაზვერვის გაფართოების შედეგად მისი ცალკეული

პატარა უჯრედები გადაიქცა განშტოებულ ჯაშუშურ ორგანიზაციებად. რომლებიც ათასობით ქალაქში, სოფლებში და რკინიგზის სადგურებში ქმნიდნენ აგენტურებს. თავისი სტრუქტურით ეს ორგანიზაციები, თუკი საქმე სამხედრო და საზღვაო დაზვერვას არ ეხებოდა, ხშირად ერთიმეორეს ჰგავდა. მცირე უჯრედის სათავეში იდგა რეზიდენტი (იგივე „საფოსტო ყუთი"). ჩვეულებრივ რომელიმე ქვეყნის, იშვიათად კი ნეიტრალური სახელმწიფოს მცხოვრებთან, ამ ყოველნაირად გასაიდუმლოებულ პირთან თავს იყრიდა ინფორმაცია, რომელსაც იგი ამა თუ იმ გზით გადასცემდა განსაკუთრებულ შიკრიკებს — მიღებული „ნადავლის" შემკრებთ. ხშირად თვით რეზიდენტებს ავალებდნენ აგენტების დაქირავებას. იგი დაინტერესებული იყო საგულდაგულოდ გაესინჯათ თითოეული აგენტი. აგენტები ხომ ერთმანეთს არ იცნობდნენ, მათთვის ცნობილი იყო მხოლოდ რეზიდენტი, რომელსაც ყოველი აგენტის დაკავების შემდეგ დაპატიმრების საშიშროება ელოდა. თითოეულ აგენტს ჰქონდა თავისი ნომერი ან ზედმეტი სახელი, რომელსაც მოწინააღმდეგისათვის გზაკვალის აბნევის მიზნით ხშირად იცვლიდა.

ხოგჯერ ასეთი ორგანიზაცია ორ ან სამსაფეხურიანი იყო. მთავარი რეზიდენტი დაკავშირებული იყო რამდენიმე მზვერავთან, ისინი კი თავის მხრივ რეზიდენტებად და „საფოსტო ყუთებად" მუშაობდნენ მეორე საფეხურის აგენტისათვის და ასე შემდეგ. მზვერავების საკმაო რაოდენობა დამოუკიდებლად მუშაობდა. ისინი ინფორმაციას გადასცემდნენ მათთან სპეციალურად გამოგზავნილ ჩამომელელ აგენტს, ანდა, თუკი მათ თავისი ოფიციალური პროფესიით ამის გაკეთება შეეძლოთ, თვითონ აწვდიდნენ ცნობებს „შემკვეთს" ჩვეულებრივად სადმე ნეიტრალურ ქვეყანაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით გაფართოვდა საკითხების წრე, რომელზედაც დაზვერვას უნდოდა ინფორმაციის მიღება. წმინდა სამხედრო საკითხებს დაემატა უდიდესი რაოდენობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ტექნიკური და სხვა პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომში წარმატებისათვის. მათ რიცხვს შეიძლება მიკუთვნებოდა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სხვადასხვა უწყების ურთიერთდამოკიდებულება და რკინიგზის სავაგონო პარკის მწყობრიდან გამოსული ნაწილების შეცვლის ტემპები, საზღვაო კოდი და სასურსათო წიგნაკებზე პროდუქტების გაცემის ნორმა, ახალი სახის ჭურვების შექმნის გეგმა და ხშირად სამხედრო მოქმედებათა თეატრიდან ძალზე დაშორებული ადგილის მცხოვრებთა განწყობი-

ლება. ზოგჯერ მრავალი ცნობა, რომლებსაც ჯაშუშები შოულობდნენ, საჭირო იყო მხოლოდ როგორც „მასალა“ სხვა მზვერავების მუშაობისათვის (ცნობა ამა თუ იმ ქარხანაზე იმისათვის, რომ სხვა ახალმა აგენტმა შეძლოს თავი გაასაღოს ამ ქარხნის გამოცდილ ოსტატად, სამხედრო პოლიციის ახალი ინსტრუქციები ხაფანგის თავიდან ასაცილებლად, რომელშიც შეიძლება მოხვდნენ ამ ინსტრუქციის უცოდინარი ჯაშუშები და ა. შ.).

დასაზვერი ობიექტების უკიდურესმა მრავალფეროვნებამ გაზარდა ნიღბების რაოდენობა, რომლითაც მზვერავებს უნდა ემოქმედათ. ჯაშუშს შეეძლო ყოველი პროფესიისა და ეროვნების ადამიანის ნიღაბს ამოფარებოდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. აგენტი შეიძლებოდა ყოფილიყო დარდიმანდი არისტოკრატი და მოხუცებული მათხოვარი, ფართოდ ცნობილი მსახიობი ქალი და ქარხნის ბუღალტერი. ადგილობრივი ექიმი ან გზად გამვლელი კომივოიაჟორი.

აგენტებს შორის ბევრი იყო დამპალი საქონლით ვაჭრობის მოყვარული, რომელიც იმედოვნებდა, რომ უფრო აღრე გადაუხდიდნენ ფულს, ვიდრე შემოწმებას მოახერხებდნენ. ბევრი იყო ორმხრივი ჯაშუში, რომელიც მასალას ორივე მეომარ მხარეს აწოდებდა. ზოგჯერ ორმხრივები იყვნენ ცრუ ორმხრივები, ე. ი. ერთ-ერთი დაზვერვის აგენტები, რომლებიც ყალბ ცნობებს აწვდიდნენ მოწინააღმდეგის დაზვერვას. ხშირად ეს უკანასკნელი ხვდებოდა, . რომ მას ატყუებენ და განაგრძობდა ყალბი ცნობების მიღებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაეგო, რაში ცდილობდა მტერი მის დარწმუნებას. ზოგიერთი ორმხრივი ჯაშუში „პატიოსნად“ ემსახურებოდა ორივე მხარეს. სხვები მიისწრაფოდნენ ყალბი ცნობები მიესაღებინათ ორივე მხარისათვის, ამავე დროს, თუკი საქმე ეხებოდა მხოლოდ ერთ-ერთ „მხარეს“, ანტანტას. მაშინ თავისი ცნობები ერთდროულად მიეწოდებინათ რამდენიმე დაზვერვისათვის (მაგალითად, ფრანგების, ინგლისელებისა და ამერიკელებისათვის). ნეიტრალურ ქვეყნებში თავისებური ჯაშუშური „ბირჟაც“ კი არსებობდა. საფრანგეთის აგენტი იმის მაგივრად, რომ მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის რისკზე წასულიყო, უბრალოდ იყენებდა იმ ცნობებს, რომლებიც მან საფრანგეთის შესახებ იცოდა. ამ ცნობებს იგი გადასცემდა გერმანიის ჯაშუშს, სამაგიეროდ ღებულობდა ინფორმაციას გერმანიაზე.

ბურჟუაზიული დაზვერვის სამსახურში ხალხს იზიდავდა სხვადასხვა მოტივი, ზოგჯერ ნაციონალისტური გრძნობა და ზიზღი ოკუპანტებისადმი, კარიერის სურვილი, ავანტიურიზმისადმი მიდრეკი-

ლება, უფრო ხშირად კი — ფული, იმედი, რომ ამ სამსახურით სიმდიდრეს შეიძენდნენ. ჯაშუშობას ხომ მომგებიან ხელობად თვლიდნენ.

რასაკვირველია, დაზვერვას ხშირად უხდებოდა საეჭვო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციების გულმოდგინედ გადასინჯვა. უპირველეს ყოვლისა, ეს ხდებოდა ყველა არსებული და მსგავსი საკითხის სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ცნობებთან დაპირისპირების გზით (სახმელეთო ჯარების, საჰაერო და საზღვაო დაზვერვა, დიპლომატიური წყაროები, დეზერტირებისა და ტყვეების დაკითხვა, გადათვალიერება მასალებისა, რომლებიც მტრის მოკლულ ჯარისკაცებს უპოვეს, მასალა, შეგროვილი საფოსტო ცენზურის მიერ, მოწინააღმდეგე ქვეყნის პერიოდული პრესის შესწავლა — განსაკუთრებით პროვინციულის, ტელეფონით ლაპარაკისათვის ყურის დაგდება, რადიოგადაცემების დაჭერა და გაშიფვრა და მრავალი სხვ.). ამავე დროს ხშირად შედარებით უმნიშვნელო ცნობაც კი მნიშვნელოვანი ხდებოდა.

შემოწმება ხშირად იმით რთულდებოდა, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ აგენტის ხელიდან გამოსული ყალბი ცნობა (ან თავისი პირადი განზრახვით ან იმიტომ, რომ იგი მოტყუებული იყო მოწინააღმდეგის მიერ), განსაკუთრებული საკითხის გამო შედიოდა დეზინფორმაციის საერთო სისტემაში, რომელიც მოწინააღმდეგის დაზვერვის მიერ იყო დამუშავებული: მაგალითად, ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ცრუ შეტევის მომზადების მთელი სერია, როდესაც სინამდვილეში შეტევა დაგეგმილი იყო სულ სხვა უბანზე. გერმანელებმა დასავლეთის ფრონტზე შენიღბვის მიზნით მრავალჯერ გამოიყენეს ცარიელი სამხედრო ეშელონებისა და სატვირთო შემადგენლობათა გადაყვანა თითქოსდა მომავალი შეტევის ადგილზე. გერმანიის სარდლობა ფიქრობდა, რომ ანტანტის ჯაშუშები, რომლებიც რკინიგზაზე მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ, აუცილებლად შეამჩნევდნენ სამხედრო ეშელონების გაძლიერებულ მოძრაობას და დაითვლიდნენ კიდეც გადაყვანილი ჯარის რაოდენობას (უბრალო გაანგარიშებით: ერთი სამხედრო ეშელონი — ერთი ბატალიონი). ისინი ვარაუდობდნენ, რომ მტრის მზვერავები ვერ მოიფიქრებდნენ, ეშელონები ცარიელიაო. ზოგჯერ ეს მანევრი მართლდებოდა, ზოგჯერ კი მაშინვე ხვდებოდნენ.

ზოგჯერ დეზინფორმაცია იმდენად მოხერხებულად იყო მოფიქრებული, რომ შეცდომაში შეჰყავდა არა მარტო მოწინააღმდეგე, არამედ... საკუთარი სარდლობაც. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ თითქმის

ყველა ქვეყანას ჰყავდა ერთმანეთის მეტოქე რამდენიმე სადაზვერვო ორგანო.

მნიშვნელოვნად სხვადასხვანაირი გახდა დაკავშირების სახეები, რომელსაც ჯაშუშები იყენებდნენ: დაშიფრული წერილები და საბავშვო საპაერო ბურთები; ფრონტისპირეთის ქარის წისქვილი, რომლის ფრთების მოძრაობა თავისებურ კოდს წარმოადგენდა; ცნობების მიწოდება თვითმფრინავით (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სამხედრო ტექნიკის სიახლე იყო); განსაკუთრებულად მოხნული მინდვრის ნაკვეთები; ყუმბარა, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერების მაგივრად ცნობები იდო; ნეიტრალური ქვეყნის გაზეთებში თითქოსდა უბრალოდ გამოქვეყნებული განცხადებები და ათასი სხვა ანალოგიური საშუალება, რომლებიც ერთიმეორეს არ ჰგავდნენ. რაც უფრო ახალი, ორიგინალური იყო ეს საშუალება, მით უფრო ნაკლები იყო მისი აღმოჩენის შანსები. ინგლისში მყოფ გერმანიის აგენტებს ახალ სიმპათიკურ მელანს აწოდებდნენ ამისათვის სპეციალურად დაქირავებული შიკრიკები — ნეიტრალური ქვეყნის მცხოვრებლები, რომლებსაც ჩემოდნით ჩამოჰქონდათ ამ სითხით გაჟღენთილი ჩვეულებრივი ტანისამოსი. ცნობებს იღებდნენ მიკროსკოპულ ფირზე, რომელიც ღია ბარათზე დაწებებული საფოსტო მარკის მეორე მხარეს იყო ჩადებული და ისე გზავნიდნენ.

გამოყენება ჰპოვა რადიომაც. ეს იყო მეორე ტექნიკური სიახლე. ამუშავდა საიდუმლო რადიოგადაცემები. კონტრდაზვერვის მუშაკებმა ამ გადაცემების აღმოსაჩენად შექმნეს რადიოპელენგაციის სადგურების მთლიანი ქსელი. ომის დროს განსაკუთრებით გაითქვა სახელი ჰოლანდიის სამფლობელოებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ბელგიის პატარა მიწის ნაკვეთზე ბარ-ლე-დიუკში ინგლისელების მიერ აშენებულმა რადიოსადგურმა. გერმანელებს ისე არ შეეძლოთ მისი დაპყრობა, რომ არ დაერღვიათ ჰოლანდიის ნეიტრალიტეტი. მაგრამ შეშფოთებულებმა იმ რადიოსადგურის მიერ ეთერში გადაცემული დაშიფრული ინფორმაციების ნაკადით, რადიოსადგურისა, რომლის დანახვა გერმანელების მიერ ოკუპირებული ბელგიის ტერიტორიიდან შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა, მათ შეძლეს მოწინააღმდეგისათვის დარტყმის მიყენება. გერმანელების მოთხოვნით ჰოლანდიის ხელისუფლებამ აკრძალა ბარ-ლე-დიუკში ბენზინის შემოზიდვა, რითაც რადიოსადგური მუშაობდა. მაშინ ბენზინის შემოზიდვა დაიწყეს კონტრაბანდულად. ჰოლანდიელმა და ბელგიელმა ქალებმა ხელი მიჰყვეს საწვავის შემოტანას ბიდონებით, რომლებსაც ქვედა კაბის ქვეშ მალავდნენ. მაგრამ ამას გერმანელების მხრივ ახალი

დარტყმა მოჰყვა. მათ მოისყიდეს რადიოსადგურის რამდენიმე მუშაკი, რომლებიც ყალბი ცნობების გადაცემას შეუდგნენ. მალე მათ გადაცემებს აღარ უჯერებდნენ.

რადიოგადაცემის დახმარებით მოკავშირეები, რომლებმაც გერმანელების კოდები გაიგეს, ბრძანებებს გადასცემდენ გერმანიის წყალქვეშა ნავებს, ეკიპაჟებმა არ იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგის ბრძანებით მოქმედებდნენ და ნაღდი დაღუპვისაკენ მიდიოდნენ. ამავე დროს რადიოგადალაპარაკება სავაჭრო გემებს შორის, სადაც ინგლისის საბაზო გემებიდან გადაყვანილი იყვნენ რადისტები, გერმანელებს, რომლებიც ეთერში ამ ლაპარაკს იჭერდნენ, ბრიტანეთის ესკადრის ადგილმდებარეობაზე ყალბ წარმოდგენას უქმნიდა.

სადაზვერვო სამსახურის მეტისმეტად გაზრდამ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კონტრდაზვერვის არანაკლები ზრდა გამოიწვია. მთელი საფოსტო და სატელეგრაფო კორესპონდენცია, განსაკუთრებით ის, რომელიც საზღვარგარეთ მიდიოდა, გულმოდგინედ ისინჯებოდა სამხედრო ცენზურის მიერ. მაგალითად, ლონდონში ისინჯებოდა წერილები 60 ენაზე. ცენზორებს მოუხდათ დაშიფრული ცნობების ამოხსნა 31 ენაზე. დაიწყეს ეჭვმიტანილი წერილებისა და გაზეთების ქიმიური დამუშავება, რათა გაეგოთ, ხომ არ შეიცავდნენ ისინი საიდუმლო დამწერლობას. ექსპერტები ეცნობოდნენ საეჭვო წერილებს სხვა მხრივაც — ხომ არ იყო ნამდვილად უწყინარი ტექსტი შიფრი, რაშიც, შესაძლებელია, ჯაშუშის მოხსენება იმალებოდა. მკაცრი კონტროლი დაწესდა ნეიტრალური ქვეყნების საზღვრებთან. ფრონტისპირა ზოლი დაყოფილი იყო პატარ-პატარა უბნებად. ყოველ უბანს თვალყურს ადევნებდა კონტრდაზვერვის ოფიცრების სპეციალური ჯგუფი. იქ, სადაც შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ სამოქალაქო მოსახლეობის ლოიალობას, ამ წრიდან აგროვებდნენ ხალხს, რომელსაც კონტრდაზვერვისათვის უნდა გადაეცა ცნობები ყველა საეჭვო ან უცხო პირზე. იმ რაიონებში, სადაც სამხედრო ხელისუფლებს არ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ ადგილობრივ მცხოვრებთა თანამშრომლობისა — განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე,— აწესებდნენ მიმოსვლის ძლიერ შეზღუდვას. ოკუპირებული ბელგიის მცხოვრებლებს მოკლე დროითაც რომ დაეტოვებინათ თავისი საცხოვრებელი ადგილი, პოლიციაში სპეციალური საშვი უნდა მიეღოთ. იმისათვის, რომ გაეძნელებინათ ყალბი საშვების დამზადება მათი ნიმუშები ხშირად იცვლებოდა.

პოლიციური მეთვალყურეობის უზარმაზარი სისტემა იყო შექმნილი ყველა მეომარ ქვეყანაში.

დაზვერვა ცდილობდა თავისი ხალხი შეეგზავნა მტრის კონტრდაზვერვის ორგანოებში და შედარებით იშვიათად აღწევდა მიზანს.

ჯაშუშობას, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ავსებდა საარმიო დაზვერვა (ტრანშეებიდან მეთვალყურეობით მიღებული მონაცემები, ბრძოლით დაზვერვა, პატრულების გაგზავნა, საარტილერიო მეთვალყურეობა, საჰაერო დაზვერვა, ტყვეების დაკითხვა, დეზერტირების, ადგილობრივი მცხოვრებლების, მოწინააღმდეგის ფოსტის ხელში ჩაგდება და ა. შ.). არაფერს ვამბობთ დიპლომატიურ და სხვა წყაროებიდან მომდინარე იმ მასალებსა და ცნობებზე, რომლებსაც ცენზურა იღებდა. დაზვერვაში მუშაობდნენ პრესის, ცენზურის, საიდუმლო კავშირის სპეციალისტები, მთარგმნელები, შიფრის ამომკითხველები, ქიმიკოსები, სხვადასხვა საკითხის ექსპერტები.

ცნობების გადასაცემად ანტანტის დაზვერვა ყოველთვის იყენებდა საფოსტო მტრედებს. 1914 წლამდე ბელგია ცნობილი იყო საფოსტო მტრედებით. უკან დახევის წინ ბელგიის კონტრდაზვერვამ ბრძანა მოესპოთ 30 ათასზე მეტი ძვირფასი ჯიშის მტრედი, რომ ისინი გერმანელებს არ დარჩენოდათ. მტრედები აღმოჩნდნენ არა მარტო სწრაფი, არამედ განსაკუთრებულ დავალებათა იმედიანი შემსრულებლებიც. იყო შემთხვევები, როდესაც მტრის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი ფრთოსანი შიკრიკები საათობით მიფორთხავდნენ მიწაზე და მაინც ასწრებდნენ თავის მშობლიურ სამტრედეში შესვლას. ხშირად, როდესაც წყალქვეშა ნავების მიერ ტორპედირებული სამხედრო გემები ავარიას განიცდიდნენ, მტრედებით აგზავნიდნენ უბედურების ცნობებს და თავის დროზე ღებულობდნენ დახმარებას. გერმანელებით გარშემორტყმულმა ფორტ ვოს მეთაურმა მასთან მყოფი უკანასკნელი მტრედის საშუალებით გაგზავნა ცნობა, სადაც დახმარებას ითხოვდა. ხშირად მზვერავები, რომლებიც მტრის ზურგში გადიოდნენ ან პარაშუტით ხტებოდნენ, პირველ ყოვლისა, ეძებდნენ საიმედო თავშესაფარს თავისი მტრედებისათვის. ფრთოსანი თანაშემწეების გალიას აბამდნენ სადმე განშტოებული ხის წვერზე. ამ შემთხვევაში ღამით შეუმჩნეველად უხდებოდათ ხეზე ასვლა და მტრედებისათვის საკვების მიტანა. ომის დასასრულს მარტო ინგლისელებს „შტატში“ ჰყავდათ 6 ათასი მტრედი. საფრანგეთში ძეგლიც კი დაუდგეს გმირ საფოსტო მტრედებს და მრავალი მათგანი ორდენებით დააჯილდოვეს!

ვინაიდან მტრედებს უთვალთვალებდნენ, ცდილობდნენ ისინი სხვა ფრინველების სახით შეენიღბათ. ინგლისელებმა დასავლეთ

ფრონტზე ესროლეს და ჩამოაგდეს თუთიყუშის მსგავსად შეღებილი მტრედი.

ცნობების გადასაცემად ფართოდ იყენებდნენ სამსახურებრივ ძაღლებსაც. გერმანულმა ნაგაზმა „ფრიცმა", რომელმაც არაერთხელ გადაიტანა ჯაშუშური ცნობები ფრონტის ხაზზე, მრავალი უსიამოვნება მიაყენა მოკავშირეთა დაზვერვას. „ფრიცი" ცოცხლად უნდა დაეჭირათ. წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ ძუკნა ძაღლის „როზის" დახმარებით, რომელიც გზაში შეახვედრეს ოთხფეხა ფოსტალიონს.

ჯაშუშების შესაგზავნად დაიწყეს წყალქვეშა ნავებისა (განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაში) და თვითმფრინავების ფართოდ გამოყენება.

იმ საშუალებათა არსენალი, რომელთა დახმარებით ცნობებს ღებულობდნენ, ყოველწლიურად ფართოვდებოდა. ასობით ხერხი ამოხსნეს კონტრმზვერავებმა, მაგრამ მათ მაგივრად სულ ახლებს იგონებდნენ. ერთი გერმანელი მზვერავი მუცელს უჭრიდა ცოცხალ თევზს, შიგ წერილს დებდა და მდინარეში უშვებდა. თევზს იჭერდნენ გერმანელების პოზიციების ახლოს. საფრანგეთის ქალაქ ბელფორში მყოფი მეორე გერმანელი ჯაშუში ასეთ საშუალებას იყენებდა: მზვერავი ჯდებოდა მატარებელში, რომელიც ნეიტრალურ შვეიცარიაში მიდიოდა და ვაგონ-რესტორანში ცალკე მაგიდას იკავებდა. როგორც კი ისადილებდა, ჩამოდიოდა მატარებლიდან, რომელიც საზღვარს უახლოვდებოდა. შვეიცარიის პირველ სადგურშივე ჯაშუშის ადგილს მაგიდასთან მეორე მზვერავი იკავებდა. სადილობის დროს, თითქოს შემთხვევით, ღვინოს ასხამდა სუფრაზე. ამ ადგილს ფარავდა ხელსახოცით და განაგრძობდა ჭამას. პირველი ჯაშუში პატაკს წერდა სიმპათიკური მელნით, მეორე კი მას ღვინით ამჟღავნებდა, საჩქაროდ კითხულობდა და შემდეგ იცდიდა, სანამ სუფრაზე გამოჩენილი ასოები არ გაქრებოდა. პატაკებს მალავდნენ ჭრილობების სახვევებში, პარიკების ქვეშ, ძუძუმწოვარა ბავშვების სახვევებში, ფანქრებში და ფეხსაცმლის ზონრებში.

ოპერის მსახიობი ქალი დააპატიმრეს საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე გადასვლის დროს... მოდის დაუცველობის გამო. საბაჟოს თანამშრომლებს საეჭვოდ მოეჩვენათ მისი ზედმეტად გახამებული ქვედა კაბა. მართლაც, მასზე სიმპათიკური მელნით დაწერილი იყო სადაზვერვო პატაკი. ხდებოდა კურიოზებიც. საფრანგეთის ცენზურამ დააკავა ერთი საეჭვო ყოფაქცევის ქალბატონის — ქერათმიანი მსახიობის ევა მ-ს სახელზე მის ვილაში „ალკივიადეში" ჰოლანდიიდან გამოგზავნილი წერილი. წერილის ტექსტი დაშიფრულს ჰგავდა, მით

უმეტეს, რომ იწყებოდა ასე: „თქვენო უწმინდესობავ“, სინამდვილეში წერილი გამოგზავნილი იყო ვილა „ალკივიადეში“ ეელური, გარყვნილი ორგიების მონაწილის, ერთი აბატის მოწაფის მიერ. ყველაფერი ეს კონტრდაზვერვას არ ეხებოდა...

რადიოთი ცნობების გადაცემამ იმდროინდელ რადიოტექნიკურ საშუალებათა დაბალი დონის გამო დიდი განვითარება ვერ ჰპოვა. ძალზე ძნელი იყო საიდუმლო რადიოგადაცემების მოწყობა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მაგრამ მაინც, დასავლეთის ფრონტზე, გერმანიის ჯარის ზურგში, ბელგიელი მღვდლის აბატ პინტის სახლში დადგეს ასეთი რადიოგადამცემი. ზოგჯერ ინფორმაციის გადაცემის გზა ძალიან რთული იყო. საფრანგეთის კონტრდაზვერვა თავს იმტვრევდა ამოეხსნა, თუ რა გზით ღებულობდა გერმანიის სარდლობა ცნობებს მარსელიდან სატრანსპორტო გემების გამოსვლაზე. გემების გამოსვლისა და მარშრუტის შესახებ ოფიცრებს თუმცა გამოსვლის წინა დღეს აცნობებდნენ, გერმანელები 24 საათის შემდეგ სათანადო ბრძანებას აძლევდნენ თავის წყალქვეშა ნავებს, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად იფიქრეს, რომ ინფორმაციას გადასცემდნენ დაშიფრული წერილებით, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაამტკიცა ეს. რჩებოდა დაშიფრული დეპეშები, რომელთა გაგზავნის უფლება თავიანთ მთავრობისათვის უცხოელ დიპლომატებს ჰქონდათ. გაიცა განკარგულება რამდენიმე დღით დაეკავებინათ ყველა დეპეშა, რომლებიც უცხოელების საელჩოებიდან და საკონსულოებიდან მოდიოდა.

იმავე დროს მარსელში მეთვალყურეები მიუჩინეს ერთ საეჭვო კონსულს. მეთვალყურეობამ გამოავლინა, რომ ის რეგულარულად ხვდებოდა ვიღაც კაცს კაფეში. ამ უკანასკნელის მეთვალყურეობამ აგენტურა მიიყვანა ერთ უცხოელ ქალთან, რომელიც კონსულთან საუბრის დროს შეისწრეს. საჩქაროდ იქნა დადგენილი, რომ ის ქალი გერმანიის ჯაშუშია. დაპატიმრების შემდეგ გამოტყდა, რომ ცნობებს ღებულობდა გემ „სევასტოპოლის“ ერთი ოფიცრისაგან, რომელიც მისი საყვარელი იყო. სწორედ ამ მზვერავი ქალის დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე „სევასტოპოლი“ ზღვაში გავიდა. გემს რადიოთი უბრძანეს, მარშრუტი შეეცვალა, მაგრამ ჭექა-ქუხილის გამო გემის რადიოსადგურმა ეს ბრძანება ვერ მიიღო. „სევასტოპოლი“ ჩაძირეს, მის გემბანზე მყოფი 500 კაციდან არც ერთი არ გადარჩენილა.

ომის მსვლელობაში იცვლებოდა სადაზვერვო მუშაობის ხერხები. მეომარმა ქვეყნებმა ვერ მოახერხეს უცბად დაეხურათ ის წყა-

როები, საიდანაც შესაძლებელი იყო ინფორმაციის მასობრივი დინება. საფრანგეთის მზვერავი ლაკაზი, რომელიც 1914 წლის შემოდგომაზე იმ ტერიტორიაზე მოქმედებდა, სადაც გერმანიის, საფრანგეთისა და ნეიტრალური შვეიცარიის საზღვრები ერთმანეთს ეყრებოდა, მოულოდნელად წააწყდა „ოქროს ძარღვს". მისთვის ცნობილი გახდა, რომ იტალიელი კალატოზი ვიტორიო კავანიეტო ასეთი ორიგინალური ხერხით შოულობდა დამატებით საარსებო თანხას: იგი ჩამოუვლიდა ხოლმე საფრანგეთის საზღვრისპირა სოფლებს, სადაც მრავალი მცხოვრები ელზასელი იყო. იმათგან, რომელთა ნათესავები გერმანიის არმიაში მსახურობდნენ, კრეფდა წერილებს გერმანიაში გასაგზავნად, შემდეგ იტალიელი გადადიოდა შვეიცარიის საზღვარზე და მიღებულ კორესპონდენციას ბარის პატრონს გადასცემდა, ის კი ადრესატებს უგზავნიდა. მაგრამ იმავე გზით უკან ბრუნდებოდა გერმანელ ჯარისკაცთა წერილები.

საფრანგეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ იმ ბრძანების საფუძველზე, რომელიც მტერთან ყოველგვარ ურთიერთობას კრძალავდა, ბოლო მოუღო ამ მოხერხებული ფოსტალიონის მოღვაწეობას. ლაკაზმა გადაწყვიტა ბრძანება დაერღვია: საფრანგეთიდან გაგზავნილი სამოქალაქო პირების წერილები არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ინფორმაციებს არ შეიცავდნენ, მაშინ როდესაც გერმანელი ჯარისკაცების 250 წერილით გავსებული ჩანთა განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს შეიცავდა. ყველა წერილს ჰქონდა საველე ფოსტის ბეჭედი და ნიშანი, რომელზეც ნაჩვენები იყო დივიზიის, კორპუსისა და არმიის ნომერი. წერილების წესიერი გამგზავნები, თავიანთი მისამართის მიცემისას დამატებით აცნობდნენ მნიშვნელოვან წვრილმანებს. ამ სისტემაში ერთი ნაკლი იყო: ელზასელების უმრავლესობა გერმანიის არმიის მეთორმეტე კორპუსში მსახურობდა, საფრანგეთის დაზვერვას კი სწყუროდა ცნობები სხვა შენაერთებზეც. მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა, რადგან ბევრი ელზასელი ჯარისკაცი დაჭრის შემდეგ სხვადასხვა სამხედრო ნაწილში ხვდებოდა.

გერმანიის ცენზურა გონს მოვიდა მხოლოდ 1915 წლის ზაფხულში. დივიზიისა და პოლკის ნომრები გამგზავნის მისამართებზე უკვე იშვიათად ჩანდა, შემდეგ კი სრულიად გაქრა. მაგრამ ამ დროისათვის ლაკაზმა ყოველ ჯარისკაცზე, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა ნათესავებთან, სპეციალური ბარათი შექმნა; ამ ბარათში მასზე შეჰქონდა ყოველგვარი ცნობა — ნაწილი, სადაც ის მსახურობდა, მისი ნაცნობებისა და ნათესავების სახელი, გვარი და მრავალი სხვა. ღია სა-

ფოსტო ბარათიც კი, რომელზედაც მარტო სახელი ეწერა, მაგრამ გაგზავნილი იყო რომელიმე ბარათში შეტანილი ოჯახის სახელზე, ხშირად საკმარისი იყო იმისათვის, რომ განესაზღვრათ სად იმყოფებოდა იმ დროს გერმანიის ესა თუ ის ჯარის ნაწილი. ჯარისკაცთა კორესპონდენციების „დამუშავების“ საიდუმლოება საბოლოო ანგარიშში თვით ადილობრივი მცხოვრებლების მიერაც იქნა ამოხსნილი. წერილების მიღება გერმანიიდან საბოლოოდ 1916 წელს ვერდენთან ბრძოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეწყდა.

მეთოდების შეცვლასთან ერთად პირობებისდა მიხედვით იცვლებოდა სადაზვერვო ორგანიზაციების სტრუქტურაც. მაგალითად, იგივე ლაკაზმა შვეიცარიის ხელისუფლებასთან მთელი რიგი შეტაკებების შემდეგ ამჯობინა ყოველთვის მოგზაურობაში ყოფილიყო და თავის რეზიდენტებთან დაკავშირების თავისებური სისტემა შემოიღო. წინასწარ ადგენდნენ შეხვედრის ადგილს, საათს. რიცხვს კი რეზიდენტი გებულობდა ბარათიდან, რომელსაც იგი შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე იღებდა და, გარეგნულად მშობლებისაგან გამოგზავნილ სრულიად უწყინარ ბარათად გამოიყურებოდა. თუკი აგენტს რაიმე მიზეზის გამო უნდოდა საჩქაროდ გადაეცა მნიშვნელოვანი ცნობები, ის ადგილობრივ გაზეთში ათავსებდა წინასწარ შეთანხმებულ განცხადებას. მეორე დღეს ლაკაზს შეეძლო წაეკითხა განცხადება და გაგზავნილი. ღია ბარათით დაენიშნა რიგგარეშე შეხვედრა. რასაკვირველია, სხვადასხვა აგენტთან ლაკაზი წარსდგებოდა სხვადასხვა ფსევდონიმით, რაც აგრეთვე ამცირებდა ჩავარდნის საშიშროებას.

ოკუპირებულ ბელგიაში

საიდუმლო ომში მთლიანად გამოვლინდა იმპერიალისტურ მტაცებელთა მგლური კანონები. არ არსებობდა პირფერობისა და სისაძაგლის საფეხური, სიმკაცრის ზომა ან ბოროტმოქმედების ზღვარი, რომლის წინაშეც უკან დაეხიათ ბურჟუაზიული დაზვერვების ხელმძღვანელებს. პატრიოტიზმის ცრუ გაგება ან ობივატელის უაზრო სიხარბე, საზარელი, სისხლიანი სასაკლაოთი გამოწვეული დაღლა და ავანტიურის ჟინი, დედობრივი სიყვარული და პროფესიონალი მკვლელის უნარიანი აკურატულობა — ყველაფერი, რაც კი „საიდუმლო ომის“ ხელმძღვანელების მიერ ფართოდ გაშლილ ბადეში ხვდებოდა, გათვალისწინებული იყო და სრული სიმშვიდით იყენებდ-

ნენ საქმეში. — საბოლოო ანგარიშით იმ ღრმა ანტიხალხურ საქმეში, რომელსაც უკლებლივ ყველა იმპერიალისტური დაზვერვა ემსახურებოდა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეომარი ქვეყნების საიდუმლო სამსახურმა მოხერხებულად გამოიყენა ის მდგომარეობა, რომ თავისი ხასიათით იმპერიალისტური პირველი მსოფლიო ომი ეროვნულ მომენტსაც შეიცავდა. რასაკვირველია, სერბია თუ ბელგია მხოლოდ მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფოების პაკეები იყვნენ ომისწინა ბრძოლაში, ხოლო მათი მთავრობები თვითონაც იყვნენ ჩათრეული ამ ბრძოლაში და, თუმცა დაქვემდებარებულების როლში გამოდიოდნენ, მაინც აქტიურად მონაწილეობდნენ მასში. მაგრამ, როდესაც ომი გაჩაღდა და მტრის არმიებმა ასეთი პატარა ქვეყნების ტერიტორია დაიკავეს, მოსახლეობა, დარწმუნებული, რომ თავის სამშობლოს, თავის სახლს იცავდა, გამოდიოდა ოკუპანტების წინააღმდეგ. დაე, ამ რწმენაში არ ყოფილიყო ომის ნამდვილი ხასიათის გაგება, დაე, სრულიად არასწორი ყოფილიყო წარმოდგენა, თითქოს იმპერიალისტური ქვეყნები — ოკუპირებული სახელმწიფოს მტრები. — ჭეშმარიტი მეგობრები არიან პატარა ქვეყნებისა, რომლებმაც თავდასხმა განიცადეს. ასეთი რწმენა გავრცელებული იყო და სწორედ ამას იყენებდა იმპერიალისტთა დაზვერვა.

განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა ამ ტაქტიკას ინგლისის, საფრანგეთისა და უფრო მოგვიანებით ამერიკის დაზვერვა გერმანელების მიერ, ომის დასაწყისშივე დაპყრობილ ბელგიაში. მაგალითად, თავის მემუარებში ამაზე მოგვითხრობს მარტა კნოკაერტი, რომელმაც ინგლისის საიდუმლო სამსახურის დავალებით გახსნა პატარა კაფე, სადაც თავს იყრიდნენ გერმანელი სამხედრო პირები. მარტა კნოკაერტი მოწყალების დად მუშაობდა.

მოკავშირეთა მზვერავებიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ლუიზა ბეტინი. იგი დაბადებული იყო საფრანგეთში, არისტოკრატიულ, მაგრამ გაღარიბებულ ოჯახში. განათლება ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო და შემდეგ აღმზრდელად მუშაობდა გერმანიისა და ბელგიის მდიდარ ოჯახებში. ლუიზა თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ენაზე. გერმანიის არმიის ბელგიაზე შეტევის დროს, 1914 წლის აგვისტოში, ლუიზა ბეტინი ინგლისში გაიქცა. აქ იგი მალე დაარწმუნეს შესულიყო მოკავშირეთა დაზვერვის სამსახურში. ლუიზამ მიიღო ყალბი საბუთები მემაქმანე ალისა დიუბუას სახელზე და გერმანელების მიერ დაკავებულ ბელგიის ტერიტორიაზე დაბრუნდა. მისი ნამუშევარი „მაქმანი" არ შეიძლებოდა მოსწონებოდა გერმანელებს.

ლუიზას მიერ შექმნილ სადაზვერვო ორგანიზაციაში შევიდნენ საიდუმლო დამწერლობის მელნის დამამზადებელი ქიმიკოსი დე ჟეიტერი, კარტოგრაფი პოლ ბერნარი, რომელიც ნიჟიერი მშიფრავი აღმოჩნდა და სხვა პირები. მალე ორგანიზაციის წევრთა რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა. ლუიზა ბეტინის უახლოესი თანაშემწე გახდა მარია-ლეონი ვანუტი („შარლოტა") ქალაქ რუბედან. ისინი ახერხებდნენ პატაკის გადაცემას ინგლისის მზვერავ მაიორ კამერონისათვის ჰოლანდიაში. ლუიზა ყოველთვის ცვლიდა ინფორმაციის გადაცემის სისტემას, დღეს პატაკი თუ შოკოლადის ფილაში იყო, ხვალ მას ჩრიდნენ მოხუცი ინვალიდის პროტეზებში, ზეგ კი გამჭვირვალე ქაღალდს, რომელზეც შიფრის მიკროსკოპული ნიშნები იყო, „ალისა დიუბუას პასპორტზე" დაკრული ფოტოსურათის პრიალა ზედაპირად ასაღებდნენ.

თავდაჭერილობა არ ღალატობდა ლუიზა ბეტინის ხშირი დაპატიმრებების დროს. ერთხელ ლუიზა და მარია-ლეონი იმყოფებოდნენ მატარებელში, რომლის ყველა მგზავრს გულმოდგინედ სინჯავდა გერმანიის კონტრდაზვერვა. ორივე ქალიშვილმა ხოხვით გაიარა მატარებლის შემადგენლობის ქვეშ. ისინი იმ ვაგონამდე მივიდნენ, სადაც შემოწმება დამთავრებული იყო და თავიდან აიცდინეს საშიშროება. მეორე შემთხვევაში ლუიზა დაჰკითხა გერმანიის პოლიციელმა ქალმა, რომელმაც პატიმარი აიძულა გაშიშვლებულიყო. მან კანზე წაუსვა საიდუმლო დამწერლობის გამოსამჟღავნებელი განსაკუთრებული შემადგენლობის წამალი, მაგრამ პატაკი ლუიზას შენახული ჰქონდა პატარა ბურთულაში, რომელსაც ენის ქვეშ მალავდა. მან ჩგრძნო, რომ თუ გაჩხრეკა გაგრძელდებოდა, ვერ მოახერხებდა მის დამალვას და ბურთულა გადაყლაპა, მაგრამ გერმანელმა ქალმა ეს შეამჩნია. თითქოს პატიმარზე ზრუნვის მიზეზით მან მოითხოვა, ლუიზასთვის დაელევინებინათ ჭიქა რძე, რომელშიც გახსნილი იყო სასაქმებელი წამალი. ლუიზას თითქოს ხველება აუვარდა და ჭიქა ხელიდან გააგდო. სანამ მოამზადებდნენ ახალ ჭიქას სასაქმებლით, ბურთულა უკვე მოასწრებდა გახსნას. მოსპო რა ერთადერთი სამხილი, ლუიზა ბეტინი გათავისუფლდა.

ის მრავალჯერ გააფრთხილეს მოახლოებული საშიშროების შესახებ, რის შედეგად გადაურჩა დაპატიმრებას. პროვოკატორმა პირველად მარია-ლეონი გასცა. ლუიზა ჰოლანდიაში იყო, მაგრამ ჰოლანდიაში გაგზავნილმა გაფრთხილებამ, რომ ბელგიაში არ დაბრუნებულიყო, ვერ მიუსწრო. რამდენიმე ხანს გერმანიის კონტრდაზვერვა უთვალთვალებდა მზვერავ ქალს, ცდილობდნენ მიეკვლიათ მისი მო-

ავშირეებისათვის, შემდეგ კი დააპატიმრეს. ლუიზა ბეტინის და მარია-ლეონ ვანუტს მიუსაჯეს დახვრეტა, რაც შემდეგ დიდი ხნის პატიმრობით შეუცვალეს. ლუიზა ბეტინი ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა გერმანიის ციხეში, მარია-ლეონი კი გაათავისუფლეს გერმანიის დამარცხების შემდეგ.

არანაკლებ ცნობილი მზვერავი ქალი იყო... მაგრამ დავანებოთ ამას თავი და წარმოდგენით გადავიდეთ გერმანელების მიერ დაპყრობილ ბრიუსელში. იქ თეატრალური ქუჩის № 68 სახლში იმ დროს ახალგაზრდა გერმანელი ლეიტენანტი ჰენინგი ცხოვრობდა. მას დაქირავებული ჰქონდა ორი ოთახი, ერთი თავისთვის, მეორე კი თავისი საყვარლისათვის. ლეიტენანტის ოთახი მთელი თავისი შესახედაობით მოწმობდა, რომ აქ ცხოვრობდა სამხედრო პირი — ყველგან ეყარა ტოპოგრაფიული რუკები, მაგიდაზე კი გერმანიის არმიის ყველაზე უფრო ცნობილი გენერლებისა და ფელდმარშლების ჩარჩოში ჩასმული სურათები იყო. თვალისმომჭრელ მუნდირებში გამოწყობილი და ორდენებით მკერდდამშვენებული ზორზოხა მოხუცების სურათებს შორის გამოირჩეოდა ერთი — ჰენინგის ლამაზი შეყვარებულის პორტრეტი. ბელგიის დედაქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს შეეძლო ეთქვა, რომ ახალგაზრდა ლამაზ ქალს, რომელიც სურათზეა აღბეჭდილი, გაბრიელი პეტი ჰქვია. მაგრამ, საეჭვოა, ვინმე მიხვედრილიყო, რომ გაბრიელა ერთდროულად ორ როლს თამაშობდა: გერმანელი ოფიცრის შეყვარებულისას და... თვით ლეიტენანტ ჰენინგისას.

გაბრიელა პეტი დაიბადა 1893 წელს ტურნეში, ასე რომ ომის დაწყების დროს იგი 21 წლის იყო. მას ადრე გარდაეცვალა დედა და იზრდებოდა მონასტერში, სადაც კარგად შეისწავლა გერმანული ენა, შემდგომ იგი დეიდასთან გადავიდა ბრიუსელში და დედაქალაქის ერთ მოდურ უნივერსალურ მაღაზიაში გამყიდველად მსახურობდა. ომმა ჩაუშალა გეგმები გაბრიელას, რომელიც მალე გათხოვებას აპირებდა. გაბრიელას საქმრო მასთან ერთად გადავიდა ჰოლანდიის საზღვარზე და შევიდა ბელგიის არმიაში საფრანგეთში. მაგრამ გაბრიელა ბელგიაში დაბრუნდა.

უფრო ადრე ქალიშვილი იმ ორგანიზაციაში შევიდა, რომელსაც ნეიტრალურ ჰოლანდიაში გადაჰყავდა ფრანგი და ინგლისელი სამხედრო ტყვეები, აგრეთვე ბელგიელები. ისინი შედიოდნენ ბელგიის არმიაში, რომელიც საფრანგეთში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ინგლისელი მოწყალების და ედიტ კაველი. ის შემდგომში გერმანელებმა სიკვდი-

ლით დასაჯეს ჯაშუშობისათვის. მალე გაბრიელამ გამოიყენა თავისი არტისტული ნიჭი. თმები მოკლედ შეიკრიჭა და მამაკაცის ტანისამოსის, მათ შორის გერმანელი ოფიცრის მუნდირის ჩაცმა დაიწყო. არის ცნობები, რომ სამხედრო მუნდირში გამოწყობილი გაბრიელა ფრონტზედაც გასულა. ფიქრობენ, არასში სწორედ გაბრიელა იყო ის საიდუმლო ლეიტენანტი, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებისათვის ნიშნების გადაცემაში შეამჩნიეს, მაგრამ დამალვა მოახერხა.

გაბრიელა პეტი მუშაობისას მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალიხა დიუბასთან. ბელგიის საიდუმლო ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად ისიც ინგლისის დაზვერვასთან იყო დაკავშირებული. რამდენჯერმე მან საიდუმლოდ გადალახა საზღვარი და ინგლისში იმოგზაურა. გერმანიის მაძებრების მთელმა არმიამ მასზე ნადირობა დაიწყო მას შემდეგ, რაც გერმანიის კონტრდაზვერვამ გაბრიელას მოღვაწეობაზე ცნობები მიიღო. ბედნიერმა შემთხვევამ იგი არაერთხელ გადაარჩინა. მაგალითად, როცა სარკესთან პირველი ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი მატარებლით ლილიდან გენტში გაემგზავრა, მასზე იმწუთშივე ეჭვი აიღო იმავე კუპეში მჯდომმა გერმანელმა კაპიტანმა. სასტუმროში გაბრიელა თავისი ახალი ნაცნობის — კაპიტანის თანხლებით მივიდა. მალე იგი გვერდითი კარებიდან გავიდა და საკიდარზე თავისი ფარაჯა დატოვა. შინ დაბრუნებულმა შეამჩნია, რომ უთვალთვალებდნენ და საჩქაროდ მოსპო ყველა საეჭვო ნივთი, სამხედრო ტანსაცმელიც. ის გაუსხლტა აგენტებს და ისევ სასტუმროში დაბრუნდა — ახლა უკვე გაზეთების გამყიდველის სახით. მას ესმოდა, თუ როგორ კითხულობდა კაპიტანი და საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელი — ხომ არ დაბრუნებულა ლეიტენანტი თავისი ფარაჯისათვისო.

ამასობაში გერმანიის კონტრდაზვერვამ გაბრიელას შესახებ მრავალი ცნობა შეკრიბა, მაგრამ ის მოუხელთებელი იყო. კვლავ და კვლავ გერმანელების ცხვირწინ გადადიოდა საზღვარზე მნიშვნელოვანი დავალებების შესასრულებლად. მისი დახმარებით ჰოლანდიიდან გადასცეს ცნობა ერთ ბელგიელზე, რომელმაც ბევრი თანამემამულე გერმანიის პოლიციაში დაასმინა. მოღალატე მოკლეს.

გაბრიელას ერთ-ერთი მთავარი საქმე ძველებურად მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების, აგრეთვე ბელგიაში მყოფი მზვერავების ბელგია-ჰოლანდიის საზღვარზე გადაყვანა იყო. ერთხელ იგი ოთხი კაცისაგან შემდგარ მორიგ ჯგუფს გაჰყვა. ამ ჯგუფში შედიოდა ორი ბელგიელი ოფიცერი, ერთი ინგლისელი ჯარისკაცი და ბრიტანეთის მზვე-

რავი, რომელიც ჰოლანდიაში ბრუნდებოდა. ყველას ყალბი საბუთები ჰქონდა, მაგრამ ისინი ვერ უშველიდნენ გულმოდგინე გაჩხრეკის შემთხვევაში. კერძოდ, ინგლისელ ჯარისკაცს, რომელმაც მხოლოდ მშობლიური ენა იცოდა, საბუთები ჰქონდა ვიღაც ჰოლანდიელის სახელზე.

ბრიუსელიდან მგზავრობის პირველმა ნაწილმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ, როდესაც პატარა ჯგუფი საზღვრის ზონაში შევიდა, საფრთხე ყოველ ნაბიჯზე ელოდა. მთავარი მომლაპარაკებელი პატრულებთან გაბრიელა იყო და მანვე მოახერხა გერმანელი ჯარისკაცების გაბრიყვებაც. საზღვარზე დიდ ხანს გრძელდებოდა კონტროლის პროცედურა, რომელიც საბოლოოდ კარგად დამთავრდა. გაბრიელამ და მისმა თანამგზავრებმა განაგრძეს გზა საზღვრისაკენ. მოულოდნელად პატარა ტყიდან გერმანელი პოლიციელი გამოვიდა და ნიშნის მოგებით განუცხადა გაბრიელას.

— უკვე რამდენი თვეა, ქალიშვილო, რაც მე თქვენ გელოდებით — მოითხოვა, რომ მთელი ჯგუფი მას გაჰყოლოდა და საჩქაროდ პირთან მიიდო სასტვენი დაცვის გამოსაძახებლად. მაგრამ ბელგიელი ოფიცერი ერთი ნახტომით მივარდა გერმანელს და დანა შიგ მკერდში ჩასცა. საერთო დაბნეულობის შემდეგ გაბრიელა პირველი მივიდა გონს. იგი გაემართა ორი გერმანელი გუშაგის შესახვედრად, რომლებიც ნელა უახლოვდებოდნენ მათ, დანარჩენებმა გვამი თხრილისაკენ გაათრიეს და ზედ ჯაგნარი დააყარეს. მიწაზე დარჩენილ ნაკვალევზე კი ქვიშა მიმოაბნიეს. გაბრიელამ ეს მორიგი პატრულებიც „შეიყოლია ლაპარაკით". საზღვართან გერმანელმა ოფიცერმა გაბრიელას რამდენიმე შეკითხვა მისცა, ჩანდა, ეეჭვებოდა.

— გზაზე გერმანელი პოლიციის ოფიცერი ხომ არ შეგხვედრიათ? — როგორც იქნა, ჰკითხა მან.

გაბრიელამ უპასუხა, რომ შეხვდა და უმალვე აუწერა მოკლულის ნიშნები.

— იგი მე საეჭვო ქალიშვილზე მელაპარაკებოდა და ტელეფონით მაცნობა, რომ მხედველობაში ჰყავდა ახალგაზრდა ფრანგი ქალი, — განაგრძობდა გერმანელი.

გაბრიელას პასუხი მზად ჰქონდა: რასაკვირველია, ის და მისი თანამგზავრები შეხვდნენ პოლიციის ოფიცერს, რომელიც თვითონვე დარწმუნდა თავისი ეჭვის უსაფუძვლობაში. მალე გაბრიელა და მისი ჯგუფის დანარჩენი მონაწილენი ჰოლანდიის ტერიტორიაზე იყვნენ.

მეორეჯერ ჰოლანდიისაკენ მიმავალი გაბრიელა საზღვართან მდებარე სასტუმროში გაჩერდა. სასტუმრო სავსე იყო გერმანელი ჯარის-

კაცებით. გაბრიელა საჩქაროდ გავიდა თავის ოთახში, სადაც მასთან საიდუმლო ორგანიზაციის ერთ-ერთი მონაწილე, სასტუმროს შეშინებული პატრონი მოვიდა.

სასტუმროში, განუცხადა მან, ნამდვილად საეჭვო ცოლ-ქმარი გამოჩნდა. პასპორტით ისინი ვინმე ანრი დიურიე და მისი მეუღლე არიან, მაგრამ მამაკაცი, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ტანსამოსი აცვია, ძალიან ჰგავს გერმანელ სამხედრო პირს. გაბრიელამ თავისი ოთახის ფანჯრიდან „ქალბატონ დიურიეში" ვინმე ფლორა იცნო. იგი იყო თავისუფალი ყოფაქცევის ქალი, რომელიც უკვე დიდი ხანია გერმანიის პოლიციაში მუშაობდა. როგორც შემდეგში გამოირკვა, მას ახლდა გერმანელი უნტერ-ოფიცერი, რომელიც ომამდე ბელგიაში გერმანული როიალების ფაბრიკის ერთ-ერთი ფილიალის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. გერმანიის პოლიციამ, როგორც ამ სახელმწიფოსთან გაცნობილი კაცი, იგი დაადევნა მზვერავ ქალს, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მიაყენა გერმანიის სარდლობას. მაგრამ გერმანელი მას სახით არ იცნობდა, ამისათვის თანამგზავრად გააყოლეს ფლორა, რომელსაც არაერთხელ ჰყავდა ნანახი გაბრიელა. მაგრამ „ცოლ-ქმარი დიურიები" მაინცა და მაინც ვერ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. მამაკაცი ვერ მალავდა ზიზღს, რომელსაც განიცდიდა თავისი მოულოდნელად შეძენილი მეორე ნახევრის მიმართ, ფლორა კი სრულიად არ მალავდა შვების გრძნობას, როდესაც მისი პირქუში მეუღლე ცოტა ხნით სადმე წავიდოდა და მას თავისუფლად შეეძლო დაელია რამდენიმე ჭიქა მაგარი ღვინო თავის თაყვანისმცემელ გერმანელ ჯარისკაცებთან, მეტადრე მაღალ, თავაზიან ლანდშტურმისტთან (როგორც გამოირკვა, იგი საიდუმლო პოლიციის მიერ „ცოლ-ქმარ დიურიების" სამეთვალყურეოდ გაგზავნილი აგენტი ყოფილა). თავის უფროსებთან დაბრუნებულ ამ აგენტს მხოლოდ იმის მოხსენება შეეძლო, თუ როგორ მიიყვანა და დააწვინა სხვა ჯარისკაცის დახმარებით უგრძნობლად მთვრალი ქალბატონი დიურიე ერთი ადგილობრივი მცხოვრების ოთახში. ცრუ მეუღლემ მისი გაღვიძება მხოლოდ საღამოს შეძლო, ღირსეული წყვილი მეორე დღეს ჰოლანდიას გაემგზავრა.

გაბრიელა რამდენიმე ბელგიელთან ერთად იმავე დამეს, როდესაც მან ფლორა დაინახა, საზღვარზე გადავიდა.

რასაკვირველია, ჰოლანდიაში ცოლ-ქმარმა ვერაფრით ვერ მიაგნო გაბრიელას კვალს და ვერ გაარკვია, თუ რომელი გზით გადადიოდა იგი საზღვარზე. სამაგიეროდ, თვით მეუღლეები იმყოფებოდნენ

ანტანტის მზვერავების მეთვალყურეობის ქვეშ. კვალს ვერ მიაგნო, მაგრამ ფლორა ცდილობდა მიეღწია რაიმე წარმატებისათვის, რომელიც მას უფროსების თვალში გაამართლებდა. იგი შეხვდა ბელგიის იატაკქვეშეთის ერთ ცნობილ მონაწილეს ჟან ბორდენს, რომელმაც არ იცოდა, რომ ფლორა გერმანიის პოლიციაში მსახურობდა. მისი დახმარებით ფლორას იმედი ჰქონდა მიეღო ცნობები გაბრიელაზე და მოკავშირეთა სხვა მზვერავებზე. მაგრამ მალე ბორდენი იმავე გაბრიელამ და მისმა ამხანაგებმა გააფრთხილეს. ფლორამ გერმანელებს ჩამოუტანა ყალბი ცნობები. გერმანელებმა თავი არ მოიტყუეს, მაშინვე მიხვდნენ, რომ მათ შეცდომაში შეყვანას ცდილობდნენ. ფლორას შეუწყვიტეს საზღვარგარეთ დავალებების მიცემა, მისი „მეუღლე“ კი სხვა ნაწილში გადაიყვანეს.

გაბრიელა კი ამასობაში განაგრძობდა სამკედრო-სასიცოცხლო თამაშს გერმანიის კონტრდაზვერვასთან. ქალიშვილი ისევ დაბრუნდა ბელგიაში და კინალამ მაშინვე დააკავეს საზღვართან. მდებარე საიდუმლო ბინის გაჩხრეკის დროს. გაბრიელამ შორიდან დაინახა მოახლოებული პოლიციელები. მან და ბინის პატრონმა ქალმა ყველა საშიში ქაღალდის მოსპობა მოასწრეს. ჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო და გამოუცდელმა პოლიციელებმა დაუჯერეს გაბრიელას, რომ იგი თითქოს შემთხვევით მოხვდა ამ ბინაში ღამის გასათევად, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი ბედნიერი შემთხვევა... გაბრიელა დააპატიმრა გერმანიის პოლიციის პატრულმა, რომელიც მას ქუჩაში დარაჯობდა. დაპატიმრებულს უნახეს დანაშაულის დამადასტურებელი ქაღალდები. ქალიშვილმა უარი თქვა სიცოცხლე ეყიდა ბელგიის იმ ორგანიზაციების გაცემით, რომლებიც საიდუმლო ომს აწარმოებდნენ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. სამხედრო სასამართლომ გაბრიელას დახვრეტა მიუსაჯა. იგი 1916 წლის 1 აპრილს დახვრიტეს.

თეთრი მანდილოსნის თავგადასავალი

ჩვეულებრივად ბელგიაში სადაზვერვო ქსელს ჰოლანდიის ტერიტორიიდან ქმნიდნენ. ჰოლანდიაში მთავარი ადგილი ანტანტის ქვეყნების მოქიშპე დაზვერვებიდან თავიდანვე ინგლისის დაზვერვამ დაიკავა (უფრო სწორად ერთ-ერთმა განყოფილებამ, რადგან დასაწყისში სხვადასხვა უწყებებს დაქვემდებარებულ ინგლისის სადაზვერვო ორგანოებში შურიანობა და კონკურენცია სუფევდა). მისი ფაქტი-

ური მეთაური იყო ჰენრი ლანდაუ, რომელმაც შემდგომ თავის მემუარებში მოგვითხრო დაზვერვის მოღვაწეობაზე.

ინგლისელებმა გაითვალისწინეს მათ მიერ ბელგიასა და საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში გერმანიის სამხედრო გადაზიდვების სამეთვალყურეოდ ორგანიზებული სადაზვერვო ქსელის 1916 წლის მარცხი. ინგლისის აგენტს ფრანკინულს ეს ქსელი უაღრესად ცენტრალიზებულად ჰქონდა აგებული. ყველა პატაკი ერთი გზით მოდიოდა და ერთ ადგილზე იყრიდა თავს. მათ მალავდნენ ტრამვაიში, რომელიც ბელგიიდან ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში ყოველ დღე ჩამოდიოდა. დიდი ხნის განმავლობაში სისტემა წარმატებით მუშაობდა, მაგრამ გერმანიის პოლიციამ ბოლოს მაინც მიაგნო მის კვალს. ამასთანავე ფრანკინულის აგენტები არ იცნობდნენ ერთმანეთს, მას კი საშუალება არ ჰქონდა გაეფრთხილებინა თავისი ხელქვეითები მოახლოებულ საშიშროებაზე. გერმანელებმა მოახერხეს ერთი დარტყმით გაენადგურებინათ ეს ორგანიზაცია, ლიკვიდირებულ იქნა მატარებლების მეთვალყურე ორმოცამდე საგუშაგო. დააპატიმრეს ფრანკინულის თითქმის ყველა თანამონაწილე. მის ცდას, იმავე საფუძველზე შეექმნა ორგანიზაცია, წარმატება არ მოჰყოლია. ჰ. ლანდაუმ ახალი სადაზვერვო ქსელი სხვაგვარად ააგო.

ჰოლანდიაში გაქცეული ბელგიელების დახმარებით ბელგიის ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით შექმნეს სადაზვერვო უჯრედები. ყოველი უჯრედის უფროსი შეგროვილ პატაკებს ანტვერპენის, ლიეჟისა და ბრიუსელის „საფოსტო ყუთში" გზავნიდა. აქედან ისინი საზღვარზე გადასასვლელ რამდენიმე პუნქტიდან ერთ-ერთში მიჰქონდათ. ყოველ უჯრედს თავისი დამოუკიდებელი „საფოსტო ყუთი" და გადასასვლელი პუნქტი ჰქონდა. შიკრიკი, რომელსაც პატაკები საზღვართან მიჰქონდა, სადაზვერვო უჯრედის წევრთაგან, თვით „საფოსტო ყუთის"_გარდა, არავის არ იცნობდა, „საფოსტო ყუთი" კი იმ შიკრიკებსაც არ იცნობდა, რომლებსაც მისგან პატაკები მიჰქონდათ და მოჰქონდათ. ყოველი მნიშვნელოვანი ობიექტის ან რაიონის მეთვალყურეობისათვის ხშირად იქმნებოდა ორი პარალელურად მოქმედი ჯგუფი, რომლებსაც ერთმანეთის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

... ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან აღმოსავლეთ და შუა გერმანიაში გავრცელებული იყო ლეგენდა „თეთრ მანდილოსანზე". პრუსიაში ამბობდნენ, რომ ვინმე დოროთეა, რომელიც ორმოცი წლის ასაკში დაქერივდა, მარიენვერდის ტაძრის ახლო მდებარე სენაკში აღიკვეცა მონოზნად და შესავლის ამოშენება ბრძანა. იგი ნებაყოფ-

ლობითი განდეგილობიდან თოთხმეტი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დოროთეას უამრავ სასწაულებს მიაწერენ. მისი სიკვდილის შემდეგ, 1414 წელს პაპთან გაიგზავნა თხოვნა, დოროთეა კათოლიკურ წმინდანად ეღიარებინათ. დრო შეუფერებელი იყო. ეკლესია უდიდეს განხეთქილებას განიცდიდა. ერთდროულად ორი პაპი, ზოგჯერ კი მეტიც განაგებდა სამწყსოს. ყოველი პაპი თავის მეტოქეებს — ანტიპაპებს წყევლიდა და ეკლესიიდან აძევებდა. არც ერთ მათგანს არ ჰქონდა დრო განეხილა შორეული პრუსიიდან მოსული შუამდგომლობა. ამის შემდეგ მოსახლეობაში დამკვიდრდა რწმენა, რომ ხალხის უმადურობით გულმოსული, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა განდეგილი მხოლოდ იმიტომ გამოჩნდებოდა ხოლმე, რომ მათთვის უბედურება ეწინასწარმეტყველა.

ზოგიერთი გერმანელი ისტორიკოსი უარყოფს ამ ვერსიას. მათი აზრით, „თეთრი მანდილოსანი“ ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტის მეუღლე იყო. ერთ ძველებურ გრავიურაზე დოროთეა გამოსახულია თეთრ ტანსაცმელში. იგი უკან მიჰყვებოდა თავისი მეუღლის კუბოს; მეუღლე 1688 წელს გარდაეცვალა. სხვა ცნობებით „თეთრი მანდილოსანი“ პირველად 1486 წელს გამოჩენილა პლასენბურგში, ბაიროიტის ახლოს. იყვნენ კიდევ ერთი ვერსიის მომხრენი.. ესენი თვლიდნენ, რომ ლეგენდა „თეთრ მანდილოსანზე“ დაკავშირებული იყო ვინმე გრაფის მეუღლე დ'ორლამიუნდთან. რომელიც XIV საუკუნეში სადღაც ბაიროიტის ახლოს ცხოვრობდა, მან სიცოცხლეს გამოსალმა თავისი ორი შვილი და თავიც მოიკლა იმის გამო, რომ მისმა საყვარელმა — მმართველი მონარქის ნათესავმა — უარი თქვა მასთან დაქორწინებაზე.

„თეთრი მანდილოსანი“ 1799 წელს თითქოს კვლავ გამოჩენილა ბერლინში. თეთრებში ჩაცმული, მეფის სასახლესთან გუშაგად მდგარ ჯარისკაცს წარსდგომია, ყელზე მარგალიტის ყელსაბამი ჰქონია გაკეთებული და ხელში სპილოს ძვლის კვერთხი სჭერია. ჯარისკაცი მიმხვდარა, რომ მის წინ მოჩვენება იდგა და გაოცებულს უცნაური შემთხვევის შესახებ უამბნია სხვებისათვის. მისი ნაამბობის საფუძველზე პატარა წიგნაკიც გამოქვეყნებულა, რომელსაც „თეთრი მანდილოსნის“ „სურათი“ ამშვენებდა. კითხვის დასმა, თუ როგორ იშოვეს გამომცემლებმა ეს სურათი, ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ, მათ გასამართლებლად უნდა დავუმატოთ, რომ შვიდი წლის შემდეგ, 1806 წელს, პრუსია გაანადგურა ნაპოლეონმა.

კიდევ უფრო საოცარი ის არის, რომ „თეთრი მანდილოსანი“ — ეს თითქოს უაღრესად გერმანული მოჩვენება — ნაპოლეონსაც უნა-

ხავს, როდესაც იგი რუსეთში გალაშქრების წინ ბაიროიტში შეჩერებულა. მაგრამ, თუ „თეთრი მანდილოსნის“ ამ ერთდროულად გაფართოებულ მოვალეობებს მხედველობაში არ მივიღებთ, უნდა ითქვას, ნიადაგ იგი გამოჩნდებოდა, ხოლმე სასახლეში ჰოჰენცოლერნთა დინასტიის მეფის სიკვდილის წინ. იგი 1840 წელს ნახეს ფრიდრიხ-ვილჰელმ III გარდაცვალების წინ, 1861 წელს ფრიდრიხ-ვილჰელმ IV სიკვდილის წინ... მოკლედ რომ ვთქვათ, ვილჰელმ II დროს ამბობდნენ: „თეთრი მანდილოსნის“ მორიგმა გამოჩენამ უნდა მოასწავოს ჰოჰენცოლერნთა დინასტიის დასასრულიო. გასაკვირი არ არის, რომ თავხედი და ამავე დროს მშიშარა, თავისი ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობაზე შეშლილი, საკუთარ თავზე შეყვარებული უკანასკნელი კაიზერის პოლიტიკა საკმაო საფუძველს ქმნიდა ძველებური ლეგენდის ასეთი სახეცვლილებისათვის.

„თეთრი მანდილოსნის“ სახელი ოკუპირებულ ბელგიაში მოქმედმა უდიდესმა სადაზვერვო ორგანიზაციამ მიიღო. იგი შეიქმნა 1916 წელს და დასაწყისში სხვა სახელწოდებებს ატარებდა („მიშლენის სამსახური“ — ალბათ, იმ ფირმის სახელწოდების მიხედვით, რომელიც „ბ-149“ ავტომობილის საბურავებს უშვებდა). ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ინჟინერი დეევ — ბიძაშვილი დეოდონე ლამბრეჰტისა, რომელიც ინგლისის დაზვერვისათვის მუშაობდა. იგი ორმხრივმა აგენტმა გასცა და გერმანელებმა დახვრიტეს. დეევმ თავისი გეგმები, პირველ ყოვლისა, გააცნო პროფესორ შოვენს, მასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ორგანიზაციას. პირველად მასში დეევსა და შოვენის მეგობრების პატარა ჯგუფი შედიოდა. შღედელ დეზონეას დახმარებით მოახერხეს ლამბრეჰტის თანაშემწეების გასინჯვა და მათი მიზიდვა „თეთრი მანდილოსნის“ რიგებში.

დეევ და შოვენი საუკეთესო ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ. მათ მოხერხებულად შეარჩიეს საჭირო ადამიანები და ორგანიზაცია ისეთი სახით ააგეს, რომ ცალკეული პირების დაპატიმრება მინიმალურ დანაკლისს აყენებდა მას. შიკრიკები, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიდნენ დაპატიმრების საშიშროებას, შუაკაცის („საფოსტო ყუთის“) გარდა, რომლისაგანაც პატაკებს ღებულობდნენ, ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს არ იცნობდნენ. მათ შექმნეს თავისი კონტრდაზვერვაც, რომლის სათავეში იდგა შოვენის ნათესავი, ბელგიის პოლიციის უფროსი ლიეჟში ნეჟანი. ოფიციალური მდგომარეობის წყალობით მას შეეძლო ეფექტურად ეთვალთვალა ბელგიაში გერმანიის საიდუმლო პოლიციისათვის — „თეთრი მანდილოსნის“ ძირითადი მოწინააღმდეგისათვის.

საჭირო იყო ჰოლანდიაში მოქმედ მოკავშირეთა დაზვერვებთან კავშირის დამყარება. ფრანგმა მზვერავმა ფეშიმ სხვებზე ადრე გაიგო დეევესა და შოვენის განზრახვა და წინადადება მისცა, მოეგვარებინათ თანამშრომლობა. მაგრამ ფეშის ხალხში გერმანიის ჯაშუშები შეიპარნენ. მათ საოკუპაციო ხელისუფლების წინაშე გასცეს საფრანგეთის სამი მნიშვნელოვანი აგენტი: ფოკენო, კრეზენი და მარია ბირკელი, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. საბოლოოდ, როგორც იქნა, მთელი რიგი ჩავარდნების შემდეგ, რაშიც ბრალი ანტანტის დაზვერვებს მიუძღოდა, „თეთრი მანდილოსანი“ ინგლისელებს დაუკავშირდა. ნაწილობრივ ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მხოლოდ ინგლისის სამხედრო დაზვერვამ შეძლო მოეგვარებინა აგენტების გადაყვანის საქმე ბელგია-ჰოლანდიის საზღვარზე, რომელიც გერმანელებმა ეკლიანი მავთულის კედლით ჩაკეტეს და, რომლებშიაც მაღალი ძაბვის დენი იყო გაყვანილი. ჰენრი ლანდაუმ ამის მიღწევა ისევ ბელგიელი მოროს დახმარებით შეძლო (ბელგიის რკინიგზის მაღალი წოდების მოხელის შვილი, რომელსაც დიდი ნაცნობობა ჰყავდა რკინიგზის მოსამსახურეთა შორის) მორომ („ორამმა“) და მის მიერ შერჩეულმა თანაშემწეებმა საზღვარზე ჩამოაყალიბეს საიდუმლო გადასვლის სამსახური, რომელიც თითქმის ომის დამთავრებამდე მოქმედებდა.

ინგლისელებმა „თეთრი მანდილოსნის“ დაფინანსება იკისრეს; ჰ. ლანდაუ-კი დაჰპირდა ყველა მის მონაწილეს ინგლისის სამხედრო მოსამსახურედ ჩაეთვალათ, რისი უფლებამოსილება მას არ ჰქონდა: „თეთრი მანდილოსანი“ გაასამხედროვეს, წარმოიქმნა ბატალიონები, ასეულები, ოცეულები. ამასთან, ორგანიზაცია ძველებურად შენდებოდა ისეთი სახით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ადვილად „გამოეთიშათ“ ის უჯრედი, რომელშიც შეაღწია გამცემმა, ანდა სხვა გზით გახსნა გერმანიის საიდუმლო პოლიციამ.

მთავარი, რასაც „თეთრი მანდილოსანი“ აკეთებდა, — ეს იყო ყოველდღიური, საქმიანი მეთვალყურეობა სამხედრო ეშელონების მოძრაობაზე. რკინიგზის უბრალო მსახური (ზოგჯერ ცოლისა და შვილების დახმარებით), რომელიც თავისი ოთახის ფანჯრიდან ითვლიდა მის წინ გავლილ შემადგენლობებს, იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძირითადი მიმწოდებელი. მრავალი ასეთი აგენტის მონაცემების შეჯამებით „თეთრ მანდილოსანს“ და ინგლისის დაზვერვას შეეძლოთ წარმოდგენა ჰქონოდათ გერმანიის ჯარის დისლოკაციაზე, საბრძოლო მასალის მიწოდებაზე და ამის საფუძველზე მტრის სარდლობის გეგმებზე. ყველაზე რთული იყო მიღებული ინფორმაციის

ტრანსპორტირება ჯერ ბელგიის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ საზღვარზე მისი გადატანა. გერმანელებმა შემოიღეს საშვის მკაცრი სისტემა, უსაშვოდ ბელგიელებს ეკრძალებოდათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება. ხშირად წარმატებით დაწყებული რეისი მოულოდნელი შეძახილით „სდექ" და პოლიციის განყოფილებაში გაჩხრეკით წყდებოდა. საიდუმლო ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში შიკრიკს სასამართლო და დახვრეტა ელოდა. დაპატიმრების შემთხვევაში მას უპირველესად სამხილი — საიდუმლო კორესპონდენცია უნდა მოეშორებინა. ამისათვის თხელი ქაღალდის ფურცლებს ინახავდნენ ლითონის პატარა მილში, რომლის სახელოდან გამოგდებას შეუმჩნევლად ცდილობდნენ. ახალგაზრდა ქალიშვილი ჯულიეტა, რომელიც შიკრიკად მუშაობდა, დააკავეს. გერმანელი პოლიციელის დაჟინებული ცქერის გამო მან ვერაფრით ვერ მოახერხა გადაეგდო შავ მაუდში შეხვეული პატარა შეკვრა, რომელშიც პატაკი ინახებოდა. თუ მას გერმანელები აღმოაჩენდნენ, ქალიშვილს უდაოდ სიკვდილი ელოდა. მაგრამ ჯულიეტა არ დაიბნა. პოლიციაში მან მოახერხა ეს შეკვრა შეუმჩნეველი მოძრაობით ორთქლით გათბობის ბატარეის უკან ჩაეტენა. ამის შემდეგ საგულდაგულო ჩხრეკამაც არაეითარი შედეგი არ გამოიღო და ჯულიეტას გამოუცხადეს, რომ იგი თავისუფალია. გამოსვლის დროს, როდესაც ერთი წუთით მარტო დარჩა, მან მოახერხა ძვირფასი შეკვრის გამოღება და მისი დანიშნულების ადგილზე მიტანა.

ეს ინფორმაციები ლიეჟში არსებული „თეთრი მანდილოსნის" მთავარი ბინისა და სხვა გზების საშუალებით „საფოსტო უუთით" საზღვარზე იგზავნებოდა.

შემდეგ კი იწყებოდა ყველაზე სახიფათო გადასვლა საზღვარზე, რომელიც მავთულხლართებით იყო შეკრული და მას ძაღლებიანი გუშაგები დარაჯობდნენ. რეზინის ხელთათმანები და ფეხსაცმელები იცავდნენ ელექტროდენისაგან. იმისათვის, რომ გერმანელი ჯარისკაცები მოეტყუებინათ, მუდამ ახალ-ახალ ეშმაკობას მიმართავდნენ. ხშირად პატაკებს. ბელტში ჩადებულს, რომელიმე ადგილობრივი გლეხის საშუალებით გადაისროდნენ მავთულხლართის მიღმა. მანამდე მათ კარტოფილის მინდვრებში მარხავდნენ. ზოგჯერ ძირგავარდნილ ცარიელ კასრს მავთულხლართში ტენიდნენ და აღარ ეშინოდათ დენის დარტყმისა, რადგან ამ კასრში ძვრებოდნენ. ეს კია მავთულში დენი ყოველთვის არ გადიოდა, რადგან გერმანელებს ელექტროენერგია არ ჰყოფნიდათ. მავთულზე ხშირად დაინახავდით საზღვარზე გადასვლის დროს დენით მოკლული ადამიანების გვამებს. იმისათ-

ვის, რომ მოსახლეობა დაეშინებინათ, გერმანელებმა გემების ჩამოხსნა აკრძალეს. როდესაც გემები ტკაცანს იწყებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ დროს მაღალი ძაბვის დენი იყო გაშვებული.

ერთხელ გერმანიის პოლიციამ „თეთრი მანდილოსნის" ხელმძღვანელობა კინაღამ დააპატიმრა. პოლიციელები კედელზე დააყენა ერთი ქალის მიერ ეკვიანობის ნიადაგზე გაგზავნილმა ანონიმურმა წერილმა. ამ ქალს საიდუმლო ორგანიზაციის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მიიღო თუ არა ჯაშუშური ცნობები, გერმანიის პოლიციამ გადაწყვიტა გაესინჯა ვინმე რეიმანი, რომელიც ასე უდროო დროს იქნა ეკვმიტანილი თავის ფრანგ მსახურ ქალთან მარსელთან. რეიმანი შინ არ აღმოჩნდა. მეზობლებმა უთხრეს, იგი, ალბათ, წასულია „ვილა მერცხალშიო", რომელიც მისგან ვიღაც უცხო პირებს დაექირავებინათ. იქ კი მოთავსებული იყო „თეთრი მანდილოსნის" სამდივნო. მუხის კარები ხანგრძლივ ალყას გაუძლებდა. და, რაც მთავარია, საკმარისი დრო იყო დარჩენილი, რომ მამხილებელი ქაღალდები მოესპოთ. მაგრამ ამჯერად ბედმა არ გაუღიმათ. გერმანელი მაძებრები შიკრიკებს ვილას შესავალთან შეხვდნენ და საეჭვოდ მიიჩნიეს. გერმანელებმა ერთ-ერთ მათგანს საფეთქელზე რევოლვერი მიადეს და აიძულეს კარების გაღება მოეთხოვა... ყველა იქ მყოფი პირი შეიპყრეს, ქაღალდები და იარაღი ხელთ იგდეს. დაპატიმრებულებმა არ გასცეს ორგანიზაცია. შიკრიკმა ფრანშიმონმა განაცხადა, რომ იგი ამ ვილის პატრონის გესელსის საყვარელი იყო, ხოლო მეორე შიკრიკი იფიცებოდა, რომ იგი, როგორც ფრანშიმონის მეგობარი, შემთხვევით ახლდა მას სეირნობის დროს. დანარჩენი დაპატიმრებულნი ამტკიცებდნენ, რომ ლტოლვილებს მხოლოდ საზღვარზე გადასვლაში ეხმარებოდნენ. ძმები ლუი და ანტუან კოლარები, რომლებიც პატაკის გადაბეჭდვის დროს შეისწრეს, ირწმუნებოდნენ, თითქოს შეეგროვებინოთ ინფორმაცია, რომლის მიყიდვას აპირებდნენ ჰოლანდიაში ინგლისისა და საფრანგეთის დაზვერვებისათვის. სამხედრო ტრიბუნალმა ოთხ პატიმარს, მათ შორის გესელსსაც, სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ მას და კიდევ ერთ მზვერავს დახვრეტა სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. ძმები კოლარები 1913 წლის ივლისში დახვრიტეს. გერმანელები საბოლოოდ მაინც ვერ მიხვდნენ, რომ მათ დაქსაქსული სადაზვერვო ორგანიზაციის სამდივნო მოულოდნელად შეიპყრეს.

„თეთრი მანდილოსნის" ერთი ყველაზე ეფექტური ანდა ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ლიეჟის მთავარ ციხეში სენ-ლეონარში

სადაზვერვო უჯრედის შექმნა იყო... იგი ორმა მზვერავმა — ფოკენომ და კრეზენმა ჩამოაყალიბა.

ორივე საფრანგეთის დაზვერვის აგენტი იყო და მთელი რიგი დავალებების წარმატებით შესრულების შემდეგ გაიქცნენ ჰოლანდიაში, სადაც ახალი სადაზვერვო ქსელის შექმნას მოჰკიდეს ხელი. ერთხელ მათ ჰოლანდიელი კონტრაბანდისტის თანხლებით ბელგიაში ახალგაზრდა მასწავლებელი მარია ბირკელი გაგზავნეს. ქალიშვილისაგან დიდი ხნის განმავლობაში არავითარ ცნობას არ ღებულობდნენ (ის დაპატიმრა გერმანიის პოლიციამ), შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა ვინმე ბერტრამი და აცნობა; ბირკელი ფოკენოსა და კრეზენს პაემანს საზღვარზე, მავთულხლართთან უნიშნავსო. ბერტრამი ეპვს იწვევდა, მაგრამ ფოკენომ და კრეზენმა პაემანზე წასვლა მაინც გადაწყვიტეს და გერმანიის კონტრდაზვერვის დავალებით ბერტრამის მიერ დაგებულ მახეში გაებნენ. 1915 წლის 30 ივნისს ღამით საზღვარზე ბელგიელებს თავს დაესხნენ გერმანელი აგენტები. ისინი თავში დარტყმით გაანბრუეს და ბელგიის ტერიტორიაზე "გადაათრიეს. გერმანიის სასამართლომ ორივეს სიკვდილი მიუსაჯა. მათი გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი იყო ეცნობებინათ გატაცების ვითარების შესახებაც, რაც ჰოლანდიის ნეიტრალიტეტს არღვევდა. ამის გაკეთება მათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო დაპატიმრებული ციხის მზარეულის მეშვეობით გაგზავნილი წერილით შესძლეს. მან ეს წერილი გადასცა მონაზონ მელანიას, რომელსაც ციხეში შესვლის უფლება ჰქონდა, ამ უკანასკნელმა იგი ბრიუსელში მყოფ ჰოლანდიის გენერალურ კონსულს მიუტანა. ამას მოჰყვა ჰოლანდიის მთავრობის პროტესტი და სიკვდილის განაჩენი სისრულეში მოყვანამდე ექვსი საათით ადრე შეცვალეს.

ფოკენომ და კრეზერმა „თეთრ მანდილოსანთან" კავშირი დაამყარეს გერმანიის ჯარისკაცის მეშვეობით, რომელიც ეროვნებით პოლონელი იყო. მათ იმავე ციხეში მყოფი მარია ბირკელი და სხვა პატიმრები ეხმარებოდნენ. ისინი ახერხებდნენ გადაეცათ ცნობები „თეთრი მანდილოსნისათვის" იმ აგენტის დაპატიმრების შესახებ, რომლებსაც, როგორც წესი, გერმანელები დაკავების შემდეგ სენლეონარის ციხეში გზავნიდნენ. აცნობებდნენ აგრეთვე მამხილებელი საბუთების ხელში ჩაგდების შესახებ. ამ ცნობებმა არაერთნელ იხსნა ორგანიზაცია ჩავარდნისაგან. „თეთრ მანდილოსანს" შეეძლო თავისი ხალხისათვის ინსტრუქციების მიცემა, თუ როგორი ტაქტიკა უნდა გამოეყენებინათ დაპატიმრების შემთხვევაში. ბევრ მათგანს ამან სიცოცხლე შეუნარჩუნა.

1918 წელს კრეზენი და ფოკენო ციხიდან გაიქცნენ. პოლონელმა ჯარისკაცმა გაუღო მათ საკნის კარები და კავი და ჩაქუჩი გადასცა. გაქცეულებმა სათავსოდან ზეწრები და თოკი წაიღეს, ერთმანეთზე გადააბეს და ციხის მაღალი კედლიდან ჩამოვიდნენ ქუჩაში, სადაც მათ მეგობრები ელოდნენ. იმისათვის, რომ კვალი აებნიათ, ისინი ტრამვაიდან ტრამვაიში სხდებოდნენ. მალე კრეზენი და ფოკენო შედარებით უშიშარ კონსპირაციულ ბინაში აღმოჩნდნენ. მათი გაქცევა სან-ლეონარში მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეიტყვეს. ამაოდ ეკითხებოდნენ. პატიმრებს, რომლებსაც შეიძლება რაღაც სცოდნოდათ გაქცეულებზე. მღვდლის ტანსაცმელში გადაცმული ფოკენო საზღვარზე გადასვლას ცდილობდა. ტრამვაით მგზავრობის დროს იგი შემთხვევით დააკავა აგენტმა. მან ფოკენოს განუცხადა, „ძალიან ბევრი ჯაშუში-იცვამს მღვდლის ტანსაცმელსო". ფოკენო გაიქცა და ომის დამთავრებამდე ლიეჟში იმალებოდა. კრეზენი ზედ საზღვარზე დააპატიმრეს. მან თავი გაასაღა ვინმე დესმედ, რომელიც ჰოლანდიაში გადასვლას ცდილობდა. გაქცევის შემდეგ მოშვებულმა წვერმა და ულვაშებმა ისე შეცვალეს ის, რომ ძლივსღა ცნობდნენ. გაქცეული გასელტის ციხეში ჩასვეს. გერმანიის ხელისუფლებს ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ ახალი პატიმარი სწორედ ის კრეზენია, რომლის საძებრად მთელი პოლიცია იყო მობილიზებული.

ომის უკანასკნელმა წელმა მთელი რიგი წარუმატებლობანი მოუტანა „თეთრ მანდილოსანს". ჯერ კიდევ „მერცხლების ვილაზე" პოლიციის თავდასხმამდე დააპატიმრეს კონტრდაზვერვის უფროსი ნეჟანი. გერმანელებმა გაიგეს, რომ მას ხშირად ნახულობდა ერთი ბელგიელი ქალი, რომელიც ომის დასაწყისში რამდენიმე ფრანგ სამხედრო ტყვეს გაქცევაში დაეხმარა. მოულოდნელად დააპატიმრეს აგრეთვე ერთი შიკრიკი, რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუქციებით ბრიუსელიდან გენტში მიდიოდა. უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვარზე გადასვლის ერთ-ერთი პუნქტის ჩავარდნას. ინფორმაციის გადაცემა აქ ხდებოდა კონტრაბანდისტების დახმარებით, რომლებსაც ერთდროულად საიდუმლოდ გადაჰქონდათ სურსათი ჰოლანდიიდან ბელგიაში. ამ კონტრაბანდას თვალს არიდებდა თვით გერმანიის სასაზღვრო დაცვის ადგილობრივი უფროსი, რომელიც ამისათვის ჰოლანდიურ სურსათს ღებულობდა. ამიტომ მზვერავები თავს უშიშრად გრძნობდნენ და ინფორმაციების მთავარ ნაწილს ამ პუნქტიდან გადასცემდნენ. მით უფრო მოულოდნელი იყო კონტრაბანდისტების დაპატიმრება გერმანიის საიდუმლო პოლიციის აგენტების მიერ.

გერმანელები თავზარდაცემული იყვნენ დაპატიმრების დროს აღ-

მოჩენილი ინფორმაციების რაოდენობით. ბოლოს და ბოლოს მათთვის ნათელი გახდა, რომ დიდი სადაზვერვო ორგანიზაცია მოქმედებდა ციხეში. „მესამე ხარისხით“ დაკითხვის დროს დაპატიმრებულმა კონტრაბანდისტებმა გესელში არსებული „თეთრი მანდილოსნის“ ადგილობრივი უჯრედის რვავე წევრი დაასახელეს. ისინი დააპატიმრეს. სწორედ აქ გამომჟღავნდა „თეთრი მანდილოსნის“ კარგად მოფიქრებული ორგანიზაციული სტრუქტურა. გესელში არსებული აგენტების ჯგუფი ცენტრთან მხოლოდ ერთი ადამიანის — ბელგიის პოლიციის ინსპექტორ სიურლემონის მეშვეობით იყო დაკავშირებული. იგი ოცდაოთხ საათში გადაიყვანეს საზღვარზე ბარეის ტრიუმით. მეორე დღეს სიურლემონის ბინაში მოსულ გერმანელ პოლიციელებს შეეძლოთ დაეპატიმრებინათ მხოლოდ მისი ცოლ-შვილი. რომლებმაც მისი სადაზვერვო მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ომის დამთავრებისას „თეთრი მანდილოსანი“ მრავალრიცხოვან ორგანიზაციად გარდაიქმნა. მასში სულ 1084 კაცი შედიოდა. მან დაიწესა რკინიგზის 51 სამეთვალყურეო საგუშაგო: გერმანელებმა დააპატიმრეს ორგანიზაციის 45 წევრი, რომელთაგან ორი სიკვდილით დასაჯეს.

ანტანტის სადაზვერვო ორგანიზაციებიდან „თეთრი მანდილოსანი“ ომის მეორე ნახევარში ერთადერთი არ ყოფილა, თუმცა ის ბელგიაში მაინც მთავარ ორგანიზაციად ითვლებოდა. ის ხელმძღვანელობდა უშიშროების ინტერესების პრინციპით და არავითარი კონტაქტი არ ჰქონია სხვა ორგანიზაციებთან. ზოგჯერ ეს პრინციპი ირღვეოდა, რასაც წარუმატებლობა, პროვოკატორების შემოღწევა და ერთეული უჯრედების აღმოჩენა მოჰყვებოდა ხოლმე.

ინგლისის სადაზვერვო სამსახურის წარმატება ბელგიაში დაფუძნებული იყო უპირველესად მოსახლეობის დახმარებაზე, რომლებსაც ეზიზღებოდათ ოკუპანტები. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორის — ადგილობრივი მცხოვრებლების მხრივ თანაგრძნობის უქონლობის გამო ინგლისელებმა თვით გერმანიაში სარკინიგზო ტვირთზიდვაზე ვერც ერთი სამეთვალყურეო საგუშაგოს შექმნა ვერ მოახერხეს.

საკუთარ დაზვერვასთან ერთად ჰოლანდიაში მოკავშირეებისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო გახდა დაკითხვა იმ გერმანელი დეზერტირებისა, რომლებიც მზად იყვნენ ფულის გულისათვის იმ ნაწილებზედაც კი მიეწოდებინათ ცნობები, სადაც თვითონ მსახურობდნენ. რასაკვირველია, გერმანიის დაზვერვა დეზერტირების სახით ხშირად გზავნიდა თავის აგენტებს, რომლებიც ყალბ ცნობებს იძლეოდნენ. მაგრამ ინგლისელების მოტყუება უკვე ძნელი იყო. ასეთა-

სობით გერმანელი ტყვის დაკითხვისა და დაზვერვის მონაცემების საფუძველზე ომის პირველ წლებში შედგენილ იქნა „ყავისფერი წიგნი“, რომელიც გამუდმებით ივსებოდა ახალ-ახალი ცნობებით. მასში აღნიშნული იყო ყველა პოლკისა და დივიზიის ნომრები, ცნობები თითოეული ნაწილის მეთაურთა შემადგენლობაზე და მრავალი სხვა. ჩვენებებს აკონტროლებდნენ ყავისფერი წიგნის მიხედვით, რის გამოც შესაძლებელი იყო სწრაფად განესაზღვრათ, რამდენად შეესაბამებოდა მონაცემები სინამდვილეს.

ერთხელ ლანდაუსთან გერმანელი დეზერტირი მიეიდა და შესთავაზა გერმანიის საველე ფოსტის უკანასკნელი გამოშვების საიდუმლო ცნობარი ეყიდა მისგან. გერმანელი დიუსელდორფის ფოსტაში მუშაობდა. და იქ მოიპარა ცნობარი. ეს წიგნი მოკავშირეთა სარდლობისათვის უაღრესად ძვირფასი იყო. მასში შედარებით უფრო დაწვრილებითი ცნობები იყო მოცემული, ვიდრე ასეთი გაჭირვებით შედგენილ „ყავისფერ წიგნში“. გერმანელმა ჯარისკაცმა მადლობით მიიღო წიგნისათვის შეთავაზებული საცოდავი 100 გირვანქა, თუმცა, ლანდაუს აღიარებით, დაზვერვა მზად იყო მისთვის ყოველგვარი გასამრჯელო მიეცა. ეს გერმანელი გვარად ფლეიშერი იყო. ინგლისის დაზვერვამ ისარგებლა კაიზერისა და გერმანელი მილიტარისტების ხროვისადმი ფლეიშერის სიძულვილით და მისი დაქირაევება შეძლო. ფლეიშერი ყალბი საბუთებით გერმანიას გაემგზავრა. იქიდან იგი ახალი პოლკების ფორმირებისა და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებით დაბრუნდა. ამის შემდეგ მას ახალი, საშიში დავალება მისცეს. ფლეიშერს ტრირში სამეთვალყურეო საგუშაგო უნდა დაეარსებინა. ამ ახალი მგზავრობიდან ფლეიშერი აღარ დაბრუნებულა: შეიძლება შეიპყრეს, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან გადაწყვიტა არ გაეწირა თავი ახალი პატრონების გულისათვის. რომლებიც კარგად გაიცნო.

ბრძოლა საიდუმლოებათა ხელში ჩასაგდებად

1915 წლის 22 აპრილს ფლანდრიაში იპრზე გერმანიის ჯარებმა პირველად გამოიყენეს მომწამლავი ნივთიერებანი. გერმანელები ბალონებიდან უშვებდნენ გაზს, რომელიც ქარს მტრის სანგრებისაკენ უნდა წაეღო. თავდაპირველად გაზის გამოყენებას დიდი წარმატება ჰქონდა. ერთხელ კი ქარმა მკვეთრად შეიცვალა მიმართულება და გაზით მოწამლული თვით გერმანელი ჯარისკაცები აღმოჩნდნენ.

გერმანელებმა საჩქაროდ დაიწყეს მომწამლავი გაზების გამოყენების სხვა ფორმების ძებნა. ფრანგი ჯაშუში შარლ ლუზიტო ამაში მა.. დარწმუნდა, როდესაც დაადგინა, რომ მანგეიმში გაზების დამამზადებელი ბადენის ანილინის ფაბრიკა მთელი დატვირთვით განაგრძობდა მუშაობას. მაგრამ როგორ უნდა ჩაწვდომოდნენ მტრის გეგმების საიდუმლოებას? ლუზიტომ შეამჩნია, რომ გაზით სავსე ცისტერნები ესენის კრუპის სამხედრო ქარხნებში მიჰქონდათ. მზვერავმა ღიდი რისკი გასწია, მან დაიწყო სიარული ლუდხანაში, სადაც ამ ქარხნების მუშები იყრიდნენ თავს და ყურს უგდებდა მათ საუბარს. ქარხნის მცველ პოლიციელთან საუბრის დროს მზვერავმა პესიმისტურად შეაფასა გერმანიის შანსები ომის მოგების საკითხში. მცველმა უპასუხა, რომ მზადდებოდა ახალი იარაღი, რომელიც ომის მსვლელობას გერმანიის სასარგებლოდ შეცვლიდა. ეს იყო გაზით ავსებული ყუმბარა.

ლუზიტოს მიერ გამოთქმულმა აშკარა ეჭვმა პოლიციელი გააღიზიანა. დანაძლევდნენ მნიშვნელოვან თანხაზე. მალე გერმანელმა თავისი მეგობარი მოფარებულ ადგილას, პოლიგონთან მიიყვანა, სადაც ახალი ყუმბარები უნდა გამოეცადათ. ამ ადგილიდან ლუზიტოს შეეძლო თვალყური ედევნებინა გამოცდისათვის, რომელსაც თვით კაიზერი ესწრებოდა. გაზით გავსებული ყუმბარები დაუშინეს მინდორში მყოფ ცხვრის ფარას. შედეგი აშკარა იყო — გაზმა არა მარტო დაახრჩო პირუტყვი, არამედ მთელი მცენარეულობა გადაწვა. თვითონ ლუზიტო ყველაფერში დარწმუნდა, რაც საკუთარი თვალით იხილა, მაგრამ როგორ დაერწმუნებინა თავისი ეჭვიანი უფროსები პარიზში? მზვერავმა თავის მეგობარ პოლიციელს სთხოვა. მათი ნაძლევის სამახსოვროდ ყუმბარის ნატეხი ეჩუქებინა მისთვის. როგორც კი კაიზერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა პოლიგონი დატოვეს, თავისი სიმართლის დამტკიცებითა და დიდი მოგების ჩაჯიბვით გაბრაზებულმა პოლიციელმა სასურველი სუვენირი ლუზიტოს მთელი სულითა და გულით აჩუქა. სამი დღის შემდეგ ყუმბარის ეს ნატეხი უკვე პარიზში იყო და სანამ გერმანელები ახალი ყუმბარების დიდი რაოდენობით დამზადებას მოასწრებდნენ, ფრანგებმა და ინგლისელებმა თავისი ჯარი აირწინაღებით მოამარაგეს და თვითონაც დაიწყეს ამ ტიპის ყუმბარების წარმოება.

ინგლისელებმა, პირიქით, მოახერხეს შეენახათ ტანკის საიდუმლოება, რომლის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1914 წელს წარმოიშვა, მაგრამ ძალიან ნელა ხორციელდება.

ბრეზენტში გახვეული მანქანები გადაჰქონდათ რკინიგზით და რომ

აეხსნათ ამ უცნაური მანქანების დანიშნულება, მათ სხვადასხვა შენიღბულ სახელებს — ცისტერნებს, რეზერვუარებსა და ბაკებს უწოდებდნენ. საბოლოოდ უკანასკნელ სახელზე შეჩერდნენ და ბაკი (ინგლისურად „ტანკი") ომის ახალი მრისხანე იარაღის სახელწოდება გახდა.

1916 წლის 15 სექტემბერს ტანკების პირველმა გამოყენებამ გერმანელებში დიდი პანიკა გამოიწვია. როდესაც სანგრიდან გამოქცეული ჯარისკაცი გენერალთან მიიყვანეს და მან მოახსენა, რომ „ის" უბორბლებოდ მოძრაობს, გენერალმა ჯარისკაცმა შიშისაგან ჭკუაზე შეშლილად ჩათვალა. რა სისულელეა — მანქანა უბორბლებოდ მოძრაობს? 1918 წლის აგვისტოში ტანკების მასობრივმა შეტევამ ფართოდ გაარღვია გერმანელების გამაგრებული ხაზი.

1917 წლის ოქტომბერში კაპორეტოსთან ბრძოლაში მოულოდნელობის უზრუნველყოფა ავსტრიისა და გერმანიის დაზვერვის დიდ წარმატებას ნიშნავდა. გერმანელებისა და ავსტრიელების მიერ იტალიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე შეტევის დაწყების განზრახვის შესახებ მოკავშირეთა დაზვერვა ბევრ პირდაპირ და არაპირდაპირ მითითებას ღებულობდა. ერთხელ საფრანგეთში „საარვისო მიწაზე", გერმანელებისა და ბრიტანელების სანგრებს შორის ინგლისელმა ჯარისკაცმა ნახა ღია ბარათი, რომელიც ის-ის იყო გერმანელ ჯარისკაცს დაუვარდა. ბარათში ვინმე ჰენრიხი წერდა, რომ მისი ნაწილი დასასვენებლად იმყოფება ავსტრიაში. ღია ბარათზე ნაჩვენები საველე ფოსტის ნომრით ინგლისელებმა განსაზღვრეს, რომ ლაპარაკი იყო გერმანიის არმიის ერთ-ერთ დამრტყმელ ნაწილზე, ალპურ კორპუსზე. შვეიცარიიდან მიღებული ამერიკის დაზვერვის ცნობები მოწმობდა, რომ გერმანელები დარტყმას იტალიის ფრონტზე ამზადებდნენ.

და მაინც იტალიის სარდლობისათვის გერმანია-ავსტრიის 24 ოქტომბრის შეტევა მოულოდნელი იყო. შეტევის დაწყებამდე იტალიის სანგრებში ჩამოყარეს ავსტრიაში დაბეჭდილი ჩრდილოეთ იტალიის ყველაზე გავრცელებული გაზეთების ყალბი ნომრები. მასში იტყობინებოდნენ მოსახლეობასა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკებაზე. დემონსტრანტების დახვრეტაზე, დაბეჭდილი იყო მღელვარების ჩახშობის დროს მოკლულთა და დაჭრილთა სია. ამ ცნობებისათვის რომ სინამდვილის სახე მიეცათ, ავსტრიის დაზვერვამ შეაგროვა პატარ-პატარა ცნობების (იტალიის გარკვეული ქალაქების მცხოვრებთა ნამდვილი გვარები, თანამდებობა და სხვ.) მთელი დასტა. ამიტომ გაზეთების სიმართლეში ეჭვი არავის შეპპარვია. ყველაფერმა ამან

იტალიის არმიაზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიელ ჯარისკაცებზე, პიემონტელებზე, რომლებისგანაც შედგებოდა ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი ნაწილები, სერიოზულად იმოქმედა. იტალიამ კაპორეტოსთან ბრძოლაში 800 ათასი კაცი დაკარგა, მათ შორის ნახევარი ტყვეებზე მოდიოდა. იტალიის ფრონტის მთლიანი დაშლა რომ აეცილებინა, ანტანტამ საფრანგეთისა და ინგლისის დივიზიები ჩრდილო იტალიაში საჩქაროდ გადაისროლა.

დასავლეთ დივერსიასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მოქმედებდა.

ომისდროინდელ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დივერსიების რიცხვს — თუკი ეს დივერსია იყო — ალხორნის აეროდრომზე ცეპელინების დაწვა უნდა მივაკუთვნოთ. ცეპელინები მხოლოდ გერმანიას ჰქონდა და იმდროინდელი ავიაციის განვითარების დონეზე ისინი მრისხანე იარაღს წარმოადგენდნენ: ცეპელინებს იმ დროს უფრო მაღლა შეეძლოთ ფრენა, ვიდრე თვითმფრინავებს. მაქსიმალურ სიმაღლეზე ისინი მიუწვდომელი იყვნენ საზენიტო არტილერიისათვის.

1917 წლის დასაწყისში აშენებული ალხორნის აეროდრომი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იყო მოწყობილი. თითოეულ ანგარში ორი ცეპელინი ეტეოდა, გათვალისწინებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო ყოველგვარი საშუალება. ხანძრის საშიშროების ლიკვიდაცია მთლიანად არ შეიძლებოდა, რადგან ცეპელინები ადვილად აალებადი წყალბადით ივსებოდა და გაზის ცოტაოდენი გაჟონვის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

1918 წლის იანვრის დამდეგს ალხორნის აეროდრომზე რაღაც მნიშვნელოვანი ოპერაციისათვის საბოლოო მზადება მიმდინარეობდა. ცეპელინებს გერმანიის ფლოტის მთავარ ძალებთან ერთად უნდა ემოქმედათ. ეს უკანასკნელი ახალი ცდისათვის ემზადებოდა, რათა გაერღვია ინგლისის მარყუჟი. 5 იანვარს, დილაადრიან, № 1 ანგარში ხანძარი გაჩნდა და მთელ შენობას მოედო. თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო აფეთქება; ცეცხლი მოეკიდა სხვა ანგარებსაც. წუთში 4 ანგარი და იქ მყოფი უახლესი კონსტრუქციის 5 ცეპელინი განადგურდა. კატასტროფის შედეგად გერმანიის ფლოტის ოპერაცია ჩაიშალა და გერმანიის ცეპელინმშენებლობას არა მარტო მატერიალური ზარალი, არამედ უდიდესი მორალური დარტყმაც მიაყენეს. შიუხედავად გულმოდგინე გამოძიებისა, კატასტროფაში დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, რომ ანტანტის აგენტებმა მოახერხეს ცეპელინების ბაზაში შეღწევა.

ამ ბაზებზე შემდგომი წარმატებითი საჰაერო თავდასხმა დაზვერვიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად მოხდა. მაგალითად, 1918 წელს დიბომბვის შედეგად დაინგრა ცეპელინების ანგარები ტონდრეაში. 1918 წლის ოქტომბერში ცდილობდნენ აეფეთქებინათ ცეპელინების ბაზა ვატმინუდჰაფენში, მაგრამ ანგარებში ჩაწყობილი ბომბები აეროდრომის დაცვამ აღმოაჩინა.

ზოგჯერ მზვერავები მტრის ტერიტორიაზეც ქმნიდნენ საიდუმლო ბაზებს და ხან ეშმაკობით, ხან კი ძალით დასაკითხავად საჭირო ხალხს იტაცებდნენ ხოლმე. ინგლისის ერთი გამოცდილი კონტრმზვერავი, კაპიტანი ბერი 1915 წლის ბოლოს დანიშნეს ბორდოსთან ახლო მდებარე ბასენის სამხედრო ბანაკში. ბანაკში მისი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბერი სამსახურის საქმეების გამო გაემგზავრა და დაიკარგა. მას თან ჰქონდა საიდუმლო საბუთები და მნიშვნელოვანი რაოდენობის ფული. დაუყოვნებლივ დაიწყო ძებნა ბორდოს რაიონის ყველა გზაზე, დაკითხეს პორტში მდგომი გემების კაპიტნები და პირადი შემადგენლობა, მაგრამ უშედეგოდ. კაპიტნის მეგობრებმა აცნობეს, რომ ბერი ბორდოში ჩამოსვლისას ლაფაიეტის ქუჩაზე მდებარე № 25 სახლში ჩერდებოდა. ამ სახლში, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალიშვილი ჟანა, რომელზედაც ბერი დაქორწინებას აპირებდა. მაგრამ ჟანამ ვერაფერი თქვა თავისი საქმროს ადგილსამყოფელის შესახებ.

ორი კვირის განმავლობაში ინგლისის კონტრდაზვერვამ გადაჩხრიკა მთელი ქალაქი და ბორდოს გარეუბნები, დაჰკითხა ყველა სათითაოდ. მაგრამ დაკარგული კაპიტნის კვალს ვერ მიაგნეს. დახმარებისათვის კონტრდაზვერვის ორი თანამშრომელი — ახალგაზრდა ქალიშვილები — ინგლისელი დოლი და ბელგიელი ლუიზა გამოიძახეს. ერთ კაფეში ჯარისკაცების ლაპარაკიდან მათ გაეგოთ, რომ ბერის დაკარგვამდე ბანაკის ახლოვიღაც ორი კაცი დაძრწოდა და ხანდახან ახლაც გამოჩნდებიან ხოლმე, ისინი გარეუბნებშიო. მალე კონტრმზვერავმა ქალებმა არა თუ იპოვეს ისინი, არამედ გაიცნეს კიდეც. ღვინომ აალაპარაკა უცნობები და ერთმა მათგანმა დაიტრაბახა, რომ მათ არ სჭირდებათ ფულზე ფიქრი. ლიმოჟში ცხოვრობს ერთი კაცი, ის ბევრს უხდის მათ დუმილისათვის, ვინაიდან იგი მონაწილეა რაღაც დანაშაულისა, რომელსაც ახლა პოლიცია იძიებს. იმავე საღამოს დოლი და ლუიზა თავისი ახალი ნაცნობების თანხლებით ლიმოჟში წავიდნენ, რასაკვირველია, მთელ კამპანიას შეუმჩნევლად მიჰყვებოდნენ გადაცმული კონტრმზვერავები, უცნობებმა ახალგაზრდა ქალები ერთ სახლთან მიიყვანეს. კარი მათ ვიღაც მამა-

კაცმა გაუღო. იგი დოლისა და ლუიზას თანამგზავრებთან ერთად მაშინვე დააკავეს. ოთახში სკამზე ბერის მუნდირი ეკიდა.

მაგრამ დაპატიმრებულმა ლიმოჟელმა განაცხადა, მე კაპიტანი არ მომიკლავს. ოფიცერზე თავდასხმაში მხოლოდ იმიტომ ვმონაწილეობდი, რომ მის ფულს დავპატრონებოდიო.

— მე შეიძლება ქურდი მიწოდოთ, — მაგრამ მკვლელი კი არა.

— კი, მაგრამ მაინც სად იმყოფება ბერი?

— შემიძლია გაცნობოთ, რომ იგი ცოცხალია. მეტს ნურაფერს შემეკითხებით...

მაშინაც, ლიმოჟის პოლიციის სამმართველოში რომ დაკითხეს, პატიმრისაგან მეტი ვერაფერი გაიგეს. ძალით რომ ვერ მიაღწიეს მიზანს, გადაწყვიტეს ხერხისათვის მიემართათ. პატიმარმა განუსაზღვრელი რაოდენობით მიიღო სასმელი და ალკოჰოლმა თავისი გაიტანა. წამოსცდა, რომ ბერის თავს დაესხნენ ბასენსა და ბორდოს შორის. ოფიცერი მანქანით მოდიოდა. გზაზე მდგომმა ხალხმა ანიშნა გაჩერებინა მანქანა. როგორც კი მანქანა გაჩერდა, კაპიტანს სტაცეს ხელი, პირში ალიკაპი ჩასჩარეს, შეჰკრეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ლიმოჟელმა თავისი მონაწილეობისათვის დაპირებული 5 ათასი ფრანკი მიიღო და ამ ფულით სამიკიტნოს გახსნას აპირებდა. რამდენიმე საათის დაკითხვის შემდეგ ლიმოჟელი გამოტყდა, რომ ბერი ფორტ მედოკის ახლოს მდებარე გამოქვაბულში ჰყავთ დაკავებული და ერთი კვირის წინ იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ფორტი მედოკი, რომელიც ძველად აუშენებიათ ბორდოს ზღვიდან დასაცავად, ზაფხულობით სასეირნო ადგილს წარმოადგენდა. მაგრამ შემოდგომაზე სრულიად უკაცრიელი რჩებოდა. აი სწორედ ეს მდგომარეობა გამოიყენეს ჯაშუშებმა.

საჭირო გახდა მედოკში ნამდვილი სამხედრო ექსპედიციის მოწყობა. ამისათვის განსაკუთრებით ბნელი ღამე შეარჩიეს და მოულოდნელად შეიჭრნენ გამოქვაბულში. გაჩაღდა ნამდვილი ბრძოლა. გამოქვაბულში მყოფთაგან სამი მოკლეს, ოთხი დააკავეს, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ. მოკლულთა და დაჭრილთა შორის ჯარისკაცები და პოლიციელებიც იყვნენ. ბერი გაათავისუფლეს, მაგრამ იმ გაჭირვებისა და წამების გამო, რომელიც მან სამი კვირის განმავლობაში გადაიტანა, გაგიჟდა: საიდუმლო ქაღალდები, რომლებიც მას თან ჰქონდა, რასაკვირველია, ვერ ნახეს—ისინი უკვე გერმანიის საჯაშუშო ცენტრის ხელში იყო ბარსელონაში. გერმანიის დაზვერვის მიერ ბერის გასატაცებლად დაქირავებული ბანდიტები მალე ბრაზილიაში გამგზავრებას აპირებდნენ.

გერმანიის დაზვერვა ყოველნაირად ცდილობდა ბანდიტებთან ერთად დაექირავებინათ ნარკოტიკებით მოვაჭრენიც, რომლებსაც ჩვეულებრივ ახალი ჯაშუშების მოსყიდვას ავალებდნენ.

საიდუმლოებისათვის ბრძოლა ყოველთვის აღსავსე იყო მოულოდნელობით. თვით ორმხრივი ჯაშუშობის ეპიზოდები, რომლებსაც ბევრი სათავგადასავლო რომანების საკუთრებად, თვლიდა, არც ისე იშვიათად გვხვდებოდა საიდუმლო ომის ისტორიაში. ზოგიერთი მათგანი სრულიად შემთხვევით იწყებოდა.

ერთხელ, 1914 წლის შემოდგომაზე შვეიცარიის საზღვართან მდებარე საფრანგეთის ერთი პატარა ქალაქის სასტუმროს რესტორანში სუფრასთან ორი კაცი იჯდა. ერთი მათგანი ჩვენთვის უკვე ცნობილი ლაკაზი იყო, მეორე — მისი ციურიხელი მეგობარი, ინჟინერი გროსმანი, რომელიც საფრანგეთის დაზვერვის ნდობით სარგებლობდა. მოულოდნელად რესტორანში საათების მაღაზიის პატრონი შემოვიდა. დაინახა თუ არა გროსმანი, მასთან მივიდა, აღფრთოვანებით მიესალმა და ბიძაშვილი ჟიული უწოდა. მესაათემ მხოლოდ დაკვირვების შემდეგ შეამჩნია თავისი შეცდომა. მან ლაკაზი და გროსმანი ყავაზე დაპატიჟა. ისინი დათანხმდნენ. მესაათის ახალგაზრდა ქალიშვილებმაც მაშინვე შეამჩნიეს დიდი მსგავსება გროსმანსა და მათ ბიძა ჟიულს შორის, რომელსაც საკუთარი საათების ფაბრიკა ჰქონდა შვეიცარიაში. ამ დროისათვის, ლაკაზმა უკვე მოიფიქრა მოქმედების გეგმა. საფრანგეთის დაზვერვისათვის საჭირო იყო ქალაქ შიულპაუზენში (ელზასში) მცხოვრებ ლაკაზის ერთ ნაცნობ ექიმთან კავშირის დამყარება. მას შეიძლება სარგებლობა მოეტანა გერმანიის ჯარის უახლოეს ზურგში სადაზვერვო უჯრედის შესაქმნელად. შვეიცარიული პასპორტის მიუხედავად, გროსმანის გერმანიაში გაგზავნა შეუძლებელი აღმოჩნდა — მას ცუდად უყურებდნენ გერმანელები, რადგანაც იცოდნენ, როგორი სიმპათიით იყო იგი განმსჭვალული საფრანგეთისადმი. მაგრამ ხომ შეიძლებოდა გროსმანს ეს მგზავრობა გერმანიის ხელისუფლებისათვის სახელგაუტეხელი ჟიულის სახით მოეხდინა?

ლაკაზი შვეიცარიას გაემგზავრა და ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ ჟიული დაითანხმა საზღვარგარეთის პასპორტი აეღო და გერმანიის ვიზა ეთხოვა, შემდეგ კი ეს საბუთები გროსმანისათვის გადაეცა. ყოველი შემთხვევისათვის გროსმანის ფოტოსურათები პასპორტისათვის მაინც ჩაებარეს, ჟიულმა კი, გერმანიის საკონსულოში სურათების ჩასაბარებლად რომ მიდიოდა, თმა თავისი ორეულის მსგავსად დაიკარცხნა. გროსმანს ყოველგვარი დაწვრილებითი ცნო-

ბები მიაწოდეს ჟიულის ნაცნობებზე, ნათესავებზე და კლიენტებზე. მისცეს აგრეთვე გასაყიდი საათებით სავსე ჩემოდანი; რომელიც მისი მგზავრობის მიზეზი უნდა ყოფილიყო. ჟიულს სთხოვეს რამდენიმე ხნით სახლიდან წასულიყო და მოგონილი სახელით საფრანგეთის დაზვერვის ხარჯზე ეცხოვრა კურორტზე. ყველაზე რთული ის იყო, რომ გროსმანს არაფერი ესმოდა საათების საქმისა და კლიენტებთან საუბარში მას არ შეეძლო თავი მათთვის წერილებით ნაცნობ საათების ფაბრიკანტად გაესაღებინა. გროსმანი იძულებული იყო ჟიულის სახელით ემოქმედა მხოლოდ ხელისუფლების თვალის ასახვევად. კლიენტებისათვის კი იგი მისი ძმის როლს ასრულებდა.

გროსმანმა, მიუხედავად თავისი გამოუცდელობისა, მონახა ექიმი მიულჰაუზენიდან და მომავალი მოქმედებისა და კავშირების საშუალებათა შესახებ მოელაპარაკა ისე, რომ არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია. ყველაზე უფრო საშიში უკან დაბრუნება აღმოჩნდა. მესაზღვრეთა კომისარს საზღვარზე თვალში ეცა, რომ შვეიცარიელი ფაბრიკანტი შინ ბრუნდებოდა ძალიან მალე — გერმანიაში ერთ კვირაზე ცოტა მეტ ხანს იყო. შვეიცარიელმა აუხსნა, რომ ბევრმა კლიენტმა უარი განუცხადა ნეიტრალური ქვეყნის ფირმასთან რაიმე საქმის დაჭერაზე. პასუხმა კომისარი არ დააკმაყოფილა. მან ბრძანა გულმოდგინედ გაეჩხრიკათ მოგზაურის ტანისამოსი და ჩემოდანი. მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მან დაიწყო რეკვა იმ საეჭვო სახლების წარმომადგენლებთან, რომლებიც გროსმანმა ინახულა და ეკითხებოდა ნამდვილად იყო თუ არა მოლაპარაკება შვეიცარიელ ფაბრიკანტთან. თუ რომელიმე მათგანს დასცდებოდა, რომ შეხვდნენ არა თვით ფაბრიკანტს, არამედ მის ძმას, გროსმანის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. მაგრამ ტელეფონით ლაპარაკის დროს ეს ერთადერთი საშიში დეტალი ხსენებული არ ყოფილა. გროსმანი, რომელმაც საკმაო შიში განიცადა, შვეიცარიაში მშვიდობით დაბრუნდა.

ექიმთან კავშირის დამყარება დიდხანს ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, 1916 წლის თებერვალში იგი თვითონ ჩამოვიდა. ამისათვის მან შვებულება მოიგონა და ოფიცრის მუნდირი სამოქალაქო ტანსაცმლით შეიცვალა. ექიმმა ძლივს გადმოლახა საზღვარი, რომ გადაეცა მის ხელში ჩავარდნილი შტაბის რუკა, რომელზედაც აღნიშნული იყო ფრონტის მნიშვნელოვან მონაკვეთზე გერმანიის არტილერიის განლაგება. მისი კონცენტრაციის ხარისხი აშკარად ლაპარაკობდა ვერდენზე შეტევის მომზადებაზე (ეს ნიშანი, ისევე როგორც ბევრი სხვა, უყურადღებოდ იქნა დატოვებული საფრანგეთის სარდლობის

მიერ). რაც შეეხება ძია ჟიულს, მას ჭკუაში დაუჯდა ეს პირველი-ცდა და ლაკაზის დავალებით გერმანიაში მოგზაურობა დაიწყო.

საფრანგეთის დაზვერვა ხშირად იყენებდა იმ შვეიცარიელების დახმარებას, რომლებსაც ნათესავები გერმანიაში ან მათ მიერ ოკუპირებულ ლუქსემბურგში ჰყავდათ. კაფეში მომუშავე მიმტან ქალს, რომელიც ლუქსემბურგში ხშირად დადიოდა დედასთან, ყოველთვის ჩამოჰქონდა ქვედა საცვალში ჩაკერებული ბარათი, წერილი შეიცავდა ცნობებს გერმანიის ნაწილების განლაგებაზე. ბაზელის სასტუმროს პატრონის ძმისწულის საქმრო იყო გერმანიის ჯარიდან დემობილიზებული უნტერ-ოფიცერი, რომელიც ცეპელინის ერთ-ერთი ქარხნის დაცვის უფროსად მუშაობდა ფრიდრიხსჰაფენში. ქალიშვილმა შეაგულიანა საქმრო დიდი გასამრჯელოს საფასურად აეფეთქებინა ქარხანა, მაგრამ ვიღაცამ გასცა და გერმანიის ხელისუფლებამ იგი დააპატიმრა.

ზოგიერთი რამის გაგებას საზღვარზევე ახერხებდნენ. ყურადღებიან მზვერავს, რომელიც ბინოკლით ათვალიერებდა საზღვრისპირა გერმანიის ტერიტორიას, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი დაკვირვების საფუძველზე შეეძლო დაედგინა მნიშვნელოვანი ფაქტი — რა მიმართულებით უნდა გადაეყვანათ გერმანიის ალპური კორპუსი.

ზოგჯერ აგენტის შენიღბვის მიზნით მოკავშირეთა დაზვერვა გერმანიის ბლოკადასაც არღვევდა. გერმანიაში გამგზავრების მიზეზით ერთ შვეიცარიელს ნება დართეს შეესყიდა ავტომანქანის ფრანგული საბურავები გერმანელებისათვის მისაყიდად.

ყოველი მეომარი ქვეყნის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფუნქციები ხშირად გადაიხლართებოდა ხოლმე ერთმანეთში. ეს განსაკუთრებით ხშირად მაშინ ხდებოდა, როდესაც მზვერავები და კონტრმზვერავები ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიიდან, უმთავრესად შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან და ესპანეთიდან მოქმედებდნენ. თითოეული ცდილობდა მოწინააღმდეგის სადაზვერვო ქსელში შეეგზავნა თავისი აგენტები, რომლებიც, ბუნებრივია, ისწრაფოდნენ მოწინააღმდეგის ჯაშუშებისა და „ორეულებისათვის“ ნიღაბი აეხადათ. დამქირავებლები ყოველთვის იმის შიშში იყვნენ, რომ მოწინააღმდეგის რომელიმე აგენტს არ წასწყდომოდნენ (თუ არაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ ერთმანეთში მოქიშპე ანტანტის დაზვერვები ხშირად ცდილობდნენ მოესყიდათ მეტოქის მიერ დაქირავებული აგენტები). ზოგჯერ კურიოზული სიტუაციებიც იქმნებოდა. ერთი გერმანელი დამქირავებელი, რომელიც თავს ბარონესა მარტა მაკოვსკაიად ასაღებდა, ცდილობდა გერმანიის სამსახურში გადმოებირებინა რიუმო-

ნეს ფირმის კომიეოიაეორი, ფრანგი ლუი ტიბო, რომელიც ბურგუნდიის ღვინოებით ვაჭრობდა. თავის თავში დარწმუნებულმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა უბრალო მოსამსახურეზე, რომელიც ლოზანაში მიმავალ მატარებელში შემთხვევით გაიცნო. ახალი ნაცნობები შეთანხმდნენ, რომ მალე შეხვდებოდნენ ერთმანეთს ჟენევაში. ტბაზე რომანტიკული სეირნობის შემდეგ ლუი ტიბო და ბარონესა თითქოს თავისთავად ბანქოს სათამაშო კაზინოში აღმოჩნდნენ. ფრანგმა მალე 200 ფრანკი წააგო და გამოტყდა, რომ დანარჩენი ხარჯებისათვის ორჯერ ნაკლები თანხა დარჩა.

ერთ საღამოს, როდესაც ოტელში შამპანურს სვამდნენ, ბარონესამ ტიბოს ისეთი სამუშაო შესთავაზა, რომელიც გაცილებით უკეთესად იქნებოდა ანაზღაურებული, ვიდრე რეიმონეს ფირმა უხდიდა. ამით ბარონესამ გახსნა თავისი ზრახვა. მეორე დილას ტიბო დათანხმდა და ბარონესამ იგი ვიღაც შუა ხნის კაცს წარუდგინა. მან სთხოვა ფრანგს პარიზს გამგზავრებულიყო ერთი უვნებელი წერილის გადასაცემად და იქიდან მიმღების ხელწერილის ჩამოსატანად. საქმე ეხებოდა პარიზის ერთ-ერთი ბანკირის ომამდელი სესხის გადახდას. გაწეული სამსახურისათვის ლუი ტიბო მნიშვნელოვან საკომისიოს მიიღებდა. ფრანგმა ჩინებულად და სწრაფად შეასრულა პირველი დავალება. შუა ხნის კაცი, რომელიც როტმისტრი ფონ შნეიდი აღმოჩნდა, კმაყოფილი დარჩა და ახალ აგენტს თავისი ნამდვილი ხელობა აღარ დაუმალა. რა იცოდა, რომ მაკოესკაიამ მისთვის სამსახურში დაიქირავა შვეიცარიაში საფრანგეთის დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლაკაზი! ბუნებრივია, რომ იგი მეორე ბიუროს დახმარებით ბრწყინვალედ ასრულებდა როტმისტრის პირველ და მომდევნო დავალებებს. იყო მხოლოდ ერთი დაბრკოლება: მრავალრიცხოვანი სამსახურებრივი მოვალეობა ხელს უშლიდა ლაკაზს განეგრძო ფონ შნეიდის აგენტის როლის თამაში. მაშინ ლაკაზმა ბარონესას მეშვეობით გერმანელს ერთ-ერთი თავისი ხელქვეითი მიულერი წარუდგინა. ცოტა ყოყმანის შემდეგ ფონ შნეიდი ამ ანკეტზეც წამოეგო. მიულერმა აცნობა ფონ შნეიდს, რომ იგი რამდენიმე სანდო პირთან ერთად მზად არის ხელი მოჰკიდოს დივერსიას. მართალია, მიულერის ჯგუფმა გერმანელების მიერ შერჩეული ვერც ერთი ობიექტის აფეთქება ვერ მოახერხა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი საფრანგეთის ბევრ სხვა ადგილსა და აფრიკის ფრანგულ კოლონიებშიც კი გამოირჩეოდა. საიდუმლოება ძალზე უბრალო იყო: საფრანგეთის ცენზურა 24 საათით აკავებდა უბედური შემთხვევების ყოველგვარ ცნობას (გვირაბების ჩამონგრევაზე, რკინიგზის კატასტროფებსა და სხვ.), მიულერი

ღებულობდა ამ ცნობებს და აღნიშნულ შემთხვევებს გამოხატავდა როგორც დივერსიის შედეგს, რომელიც მისმა ჯგუფმა მოახდინა. ფონ შნეიდი კი ღებულობდა გაზეთებიდან მისი აგენტის ცნობების დადასტურებას და სიამოვნებით უხდიდა დიდ თანხას, რომელიც საფრანგეთის დაზვერვის ფონდის შესავსებად მიდიოდა.

კომედია დიდხანს გაგრძელდა. მიულერმა ბარონესას შეყვარება მოასწრო (მისი ნამდვილი სახელი ლუიზა ნემეიერი იყო) და თანაგრძნობასაც მიაღწია. ბოლოს და ბოლოს ფონ შნეიდი მიხვდა, რომ მას ატყუებდნენ და მიულერი ფულს ღებულობდა „დივერსიებისათვის", რომლებთანაც მას არაფერი ჰქონდა საერთო. მაგრამ როტმისტრმა იცოდა იმ აგენტებისათვის სამაგიეროს გადახდა, ვინც მას ატყუებდა. მან მოაგროვა „ტიბოსა" და მიულერის ხელწერილები ფულის აღების თაობაზე და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებას გადაუგზავნა. ამის შემდეგ მას მართლაც არასოდეს აღარ უნახავს არც ერთი მათგანი. იგი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის კონტრდაზვერვამ მის ნაცვლად სამაგიერო გადაუხადა გერმანიის ყოფილ ჯაშუშებს. რასაკვირველია, არავინ ჩათვალა საჭიროდ მისთვის რწმენა შეეცვლევინებინათ.

სამწუხაროდ, ანტანტის დაზვერვებისათვის გერმანიის ყველა ჯაშუში „ტიბო" და მიულერი როდი იყო.

იმათ რიცხვში, ვისაც ყველაზე უფრო დაეძებდა საფრანგეთის კონტრდაზვერვა, იყო გერმანელი ქალი, რომელიც ირმა შტაუბის ფსევდონიმით მოქმედებდა. დევნის აზარტში მას თითქოს ყველგან ხედავდნენ საფრანგეთში. მაგალითად ერთ დღეს პარიზში შემოვიდა ხუთი პატაკი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან: თუ ამ პატაკებს ვირწმუნებთ, ირმა შტაუბი ერთსა და იმავე დროს შეუნიშნავთ ნანსში სამხედრო მფრინავებთან ერთად, მანქანაში ესპანეთის საზღვართან, კალენიცის მატარებლის ვაგონში, პარიზის ცენტრში და რკინიგზის შორეულ სადგურებში. ეს ხელს არ უშლიდა საფრანგეთის კონტრდაზვერვის მუშაკებს სინამდვილეში არაერთხელ შეხვედროდნენ მას პირისპირ შვეიცარიაში. ცნობილი ფრანგი მზვერავი ლუზიტო გვიამბობს.

იგი ერთ თავის თანამშრომელთან ერთად ბერნის რესტორან „ბელვიუში" მჯდარა. დარბაზში შემოსულა ირმა შტაუბი გერმანელი კაპიტნის თანხლებით რომელიც გერმანიის ჯაშუშთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ქალი პირდაპირ მისულა მაგიდასთან, სადაც ფრანგები ისხდნენ და ძალზე თავაზიანად უკითხავს:

„თქვენს მაგიდასთან ორი თავისუფალი ადგილია, ხომ არ დამრ-

თავთ ნებას, ბატონო საფრანგეთის საიდუმლო აგენტებო, დავიკავოთ ეს ადგილები?

— რას არ გააკეთებ, — უპასუხა ლუზიტომ, — რომ მადმუაზელ ირმა შტაუბს ასიამოვნო.

დარტყმა მიზანში მოხვდა, მიუხედავად ამისა, გესლიანი საუბარი მაგიდასთან მაინც გრძელდებოდა. შემდეგ დაიწყო თავბრუდამხვევი ისტორია გამოდევნებებით, გადაცმებით, მოტაცებებით და აღმოჩენებით — ერთი სიტყვით, როგორც უხეირო ავანტიურულ რომანებშია ან უფრო მის პაროდიებში, ირმა შტაუბს ამოართვეს მის მიერ მოპარული საფრანგეთის ახალი თვითმფრინავების ნახაზები.

თუ მეომარი ქვეყნების ტერიტორიაზე ასეთი რამ ხდებოდა, სულ ერთია სად იქნებოდა ეს — ლონდონის ტაუერში თუ საფრანგეთის ნაკლებად ცნობილ პროვინციული ციხის პლაცზე — ძალიან ხშირად გამთენიის ხანს დახვრეტით მთავრდებოდა.

ლიტერატურის კრიტიკოსები ხშირად გამოუცდელობას სწამებენ ავტორს, როდესაც იგი ცდილობს ადამიანების ბედის რთული შეტაკება ბედნიერი შემთხვევით გადაწყვიტოს. მაგრამ ბედნიერი ან უბედური შემთხვევა საიდუმლო ომში მაინც სრულიად სუფთა სახით ძალიან ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

ინგლისის მზვერავმა ვუდჰოლმა მსგავსი ეპიზოდი გეიამბო. საფრანგეთის კონტრდაზვერვამ ჰავრში ანონიმური წერილი მიიღო. იგი ეხებოდა ბელგიიდან ლტოლვილ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ოფიციანტად მუშაობდა საჩაიეში. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცები. ოფიციანტი, როგორც წერილში იყო აღნიშნული, კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად და საეჭვო შეკითხვებს აძლევდა ჯარისკაცებს. საფრანგეთის კონტრდაზვერვასთან მიმაგრებულმა ვუდჰოლმა ხელი მოჰკიდა ამ საქმის გამოძიებას. ხშირად დაიწყო საჩაიეში სიარული და მალე კარგად გაეცნო კოპწია ოფიციანტს. იგი მართლაც კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად, მაგრამ ვუდჰოლის იქ ყოფნის დროს ერთხელაც არ უცდია გამოეტყუებინა სამხედრო ხასიათის ცნობები.

სამაგიეროდ, ვუდჰოლის ყურადღება მიიქცია მდუმარე მომსვლელმა, რომელიც ხშირად იყო საჩაიეში და, ალბათ, ყურს უგდებდა ლაპარაკს. ოფიციანტი გაურბოდა მას, თითქოს ეშინოდა კიდეც ამ უცნობისა. ვუდჰოლს შეკრებილმა ცნობებმა მხოლოდ გაუძლიერეს ეჭვები. უცნობი შვეიცარიელი აღმოჩნდა და განაცხადა, რომ მას არ ესმოდა ინგლისური. რამ აიძულა იგი მრავალრიცხოვან კაფეებს შორის ამ შემთხვევაში ეს საჩაიე აერჩია? თუ გავითვალისწი-

ნებთ იმასაც, რომ შვეიცარიაში ჩაის ცოტას სვამენ, განა გასაკვირი არ არის, რომ იგი სწორედ იქ მოდიოდა, სადაც უმთავრესად ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცები დადიოდნენ? ოფიციანტი დაკითხვაზე გამოიძახეს და მან, უპირველეს ყოვლისა, აღიარა, რომ ანონიმური წერილი... მის მიერ იყო დაწერილი. მას უნდოდა ამგვარად ყურადღება მიექციათ უცნობისათვის, რომელიც ორი თვის წინ ჩამოვიდა შვეიცარიიდან. უცნობმა უთხრა, რომ იცის სად იმყოფება ბელგიაში მისი ძმა, რომელსაც უმალავდნენ ოფიციანტს ქმრის მშობლები. მათ ყველას დახვრეტა ელოდა. შვეიცარიელი ოფიციანტისაგან მოითხოვდა, თუ არ სურდა თავისიანების დაღუპვა, ეცნობებინა მისთვის ყველაფერი, რასაც შეიტყობდა ჯარისკაცებისაგან, რომლებიც საჩაიეში. დადიოდნენ. იგი ქალსაც სიკვდილით ემუქრებოდა, თუ მის ბრძანებებს არ შეასრულებდა.

კონტრდაზვერვამ დაიგვიანა. ალბათ, რაღაცით შეშფოთებული ჯაშუში საჩქაროდ გაემგზავრა დილის პირველი მატარებლით პარიზში და მრავალმილიონიან ქალაქში უკვალოდ გაქრა. სამი თვის შემდეგ სრულიად სხვა საქმით დაკავებული ვუდპოლი „შვეიცარიელს“ ერთ ცნობილ ინტერნაციონალურ კაფეში შეხვდა. ჯაშუში ერთ ახალგაზრდა ლამაზ ქალთან ერთად მაგიდას უჯდა. ვუდპოლმა სასწრაფოდ აცნობა კაფეში მყოფ ფრანგ კონტრმზვერავებს. უცნობი და მისი თანამგზავრი იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც კაფედან გამოდიოდნენ. ეს იყო ცნობილი გერმანელი მზვერავი ანდრე პოტენი, რომელსაც მთელი რიგი სხვა სახელებიც ჰქონდა, ქალი კი გერმანიის ერთი ყველაზე საშიში ჯაშუში მარგარიტა ფრანშლარი აღმოჩნდა.

მეომარი ქვეყნების საიდუმლო სამსახურის მუდმივი „ურთიერთშეხებისას“ თითოეული დაზვერვა ცდილობდა უზრუნველეყო თავისი აგენტების მეტად არამყარი „ერთგულება“ და ხშირად მიმართავდნენ დაშინებასა და ტერორს.

გერმანიის დაზვერვა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე უყოყმანოდ „იშორებდა“ აგენტებს, რომლებსაც რატომღაც უვარგისად თვლიდა. ამისათვის სხვადასხვა საშუალებას იყენებდნენ — საწამლავიდან დაწყებული დუელში მოკვლით გათავებული (ასეთი შემთხვევების მაგალითები მოჰყავს თავის მოგონებებში კარლ გრეევსს).

ომის დროს პარიზში ცხოვრობდა კომედიის მსახიობი მარუსია დესტრელი. არავინ იცოდა, საიდან იყო იგი. ზოგი მას პოლონელად თვლიდა და ძალიან ცოტასათვის იყო ცნობილი, რომ ის გერმანიის დაზვერვისათვის მუშაობდა. ერთხელ მსახიობთან შევიდა ფრანგი

ჟურნალისტი, რომელიც თეატრალურ ქრონიკას ხელმძღვანელობდა „გაზეთში. მსახიობმა მას ერთ საქმეში დახმარება სთხოვა. საკუთარი საქმეების გამო მარუსია დესტრელი შვეიცარიას უნდა ჩასულიყო. მაგრამ ვინაიდან იგი საფრანგეთის ქვეშევრდომი არ იყო, არ შეეძლო იმედი ჰქონოდა. რომ კვლავ მიიღებდა საფრანგეთში დასაბრუნებელ ვიზას. ამიტომ სთხოვა ჟურნალისტს გამოეგზავნა მისთვის დეპეშა, თითქოს იგი ძალიან სჭირდებოდათ თეატრში მთავარი როლის შესასრულებლად. ეს დეპეშა საფუძველი იქნებოდა ვიზის მიღების შუამდგომლობისათვის.

ჟურნალისტი მზად იყო ლამაზი ქალის ეს უბრალო თხოვნა შეესრულებინა. მაგრამ როდესაც იგი მის ბინას სტოვებდა, გამცილებელმა მსახურმა მოულოდნელად წასჩურჩულა: „თუკი თქვენ შეხვდებით მენახშირეს ან დუქნიდან გამოგზავნილ შიკრიკს, არ შეშინდეთ. ის ვინმე ჩვენიანი იქნება“. განცვიფრებული ჟურნალისტი დაფიქრდა და პოლიციაში მივიდა. იქ იგი მასხრად აიგდეს, მაგრამ მეორე ბიუროს საქმე სერიოზულად ჩათვალა. მიუხედავად იმისა, რომ მარუსია დესტრელის ჯაშუშობის შესახებ არავითარი მტკიცება არ მოიპოვებოდა, მასზე მაინც უკვე ეჭვი ჰქონდათ მიტანილი. რასაკვირველია, მარუსიას პარიზიდან არავითარი დეპეშა არ მიუღია. მაშინ გერმანიის დაზვერვამ უბრძანა მას საიდუმლოდ გადასულიყო საფრანგეთის საზღვარზე და პარიზში არალეგალურად ეცხოვრა. ამავე დროს მასთან მივიდა საფრანგეთის დაზვერვის წარმომადგენელი და გულახდილად შესთავაზა გამოეცვალა პატრონები. მსახიობისათვის ნათელი გახდა, რომ ფრანგებმა იცოდნენ გერმანიის სასარგებლოდ მისი ჯაშუშური მოღვაწეობის ამბავი. ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა, საფრანგეთში საიდუმლო გადასვლის ბრძანების შესრულებისათვის თავი აერიდებინა.

თითქოს თვით გერმანელი დამქირავებლების თვალსაზრისით მსახიობი მართალი იყო, წინააღმდეგობას რომ უწევდა მათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრძანების შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა დაუსჯელად დაეტოვებინათ. იგი გერმანიის საელჩოში რაღაც საზეიმო ბანკეტზე მიიწვიეს. მეორე დღეს კი მარუსია დესტრელი მკვდარი ნახეს თავის ოთახში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა მოწამვლა. დაადგინეს, რომ მსახიობმა თავი მოიკლა. შვეიცარიის ხელისუფლებამ ზრდილობისათვის თავი მოაჩვენა, თითქოს ეძებდა მკვლელებს. ძებნამ, რასაკვირველია, არავითარი შედეგი არ გამოიღო და ჩქარა კიდეც შეწყდა.

მზვერავებს ტექნიკის სიახლის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა ხშირად ძვირად უჯდებოდათ.

ინგლისის კონტრდაზვერვამ შემოიღო გერმანელი სამხედრო ტყვეების ლაპარაკის მოსმენის სისტემა მიკროფონის დახმარებით, რომლის არამც თუ შესაძლებლობაზე, ხრსებობაზეც კი გერმანელების მნიშვნელოვანმა ნაწილმა არაფერი იცოდა. ინგლისელები ამ გზით ახერხებდნენ დამატებითი ინფორმაციის მიღებას არა მარტო გერმანიის არმიაზე. რომლის შესახებაც ტყვეები დაკითხვის დროს დუმდნენ, არამედ ზოგჯერ გერმანიის დაზვერვის მოქმედებაზეც. საქმე ისაა, რომ ინგლისის კონტრდაზვერვა ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ტყვეებთან, რომლებიც გზების გაყვანაზე, ჯარების მოსათავსებელი შენობების მშენებლობაზე და სხვა ამგვარ სამუშაოებზე მუშაობდნენ.

როდესაც ინგლისის დაზვერვის კაპიტანს უოლტონს ამერიკის ჯარების განლაგების რაიონში — რამორანტენში — გერმანიის ჯაშუშების დაჭერა დაავალეს, მან, უპირველეს ყოვლისა, მეთვალყურეობა ახლომდებარე სამხედრო ტყვეების ბანაკზე დააწესა. თვალყურის დევნებამ ნაყოფი მალე გამოიღო: დადგენილ იქნა, რომ საიდუმლო ცნობების დინების ადგილი იყო ამერიკელ ოფიცერთა კლუბი, სადაც გერმანელების ჯაშუში, ფრანგი პიკარი მოქმედებდა. პიკარმა ამერიკის სარდლობას გადასცა ძველი უკაცრიელი შენობა და თავისი ნებით იკისრა ოფიცერთა სამზარეულოს სურსათით მომარაგება.

უოლტონს ამერიკელი ოფიცრების თანამშრომლობის იმედი არ ჰქონდა, რადგანაც მათ არ უყვარდათ ინგლისელები და მით უფრო ვერ იტანდნენ ბრიტანეთის კონტრდაზვერვის თანამშრომლებს, მაგრამ სანამ დააპატიმრებდნენ პიკარს, რომელიც შეუცვლელი კაცი გახდა კლუბში, საჭირო იყო უცილობელი მტკიცების დადგენა, ამისათვის უნდა გამოეკვლიათ, თუ რა გზით გადასცემდა 'იგი მიღებულ ინფორმაციას. მეთვალყურეობა დააწესეს ოფიცერთა კლუბის მთელ კორესპონდენციებსა და ყველა იმ პირზე, რომლებიც ამ რაიონებში აშკარად უმიზეზოდ ჩამოდიოდნენ. და ბოლოს დაკითხეს ნაცნობი ოფიცრები (ამ დაკითხვამ ისეთი აღელვება გამოიწვია, რომ ინციდენტის აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა ამერიკელთა მთავარსარდლის გენერალ პერშინგის ჩარევა).

ოთახის ფანჯრიდან თვალთვალის შედეგად უოლტონი დარწმუნდა, რომ პიკარი ყოველ ღამე ადგენს რაღაც ჰატაკს. მაგრამ ვის მიჰ-

ქონდა ისინი მისგან? ეპვი აიღეს 18 წლის გოგონაზე პიკარის დისწულ მარსელზე. ლამაზი ქალიშვილი, რომელსაც გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა, დიდი წარმატებით სარგებლობდა ოფიცრებში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი ბიძის დამცველთა რიგები. მარსელი ხშირად მიემგზავრებოდა პარიზს, როგორც თვითონ ამბობდა, მშობლების სანახავად და აუცილებელი საყიდლებისათვის. ამ მგზავრობის მიზნის გამოკვლევა უილტონმა ინგლისის კონტრდაზვერვის აგენტს ივონას დაავალა. ივონა ამერიკელებთან მოაწყვეს სამუშაოდ და სავსებით ბუნებრივია, რომ მალე გაიცნო იქვე ახლო მცხოვრები ერთი ქალი, რომელსაც მარსელი ერქვა. ერთხელ ივონამ სთხოვა მარსელს, ისიც თან წაეყვანა პარიზში. იგი სიამოვნებით დათანხმდა, მაგრამ მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, ივონამ ვერაფრით ვერ გაიგო, რა ეწყო იმ დიდ ჩანთაში, რომელიც თან ჰქონდა წამოღებული მის თანამგზავრს. მარსელმა უთხრა, ჩანთაში ჩემი საშინაურო წერილებიაო. მაშინ ინგლისელმა მზვერავმა ქალმა უკიდურეს საშუალებას მიმართა. მან მარსელს შეუმჩნევლად ჭიქაში სასაქმებელი წამალი ჩაუყარა. ფხვნილმა იმოქმედა და ივონას თანამგზავრს მაგიდიდან საჩქაროდ ადგომა მოუხდა. მოუფიქრებლობის გამო დარჩა ჩანთა, რომელსაც აქამდე წუთითაც არ იცილებდა. პიკარის პატაკი ინგლისის კონტრდაზვერვის თანამშრომელ ქალს ჩაუვარდა ხელში. იგი განკუთვნილი იყო ვინმე ქალბატონ ბუშარისათვის, რომელიც ავენიუ მონტენზე ცხოვრობდა. ბუშარი კი პატაკებს ბარსელონაში გზავნიდა. 1918 წლის შემოდგომაზე პიკარი, მისი ძმისწული და ქალბატონი ბუშარი სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს.

ხმის ჩამწერი აპარატები, რომლებსაც მაშინ დიქტოგრაფებს უწოდებდნენ, ომის მეორე ნახევარში მეომარი ქვეყნების დაზვერვათა მუშაობაში ფართოდ გავრცელდა.

1918 წლის სექტემბერში ერთმა ცრუ ბარონესამ, რომელიც საეპვო რეპუტაციით სარგებლობდა, ამერიკის საიდუმლო სამსახურის უფროსს შვეიცარიაში მიღება სთხოვა. მან აცნობა, რომ ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, მაკედონიაში დამარცხების შემდეგ, გადაწყვიტა მიეღწია სეპარატული ზავის დადებისათვის და უნდოდა სცოდნოდა, თანახმა არიან თუ არა ანტანტის ქვეყნები, რომ ტახტზე დატოვონ მეფე ფერდინანდი. ბულგარეთის მთავრობამ ნიადაგის მოსასინჯად ერთი დიპლომატი გაგზავნა. ბარონესამ ამერიკელს შესთავაზა, ბულგარეთის სამინისტროს გამოგზავნილთან საიდუმლო შეხვედრა მოეწყო. ამასთანავე ბარონესამ დაუმატა, რომ ამერიკელ მზვერავს შეუძლია თავი შეიკავოს რაიმე სავალდებულო განცხადე-

ბისაგან, მან მხოლოდ ჩუმად უნდა მოისმინოს, რასაც მას ეტყვიან. ბარონესამ გააფრთხილა, რომ იგი საიდუმლოდ დადგამს ოთახში დიქტოგრაფს. ვაშინგტონიდან შესაბამისი ინსტრუქციების მიღებისთანავე ამერიკელი პაემანზე წავიდა და სოფიის წინადადება მოისმინა. ბარონესამ კი ფირფიტა, რომელზედაც ჩაწერილი იყო საუბარი, გერმანელებს ძვირად მიჰყიდა. ფირფიტაზე ჩაწერილი საუბრიდან გაირკვა, რომ ფერდინანდი თავისი გერმანელი მოკავშირეების მიტოვებას და სეპარატული ზავის დადებას აპირებდა. ფირფიტა შვეიცარიის ხელისუფლებსაც მიჰყიდეს. მათ იგი შეიძინეს როგორც ანტანტის ქვეყნების დაზვერვათა მიერ შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევის დამამტკიცებელი საბუთი.

კაპიტან ლადუს ტრაგედია

საფრანგეთის ორმხრივ ჯაშუშთაგან ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი იყო 20 წლის ლამაზი ქალი მარტა რიშე, რომლის მეუღლე ფრონტზე დაიღუპა ომის პირველ წელს. მარტა ამაოდ ცდილობდა სამხედრო ავიაციაში შესვლას. იგი საფრანგეთის სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსმა კაპიტანმა ლადუმ გაიცნო და ურჩია მასთან ემუშავა. დასაწყისში ლადუ თითქოს მაინც და მაინც არ ენდობოდა თავის ახალ თანამშრომელს: ჯაშუშობანიის ვითარებაში, რომელიც მაშინ საფრანგეთში სუფევდა, მარტამ ერთ თავის მეგობარს ეჭვი აღუძრა. მან იცოდა, რომ ის იცნობდა ჟურნალისტებს, რომლებზედაც დაწესებული იყო მეთვალყურეობა.

რიშეს პირველი გამოსვლა მზვერავის როლში მარცხით დამთავრდა. იგი შვეიცას გაგზავნეს იმ იმედით, რომ შესძლებდა გერმანიის სამსახურში შესვლას. მაგრამ გერმანიის დაზვერვამ მაშინვე ეჭვი მიიტანა ახალგაზრდა ფრანგ ქალზე, როგორც მეორე ბიუროს აგენტზე, და მარტა იძულებული იყო საჩქაროდ (მთელი რიგი საშიში თავგადასავლების შემდეგ) შვეცია დაეტოვებინა და პარიზში დაბრუნებულიყო.

კაპიტანი ლადუ პირველმა დამარცხებამ როდი შეაშფოთა. 1916 წლის ზაფხულში მარტა რიშე გაემგზავრა ესპანეთის მოდურ კურორტ სან-სებასტიანში, სადაც მეომარი ქვეყნების მდიდარი ტურისტები მთელ დროს ქეიფსა და ლხინში ატარებდნენ. მან მიიღო თავისი ქალიშვილობის გვარი და ამიერიდან იწერებოდა ბეტენფელდად, რომელიც გერმანულად ჟღერდა. ესპანეთში იმ დროს არსე-

ბობდა გერმანიის მსხვილი სადაზვერვო ცენტრი, რომელსაც, ელჩის გარდა, სამხედრო ატაშე ფონ კალე და სამხედრო-საზღვაო ატაშე ფონ კრონი ხელმძღვანელობდნენ.

გერმანელებმა თავის საიდუმლო აგენტებს შორის მკაცრი იერარქია დააწესეს. ცენტრის ხელმძღვანელების შემდეგ იდგნენ როგორც სამოქალაქო, ისე არმიისა და ფლოტის ნამდვილი სამსახურის ან თადარიგის გერმანელი ოფიცრები, რომლებსაც ომმა ესპანეთში მოუსწრო. შემდეგი რგოლი დამქირავებელი აგენტებისაგან („მდივნებისაგან") შედგებოდა. აგენტების მთავარი მასა შედგებოდა „ცნობების მიმწოდებლებისაგან". ისინი, როგორც წესი, ესპანელები იყვნენ. გერმანელები მათ არ ენდობოდნენ. უფრო მეტიც, თვლიდნენ, რომ „ცნობების მიმწოდებლების" მნიშვნელოვანი ნაწილი ორივე მხარისათვის მუშაობდა. აგენტების ამ იერარქიის გარდა იყვნენ ჯაშუშები, რომლებიც მასში არ შედიოდნენ, მაგრამ დრო და დრო სპეციალურ დავალებებს ღებულობდნენ. უნდა დავუმატოთ, რომ გერმანიის სამხედრო მდგომარეობის გაუარესების მიხედვით „ცნობების მიმწოდებელთა" ინფორმაცია უფრო ტენდენციური ხდებოდა — ისინი მომხდარ შემთხვევებს ისეთი სახით წარუდგენდნენ თავიანთ დამქირავებლებს, რომ ეს მათთვის სასიამოვნო ყოფილიყო. 1918 წელს პარიზზე მომხდარი საჰაერო თავდასხმის შედეგებზე ერთ-ერთ ცნობაში იტყობინებოდნენ, ქალაქში 600 მოკლული და მილიონი (!) დაჭრილიაო. ჯაშუშების გარდა, გერმანიის სადაზვერვო ცენტრი დაკავებული იყო სხვადასხვა დივერსიის ორგანიზაციით, კერძოდ, რამდენადაც საქმე საფრანგეთს ეხებოდა, სურსათ-სანოვაგის, საქონლის მოწამვლით, ჰიდროსადგურების დანგრევით, სამხედრო ქარხნების აფეთქებით. ინგლისის აგენტურა გერმანიის სადაზვერვო ცენტრთან შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა. ინგლისის სასეირნო იალქნიანი იახტები ხშირად წარმოადგენდნენ სამეთვალყურეო პუნქტებს. საიდანაც ბრიტანეთის მზვერავები უთვალთვალებდნენ ესპანეთში გერმანიის წყალქვეშა ნავების შემოსვლას საწვავი მასალის შესავსებად. ინგლისელებმა მოისყიდეს სამხრეთ ესპანეთის კონტრაბანდისტების მეთაური, რომ მის ხალხსაც წყალქვეშა ნავების შემოსვლა-გასვლისათვის თვალყური ედევნებინა. გერმანელებმა სცადეს საჭირო კაცის გადაბირება. ამისათვის ერთი სანდომიანი ქალიშვილიც კი მოავლინეს ჰამბურგიდან. ინგლისელი პოლკოვნიკი ტორტონი ძალიან ნერვიულობდა, როდესაც კონტრაბანდისტსა და გერმანელ მაცთუნებელს შორის რომანის სწრაფ განვითარებას თვალს ადევნებდა. საბოლოოდ ინგლისელებისათვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. ქალიშვილმა

გერმანიის ხელისუფლების გეგმები აწეწა. მას ეცოტავა 10 ათასი პესეტი, რომელიც შეყვარებულმა კონტრაბანდისტმა მისცა. ესპანელი მადრიდიდან დაბრუნდა ცხვირდაკაწრული და როგორც თავგამოდებული ანგლოფილი.

ინგლისელებმა გერმანიის სადაზვერვო ცენტრში მაინც ვერ შეაღწიეს. ეს ამოცანა მარტა რიშეს წინაშე დასვეს.

ქალაქ სან-სებასტიანის კაზინოში მარტას გაუარშიყდა გერმანელი, რომელმაც შემთხვევითი შეხვედრის დროს გერმანიის საზღვაო ოფიცერი სტეფანი გააცნო. სტეფანმა რომ გაიგო ფრანგ ქალს ფული არ ჰქონდა, შემდეგი შეხვედრის დროს გერმანელების სასარგებლოდ მუშაობა შესთავაზა. მარტა დათანხმდა და აშკარად აგრძნობინა, რომ ის ელოდა კარგ ანაზღაურებას და სტეფანის უფროსთან შეხვედრა მოიწადინა.

შეხვედრა მოხდა პლაჟზე, დილით ადრე. მაღალმა, გამხდარმა, მუქსათვალიანმა გერმანელმა მარტა მდიდრულ „მერსედესში" ჩასვა და უცნობი ქუჩებით სწრაფად გააქროლა. გერმანელმა მარტას კონვერტი გადასცა. მასში იყო 3 ათასი პესეტი და სია შეკითხვებისა, რომლებიც პარიზის საჰაერო თავდაცვას და საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებთა მორალურ მდგომარეობას ეხებოდა. მარტას გადასცეს აგრეთვე სპეციალური კალამი მოვერცხლისფრო-მოშავო ბურთულებით. ბურთულების წყალში გახსნისას ღებულობდნენ სიმპათიკურ მელანს — კოლარგოლს, რომელიც გერმანელმა ქიმიკოსებმა ის-ის იყო გამოიგონეს. მარტამ მიიღო მადრიდის მისამართი, სადაც მოპოვებული ცნობები უნდა გადაეგზავნა, და თავის თანამგზავრს გამოემშვიდობა.

კაპიტანი ლადუ კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. მაღალი, გამხდარი გერმანელი ბარონი ფონ კრონი მადრიდში სამხედრო-საზღვაო ატაშე და გერმანიის შტაბის გამოჩენილი მოღვაწის გენერალ ლუდენდორფის ძმისწული აღმოჩნდა. პარიზიდან ესპანეთში დაბრუნებული მარტა უკვე სასაზღვრო სადგურ ირუნში შეხვდა ფონ კრონს. გამოირკვა, რომ წერილი, რომელიც მარტას სახელით უნდა გაეგზავნა ლადუს, რატომღაც დანიშნულ ადგილზე არ მივიდა. ეს საფრანგეთის დაზვერვის ამოუხსნელი შეცდომა იყო. მაგრამ ფონ კრონმა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მისცა. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო მარტასაგან, როგორც მას ეჩვენებოდა, სასარგებლო ინფორმაცია. თანაც 50 წლის ბარონი გატაცებული აღმოჩნდა თავისი ახალი თანამშრომლით, რომელიც მისი საყვარელი გახდა.

კრონის დავალებით მარტა ისევ პარიზს გაემგზავრა. კაპიტანმა

ლადუმ. საგულისხმო ვერაფერი უთხრა დაკარგულ (ან საერთოდ გაუგზავნელი) წერილის შესახებ.

მადრიდში, ბარკილიოს ქუჩაზე მდებარე სახლში, რომელიც ფონ კრონმა რიშესათვის დაიქირავა, სამხედრო ატაშემ თავისი აგენტების მიღებაც კი დაიწყო. ბარონთან ერთად მარტა სამხრეთ ესპანეთში, კადისში გაემგზავრა. გერმანელები ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ მაროკოელთა ტომების ბელადებთან და გამოეყენებინათ მათი სიძულვილი ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. მარტამ მეზობელი ოთახის ფანჯრიდან ყური დაუგდო ფონ კრონისა და ვიღაც უცნობი კაცის საუბარს. გაიგონა, როგორ აცნობა მან გერმანულად ზუსტი ადგილი ესპანეთის წყლებში, სადაც 6 ნავი დაელოდებოდა ტრანსპორტს. მეტის მოსმენა ვერ მოახერხა: ფონ კრონმა ფანჯარა დაკეტა. მარტამ მაშინვე დაწერა ღია ბარათი და პარიზს აფრინა. ბარათში იგი აცნობებდა მოპოვებულ მნიშვნელოვან ცნობებს. შემდეგში მას ბედმა უფრო გაუღიმა. ფონ კრონმა გადაწყვიტა მარტა ტანჟერში გაეგზავნა გერმანიის აგენტურისათვის ინსტრუქციების გადასაცემად. მან მარტას ერთი შეხედვით თითქოს გაუხსნელი საფოსტო ქაღალდების ყუთი გადასცა. მაგრამ ამ ფურცლების ნახევარი, როგორც გაიფრთხილა ბარონმა მარტა, სიმპათიკური მელნით დაწერილ ტექსტს შეიცავდა. ტანჟერში მგზავრობისათვის საჭირო იყო საფრანგეთისა და ინგლისის ვიზები. მარტამ შედარებით, ადვილად მიიღო ვიზა საფრანგეთის საელჩოში, გაბედა და პირდაპირ ინგლისის კონსულთან მივიდა მადრიდში, აცნობა ვინ იყო იგი და რა მიზნით მიემგზავრებოდა ტანჟერს, გააცნო აგრეთვე მოსმენილი ცნობები წყალქვეშა ნავებზე. კონსულმა ვიზა მისცა. ტანჟერში ჩასვლისას მუშამ, რომელმაც მარტას ნივთები სასტუმროს ნომერში მიიტანა, პირობითი პაროლი „ს-32“ წარმოთქვა (ამ ნომრით ირიცხებოდა რიშე ფონ კრონის აგენტთა სიაში).

საფოსტო ქაღალდების ყუთი რომ მიიღო, ბარგის მზიდავმა ცრუ მუშამ მარტას მეორე დღეს საბაჟოში შეხვედრა დაუნიშნა, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. ინგლისელების მიერ მიღებულმა ზომებმა გერმანელებს საშუალება არ მისცა იარაღი მაროკოში ჩამოეტანათ.

ამ დროისათვის ფონ კრონი არამც თუ თავისი ლამაზი ხელქვეითის გავლენის ქვეშ იყო, არამედ გულუხვად ხარჯავდა მასზე სახელმწიფო ფულს. ყოველგვარი საბაბის გარეშე აძლევდა „პრემიებსა“ და „ფულად ჯილდოს“. პარიზში ძვირფასმა ინფორმაციებმა იწყეს დენა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფონ კრონმა მარტას მნიშვნელოვანი მი-

სია დაავალა. იგი ოკეანით არგენტინაში უნდა გამგზავრებულიყო გერმანელი აგენტებისათვის ინსტრუქციების გადასაცემად და, რაც მთავარია, თან უნდა წაეღო ორი თერმოსი, რომლებშიც სოფლის მეურნეობის მავნებლები — ცხვირგრძელები იმყოფებოდნენ. გერმანიის დაზვერვას უნდოდა ცხვირგრძელებით მოეწამლა ხორბალი, რომელიც არგენტინიდან ანტანტის ქვეყნებში იგზავნებოდა. როგორც იქნა, მარტა გემზე შეხვდა თავის თანაშემწეს — ლეიტენანტ მარის, რომელიც პარიზიდან გამოგზავნეს. საფრანგეთის დაზვერვა გაბედულად მოქმედებდა: ცხვირგრძელები ჯერ წყალში ჩაახრჩეს, შემდეგ გააშრეს და იმ ხორბალში აურიეს, რომელიც მარტას ღორმუცელა მავნებლების გამოსაკვებად მიჰქონდა. გერმანიის აგენტებისათვის გადასაცემი ინსტრუქციები პარიზში გაგზავნეს. სამაგიეროდ, რიშემ კოლარგოლით რაღაც სრულიად უაზრო ტექსტი დაწერა და ქაღალდი ზღვის წყალში დაასველა. ჩამოვიდა თუ არა ბუენოს-აირესში, მან გერმანიის საზღვაო ატაშე მიულერს გადასცა გაუვნებლებული ცხვირგრძელებიანი თერმოსები და ქაღალდები, რომლებიც, როგორც მარტამ გააფრთხილა, კაიუტაში ილუმინატორიდან წყლის შემოსხმის შედეგად დასველდა. რასაკვირველია, გერმანელებმა დასველებული ტექსტის წაკითხვა ვერ შეძლეს და არ იცოდნენ გადაცემული თერმოსებისათვის რა ექნათ.

მარტა რიშეს მრავალი წინადადება არ მიიღო მეორე ბიუროს, რომელსაც მთელ ამ ისტორიაში გაუგებარი პოზიცია ეკავა. შემდეგ კი რიშეს გეგმები მანქანის კატასტროფის გამო ჩაიშალა. მარტას ფეხი მოტყდა, მინის ნამსხვრევებით თავში დაიჭრა. მასთან მყოფ ფონ კრონს მთელი სახე დაესერა.

ამ დროს რიშეს ჩაესახა გეგმა, რომელსაც უნდა დაესრულებინა მისი, როგორც ორმხრივი აგენტის, მუშაობა. ერთხელ მან კრონი შუადღის დასვენებისას, რომელსაც იგი მტკიცედ იცავდა, შეაწუხა, და ფული სთხოვა მას. ვინაიდან კრონს ადგომა არ სურდა, გასაღები მისცა და სეიფის გაღების კომბინაცია აუხსნა. მარტა იმედოვნებდა, რომ ესპანეთში მოქმედი გერმანიის აგენტურის სიას მოიპარავდა. მარტამ სან-სებასტიანში, სადაც ის ფონ კრონთან ერთად ჩამოვიდა, გაიცნო ფრანგი დეზერტირი და გადაწყვიტა მისი გამოყენება თავისი მიზნების შესასრულებლად. მარტამ ბარონს უთხრა, რომ ამ ფრანგის გადმობირებას აპირებს გერმანიის სამსახურში. მაგრამ სხვაგვარად გამოვიდა. ამ ფრანგის „მეგობრები“, რომლებსაც მან მარტა წარუდგინა და რომლებმაც ის ნავით სასეირნოდ მიიპატიჟეს, გერმანიის ელჩის თუ ფონ კალეს აგენტები აღმოჩნდნენ. მზვერავი ქალი და-

ლუპვას თავდაჭერამ გადაარჩინა. როდესაც მიხვდა, თუ რა საშიშროება ელოდა, ნავი გადააბრუნა, და თუმცა ჯერ მთლად გამოჯანსაღებული არ იყო, მაინც მოახერხა ნაპირამდე მიღწევა: ადგილობრივმა ექიმმა პირველი დახმარება აღმოუჩინა და თავისივე თხოვნით მარტა მიიყვანეს სასტუმრო „კონტინენტალში", რომელიც ფრანგ ქალს ეკუთვნოდა. გერმანელებს იქ შესვლა აკრძალული ჰქონდათ. მარტამ დაურეკა ბარონს და აცნობა, რამდენიმე დღე სასტუმროში დავრჩები, რადგან ცურვის დროს კლდეზე მხარი დავიშავეო. ბარონმა შეუთვალა, მე მივემგზავრებიო. მარტამ უპასუხა, მაშინ ვისარგებლებ თქვენი არყოფნით — მეგობრებს ვინახულებო — და პარიზს გაემგზავრა.

მარტამ კაპიტან ლადუს ფონ კრონის სეიფის გაძარცვის დაწვრილებითი გეგმა წარუდგინა. ამისათვის მას სჭირდებოდა ძილის მომგვრელი საშუალება და თანაშემწე, რომელიც დანიშნულ დროს ბარონის ფანჯრებთან, დაელოდებოდა და რაც კი რამ იყო სეიფში, ჩაიბარებდა. მაგრამ ლადუ უარზე იყო, რადგან. ამ გეგმას ძალიან საშიშად თვლიდა. როგორც ჩანს, მხოლოდ დიდი ხვეწნის შემდეგ დათანხმდა კაპიტანი და მეორე დღეს მარტას რამდენიმე პაკეტი ძილის მომგვრელი საშუალება გადასცა. მარტამ მიღებული ფხვნილის შესახებ უამბო ერთ თავის მეგობარს, რომელიც დაზვერვაში მუშაობდა. მან მშვიდად ჩაყარა ორი პაკეტი ფხვნილი ლუდით სავსე ჭიქაში და დალია. პაკეტები სრულიად უვნებელ ნარევს შეიცავდა.

აიცილა თუ არა გზაზე ფონ კალეს აგენტების თვალთვალი, მთელი რიგი შეფერხებების შემდეგ, რაც საფრანგეთის საკონსულოს მიერ იყო გამოწვეული, მარტა ისევ სან-სებასტიანში ჩავიდა, შემდეგ კი — მადრიდში. მალე რიშეს პაემანი დაუნიშნა ესპანეთის დედაქალაქში ჩამოსულმა საფრანგეთის დაზვერვის ახალმა უფროსმა. მან არც კი იცოდა რიშეს კონსპირაციული სახელი — „ტოროლა".

მარტამ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი ეს უნდა დამთავრებულ. მან პირში უთხრა განცვიფრებულ ფონ კრონს საფრანგეთის დაზვერვაში მისი მუშაობის შესახებ. ბარონმა მხოლოდ უხეირო ნაბიჯის გადადგმა მოახერხა — ესპანელი პოლიციელის დახმარებით მარტა, როგორც ჯაშუში, დააპატიმრა. მაგრამ უკვე გვიან იყო. მარტა გერმანიის ელჩს თავად რატიბორს დაუკავშირდა. მან შეურაცხყოფილი ქალის სახით გადმოულაგა ფონ კრონის მიერ მის სახელზე გამოგზავნილი სასიყვარულო წერილების მთელი დასტა და ამხილა სამხედრო-საზღვაო ატაშეს სეიფის კომბინაცია. ელჩი დარწმუნდა, რომ

ფონ კრონის მიერ შექმნილი ჯაშუშობის მთელი ქსელი ფრანგებისათვის ცნობილი იყო. მალე იგი ესპანეთიდან გაიწვიეს.

პარიზში მარტა მიიღო პოლკოვნიკმა გუბემ და დატუქსა იგი პოსტის თვითნებური დატოვების გამო. კაპიტან ლადუს მან უკვე იქ ვერ მიუსწრო. იგი დაპატიმრებული იყო ერთი მისი თანამშრომლის ლენუარის დაბეზღებით, რომელიც სინამდვილეში გერმანიის აგენტი აღმოჩნდა. ლენუარი მოგვიანებით ამხილეს და სიკვდილით დასაჯეს. ლადუ სასამართლომ უკვე ომის დამთავრების შემდეგ გაამართლა. მან თავის სპეციალურ წიგნში აღწერა ისტორია მარტა რიშესი, რომელიც 1933 წელს ორდენით დაჯილდოების შემდეგ პრესაში გამოვიდა თავისი ცნობილი მოგონებებით. მაგრამ მეორე ბიუროს „ტოროლას“ და გერმანიის აგენტის „ს-32“-ის თავგადასავლის მთელი რიგი მომენტები ისევ გამოუურკვეველი დარჩა.

საფრანგეთის დაზვერვას ამ დროს (1916—1917 წწ.), მართლაც, რაღაც უცნაური ამბავი ემართებოდა.

როდესაც 1917 წლის შემოდგომაზე ხელისუფლებას სათავეში კლემანსოს მთავრობა ჩაუდგა, მან ომის გამარჯვებით დამთავრებისათვის გამოაცხადა „გამცემლებისაგან“ გადამწყვეტი წმენდა. მაგრამ ამ კატეგორიას უფრო რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და ჯარისკაცებს, აგრეთვე პაციფისტური შეხედულებების ზოგიერთ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს აკუთვნებდნენ. გაძლიერდა ცენზურისა და პოლიციის სიმკაცრე, კონტროლი ნეიტრალური ქვეყნების საზღვარზე. მაგრამ ეს „წმენდა“, ეტყობა, არ შეეხო იმ გავლენიან ძალებს, რომლებიც ასე ხშირად ურევდნენ საფრანგეთის მრავალი მზვერავის გეგმებს.

... ელზასელი დომინიკ შუტერი შვეიცარიას გაიქცა. იგი ბავარიაში, ლორახში გერმანიის პოლიციის უფროსთან რეინინგთან შიკრიკად მუშაობდა. შვეიცარიის პოლიციის კომისარი რეინინგის თხოვნით ყოველნაირად ცდილობდა აეძულებინა. იგი დაბრუნებულიყო გერმანიაში, მაგრამ ამაოდ. პირველი, რაც შუტერმა „თავისუფალ“ შვეიცარიაში ნახა, ეს იყო კარცერი. მაგრამ ვერც ამან ასწავლა ჭკუა. შვეიცარიის პოლიციის ფორმაში გადაცმული გერმანელი აგენტი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ჯარისკაცი, მაგრამ დაავალდებულა, დღეში სამჯერ პოლიციაში რეგისტრაციისათვის გამოცხადებულიყო.

შუტერს საფრანგეთის დაზვერვამ იმთავითვე მიაქცია ყურადღება, მით უმეტეს, რომ მისი ბიძაშვილი უკვე საფრანგეთის ერთ-ერთი აგენტი იყო. შუტერმა 20-ზე მეტი გერმანელი ჯაშუშის ნიშანი გასცა,

მაგრამ შუტერთან საუბრის დროს საფრანგეთის დაზვერვის წარმოშადგენელმა ლა კაზმა უფრო მნიშვნელოვანი სიახლე შეიტყო. შუტერის მეგობარი, რომელიც მძღოლად მუშაობდა, მზად იყო გამოქცეულიყო და 30 ათასი მარკის ფასად საფრანგეთსა და გერმანიაში მყოფი 200 გერმანელი აგენტის ფოტოსურათი და პირადი ბარათები ჩამოეტანა. წინადადება მეტად მაცდუნებელი იყო. მაგრამ. მიუხედავად ამისა, როდესაც იგი პარიზში გაიგეს, რატომღაც რამდენიმე ხანს საერთოდ დუმდნენ, ხოლო განმეორებითი დაჟინებული შეკითხვების გაგზავნის შემდეგ უცნაური პასუხი მიიღეს: საფრანგეთის აგენტებს ევალებოდათ მოლაპარაკებოდნენ მძღოლს არა პირადი ბარათების მოპარვის შესახებ, არამედ... იმ ვილის აფეთქებაზე, სადაც ეს ბარათები ინახებოდა. ამჯერად საჩქაროდ ჩამოიტანეს ასაფეთქებელი მანქანა, რომელიც გერმანელისათვის უნდა გადაეცათ. პირველად მან უარი თქვა ამ წინადადებაზე, შემდეგ კი ყოველგვარი ხალისის გარეშე დათანხმდა.

საბოლოოდ ყველაფერი ჩაიშალა. მძღოლმა, ალბათ, ამჯობინა ჯოჯოხეთის მანქანა უბრალოდ რეიხში გადაეგდო (რადგან ომის დამთავრების შემდეგ, შემთხვევის ადგილის ახლოს, წყლიდან ამოიღეს ასაფეთქებელი ნივთიერება). პარიზში, ჩანს, ვიღაც კმაყოფილი იყო... უფრო მეტიც, დომინიკ შუტერს ფრანგი მხედრის მუნდირი ჩააცვეს და დაავალეს საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარზე გადამსვლელი გერმანიის აგენტები გამოეცნო. რამდენიმე პირი მან იცნო, მაგრამ არც ერთი მათგანი საფრანგეთის ხელისუფლებას არ დაუპატიმრებია. სამაგიეროდ, თვით დომინიკ შუტერი საჩქაროდ მოაშორეს მის ნაცნობ ფრანგ მზვერავებს და სამოქალაქო პირთა ბანაკში გაგზავნეს. ამ გაუგებარი მოქმედების მიზეზები ასევე საიდუმლოებით მოცული დარჩა.

კაპიტან ლადუს შემდგომი ცხოვრებაც საინტერესოა. მას მთლიანი რეაბილიტაცია მისცეს, ორდენით დააჯილდოვეს და მაიორის ჩინი უბოძეს. გაეიდა თუ არა თადარიგში, ლადუმ რამდენიმე წიგნი დაწერა პირველი მსოფლიო ომის წლებში დაზვერვათა ბრძოლაზე. ამ წიგნებში თითქოს არაფერი იყო ისეთი, რაც რაიმეთი შეურაცხყოფდა რომელიმე გავლენიან პირს. ლადუ 1933 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰიტლერიზმის დამშვიდების „მიუნხენის პოლიტიკა“ მთლად განვითარებული არ იყო და თვით უკიდურეს კონსერვატიულ შეხედულებათა ადამიანებიც კი, რომლებსაც გერმანიისადმი ტრადიციული მტრობა ჰქონდათ შემორჩენილი, „საფრანგეთის დამსამარებლებისათვის“, მომავალ კოლაბორაციონისტებისათვის სასურველნი არ იყვნენ. და მაინც შეუძლებელია არ ვთქვათ, რომ ლა-

დუ ძალიან საეჭვო პირობებში მოკვდა. აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ მისი მეუღლე.

1933 წლის თებერვალში, ე. ი. გერმანიაში ჰიტლერელთა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ, მაიორმა მიიღო წერილი საფრანგეთის გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტისაგან. ფრანგი ჟურნალისტი ესაუბრა სახელგანთქმულ გერმანელ მზვერავ ქალს „ფრაუ დოქტორს" (მასზე კიდევ გვექნება საუბარი). ამ წლებში იგი ისევ რჩებოდა ნახევრად ლეგენდარულ ფიგურად. ლადუს არა ერთხელ დაუწერია მასზე და გერმანელმა ქალმა სურვილი გამოთქვა შეხვედროდა თავის „ძველ მოწინააღმდეგეს", რათა მოეთხრო მისთვის, მიღებულ ინფორმაციაში რა იყო ნამდვილი და რა მოგონილი. ახლა ხომ ყველაფერი ეს ისტორიაა. მათ არასოდეს არ ჰქონიათ პირადი მტრობა და სიმართლის დამალვას უკვე არავითარი აზრი არ ჰქონდა. ლადუმ ბევრი რამ იცოდა „ფრაუ დოქტორის" შესახებ და რასაკვირველია, ბევრი ჭორის არ სჯეროდა. მაგრამ იგი ფრთხილად მოეკიდა ფრაუს წინადადებას. შეხვედროდა ციურიხში მომავალი საალდგომო არდადეგების დროს, რათა გაეხსენებინათ წარსული.

ლადუ დაუკავშირდა ერთ თავის ყოფილ უფროსს, რომელიც კვლავ თვალსაჩინო როლს ასრულებდა საფრანგეთის დაზვერვაში. იმანაც ეს მიპატიჟება მახედ ჩათვალა და დაავალა თავის აგენტს გერმანიაში, გაეგო რა იმალებოდა იმ ინტერესის უკან, რომელსაც „ფრაუ დოქტორი" ლადუს მიმართ იჩენდა.

აგენტი შეხვდა ფრანგ ჟურნალისტს, ვისი მეშვეობითაც გადასცეს ლადუს მიპატიჟება, ჟურნალისტმა კი მაშინვე სინანული გამოთქვა, რომ ასე გაუფრთხილებლად ჩაერია ამ საქმეში. როგორც მისთვის ცნობილი გახდა, „ფრაუ დოქტორს" სრულებითაც არ შეუწყვეტია კავშირი საიდუმლო სამსახურთან. მისი ცნობებით „ფრაუ დოქტორი" — ლუდენდორფის ნდობით აღჭურვილი პირი — ნაცისტი იყო ჯერ კიდევ „ლუდის ამბოხების" დროიდან, 1923 წლიდან და შერისხვა, თითქოს მან რომ განიცადა ნაცისტების დროს, იყო მხოლოდ კომედია, რომელიც ჩქმალავდა გერმანიის დაზვერვაში მისი აქტიური მოღვაწეობის ხელახლა დაწყებას (სხვათა შორის, ეს ფრანგი კორესპონდენტი, ახალგაზრდა ჟურნალისტი და მწერალი, მალე საოცარ ვითარებაში გარდაიცვალა, რომელიც ბოლომდე გამოურკვეველი დარჩა). რასაკვირველია, ლადუმ მიპატიჟებას თავი აარიდა.

ორი კვირის შემდეგ, 1933 წლის მარტის დამდეგს ლადუ ნიცაში იმყოფებოდა. იქ მან მიიღო პაკეტი „ფრაუ დოქტორის" ორი ფოტოსურათით. ერთი — პირველი მსოფლიო ომის დროინდელი, მეორე —

სულ უკანასკნელ დროს გადაღებული. მან ეს ფოტოსურათები თავის მეუღლეს აჩვენა და უთხრა, რომ ეს პაკეტი საფოსტო ყუთში ნახა დაახლოებით დღის 3 საათზე, თუმცა ჩვეულებრივად ამ დროს ფოსტა არ დააქვთ. ამის გარდა, პაკეტზე არ იყო ფოსტის შტემპელი. სურათს ჰქონდა რაღაც წარწერები, რომლის გარჩევას და გაშიფვრას ლადუ გამადიდებელი შუშით ცდილობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი ავად გახდა. ჯერ ფიქრობდნენ, რომ უბრალო გრიპი იყო, მაგრამ ავადმყოფი არ რჩებოდა. ოჯახის ძველ მეგობარ ექიმთან საუბრის დროს ლადუმ აღიარა, რომ თავს „ფრაუ დოქტორის“ ბრძანებით მოწამლულად თვლიდა. იგივე გაიმეორა წერილში, რომელიც კიდევ ერთ თავის მეგობარს გაუგზავნა. მაიორი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას რაღაც სერიოზული ინფექციური დაავადება აღმოაჩნდა. ოპერაცია სჭირდებოდა, მაგრამ იმდენად იყო დასუსტებული, რომ ვერ გადაიტანდა. 20 აპრილს ლადუ გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა მიღებული ფოტოსურათები გადასცა ერთ ნაცნობს, რომელსაც პარიზის პოლიციის პრეფექტურაში თვალსაჩინო პოსტი ეკავა. იგი დაპირდა, რომ ფოტოსურათებს სპეციალისტებთან, გამოკვლევაზე გაგზავნიდა, მაგრამ იმ დროს პარიზის პოლიციაში (ჩვენგან დაუმატებთ, რომელიც სავსე იყო ფაშისტებითა და პროფაშისტებით) სულ სხვა ქარმა დაპბერა. ქალბატონ ლადუს დაჟინებითი შეხსენებების შემდეგ ხელმეორედ გადაღებული „ფრაუ დოქტორის“ სურათები და ახსნა-განმარტებები გამოუგზავნეს, ორიგინალები არქივს გადაეცაო.

ქალბატონი ლადუ მისი მეუღლის მემუარების გამოცემას ცდილობდა, მაგრამ ამ ცდასაც ძალიან ცივად შეხვდნენ გამომცემლები, რომლებიც ჩვეულებრივად სენსაციურ ამბებზე სიხარბეს იჩენენ. ერთი ლიტერატორი, რომელიც ლადუს დაუმუშავებელი მემუარების რედაქტირებას აპირებდა, ჯერ დიდი სიხარულით მოეკიდა საქმეს, მაგრამ მალე უკანვე დაუბრუნა ქალბატონ ლადუს მისგან მიღებული მასალები. მასალებს ზოგიერთი რამ აკლდა. კერძოდ, ჰოლანდიიდან ლადუს თანაშემწის მიერ გამოგზავნილი რომელიღაც ძალზე მნიშვნელოვანი ანგარიში. ლიტერატორმა უთხრა, წარმოდგენა არა მაქვს, როგორ შეიძლებოდა დაკარგულიყო ეს დოკუმენტიო.

რა შეიძლება ითქვას ამ ნაამბობზე? იმის საფუძველზე, რაც ჩვენთვის ცნობილია, თვალში გვხვდება უზუსტობა. „ფრაუ დოქტორი“, როგორც ჩვენ დავრწმუნდებით, არ დაბრუნებულა გერმანიის სადაზვერვო სამსახურში და ნაცისტების ხელისუფლებისაგან მიღებული

შერისხვაც, ალბათ, ტყუილი არ იყო. მაგრამ იგი შერისხეს უფრო გვიან, „გრძელი დანების ღამეების“ შემდეგ, 1934 წლის ივნისში. ამიტომ ლადუსთან თამაშის დაწყების დროს გერმანიის დაზვერვას თავისუფლად შეეძლო „ფრაუ დოქტორის“ სახელის გამოყენება. მაგრამ ჰქონდათ თუ არა ნაცისტებს ამისათვის სერიოზული საფუძველი? საეჭვოა, რომ საქმე მხოლოდ შურისძიება იყო— გერმანიის დაზვერვას მეორე ბიუროს გადამდგარი ოფიცრის გარდა, სხვა ბევრი ობიექტი ჰყავდა შურისძიებისათვის.

საფუძველი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო — თუკი ლადუმ იცოდა რაღაც მნიშვნელოვანი გერმანიის აგენტებზე, რომლებიც ამოუხსნელი რჩებოდა, პირველი მსოფლიო ომის წლებში და რომელთა საქმეში ხელახლა გაყვანას ისევ ცდილობდა ჰიტლერის დაზვერვა. საბუთების მოტაცებასთან დაკავშირებულ ვითარებას ამ აზრამდე მივყავართ. მაგრამ ხომ არ იყო იგი მეტწილად წარმოდგენის ნაყოფი, ან უფრო სწორად, „მემუარების“ გამომცემლების ცდა — შეექმნათ წიგნის გარშემო დიდი ხმაური? დაუჯერებელია, რომ ლადუს ჰქონოდა რაიმე მასალები, რომლებიც მეორე ბიუროს სხვა ხელმძღვანელებისათვის უცნობი იყო და რომ გერმანელებმა იცოდნენ ამ საბუთების ლადუს ხელში არსებობა. თუმცა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში საფრანგეთის მეორე ბიუროში ბევრი საეჭვო საქმე ხდებოდა და ამბავი, რომელიც ნამდვილად მოგონილად ეჩვენებოდათ, მწარე სიმართლე აღმოჩნდებოდა ხოლმე. ასე იყო თუ ისე, ლადუს სიკვდილის გარემოება ფარული ომის ბევრ ამოუხსნელ ამოცანათა შორის დარჩა.

დაკარგულს ვერ დაიბრუნებ

გერმანიის დაზვერვა მთელი ომის განმავლობაში გადამწყვეტ ზომებს იღებდა, რათა აღედგინა თავისი სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელიც 1914 წლის აგვისტოში ერთი დარტყმით გაანადგურეს ინგლისელებმა. მაგრამ ცბიერი ალბიონის სამხედრო საიდუმლოებების გაგება ძნელი აღმოჩნდა.

1915 წლის პირველ თვეებში ინგლისის საფოსტო ცენზურამ ხელში ჩაიგდო რამდენიმე წერილი, რომელიც ფირმა „დირკს და კ“ სახელზე იყო ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში გაგზავნილი. ინგლისის კონტრდაზვერვამ ჯერ კიდევ ადრე დაადგინა, რომ ჰოლანდიის ფირმის ნიღბით იმალებოდა „საფოსტო ყუთი“, რომლის ფუნქციებ-

ში გერმანიაში ჯაშუშური პატაკების გადაგზავნა შედიოდა. ერთი შეხედვით ეს წერილები უვნებელი შინაარსის იყო, მაგრამ უჩინარი მელნით მასში ჩაწერილი ცნობები გაფიქრებინებდათ, რომ მათი ავტორი მალე გაიგებდა მნიშვნელოვან სამხედრო საიდუმლოებებს. წერილებს სხვადასხვა საფოსტო ყუთში უშვებდნენ. ასე რომ, შეუძლებელი იყო გამომგზავნის საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

ინგლისის კონტრდაზვერვამ გადაწყვიტა შეეცვალა წერილები, რომლებიც „დირკსის და კ°“ სახელზე იგზავნებოდა და გერმანელები ყალბი ინფორმაციებით მოემარაგებინათ. მაგრამ როგორ აღმოეჩინათ თვით ჯაშუში? წერილებში იგი ყოველთვის ფულს თხოულობდა — მიეცათ იმედი, რომ მას აღმოაჩენდნენ, როდესაც შეგროვილი ცნობებისათვის გასამრჯელოს გადაუხდიდნენ. მაგრამ ჯაშუში უფრო ადრე აღმოაჩინეს. მორიგი წერილი, რომლის მარკაზე ქალაქ დეპტფორდის საფოსტო განყოფილების შტემპელი იყო, იტყობინებოდა, რომ „ც“ ნიუკასლში გაემგზავრა და წინადადებას იძლევდა ეცნობებინათ „201-ზე“. რას ნიშნავდა ეს რიცხვი? ვიღაცამ გამოთქვა აზრი, რომ იგი იყო იმ სახლის ნომერი, სადაც ჯაშუშის „საფოსტო ყუთი“ იმყოფებოდა. დეპტფორდში გაგზავნილ შეკითხვაზე მოსული პასუხით დაადგინეს, რომ სახლი № 201 მხოლოდ ჰაი-სტრიტის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ სახლში მოთავსებულია საფუნთუშე მაღაზია, რომლის პატრონია ინგლისში ნატურალიზებული გერმანელი პეტერ განი. ჩხრეკის დროს პურის ჩამქრალ ღუმელში აღმოჩნდა ყუთი, რომელშიც ელაგა საიდუმლო წერის ყველა მასალა და კონვერტები. ამ კონვერტების მსგავსი იგზავნებოდა ფირმა „დირკსის და კ°“ სახელზე.

განმა უარი თქვა აეხსნა ამ ყუთის წარმოშობა და განაცხადა, რომ არაფერი იცის „ც-სა“ და „201-ის“ შესახებ. ვერაფერი აცნობა პოლიციას განის მეუღლემაც, რომელმაც ნამდვილად არაფერი იცოდა მისი ქმრის საიდუმლოებების შესახებ. სამაგიეროდ, მეზობლების დაკითხვამ მაშინვე მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. გამოირკვა, რომ იგი 1913 წელს გაკოტრდა, მაგრამ ჩქარა ისევ გახსნა საცხობი, თუმცა ვერავინ გაიგო საიდან იშოვა ფული. ეს ამტკიცებდა განის ჯაშუშობაში მონაწილეობას, თუმცა უამისოდაც ყოველივე უკვე ნათელი იყო. მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ახლო მცხოვრები ქალის ჩვენებას. მან განმარტა, რომ ხშირად მოდიოდა მაღალი, კარგად ჩაცმული უცხოელი, მისი აზრით, გვარად მილერი. დაიწყეს ამ უცხოელის სასტუმროებში ძებნა. როგორც გამოირკვა, რუსეთის ქვეშევრდომი კარლ ფრიდრიხ მილერი ერთ-ერთ პანსიონატში ცხოვრობდა.

პანსიონატის პატრონმა ქალმა აცნობა, რომ მისი მდგმური ნიუკასლში გაემგზავრა. ეს ზუსტად ემთხვეოდა წერილში აღნიშნულ ცნობას. ამ ქალაქში საიდუმლო „ც-ს“ გამგზავრების შესახებ. ნიუკასლის პოლიციამ საჩქაროდ მიაგნო მილერს და დააპატიმრა. მალე იგი ლონდონში ჩამოიყვანეს. მის ნივთებში აღმოაჩინეს „დირკსისა და კ°“ სახელზე გაუგზავნელი წერილი.

მილერმა პირველად უარი განაცხადა განთან ნაცნობობაზე; მაგრამ მალე ყველაფერი აღიარა. ეს 50 წლის გერმანელი ლატვიიდან იღებდა ინფორმაციებს ქალების საშუალებით, რომლებსაც ეარშიყებოდა და მამაკაცების საშუალებით, რომლებსაც სარგებლიან საქმეში მონაწილეობას ჰპირდებოდა. მილერი დახვრიტეს, განს 7 წლის კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ლონდონის ტაუერში მილერის დასჯის შესახებ ცნობა ინგლისის გაზეთებში არ დაბეჭდილა. ჯაშუშის დახვრეტის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ინგლისის კონტრდაზვერვა განაგრძობდა შისი სახელით გერმანელების მომარაგებას ყალბი ცნობებით და კიდეც ღებულობდა ამისათვის „დირკს და კ°-დან“ დიდ თანხას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბელგიაში მცხოვრებმა მილერის დამ ძმის გარდაცვალება შეიტყო, ეს ამბავი გერმანიის დაზვერვამდეც მივიდა.

თადარიგის ოფიცრის ჯარლ ლოდის ინგლისში გაგზავნა ომის დასაწყისში იყო მეორე ცდა შეეესოთ გერმანიის საჯაშუშო ქსელის ჩავარდნა. იგი კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად და მეგზურად მუშაობდა სამგზავრო გემების ხაზზე. რომელიც გერმანიის აშშ-ის ატლანტიკის სანაპიროს ნავსადგურებთან აკავშირებდა. მაგრამ ლოდი არ იყო გამოცდილი მზვერავი. ინგლისში ჩამოვიდა ამერიკული პასპორტით და თითქმის აშკარად მოქმედებდა. მის მიერ შვეიცარიაში გაგზავნილმა პირველსავე დეპეშამ, რომელიც გერმანულად იყო დაწერილი, ეჭვი წარმოშვა და იმ დროიდან მას თვალს არ აშორებდნენ, როდესაც კი იგი ნავსადგურებსა და ჯარის თავმოყრის ადგილებში გამოჩნდებოდა. ლოდის განზრახვის მთლიანად ამოცნობის შემდეგ იგი დააპატიმრეს ირლანდიაში. ლონდონს ჩამოიყვანეს და 1915 წლის ნოემბერში ტაუერში დახვრიტეს (ომის პირველ წლებში ინგლისის მთავრობა მოითხოვდა დაჭერილ ჯაშუშებზე ღია პროცესების ჩატარებას, იტყობინებოდა სიკვდილის განაჩენისა და მისი სისრულეში მოყვანის შესახებ. ამგვარად, „კანონიერი პროცედურის“ შენარჩუნების საბაბით ინგლისის მთავრობა ცდილობდა მტრის აგენტების დაშინებას. მაგრამ, მოგვიანებით, კონტრდაზვერვის მოთხოვნით, მტრის ჯაშუშების დაჭერის შესახებ ცნობები აღარ იბეჭდებოდა, რომ-

საშუალება ჰქონოდათ მათი სახელით გაეგზავნათ პატაკები ბერლინში).

ინგლისის ხელისუფლებამ ლოდის გარდა, ბევრი სხვა ასეთივე სუსტად მომზადებული თუ სადაზვერვო მუშაობისათვის გამოუსადეგარი გერმანელი აგენტი დააპატიმრა. მათი ნაწილი დაქირავებული იყო სამხრეთ ამერიკაში გერმანელ ემიგრანტთაგან. ერთ-ერთმა მათგანმა, ფერნანდო ბუშმანმა ისევ იმ ფირმას „დირკს და კ°-ს" მიმართა თხოვნით, გადმოეგზავნათ ფული ნაჩვენებ მისამართზე. ამ მისამართზე გამოცხადდა პოლიცია და 1915 წლის სექტემბერში ჯაშუშს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მეორე გერმანელი მზვერავი რობერტ როზენტალი დააპატიმრეს დანიის ფოსტის ჩინოვნიკის შეცდომის შედეგად. კოპენჰაგენიდან ბერლინში აცნობეს, რომ ინგლისში იგზავნება გერმანელი აგენტი დანიის სავაჭრო ფირმის წარმომადგენლის სახით, რომელიც აირმაშუქებს გაყიდის. დანიის ფოსტამ პატაკი ლონდონს გაგზავნა. სანამ წერილმა ინგლისის კონტრდაზვერვამდე მიაღწია, რამდენიმე კვირა გავიდა და ჯაშუშის შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ იგი აირმაშუქებით ვაჭრობს. მიუხედავად ამისა, მალე შეძლეს მისი დაჭერა. განსაკუთრებული კონტროლი დააწესეს იმ პირთა სიაზე, რომლებიც მოისურვებდნენ ინგლისის დატოვებას. ცოტა ხნის შემდეგ ნიუკასლიდან აცნობეს, რომ შოტლანდიაში მოგზაურობის შემდეგ აირმაშუქებით მოვაჭრე ვინმე რობერტ როზენტალი გამგზავრებას აპირებდა კოპენჰაგენში. როზენტალი ყველაფრის უარყოფას ცდილობდა. მაგრამ მას წინადადება მისცეს დაეწერა რამდენიმე ბწკარი. ამის შედეგად გამოირკვა, რომ მისი ხელნაწერი მთლიანად იდენტური იყო იმ ხელნაწერისა, რომელიც კოპენჰაგენიდან ბერლინში იყო გაგზავნილი და შეცდომით ლონდონში აღმოჩნდა.

1916 წლის დასაწყისიდან გერმანელები ცდილობდნენ ამერიკის გაზეთების უცხოელი კორესპონდენტები დაექირავებინათ და თავიანთი დავალებებით აშშ-ში გაეგზავნათ. ამის შესახებ ინგლისელებმა დაწვრილებით შეიტყვეს მათ მიერ დაპატიმრებული ამერიკელი ჯორჯ ბოკს ბეკონისაგან. მაგრამ, როგორც წესი, გერმანელები ვერ ახერხებდნენ თავიანთი აგენტების კარგად შენიღბვას. მათ ამხელდა ჰოლანდიაში „საფოსტო ყუთების" მისამართებიც, რომლებიც ცნობილი იყო ინგლისის კონტრდაზვერვისათვის და ამასთანავე უუნარობა, დამაჯერებლად აეხსნათ იმ ფულის გაჩენა, რომელსაც ისინი ღებულობდნენ, ზოგჯერ კი დეპეშით გადაგზავნილი თანხის ოდენობა — გერმანიის პედანტური უფროსობა ჩვეულებრივად თავის აგენტებს

ერთსა და იმავე თანხას უგზავნიდა წინასწარი ხარჯებისათვის და ინგლისელებისათვის კარგად ცნობილი ასეთი ავანსის მიღება თავისთავად უკვე სერიოზული სამხილი იყო. ალბათ, ინგლისის კონტრდაზვერვის წარმატების მთავარი მიზეზი ნეიტრალური ქვეყნების იმ მისამართების ცოდნა იყო, სადაც ჯაშუშები პატაკებს აგზავნიდნენ.

ერთ-ერთი უჩვეულო, თუმცა გერმანიის უხეირო აგენტი იყო ჰოლანდიელი ლეო პაკარდი. იგი ხელმძღვანელობდა ქონდრისკაცების ცირკის დასს, რომელიც ომის წინა წლებში ინგლისის სხვადასხვა რაიონში მოგზაურობდა. უკვე მაშინვე შეამჩნიეს, რომ დასი უგულებელყოფდა ინგლისის მსხვილ ქალაქებს და განსაკუთრებით ეტანებოდა სამხედრო ნავსადგურებსა და იმ ადგილებს, რომლებიც სამხედრო ბანაკებთან ახლო იყო. პაკარდის ხშირი ჩასვლა ჰოლანდიაში შეიძლებოდა პროფესიული მოსაზრებებით — მისი თავისებური დასის გაახლების აუცილებლობით ახსნილიყო. მაგრამ საეჭვოა, მოხეტიალე ცირკის პატრონისათვის გერმანიის ჯაშუშების ერთ-ერთ მესვეურთან — შტენპაუერთან შეხვედრა აუცილებელი ყოფილიყო. ამ შეხვედრების დროს კი როტერდამში საიდუმლოებას ვერ იცავდნენ. ერთ-ერთი შეხვედრისას ინგლისის აგენტებს თვალყურის დევნების საშუალება მიეცათ. ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე პაკარდის ცირკი წარმოდგენას მართავდა. ერთ სამხედრო ბანაკში წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მალე გამომეღვიძნდა, რომ დაიკარგა საიდუმლო საბუთები და ეჭვი აიღეს მარჯვე ჰოლანდიელის ასისტენტზე ქონდრის ქალ მარიაზე. მაგრამ მის წინააღმდეგ აშკარად სამხილი არ ჰქონდათ.

ომის დასაწყისში პაკარდმა თავისი საცირკო საწარმოს ლიკვიდაცია მოახდინა და ლონდონში თეატრის დირექტორი გახდა. შემდეგ ერთხელ კიდევ შეიცვალა პროფესია და კინოფილმების ექსპორტსა და იმპორტს მოჰკიდა ხელი. ამავე დროს პაკარდი ცდილობდა კინოფირების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰოლანდიაში ერთ საეჭვო მისამართზე გაეგზავნა. მაგრამ, რასაკვირველია, პაკარდმა ექსპორტის ლიცენზია ვერ მიიღო. მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა დააწესეს. აღმოჩნდა, რომ იგი ტრაბახობდა დიდძალი ფულით, რომელსაც ჰოლანდიიდან ღებულობდა, მიუხედავად ცდისა, ხელი შეეშალათ მისთვის ამ ქვეყანასთან ვაჭრობაში. ხელში ჩაუვარდათ მისი მიმოწერა ჰოლანდიაში მყოფ გერმანელ „საფოსტო ყუთთან". თუმცა პაკარდი მიმოწერაში არაფერს უკანონოს არ ატყობინებდა ადრესატს, საპასუხო წერილში მას ურჩევდნენ ბედი ინგლისის სანაპირო ქალაქებში ეცადა. პაკარდი დააპატიმრეს. პირველსავე დაკითხვაზე მან განა-

ცხადა, რომ მზად არის გაყიდოს თავისი გერმანელი პატრონები და ამიერიდან ინგლისისათვის იმუშაოს. იმ უამრავი სიცრუიდან, რომელსაც პიკარდის ჩვენება შეიცავდა. ინგლისის კონტრდაზვერვამ ამოკრიფა თავისთვის სასარგებლო ცნობები, ჰოლანდიელი კი სასამართლო ორგანოებს გადასცა. მას სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ თავისუფალი აღმოჩნდა და დიდი ხნის განმავლობაში ბეჭდავდა წერილებს თავისი, რასაკვირველია, მოგონილი გმირობის შესახებ.

გერმანელები იშვიათად გზავნიდნენ ინგლისში აგენტ ქალებს ვინაიდან ძნელი ჰყო ისეთი რაიმეს გამოგონება, რომელიც ბრიტანეთის კუნძულებზე მათ ჩასვლას დამაჯერებელს გახდიდა. მაგრამ გერმანელი ჯაშუში ქალებიც, რომლებსაც მაინც აგზავნიდნენ ინგლისში, სრულიად შეუფერებელი იყვნენ მათთვის განკუთვნილი როლისათვის.

1915 წლის შემოდგომაზე ინგლისში შვეიცის ქვეშევრდომი ორმოცი წლის ევა ბურნოვილი ჩამოვიდა. მისი წინაპრები წარმოშობით საფრანგეთიდან იყვნენ, ამიტომაც მისი გვარი ფრანგულად ეღერდა. იგი გერმანიის დაზვერვის აგენტი იყო. მანამდე ევა ბურნოვილმა მრავალი პროფესია გამოიცვალა — იყო მსახიობი, აღმზრდელი არისტოკრატულ ოჯახებში, მოწყალების და, ერთ დროს საელჩოს მდივანიც კი. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა ექვს ენაზე.

ევა ბურნოვილი ინგლისში ფორმალურად სამკურნალოდ ჩამოვიდა. ერთმა ნაცნობმა შოტლანდიელმა ქალმა რეკომენდაცია გაუწია მას თავის მეგობრებთან, რომლებიც ჰეკნში, ჩრდილოეთ ლონდონში, ცხოვრობდნენ. ევამ კავშირი გააბა ამ ოჯახთან. მაგრამ თავდაუჭერელი ცნობისმოყვარეობით მათ ეჭვი აღუძრა. კერძოდ, სტუმარი თავს აბეზრებდა ლონდონელ ნაცნობებს შეკითხვებით საჰაერო თავდაცვის ქვემეხების ადგილმდებარეობასა და რაოდენობაზე, ცეპელინების თავდასხმის შედეგებზე. ევა ბურნოვილი სთხოვდა აგრეთვე დახმარებოდნენ საფოსტო ცენზურის „შვედურ“ სექციაში სამუშაოდ მოწყობაში, მაგრამ ვერავინ გაბედა მისთვის რეკომენდაციის მიცემა. ევა ბურნოვილი ხშირად იცვლიდა სასტუმროებს და განაგრძობდა იქ მსახურებისა და შემთხვევით გაცნობილი ოფიცრების გამოკითხვას. გერმანიის მეორე ჯაშუშმა, ზილბერმა, რომელიც ინგლისის ცენზორად მუშაობდა (მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი), დიდი სიფრთხილით გააგებინა ევა ბურნოვილს, რომ იგი ასეთი გზით მხოლოდ ინგლისის კონტრდაზვერვის ყურადღებას იპყრობდა.

ევა ბურნოვილი თავის პატაკებს ვინმე „ქალბატონ ფოლშტრე-

მის“ სახელზე გზავნიდა. ინგლისის ცენზურამ სწრაფად გამოიცნო, რომ უვნებელ „ღია“ ტექსტთან ერთად იყო სიმპათიკური მელნით აღწერილი ბწკარებიც. რასაკვირველია, არცერთი წერილი, თუმცა ცნობები არ იყო უურადსაღები, არ გასცილებია ინგლისის ნაპირებს. ამის შემდეგ ინგლისის კონტრდაზვერვამ ხელი მოჰკიდა ადრესატის ძებნას. ერთ-ერთ წერილში ნაჩვენები იყო გამგზავნის მისამართი — ლონდონი, სასტუმრო ბოდფორდის მოედანზე. ამ სასტუმროში ოცდაათ კაცზე მეტი ცხოვრობდა. რომ დაედგინათ, თუ სახელდობრ რომელი მათგანია გერმანიის აგენტი, ოტელში გაიგზავნა კონტრდაზვერვის აგენტი. მობინადრეებს მან თავი გააცნო არტილერიის ოფიცრად. და ახალი სამხედრო აღჭურვილობის შესახებ რაღაც დაუჯერებელ ამბებს ეჩურჩულებოდა, რამაც ყველა დააეჭვა. მეორე დღეს სამხედრო ცენზურამ დააკავა კოპენჰაგენში გაგზავნილი წერილი, რომელიც ზუსტად ერთი ასეთი ამბის მოკლე შინაარსს შეიცავდა. კონტრმზვერავმა იცოდა, თუ ვის უამბო ეს არაკი. 1915 წლის 15 ნოემბერს გერმანელი ჯაშუში ქალი დააპატიმრეს. სასამართლომ მას სიკვდილი მიუსაჯა, რომელიც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. 1922 წელს ევა ბურნოვილი შვეიცარიაში გაასახლეს.

კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი აგენტი იყო გერმანელი ქალი ელისაბედ ვერტჰეიმი. იგი გათხოვილი იყო ინგლისში ნატურალიზებულ გერმანელზე და, ამგვარად, ბრიტანეთის ქვეშევრდომი გახდა. ქმართან გაყრის შემდეგ საკმაო ქონება დარჩა, რათა ხელგაშლილად ეცხოვრა. ის იყო უხეში, ენაჭარტალა პიროვნება, იცვამდა მყვირალა ფერის კოსტუმებს და ვულგარულობითა და თავხედობით საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ სწორედ ამ ქალს მიაქცია ყურადღება მდიდარმა ამერიკელმა მოგზაურმა რეჯინალდ როლანდმა. ეს არაჩვეულებრივი წყვილი ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას უამრავ ფულს ხარჯავდა და... ჰოლანდიაში საეჭვო წერილებს გზავნიდა, რითაც ვერტჰეიმმა და როლანდმა კონტრდაზვერვის ყურადღება მიიქციეს.

ლუიზა აკვიდებოდა ნაცნობ ოფიცრებს, ცდილობდა გამოეცანცლა მათგან სამხედრო ხასიათის ცნობები. მისი კითხვები იმდენად მომაბეზრებელი იყო, რომ მალე ასეთი დაჟინებული ცნობისმოყვარის შესახებ სკოტლანდ-იარდს აცნობეს. ელისაბედ ვერტჰეიმი და მისი თანამგზავრი დააპატიმრეს. როლანდმა წარადგინა ამერიკული პასპორტი, რომელიც ყალბი აღმოჩნდა. ამერიკის საელჩოდან ექსპერტიზისათვის მოწვეულმა მდივანმა დაადგინა, რომ პასპორტზე გამოსახული არწივი გადმოღებული იყო ძალიან უხეშად: ფრინველ-

თა მეფეს გადმობრუნებული ჰქონდა თათები და კუდში ნაკრტენი აკლდა. ბეჭედი ფოტოსურათზე სხვა ქიმიური შემადგენლობის იყო ვიდრე ის, რომელსაც პასპორტის გამცემ ამერიკის დაწესებულებებში ხმარობდნენ. „რეჯინალდ როლანდი" ცოტა ხანს ჯიუტობდა, მაგრამ შემდეგ გამოტყდა, რომ მისი ნამდვილი გვარია გეორგ ბრეკოვი და რომ იგი წარმოშობით შტეტინიდან არის. რატომ ჩათვალეს როიალების ფაბრიკანტის შვილი და სპეციალობით მუსიკოსი ბრეკოვი სამხედრო და საზღვაო ჯაშუშობისათვის განსაკუთრებით შესაფერის ადამიანად, ეს გერმანიის დაზვერვის საიდუმლოებად დარჩა. ალბათ, შეცდომა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ბრეკოვი 1908 წლიდან ამერიკაში ცხოვრობდა და კარგად იცოდა ინგლისური ენა. ამერიკიდან ბრეკოვი გაგზავნეს ანტვერპენში, საიდანაც იგი ჯაშუშთა სკოლაში სწავლის შემდეგ, ჰოლანდიაზე გავლით, ინგლისში გადაისროლეს. ბრეკოვი სიკვდილით დასაჯეს ტაუერში. ლუიზა ვერტჰეიმი, რომელსაც 10 წლის კატორღა მიუსაჯეს, ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა სულიერად დაავადებულთა საავადმყოფოში, სადაც იგი ციხიდან გადაიყვანეს.

ცენზურის ბუმერანგი

ინგლისის კონტრდაზვერვას გერმანელი ჯაშუშების დაჭერაში მეტწილად წარმატება ჰქონდა. მან მთლიანი მარცხი მაშინ განიცადა, როდესაც საქმე გამოცდილსა და საშიშ პიროვნებას შეეხო: სკოტლანდ-იარდს მთელი ომის განმავლობაში ეჭვიც არ მიუტანია ისეთი მნიშვნელოვანი გერმანელი მზვერავის არსებობაზე, რომელიც ბრიტანეთის კონტრდაზვერვაში, უფრო ზუსტად — საფოსტო ცენზურაში შეძვრა. ამ მზვერავის — პ. ზილბერის ისტორია მზვერავების მიერ მოწინააღმდეგის კონტრდაზვერვის ორგანოების გამოყენების საინტერესო მაგალითია.

ჯერ კიდევ ბავშვობაში გერმანიიდან სამხრეთ ამერიკაში ემიგრირებულმა ზილბერმა მონაწილეობა მიიღო 1899—1902 წწ. ინგლის-ბურების ომში როგორც ინგლისის არმიის ოფიცერმა და ცოტა ხნით ინდოეთშიც კი მოხვდა, ხოლო მოგვიანებით აშშ-ში გადავიდა. თვითონ ზილბერი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მსოფლიო ომის დაწყებამ შეაგულიანა იგი მიეღო გადაწყვეტილება გამხდარიყო გერმანიის ჯაშუში ინგლისში. მაგრამ ზილბერის მოქმედება ამხილებდა მას როგორც გამოცდილ, ბევრის მნახველ მზვერავს. იმისათვის, რომ არ მი-

ელო უცხოეთის პასპორტი, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა მისი ეროვნება. ზილბერი კანადაში გადავიდა. აქედან იგი ინგლისს გაემგზავრა, მაგრამ შეინარჩუნა თავისი ნამდვილი გვარი და განაცხადა, რომ დაიბადა კანადის პროვინცია კვებეკში. მან ეს იმ მიზნით გააკეთა, რომ გამოეყენებინა ინგლისის არმიაში ნამსახურობის საბუთები, რომლებიც შენახული ჰქონდა. მათში ნაჩვენები იყო ზილბერის გვარი, მაგრამ არსად არ იყო ნახსენები მისი ეროვნება. ამ საბუთების გარდა ზილბერს ძალიან გამოადგა ფოტოსურათებიც, რომლებშიაც იგი გადაღებული იყო ინდოეთის ერთ-ერთი გარნიზონის ინგლისის ოფიცერთა წრეში. სწორედ ყველაფერი ეს დაეხმარა გადაეღახა ეპვები, რომლებიც ინგლისში ჩამოსულმა უპასპორტო კანადელმა გამოიწვია.

ლონდონში ჩასვლისთანავე ზილბერმა სამსახური შესთავაზა სამხედრო ცენზურას. საქმეში კვლავ გამოიყენა საბუთები და ფოტოსურათები. თავისი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ იგი ჯერ კიდევ ინგლის-ბურების ომის წლებში სამხედრო ცენზურის ორგანოებში მუშაობდა. ზილბერი სამსახურში მიიღეს და საკმაოდ გრძელი ანკეტის შევსება შესთავაზეს. რამდენიმე კვირამ დაძაბულ მოლოდინში გაიარა. საკმარისი იყო ინგლისის კონტრდაზვერვას კანადაში ან იმ ადგილებში, სადაც ზილბერი ინგლისის არმიაში სამსახურს გადიოდა. ცნობები მოეკრიბა, რომ სიცრუე გამოაშკარავებულიყო.

საერთოდ, სკოტლანდ-იარდის ჩინოვნიკები საგულდაგულოდ სინჯავდნენ ანკეტებში ნაჩვენებ ცნობებს, მაგრამ ამჯერად ინგლისის ნაქები საჩდუმლო სამსახური მოტყუვდა. ზილბერი გამოიძახეს სოლსბერი-ჰაუზში, იმ უზარმაზარ შენობაში, სადაც დროებით სამხედრო ცენზურა იმყოფებოდა. პოლკოვნიკი, რომელიც მას სამსახურში ღებულობდა, დიდი ხნის განმავლობაში მსახურობდა ინგლის-ინდოეთის არმიაში. გამოინახა საერთო ნაცნობებიც და უნდობლობის უკანასკნელი ნიშნებიც გაქრა, თუმცა ინგლისის კონტრდაზვერვას საბოლოოდ არ შეუწყვეტია შემოწმება. ზილბერის სამსახურში შესვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ მისი ბინის გვერდით დასახლდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც საკმაოდ მოხერხებულად გაიცნო მასთან ნაცნობობა, მაგრამ ჯაშუში უკვე ფხიზლობდა. ქალს წინასწარ არ გაუფრთხილებია, მალე გაუჩინარდა, ზილბერმა კი თავისი ნივთები გულმოდგინედ გადასინჯული ნახა. რასაკვირველია, მათში საეჭვო არაფერი იყო აღმოჩენილი. ალბათ, ინგლისის კონტრდაზვერვას არავითარი სერიოზული საფუძველი არ ჰქონდა ეჭვი მიეტანა ზილბერზე. ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ მისი გერმანული გვარი,

რომელმაც არაერთხელ აიძულა სამხედრო. ცენზურის მოხელეები მეგობრული საუბრის სახით მისთვის ფარული გამოცდები მოეწყოთ, მაგრამ მზვერავმა წყლიდან მშრალად ამოსვლა ისწავლა.

ზილბერი მის ხელში გასული მიმოწერიდან ახერხებდა მთელი რიგი სასარგებლო ცნობების გამოტანას. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის დაზვერვისათვის იმას, რომ ზილბერს, როგორც ცენზორს, საშუალება ჰქონდა ეცნობებინა ნეიტრალური ქვეყნების ის მისამართები, რომლებიც ინგლისელების ყურადღებას იპყრობდნენ. ამის შემდეგ ბერლინს შეეძლო „ჩავარდნილი" მისამართები ახლით შეეცვალა. რითაც ართულებდნენ გერმანიის აგენტურის გამოვლინებას ინგლისში.

ზილბერმა გერმანიაში პატაკების გადაგზავნის სრულიად უბრალო სისტემა გამოიმუშავა. დაიქირავა სამი ბინა ლონდონში და იქ წერილებს გზავნიდა კონვერტებით რომლებსაც მისამართისათვის გამჭვირვალე ფანჯარა ჰქონდათ. მათში ჩვეულებრივად იდო ამონაჭერი გაზეთებიდან, ხოლო მარკები საზღვარგარეთ გასაგზავნი წერილებისათვის საკმაო ღირებულებისა იყო. ასეთი გზით ზილბერი იძენდა მისთვის საჭირო საფოსტო შტემპელს მარკაზე გარკვეული თარიღით. სამსახურში იგი კონვერტში სდებდა თავის მორიგ პატაკს აწერდა უშიშარ ნეიტრალურ მისამართს და არტყამდა კონტროლიორის შტამპს — ახლა წერილი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა წერილებისაგან, რომლებმაც სამხედრო ცენზურა გაიარეს.

მალე ზილბერი დააწინაურეს და მიავლინეს ლივერპულში შექმნილ სამხედრო ცენზურის განყოფილებაში, რომელსაც ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასთან მთელი მიმოწერა უნდა გაესინჯა. ლივერპულში ზილბერმა დამოუკიდებელი მდგომარეობა მოიპოვა და ამით შეძლო კიდევ უფრო ფართოდ მოემარაგებინა გერმანიის დაზვერვა ინფორმაციებით. ჯერ კიდევ ლონდონში მას არ ჰყოფნიდა დრო საინტერესო ცნობების გადაწერისათვის და დაიწყო მნიშვნელოვანი საბუთების გადაღება მიკროფირზე. საინტერესოა, რომ ზილბერი სხვა მასალებთან ერთად გერმანიის დაზვერვას ინგლისში მყოფი ამერიკელი ჯაშუში ქალის პატაკებსაც უგზავნიდა. ეს იყო ირლანდიელი ქალი, რომელსაც დიდი ნაცნობობა ჰყავდა ინგლისის მოხელეებში. ცენზურამ დიდი ხნით ადრე მიაქცია ყურადღება „მოლის" წერილებს (ასე აწერდა იგი ხელს კორესპონდენციებს), იღებდა მისგან ასლებს, მაგრამ ხელს არ ჰკიდებდა მის ავტორს. ალბათ, ინგლისელები საშიშად არ სთვლიდნენ ამგვარი ინფორმაციის დინებას აშშ-ში. რასაკვირველია, ინგლისის კონტრდაზვერვის პოზიცია მაშინვე შეიცვლე-

ბოდა, როგორც კი გაიგებდა, რომ „მოლის“ პატაკების ასლს ბერლინიც აკურატულად ღებულობდა.

ლივერპულში მუშაობას ზილბერისათვის ერთი არსებითი უხერხულობა ჰქონდა — იგი მას გზას უკრიდა ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოებისაკენ, ვინაიდან კორესპონდენცია ლონდონზე გავლით მიდიოდა. ამიტომ ჯაშუში საკმაოდ ხშირად ჩადიოდა დედაქალაქში, ძველებურად შედიოდა სამხედრო ცენზურის შენობაში და მეგობრული საუბრის დროს მოხერხებულად ჩრიდა თავის კონვერტებს წერილების გროვაში, რომლებიც უკვე ცენზორების მიერ გაშვებული იყო.

ინფორმაციების გადაგზავნის მეორე ხერხი, რომელსაც ზილბერი იყენებდა, დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ცენზურა მხოლოდ ზერელედ სინჯავდა ან სრულიად გაუსინჯავად ტოვებდა სამგლოვიარო უწყებებს— ინგლისის არმია დიდ დანაკლისს განიცდიდა დასავლეთის ფრონტზე. საქმის ტექნიკა უბრალო იყო. ღია ბარათის ზომის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე ზილბერი ბეჭდავდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა ჯაშუშურ პატაკებს. შემდეგ ამავე ქაღალდზე იწერებოდა რომელიმე ჩვეულებრივად არარსებული პირის სიკვდილის ცნობა. ქაღალდი გულმოდგინედ ილუქებოდა სამგლოვიარო არშიაშემოვლებულ დიდ კონვერტში, ზევიდან აწერდნენ რომელიმე კნინობით სახელს (ვთქვათ პოლი), რომელიც ხაზს უსვამდა საიდუმლო წერილის პირად ხასიათს. ამის შემდეგ კონვერტი და აგრეთვე პატარა წერილი, რომელშიაც სთხოვდნენ მოემზადებინათ „პოლი“ ტრაგიკული ცნობისათვის, უფრო დიდი ფორმატის კონვერტში იდებოდა. ცენზორი ჩვეულებრივ ხსნიდა დიდ კონვერტს, მაგრამ ხელს არ ახლებდა იმას, რაც შიგ იდო. მაგრამ თუკი ცენზორი ეჭვს აიღებდა და შიგ მოთავსებულ პაკეტს გახსნიდა, ფოტოქაღალდი სინათლეზე გაფუჭდებოდა და ჯაშუშური პატაკის ყოველგვარი კვალი განადგურდებოდა.

ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის ცნობის გარდა, ზილბერი ახერხებდა მთელი რიგი წმინდა სამხედრო ცნობების გადაცემასაც: სამხედრო ნაწილების ფორმირებაზე, ჯარების გადაადგილებაზე. მან გადაგზავნა სრულიად საიდუმლო ლოიდის ცნობარის ახალი გამოცემა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გერმანიის წყალქვეშა ნავებისათვის. გერმანელმა ჯაშუშმა მოახერხა ეცნობებინა ბერლინისათვის ინგლისელების მიერ მახე-გემების მშენებლობაზე, სამხედრო გემები სავაჭრო გემების ნიღბით).

აშშ-ის ომში ჩაბმის შემდეგ გერმანიაში ინფორმაციების გადა-

გზავნა გართულდა. ზილბერმა წერილების გაგზავნა სცადა შიკრიკების საშუალებით, რომლებსაც გერმანიის დაზვერვა უგზავნიდა, მაგრამ თითქმის ყველა ხელში ჩაუვარდა ინგლისელებს. ერთ ხელსაყრელ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1915 წელს. ეს იყო კორესპონდენციების გადაცემა ერთი გერმანელი ქალის მეშვეობით, რომელიც ომის დასაწყისში ინგლისში იყო ინტერნირებული და მოგვიანებით გადაასახლეს გერმანიაში. საზღვარზე გერმანელმა ოფიცერმა მოსთხოვა მას საიდუმლო ცნობები. მაგრამ გერმანელი ქალი მკაცრად იყო გაფრთხილებული, ცნობები გადაეცა მხოლოდ სადაზვერვო ბიუროსათვის ბერლინში. მან უარყოფითად უპასუხა. ამან გადაარჩინა ზილბერი, ვინაიდან ქალის დამკითხველი ოფიცერი სინამდვილეში ინგლისის ჯაშუში იყო.

რაოდენ ძვირფასიც არ უნდა ყოფილიყო თავისთავად ზილბერის ინფორმაცია, მას არაფრით არ შეეძლო — და არც ისახავდა, მიზნად— ხელი შეეშალა ინგლისის ცენზურის მუშაობისათვის. მაგრამ ნამდვილად, როგორც ეს ზილბერმაც დაადგინა, ინგლისის ცენზურამ არამც თუ მოახერხა ომის წლებში შეეკრიბა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც გამოიყენა ნეიტრალურ ქვეყნებზე ეკონომიური დაწოლისათვის და გერმანიის ირგვლივ ბლოკადის მარყუჟის მაგრად შემოჭერისათვის, არამედ გადაწყვიტა მთელი რიგი სხვა ამოცანები, მათ შორის გერმანიის ჯაშუშობასთან ბრძოლის საკითხიც. აქ ზილბერს მხოლოდ ზოგიერთი დარტყმის აცილება შეეძლო. ამასთანავე მისი ინფორმაცია გერმანიაში არადროული გადაგზავნის გამო ხშირად იგვიანებდა და ამიტომ სრულფასოვანი აღარ იყო.

სიფრთხილის გამო ზილბერი ფირს და ფოტოქაღალდს სხვადასხვა მაღაზიაში ყიდულობდა. იმისათვის, რომ თავისი ბინის პატრონის ეჭვები გაექარწყლებინა, იგი შეგნებულად ტოვებდა მაგიდაზე თეატრებისა და კონცერტების ბილეთებს. ცდილობდა ხშირად შინ არ-ყოფნა ამ მიზეზით აეხსნა. ერთმა მეზობელმა მაინც აიღო ეჭვი და პოლიციას აცნობა, მაგრამ ის ზრდილობიანად გამოაბრძანეს.

ზილბერს რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ იგი გამეღავნდა. მაგრამ ეს ყოველთვის ყალბი განგაში იყო. როდესაც მზვერავს ეგონა, უფროსთან გამოაშკარავებისა და დაპატიმრებისათვის მიძახებენო, მას მორიგ დაწინაურებას აცნობდნენ. ყველაზე რთული იყო რეგისტრაციისათვის თავის არიდება, რომელიც სამხედრო ვალდებულების გამოცხადებასთან დაკავშირებით ტარდებოდა. რეგისტრაციის დროს თხოულობდნენ დაბადების მოწმობას, ზილბერს კი არ შეეძლო არც მისი წარდგენა და არც ასლის მიღება თავისი ცრუსამშობლო კანადი-

დან. ვითარება იმდენად სერიოზული გახდა, რომ ჯაშუშმა რამდენჯერმე გადაწყვიტა ინგლისის დატოვება, მაგრამ ეს უფრო რთული საქმე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ახერხებდა საბუთების წარდგენის ვადის გადადებას და ომის დამთავრებამდე მშვიდობიანად იმუშავა სამხედრო ცენზურაში.

სიგარეები და კოდი

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც გერმანიის სარდლობა ცდილობდა, იყო ანტანტის არმიის მომარაგების შეწყვეტა 1917 წლის გაზაფხულამდე ნეიტრალური ამერიკის შეერთებული შტატებიდან. იყენებდნენ ყოველგვარ შესაძლებელ მეთოდს — დაწყებულს (ამერიკულმა პრესამ სწრაფად უპასუხა კონტრკამპანიით, ნეიტრალიტეტის დარღვევის საწინააღმდეგო საგაზეთო კამპანიიდან, რადგანაც მიწოდება სრულიად კანონიერ ვაჭრობად გამოაცხადა) და დამთავრებულს აშშ-ს წინადადებით, ნება დაერთოთ ანტანტისათვის იარაღის მიყიდვის შეწყვეტის მიზნით განუსაზღვრელი რაოდენობით შეეტანათ ბელგიაში სურსათი. მაგრამ ამერიკელმა „ფილანტროპებმა", რომლებიც ხმამაღლა გოდებდნენ გერმანიის სიმკაცრეზე ბელგიაში, მაშინვე სწრაფად დაიხიეს უკან, როდესაც ისეთი გარიგება შესთავაზეს, რომელიც ძირს უთხრიდა სამხედრო მონოპოლიების მოგებას. ამ დროს წყალქვეშა ნავებსაც არ შეეძლოთ ხელი შეეშალათ სამხედრო მიწოდებათა დინებისათვის. რჩებოდა ერთი საშუალება — დივერსიები ამერიკის ნავსადგურებში. ბერლინში იმედოვნებდნენ. რომ ფართოდ გაშლილი დივერსიული „მუშაობის" დროს თუ ვერ შეწყვეტდნენ ამერიკული იარაღის ოკეანეზე გადატანას, მნიშვნელოვნად მაინც გააძნელებდნენ.

1915 წლის მარტში ნორვეგიის გემზე, რომელიც ოსლოდან ნიუიორკში მიდიოდა, ავიდა მგზავრი: მას შვეიცარიელ ემილ გაშეს სახელზე აღებული პასპორტი ჰქონდა. ამ სახელით იმალებოდა გერმანიის საზღვაო ოფიცერი ფრანც რინტელენი, რომელსაც აშშ-ში „დელიკატური" მისია ჰქონდა დავალებული. გვარი გაშე შემთხვევით არ იყო შერჩეული. ეს იყო ერთი შვეიცარიელის ქალიშვილობის გვარი, რომელიც გერმანელ ოფიცერს მისთხოვდა. ქალმა რინტელენს გადასცა ყველა საჭირო ცნობა მისი ოჯახის შესახებ, რათა მას წარმატებით შეესრულებინა. თავისი როლი. მართლაც, შვეიცარიელ კომერსანტს ინგლისელ ოფიცრებში, რომლებიც ნეიტრალური გემების

ჩხრეკას აწარმოებდნენ, არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია. იგი მშვიდობიანად ჩავიდა ნიუ-იორკში. რინტელენმა თან ჩამოიტანა განსაკუთრებით საიდუმლო შიფრი, რომელიც გერმანიის სამხედრო ატაშეს ფონ პაპენს (შემდგომში გერმანიის კანცლერი და ჰიტლერის დიპლომატი-მზვერავი) და საზღვაო ატაშეს ბოი-ედს გადასცა.

რინტელენისათვის ნიუ-იორკში ფესვების გადგმა ძნელი არ იყო. მას გერმანელმა გემების პატრონებმა და მრეწველებმა პირდაპირი დახმარება გაუწიეს. მის განკარგულებაში იყო აგრეთვე გერმანიის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც ომმა აშშ-ში მოუსწრო და ინგლისის ბლოკადის გამო მოწყვეტილი იყვნენ გერმანიას. ვინმე მაქს ვეიზერის დახმარებით რინტელენმა მალე დააარსა „ე. ვ. გიბონსისა და კ°-ს" სავაჭრო სახლი და საექსპორტო-საიმპორტო კანტორის ფირნიშს ამოფარებულმა დაიწყო მოქმედება. მისი ყურადღება მიიქცია გერმანელი ქიმიკოსის, დოქტორ შელეს ახალმა გამოგონებამ. ეს იყო ტყვიის მილი, რომელსაც შუაში სპილენძის დისკო ჰქონდა. დისკოთი გაყოფილი მილის ორივე მხარე პიკრინისა და გოგირდის მჟავით ივსებოდა. შეერთების დროს ისინი ინთებოდნენ. სპილენძის დისკოს სისქის რეგულირებით — მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მას სიმჟავე გამოსჭამდა, შეიძლებოდა ცეცხლის დაწყების მომენტის წინასწარ გაანგარიშება. რინტელენმა ნაცნობი მეზღვაურების საშუალებით დაიწყო ტყვიისაგან დამზადებული „სიგარების" ჩაწყობა გემებში, რომლებსაც სამხედრო საჭურველი გადაჰქონდათ. „სიგარები" კვალის დაუტოვებლად იწვოდა, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში ვერ გამოარკვიეს ასე ხშირი ხანძრის მიზეზები ამერიკის იმ სატვირთო გემებზე, რომლებიც ევროპაში მიდიოდნენ.

რინტელენს ახლა „სიგარების" მასიური დამზადების საქმე უნდა მოეგვარებინა. თანაც ისე, რომ ამერიკის პოლიციის ყურადღება არ მიეპყრო და ამერიკის ნეიტრალიტეტის დარღვევისთვისაც კი ციხეში არ მოხვედრილიყო. დივერსანტს დაეხმარა ხანში შესული ნიუ-იორკელი ადვოკატი ბონიფეისი, რომელიც ამერიკული კანონმდებლობის ჯუნგლებიდან ყოველთვის ახერხებდა საძრომის მონახვას. რასაკვირველია, დიდ გასამრჯელოდ ბონიფეისმა ურჩია „სიგარების" წარმოების ორგანიზაცია გერმანიის ერთ-ერთ ინტერნირებულ გემზე მოეწყოთ. არჩევანი გემ „ფრიდრიხ დიდს" ხვდა.

წარმატებამ რინტელენი წააქეზა შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად. მან სცადა დივერსიების მოწყობა თვით დოკებში, რაც დიდი ხნით ჩაშლიდა ნაოსნობას. ბონიფეისმა ჟილეტის ჯიბეში ჰონორა-

რის სახით 300 დოლარი ჩაიდო და რინტელენსა და მის თანაშემწეებს მოკლე ლექცია წაუკითხა თემაზე, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით ისჯება მათ მიერ განზრახული დივერსიის განხორციელება. გააცნო აგრეთვე, თუ რა გზით უნდა იმოქმედონ, რომ თავიდან აიცილონ ამერიკის მართლმსაჯულების დამსჯელი მახვილი. რინტელენის აგენტებმა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მიაღწიეს სერიოზულ წარმატებას. მათ მოახერხეს მთავარი ნავმისადგომის აფეთქება, სადაც სამხედრო აღჭურვილობით იტვირთებოდა ტრანსპორტი*.

საშიშროება მოულოდნელი მხრიდან წარმოიშვა. ერთხელ რინტელენთან მოვიდა დოქტორი შელე და უკვე მიღებული სოლიდური თანხის დამატებით მოიფხოვა 10 ათასი დოლარის დაუყოვნებლივ გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში „სიგარების“ გამომგონებელი იმუქრებოდა, მთელ საქმეს პოლიციას გავუხსნიო. რინტელენმა შანტაჟისტს მოთხოვნილ თანხაზე ბანკის ჩეკი მისცა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ბანკებს მუშაობა დამთავრებული ჰქონდათ. რინტელენი მეორე დილამდე ფიქრობდა რაიმე ზომების მიღებას, მაგრამ მარტო იმისთვის კი არა, რომ ფული გადაერჩინა. აშკარა იყო, რომ მიიღებდა თუ არა შელე ამ ფულს, ისევ დაიწყებდა უფრო დიდი თანხის გამოძალვას ან მაინც შეატყობინებდა პოლიციას.

მზვერავმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყოველივე ამის შემდეგ მაინც სურდა შელესთან კარგი დამოკიდებულების შენარჩუნება. მან შელე რესტორანში ვახშამზე მიიპატიჟა. რესტორნიდან რომ ბრუნდებოდნენ, უკაცრიელ, ცუდად განათებულ ადგილას შელეს ორი კაცი მიუახლოვდა. ერთმა მათგანმა ჩეკის დაბრუნება მოსთხოვა, თუკი დოქტორს გატეხილი თავით ზღვაში გამგზავრება არ სურდა. შელეს გარკვევით უთხრეს აგრეთვე, რომ თუ იგი პოლიციაში მისვლას იფიქრებდა, მაშინ რკინის წნელის თავში დარტყმა პატივცემულ დოქტორს სამუდამოდ დაუკარგავდა თავისი ოქროს კბილების დემონსტრირების შესაძლებლობას. ასეთი საუბრის ენა შელეს ძალიან კარგად ესმოდა. მან გაითვალისწინა ისიც, რომ ფირმა „გიბონსი“ უფრო გულუხვად გადაუხდიდა მას სამსახურისათვის, ვიდრე რომელიმე სხვა.

შელე ძალიან შეშინებული იყო, მაგრამ მალე გაუვლიდა თუ არა

---

* 1916 წლის 30 ივნისს გერმანიის აგენტებმა ააფეთქეს ნიუ-იორკის ნავსადგურში 2 მლ. გირვანქა თოფის წამალი. აფეთქების ხმა 100 მილის მანძილზე ისმოდა.

ეს შიში, ამის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დასახმარებლად მართლმსაჯულების შეუცვლელი ქურუმი მისტერ ბონიფეისი მოვიდა. რამდენიმე დღის შემდეგ შელე, ქალების საშინელი მუსუსი, უკვე სულ სხვა პაემანზე — ერთ ახალგაზრდა ქალიშვილთან მიდიოდა. შელემ ქალიშვილი გუძონზე ბორნით გადასვლის დროს გაიცნო და ქალაქგარეთ მანქანით გასეირნება შესთავაზა. ქალმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო. მაგრამ, როგორც კი მანქანა ცენტრალურ ქუჩებს გასცდა, ქალიშვილმა ყვირილი ატეხა. შელემ მანქანა გააჩერა. ზას იმწუთშივე მიუახლოვდა კაცი, რომელმაც თავი პოლიციის აგენტად გააცნო. ქალი აღშფოთებით დებდა შელეს ბრალს ძალადობის მცდელობაში. შელემ ეს უდროო დროს გამოჩენილი პოლიციელი საკმაოდ დიდი ქრთამით მოიცილა. მაგრამ, როდესაც ქიმიკოსი ფირმა „გიბონსის“ ნაცნობ კანტორაში გამოცხადდა. მას ახალი დარტყმა ელოდა. მისტერ ბონიფეისმა თავაზიანად აუხსნა შელეს, რომ მან იცის უსიამოვნო შემთხვევის შესახებ, ვინაიდან დაზარალებულმა უკვე მიმართა ნიუ-იორკის ერთ ცნობილ ვექილს დოქტორის წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად. ციხეში დიდი ხნით ჩაჯდომის პერსპექტივამ გონს მოიყვანა დანავსული მუსუსი. მისტერ ბონიფეისი მოწყალედ დაპირდა საქმის მიფუჩეჩებას, შელემ კი ისევ „სიგარების“ დამზადება განაგრძო.

საკმაოდ რთული იყო ნიუ-იორკის პოლიციის ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. ვინაიდან პოლიციას ინგლისის დიპლომატია სხვადასხვა გზით აწვებოდა, აქაც უბადლო აღმოჩნდა ბონიფეისი, — მეგობრები პოლიციის სამმართველოდან წინასწარ ატყობინებდნენ მას იმ ზომებზე, რომლის მიღებასაც აპირებდნენ.

ერთ-ერთ გემს, რომელიც არხანგელსკში მიდიოდა, მიმართულება შეუცვალეს — ის ჩავიდა მარსელში, სადაც გადმოტვირთეს. ამ გემის ტრიუმში ჩადებული საცეცხლე ჭურვი გაანგარიშებული იყო უფრო დიდი ხნით მოგზაურობისათვის და არ აფეთქდა. იგი გემის გადმოტვირთვის დროს აღმოაჩინეს და ასე გახსნეს „სიგარების“ საიდუმლოება. რინტელენმა შეამჩნია, რომ უთვალთვალებდნენ. საჩქაროდ ლიკვიდაცია უყო ფირმა „გიბონს“ და ნიუ-იორკიდან დროებით გაქრა.

გერმანელი მზვერავი ინგლისელი ბრენონის სახელით დასახლდა კონეკტიკუტის შტატში სტემფორდთან ახლოს, ს

მუშაკებს გამოუგზავნიდა. შემთხვევა დაეხმარა რინტელენს ინგლისის ატაშეს გაბრიყვებაში. იგი შეხვდა ორ ნიუ-იორკელ მანდილოსანს, რომლებსაც ოდესღაც მეჯლისებზე ხვდებოდა და მათ არც კი იცოდნენ მისი გვარი. ამას ხელი არ შეუშლია მათთვის თავიანთი ნაცნობი — ინგლისის სამხედრო ატაშე გაეცნოთ რინტელენისათვის. რინტელენი წარუდგა მას როგორც საზღვაო ოფიცერი ბრენონი, რომელიც მივლინებული იყო აშშ-ში, რათა ადგილზე შეესწავლა ახალი ამერიკული წყალქვეშა ნაღმი. ბრენონმა საჩქაროდ უამბო მათ ერთი უცნაური ისტორია, რომელიც თითქოს ინგლისის სავაჭრო გემის მეთაურის კაპიტან ჯონსონისაგან ჰქონდა მოსმენილი. რამდენიმე დღის წინ კაპიტანმა ყურადღება მიიქცია, რომ ვილაცეებმა გემზე სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული რამდენიმე ყუთი ამოიტანეს. სამწუხაროდ, ჯონსონს სახეზე არ შეუხედავს ყუთების ამომტანი ხალხისათვის. ყუთებში კი ნამდვილად ჯოჯოხეთური მანქანები ეწყო. დაინტერესებულმა ატაშემ თავის მხრივ უამბო, რომ ის დიდი ხანია თვალს ადევნებს რინტელენის ჯგუფს, რომლის სახელი ხშირად იხსენიება გერმანიის საელჩოს დეპეშებში. სამწუხაროდ, რინტელენი შემჩნეული არ არის დანაშაულებრივ მოქმედებებში, თუმცა ყოველთვის დაეხეტება დოკების რაიონში და ხშირად სეირნობს იქ მოტორიანი ნავით. ერთხელ იგი პორტის ტავერნაში ისე დათვრა, რომ თავისი გვარიც კი წამოსცდა. ეჭვს გარეშეა, რომ ჩქარა შეკრებენ საკმაო მასალას და ამ გერმანელი დივერსანტის დაპატიმრებას მოითხოვენო.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო, რაც ატაშემ თავის სასიამოვნო თანამოსაუბრეს აცნობა. აქვე, მეჯლისზე ინგლისის დიპლომატი მოძებნა ვიღაც კაცმა, რომელმაც იმ წუთში მიღებული ცნობები გადასცა. რინტელენმა გაიგო, რომ ეს ეხებოდა გერმანიის რეიდერის — კრეისერი „კარლსრუეს“. ადგილსამყოფელს, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ნაოსნობას. ინგლისელი უკვე საადმირალოსათვის აპირებდა მიღებული ცნობების დეპეშით გადაცემას, მაგრამ რინტელენმა ის შეაჩერა და ერთი განსაკუთრებული ახალი ამბავი აუწყა. ამერიკის ნავსადგურებში ინტერნირებულია გერმანიის რამდენიმე ათეული დიდი გემი. ზოგიერთი მათგანი საიდუმლოდ შეიარაღებულია ზარბაზნებით. ამერიკის მიერ გერმანიისათვის საკმაოდ მოსალოდნელი ომის გამოცხადების შემთხვევაში გერმანელებს განზრახული აქვთ ძალით დააღწიონ თავი ამერიკის ნავსადგურებიდანო (ეს იყო გერმანელების მიერ ნამდვილად განხილული, მაგრამ შემდეგ მიტოვებული გეგმა). ატაშე კარგად უნდა დაფიქრებულიყო: ხომ არ შეუწყობდა ხელს მის მიერ გაგზავნილი დეპეშა

ბერმუდის კუნძულებზე ბაზირებული ინგლისის ესკადრის გაწვევას, რითაც გერმანელებს გაუადვილებდნენ ამერიკის ნავსადგურებიდან მოულოდნელად გამოსვლას. საბოლოოდ ინგლისის ატაშემ მიიღო გადაწყვეტილება: როგორც რინტელენს ატყობინებდა, უკვე გაიგზავნა ლონდონს დეპეშა. რომელსაც გერმანული გემებისათვის ღია ზღვაში გასვლის დროს „სიურპრიზი" უნდა მოემზადებინა. რინტელენმა მოახერხა იმ საფრთხის დროებით თავიდან აცილება, რომელიც გერმანიის კრეისერებს ემუქრებოდა.

ყოველ შემთხვევაში ასე გადმოგვცემს მთელ ამ ისტორიას რინტელენი თავის ცნობილ მემუარებში. ინგლისელი ავტორები მას თავიდან ბოლომდე გამოგონილად თვლიან და ამტკიცებენ, რომ არასოდეს ბრიტანეთის არც ერთ სამხედრო ატაშეს არ ჰქონია ასეთი უფლებამოსილება, როგორსაც მას თავის მოთხრობაში გერმანელი დივერსანტი მიაწერს...

მეორე დღეს გერმანიის მზვერავი ნიუ-იორკში დაბრუნდა. მისტერ ბონიფეისი აღელვებული იყო: ის მიჩვეული არ იყო საქმის დაჭერას ისეთ კლიენტებთან, რომლებიც სიმთვრალისაგან გრძნობას კარგავენ ნავსადგურის ტავერნებში. პატივცემულმა იურისტმა ამ ფაქტის შესახებ პოლიციის სამმართველოში მომუშავე თავის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან მეგობრებთან გაიგო. ათასმა დოლარმა, რომელმაც ბონიფეისის ჟილეტის ჯიბეში გადაინაცვლა, ისევ აიძულა იგი ემოქმედა. მან გამოარკვია, თუ რა იცოდა ნიუ-იორკის პოლიციამ რინტელენის ორეულზე. შეიტყო აგრეთვე ის ადგილიც, სადაც უნდა გაეჩხრიკათ კალათები, რომლებიც მას მოტორიანი ნავით ჩამოჰქონდა. რინტელენმა და მისმა აგენტებმა მოგვიანებით ადვილად დაადგინეს იმ კაცის ვვარი. ის სპირტიან სასმელებს და თამბაქოს ჰყიდდა დ ჰქონდა რაღაც საფუძველი, რომ ნიუ-იორკის პოლიციისა შინებოდა. რინტელენმა თავისი ორეული გადაიქცია მორჩილ იარაღად, რომელიც ყველა ბრძანებას ასრულებდა და ამავე დროს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა როლს თამაშობდა. ასეთი გზით დიდხანს ახერხებდნენ პოლიციისათვის კვალის აბნევას.

„სიგარების" ჩაწყობა გრძელდებოდა. რამდენჯერმე დივერსანტებმა კიდევ ერთი „გამოგონება" გამოიყენეს. გემის საჭეზე ამაგრებდნენ ჯოჯოხეთურ მანქანას, რომელიც ღია ზღვაში აფეთქების შემდეგ მართვის უნარს უკარგავდა გემს. მაგრამ აღჭურვილობის გადასაზიდავი ტრანსპორტის რიცხვი მატულობდა და რინტელენმაც სრულიად ახალი საშუალება სცადა. დივერსანტის მიერ გაცუმული ფულით შექმნეს ყვითელი „პროფკავშირები", საგაფიცვო დახმარები-

სათვის მაღალი განაკვეთის გადახდით ცდილობდნენ მიეზიდათ დოკერები გაფიცვების მოსაწყობად. რინტელენის წარმატება ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე იყო რეაქციული პროფკავშირები, რომლებსაც ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერები მფარველობდნენ. დოკერებმა კარგად იცოდნენ, თუ როგორ იცავდა პროფკავშირის მრავალი ლიდერი გემების მეპატრონეთა ინტერესებს. ბუნებრივია, რომ ზოგიერთი მუშა წამოეგო ანკესზე, შევიდა „პროფკავშირში", რომელიც გაფიცვებისაკენ მოუწოდებდა მათ და ამასთანავე, ჰქონდა ფული, რათა ბრძოლის დროს ხელი შეეწყო გაფიცვებისათვის. რასაკვირველია, გერმანიის დაზვერვის ეს წარმატება დროებითი იყო და მანამდე იარსებებდა, სანამ რინტელენის მიერ შექმნილი ფსევდოპროფკავშირული ორგანიზაციის ნამდვილი სახე გამოაშკარავდებოდა.

ერთხელ, როგორც ყოველთვის, ფრიად გათვითცნობიერებულმა ბონიფეისმა ანგარების მიზნით რინტელენს აცნობა, რომ გერმანიის ყველაზე საიდუმლო შიფრი მოიპარა ინგლისის დაზვერვამ, რომელმაც გერმანიის საზღვაო ატაშეს ერთი თანამშრომელი მოისყიდა. კაპიტანმა ბოი-ედმა ეს არასასიამოვნო ახალი ამბავი რომ გაიგო რინტენელისაგან, განაცხადა, შიფრი ყოველთვის ჩემს სეიფში ძევს და დაუშვებელია ვინმემ მისი გადაღება შეძლოსო. თუმცა აქვე გამოირკვა, რომ სეიფის დაკეტვის უფლება, კაპიტნის გარდა, კიდევ მის ერთ-ერთ მდივანს ჰქონდა. ბოი-ედმა უკუაგდო რინტელენის შიში და საუბრის დასასრულს უხეშად უთხრა, შიფრის შენახვა ეს საზღვაო ატაშეს საქმეა და არა სხვისიო. მალე რინტელენმა ბოი-ედის საშუალებით გერმანიაში დაბრუნების ბრძანება მიიღო. გამოურკვეველი დარჩა, თუ რით იყო გამოწვეული ეს ბრძანება. თავის მემუარებში რინტელენი ვარაუდობს, რომ ეს საქმე არ მოხდებოდა ერთი მისი ბერლინელი ნაცნობი ბარონესა შრედერის ჩაურევლად, შრედერისა, რომლის სალონში გერმანიის იმპერიის ბევრი დიდებული ხვდეოდა ერთმანეთს. ორი წლის შემდეგ ბარონესამ თავი მოიკლა, როცა ეჭვი მიიტანეს, რომ იგი აშშ-ს ჯაშუში იყო.

თავისი დივერსიული ცენტრის „საქმეების ჩასაბარებლად" რინტელენს დრო დასჭირდა. ამიტომ იგი დაბრუნების შესახებ ბრძანების შესრულებას დაგვიანებით შეუდგა. ერთი თვის შემდეგ შვეიცარიელი ე. ვ. გაშე გემ „ნორდამით", რომელიც ამერიკა-ჰოლანდიის კომპანიას ეკუთვნოდა, ევროპაში გაემგზავრა. გზაში იგი ერთმა ჰოლანდიელმა, რომელსაც ბერლინში ხვდებოდა ხოლმე, კინალამ გამოააშკარავა. ჰოლანდიელ გრაფს მისი გვარი დაავიწყდა და პირველად კი

განცვიფრდა, მაგრამ მაინც დაიჯერა, რომ იგი ბერლინში შვეიცარიის საელჩოს თანამშრომლად მუშაობდა.

როდესაც გემი ინგლისთან ახლოს იმყოფებოდა, რინტელენის პროტესტის მიუხედავად, ინგლისელმა ოფიცრებმა მას ნაპირზე ჩამოსვლა სთხოვეს. თამაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა: რინტელენი იმდენად ბუნებრივად ასრულებდა დაპატიმრების გამო აღშფოთებული შვეიცარიელის როლს, რომ არა მარტო მისი დამკავებელი ოფიცრები, არამედ თვით ინგლისის საზღვაო დაზვერვის უფროსი ადმირალი რეჯინალდ ჰოლიც შეყოყმანდა. მაგრამ, როდესაც ე. ვ. გაშეს შესახებ ბერნში შეკითხვის დეპეშა გაგზავნეს, გერმანელი დივერსანტი პასუხს აღარ დაელოდა და საჩქაროდ განაცხადა, რომ იგი კაპიტანი რინტელენია და ბარდება, როგორც სამხედრო ტყვე. ეს მოხდა 1915 წლის აგვისტოში.

რინტელენი სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს, მაგრამ შეერთებული შტატებიდან დაბეჯითებით მოითხოვდნენ გადაეცათ იგი ამერიკის სასამართლოსათვის. ეს მოთხოვნები კიდევ უფრო გაძლიერდა ერთი ეპიზოდის შემდეგ, რომელიც გერმანიის სამხედრო ატაშეს ფონ პაპენს შეემთხვა. აშშ-მა იგი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს და საერთაშორისო კანონის თანახმად ინგლისელები დათანხმდნენ იგი გერმანიაში გაეშვათ. მაგრამ პაპენმა თავისთვის რომ მიიღო საშვი, ვერ მოიფიქრა ასეთივე ანალოგიური ნებართვა მიეღო თავის ბარგზე. ინგლისის საბაჟოს წარმომადგენლებმა გამოიყენეს ეს შეცდომა, ბარგი ჩამოართვეს და ლონდონს გადაგზავნეს. ჩამორთმეულ ბარგში არაფერი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გარდა საჩეკო წიგნაკისა, რომლის ყუაზე აღნიშნული იყვნენ ის პირები, რომლებსაც ფულს აძლევდნენ და მითითებული იყო — რისთვის აძლევდნენ... იქვე აღმოაჩინეს აშშ-ში რინტელენის დივერსიული მოღვაწეობის დამადასტურებელი საბუთები. იგი ამერიკის ხელისუფლებას გადასცეს და 1917 წლის ზაფხულში ოთხი წლით საკატორღო სამუშაოები მიუსაჯეს. ამავე დროს დააპატიმრეს ოცდაათამდე მისი აგენტი, რომელთა ნაწილი გემებში „სიგარების“ ჩაწყობას რინტელენის ევროპაში წასვლის შემდეგაც განაგრძობდა.

როგორც ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ადმირალმა ჰოლმა ინგლისში დაპატიმრების დროს რინტელენს გულახდილად განუცხადა, ინგლისელები დიდი ხანია ელოდნენ გერმანელ მზვერავს, ვინაიდან დაიჭირეს და გაშიფრეს დეპეშა, რომლითაც მას გერმანიაში იბარებდნენ. მაშ რატომ ყოყმანობდნენ ინგლისელები — რომ მათ მიერ დაკავებული პირი მართლა რინტელე-

ნია, თუ სხვა ვინმე? მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელმა რამდენადმე გააჭიანურა გამომგზავრება, რადგანაც უნდოდა თავისი „საქმე“ საიმედო პირისათვის გადაეცა.

ბერლინმა ყურად არ იღო გაფრთხილება რინტელენისა, რომელმაც გადასცა ბონიფეისის ცნობა შიფრის მოპარვის შესახებ და განაგრძობდა ამ შიფრით სარგებლობას. ინგლისელებს ახლა თავისუფლად შეეძლოთ გერმანიის ყველა დეპეშის წაკითხვა. ამ საქმესთან დაკავშირებული ყველაზე დრამატული ეპიზოდია საგარეო საქმეთა მინისტრის ციმერმანის მიერ მექსიკაში გერმანელი ელჩისადმი გაგზავნილი დეპეშის ამოშიფვრა. დეპეშაში მას ნაბრძანები ჰქონდა მიემართა მექსიკის პრეზიდენტისათვის წინადადებით, გამოსულიყო გერმანიის მხარეზე და ჩაბმულიყო აშშ-ის წინააღმდეგ ომში, ამასთანავე წაექეზებინა იაპონია გადასულიყო სამთა კავშირის მხარეზე და ეღალატა ანტანტისათვის. იმ წლების კონკრეტულ ვითარებაში ამაზე უფრო უაზრო წინადადების მიცემა ძნელად წარმოსადგენია. უფრო დიდი სისულელე იყო ამგვარი წინადადების გაგზავნა დეპეშით, თუნდაც დაშიფრული სახით. ამერიკის პრეზიდენტმა ვილსონმა და მისმა მთავრობამ პირველად არც დაიჯერეს დეპეშის სინამდვილე, რომელიც მათ ლონდონიდან ამერიკის ელჩმა უ. ხ. პეიჯმა გაუგზავნა. მაგრამ დეპეშა მოდიოდა ვაშინგტონზე გავლით: გერმანიის ელჩმა აშშ-ში ბერნსტორფმა მისი ტექსტი მექსიკაში დესპან ფონ ეკჰარდს უდეოზეშა. ვაშინგტონის ფოსტაში დაცული იყო ამ საბუთის ასლი. ინგლისის ამომშიფვრელებმა ამერიკის ელჩის თანდასწრებით გაშიფრეს ვაშინგტონიდან ლონდონში გადაგზავნილი ტექსტი. ამასთანავე ინგლისის დაზვერვამ მალე გაშიფრა და ამერიკის მთავრობას ბერლინიდან გადასცა მთელი რიგი ინსტრუქციები, რომლებიც აზუსტებდნენ და ანვითარებდნენ მინისტრის დეპეშას. ეჰვინ შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა!

რასაკვირველია მექსიკაში გაგზავნილ დეპეშას არ განუსაზღვრავს ვილსონის გადაწყვეტილება, ომი გამოეცხადებინა გერმანიისათვის, როგორც ამას მრავალი ბურჟუაზიული ისტორიკოსი და დიპლომატი ამტკიცებს. თავისი საკუთარი ფართო დაპყრობითი გეგმები იზიდავდა ამერიკის იმპერიალიზმს, რომ მონაწილეობა მიეღო პირველ მსოფლიო ომში. მაგრამ საზოგადოების თვალში აშშ-ის ომში ჩაბმის გასამართლებლად ციმერმანის უნიათობამ დიდი როლი შეასრულა.

ინგლისის დაზვერვამ ყოველივე ამასთან ერთად იმასაც მიაღწია, რომ გერმანელები განაგრძობდნენ იმავე შიფრით სარგებლობას. ამისათვის ისინი უნდა დაერწმუნებინათ, რომ დეპეშები ცნობილი გახ-

და სადღაც აშშ-ში ინფორმაციის დინების გამო და არა ინგლისის კონტრდაზვერვის მიერ შიფრის გახსნის შედეგად. თავის ცნობილ „მემუარებში“ რინტელენი ამტკიცებს, რომ წერილების გამოქვეყნების ორგანიზაცია გაზეთ „დეილ მეილში“ ადმირალ ჰოლს ეკუთვნის. წერილი აკრიტიკებდა ინგლისის საიდუმლო სამსახურს, რომელმაც ვერ შეძლო იმ მნიშვნელოვანი დეპეშების გაშიფვრა, რომლის ტექსტი ამერიკელებმა იშოვეს. ბერლინში ანკესზე წამოეგენ — იქ ყურადღება არც კი მიაქციეს იმას, რომ ამგვარ წერილს „დეილი მეილში“ არ გაუშვებდა სამხედრო ცენზურა, თუ საქმეში ადმირალი ჰოლი არ იქნებოდა ჩარეული. ასე გადმოგვცემენ რინტელენი და მის შემდეგ რიგი სხვა ავტორები.

სინამდვილეში „დეილი მეილში“ წერილი არ გამოქვეყნებულა. ადმირალი ჰოლი აპირებდა მის გამოქვეყნებას, მაგრამ უკანასკნელ წუთს შეეშინდა, ზიანი არ მიეყენებინა ინგლისის საადმირალოს პრესტიჟისათვის. რინტელენს ამ ისტორიის შესახებ ან ინგლისში უნდა გაეგო დაპატიმრების დროს, აწ ომის შემდეგ, როდესაც კავშირი ჰქონდა ადმირალ ჰოლთან.

ასე იყო, თუ ისე, გერმანიის დიპლომატია განაგრძობდა წინანდელი შიფრით სარგებლობას. თუმცა გერმანელების ცდებს — გადაეგზავნათ ბრძანებები ნეიტრალური ქვეყნებიდან — შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, ესპანეთიდან — გასაქანს არ აძლევდა ინგლისის კონტრდაზვერვა, რომელსაც იქ თავისი აგენტურა ჰყავდა. მას ჰოლთან მიჰქონდა იმავე ინგლისელებისათვის ნაცნობი კოდით დაშიფრული დეპეშების ასლი.

არსებობდა (ნამდვილად მოგონილების გარდა) სამი ვერსია იმისა, თუ რა გზით მიიღო ინგლისის დაზვერვამ გერმანიის დიპლომატიური კოდი. გერმანელები ამტკიცებდნენ, რომ ეს კოდი ინგლისელებს გადასცა ახალგაზრდა ავსტრიელმა. რადიოინჟინერმა ალექსანდრე სცეკმა. მას ჰქონდა ბრიუსელის რადიოგადაცემების შენობაში შესვლის უფლება. ამ შენობიდან, რომელიც გერმანელ გენერალ-გუბერნატორს ეკუთვნოდა, მთავრობის რადიოგრამები ეგზავნებოდა საზღვარგარეთ მყოფ გერმანელ დიპლომატებს. სცეკის დედა ინგლისელი იყო. გერმანელების ვერსიით, სცეკი, რომელსაც დიდ თანხას დაჰპირდნენ, შიფრით ინგლისში გაიქცა. სცეკის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ომის შემდეგ მაჰმამისმა სცადა მოძებნა, მაგრამ ინგლისის დაზვერვამ უარი უთხრა ცნობების მიცემაზე, რომლებსაც შეეძლო ნათელი მოეფინა მისი ბედისათვის. შესაძლოა იგი „მოიცილეს“ საიდუმლოების შენახვის ვარანტიის მიზნით, ძალიან ბევრი რამ იყო

დამოკიდებული. იმაზე, რომ გერმანელებთან არ მოხვედრილიყო არავითარი ცნობა, რომელიც ეჭვს აღუძრავდა მათ *.

უ. ჩერჩილი წიგნში „მსოფლიო კრიზისი“ გადმოგვცემს ბრიტანეთის ოფიციალურ ვერსიას. ამ ვერსიით შიფრების წიგნი ამოღებული იყო რუსი მყვინთავების მიერ 1914 წლის 25 აგვისტოს ბალტიის ზღვაში დაღუპულ გერმანიის კრეისერ „მაგდებურგის“ გაჩხრეკის დროს. კრეისერი წყალქვეშა ქვებს დაეჯახა და რუსეთის გემების ცეცხლში მოხვდა. მან ვერ მოახერხა თავთხელიდან გამოსვლა და ის ჩაძირა თავისმავე ეკიპაჟმა. შიფრების წიგნი ედო ერთ გერმანელ უნტერ-ოფიცერს, რომელიც ამაოდ ცდილობდა გადარჩენას კატასტროფის დროს.

რუსეთის სარდლობამ ყოველგვარი ზომა მიიღო, რომ გერმანელებს არაფერი გაეგოთ ზღვიდან ამოღებულ ძვირფას ნადავლზე. მყვინთავებს, რომლებმაც „მაგდებურგი“ გამოიკვლიეს, დაუდევარი მუშაობისათვის საყვედური გამოუცხადეს. იმას, რომ შიფრი რუსებს ჩაუვარდათ, ვერ მიხვდა ვერც თვით „მაგდებურგის“ კაპიტანი და ვერც ეკიპაჟის ნაწილი, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ. მიიღო რა ამის შესახებ ცნობა რუსეთის საზღვაო ატაშესაგან, ბრიტანეთის საადმირალომ არხანგელსკში დაუყოვნებლივ გაგზავნა შიფრისათვის სამხედრო გემი. ოქტომბერში შიფრი ლონდონში ჩამოიტანეს. მართალია, კოდი რადიოგადაცემების საიდუმლო შენახვის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლისის ექსპერტებმა 1914 წლის ნოემბრის დასაწყისში უკვე მოახერხეს რადიოგრამების გაშიფვრა, რომლებსაც გერმანიის მთავრობა და სამხედრო სარდლობა აგზავნიდა.

ბოლოს ინგლისის მზვერავი ვ. ვუდჰოლი გვამცნობს მესამე ვერსიას. იგი ამტკიცებს, რომ თვითონ იცნობდა იმ პირს, რომელმაც კოდი მოიტანა. ეს იყო საფრანგეთის უცხოქვეყნელთა ლეგიონის ჯარისკაცი, მას ვუდჰოლი პირობით სმიტს ეძახდა. 1915 წლის ბოლოს სმიტი, რომელმაც კარგად იცოდა ფრანგული, გერმანული და ფლამანდიური ენები, სამუშაოდ დაზვერვაში გადავიდა. იგი ბელგიის დედაქალაქში გაგზავნეს გერმანიის შიფრის საშოვნელად. ჩამოხტა თუ არა პარაშუტით ბრიუსელთან ახლოს, ბელგიელი გლეხის

* ინგლისელი მზვერავი გ. ლანდაუ ამტკიცებს, რომ სცეკი გერმანელებმა დაიჭირეს ჰოლანდიის საზღვარზე და დახვრიტეს როგორც დეზერტირი. მისმა თანაშგზავრმა, ინგლისელმა აგენტმა სცეკის მიერ გადაღებული კოდის ასლით ჰოლანდიამდე მიაღწია.

ტანსაცმელში გადაცმულმა სმიტმა მოახერხა მშვიდობით გასვლა ქალაქში და დაკავშირება რამდენიმე ბელგიელთან, რომლებიც მზად იყვნენ მის დასახმარებლად. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბელგიელმა ქალიშვილმა ივონამ. იგი მუშაობდა კაფეში, იქ ხშირად მოდიოდა გერმანელი უნტერ-ოფიცერი, რომელსაც ის უყვარდა. გერმანელი რადიოსადგურში ოპერატორად მუშაობდა, ივონამ დაარწმუნა თავისი თაყვანისმცემელი, რომ ის და მისი ძმა (ე. ი. სმიტი) დიდი მოყვარულები არიან ჯერ კიდევ ნაკლებგავრცელებული რადიოსი. უნტეროფიცერი სიამოვნებით დათანხმდა ესწავლებინა მათთვის რადიოსაქმე და სმიტისათვის წინასწარ მომზადებულ კითხვებზე პასუხით შეუგნებლად გასცა კოდის ყველა მთავარი ელემენტი. გაკვეთილების შემდეგ სმიტი რამდენიმე კვირის განმავლობაში გულმოდგინედ იწერდა მიღებულ ცნობებს. შემდეგ მზვერავმა გადაიცვა გერმანელის ფორმა, რომელიც ბელგიელმა მეგობრებმა უშოვეს და მშვიდობიანად გადაკვეთა ფრონტის ხაზი.

მისი წასვლისთანავე გერმანელები იმ კაფეში შეცვივდნენ, სადაც ივონა მუშაობდა. თურმე გერმანიის კონტრდაზვერვა დიდი ხანია უთვალთვალებდა ახალგაზრდა რადისტის საეჭვო ვიზიტებს. მაგრამ ივონამ მოისაზრა, რომ გერმანელს არ აუხსნია და არც შეეძლო აეხსნა მათი რადიოგაკვეთილების აზრი, აღიარა მხოლოდ ის, რომ მალავდა სმიტს, რომელსაც გერმანელ დეზერტირად ასაღებდა. ივონას ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს, მის ამხანაგს კი, რომელიც აგრეთვე აქტიურად ეხმარებოდა სმიტს, უფრო ნაკლები.

ეს ვერსიები არ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, ვინაიდან შეიძლება შიფრი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა გზით მიეღოთ *. მაგრამ საიდუმლოების საფარველი, რომელიც კვლავ შემოხვეული აქვს ამ საქმეს, გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ შეიძლება კოდის გატაცების ნამდვილი ისტორია ასევე ამოუცნობი დარჩეს. რასაკვირველია, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ინგლისის დაზვერვამ მოახერხა არა

---

* გერმანიის კიდევ ერთი კოდი იპოვეს დირიჟაბლზე, რომელმაც ინგლისზე თავდასხმის შემდეგ ავარია განიცადა. ცეპელინი საბოლოოდ ჩამოაგდეს საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამ ადგილთან ახლო მყოფმა ამერიკელმა ოფიცრებმა დაიტაცეს ძვირფასი წიგნები. ისინი ძლივს წაართვეს სუვენირების მოყვარულებს. ინგლისელებმა ამის შემდეგ ჩამოაყალიბეს თვითმფრინავების სპეციალური ესკადრილია, რომელიც მზად იყო ცეპელინის ჩამოგდების ადგილას მაშინვე გასაფრენად. ესკადრილიამ ხელში ჩაიგდო კიდევ ერთი ნახევრად დამწვარი შიფრის წიგნი. ასევეთივე საზღვაო სამსახური მუშაობდა კოდების საძებნელად დაღუპულ წყალქვეშა ნავებზე.

მარტო გერმანიის შიფრის ხელში ჩაგდება, არამედ დეპეშებსაც კი აგზავნიდა გერმანიის სარდლობის სახელით. ერთ-ერთმა ასეთმა დეპეშამ ინგლისს ზღვაზე დიდი გამარჯვება მოუტანა.

ინგლისის საადმირალო ძალზე შეწუხებული იყო გერმანიის ესკადრის მოქმედებით, რომელსაც ადმირალი შპეე მეთაურობდა. ეს ესკადრა 1914 წლის შემოდგომაზე სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა ანტანტის ქვეყნების ნაოსნობას. ესკადრის შემადგენლობაში იყო ახალი შორსმსროლელი ქვემეხებით შეიარაღებული კრეისერები „შარნჰორსტი“ და „გნეიზენაუ“. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო გამოეყოთ ასულ ცოტა, ორი ახალი სახაზო გემი უფრო მსხვილყალიბიანი არტილერიით. ამ მიზნით, ჰოლის მითითებით, ინგლისის ნავსაშენებში რამდენიმე კვირაში აშენდა... სახაზო გემების „ივინინსებლისა“ და „ინფლექსებლის“ ორი ხის მაკეტი. ეს მაკეტები ინგლისიდან ბუქსირით წაიღეს ეგეოსის ზღვაში, სადაც ჯავშნოსანი გემები იმყოფებოდა, რათა ხელი შეეშალათ გერმანიის კრეისერის „გებენის“ გარღვევისათვის დარდანელიდან ავსტრიის სამხედრო-საზღვაო ბაზა პოლაში. ღამის წყვდიადში ღუზიდან ახსნილი სახაზო გემები მაკეტებით შეცვალეს. ისინი ნაპირიდან საკმაოდ მოშორებით იმყოფებოდნენ და გარშემორტყმული იყვნენ ნაღმოსნებითა და სხვა სამხედრო გემებით, რომლებიც ცნობისმოყვარეებს ახლოს არ უშვებდნენ. გერმანიისა და ავსტრიის მრავალრიცხოვანმა აგენტებმა ვერ შეამჩნიეს შეცვლა, ამგვარად, ორმა ძლიერმა სახაზო გემმა გერმანელებისაგან საიდუმლოდ დატოვა ხმელთაშუა ზღვა და შპეეს ესკადრაზე სანადიროდ გაემართა. რჩებოდა მხოლოდ ერთი: წინასწარ გაეგოთ, სად იქნებოდა გერმანიის ესკადრა განსაზღვრულ დღეს.

1914 წლის 1 ნოემბერს შპეეს გემებმა საზღვაო ბრძოლაში გაანადგურეს ინგლისის ადმირალ კრედოკის სუსტი ესკადრა და ამის შემდეგ ჩილის ნავსადგურ ვალპარაისოში მივიდნენ. აქ შპეემ ბერლინიდან მიიღო დეპეშა, მას უბრძანებდნენ წასულიყო ფოლკლენდის კუნძულებზე იქ არსებული რადიოსადგურის დასანგრევად. შაგრამ დეპეშა მისთვის გერმანიის სარდლობას არ გაუგზავნია. იგი ბერლინის ტელეგრაფიდან ინგლისის აგენტმა გაგზავნა. მან მოახერხა ბლანკის შოვნა, რომელზეც თვითონ დასვა მის მიერ მოპარული საზღვაო სამინისტროს ექსპედიციისა და ცენზურის განყოფილების ბეჭდები. ამ ბეჭდებით დეპეშა ყოველგვარი ეჭვის გარეშე იქნა მიღებული ტელეგრაფში და გაგზავნილი დანიშნულების ადგილზე. 1914 წლის 7 დეკემბერს შპეე, ბრძანების თანახმად, გამოცხადდა იმ

ადგილზე, რომელიც სინამდვილეში ინგლისის დაზვერვამ მიუთითა. მეორე დღეს კი ინგლისის სახაზო გემების უფრო შორს მსროლელმა ქვემეხებმა გაანადგურეს გერმანიის კრეისერები, რომლებმაც ამღენი.უსიამოვნება მიაყენეს ბრიტანეთის საადმირალოს.

ხელში ჩაგდებული გერმანიის შიფრები ანტანტას სხვადასხვა სიტუაციაში ეხმარებოდა. მაგალითად, 1917 წლის მაისში გერმანიის დესპანმა არგენტინაში გრაფმა ლიუკბურმა გაგზავნა პატაკი, სადაც ურჩევდა კვალის დაუტოვებლად ჩაეძირათ არგენტინის ორი გემი „ორანი“ და „გოცა“, რომლებსაც საფრანგეთში ხორბალი მიჰქონდათ. გერმანელი ამ პატაკში ყოველგვარი დიპლომატიური თავაზიანობის გარეშე ახასიათებდა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ „ის, როგორც ეს ყველამ იცის, არის ვირი და ანგლოფილი“. ეს დეპეშა, რომელიც გერმანელებმა კაბელით გაგზავნეს შვეიცის დესპანის დახმარებით, გაშიფრეს ინგლისელებმა. ამის შედეგად გადარჩა ორივე ტრანსპორტი, რომლებსაც გაძლიერებული დაცვა მიუყენეს. მაგრამ გერმანიის დიპლომატი იძულებული იყო ბუენოს-აირესში ჩასვლისას უკანვე მიეღო თავისი პასპორტები.

ადმირალ ჰოლსა და მის თანამშრომლებს ბევრი სხვა ცნობაც ჰქონდათ ნეიტრალურ ქვეყნებში გერმანელების მიერ დივერსიული აქტების მომზადების შესახებ,. მაგრამ ინგლისის კონტრდაზვერვამ გადაწყვიტა ეს ცნობები თავისთვის დაეტოვებინა, რომ დაემალათ გერმანელებისათვის ინფორმაციის წყარო. ამისათვის ინგლისის კონტრდაზვერვას მობილიზებული ჰქონდა მთელი თავისი გამჭრიახობა, იგონებდა სულ ახალ და ახალ ოინს, რომ გერმანიის სარდლობას არ გაეგო კოდების ამოშიფვრის შესახებ. საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის დახმარებით ჰოლმა გერმანელებს ორი ხანდო პირი მიუგზავნა. პირველი იყო საფრანგეთის ატაშე ერთ-ერთ ნეიტრალურ ქვეყანაში, მეორე კი სხვა ნეიტრალურ ქვეყანაში მოქმედებდა. ორივემ ნდობის მოპოვების მიზნით დაიწყო თუ არა გერმანელებთან მუშაობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ამბები აცნობა ინგლისის დაზვერვას, (ფრანგებმა, რასაკვირველია, ეს ცნობები ცოტა მოკვიანებით გადასცეს იმ ანგარიშით, რომ გერმანიის ხელისუფლებას არ დარჩენოდა დრო კონტრზომების მისაღებად). ახალმა აგენტებმა გერმანიის დაზვერვას აუწყეს, რომ ინგლისელებს კოდებზე ინფორმაციას აწვდის რომელიღაც მაღალი თანამდებობის პირი ბერლინში. ვინაიდან ეს ცნობები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ორი აგენტისაგან იყო მიღებული, გერმანიის დაზვერვამ ერთი მეორის დამადასტუ-

რებლად ჩათვალა. დაიწყო მოღალატის გულმოდგინე ძებნა ბერლინში. რასაკვირველია, დაჭერისათვის დაწესებული იყო დიდი ჯილდო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძებნა ამაო გამოდგა.

მოწინააღმდეგის დეზინფორმაციისათვის მიღებულ ღონისძიებებთან ერთად ჰოლი იცავდა ყოველგვარ სიფრთხილესაც, რათა შეენარჩუნებინა „სახლი № 40-ის" საიდუმლოება, საადმირალოს ძველ შენობაში, სადაც გერმანიის დეპეშების ამოშიფვრა ხდებოდა. „სახლი № 40-ში" შესვლა შეეძლოთ ძალიან ცოტა, გულმოდგინედ შემოწმებულ პირებს. მხოლოდ დროებითი ზავის დადების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში დართო ნება ადმირალმა ჰოლმა დამლაგებლებს, შესულიყვნენ სანუკვარ ოთახში და ომის ოთხი წლის მანძილზე პირველად გაეტანათ იქ დაგროვილი მტვერი...

„არა იპარო..."

ინგლისელების მიერ გერმანიის შიფრების შეძენა ცნობილი გახდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. საკმაოდ გვიან, უკვე ჩვენ დროს, გამოაშკარავდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ინგლისელებმა შეძლეს გამოეყენებინათ ის, რომ მათი ერთ-ერთი შიფრიც ხელში ჩაუვარდა მტერს. გერმანელებისაგან განსხვავებით, ინგლისელებმა მალე გაიგეს თავისი დანაკარგის შესახებ. საქმე ეხებოდა კოდებს, რომლებითაც გადასცემდნენ ცნობებს დანაღმული მინდვრების იმ ნაღმებისაგან გაწმენდის შესახებ, რომლებიც გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩააწყვეს. გერმანიის ერთ-ერთმა ნავმა მრავალი ნაღმი ჩააწყო უოტერფორდის ნავსადგურის შესასვლელში (ირლანდიაში). ინგლისის კონტრდაზვერვამ გერმანელებისათვის ნაცნობი კოდით გაგზავნა ცნობა, რომ ეს ნაღმები ამოღებულია. მალე გამოჩნდა ნავი, რომ ჩაეწყო ახალი... მაგრამ წარსულში ჩაწყობილ ერთ-ერთ ნაღმზე აფეთქდა.

შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ინგლისის კონტრდაზვერვის მიერ გერმანელებისათვის ყალბი კოდის გადაცემას. ამ კოდს თითქოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჩქარო ცნობების გადაცემის გაშიფვრისათვის იყენებდნენ. გადაწყვიტეს ეს კოდი გერმანელებისათვის მიეჩეჩებინათ და დროთა განმავლობაში რადიოთი გადაეცათ მით დაშიფრული სხვადასხვა „ბრძანებები". ინგლისის გემების კაპიტნებს, ბუნებრივია, არ შეეძლოთ წაეკითხათ ეს ბრძანებები, ვინაიდან

არ იყენენ მომარაგებული ყალბი კოდით, რომელიც მარტო გერმანიის სარდლობისათვის იყო განკუთვნილი.

ვარაუდი უბრალო იყო, მაგრამ წარმოიშვა საკმაოდ რთული ამოცანა — ისე „მიეგდოთ“ გერმანელებისათვის კოდი, რომ მათ არავითარი ეჭვი არ შეპარვოდათ მის უტყუარობაში.

ჰოლანდიაში, ქალაქ როტერდამის ერთ-ერთ სასტუმროში ხშირად ჩერდებოდნენ ინგლისელები და ამიტომაც მასზე გერმანელ მზვერავებს დაძაბული მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული. ინგლისის კონტრდაზვერვამ იცოდა, რომ სასტუმროს კარისკაცი გერმანელებთან მუშაობდა. თუკი ინგლისიდან ჩამოვიდოდა ისეთი ვინმე, რომელიც, კარისკაცის აზრით, გერმანიის მზვერავების ყურადღებას იმსახურებდა, მეორე დღეს სასტუმროს ეწვეოდა ქერა მანდილოსანი და ქირაობდა ოთახს, რომელიც ჩვეულებრივად ახალი მდგმურის ოთახის გვერდით იყო მოთავსებული. ეს ქერა ქალი უკვე დიდი ხანია „გამჟღავნებული“ იყო ინგლისელების მიერ. იგი ცოლად ჰყავდა ბელგიელს. მოგვიანებით ჯაშუში ქალი ფრანგებმა დახვრიტეს. ლონდონში საკმაოდ დიდად აფასებდნენ ქერა მანდილოსნის ნიჭს და გადაწყვიტეს გამოეყენებინათ იგი მისივე დამჭირავებლის წინააღმდეგ.

მთავარი როლისათვის მოიწვიეს გაი ლოკოკი, შემდეგში მსხვილი მეწარმე, იმ დროს კი პარლამენტის ერთ-ერთი წევრის მდივანი. ლოკოკი მანამდე რამდენიმე წელი ფორინ-ოფისში — საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურობდა და კარგად იცოდა ის მანერები, რომლებსაც უცხოელები ტიპიურად თვლიდნენ ბრიტანეთის დიპლომატებისათვის. დაკისრებული როლი არ იყო რთული.

1915 წლის 22 მაისს ნაშუადღევს როტერდამში ჩამოვიდა ბრიტანეთის რომელიღაც ოფიციალური პირი სპეციალური სამსახურებრივი პასპორტით. ინგლისელი აშკარად განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი დიპლომატიური შიკრიკი იყო. მისი ნივთებიდან სამოგზაურო ჩანთა, ეტყობოდა, განკუთვნილი იყო ოფიციალური ქაღალდების გადასატანად. მას იგი გვერდიდან არ იშორებდა. დავუშვებთ — ჩანთაში რომ ახალი, ზედმიწევნით საიდუმლო კოდის ასლი იდო, ეს წინასწარ არ შეეძლო სცოდნოდათ იმ პირებს, რომლებიც ყურადღებით უთვალთვალებდნენ ლონდონიდან ჩამოსულ სტუმარს.

22 მაისი სრულიადაც არ იყო შემთხვევით ამორჩეული. ეს გახლდათ შაბათი და ბრიტანეთის საკონსულო, საითაენაც ინგლისელი მიემართებოდა, დაკეტილი იყო ორშაბათამდე, შეიძლება სამშაბათამდეც, ვინაიდან ორშაბათი, 24 მაისი, ემთხვეოდა საეკლესიო დღესას-

წაულს — სულვების დღეს, რომელსაც ინგლისში მტკიცედ იცავ-დნენ. ასე რომ, ჩანთა დღე-ნახევრის ან ორი დღე-ნახევრის განმავ-ლობაში ჩამოსულის ოთახში უნდა ყოფილიყო.

მოეწყო თუ არა თავის ოთახში, მეორე სართულზე, ლოკოკმა გა-საღებით დაკეტა კარები და ბაღში გავიდა. იქიდან ადვილად შეიძლე-ბოდა დადგენა, რომ მისი ოთახის ფანჯარა ბოლოდან მესამე იყო. გვერდით სანაპიროდანაც შეიძლებოდა აგრეთვე ამ ფანჯრის დანახვა. სანაპიროზე ეყარა რაღაც კასრები. ლოკოკმა სწრაფად გამოძებნა ად-გილი, სადაც კასრებს უკან დამალულს, შეეძლო ეთვალთვალა ფანჯ-რისათვის. უკვე ოთახში დაბრუნების დრო იყო. იქ კი. საკიდარზე, სადაც ტანსაცმელი ეკიდა, უნდა ჩამოეკიდა სამგზავრო ჩანთა. ამით ის საქმეები, რომლებიც ლოკოკს შაბათს უნდა გაეკეთებინა, მთავრ-დებოდა.

კვირას ნაშუადღევს სასტუმროში ჩამოვიდა ქერა მანდილოსანი. მას სრულიად არ მიუქცევია ყურადღება ინგლისელისათვის, რომე-ლიც ვესტიბიულში სავარძელში მოხერხებულად გაშოტილი ახალ გაზეთს კითხულობდა და არავითარი ცნობისმოყვარეობა არ გამო-უჩენია ჩამოსულის შიმართ.

ინგლისელი აშკარად მოწყენილი იყო. არ იცოდა როგორ გაეტა-რებინა დრო უცხო ქალაქში. კარისკაცმა თავი ვალდებულად ჩათვა-ლა, დახმარებოდა მდგმურს. მოწყენილი ბრძანდებით? რასაკვირვე-ლია, მიიღო პასუხი. მაშინ კარისკაცმა საიდუმლოდ აცნობა ჩამო-სულს ადგილი, სადაც შეიძლებოდა საღამოს კარგად გატარება და დაწვრილებით აუხსნა, როგორ მიეღწია ამ სასიამოვნო დაწესებულე-ბამდე. სტუმარმა უმალვე მიიღო კეთილი რჩევა. იგი სწრაფად ავიდა ოთახში და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გამოდიოდა სას-ტუმროდან. ბრიტანეთის დიპლომატი ისე ჩქარობდა, რომ დაავიწყდა თან წაეღო ჩანთა, რომელიც ოთახში საკიდარზე დარჩა.

მაგრამ ინგლისელი არ მისულა იმ ადგილამდე, რომელიც მას კა-რისკაცმა მიასწავლა. შეუხვია თუ არა კუთხეში, ლოკოკმა შორი გზით შემოუარა და დაბრუნდა სასტუმროს ახლოს სანაპიროზე დალაგებულ კასრებთან. (საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ გერმანელებმა არც კი სცადეს შეემოწმებინათ, იყო თუ არა ინგლისელი შიკრიკი იმ დაწე-სებულებაში, სადაც ის კარისკაცმა გაგზავნა).

ქერა მანდილოსანი და მისი მეგობრები დროს არ კარგავდნენ. ლო-კოკის წასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ მის ოთახში სინათლე აინთო, ფანჯარაში გამოჩნდნენ ლანდები. მალე სინათლე ჩაქრა. გერ-მანელებმა ნახეს ის, რასაც ეძებდნენ — შიფრების წიგნი. წარმოიშვა

კითხვა: ნუთუ ქერა მანდილოსანი მოიპარავს წიგნს? — მაშინ ეს იქნებოდა ტლანქი ნამუშევარი, ხელში ჩავარდნილი ნადავლის სრულიად გაუფასურება. ამ შემთხვევაში ხომ ინგლისელები უმალვე გაიგებდნენ კოდის მოპარვის ამბავს და მაშინვე მიიღებდნენ ზომებს მისი შეცვლისათვის. გერმანელ მზვერავ ქალს უნდა გაეანგარიშებინა, რომ ინგლისელი შიკრიკი სასტუმროში, სულ ცოტა, სამ საათს არ დაბრუნდებოდა — დრო საკმარისზე მეტი იყო იმისათვის, რომ გაეკეთებინა შიფრის წიგნის ყველა გვერდის ფოტოასლები და იგი ისევ თავის ადგილზე ჩამოეკიდა. ლოკოკს ისღა დარჩენოდა, დალოდებოდა, სანამ მის ოთახში ისევ არ აინთებოდა შუქი.

ინგლისელი ელოდა ღამის პირველ საათამდე და მოთმინებისათვის დაჯილდოვდა კიდეც. შუქი ორიოდ წუთით აანთეს. მაშ ასე, ჩანთა ჩამოკიდებულია თავის ადგილზე. ორის ნახევარზე ძლიერ დამთვრალი დიპლომატი სასტუმროს ვესტიბიულში შევიდა. მას უნდოდა ეთქვა თავაზიანი კარისკაცისათვის, თუ რა კარგად გაატარა დრო. მაგრამ ენას ძლივს იმორჩილებდა. კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა მისთვის მეორე სართულზე ასვლა. კეთილი კარისკაცი, რასაკვირველია, აქაც დაეხმარა გალეშილ სტუმარს. ორივე მხარე ერთმანეთის დიდი კმაყოფილი დარჩა...

ერთი წლის შემდეგ იგივე ლოკოკი კვლავ გაგზავნეს საიდუმლო კოდის „დამატებებით". ამ „დამატებებით" გერმანელები უნდა დაერწმუნებინათ, რომ ინგლისელები არც კი ეეჭვობდნენ მტრის მიერ იმ შიფრის გახსნას. ამჯერად ლოკოკმა მოახერხა ყალბი შიფრის ყალბი დამატებები 500 გირვანქა სტერლინგად გაეყიდა. საეჭვოა, ისინი მეტი ღირებულიყო!

თავისი ყალბი შიფრის დახმარებით ინგლისის კონტრდაზვერვამ არაერთხელ გააბრიყვა გერმანიის სარდლობა. მაგალითად, 1916 წლის სექტემბერში ამ კოდით ინგლისის მთელ რიგ გემებზე გაგზავნეს „ბრძანება", საიდანაც ჩანდა, რომ ისინი მალე მონაწილეობას მიიღებდნენ რომელიღაც სადესანტო ოპერაციებში. ამავე დროს დაზვერვის რამდენიმე გამოცდილ აგენტს, რომლებსაც სხვადასხვა დიპლომატიური და სხვა პოსტები ეკავათ, და რომლებიც ხშირად ლონდონის სალონებში იმყოფებოდნენ, დავალებული ჰქონდათ „წამოცდენოდათ" ინგლისის დესანტის გერმანიაში გადასხმის მზადება. ამტკიცებდნენ, რომ ექსპედიცია ინგლისს დატოვებდა სამ ჯგუფად — ჰარიჯიდან, დუვრიდან და ტემზიდან, სადაც უკვე თავმოყრილი იყო აუარება სადესანტო გემი.

გერმანელების საბოლოოდ დასარწმუნებლად, რომ მიმდინარეობ-

და დესანტის მომზადება, 1916 წლის სექტემბერში დაბეჭდეს ლონ-დონის გაზეთის „დეილი მეილის“ სპეციალური ნომერი. მას არაფერი ჰქონდა საერთო იმავე რიცხვში დაბეჭდილ „დეილი მეილთან“, რომელიც გაზეთების კიოსკებში იყიდებოდა. სპეციალური გამოშვება სულ 24 ეგზემპლარად დაიბეჭდა და მასში, რასაკვირველია, არსად არ ახსენებდნენ, რომ იგი რაიმეთი განსხვავდებოდა „ჩვეულებრივისა-გან“, რომელიც ინგლისის მკითხველისათვის იყო განკუთვნილი. 24 ეგზემპლარიდან ექვსში სქელი შავი საღებავით დასვრილი იყო ერ-თი პარაგრაფი. ეს ექვსი და კიდევ რამდენიმე სხვა ეგზემპლარი ჰო-ლანდიაში გაგზავნეს იმ მისამართებზე, სადაც საზოგადოდ „დეილი მეილს“ აგზავნიდნენ. ამავე დროს ერთი დღით შეწყვიტეს ჰოლან-დიასთან მიმოსვლა.

ინგლისელებმა წინასწარ იცოდნენ, რომ გერმანელები, რასაკვირ-ველია, საღებავით დასვრილ ადგილს უურადღებას მიაქცევდნენ და დასვრილ ეგზემპლარს „დაუსვრელს“ შეადარებდნენ. გერმანიის დაზ-ვერვას უნდა დაესკვნა, რომ „დაუსვრელი“ ეგზემპლარი გაგზავნილი იყო ჰოლანდიაში მანამ, სანამ ინგლისის ცენზურა გონს მოვიდოდა და ბრძანებას გასცემდა საღებავის ქვეშ დაემალათ „საშიში“ ადგილი. აბზაცი, რომლის გამო ასეთი განგაში ატყდა, იტყობინებოდა ინგლი-სის აღმოსავლეთ სანაპიროზე დიდი სადესანტო ფლოტის მომზადე-ბას. კორესპონდენტი, რომელიც თითქოს ამ ცნობას დუკრიდან იუ-წყებოდა, დამატებით დასძენდა, რომ იქ არ არის მიღებული შეკითხ-ვების მიცემა და მისთვის უცნობია ამ სადესანტო გემების დანიშნუ-ლება. იმ დროს საჰაერო დაზვერვა ჯერ კიდევ არ არსებობდა... და გერმანელებმა დაიწყეს ფრონტიდან თავისი ძალების სასწრაფოდ გა-ყვანა, რათა დესანტთან შესახვედრად მომზადებულიყვნენ.

გერმანიის ჯარების ამ გადაადგილების შესახებ ინგლისის დაზ-ვერვამ უმალვე აცნობა თავის სარდლობას, რომელმაც არაფერი იცოდა ადმირალ ჰოლისა და მისი ხელქვეითების ამ რთული მანევ-რების შესახებ. ატყდა ნამდვილი პანიკა. ჯარისკაცებს უბრძანეს ნა-პირზე სანგრების დაკავება, რათა შეხვედროდნენ გერმანიის შემოსე-ვას. დაიწყო მცხოვრებთა საჩქარო მომზადება ევაკუაციისათვის.

ადმირალი ჰოლი კი სავსებით, არც იყო დარწმუნებული, რომ გერმანელები ნამდვილად არ აპირებდნენ ინგლისში ჯარების გადმო-სხმას. იგი ფიქრობდა, რომ გერმანიის ჯარების გადაჯგუფება გამო-წვეული იყო მხოლოდ ყალბი ინფორმაციით, რომელიც ბერლინს ინგლისის კონტრდაზვერვამ „მიუგდო“, მით უმეტეს, რომ ინგლისე-ლებმა უკვე ერთხელ — 1915 წლის გაზაფხულზე — დაარწმუნეს გერ-

მანიის სარდლობა, რომ ამზადებენ გერმანიაში გადასხმას (ამ მომზადების სიმულაციის მიზნით ბრიტანეთის ხელისუფლებამ 21 აპრილიდან 3 მაისამდე ჰოლანდიაში ყოველგვარი მიმოსვლაც კი აკრძალა). ისმებოდა კითხვა, ხომ არ მოაჩვენეს გერმანელებმა თავი ისე, თითქოს კვლავ წამოეგენ ანკესზე, რათა თავი მოეყარათ ჯარისათვის და ლა-მანშზე მოულოდნელი ნახტომი გაეკეთებინათ? ამ თავსატეხის გადაწყვეტა ადვილი არ იყო, მაგრამ საბოლოოდ გამოირკვა, რომ განგაში ტყუილად ატეხეს, — ინგლისში გერმანელების გადმოსხმაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

ზღვაოსანთა ბედი

ფარული ომი ზღვაზე მარტოოდენ რინტელენის „სიგარებითა" და შიფრების შოვნით არ იფარგლებოდა.

მიუხედავად მოწინააღმდეგის ძალთა უპირატესობისა, რუსეთის ფლოტი ბალტიის ზღვაზე წარმატებით იგერიებდა გერმანელების იერიშებს. რუსული ნაღმებით აფეთქებული გერმანიის გემების დიდი რაოდენობა ფსკერისაკენ გაემგზავრა, მათ შორის საზღვაო ბრძოლის დროსაც, რომელსაც წინ საინტერესო ისტორია უძღვის.

უნტერ-ოფიცერი კურტ ბრემერმანი მსახურობდა გერმანიის ერთ-ერთ კრეისერზე, რომელიც ომის დროს ბაზირებული იყო გერმანიის ჯარების მიერ დაკავებულ ნავსადგურ ლიეპაეში (ლიბავა). ბრემერ მანი წარმატებით სარგებლობდა ქალებში და ამხანაგებს შორის მტკიცედ ჰქონდა დამკვიდრებული დონ-ჟუანის სახელი. ლიბავაში მან გაიცნო ლამაზი ოფიციანტი ქალი, რომელსაც სახელად ანა ერქვა. იგი განათლებული ქალიშვილი აღმოჩნდა და თავის სიმპათიებს გერმანელებისადმი და არაკეთილგანწყობილებას რუსებისადმი არ მალავდა. მიუხედავად იმისა, რომ თავაზიანი იყო ბრემერმანის მიმართ, კარგ დამოკიდებულებას სხვა გერმანელ სამხედრო პირებთანაც ინარჩუნებდა. ანა არ ამყღავნებდა ინტერესს სიყვარულისადმი, რასაც ვნებისაგან თავდაკარგული და ეჭვიანობით დატანჯული უნტერ-ოფიცერი უმტკიცებდა. ქალს პოლიტიკა უფრო აინტერესებდა და კურტი თავის ნაცნობს რუსეთის წინააღმდეგ ომზე ბევრ რამეს უყვებოდა.

ერთხელ, ალბათ, ბრემერმანის ხალასი სიყვარულით გულაჩუყებული ოფიციანტი ქალი გამოტყდა, რომ აქვს პირადი მიზეზები — სძულდეს რუსები. მას ძალიან უყვარდა ერთი რუსი ოფიცერი. იგი მეზღვაური იყო, რომელიც თითქოს სანაპირო დაცვაში მსახურობ-

და — ანა შესაძლებლად არ სთვლიდა გამოეკითხა რაიმე ამის შესახებ. რუსი ანას დაქორწინებას პირდებოდა, მაგრამ როდესაც ანა მალე უკვე დედა უნდა გამხდარიყო, მან იგი ცინიკურად მიატოვა და ამასთან მეძავი ქალი უწოდა. ანამ გაიგო, რომ ოფიცერი ცოლიანი იყო და ორი ბავშვი ჰყავდა. მან მის საყვარელს ოჯახთან ერთად გადაღებული სურათიც კი აღმოუჩინა. ეს სურათი იყო მის პორტფელში, რომლის წაღება ვერ მოასწრო, რადგანაც მათი განშორება რუსეთის ჯარის მიერ ლიბავის დატოვების მომენტს დაემთხვა.

ეკვიანობით გამწარებულმა ბრემერმანმა თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია პორტფელის ხსენებას, რომელიც მისმა ორგულმა შეყვარებულმა ანასთან დატოვა, მაგრამ მალე მასში ჯარისკაცის ინსტინქტმა გაიღვიძა. პორტფელი, დატოვებული რუსი ოფიცრის მიერ, რომელიც სანაპირო დაცვაში მსახურობდა! მიუხედავად იმისა, რომ ბრემერმანი უბრალო უნტერ-ოფიცერი იყო, მან კარგად იცოდა, თუ როგორ სჭირდებოდა გერმანიის სარდლობას ცნობები რუსეთის სანაპირო დაცვაზე, ვინაიდან რიგაზე შეტევისათვის ემზადებოდნენ. მან ფრთხილად ჰკითხა ანას, სად არის ახლა პორტფელი. ოჰ, მან, გაოფთრებულმა, დახია სურათი და პორტფელი სხვა ნაგავთან ერთად სადღაც მიაგდო. გერმანელს ახლა უკვე სამსახურებრივი გულმოდგინება სწვავდა. მან გაიზიარა ანას მწუხარება და საუბარი მაინც დიპლომატიურად ისევ პორტფელზე გადაიტანა. რას იზამდა, ანა უხალისოდ დათანხმდა მოეძებნა ის, როდესაც ბრემერმანმა პორტფელში ჩალაგებული ქაღალდები ამოიღო, ეკვი აღარ იყო. ის გატეხილი იყო სამსახურებრივი საბუთებით. უნტერ-ოფიცერი ნაზად დაემშვიდობა თავის ნაცნობს და ხირბილით გაიქცა გემზე. მალე პორტფელში არსებული ძვირფასი საბუთები გერმანელი ადმირალის წინ მაგიდაზე ელაგა. მისი შესწავლით გერმანელები გაეცნენ რუსეთის სანაპირო ბატარეების მთელ სისტემას, დანაღმულ მინდვრებს და მასში გასასვლელებს, რომლებსაც რუსეთის ფლოტის გემები იყენებდნენ.

ახლა უკვე გერმანელების შეტევას წინასწარ აღარ სჭირდებოდა ნაღმების ტრალვის ხანგრძლივი და საშიში ოპერაცია. გზა რიგისაკენ გახსნილი იყო. ყოველ შემთხვევისათვის ფრთხილად უნდა დაეზვერათ, მოძველებული ხომ არ იყო რუსულ საბუთებში მოტანილი მონაცემები და შემდეგ ემოქმედათ. თუ აქამდე გერმანიის ესკადრას არ შეეძლო წარმატებებით ეტრაბახა, ახლა უკვე ჰქონდათ საშუალება ჭარბად აენაზღაურებინათ დაუდევრობა. ღამით, ჩატარებულმა დაზვერვამ სასიხარულო ცნობა მოიტანა — დანაღმულ მინდვრებში გა-

სასვლელები ძველებურად, ზუსტად ისევე იყო დარჩენილი, როგორც ბრემერმანის მიერ მოტანილ საბუთებში იყო ნაჩვენები. უკანასკნელი ეჭვები ამ საბუთების მიმართ გაქარწყლდა.

მოვლენები დასაწყისში ზუსტად ისე ვითარდებოდა, როგორც გერმანელები ვარაუდობდნენ. განა ღირს ლაპარაკი იმაზე, რომ შემდეგში ისინი სულ სხვანაირად წარიმართა? გერმანიის სამხედრო გემები, რომლებიც „უსაფრთხო" გასასვლელებში მოულოდნელად აღმოჩნდნენ, ერთიმეორის მიყოლებით ფეთქდებოდნენ ნაღმებზე. რუსეთის ბატარეები კი, რომლებიც განლაგებული იყვნენ არა იქ, სადაც სარდლობა ვარაუდობდა, თითქმის მიჯრით ესროდა ხაფანგში გაბმულ მტერს. დაკარგეს რა ოთხი ნაღმოსანი და ორი სანაღმო გადამღობი, გერმანელებმა მხოლოდ ისლა შესძლეს, რომ ცეცხლი დაუშინეს იმ ადგილებს, სადაც, ბრემერმანის საბუთების თანახმად, რუსეთის ბატარეები იყო განლაგებული. სინამდვილეში ეს იყო სროლა ცარიელ სივრცეში. რუსეთის ჯარმა გერმანიის ფლოტი ისე დაამარცხა, რომ არც ერთი ქაცი არ დაუკარგავს. გერმანიის ესკადრამ გაქცევით დააღწია თავი მთლიან განადგურებას.

გერმანიის ადმირალს, რომელიც წინასწარ ტკბებოდა სამხედრო დიდებით, ესკადრის სარდლის პოსტის დატოვება მოუხდა, ხოლო კონდუქტორმა კურტ ბრემერმანმა ძლივს დააღწია თავი სამხედრო სასამართლოს. რაც შეეხება ანას, რასაკვირველია, მისი კვალიც კი გაქრა იმ დროისათვის, როდესაც ბრძანება მოვიდა ლამაზი მზვერავი ქალის დაპატიმრების შესახებ. კურტ ბრემერმანს ანას ფოტოსურათიღა შერჩა. სურათით ბერლინში დაადგინეს, რომ ამ სახელით იმალებოდა რიგელი ეკატერინე იზელმანი, რომელზედაც დიდი ხანია ნადირობდა გერმანიის კონტრდაზვერვა...

საიდუმლო ომში ყველაზე მოულოდნელ შემთხვევებსა და გაუთვალისწინებელ მარცხს მოვლენები კატასტროფულ შედეგებამდე მიჰყავდა. 1918 წლის 19 ივლისს დიდი ბრიტანეთის ნაპირებთან ინგლისის გემებმა სიღრმისეული ყუმბარებით ჩაძირეს გერმანიის წყალქვეშა ნავი, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც მწყობრში ჩადგა. ვინაიდან წყალქვეშა ნავი დიდ სიღრმეზე არ იყო ჩაძირული, ინგლისელმა მყვინთავებმა გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი მუშაობას. მალე დაზიანებული წყალქვეშა ნავი ფსკერიდან ამოიღეს და ნავსადგურში შეიტანეს. კაპიტნის კაიუტაში აღმოაჩინეს ძვირფასი ნადავლი. აქ იყო გემის ჟურნალი, საიდანაც შეიძლებოდა წყალქვეშა ნაოებზე ინგლისელი მონადირეების ტაქტიკის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა; დიდი მნიშვნელობის მქონე დანაღმული მინდვრე-

ბის განლაგების გეგმა; გერმანიის ფლოტის ყველა გემის სილუეტები, რომელთა აღკაზმულობა შეცვლილი იყო, რათა შეცდომაში შეეყვანათ მოწინააღმდეგე; სამხედრო მოქმედებების რაიონის დიდი საზღვაო რუკა, აღნიშნული წითელი ხაზებით, რომელთა მნიშვნელობა უცბად ვერ დაადგინეს.

საიდუმლოების ამოხსნაში რუკების ბოლოებში მიწერილი მოკლე შენიშვნები დაეხმარათ. გამოირკვა, რომ წითელი ხაზები აღნიშნავდა ხუთი ყველაზე იღბლიანი წყალქვეშა ნავის მარშრუტს, რომლის ხელმძღვანელები გერმანიის ფლოტის საუკეთესო მეთაურები იყვნენ. მათ გადაწყვიტეს თავისი წარმატებების საიდუმლოება მეგობრისათვის — ახლახან აშენებული წყალქვეშა ნავის კაპიტნისათვის გაეზიარებინათ. გერმანელ ასებს, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ მათ მიერ მიცემული რჩევა მათივე დაღუპვის მიზეზი გახდებოდა. ყველა მარშრუტზე გამოჩნდნენ სამხედრო გემები, ჩააწყვეს ნაღმები. სამ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში ყველა, ხუთივე მრისხანე წყალქვეშა ნავი მათივე სახელგანთქმული კაპიტნების დახმარებით შექმნილ მახეში მოხვედრის შედეგად დაიღუპა. ამ მეზღვაურებმა თავისი გემები დასაღუპავად გაწირეს, თუმც უბრალო, როგორც მათ ეგონათ, სასარგებლო, მაგრამ მაინც სამხედრო საიდუმლოების დარღვევის გამო.

იყო შემთხვევები, როდესაც მზვერავებს თვითონ გამოჰქონდათ საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენი იმ წარმატებებით, რომლებსაც თვითონ აღწევდნენ. ერთი ელზასელი, რომელიც გერმანიის სამხედრო ფლოტში მსახურობდა, დიდი ხნის განმავლობაში ამარაგებდა ინგლისის დაზვერვას ძვირფასი ინფორმაციებით გერმანიის წყალქვეშა ნავებზე. ერთხელ მან წინასწარ აცნობა ორი წყალქვეშა სანაღმო გადამღობის ზღვაში გასვლის განზრახვის შესახებ. როდესაც ისინი ნაღმების ჩაწყობის ადგილზე მივიდნენ, იქ უკვე მათ ინგლისელები ელოდებოდნენ. ერთი სანაღმო გადამღობი იმწამსვე იქნა განადგურებული. ინგლისის დაზვერვამ მხოლოდ მრავალი თვის შემდეგ დაადგინა, რომ გადამღობის ბორტზე დაიღუპა მათი საიდუმლო აგენტიც. ელზასელი ამ წყალქვეშა ნავზე გადაეყვანათ ზღვაში გასვლამდე ცოტა ხნით ადრე და დრო აღარ ჰქონდა გამოეგზავნა ცნობა ინგლისში.

ომის განმავლობაში უმრავლეს მეომარ ქვეყნებში არა ერთხელ ხდებოდა აფეთქებები სამხედრო გემებზე. ნაწილი ამათგან შეიძლება უბედური შემთხვევის შედეგი იყო: ამგვარი აფეთქებანი ომამდეც აღნიშნული იყო, კერძოდ, იაპონიასა და საფრანგეთში. მათ მიზეზად

თელიღნენ გარკვეული ხარისხის დენთს, რომელიც დიდი ხნის შენახვის გამო ფუჭდებოდა და თვით ალდებოდა. მაგრამ საიდუმლო აფეთქებების დიდი ნაწილი ომის დაწყების შემდეგ დივერსიის შედეგი იყო. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ავსტრიელი დივერსანტების მოქმედებამ, რომლებიც ცდილობდნენ იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველაზე უფრო ძლიერი გემები მწყობრიდან გამოეყვანათ. დივერსანტების მეთაური იყო ვინმე ლუიჯი ფიდლერი. თვითონაც და მისი ხალხიც დიდი ხნის განმავლობაში ავსტრია-უნგრეთის იტალიელებით დასახლებულ ოლქებში ცხოვრობდნენ და სრულყოფილად ფლობდნენ იტალიურ ენას. პოლის სამხედრო ბაზის არსენალში დაამზადეს ჯოჯოხეთური მანქანები, რომლებიც შენიღბული იყვნენ საწვავი მასალისა და საღებავებით სავსე კასრების, კონსერვების ქილებისა და სხვა ნივთების სახით.

დივერსანტების პატარ-პატარა ჯგუფები შეუმჩნეველად გადადიოდნენ იტალიის ნაკლებ დასახლებულ ადრიატიკის სანაპიროზე, შემდეგ სანავსადგურო ცენტრში აღწევდნენ და მეზღვაურებად ეწყობოდნენ ფლოტში. დივერსანტებმა ააფეთქეს სახაზო გემი „ბენედეტო ბრინი“, რომლის წყალწყვა 13,5 ათას ტონას უდრიდა. ამასთანავე დაიღუპა ეკიპაჟის ნახევარი — 800 კაცის შემადგენლობით. 1916 წლის 2 აგვისტოს აფეთქდა ჯავშნოსანი გემი „ლეონარდო და ვინჩი“. მისი წყალწყვა 22 ათას ტონას უდრიდა. ეს იყო იტალიის სამხედრო ფლოტის ყველაზე ძლიერი და სწრაფმავალი გემი. წარმატებით იყო შესრულებული ბევრი სხვა ოპერაციაც, მაგრამ ფიდლერის ცდა, აეფეთქებინა იტალიის წყალქვეშა ნავების ბაზა ტარანტოსთან, უშედეგოდ დამთავრდა. მახლობლად გადმოსხმული ავსტრიელი ამფეთქებლები იტალიელმა პატრულებმა დაიჭირეს.

მიუხედავად კონტრდაზვერვის კარგი მუშაობისა, დივერსია ვერც ინგლისის ფლოტმა აიცილა. 1914 წლის 24 ნოემბერს შირნესსში აფეთქდა სახაზო გემი „ბულუორკი“. გემის შემადგენლობის 800 კაციდან მხოლოდ 14 გადარჩა, რომელთაგან ორი შემდეგში ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. სხვადასხვა დროს აფეთქების გამო რამდენიმე პატარა ხომალდი დაიღუპა. 1917 წლის მაისში აფეთქდა ახალი სახაზო გემი „ვენგარდი“, რომლის წყალწყვა 19250 ტონას უდრიდა. დაიღუპა 800 კაცისაგან შემდგარი მთელი ეკიპაჟი. ვერც ერთ შემთხვევაში დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეჭვმიტანილი პირი დააპატიმრეს. ისიც კი ვერ დაამტკიცეს, რომ ეს შემთხვევები დივერსიის შედეგი იყო, თუმცა ეს ძალზე საალბათოა. გერმანიის ფლოტმა 1914 წლის ნოემბერში დანაკლისი განიცადა

მძიმე კრეისერის აფეთქების გამო. კრეისერის დაღუპვის ოფიციალურ მიზეზად მიჩნეულ იქნა საბრძოლო მასალის აალება. 1916 წლის 7 ოქტომბერს გერმანიის აგენტებმა შავ ზღვაზე რუსეთის სახაზო გემი „იმპერატრიცა მარია“ აააფეთქეს. ამ სახაზო გემის ჩაძირვას სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა შავ ზღვაზე ძალთა თანაფარდობის შეცვლისათვის გერმანია-თურქეთის ფლოტის სასარგებლოდ.

დაზვერვა ცდილობდა აგრეთვე ისეთი დივერსიების მოწყობას, რომელთა მიზანი იყო მოწინააღმდეგის უფრო მომზადებულ მეთაურთა კადრების მოსპობა. 1917 წლის ზაფხულის დასაწყისში ბრიუგეში უნდა მოწყობილიყო გერმანიის წყალქვეშა ნავების ფლანდრიის ფლოტილიის ოფიცერთა ბანკეტი. ბანკეტი ეწყობოდა წყალქვეშა ომის წარმატებების აღსანიშნავად და მას უნდა დასწრებოდა ფლოტილიის ყველა ოფიცერი, გარდა რამდენიმე უფროსი ოფიცრისა, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ სერიოზული დისციპლინური სასჯელი. იმათ, ვინც მიწვევა არ მიიღეს, გადაწყვიტეს ბანკეტის დღეს დემონსტრაციულად მოეწყოთ სალამო, მაგრამ დაბრკოლებას წააწყდნენ — საუკეთესო ღვინო გაეგზავნათ კაზინოში — სწორედ იქ, სადაც ბანკეტი ეწყობოდა. განზრახული ქეიფის მონაწილენი არ დაიბნენ: ომი თუა, ომი იყოს! ერთ-ერთმა მათგანმა შეიქცია კაზინოს ლაქიების ყურადღება, სხვებმა კი მოიპარეს დუქანი შამპანური, რომელიც წინასწარ იყო მომზადებული წვეულებისათვის. ერთ-ერთმა უმცროსმა ოფიცერმა ორი ბოთლი უმაღლესი ხარისხის შამპანური, რომელიც ფლოტის სარდლის ადმირალ შრედერისათვის განკუთვნილ მაგიდაზე იდგა, მოიტანა სარდაფში, სადაც ის და მისი მეგობრები ქეიფს აპირებდნენ. როდესაც ბოთლების გახსნა დაიწყეს, გაისმა აფეთქება, რომელმაც ამ მხიარული კამპანიის ყველა მონაწილე სახლის ნანგრევებში დამარხა. ერთ-ერთი მათგანი მეორე დღეს გონს მოვიდა და გაურკვევლად მოჰყვა ამბავს იმ ავბედით ბოთლებზე, რომელთა დიდი ნაწილი ისევ ინახებოდა კაზინოში. გამოკვლეული ბოთლები ძლიერ ასაფეთქებელ ნივთიერებას შეიცავდა. საკმარისი იყო ერთ-ერთის გახსნა, რომ გერმანიის ფლოტს სათვალავში დაკლებოდა ფლანდრიის ფლოტილიის წყალქვეშა ფლოტის თითქმის ყველა ოფიცერი.

იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი სადაზვერვო ორგანოები არავითარ დანაშაულს არ ერიდებოდნენ. უცერემონიოდ ზღუდავდნენ პატარა სახელმწიფოების უფლებებსა და ინტერესებს. განსაკუთრებული ელფერით გამოირჩეოდა იმპერიალისტური დაზვერვის „გმირობა“ საბერძნეთში. ანტანტა ყოველნაირად ცდილობდა აეძულებინა საბერძნეთი, რომელსაც არ სურდა ომი, უარი ეთქვა ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე. თავის მხრივ მოქმედებდნენ გერმანელებიც. ისინი ეყრდნობოდნენ პროგერმანულ თავადაზნაურთა წრეს, რომლის სათავეში ვილჰელმ II-ის და, დედოფალი სოფიო იდგა. გერმანელები ცდილობდნენ შეეგულიანებინათ საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, დახმარება ეთხოვა კაიზერისათვის.

ბრძოლის მთავარი მონაწილენი იყვნენ გერმანელი ბარონი ფონ შენკი (ოფიციალურად ფირმა კრუპის კომივოიაჟორი) და საფრანგეთის საზღვაო ატაშე, ადმირალი როკფეი. თითოეულმა მათგანმა შექმნა თავისი აგენტურა. თითოეულ მათგანს „ჰყავდა“ თავისი მოსყიდული პოლიტიკოსები და ჰქონდა „თავისი“ გაზეთები. ტრაგედია ხალხისა, რომელიც სისხლიან სასაკლაოში ჩაითრიეს — ანტანტის ჯარის გადმოსხმა სალონიკში, ათენის ბლოკადა ინგლის-საფრანგეთის ფლოტის მიერ, ყველაფერი ეს ავის მომასწავებელი ფონი იყო საძაგელი ოპერეტული ფარსისათვის — ბრძოლისათვის როკფეისა და შენკს შორის.

არც ერთსა და არც მეორეს არ ეუხერხულებოდა, რომ მათი აგენტების სიებში ბევრი დამთხვევა იყო (როკფეის ჩამოსვლამდე შენკი საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის უფროსთან ერთად მონაწილეობდა ღამის თავაწყვეტილ ორგიებში, რომლის დროს ისინი ერთმანეთს ინფორმაციებისა და თავისი აგენტების სიებს უცვლიდნენ). გერმანიისა და საფრანგეთის აგენტთა რიგები სავსე იყო ორმხრივი ჯაშუშებით, რომლებიც „პატიოსნად“ მუშაობდნენ ორივე მხარისათვის. როდესაც 1916 წ. ზაფხულში ბერძენმა მესაზღვრეებმა 10 საეჭვო პირი დააპატიმრეს, მათ მაშინვე აჩვენეს საფრანგეთის დაზვერვის თანამშრომლის ნიშანი, რომელიც პიჯაკის გადანაკეცზე მაგრდებოდა. უფრო დაკვირვებით დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნიშნის მეორე მხარეს გამოსახული იყო გერმანიის სადაზვერვო სამსახურის ემბლემა. დაპატიმრებულებიდან, თითოეულს ორი პასპორტი ჰქონდა (გერმანული და ფრანგული), ზოგიერთ მათგანს კი — ორ-ორი მოხსენება: როკფეისა და შენკისათვის. როკფეის და-

ქირავებული ჰყავდა უამრავი მეძავი ქალი, რომელთაც ინფორმაციები უნდა ეშოვათ თავისი მუშტრებისაგან. მაგრამ ინფორმაციის გადაცემა ერთი „კლიენტისაგან" მეორისათვის დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჩვეულებრივ, როდესაც არავითარი რეალური ცნობები არ მოეპოვებოდათ, ახალგამომცხვარი მზვერავები უბრალოდ იგონებდნენ ინფორმაციებს, რომლებიც მის დამქირავებლებს შეიძლება მოსწონებოდათ.

ცნობისმოყვარე ქალმა ერთხელ ზოოპარკის მცველს ჰკითხა:

— რა სქესისაა ეს ბეჰემოთი?

— ქალბატონო, ეს შეიძლება საინტერესო იყოს მხოლოდ მეორე ბეჰემოთისათვის, — უპასუხა საზრიანმა მცველმა.

სხვის ბინძურ საცვალს რომ ამზეურებდა, საფრანგეთის დაზვერვას არ ესმოდა, რომ ეს მის გარდა სხვას არავის აინტერესებდა.

როკფეი დიდი მონდომებით აწყობდა პროვოკაციებს — მოკავშირეთა გემების აფეთქებას, რაც შეიძლება საბაბი გამხდარიყო საბერძნეთზე ანტანტის დაწოლის გაძლიერებისათვის. როდესაც ამან არ უშველა, მაშინ დაქირავებულთა ჯგუფმა საფრანგეთის საელჩოზე „თავდასხმა" მოაწყო (პროვოკაციის მონაწილენი შემდეგ საფრანგეთის სამხედრო ბანაკში დამალეს). იყო ბევრი სხვა ოპერეტული სიტუაციებიც. ერთ-ერთი მხარის მიერ მოსყიდული საბერძნეთის პოლიტიკოსების გრიმირებული „ორეულების" გამოსვლაც კი.

სასტიკი შეტაკება იმართებოდა დაზვერვათა შორის კოლონიურ და დამოუკიდებელ ქვეყნებში.

ჩვენს მოთხრობაში დაწვრილებით არ მოვყვებით საკმაოდ ცნობილ ინგლისელ პოლკოვნიკ ლოურენსზე, მასზე ისედაც ძალიან ბევრია დაწერილი. იგი თავდაპირველად მოქმედებდა, როგორც მზვერავი, ხშირად შედიოდა თურქეთის ჯარის განლაგებაში. ლოურენსი იმდენად მოხერხებულად განასახიერებდა ადგილობრივ მცხოვრებს, რომ ერთხელ თურქებმა კინაღამ დახვრიტეს, როგორც თავისი არმიიდან გამოქცეული არაბი. მაგრამ ლოურენსის მთავარი როლი იმით გამოიხატებოდა, რომ იგი ახერხებდა შეთანხმებას არაბების შეიხებთან და მათი დახმარებით კონტროლს უწევდა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ არაბების განმათავისუფლებელ მოძრაობას. რასაკვირველია, დაპირებები, რომლებსაც გულუხვად არიგებდა ლოურენსი, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დავიწყებულ იქნა და არაბებით დასახლებული უმეტესი ტერიტორია, რომელიც თურქეთს ჩამოსცილდა, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა გაიყვეს.

აქტიურ დივერსიულ მოღვაწეობას ეწეოდა ირანში გერმანიის კონსული ვასმუსი, რომელიც დიდი ფულადი სახსრებით მარაგდებოდა. მისი მთავარი ამოცანა იყო ირანის სამხრეთ ტომების ამხედრება იქ გადმოსხმული ინგლისის ჯარის წინააღმდეგ. ამოცანა არ იყო მაინც და მაინც ძნელი, ვინაიდან ირანში სძულდათ ინგლისელი კოლონიზატორები. ირანისა და გერმანიის კავშირის დემონსტრირების მიზნით, ვასმუსი კიდეც დაქორწინდა ერთ-ერთი ტომის გავლენიანი ბელადის ქალიშვილზე. ქორწილის დროს, რომელიც საიდუმლო სამსახურის სახსრებით იყო მოწყობილი, ვასმუსის თანაშემწეები აქვე არჩევდნენ და ქირაობდნენ ახალ აგენტებს. ვასმუსმა შექმნა ფართო ჯაშუშური ქსელი და იმდენი უსიამოვნება მიაყენა ინგლისელებს, რომ ბრიტანეთის სარდლობამ დააწესა 3 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯილდო, ვინც კონსულს მათ მკვდარს ან ცოცხალს მიუყვანდა. შემდეგ ეს თანხა 14 ათას გირვანქამდე გაიზარდა.

ვასმუსი თავისი პოზიციების გამაგრებას ცდილობდა. იგი ავრცელებდა ფანტასტიკურ ცნობებს გერმანელების წარმატებებზე — ლონდონის აღებასა და ინგლისის მეფის გიორგი V-ის სიკვდილით დასჯაზე. მაგრამ მალე ამ ცნობების სიყალბე ნათელი გახდა ირანის შორეულ ადგილებშიც კი. ამავე დროს ვასმუსს, რომელიც მოწყვეტილი იყო გერმანიას, ფული უთავდებოდა და უკვე არაფრით არ შეეძლო ტომების ბელადების მოსყიდვა. მიუხედავად ამისა, ვასმუსმა მაინც მოახერხა თავის გატანა ომის დამთავრებამდე, რის შემდეგ იგი საჩქაროდ დაემალა თავის გამძვინვარებულ მომხრეებს, რომლებიც მიხვდნენ — გერმანელს თავისი მაცდუნებელი დანაპირების შესრულების საშუალება არ ჰქონდა. ვასმუსის მომხრეები ირწმუნებოდნენ — იმიტომ არ გასცეს იგი, რომ ინგლისელების მიერ დაწესებული ჯილდო მეტად დიდი იყო და არ სჯეროდათ, რომ მას ერთი კაცის დაჭერისათვის გადაიხდიდნენ.

სხვათა შორის, ვასმუსი უნებლიეთ დაეხმარა ინგლისელებს კიდევ ერთი გერმანული წიგნის შეძენაში, რომელიც დიპლომატიურ კოდს შეიცავდა. ვასმუსი აბადანთან ინგლისის ნავთობსადენის აფეთქებას აპირებდა. ბრიტანეთის დაზვერვამ წინასწარ მიიღო ცნობები ამ მოხერხებული გერმანელი კონსულის გეგმის შესახებ და ინგლისის ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა დასასვენებლად განლაგებულ ვასმუსის ჯგუფს. ამ აურზაურისაგან გაღვიძებული გერმანელი პიჟამით ცხენს მოახტა და გაიქცა. მაგრამ ბარგის წაღება ვერ მოასწრო. ინგლისის ოფიცერთა შორის კი არ აღმოჩნდა ისეთი აზრიანი ადამიანი, რომ გაეგო ნადავლის მნიშვნელობა. ქონება, რომელიც ვასმუსს ეკუ-

თვნოდა, ლონდონში გადაიგზავნა და ინდოეთის საქმეთა სამინისტროს სარდაფში დაყარეს. მხოლოდ გვიან, ირანიდან ჩამოსულ ოფიცერთან საუბრის დროს, ადმირალმა პოლმა შემთხვევით გაიგო, რომ ვასმუსის ნივთები ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული. მან ბრძანება გასცა ნივთები ამოეტანათ. ნივთებს შორის აღმოჩნდა გერმანიის საშიფრო წიგნი. გერმანელები მას ბერლინ-კონსტანტინოპოლისა და ბერლინ-მადრიდის ხაზებზე ცნობების გადასაგზავნად იყენებდნენ (იქიდან კი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში). არსებითად ეს დაეხმარა ინგლისის საზღვაო სამინისტროს „შენობა № 40-ში" დაგროვილი გერმანიის საიდუმლო დეპეშების დიდი რაოდენობის ამოშიფვრაში.

ახლა გადავიდეთ აღმოსავლეთ აფრიკაში, სადაც ინგლისს, ისევე როგორც ირანში, უდიდესი უპირატესობა ჰქონდა თავისი მოწინააღმდეგის ძალებზე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ინგლისის ჯარმა ვერაფრით ვერ მიაღწია წარმატებას გერმანელი პოლკოვნიკის ფორბეკის ჯგუფის წინააღმდეგ, თუმცა იგი სრულიად მოწყვეტილი იყო გერმანიას. მართალია, ფორბეკს რეზერვში შემონახული ჰქონდა ერთი ცეპელინი, რომელიც მდინარის ჯებირის უკან იყო დამალული, ინგლისის დაზვერვამ მაინც შეძლო მფრინავი აპარატის ადგილმდებარეობის დადგენა. 1915 წლის 6 ივლისს ჯებირთან მიიპარა მონიტორი „სევერნი" და ახლო მანძილიდან არტილერიის ცეცხლით ცეპელინი მოსპო. ფორბეკი, რომელსაც რადიოთი ჰქონდა კავშირი ბერლინთან, დაჟინებით მოითხოვდა საბრძოლო მასალას და მედიკამენტებს, რათა გაეგრძელებინა ნახევრადპარტიზანული ომი აღმოსავლეთ აფრიკაში ანტანტის 300-ათასიანი არმიის წინააღმდეგ. მართალია, ინგლისელები რეგულარულად იქერდნენ და შიფრავდნენ რადიოგრამებს, რომლებითაც ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს ფორბეკი და მისი უფროსობა ბერლინში, მაგრამ სულ ცოტა იყო შანსები გაენადგურებინათ ცეპელინი, რომელიც გერმანელებს შეეძლოთ აღმოსავლეთ აფრიკაში სამხედრო აღჭურვილობის ტვირთით მოულოდნელად გაეგზავნათ.

მოკავშირეთა ბულგარელმა აგენტმა ვენაში შეგზავნილ ინგლისის ოფიცერს მორტიმერს აცნობა (იგი სამოქალაქო ტანსაცმელგადაცმული პარაშუტით ჩამოსვეს ავსტრიის ჯარების ზურგში), რომ გერმანელებს ნაწილებად დაშლილი ჩამოაქვთ და ბულგარეთში აწყობენ სუპერცეპელინსო. ამ აგენტის დახმარებით, რომელიც გავლენიანი პირი იყო, მორტიმერი სრულიად დაუბრკოლებლად გაემგზავრა შვეიცარიაში და მიღებული ცნობები ლონდონს ჩამოიტანა.

1917 წლის 16 ნოემბერს ცეპელინი, რომლის ბორტზე 50 ტყვია-მფრქვეელი, თოკები, ტყვიები, მედიკამენტები და სხვა აღჭურვილობა იყო, ბულგარეთიდან აღმოსავლეთ აფრიკაში გაფრინდა. აღმოსავლეთ აფრიკაში გერმანიის კოლონიას რომ მიაღწია, ცეპელინმა დედამიწიდან დაჯდომის დათქმული ნიშანი ვერ მიიღო. დირიჟაბლი ტყუილად ტრიალებდა საათობით იმ რაიონის თავზე, სადაც ფორბეკის ყოფნას ვარაუდობდნენ (გერმანელი პოლკოვნიკი ამ დროს რეიდზე იყო „პორტუგალიის" აღმოსავლეთ აფრიკაში). ამ დროს ბერლინიდან აცნობეს, რომ ფორბეკი ალყაშემორტყმულია და ცეპელინი უკან უნდა დაბრუნდეს. მან უკან დასაბრუნებელი რთული ფრენა მშვიდობიანად შეასრულა. მხოლოდ მოგვიანებით გამოირკვა, რომ ცეპელინის მეთაურის მიერ ბერლინიდან მიღებული დეპეშა ფორბეკის რადიოთი გადაცემული დეპეშის შედეგი იყო. უფრო ზუსტად, ასე ფიქრობდნენ გერმანიის დედაქალაქში. სინამდვილეში კი დაშიფრული რადიოდეპეშა ბერლინში გაგზავნილი იყო ინგლისის დაზვერვის მიერ, რომელმაც იცოდა ფორბეკის ყოფნის ადგილი და იცნობდა კოდს, რომელსაც იგი გერმანიის საარდლობასთან მოლაპარაკების დროს იყენებდა.

იმპერიალისტურ დაზვერვას დაზვერვა არ ერქმეოდა, თუკი ეცოდინებოდა ის, რაც არ უნდა სცოდნოდა და დაენახა. ინგლისის კონტრდაზვერვას უცნაურად გამორჩა ნეიტრალური ქვეყნებიდან ბრიტანეთის ფირმების მიერ მტრის მომარაგება. როგორც 1927 წელს აშკარად განაცხადა ადმირალმა კონსეტმა, რომელსაც ომის დროს სკანდინავიის ქვეყნებში ინგლისის სამხედრო ატაშეს პოსტი ეკავა, გერმანელები ბრიტანეთის კოლონიებიდან დიდი რაოდენობით ღებულობდნენ ცხიმებს, რომელსაც ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე საქონლის საკეებს და სხვას, რომ ეს დახმარება არა, გერმანია მოკავშირეთა ბლოკადის მიერ, ალბათ, საკმაოდ ადრე იქნებოდა წელში გატეხილი.

ინგლისელები დაზვერვას იყენებდნენ გაზვიადებული, ყალბი ხმების გასავრცელებლად, რომლის წარმატებით გამოყენება შეიძლებოდა ბირჟაზე თამაშის დროს. იუტლანდიის ცნობილი საზღვაო ბრძოლის შემდეგ ინგლისის მმართველმა წრეებმა ყველა მათთვის მისაწვდომი არაოფიციალური საინფორმაციო არხების საშუალებით აცნობეს თავისი ფლოტის ჯერ დამარცხება, შემდეგ კი გამარჯვება, რითაც გავლენა მოახდინეს ნიუ-იორკის ბირჟაზე ჯერ ფასების დაწევასა და შემდეგ კი აწევაზე. ამ „უდანაშაულო ოპერაციის" ორგანი-

ზატორად, რომელმაც მილიონები მისცა, თვლიან სიტის ერთ-ერთ მესვეურს და ბრიტანეთის მთავრობის წრეში „შინა კაცად“ ცნობილ სერ ერნესტ კასელს.

აჩრდილები საიდუმლოებებზე ნადირობენ

1918 წლის გაზაფხულზე დაზვერვათა შორის ომი დასავლეთში განსაკუთრებით მწვავედ და გაფთრებით მიმდინარეობდა. აშკარა იყო, რომ გერმანელები შეეცდებოდნენ გამოეყენებინათ თავიანთი უკანასკნელი შანსი დასავლეთის ფრონტზე — შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ მთელი ძალებით მანამ, სანამ ანტანტის ჯარების დასახმარებლად მოვიდოდნენ მილიონობით ამერიკელები, რომლებიც სწრაფი ტემპით გადიოდნენ სამხედრო მზადებას. მაგრამ სად უნდა გაშლილიყო გერმანიის შეტევა, ფრონტის რომელ უბანზე? ამის ცოდნას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გასაგებია, მოკავშირე დაზვერვათა სწრაფვა, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მიეღოთ საჭირო ინფორმაციები. ეს ინფორმაციები სხვადასხვა წყაროდან მოდიოდა. სამწუხაროდ, იგი არასრული იყო და ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ცნობა, რომელიც მომავალი შეტევ-ს ადგილსა და დროს პირდაპირ იტყობინებოდა (ნაწილობრივად ნამდვილს), ასეთ პირობებში დაძაბულობასა და ეჭვს იწვევდა. მოკავშირეთა უმაღლესი შტაბები კი ომის დამთავრებამდე თავისი შეუცვლელი „შორსმჭვრეტელობით“ ადგენდნენ, რომ გერმანელები შეტევას დაიწყებდნენ იქ, სადაც სინამდვილეში ისინი არც აპირებდნენ ამის გაკეთებას.

ამ სიტუაციაში განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდნენ საფრანგეთის დაზვერვის სერიოზულ ჩავარდნას. შვეიცარიიდან გერმანიაში შეგზავნილი ორი ათეული ფრანგი აგენტის პატაკი ერთი და იგივე იყო: გერმანიის საგაზაფხულო შეტევა დაიწყება ფრანგების წინააღმდეგ შამპანში და ამერიკის დივიზიების წინააღმდეგ — ლოტარინგიაში. ეს ცნობები ეწინააღმდეგებოდა სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციებს, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ ამ ცნობებს მრავალი ნაცადი აგენტი იტყობინებოდა, საფრანგეთის დაზვერვას აიძულებდა ძირითადად იგი სიმართლედ ჩაეთვალა. მით უფრო მოულოდნელი იყო გერმანელების შეტევა ინგლისელების წინააღმდეგ სომაზე, იმ ადგილიდან 150 კილომეტრის ჩრდილოეთით, რომელიც ნაჩვენები იყო ფრანგი მზვერავების პატაკებში. ამის გამო ანტანტის ჯარებმა უდიდესი ზარალი განიცადეს. ერთხანს ეჩვენებოდათ, რომ

მთელი დასავლეთის ფრონტი დამარცხების საშიშროების წინაშე იმყოფებოდა.

კვლავ დაუბრუნდნენ საფრანგეთის აგენტების მიერ გერმანიიდან გამოგზავნილ პატაკებს. გულმოდგინე ანალიზით დარწმუნდნენ, რომ პატაკები ნამდვილ ფაქტს მცირე ოდენობით შეიცავდნენ იმ დროს, როცა ისინი სავსე იყო ყალბი ინფორმაციებით, რაც არ შეიძლებოდა უბრალო შეცდომისათვის მიეწერათ. ცნობები, რომლებიც სინამდვილეს შეესაბამებოდა, თითქმის უკლებლივ, უწინაც ცნობილი იყო ფრანგებისათვის და, რაც მთავარია, მეორე ბიურომ იცოდა, რომ გერმანელები თავის მხრივ საფრანგეთის დაზვერვის საქმის კურსში იყვნენ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უტყუარი ცნობები, როგორც ჩანს, ემატებოდა აშკარად შეთხზულ ინფორმაციებს ფრანგების შეცდომაში შესაყვანად, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იყო და საჭიროებდა შემოწმებას. ამისათვის მეორე ბიურომ მოაწყო ექსპერიმენტი: თავის აგენტებს ბრძანება გაუგზავნა ეშოვათ ანილინის ქარხნის გეგმა, რომელიც ლიუდვიგსჰაფენში, ბავარიაში იმყოფებოდა. აგენტებმა, რასაკვირველია, არ იცოდნენ, რომ საფრანგეთის დაზვერვას ჰქონდა ამ ქარხნის დაწვრილებითი გეგმა. და აი, მოვიდა ქარხნის გეგმები გერმანიიდან. ისინი ოსტატურად გაკეთებულ სიყალბეს წარმოადგენდა. საეჭვო აღარაფერი იყო — საფრანგეთის აგენტები ან მოღალატეები აღმოჩნდნენ, ან დაპატიმრებული იყვნენ და მათი სახელით ცნობებს გერმანიის საიდუმლო სამსახური აგზავნიდა. ვინაიდან საქმე გამოცდილ ხალხს ეხებოდა, უფრო სწორი მეორე ვარაუდი იყო — და ეს მალე დამტკიცდა შემოწმების შედეგად. ამგვარად, საფრანგეთის მზვერავების მთელი ჯგუფი — ოც კაცზე მეტი — დაჭერილი იყო გერმანიის პოლიციის მიერ. ამასთანავე, როგორც გამოირკვა, ისინი მაშინვე არ დაუპატიმრებიათ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ტერიტორიაზე გამოჩენის დღიდან მათ უთვალთვალებდნენ. ამგვარად, გერმანიის კონტრდაზვერვამ გახსნა გერმანიაში მყოფი საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის ამ ნაწილის ყველა კავშირი და განშტოება, მათი შეხვედრის ადგილები, შიფრი და სხვა ცნობები. რამაც საშუალება მისცა მზვერავების დაპატიმრების შემდეგ მათი სახელით ეწარმოებინათ პარიზის მისტიფიცირება.

საფრანგეთის საიდუმლო სამსახურმა დაიწყო შვეიცარიაში იმ რგოლის ძებნა, სადაც დაშვებული იყო ინფორმაციის დინება მისი აგენტების მოღვაწეობაზე. კვალმა ისინი თანდათან მიიყვანა ერთ, როგორც ჩანს, მსხვილ გერმანელ ჯაშუშთან, რომელსაც ფრანგები

პირობითად „მეტრს“ ეძახდნენ. მაგრამ დასაწყისში ეჩვენებოდათ, რომ საქმე ეხებოდა არა ცოცხალ ადამიანს, არამედ მოუხელთებელ აჩრდილებს, რომლებიც დაკინებით ნადირობდნენ სამხედრო საიდუმლოებებზე. შემდეგ ეს აჩრდილები „მეტრის“ ერთ ფიგურად გაერთიანდნენ. დაიბადა აზრი, რომ ეს შეიძლება იყოს კრებითი არსება. საქმე ისაა, რომ ყველა ფორმალურად სხვადასხვა პირთან მიდიოდა და მხოლოდ სიმართლის მსგავსი ჰიპოთეზით შეიძლებოდა ვარაუდი, რომ ყველა ესენი, ერთმანეთის არც თუ ისე მსგავსი ადამიანები, მხოლოდ ერთი მზვერავის ნიღბები იყვნენ.

ზემოთ მოთხრობილ ამბებზე ცოტა ადრე საფრანგეთის ერთ-ერთ ვიცე-საკონსულოში მოვიდა სტუმარი. ეს იყო მაღალი, მკაცრი შესახედაობის შუა ხნის კაცი. მოსულს ჰქონდა დამცინავი სახე, მაღალი შუბლი და სწორი, რომაული ცხვირი. სათვალის ქვეშ უბრწყინავდა შავი თვალები, პირს კი ხშირი ულვაშები უფარავდა. უცნობმა განაცხადა, რომ ის შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენელია და იმისათვის მოვიდა, რომ შეამოწმოს, ხომ არ არღვევს ვიცე-საკონსულო შვეიცარიის ნეიტრალიტეტს. მან წარადგინა შვეიცარიის პოლიციის ნიშანი და მოითხოვა გაეხსნათ დოკუმენტებიანი სეიფი. ვიცე-საკონსულოს მოხელემ ჯერ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. ის ეარაუდობდა, რომ სეიფში არ აღმოჩნდებოდა სახელის გამტეხი საბუთები, ხოლო აშკარა სკანდალს კი შეიძლება საკონსულო სხვა უფრო დანაშაულებრივი მოქმედებების გაშოაშკარავებამდე მიეყვანა. ქედმაღალმა მომსვლელმა სწრაფად გადაათვალიერა ქაღალდები და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი პატარა ჩემოდანში ჩააწყო. ფრანგი ისევ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ შვეიცარიელმა მოხელემ კატეგორიულად აუხსნა, რომ მან თავისუფალ დროს ყურადღებით უნდა შეისწავლოს ყველა საბუთი. აქ კი დიპლომატმა ველარ მოითმინა და განაცხადა, რომ არაცის არა აქვს უფლება გაიტანოს საბუთები საკონსულოდან. მაშინ უცნობმა სწრაფად ჩაყო ხელი ჯიბეში და ფრანგს რევოლვერი დაუმიზნა. „არ დაიძრეთ ადგილიდან“ — შეჰყვირა შვეიცარიელმა. იარაღი არ დაუშვია, ისე სწრაფად დაიხია უკან, კარი გაიჯახუნა და სულ მალე მანქანის ხმაური გაისმა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა აურზაური გამოიწვია ამ ვიზიტმა. უფრო ზუსტად, ვიცე-საკონსულოზე შეიარაღებულმა თავდასხმამ. მართალია, ციურიხიდან აცნობეს, რომ ერთ-ერთი პოლიციის მსხვილი მოხელის განცხადებით, ვიცე-საკონსულოში მოსული კაცი ნამდვილად მთავრობის წარმომადგენელი იყო. მაგრამ, თა-

ეის მხრივ, ეს ციურიხელი პოლიციელი დიდ ეჭვს იწვევდა: იგი დიდი ხანია ანტანტის „შავ სიაში“ ირიცხებოდა როგორც გერმანელი აგენტი. ამის გარდა, მიიღეს ცნობა, რომ უცნობი შუახნის შვეიცარიელი, რომელიც თავს შვეიცარიის პოლიციის თანამშრომლად ასაღებდა, ნახეს შვეიცარიაში სამკურნალოდ ჩამოსულ რომელიღაც ინგლისელ მფრინავთან ერთად. ინგლისელებმა მაშინვე აცნობეს, რომ ამ ცნობაში მოყვანილი გვარის პილოტი მათ საჰაერო ფლოტში არ ირიცხება. მაგრამ ამავე დროს გამოირკვა, რომ გერმანელებმა გაიგეს ინგლისის აეროდრომებზე ღამის სიგნალიზაციის საიდუმლოება. გერმანელი მფრინავები ბრიტანეთის აეროდრომებზე გადაფრენის დროს ინგლისის საიდუმლო კოდით გზავნიდნენ თხოვნას დაენთოთ სანიშნო ცეცხლი. ცეცხლი აინთებოდა თუ არა, გერმანელების თვითმფრინავები სასტიკად ბომბავდნენ აეროდრომებს. სწორედ ამ დროს მოვიდა ახალი ცნობა, რომ საფრანგეთის საჯაშუშო ქსელმა გერმანიაში იწყო ყალბი ინფორმაციის გადმოცემა. მაშასადამე, ფრანგი მზვერავები დაპატიმრებულნი იყვნენ გერმანელების მიერ...

საფრანგეთის საიდუმლო სამსახურმა მობილიზაცია უყო ვიცე-სელჩოს ყველა თანამშრომელს, რომლებსაც ნანახი ჰყავდათ შვეიცარიის მთავრობის სახელით მოქმედი თავდამსხმელი. ძალზე აღელვებულმა ერთ-ერთმა მათგანმა მალე მოირბინა: მას ენახა უცნობი ბერნის პოლიციის სამმართველოში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს იყო ის კაცი, რომელმაც ვიცე-საკონსულოდან საბუთები გაიტაცა. ფრანგმა დაინახა, თუ როგორ ელაპარაკებოდა და ეხუმრებოდა უცნობი პოლიციის დიდი თანამდებობის მოხელეს. ვიცე-საკონსულოს თანამშრომელმა დრო იხელთა თუ არა, მანქანაზე მბეჭდავ ქალს ჰკითხა, ვინ იყო ეს უცნობი. მან მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ უცნობი კარგად იცნობს პოლიციელს, რომელსაც ელაპარაკება და ისინი ხშირად ხვდებიან ერთმანეთს პოლიციის სამმართველოში. ფრანგმა დაინახა, როგორ გამოვიდა უცნობი პოლიციის სამმართველოდან. დაიქირაეა ტაქსი და დიდხანს დადიოდა ქალაქში, ალბათ, კვალის ასაბნევად.

მოულოდნელად მანქანა ერთ სახლთან გაჩერდა. უცნობი გაუჩინარდა კარს უკან. შვეიცარი შესახედავად პრუსიელ უნტერ-ოფიცერს ჰგავდა. არც შეიძლებოდა იმაზე ფიქრი, რომ მისგან რაიმეს გაიგებდა. საჭირო იყო ცდა.

თუმცა ლოდინი დიდ ხანს არ დასჭირვებია. რამდენიმე წუთის შემდეგ უცნობი გამოჩნდა და ფეხით გაუდგა გზას. მაგრამ მალე გაუჩინარდა. ფრანგმა გადაწყვიტა საიდუმლო სახლის დათვალი-

ერება. მან გაზეთის გამყიდველ მოხუცებულ ქალისაგან მთელი დასტა გაზეთი იყიდა და დამტარებელივით კარზე დააკაკუნა. კარი გერმანელი კაპიტნის ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა გააღო. ოფიცერი ისეთივე სიმაღლის იყო, როგორც უცნობი, ოღონდ უფრო ფართო მხარ-ბეჭი და სახის მკვეთრი ნაკვთები ჰქონდა. პატარა ბინაში სხვა ნამდვილად არავინ იყო. ფრანგმა გაზეთის ახალი ნომერი შესთავაზა. კაპიტანი დაინებით მიაჩერდა გაზეთის ცრუ გამყიდველს და ხურდა ფულისათვის წავიდა. მან ის პალტოს ჯიბიდან ამოიღო. ეს იყო პალტო ვიცე საკონსულოდან ქაღალდების დამტაცებლისა, რომელსაც გაეკიდა ფრანგი და, რომელიც ახლახან გავიდა სახლიდან...

როდესაც ვიცე-საკონსულოს თანამშრომელმა თავისი საოცარი ამბები საფრანგეთის დაზვერვის უფროსს უამბო, მან საეჭვო პირების ფოტოსურათები უჩვენა. მათ შორის თანამშრომელმა მაშინვე იცნო გერმანელი კაპიტანი. ეს იყო კაპიტანი ფონ ეიმენი, რომელმაც გერმანია-შვეიცარიას შორის ხშირი მგზავრობის უფლება მიიღო, თითქოსდა ინტერნირებული გერმანელი ჯარისკაცების საქმეებთან დაკავშირებით.

კაპიტანზე სადღეღამისო მეთვალყურეობა დაწესეს. კონტრდაზვერვის ერთი ფრანგი შუშაკი გაჰყვა გერმანელს, როდესაც ის ბერლინიდან ციურიხს გაემგზავრა. ციურიხის სადგურში კაპიტანი ჩაჯდა ფარდაჩამოფარებულ მანქანაში. მანქანა ძალიან ნელა მიდიოდა. ნახევარი საათი დასჭირდა ერთ წყნარ ქუჩამდე მისასვლელად. გაიღო ლიმუზინის კარი და იქიდან გამოვიდა ვიღაც კაცი, მაგრამ ეს არ იყო კაპიტანი ეიმანი. პატარა, მოხრილ მოხუცებულში, რომლის სახე ფრანგმა კონტრმზვერავმა ყურადღებით შეათვალიერა, შეუძლებელი იყო წარმოსადეგი გერმანელი ოფიცრის ცნობა. ამასობაში მანქანიდან გამოსული კაცი ერთ-ერთი სახლის კარში გაუჩინარდა. ფრანგმა აგენტმა იქვე იყიდა ბოსტნეულიანი კალათა და დააკაკუნა სახლის კარზე, სადაც უცნობი შევიდა. შვეიცარი გერმანელი აღმოჩნდა. ფრანგმა მიმართა ქალს, რომელიც ეზოში წესრიგს ამყარებდა.

— მე დამავალეს ბატონ გლაუბერის მიერ შეკვეთილი ბოსტნეულის მოტანა, ის ახლახან გადმოვიდა მანქანიდან.

— აქ ბატონი გლაუბერი არავინ არის, — უპასუხა ქალმა, — მანქანიდან გადმოვიდა ბატონი მიხაელსონი. იგი უკვე დიდი ხანია აქ ცხოვრობს. თქვენ მისამართი შეგეშალათ.

აგენტს ისღა დარჩენოდა, რომ ცნობები მიხაელსონზე საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის ციურიხის განყოფილებიდან მიეღო. აღმოჩნდა, რომ მიხაელსონი შეტანილი იყო საეჭვო პირთა სიაში.

იგი გერმანიის ვიცე-საკონსულოში მიელენილად ითვლებოდა და ოფიციალურად გერმანიის ნახშირის გაცვლის ბიუროში მუშაობდა.

მოხალისონი, გერმანული ენის გარდა, კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და ინგლისურად. მაგრამ არ შეიძლება იგი სერიოზული ჯაშუში ყოფილიყო. გერმანელი ბონვივანის ცხოვრებას ეწეოდა, ყოველთვის იცვლიდა საყვარლებს, დროს ატარებდა ღამის საროსკიპოებში. ციურიხში კაპიტან ეიმენის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ამრიგად, საფრანგეთის კონტრდაზვერვამ უკვე იცოდა სამი ნიღაბი, რომელსაც უცნობი ატარებდა: შვეიცარიელი პოლიციელის, გერმანელი ოფიცრის, რომელიც ინტერნირებული ჯარისკაცების ყოფით იყო დაკავებული და ბოლოს ვიცე-საკონსულოს თანამშრომლის, ციურიხის ყველა გასართობი ადგილის მუდმივი სტუმრის. მაგრამ „მეტრის“ ნამდვილი როლი ფრანგებმა მხოლოდ იმის შემდეგ გაარკვიეს, როდესაც დამნაშავეთა სამყაროში ღრმა ძიება ჩაატარეს. გამოირკვა, რომ ამ წრეში მას ჰყავდა მრავალი აგენტი, რომლებსაც იგი ზოგს მუქარით იპერდა, ზოგს — დაპატიმრებებით და ფულით. „მეტრს“ აგენტები ჰყავდა შვეიცარიის ჩინოვნიკებს შორისაც, კერძოდ, პოლიციელებსა და საბაჟოს მოხელეებს შორის. „მას“ თავის ხალხი ჰყავდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებშიც.

ფრანგებს ეჭვი ჰქონდათ, რომ „მეტრმა“ ზოგიერთი მათგანი გადაიბირა და სწორედ მათი წყალობით გაიგო მეორე ბიუროს საიდუმლოებები.

დიდი ხნის განმავლობაში მოკავშირეთა დაზვერვამ „მეტრს“ გასაღები ვერ მიუყენა. მას დაეხმარა შემთხვევა. ერთი ამერიკელი კონტრმზვერავი შეხვდა ახალგაზრდა გერმანელს, რომელსაც ჯერ კიდევ ომამდე იცნობდა გერმანიაში ყოფნის დროს. თუმცა იგი წარმოშობით მსხვილი ბურჟუაზიული, კოსმოპოლიტური ოჯახიდან იყო, მაინც სძულდა გერმანიის მთავრობა, რადგან მას თვლიდა ყველა იმ უბედურების მიზეზად, რომელიც ომის გამო თავს დაატყდა მის ახლობლებსა და ნათესავებს. ამერიკელმა მოხერხებულად გამოიყენა ის იმედები, რომლებსაც მაშინ ომისაგან დაქანცული ბევრი ევროპელი ვილსონის სახელს უკავშირებდა. ამერიკის პრეზიდენტს მისი მოხერხებული დემაგოგიის გამო პაციფისტად, იმპერიალისტური აგრესიის მტრად, განიარაღებისა და მშვიდობის მომხრედ თვლიდნენ. სწორედ ამ ილუზიებზე ააგო თამაში ამერიკელმა მზვერავმა და მოუწოდა თავის ნაცნობ გერმანელს, დახმარებოდა გერმანიის იმპერიალიზმის მოსპობაში. გერმანელმა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ თანხმობა გამოთქვა. ამერიკელისდა სასიხარულოდ გამოირკვა, რომ

გერმანელი „მეტრის“ ხელქვეითი იყო. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ამერიკელს გადასცეს ვიოლინოს ბუდეში ჩალაგებული საიდუმლო საბუთების დასტა, რომელიც „მეტრის“ მოღვაწეობას ამხილებდა.

ეს იყო მსხვილი გერმანელი საქმოსანი, განათლებით ინჟინერი. შვეიცარიაში მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ გვერდი აევლო შვეიცარიის მთავრობის დადგენილებისათვის, რომელიც კრძალავდა დეფიციტური ნაკეთობების გატანას. გვერდს უვლიდა რა ასეთი გზით მოკავშირეთა ბლოკადას, მან მოახერხა შვეიცარიიდან და სხვა სახელმწიფოებიდან მრავალი საქონლის გადაგზავნა. ამავე დროს „მეტრი“ ხელმძღვანელობდა გერმანიის ჯაშუშების მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელსაც იგი საფრანგეთში გზავნიდა. მან ბერნში კიდეც შექმნა პატარა საიდუმლო სკოლა, სადაც მისი მომავალი აგენტები სწავლობდნენ. სწორედ „მეტრმა“ მისცა ცნობა საფრანგეთის 21 მზვერავზე, რომლებიც გერმანელებმა დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. ამაში მას ზოგიერთი ორმხრივი აგენტი დაეხმარა, რადგანაც „მეტრს“ თავისი ხალხი ჰყავდა შვეიცარიის პოლიციაში, მას შეეძლო ეფექტური დარტყმები მიეყენებინა მოწინააღმდეგის დაზვერვისათვის. მოკავშირეების მრავალი აგენტი მისი დაბეზღებით შვეიცარიის ნეიტრალიტეტის კანონების დარღვევაში დაადანაშაულეს.

„მეტრმა“ მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა. ჯერ ერთი, მან ვერ გაიგო, რომ მისი ერთ-ერთი თანაშემწე ამერიკის დაზვერვის აგენტი გახდა და, მეორე, მას არ სურდა თავის შეზღუდვა და მიხაელსონის სახელით ციურიხში თავაწყვეტილ ცხოვრებას ეწეოდა, რისთვისაც არ შეიძლებოდა არ მიექციათ ყურადღება.

ქაღალდების დაკარგვის შემდეგ, რომელიც ამერიკის მზვერავს ვიოლინოს ბუდით გადასცეს, „მეტრის“ დღეები, როგორც გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელისა, უკვე დათვლილი იყო. ანტანტის დიპლომატებმა შვეიცარიის ხელისუფლებას წარუდგინეს „მეტრის“ ნამდვილი მოღვაწეობის შესახებ ყველა ცნობა. ბერნში მთავრობა შეშფოთებული იყო: ქაღალდები სახელს უტეხდა ნეიტრალური შვეიცარიის ბევრ გამოჩენილ მოხელეს და სხვა მოქალაქეებს. ყოველ შემთხვევაში, საჭირო იყო გერმანელის დაუყოვნებლივ დაპატიმრება. საფრანგეთის აგენტები არ ენდობოდნენ შვეიცარიის პოლიციას და თვითონ შემოარტყეს ალყა „მეტრის“ ბინას. ბოლოს გამოცხადდნენ შვეიცარიის პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები, მაგრამ

მათ დიდხანს მოუხდათ ცდა დაკეტილი კარის წინ. კაკუნზე არავინ გამოეხმაურა. კარი შეამტვრიეს და პოლიციელები შეეარდნენ ბინაში, სადაც უცნაური სურათი დახვდათ. მათ წინ იდგა რაღაც საოცარი მახინჯი პიროვნება, რომლის სახის მარჯვენა მხარე სულ არ ჰგავდა მარცხენას. ერთი ნახევარი იყო გლუვი და მზემოკიდებული, მეორე — ფერმკრთალი, დანაოჭებული. სახეზე მხოლოდ ერთი წარბი ჰქონდა, პარიკი გვერდზე იყო ჩამოწეული. „მეტრი" კაპიტან ფონ ეიმენად უნდა გარდაქმნილიყო.

„მეტრს" ძალიან გავლენიანი მეგობრები აღმოაჩნდა. ბევრ მათგანს საკუთარი ინტერესი ამოქმედებდა და ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გამოეგლიჯათ იგი შვეიცარიის მართლმსაჯულების არც თუ ისე მჭიდე ხელებიდან. იგი ფსიქიურად დაავადებულად გამოაცხადეს და საავადმყოფოში მოათავსეს. ჩქარა „მეტრი" იქიდან გერმანიაში გაიქცა. მის მიერ შექმნილი საადაზვერვო მექანიზმი სწრაფად დაიშალა. ომის შემდეგ „მეტრმა" აღადგინა თავისი მსხვილი კაპიტალისტური საქმოსნის კარიერა.

კაიზერის ვაჟიშვილის გაქცევა

ამერიკის დაზვერვის მიერ ერთ-ერთი მსხვილი მისტიფიკაცია წამოწყებული იყო ისევ იმავე მიზნით — ხელში ჩაეგდოთ გემმა, როგორც გერმანელები იმედოვნებდნენ, გერმანიის „გადამწყვეტი" შეტევისა, რომელიც დანიშნული იყო 1918 წლის გაზაფხულზე. ამისათვის მოიფიქრეს შეეგზავნათ ამერიკელი ჯაშუში გერმანიის დაზვერვაში და ყოველი ღონე ეხმარათ, რომ მას გერმანელების სრული ნდობა მოეპოვებინა. ეს ამერიკელი მზვერავი (ამ ისტორიის გადმოცემისას ე. ვუდჰოლი მას პირობითად „პოლკოვნიკს" უწოდებს) გაემგზავრა ესპანეთში, სადაც თავი გაასალა აშშ-ის ჯარის დეზერტირად, საშიშ დამნაშავედ, რომელიც თითქოს გამოქცეული იყო დაპატიმრების შემდეგ. ამ გაქცევის შესახებ (რასაკვირველია, ინსცენირებულის) გაიგო ესპანეთის საზღვრო დაცვამ, მისგან კი გერმანიის დაზვერვამ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სპექტაკლის პროლოგის დასასრული.

პოლკოვნიკი საკურორტო ქალაქ სან-სებასტიანის ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდა. როდესაც იგი შინ არ იმყოფებოდა, მის ოთახში შეეარდნენ ამერიკელი მზვერავები და ყველა ნივთი გადაქექეს. გაჩხრეკის ეს ამბავიც ცნობილი გახდა. სასტუმროში დაბრუნებულმა

პოლკოვნიკმა ხმამაღლა გამოთქვა აღშფოთება. მაშინ ამერიკელთან ვილაც კაცი მივიდა და თავაზიანი წინადადება მისცა მოეთხრო მისთვის, თუ ვინ მოახდინა მის ოთახში ჩხრეკა. უცნობი იმავე სასტუმროში ცხოვრობდა. პოლკოვნიკმა ყოყმანის სცენა გაითამაშა და ბოლოს და ბოლოს დათანხმდა. უცნობის ოთახში იგი რამდენიმე პირს წარუდგინეს. საუბრის დროს პოლკოვნიკმა აღნიშნა, რომ მან არ იცის გერმანული ენა, სინამდვილეში კი თავისუფლად ფლობდა მას. ამის შემდეგ მისმა თანამოსაუბრეებმა მოკლედ ითათბირეს, ლაპარაკობდნენ გერმანულად და პირდაპირ შესთავაზეს ამერიკელს გერმანიის დაზვერვისათვის ემუშავა. მას დიდძალ ფულს და ამერიკის პოლიციიდან დაცვას დაპირდნენ. ისევ განმეორდა ყოყმანის კომედია და პოლკოვნიკმა განაცხადა, რომ თანახმაა, რადგან სურს სამაგიერო მიუზღოს დევნისათვის, რომელსაც იგი განიცდიდა.

მთავარი დავალება, რომელიც პოლკოვნიკმა მიიღო — ეს იყო ხელის შეწყობა ფრანგების მიერ ახლახან დაპატიმრებული გერმანელი აგენტის მიულერის გაქცევისათვის. მისი გაქცევის მოწყობა თვით კაიზერმა ბრძანა. გარდა ამისა, პოლკოვნიკს ავალებდნენ ეშოვა მნიშვნელოვანი გამოგონების ნახაზები.

ფულითა და „საიმედო“ ესპანური პასპორტით მომარაგებული პოლკოვნიკი საფრანგეთს გაემგზავრა. თავდაპირველად მას უთვალთვალებდნენ და თავის კოლეგას, რომელიც მას ელოდებოდა, მხოლოდ მოკლე ბარათი გადაუგდო. მაგრამ პარიზში შეყოფ პოლკოვნიკის უფროსებს კინაღამ დამბლა დაეცათ, როდესაც გაიგეს, თუ რაში მდგომარეობდა გერმანელების მიერ პოლკოვნიკისათვის დავალებული ამოცანა. მიულერის სახელით იმალებოდა თავადი იოაჰიმი, ვილჰელმ II საყვარელი ვაჟიშვილი, რომლის გადარჩენისათვის გერმანიის დიპლომატია ნეიტრალური ქვეყნების საშუალებით ყოველგვარ ზომას მიმართავდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს მიულერის გაქცევაზე დათანხმებულიყვნენ. ამერიკელი ვითომც საეჭვო ესპანელის სახით დააპატიმრეს და საკანში გვერდით მიუსვეს იოაჰიმს. იქ პოლკოვნიკმა პირდაპირ განუცხადა ცრუ მიულერს, რომ ის გერმანიის დაზვერვის აგენტია და მეორე მზვერავის დახმარებით უნდა მოაწყოს მისი გაქცევა. იოაჰიმს გააცნეს გაქცევის გეგმა, და იგიც ამ გეგმის გულმოდგინედ შესრულებას დაპირდა. გაქცევა — საფრანგეთის კონტრდაზვერვის დახმარებით — შეუფერხებლად განხორციელდა. თავადის სეირნობის დროს პოლკოვნიკმა და მისმა მეგობარმა „მაიორმა“ გუშაგების ყურადღება შეიქციეს. ერთი წუთის შემდეგ მძლავრი შანქანა სამივეს სამხრეთისაკენ — ესპანეთის სა-

ზღვრისაკენ მიაქროლებდა. იქ საიდუმლო ბილიკებით პოლკოვნიკმა და თავადმა ესპანეთამდე მიაღწიეს.

პოლკოვნიკი კიდევ ერთხელ გაემგზავრა საფრანგეთს, ამჯერად ნახაზებისათვის, თუმცა იოაჰიმს თავდაპირველად არაფრით არ უნდოდა თავისი გადამრჩენის გაშვება. პოლკოვნიკმა ნახაზებიც ჩამოიტანა. მასთან ერთად ჩამოვიდა კიდევ ერთი მზვერავი „ინჟინერი". იგი მომზადებული კაცი იყო და გერმანელები გააბრუა ამბების მოყოლით ტექნიკის დეტალებზე, რაშიც ისინი სრულიად ვერ ერკვეოდნენ.

მიუხედავად სასტიკი ბრძანებისა, პრინცმა იოაჰიმმა დაჟინებით მოითხოვა, რომ მასთან ერთად გერმანიის წყალქვეშა ნავით ორივე უცხოელი — პოლკოვნიკი და ინჟინერიც წაეყვანათ გერმანიაში. კილიდან ორივენი გადაიყვანეს კობლენცში, სადაც მათზე საგულდაგულო მეთვალყურეობა დააწესეს. აშკარა იყო, რომ მათზე ეჭვი ჰქონდათ მიტანილი. ერთ-ერთ კაფეში მათ ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა და ესპანურად გაუბა ლაპარაკი. ისინი გაეცინენ. ეჭვს არ იწვევდა, რომ გრეტა — ასე ერქვა გერმანელ ქალს — მათთან მიგზავნილი კონტრმზვერავი იყო. ინჟინერს არასასიამოვნო საუბარი ელოდა გერმანელ ექსპერტებთან. საშიში ის იყო, რომ თუ გერმანელები მაშინვე ვერ მიუხვდებოდნენ ტყუილს, მიიღებდნენ თუ არა ინჟინერისაგან მთლიან ინფორმაციას ცრუ გამოგონებაზე, შეეცდებოდნენ მის თავიდან მოცილებას. ორივე მზვერავმა გადაწყვიტა, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, გაუჩინარებულიყვნენ.

ამ დროისათვის პოლკოვნიკი გერმანიის მთავარსარდალ ფელდმარშალ ჰინდენბურგთან გამოიძახეს. პოლკოვნიკმა შეკითხვების პასუხად ფელდმარშალს ამერიკის არმიის ძალის აშკარად გადამეტებული სურათი დაუხატა საფრანგეთში. მზვერავთა მდგომარეობა კრიტიკული ხდებოდა; ისინი კი ჯერ ვერ მიუახლოვდნენ მიზანს — გერმანიის შეტევის ადგილისა და რიცხვის გასანაზღვრას. წარმატება მოულოდნელი აღმოჩნდა. გერმანელ კონტრმზვერავ გრეტას შეუყვარდა პოლკოვნიკი და გასცა თავისი უფროსების თამაში. უფრო მეტი, მან ამერიკელები დაუკავშირა გენერალური შტაბის ორ პოლკოვნიკს, რომლებიც გერმანიას დამარცხებისათვის განწირულად თვლიდნენ და მზად იყვნენ გაქცეულიყვნენ ამერიკელებთან გერმანიის საიდუმლო გეგმით და გადაეცათ იგი ანტანტისათვის ფულისა და მთლიანი უშიშროების გარანტიის სანაცვლოდ. ამერიკელმა მზვერავებმა, რასაკვირველია, სიხარულით მიიღეს ეს წინადადება.

ამ შალალი თანამდებობის გერმანელი ოფიცრების დახმარებით

პოლკოვნიკმა, ინჟინერმა და გრეტამ მოახერხეს გერმანიის დატოვება. მალე ორივე გერმანელი პოლკოვნიკი ამერიკელების მხარეზე გადავიდა.

როდესაც ანტანტის დაზვერვის მიერ ომის ბოლო წლებში მოპოვებულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა გავაზვიადოთ ისინი. თუმცა ანტანტის ჯაშუშების მრავალ მოგონებებში გვხვდება, მაგალითად, მტკიცებანი, რომ ისინი ადრევე მეტყველებდნენ გერმანიის კრახის მოახლოებას, ფაქტები კი პირიქით ლაპარაკობენ. ანტანტის უმაღლეს სარდლობას, აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ-ის მთავრობებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ გერმანიის ომის გაგრძელების შესაძლებლობაზე. ანტანტის გენერლები რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ ამაოდ ცდილობდნენ პირდაპირი დარტყმებით (რომლებიც მილიონობით დაჭრილი და მოკლული ჯარისკაცების ფასად ჯდებოდა) გაერღვიათ გერმანიის თავდაცვა. მათ იმდენჯერ წაიმტვრიეს ფეხი გერმანიის მძლავრ სიმაგრეებზე, რომ გამოუმუშავდათ პირობითი რეფლექსი, რომელიც ხელს უშლიდა მათ მიახლოებოდნენ გერმანიის ფრონტს მაშინაც კი, როდესაც იგი მხოლოდ ყოფილი ძლიერების აჩრდილს წარმოადგენდა. ანტანტის მთავრობები და აშშ, ჯერ კიდევ გერმანიის სამხედრო კრახის წინ, გერმანიის მძიმე დამარცხებების შემდეგ (1918 წ. აგვისტო), 1919—1920 წლებში ომის წარმოების დაწვრილებით გეგმებზე მუშაობით იყვნენ გართული. როგორღა უნდა ვილაპარაკოთ ამ საქმეში დაზვერვის ზუსტ ჩახედულობაზე, რომელზეც თავის მემუარებში წერენ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის მზვერავები!

ყველა ჯურის ხალხი

ბნელ პიროვნებებს, გაიძვერებსა და ყველა ჯურის ავანტიურისტებს არა თუ აგროვებდნენ დაზვერვის ორგანიზაციები, არამედ ისინი თვითონ ეტანებოდნენ საიდუმლო სამსახურს, როგორც თაფლს ბუზები.

ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ კოლორიტულ ისტორიად შეიძლება გამოდგეს მოთხრობა ინგლისის პარლამენტის თემთა პალატის წევრის, ფრიად პატივცემულ იგნატიუს ტიმოთე ტრეიბიშ-ლინკოლნის ცხოვრებაზე. ჟურნალისტი, ქრისტიანობის მქადაგებელი, ორმაგი ჯაშუში, ლიბერალი პოლიტიკოსი, ბუდისტური ბერი, ჩინე-

ლი მანდარინი — ასეთია ამ გამობრძმედილი სიყალბის ოსტატის ზოგიერთი გარდასახვა.

უნგრეთში დუნაიზე პატარა ქალაქში, ბურჟუაზიულ ოჯახში დაბადებულმა იგნატიუსმა ახალგაზრდობის წლებშივე რამდენჯერმე გამოიცვალა რელიგია და ყოველთვის დიდი წარმატებით ილვწოდა როგორც თავისი ახალი „რწმენის“ მისიონერი. ამ თაღლითმა თავისი მქადაგებლობის ასპარეზად, რასაკვირველია, შეერთებული შტატები აირჩია, სარწმუნოების არჩევა კი დამოკიდებული იყო „სულიერ“ ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებასა და მიწოდებაზე. ამ ბაზრის კონიუნქტურის მერყეობამ იგნატიუსი მოიყვანა ინგლისში, სადაც მან თავისი წარმატებებით (მთავარი კი შემოსავლით) ეკმაყოფილომ, საღვთო სიტყვის ქადაგებას თავი დაანება და ხელი მოჰკიდა ჟურნალისტობას. 1906 წელს ყოფილი სულიერი მოძღვარი გახდა ლიბერალური პარტიის აქტიური წევრი, საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწის სიბომ რაუნტრის მდივანი. მდივნის ვალდებულების შესრულების პროცესში იგნატიუსმა დაამზადა ბანკის ყალბი ჩეკი 700 გირვანქა სტერლინგზე თავისი შეფის ხელმოწერით. სიყალბე არც თუ ისე მალე აღმოაჩინეს. მანამდე ტრეიბიშ-ლინკოლნმა მოასწრო 1910 წელს ლიბერალური პარტიიდან ქვედა პალატის წევრად გახდომა. მაგრამ მომავალში, ახალი არჩევნების დროს, იგი უკვე ვერ გავიდა.

ამ დროს დაიწყო ომი და ტრეიბიშ-ლინკოლნი, როგორც მტრის ქვეყნიდან მოსული, ძალზე ორეოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაც შთავარია, ფული სულ აღარ ჰქონდა. მართალია, მეგობრებმა იგნატიუსი ცენზურაში მოაწყვეს სამუშაოდ უნგრული და რუმინული ფოსტის გადამსინჯავად, მაგრამ იქ იგი მალე საეჭვოდ მიიჩნიეს და სამსახური უნდა დაეტოვებინა. კვლავ უფულობა აწუხებდა — დადგა იმის საშიშროება, რომ იგნატიუსს მოსთხოვდნენ არისტოკრატიული კლუბიდან გამოსვლას, რომლის წევრობა რეპუტაციელობის ნიშანი იყო და ზედმეტი გამომუშავების შესაძლებლობას აძლევდა.

სწორედ ამ დროს ტრეიბიშმა ინგლისის დაზვერვის კარზე დააკაკუნა. აფერისტი ცდილობდა თავის წარუმატებლობა გამოყენებინა: ესაო და დაწვრილებით ავუწერ მათ გერმანელებს და ვეტყვი, რომ ინგლისელებს სამაგიერო უნდა მივუზღოო. გერმანელები მას უსათუოდ აიყვანდნენ სამსახურში და იგი ინგლისის დაზვერვისათვის განსაკუთრებით სასარგებლო კაცი გახდებოდა. თუმცა ტრეიბიშ-ლინკოლნის წინადადებას ავანტიურიზმისა და შარლატანობის სუნი

ასდიოდა, პარლამენტის ყოფილი წევრის სადარბაზო ბარათმა და ფავლენინამ მეგობრებმა თავისი საქმე გააკეთეს. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ იგი დაზვერვაში მიიღეს. მაგრამ ფეგმა, რომელიც აქვე დაებადა ახალ აგენტს, უკვე სრულიად ფანტასტიკური იყო. მან მოითხოვა მოემარაგებინათ ის ინგლისის მცირე ესკადრების ზღვაში გასვლის ცნობებით. გერმანელები გამოიყენებენ იგნატიუსის ინფორმაციას, ჩაძირავენ ბრიტანეთის ამ გემებს და საბოლოოდ დარწმუნდებიან ამ ძვირფასი აგენტის მიერ მიწოდებულ ცნობების სინამდვილეში. მაშინ ტრეიბიში გაუგზავნის მათ ცნობას შორიგი პატარა ესკადრის ზღვაში გასვლის შესახებ იმ დროს, როცა სინამდვილეში ინგლისის მთელი ფლოტი დატოვებს თავის ადგილს და გაანადგურებს სუსტ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად გამოგზავნილ გერმანიის გემებს. დასაწყისისათვის ტრეიბიში თხოულობდა ცნობებს ინგლისის ფლოტის ძალების ადგილსამყოფელისა და განაწილების შესახებ.

ინტელიჯენს-სერვისი, რასაკვირველია, არ გაება მახეში, რომელიც აშკარად მისთვის იყო დაგებული და არა გერმანიის საზღვაო სარდლობისათვის. სრულიად აშკარა გახდა, რომ ტრეიბიშის ერთადერთი მიზანი იყო, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფაიშლებოდა მისი ეშმაკური გეგმები, ორივე მეომარი მხარისაგან მაქსიმალური თანხის გამოძალვა. იგნატიუსს აცნობეს, რომ შეუძლებელია მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიცემა. მაშინ ის არ დაიბნა და შესთავაზა ინგლისის აგენტის სახით გამგზავრებულიყო როტერდამში, გამხდარიყო გერმანიის ჯაშუში და გადაეცა ლონდონში ყოველივე ის, რის გაგებასაც გერმანელების სამსახურში შესძლებდა. ამის ნებართვა მიიღო.

ტრეიბიში დაუყოვნებლივ ჰოლანდიას გაემგზავრა და გერმანიის გენერალურ კონსულს როტერდამში სამსახური შესთავაზა. ეს სამსახური სიამოვნებით მიიღეს. ინგლისის დაზვერვა ამასთანავე თვალს არ აშორებდა თავის მეტისმეტად ყოჩაღ წარგზავნილს. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრეიბიშმა ჩამოიტანა ინფორმაცია, მაგრამ იგი უვარგისი აღმოჩნდა.

წარმოიშვა სერიოზული ეჭვი — ხომ არ გასცა ტრეიბიშმა ინტელიჯენს-სერვისში მისი სამსახურის ფაქტი და ხომ არ აპირებს იგი ერთსა და იმავე დროს ემსახუროს (ან უფრო სწორად მოატყუოს) ორივე დაზვერვას. ინტელიჯენს-სერვისში მას პირდაპირ უთხრეს, რომ იგი ორმხრივი აგენტია და წინადადება მისცეს დაემთავრებინა ეს საქმე თამაში. ტრეიბიში შიხვდა, რომ საქმემ სერიოზული ხა-

სიათი მიიღო. ხუმრობა იქით იყოს და ასე სულ ადვილად შეიძლება აღმოჩნდე საბრალდებო სკამზე, ანდა პირდაპირ სახრჩობელაზე ტაუერში.

დაზვერვაში საუბრის მეორე დღეს ამერიკის გემ „ფილადელფიას“ უკვე მიჰყავდა ეკლესიის რამოდენიმე უძღები შვილი ისევ შეერთებულ შტატებში. დადგა თუ არა ფეხი ამერიკის მიწაზე, ტრეიბიშმა დააჩქარა ვერაგ ალბიონთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა და იქვე დაიწყო გერმანიის საელჩოს მოხიბვლა მაცდუნებელი დაპირებებით. საელჩომ კეთილგონივრულად უთხრა უარი შეთავაზებულ წინადადებაზე. მოუსვენარმა ტრეიბიშმა დაიწყო გერმანულ ენაზე ანტანტის საწინააღმდეგო სტატიების წერა გაზეთებში, რომლებსაც აშშ-ში გერშანიიდან ჩამოსული ემიგრანტებისათვის ბეჭდავდნენ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ყალბი ჩეკის ისტორია არ ამოტივტივებულიყო. ტრეიბიში სისხლის სამართლის დამნაშავე აღმოჩნდა, და 1915 წლის აგვისტოში ამერიკის ხელისუფლებამ იგი ინგლისელებს გადასცა. იგნატიუსი ციხიდან გამოვიდა 1919 წ. და... მის დაუცხრომელ კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. მან თავისი სამსახური ჯერ ჩამოგდებულ კაიზერს, ვილჰელმ II-ს შესთავაზა, შემდეგ გერშანიის რეაქციონური პუტჩისტების მეთაურს კაპს, ბოლოს ჩინეთში გაემგზავრა და რამდენიმე ხნის შემდეგ ბუდიზმი მიიღო. წარმატებები და ჩავარდნები გრძელდებოდა. ტრეიბიში ხან შოულობდა და ხან კარგავდა ფულს, ეჩრებოდა ყოველგვარ ავანტიურაში, არ თაკილობდა არავითარ თაღლითურ საქციელს. ეს გრძელდებოდა მთელი მეოთხედი საუკუნე, მის სიკვდილამდე, 1943 წლამდე.

ბედმა ტრეიბიშზე ნაკლებად გაუღიმა მის მსგავს ავანტიურისტ ქალს დესპინე დავიდოვიჩს. იგი დაიბადა კონსტანტინეპოლში. ჯერ კიდევ ბავშვობაში შეისწავლა რამდენიმე ენა. 17 წლისა ცოლად გაჰყვა ფრანგს, მაგრამ მალე გასცილდა და დაიწყო მდიდრული ტურისტული ცხოვრება. პარიზში „მშვენიერი თურქი ქალი“ ცნობილი იყო მეზის სახელით. ლონდონსა და მადრიდში — ჰესკეტის, რომში — თავისი ქალიშვილობის — დავიდოვიჩის გვარით, ნიუიორკში — თავს მისის დესპინედ ასაღებდა, ვაშინგტონში კი — ბარონესა ბელვილად. საზოგადოების შაღალ წრეებთან კავშირის გაბმას ყოველთვის ახერხებდა. თაყვანისმცემელთა შორის ჰყავდა გავლენიანი პირები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ სახელმწიფო საიდუმლოებანი.

1918 წლის დამდეგს დესპინე დავიდოვიჩი, რომელიც მაშინ ეს-

პანეთში იმყოფებოდა, ყველგან ორი გერმანელის თანხლებით გამოჩნდებოდა ხოლმე. მათ შორის უფროსს ბარონს ეძახდნენ, ამან მიიქცია ინტელიჯენს-სერვისის ყურადღება, რომლის აგენტებმა მოახერხეს მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში „მშვენიერი თურქი ქალის“ და გერმანიის დაზვერვის თვალსაჩინო მოღვაწის სრულიად აშკარა საუბრის მოსმენა. ამის შემდეგ დავიდოვიჩზე დაწესებულ იქნა საიდუმლო, მაგრამ მუდმივი მეთვალყურეობა. მეთვალყურეობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მალე დავიდოვიჩი გაუჩინარდა და ბარონთან ერთად ნიუ-იორკში გამოჩნდა. იქ ინგლისის აგენტები წააწყდნენ დაბეჭდილი ჩემოდნის კვალს, რომელსაც დავიდოვიჩი ერთ-ერთ ბანკში ინახავდა. ინგლისის კონტრდაზვერვა გაეცნო ჩემოდანში არსებულ მასალებს და ისინი ამერიკის პოლიციას გადასცა. ეს მასალები საკმარისი იყო ჯაშუშისა და „ბარონის“ დაპატიმრებისათვის. ქალმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე და რამდენიმე ხნის შემდეგ ციხის საკანში მოიკლა თავი. შეიძლება ეს არ იყო თვითმკვლელობა და აქ გერმანიის დაზვერვის ხელი ერია.

უნდა შევნიშნოთ, რომ „საბედისწერო ლამაზმანები“ შედარებით იშვიათად გვხვდებოდნენ დაზვერვის აგენტთა შორის, ვიდრე იმ უამრავი ბულვარული რომანების ფურცლებზე, რომლებიც ჯაშუშებზე მოგვითხრობენ. მაგრამ მაინც გვხვდებოდნენ. ესენი იყვნენ სპეციალურად ამორჩეული, გულმოდგინედ განსწავლული აგენტები, რომლებსაც ავალებდნენ საზოგადოების მაღალ წრეში ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის სფეროში შეღწევას, რომ ესარგებლათ ბურჟუაზიული და არისტოკრატიული ზედაფენის გარყვნილებითა და გამყიდველობით და ხელში ჩაეგდოთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაციები.

ამ „საბედისწერო ქალის“ ამპლუაში მთელი რიგი წლების განმავლობაში გამოდიოდა ინგლისელი მზვერავი ქალი, რომელიც ცნობილი იყო ფლორას სახელით. მის წარმოშობაზე არაფერი იცოდნენ. ერთნი მას ირლანდიელად თვლიდნენ, მეორენი — ავსტრიელად. აშკარა იყო, რომ მას კარგი აღზრდა ჰქონდა მიღებული და თავისუფლად ფლობდა მრავალ ენას. როდესაც რომელიმე ქვეყანაში საიდუმლო დავალებებით აგზავნიდნენ, მისი მაღალ საზოგადოებაში შეყვანა ევალებოდა რომელიმე დიპლომატს ან დაზვერვასთან დაკავშირებულ მსხვილ საქმოსანს. ფულით უხვად მომარაგებული ფლორა ხან ერთი, და ხან მეორე არისტოკრატიული სახელით წარმატებით მოქმედებდა იტალიაში, ავსტრია-უნგრეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში.

1915 წლის ივნისში მონტრეში მან გაიცნო შვეიცარიაში გერმანიის დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი „პროფესორი“ ერარდტი და მისი საყვარელი გახდა. ერთხელ ისინი „პროფესორის“ სახლში ხედილობდნენ. ჯაშუშმა ქალმა გერმანელი რაღაც ნივთისათვის გაეზავნა და სცადა ოთახში შესვლა, სადაც ერარდტი თავისი აგენტების სიებს ინახავდა, მაგრამ ოთახში შემოვარდა ერარდტის მდივანი, რომელსაც თავისი შეფის ლამაზი ნაცნობი დიდიხანია საეჭვოდ მიაჩნდა. როდესაც ერარდტი დაბრუნდა, განრისხებულმა გადაწყვიტა ფლორა, როგორც ქურდი, აქვე გადაეცა შვეიცარიის პოლიციისათვის. მაგრამ მზვერავი ქალი ტირილით ეხვეწებოდა მას, ყველი ზომით აეცილებინა მისთვის უსიამოვნება, სამაგიეროდ, პირდებოდა გაეხსნა ინგლისის დაზვერვის საიდუმლოებანი. მისატყუარი ძალიან სახარბიელო აღმოჩნდა და ორივე გერმანელი — უფროსიცა და მდივანიც — ანკესზე წამოეგო. გამოსტყუეს რა, როგორც მათ ეგონათ, ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა, ფლორა მხოლოდ მრავალსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. თქმა არ უნდა, რომ ყველა ეს ცნობა აშკარად წინასწარ ყოფილ მომზადებული და დიდ დროს არ გაუვლია, რომ „პროფესორმა“ ცრუ ინფორმაციისათვის ბერლინიდან მადლობის მაგივრად სასტიკი საყვედური მიიღო.

1916 წელს ფლორა ბელგიაში მუშაობდა, აგროვებდა ინფორმაციას გერმანიის ჯარების გადაადგილებაზე. შუა ომის დროს ფლორა ვანჰოლანდის სახელზე გაცემული ჰოლანდიური პასპორტით გერმანიაში მოგზაურობდა. იყო ბერლინში, ჰამბურგში, მიუნხენში და გერმანიის სხვა ქალაქებში. იქერდა რა სასიყვარულო კავშირებს საზღვაო ფლოტის ოფიცრებთან, კერძოდ, ჯავშნოსან კრეისერ „კრონპრინცესა სესილიას“ კაპიტანთან, ფლორამ მოიტაცა გერმანიის საიდუმლო კოდი, თანაც უიღბლო საყვარელმა ვერ გაბედა ეცნობებინა უფროსებისათვის კოდის მოპარვის შესახებ. გატაცებულმა შიფრმა ინგლისელებს დიდი სამსახური გაუწია იუტლანდიის საზღვაო ბრძოლის დროს. ამ შიფრისათვის ინტელიჯენს-სერვისმა ფლორას 800 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. მისი ყოველკვირეული ჯამაგირი 25 გირვანქას უდრიდა — მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე სხვა აგენტებისა. ფლორა აქტიურად მუშაობდა ომის შემდეგაც. სამწუხაროდ, მოთხრობებში მისი მოღვაწეობის შესახებ შეუძლებელია განვსაზღვროთ, რა მიეკუთვნება ფანტაზიის სფეროს (კერძოდ, ძალიან საეჭვოა შიფრის ისტორია, რომლის მოტაცებას ბევრ

მზვერავს აწერდნენ). თუმცა, ეს უნდა ითქვას სხვა მზვერავი ქალების ისტორიებზეც, რომლებიც „საბედისწერო ლამაზმანების“ ამპლუაში მოღვაწეობდნენ.

ლეგენდა მატა ჰარიზე

ჩვენ ალბათ ისევ უნდა შეურაცხვყოთ მკითხველის გემოვნება და დავიწყოთ მოთხრობა საცეკვაო სალამოს აღწერით, სალამოსი, რომელზეც შიშველი მოცეკვავე ქალი ყველა დროიდან და ხალხიდან გაძმოღებულ ეროტიკულ ცეკვებს ასრულებდა. სინამდვილეში ასეთი იყო ამ ისტორიის დასაწყისი, მაგრამ მკითხველი ნუ იჩქარებს დასკვნის გამოტანას, თითქოს მას მოუყვებიან უკვე ნაცნობ ისტორიას ბიზანტიის დედოფალ თეოდორაზე. არა, საცეკვაო წარმოდგენა იმართებოდა თითქმის 14 საუკუნის შემდეგ მას მერე, რაც იუსტინიანეს მომაკვალი მეუღლე ართობდა ამაღელვებელი სანახაობის მოყვარულ კონსტანტინეპოლის ოქრო ახალგაზრდობას. ეს სალამოც ბოსფორიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით, სენის მხიარულ ნაპირებზე შედგა. მაგრამ მოდური სიანლით გამოწვეული აღტაცება პარიზში ისევე დიდი იყო, როგორც ძველი ბიზანტიის დედაქალაქში. მაღალი საზოგადოების გემოვნება, როგორც ხედავთ, დიდად არ შეცვლილა 1400 წლის მანძილზე. მართალია, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის შემდეგ პარიზში ცოტა ვინმეს თუ გააკვირვებდით ცეკვის დროს გაშიშვლებით, მაგრამ 1905 წლის მარტში ეს სენსაცია იყო, მით უმეტეს, რომ წარმოდგენის მარტივ შინაარსს თავაზობდნენ როგორც ანტიკური მითების რიტმულ ინტერპრეტაციას, რელიგიური წესჩვეულებების აღდგენას ბუდას, შივასა და აღმოსავლეთის სხვა ღმერთების პატივსაცემად. გამოსვლას თან ახლდა „აზიური“ მუსიკა და გაწვრთნილი ბველებიც კი, რომლებიც, ტანზე შემოხვეულნი, მოცეკვავე ქალის ერთადერთ სამოსელს წარმოადგენდნენ.

ამ ქალის ცხოვრებაზე შეიქმნა ლეგენდები და მათში ზოგჯერ ძნელია გაარჩიო სინამდვილე. ამ ლეგენდებს თვითონვე შისცა სათავე რეკლამისათვის. შემდეგ კი დასავლეთში სათავგადასავლო და დეტექტიური საკითხავების მრავალრიცხოვანმა მიმწოდებლებმა გულუხვად შეალამაზეს ისინი. ეს ლეგენდები იმდენად მყარია, რომ საიდუმლო ომის ისტორიებშიც კი, რომლებშიც სერიოზული ავტორების კალამს ეკუთვნის, შეიძლება შეხვდეთ ამ აშკარა ზღაპრების განმეორებას, ახლა უკვე, როგორც სამართლიანად შემოგვთავაზა

ერთმა ინგლისელმა მწერალმა ბ. ნიუმენმა, საჭიროა ცალ-ცალკე გადმოვცეთ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ისტორია — ლეგენდარული და სახელგანთქმული ჯაშუში ქალის მატა ჰარის ცხოვრების ნამდვილი ისტორია. გავყვეთ ნიუმენს, მატა ჰარიზე სპეციალური გამოკვლევების ავტორს. დავიწყოთ ლეგენდიდან.

ლეგენდის თანახმად, მატა ჰარი დაიბადა ბრამინის ოჯახში, სამხრეთ ინდოეთში და რელიგიური აღზრდა მიიღო. პირქუში შავბნელი ტაძრიდან მატა ჰარი გამოიყვანა ახალგაზრდა ინგლისელმა ოფიცერმა, რომელიც შემდგომში მის მიერ გატაცებულ ახალგაზრდა ქალიშვილზე დაქორწინდა. ამ ქორწინების შედეგად დაიბადა ვაჟი, მაგრამ ის მოწამლა მსახურმა, რომელიც აღმოჩნდა ინდოელი ფანატიკოსი. იგი თავის თავს შურისმაძიებლად თვლიდა ღმერთების შეურაცხყოფისათვის. მატა ჰარიმ თავისი ხელით დაახრჩო მკვლელი. მალე მისი ქმარი ციებისაგან გარდაიცვალა და იგი მარტო დარჩა ყოველგვარი სახსრების გარეშე. წარსულისაკენ დაბრუნება შეუძლებელი იყო. მაშინ მატა ჰარიმ გადაწყვიტა თავის პროფესიად გაეხადა ეგზოტიკური, ევროპაში უცნობი ცეკვების შესრულება, რომლებიც მას ქურუმებმა შეასწავლეს.

მატა ჰარის ცეკვების სალამოების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაღალმა, ტანწერწეტა შავგვრემანმა ქალმა მალე საერთაშორისო აღიარება ჰპოვა; მის წინაშე უნდა დადუმებულიყო მოკრძალებული ხმები მორალისტებისა, რომლებიც კიცხავდნენ მატა ჰარის სულ უფრო „აშკარა“ ცეკვებისათვის. განსაკუთრებით აღფრთოვანებულ შიღებას ეღირსა მატა ჰარი ბერლინში. აქ, ისევე როგორც ევროპის სხვა დედაქალაქებში, მის სიყვარულს ეძებდნენ მეშკვიდრე პრინცები და მინისტრები, რომლებიც თავისი ქვეყნების პოლიტიკას განსაზღვრავდნენ. იზრდებოდა მისი საყვარლების რიცხვი — ეროტიკული ცეკვების შემსრულებელი ყველაზე მოდურ და ყველაზე უფრო ძვირადღირებულ მაღალი საზოგადოების კურტიზანად იქცა.

მეძავობასთან ერთად მატა ჰარი ჯაშუშიც გახდა. იგი გერმანიის დაზვერვამ დაიქირავა და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ აგენტად გადააქცია. მატა ჰარის მრავალრიცხოვანი საყვარლები ყველა ქვეყანაში ინფორმაციის იდეალურ წყაროს წარმოადგენდნენ. რასაკვირველია, გაუგებარია, რატომ დაჭირდა მოცეკვავეს გერმანიის დაზვერვის სამსახურში შესვლა. მას ხომ არ შეიძლება „ფატერლანდისადმი“ პატრიოტული ერთგულებით ეხელმძღვანელა. ჯაშუშობის ხელობას არ შეიძლებოდა მიეცა მისთვის დიდძალი თანხა, მით

უმეტეს, რომ იგი თავისი თაყვანისმცემლებისაგან უანგარიშო ფულის მიღებას იყო ჩვეული. მართლაც, თავშეუყავებელი მხარჯველი მატა ჰარი უფრო მეტს ფლანგავდა, ვიდრე ღებულობდა. შესაძლოა, ფიქრობდა ზოგიერთი, საიდუმლო სამსახურში შესვლით მატა ჰარის სურდა სამაგიერო გადაეხადა პარიზისათვის, რომელსაც მობეზრდა მისი ცეკვები.

გერმანიის დაზვერვას ორი სკოლა ჰქონდა ჯაშუშებისათვის: ერთი ლორაჰსა და ბავარიაში, მეორე ფრეიბურგსა და ბრეისგაუში. 1910 წელს მატა ჰარი სწავლების კურსს გადიოდა ლორაჰში. მას თავისი ახალი პროფესიისათვის ასწავლიდნენ ყველა საჭირო წესს — მიფრით საოგებლობას, ინფორმაციის გადაცემას და სხვ. მაგრამ ასეთი საყელგანთქმული პიროვნების დამალვა, ისევე როგორც სხვა ალსაზრდელებისა, შეუძლებელი აღმოჩნდა. მატა ჰარი უნახავთ იქ სწავლის დროს, ხმები დადიოდა, „პრაქტიკისათვის" მან სკოლის უფროსიც კი შეაცდინაო. 1914 წელს გერმანიის კრონპრინცმა ბრწყინვალე კურტიზანი მანევრებზე წაიყვანა სილეზიაში. უსიამოვნება კიდევ უფრო გაღვივდა, როდესაც მატა ჰარიმ თავისი კონცერტის სცენად გერმანიის მთავარი ბინის ოფიცერთა საერთო საბანადილო მაგიდა გამოიყენა.

შემდეგ კი ღისევ დაიწყო გასტროლები — ამჯერად უკვე გერმანიის საიდუმლო სამსახურის დავალებით. ამ დროს ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ცეკვები, რომლებსაც მატა ჰარი ასრულებდა, ინდონეზიურს უფრო წააგავდა, ვიდრე ინდურს. ამიტომ მატა ჰარიმ ნელ-ნელა დაიწყო თავისი ცხოვრების შესახებ მოთხრობის შეცვლა. ახალი ვერსიით იგი ჰოლანდიის ფერმერისა და იავის მკვიდრის შვილი იყო. როდესაც გოგონას 15 წელი შეუსრულდა, მშობლებმა ალსაზრდელად ქალთა მონასტერში მიაბარეს. იქ ის ერთმა ფრანგმა მღვდელმა შეაცდინა. მატა ჰარი მასთან ერთად გაიქცა მონასტრიდან, მღვდელი ეკლესიისაგან განკვეთეს და მან მიატოვა თავისი საყვარელი. მატა ჰარი იძულებული გახდა მშობლებთან დაბრუნებულიყო. დედა ძალიან ცუდად ექცეოდა, სცემდა კიდეც ქალიშვილს. მატა ჰარი ახლა გაგზავნეს ინდონეზიურ ტაძარში, საიდანაც იგი ინგლისელმა ოფიცერმა მოიტაცა. ამ პუნქტში მეორე ვერსია პირველს ემთხვევა და მისი გამეორება იწყება.

მატა ჰარის გასტროლებმა ისევ განამტკიცა მისი დიდება, რომელიც სცენიდან ჩამოსვლის შედეგად ცოტა შეირყა. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა არა საჯარო სპექტაკლებს, არამედ მის გამოსვლებს არისტოკრატიულ სალონებში. ბევრს ლაპარაკობდნენ მა-

ტა ჰარის სახელის შესახებ ბერლინში. იქ იყო საიდუმლო ოთახებიც, კედლებში დატანებული სპმალავებიცა და თვალიდან მოფარებული მიკროფონებიც. აგენტ „X-21“-ის (ასეთი ნომრით ირიცხებოდა მატა ჰარი გერმანიის საიდუმლო სამსახურის სიაში) ხელთ იყო ძლიერთა ამა ქვეყნისათა რეპუტაცია. ეშინოდათ, რომ არ გამოაშკარავებულიყვნენ და ჯაშუშის მოთხოვნისთანავე აღიარებდნენ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოებებს. . ამტკიცებდნენ, რომ სწორედ მატა ჰარისაგან მიიღო გერმანიის დაზვერვამ ომის შემთხვევაში საფრანგეთის არმიის გაშლის გეგმა (ცნობილი „მე-17 გეგმა“). მატა ჰარიმ რუსეთის გენერალური შტაბის საიდუმლო მასალებიც კი ჩაიგდო ხელში. მოცეკვავემ საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბანში იყიდა ვილა, რომელიც შემოღობილი იყო მაღალი ბალავნით. შეიძლება, მატა ჰარი პარიზში ისევ იმისთვის ჩამოვიდა, რომ ხელში ჩაეკრა მსხვილი გაზეთების გამომცემლები, გაზეთებისა, რომლებიც „საზოგადოებრივი აზრის“ ფორმირებას ახდენდნენ.

ეჩვენებოდათ კიდეც, რომ მატა ჰარი ახერხებდა მეორე ბიუროს მუშაობის მოდუნებას. მან ხომ შეადგინა საეჭვო პირთა გრძელი სია, რომელშიაც, როგორც გამოირკვა, გერმანიის ყველაზე უფრო აქტიური ჯაშუშები შედიოდნენ. მაგრამ, ინგლისისაგან გაწსხვავებით, სადაც გერმანიის აგენტები ომის დაწყებისთანავე დაიჭირეს, საფრანგეთის ხელისუფლებამ თავი შეიკავა იმ პირთა დაპატიმრებისაგან, რომლებიც შეყვანილი იყვნენ ამ სიაში. შესაძლოა, ეს მოკრძალება გერმანიის დაზვერვის რეზიდენტების მიმართ მატა ჰარის „მეგობრების“ ჩარევის შედეგი იყო, მას ხომ ისეთი ინფორმაციის მოტანაც შეეძლო, რომელსაც განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი გერმანელი აგენტები აგროვებდნენ.

ფორმალურად მატა ჰარი პარიზში რჩებოდა თავისი ვილითა და ძვირფასეულობის გასაყიდად. დრეზდენის - ფაბერჟეს კოლექცია მისგან იყიდა ეროვნულმა მუზეუმმა. რომელმაც წინასწარ რომელიღაც მაღალი საზოგადოების პირის საიდუმლო მითითება მიიღო, როდესაც გაყიდვის საქმეებს მორჩა, მატა ჰარი წითელ ჯვარში შევიდა და სამხედრო ზონაში გამგზავრების ნებართვა მიიღო. თითქოსდა ჰოსპიტალში მწოლარე შეყვარებულის — რუსი კაპიტნის მოსავლელად, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი. (ამ კაპიტნის ვინაობა უცხოელი ავტორები, რომლებიც მატა ჰარიზე წერენ, გადმოგვცემენ სხვადასხვანაირად. ჩვეულებრივად როგორც „მაროვს“. თავის მოგონებებში „50 წელი მწყობრში“. გენერალი ა. ა. იგნატიევი ამბუს-

ტებს. რომ ეს იყო კაპიტანი მასლოვი). სინამდვილეში კი მატა ჰარის მიზანი იყო შეეკრიბა ინფორმაცია 1915 წელს დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ, არტუაში და შმენ-დე-ძმში დანიშნული ანტანტის გაშლილ შეტევაზე. თუმცა მეორე ბიურომ ეჭვი მიიტანა მატა ჰარიზე, მაგრამ ეს ეჭვი გაურკვეველი იყო, თანაც ფხიზლადაც ვერ მეთვალყურეობდნენ მას და ამის შედეგად გერმანელებმა ყველა საჭირო ცნობა მიიღეს. ფრანგების შეტევა სისხლში ჩაიხრჩო. მათ დაკარგეს 250 ათასი კაცი, გერმანელებმა კი — 140 ათასი.

მომდევნო წელს მატა ჰარი ცდილობდა საფრანგეთის სარდლობის ყურადღება ჩამოეცილებინა ვერდენზე გერმანიის მოსალოდნელი შეტევისათვის, რის შესახებაც ანტანტის მზვერავები წინასწარ იტყობინებოდნენ. როგორც ცნობილია, საფრანგეთის სარდლობამ ყური არ დაუგდო საკუთარი დაზვერვის ცნობებს. შეტევის წინ გერმანელებმა გაანადგურეს საფრანგეთის სადაზვერვო ქსელი. მათ მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ნაწილში ერთი დღის განმავლობაში საფრანგეთის 66 მზვერავი დააპატიმრეს. ვინ გასცა ისინი? იმავე მატა ჰარიმ ხომ არა? მან კი ამასობაში გაიცნო ცნობილი ამერიკელი ავანტიურისტი, მფრინავი ბერტ ჰოლი, რომელიც საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში მსახურობდა. ჰოლს საფრანგეთის აგენტები ფრონტის ხაზის იქით გადაჰყავდა. პირველად იგი წარმატებით მოქმედებდა, მაგრამ მატა ჰარის გაცნობის შემდეგ დაიწყო სრული ჩავარდნები. საფრანგეთის ავიაციაში მოეწყო მატა ჰარის მეორე საყვარელიც, რომელიც პიერ დე მონტესაკის სახელით იყო ცნობილი. ეს იყო მაღალი საზოგადოების მოქეიფე და მოთამაშე. ისიც გერმანიის ჯაშუში გახდა და მნიშვნელოვან ცნობებს გადასცემდა მატა ჰარის, რომელიც გერმანელებს აწვდიდა მათ ნეიტრალური ჰოლანდიიდან. მატა ჰარის მეორე აქტიური თანამშრომელი იყო ბერძენი კონსტატინე კოუდოიანისი, რომელიც თავს გრაფ სმირნსკად ასაღებდა. ეს ბევრ ენაზე მოლაპარაკე, მოხერხებული საქმოსანი ნარკოტიკებით ვაჭრობდა, თუმცა მისი ეს ძველი ხელობა ომის დროს მხოლოდ საფარს წარმოადგენდა, რომლის მიღმა გერმანიის აგენტი იმალებოდა. ცრუ გრაფმა მართებულად გასაჯა, რომ უკეთესია ჩავარდე ასეთ უკანონო რეწვაზე, ვიდრე მხილებულ იქნე როგორც ჯაშუში. კოუდოიანისმა ვადაწყვიტა სრულიად ლეგალური ხელობისათვის მოეკიდა ხელი — მან ხილით ვაჭრობა დაიწყო. მაგრამ ომის დროს ხილი ცოტა შემოჰქონდათ და ამ ვაჭრობიდან შემოსავალი არ შეიძლება დიდი ყოფილიყო. მაშინ ვაჭარი ჟურნალისტად გარდაიქმნა. გაზეთის რომელიღაც გამომცემელმა სალონიკში კოუდოიანი-

სის რამოდენიმე სტატია დაბეჭდა. უბედურება ის იყო, რომ თვით ეს გამომცემელი საეჭვო პირად ითვლებოდა. სწორედ ის უეჭველი-და თავის კორესპონდენტს პარიზში სიმპათიკურ მელანს და ინს-ტრუქციებს. ამბავი გრაფ კოუდოშინისზე შეიცავს ასეთ პიკანტურ დეტალს: „გრაფი სმირნსკი“ ბუნებით ავხორცი იყო და უფროსობა, რომელმაც იცოდა ამ მხრივ მისი შეზღუდვა უშედეგო იქნებოდა, მას სხვადასხვაგვარი თავისუფლების ნებას აძლევდა, რათა შრომის-უნარიანი და სულიერად მხნედ ყოფილიყო, მაგრამ კატეგორი-ულად უკრძალავდა ვინმესთან მყარი კავშირის დაკავებას. პირველ ხანებში ეს აწყობდა კოუდოიანისს, მაგრამ აკრძალული ხილი ტკბი-ლიაო. კოუდოიანისი ერთხელ შეხვდა მშუბუქი ყოფაქცევის ქალს რეგინას. მან მალე მოახერხა ცრუ გრაფის ხელში ჩაგერა. ბერძენმა დროებით მიატოვა სხვა გასართობები და ოსმანის ბულვარზე თავი-სი ახალი საყვარლის შინაში გადასახლდა. კოუდოიანისს აზრადაც არ მოსვლია, რომ მისი შეყვარებული მეორე ბიუროს აგენტია.

ერთხელ მატა ჰარიმ კოუდოიანისს ახალი ბრძანებები გადასცა. ამასთანავე მოცეკვავემ შეამჩნია, რომ ბერძნის ბინაში ცხოვრობდა ვილაც ქალი, რომელთანაც ცავშირს იგი საგულდაგულოდ მალავდა. მაგრამ, ვინაიდან ფრთხილმა კოუდოიანისმა ჯერ კიდევ მატა ჰარის მოსვლამდე რამოდენიმე დღით გაგზავნა რეგინა პარიზში, მატა ჰა-რის მტკიცება არ ჰქონდა და გაჩუმდა. მაგრამ მატა ჰარიმ იცოდა, რომ მას უთვალთვალებენ და ამის შემდეგ კოუდოიანისის მოღა-ლატეობაში შეიტანა ეჭვი. მოცეკვავემ გადაწყვიტა თვალყური ედევ-ნებინა ბერნისათვის და ამ მიზნით რეგინას შეხვდა. მატა ჰარი გამო-ეწყო ქუჩის ქალივით და ადვილად მიაგნო რეგინას პარიზის ერთ გა-სართობ ადგილას. ქალებმა მალე გაიცნეს ერთმანეთი. მატა ჰარიმ ჰკითხა რეგინას, სად იმყოფებოდა ახლა მისი ბერძენი „საყვარელ-ლი“. რეგინამ უპასუხა, რეიმსს გაემგზავრაო. ამგვარად მატა ჰარიმ დაადგინა რომ ბერძენი ბევრ რამეს უყვება რეგინას, მაგრამ ეს იყო უფრო სისულელის, ვიდრე ღალატის დამამტკიცებელი. კოუდოი-ანისი მართლაც სხვა უცხოელ კორესპონდენტებთან ერთად რეიმსს გაემგზავრა.

ერთხელ სახლში მისულმა რეგინამ კოუდოიანისი მისთვის უჩვე-ულო საქმეზე შეისწრო. ბერძენი საკუთარ წინდებს რეცხავდა. რე-გინა დარწმუნებული იყო, რომ არც ერთი მამაკაცი არ მოკიდებს ხელს ასეთ საქმეს, როცა სახლში ქალია. მაშასადამე, გადაწყვიტა რეგინამ, კოუდოიანისი იმიტომ რეცხავს, რომ მოაშოროს სიმპათიკუ-რი მელნის კვალი. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს საფრანგე-

თის კონტრდაზვერვას. მატა ჰარიც, რომელმაც ეს ამბავი რეგინასაგან გაიგო, ძალზე აღელვებული იყო. შაგრამ შიში ნაადრევი აღმოჩნდა. მეორე ბიურო რეგინას დახმარებით ცდილობდა პარიზში საიდუმლო „ფრაუ დოქტორის“ კვალი მოენახა. როგორც რეგინამ თავის ახალ ნაცნობს უამბო, კონტრდაზვერვა მას დიდ თანხას დაჰპირდა, თუკი იგი აიძულებდა კოუდოიანისს „ფრაუ დოქტორი“ გაეცა.

— მაინც როგორ უნდა აიძულო, რომ ეს გააკეთოს? — შეეკითხა მატა ჰარი.

— მე ჯერ გავაკოტრებ მას, — უპასუხა რეგინამ.

ქალმა მართლა დაიწყო ფულის თავშეუკავებლად ფლანგვა, რათა თავი მოებეზრებინა საყვარლისათვის და მოემზადებინა იგი დიდი საზღაურის ფასად ემსახურა მეორე ბიუროში.

მატა ჰარი მიხვდა, რომ საჭირო იყო მოქმედება. ბერძენს ჯერ არ უღალატია, მაგრამ ადვილად შეეძლო ამის გაკეთება. მან გადაწყვიტა, რომ კოუდოიანისი უნდა მოკვდეს. მალე გრაფმა მატა ჰარისაგან მიიღო საიდუმლო წერილი. მას ევალებოდა, როგორც ჟურნალისტი, მისულიყო ერთი სენატორის დაკრძალვაზე. კონვერტში დამატებით ჩადებული იყო ბარათი. ბერძენს იგი უნდა გადაეცა ვიზიტურაში გამოწყობილი ცილინდრიანი კაცისათვის, რომელიც კოუდოიანისს რაღაც შეკითხვით მიმართავდა.

ბერძენი, რომელმაც ამ დროისათვის „ფრაუ დოქტორის“ გაცემა უკვე გადაწყვიტა, დაკრძალვაზე მივიდა. მას მიუახლოვდა ვიზიტურაში გამოწყობილი სამი ცილინდროსანი მამაკაცი. ისინი მას მაშინვე გარს შემოერტყნენ და ერთი წუთითაც არ მოსცილებიან. კოუდოიანისი მიხვდა, რომ მახეში გაება და ბარათი, რომელიც ჯიბეში ედო, მისი ჯაშუშური მოქმედებების უცილობელი მამხილებელი იქნებოდა. თავის დაძვრენა უკვე გვიან იყო. თუმცა ამის გაკეთებას ძალიან ცდილობდა. მისთვის ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ იყო, რომ იგი გასცა მატა ჰარიმ. საქმე კი სწორედ ასე იყო. მოცეკვავემ რომელიღაც ორმხრივი აგენტის საშუალებით აცნობა მეორე ბიუროს, კოუდოიანისი მოვა ჯაშუშური დავალებით, რომელიც უნდა გადასცეს ვიზიტურიან და ცილინდრიან კაცსო..

კოუდოიანისი გამალებით ფიქრობდა, რა უნდა მოემოქმედა. იგი ჯერ კიდევ მიწაწაუყრელ საფლავთან იდგა. აი გამოსავალი! კოუდოიანისმა ისარგებლა მომენტით, როდესაც ხალხმა რამდენადმე უკან დაახევინა სამ ცილინდრიან მამაკაცს, მან ბარათი, რომე-

ლიც ხელს წვავდა, საფლავში ჩააგდო. მაგრამ მისი მეთვალყურე კონტრ-მზვერავების მოტყუება ვერ შეძლო. მათ ყურადღება მიაქციეს კოუდოიანისის საეჭვო მოძრაობას, რომელიც მიცვალებულის მიმართ მისი ეგანსაკუთრებული ყურადღებით არ აიხსნებოდა. როდესაც ბერძენი, როგორც იქნა, სასაფლაოდან გავიდა, მას უკან მხოლოდ ორი მცმაკაცი გაჰყვა. კოუდოიანისისათვის ნათელი იყო, თუ რატომ დარჩა მესამე სასაფლაოზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბარათი იპოვეს, კოუდოიანისი დააპატიმრეს და სასამართლომ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

მაგრამ საფრანგეთის დაზვერვას უნდოდა ცნობები მატა ჰარის შესახებ კოუდოიანისისაგან მიეღო. ბერძენი დაკითხეს „მესამე ხარისხით", ჩვეულებრივად დასავლეთში ასე უწოდებენ წამების გამოყენებას. კოუდოიანისს აძლევდნენ მარილიან საჭმელს და არ ასმევდნენ წყალს. წინ უდგამდნენ ღვინოსა და წყალს, მაგრამ მიკარების უფლება არა ჰქონდა. ვარაუდობდნენ, რომ მაცოცხლებელი სითხის დანახვა ბოლოს და ბოლოს აიძულებდა პატიმარს გაეხსნა თავისი საიდუმლოებანი. მაგრამ ზომა ძლიერ ეფექტური აღმოჩნდა — კოუდოიანისი შეიშალა.. ცდა — დროებით მაინც დაებრუნებინათ მისთვის გონება კოკაინისა და სხვა ნარკოტიკების საშუალებით, მარცხით დამთავრდა. მეორე ბიურომ ვერ მიიღო მასალები მატა ჰარიზე.

იგი კი გადაგრძობდა გერმანელებისათვის მნიშვნელოვანი ცნობების გადაცემას. ამ ინფორმაციების წყალობით გერმანიის წყალქვეშა ნავებმა მოახერხეს მოკავშირეების 17 (თუ უფრო მეტი) ტრანსპორტის ტორპედირება. მატა ჰარიმ წინასწარ გაიგო ახალი იარაღის — ტანკების შესახებ ერთი ინგლისელი ოფიცრის წყალობით, რომელმაც იცოდა ამ იარაღის შექმნის საიდუმლო. მატა ჰარის წვლილი მიუძღვის ინგლისის მთავარსარდლის ლორდ კიტჩენერის სიკვდილში, რომელიც გერმანელების წყალქვეშა ნავის მიერ ტორპედირებულ კრეისერ „ჰემპშირზე" დაიღუპა. „ბალიშის დიპლომატიის" დახმარებით მატა ჰარიმ გაიგო მთავარი — კიტჩენერის განზრახვა „გაშგზავრებულიყო „ჰემპშირით". დამატებითი დეტალები კი გერმანიის სხვა აგენტებმა გამოარკვიეს. წყალქვეშა ნავი „ჰემპშირს" უკვე უცდიდა, სანამ იგი ნავსადგურიდან ათეული მილის მანძილზე გასვლას მოასწრებდა. მატა ჰარიმ გერმანელებს აცნობა 1917 წ. დანიშნულ გენერალ-ინსპექტორის შეტევაზე, რომელიც ამის შედეგად ჩაიშალა. თვლიდნენ, რომ მატა ჰარის, ყველაზე უფრო ზუსტი შეფასებით, წვლილი მიუძღვის ათი ათასობით ჯარისკაცის დაღუპვა-

ში. იგი ყველაზე ეფექტური ჯაშუში იყო პირველ მსოფლიო ომის ისტორიაში.

მაინც რა ზომებს ღებულობდა ამ დროს მეორე ბიურო? ყრუ ექვები მოცეკავის წინააღმდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინათაც იყო. მატა ჰარი განაგრძობდა თავის მოგზაურობას. მათ შორის ბერლინშიც. ერთხელ იგი კოპენჰაგენზე გავლით ინგლისს მიემგზავრებოდა. გემი დუვრს რომ უახლოვდებოდა, გამოჩნდა კაცი. რომელმაც მატა ჰარის რაღაც გადაუჩურჩულა. მან ვერ გაბედა ინგლისის მიწაზე ჩასვლა. იგივე სცენა განმეორდა საფრანგეთის ნავსადგურშიც. მატა ჰარი ესპანეთს გაემგზავრა.

ამასობაში კონტრდაზვერვა ნელ-ნელა აგროვებდა ცნობებს მოცეკავის წინააღმდეგ. 1914 წლის აგვისტოში ბრიტანეთის აგენტმა ნახა მატა ჰარი საუზმეზე ბერლინის პოლიციის უფროსთან, იგი შენიშნეს აგრეთვე კელნის ოპერის ლოჟაში გერმანიის დაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ერთად. მაგრამ ორივე ამ ეპიზოდს შეიძლება სხვა ახსნა-განმარტებაც ჰქონოდა: მატა ჰარი განაგრძობდა მაღალი საზოგადოების კურტიზანი ქალის ცხოვრებას. ამასთან საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელები იშვიათად ჩნდებიან თავის აგენტებთან ერთად თეატრის ლოჟებში!

ამ დროს ცნობები მატა ჰარის ჯაშუშურ მოღვაწეობაზე სრულიად მოულოდნელი წყაროდან მოვიდა. დაჭრილი და გერმანელების მიერ დატყვევებული ფრანგი ოფიცერი გრაფი დე შილი გაცვალეს და საფრანგეთში დაბრუნდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დე შილმა მუშაობა დაიწყო დაზვერვაში. შვეიცარიაში მან გაიცნო მოწყალების და ჰანა ვიტინგი, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო. ჰანამ თავის შეგობარს უამბო, რომ ერთხელ რესტორანში მოისმინა, როგორ ლაპარაკობდა ორი გერმანელი რომელიღაც „X-21"-ის პატაკებზე, თანაც, როგორც ჩანს, საქმე ეხებოდა აგენტ ქალს. ფრანგი კონტრმზვერავების ფიქრი ჯერ ნაცნობი გზით წავიდა — შეიძლება, ფიქრობდნენ ისინი, საქმე ეხება საიდუმლო „ფრაუ დოქტორს"? მაგრამ კაპიტანი ლადუ, რომელიც ჩამოსული იყო შვეიცარიაში საქმის გამოსაძიებლად, ხშირად ფიქრობდა იმ ფანტასტიკურ შესაძლებლობებზე, რომლებიც ექნებოდა მატა ჰარის, თუკი ის ჯაშუშობას იკისრებდა.

ლადუმ ჰანა ვიტინგი პარიზში ჩამოიყვანა. იგი წარუდგინეს მატა ჰარის, რომელიც ისევ გამოჩნდა საფრანგეთის დედაქალაქში. საიდუმლო დავალებით ჰანამ რჩევა სთხოვა თავის ახალ ნაცნობს საეჭვოულო საქმეებში, რომ მან, მეშჩანური ოჯახიდან გამო-

ულმა ქალმა, როგორ ჩაიჭიროს ისეთი არისტოკრატი, როგორიც გრაფი დე შილია? ჰანას გაუგონია, თუ რა აღფრთოვანებით ახსენებდა გრაფი მატა ჰარის. ქებით ნასიამოვნებმა მოცეკვავემ იმდენი პროფესიული რჩევა მისცა თავის მეგობარს, რომ ჰანამ საბოლოოდ გადაწყვიტა, მატა ჰარი ჯაშუში არ არისო. მაგრამ ლადუ ნაკლებად მიმნდობი აღმოჩნდა. მისი რჩევით ჰანამ მეგობრული გულგახსნილობის მომენტში ჰკითხა მატა ჰარის, მართალია თუ არა, რომ იგი ფულს ღებულობდა თავისი საყვარლებისაგან. მან, შეიძლება, პატივმოყვარეობის გამო უპასუხა, რომ ფული მას სხვა წყაროებიდან მოსდის, და თანაც — საზღვარგარეთიდან.

ახლა ლადუს შეეძლო მოცეკვავე დაკითხვაზე გამოეძახა. კაპიტანს საკმაო მასალა ჰქონდა, რომ გაეცა ბრძანება სახელმწიფოდან მისი გაძახლების შესახებ. მაგრამ მატა ჰარი მიხვდა რაში იყო საქმე და დაკითხვაზე მოულოდნელად განაცხადა, — მზად არის, როგორც მოსალისემ, ხელი მოჰკიდოს ჯაშუშობას გერმანიის წინააღმდეგ. რატომ? — ჰკითხა მას ლადუმ. იგი ხომ ფრანგი არ არის. მატა ჰარიმ უპასუხა, რომ პატრიოტიზმის მოტივით არ აპირებს ამის გაკეთებას. მაგრამ ეს არც ღალატია — იგი ხომ გერმანელი არ არის. ის უთანაგრძნობს საფრანგეთს, სადაც ასე აფასებენ მის ხელოვნებას და, გარდა ამისა, ახლა ძალიან უჭირს.

მაგრამ, ლადუ არ აპყვა ამ ცდუნებას — მან იცოდა, რომ მატა ჰარის „მეგობრები“ გულუხვ საჩუქრებს აძლევდნენ, ჰქონდა ვილა და ძვირფასეულობის კოლექციებიც. საეჭვო იყო, რომ ამ ქალს ასე სჭირდებოდა ფული. მაგრამ შეიძლება მან მეორე ბიუროს საჭასახელო ექსტრავაგანტურობისა და ავანტიურიზმისაკენ ბუნებრივი მიდრეკილების გამო შეხთავაზა? „გამომცადეთ“, — შესთავაზა მატა ჰარიმ. ლადუმ და ხისმა თანაშემწემ შეკითხვა მისცა გერმანიაზე. მაგრამ მატა ჰარიმ ვერაფერი მნიშვნელოვანი აცნობა. საუბრის ბოლოს მან მოულოდნელად შენიშნა, რომ გერმანელებს იარაღი მაროკოში წყალქვეშა ნავებით გადაქვთ. დასაწყისში მან ვერ გამოიგონა. სახელდობრ, სად და როდის, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ბესედიას ნავსადგურში მარტში მოვა იარაღით დატვირთული წყალქვეშა ნავები. ლადუ დაპირდა მატა ჰარის, რომ იფიქრებდა მის წინადადებაზე, როდესაც იგი წავიდა, მეორე ბიუროს თანამშრომლებს, ბუნებრივია, ასეთი აზრი დაებადათ. საიდან შეეძლო მატა ჰარის ასეთი მნიშვნელოვანი ცნობების მიღება? ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ინფორმაცია სრულიად ზუსტი აღმოჩნდა. გერმანიის ორი წყალქვეშა ნავი მართლაც მიადგა ნავსადგურს დანიშნულ დროს და

ჩაძირულ იქნა იქ მომლოდინე საფრანგეთის გამანადგურებლების მიერ.

როდესაც მატა ჰარის ჰკითხეს, როგორ მიიღო ინფორმაცია წყალქვეშა ნავებზე, მან უყოყმანოდ უპასუხა: ერთ-ერთ დიპლომატიურ მიღებაზე, ბერლინში. ეს არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. წარმოიშვა კითხვა, ხომ არ გადაწყვიტეს გერმანელებმა ისეთ ფასადაც კი, როგორიც ორი წყალქვეშა ნავის დაღუპვა იყო, შეენარჩუნებინათ მატა ჰარი საფრანგეთში, როგორც მზვერავი?

მაშინ მეორე ბიურომ შესაძლებლად ჩათვალა გამოეცადა მატა ჰარი. მას აცნობეს, რომ იგი მიღებულია საფრანგეთის საიდუმლო სამსახურში. მატა ჰარიმ თვითონ შესთავაზა წაეღო ინსტრუქციები აგენტებისათვის ბრიუსელში და დაბრუნებულიყო ამ აგენტების პატაკებით. საფრანგეთის კონტრმზვერავებმა ისე მოაჩვენეს თავი, თითქოს აღტაცებული არიან ამ წინადადებით. მატა ჰარის გადასცეს სია ექვსი ბელგიელის გვარით. ხუთი მათგანი ფორმალურად საფრანგეთის სამსახურში ირიცხებოდა, მაგრამ მეორე ბიურომ იცოდა, რომ ისინი მოგზავნილი იყვნენ გერმანელების მიერ. მეექვსე ბელგიელზე ეჭვი ჰქონდათ, რომ იგი ორმხრივი ჯაშუში იყო, მას არ ენდობოდნენ და მზად იყვნენ გაეწირათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვები მის მიმართ არ გამართლდებოდა. ლადუ ფიქრობდა, რომ თუკი მატა ჰარი გერმანიის ჯაშუშია, იგი სიას გერმანელებს გადასცემდა. ისინი, რასაკვირველია, მიხვდებიან, რომ გერმანიის ხუთივე ჯაშუში „მხილებული“ იყო მეორე ბიუროს მიერ და აღარ გამოიყენებენ მათ. ეს კი იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ მატა ჰარიმ სია გერმანელებს გადასცა. რაც შეეხება მეექვსე ბელგიელს, მისი ბედის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

რამდენიმე კვირის შემდეგ ინგლისის საიდუმლო სამსახურმა პარიზს აცნობა, რომ მისი ერთ-ერთი აგენტი დახვრეტილია გერმანელების მიერ და რომ იგი გაცემულ იქნა პარიზიდან. მეექვსე ბელგიელი კი ალბათ იყო არა ორმხრივი, არამედ სამმხრივი ჯაშუში. ინგლისელებმა იცოდნენ, რომ იგი პარალელურად ფრანგებთან მუშაობდა, მაგრამ თუ გერმანელებსაც ემსახურებოდა, ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. დადგენილ იქნა, რომ ბელგიელი გასცა ვიღაც ქალმა, რომელიც გერმანიის აგენტთა სიაში ირიცხებოდა „x-21“-ად. რასაკვირველია ამან მკვეთრად გააძლიერა მტკიცებანი მატა ჰარის წინააღმდეგ. თანაც ბელგიაში ჩასვლა ვერც კი მოასწრო, რომ ბელგიელი დახვრიტეს. მან დატოვა პარიზი და ესპანეთში შეჩერდა. მაშასადამე, გერმანელებისათვის პატაკი გაუგზავნია დიპლომატიური

ფოსტით. ამის გაკეთება ძნელი არ იყო. მადრიდში მატა ჰარი ცხოვრობდა გერმანიის საზღვაო ატაშეს ფონ კრონის მეზობლად, რომელსაც მან ცნობები ჩამოუტანა საფრანგეთის არმიაში დაწყებულ ჯარისკაცების მღელვარებაზე (ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ეს პიროვნება ფონ კრონი კი არა, კანარისი იყო, ჰიტლერის დაზვერვის მომავალი უფროსი. მაგრამ, გერმანიის საბუთებში ამ ვერსიის მტკიცებების აღმოჩენა შეუძლებელია). ფონ კრონმა მატა ჰარის საფრანგეთში დაბრუნება უბრძანა. ეს იყო კატეგორიული ბრძანება და „x-21"-მა კარგად იცოდა, თუ რა ელოდა აგენტს, რომელიც დაარღვევდა ასეთ ბრძანებას. მას სურვილის წინააღმდეგ პარიზში დაბრუნება მოუხდა. სადგურზე იგი გააცილა კარგად ცნობილმა გერმანიის დაზვერვის ორმა ოფიცერმა.

მალე პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მოვიდა ცნობილი მსახიობის ბარგი, მაგრამ თვითონ გზაში გაქრა, რამაც მეორე ბიუროს აგენტები განაცვიფრა. როგორც მალე გამოირკვა, მატა ჰარი არც ფიქრობდა დამალვას — უბრალოდ იგი მატარებლიდან „ჩამოსვა" ერთმა მისმა საყვარელმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოჩენილმა მოხელემ. რამდენიმე დღის შემდეგ მატა ჰარი უკვე პარიზში იყო. ნეიტრალური საელჩოს საშუალებით მან 15 ათასი ფრანკი მიიღო და ხელი მიჰყო მის ფლანგვას. თაყვანისმცემლებისათვის აწყობდა დიდ მიღებებსა და სპეკეკვაო საღამოებს...

ამასობაში რადიოსადგურმა ეიფელის კოშკზე დაიჭირა ესპანეთიდან ანტვერპენში გაგზავნილი გერმანიის დეპეშა. დეპეშა არა თუ ხელთ იგდეს, სრამედ გაშიფრეს კიდეც. ხოლო როგორ იშოვეს ამ შიფრის გასაღები — ეს განსაკუთრებული და საინტერესო ისტორიაა.

ეს ამბავი სან-სებასტიანში მოხდა. ფრანგმა აგენტმა დაიქირავა ბინა გერმანიის საიდუმლო სამსახურის სახლის პირდაპირ და ფოტოგრაფი ქალის დახმარებით სურათს უღებდა ყველას, ვინც კი შედიოდა გერმანიის ჯაშუშების ამ ბუნაგში. ასეთი გზით გერმანიის არაერთი ჯაშუში იქნა დაპატიმრებული საფრანგეთში. ერთხელ გერმანელი მოხელე სამსახურის შემდეგ ამ სახლიდან თავის ბინაში ბრუნდებოდა. გერმანელს თან ჰქონდა ზოგიერთი სამსახურებრივი ქაღალდი და შიფრის წიგნი, თუმცა, წესით, ეს აკრძალული იყო. გზაზე შეხვდა ახლო მეგობარს, რომელმაც საღამოს გასატარებლად ერთ ნაცნობ ქალთან წასვლა შესთავაზა. მეგობრები ჩასხდნენ ტაქსში, გზად საყვავილე მაღაზიაში შეიარეს დიასახლისისათვის ყვავილების საყიდლად და მიღებაზე წავიდნენ.

გვიან ღამით, როდესაც გერმანელი თავის ბინაში დაბრუნდა, თავზარდაცემულმა აღმოაჩინა, რომ პორტფელი გატეხილია რაღაც უცნობი ქაღალდებით. მოწყლე ტელეფონს ეცა და სამსახურში დარეკა, იქ ყოველთვის იყო მორიგე. მან მალე დააწყნარა ის, პორტფელი კაბინეტში მაგიდაზე დევსო. მოხელემ გადაწყვიტა, რომ მან შეცდომით წამოიღო სხვისი პორტფელი. სამსახურში რომ მოვიდა, სინამდვილეშიც ასე აღმოჩნდა. გერმანელმა მოსამსახურემ შვებით ამოისუნთქა, როცა დარწმუნდა, რომ საიდუმლო ქაღალდები და შიფრის წიგნი ხელუხლებლად იდო მის პორტფელში. ამით დამთავრდა ეპიზოდი გერმანელისათვის, რომელიც არც ეეჭვობდა, რომ მის პორტფელში არსებული საბუთები უკვე სხვის ხელში იყო გავლილი.

სინამდვილეში ასე მოხდა. ტაქსის მძღოლი იყო საფრანგეთის აგენტი, რომელიც კვირეების განმავლობაში უცდიდა შესაფერის შემთხვევას. როდესაც გერმანელი და მისი მეგობარი საყვავილეში შევიდნენ, მან მოახერხა პორტფელის შეცვლა. სანამ პორტფელის პატრონი მხიარულად ატარებდა დროს მიღებაზე, ფოტოგრაფმა მასალების გადაღება მოასწრო. ამის შემდეგ ფრანგების მიერ მოსყიდულმა შიკრიკმა, რომელიც გერმანელებთან მუშაობდა, შეძლო კაბინეტში შეღწევა და პორტფელის დადება ადგილზე, სადაც ის მეორე დღეს მოტყუებულმა გერმანელმა მოსამსახურემ ნახა და შვებით ამოისუნთქა. ამიტომ გერმანელებს ეეჭვიც არ ჰქონდათ, რომ შიფრის გასაღები ფრანგების ხელთ იყო და წინანდელი კოდის გამოყენებას განაგრძობდნენ. ასეთი გზით მოახერხეს ფრანგებმა დეპეშის გაშიფვრა, რომელიც გაგზავნილი იყო მადრიდიდან ანტვერპენში. ამ დეპეშით აცნობებდნენ, რომ „x-21"-ს ჩვეულებრივი გზით გაუგზავნეს 15 ათასი ფრანკი პარიზში მუშაობისათვის.

ახლა ლადუმ გადაწყვიტა, რომ რაც არ უნდა... იბეჯითონ მატა ჰარის გამოსახსნელად გავლენიანმა მეგობრებმა, მას შეუძლია დამტკიცოს ამ ქალის მიმართ წაყენებული ბრალდება... პოლიციის კომისარს პრიოლეს უბრძანეს დაეპატიმრებინა მოცეკვავე ქალი. ამასთანავე განსაკუთრებით მიუთითებდნენ ყველა ზომა მიეღოთ, რომ მას თავი არ მოეკლა. ამ შემთხვევაში, ფიქრობდნენ მეორე ბიუროში, ნამდვილად ვერ დააღწევდნენ თავს უსიამოვნებებს მატა ჰარის მეგობრებისა და დამცველებისაგან. მაგრამ იგი არც ფიქრობდა თავის მოკვლას. მისი დაპატიმრების ანგარიშები შეიცავს ყველაფერს, რასაც შეუძლია განაცვიფროს ყვითელი პრესის მკითხველები. მოცეკვავე ქალმა პოლიციელები თავის ოთახში მიიღო. იგი

გაშიშვლებული იწვა დივანზე ერთ-ერთ პოზაში, რომელიც ცნობილი იყო მისი ეროტიკული სცენების „რიტმიული“ განსახიერებით. პრიოლემ მატა ჰარის აცნობა, რომ მისი ნახვა სურდათ მეორე ბიუროში.

— ჰო, დიახ, — უპასუხა მან, — ალბათ, ეს ჩემს ბელგიაში გამგზავრებას ეხება. მე იქ ჯერ არ ვყოფილვარ, მაგრამ წასვლას ვაპირებ. დაიჯერებთ, რომ ვიღაც იდიოტებმა ჩაშსვეს სხვა გემზე და აღმოჩნდა, თურმე ბელგიის მაგივრად ესპანეთში ჩამოვსულვარ!

მატა ჰარიმ აუჩქარებლად ჩაიცვა და ძირს ჩამოვიდა, სადაც პოლიციის მანქანა უცდიდა.

ამ დროს გათამაშდა დრამატული სცენა. სახლთან გაჩერდა ძვირფასი მანქანა. მძღოლი მოსაცდელში შევარდა და დიასახლისთან შესვლა ითხოვა. მაგრამ მან შეამჩნია პოლიციელები, რომლებიც კიბეზე ადიოდნენ მატა ჰარის ოთახში. სასოწარკვეთილი მძღოლი სახლიდან გამოვარდა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ეს იყო მარკიზი დე მონტესაკი, რომელსაც მომავალი დაპატიმრების შესახებ გაეგო და უნდოდა წაეყვანა თავისი საყვარელი. მონტესაკმა სულ რამოდენიმე წუთით დააგვიანა...

მეორე ბიუროში მატა ჰარის ჰკითხეს გერმანელების მიერ დახვრეტილ „მეექვსე“ ბელგიელის ბედზე, 15 ათას ფრანკზე, თუ რატომ არ გაემგზავრა ბელგიაში. ლადუმ პირდაპირ ჰკითხა მას: „თქვით, ქალბატონო, თქვით „x-21“-ო, როდის გახდით პირველად გერმანიის ჯაშუში?“

თავზარდაცემული მოცეკვავე ქალი სენ-ლაზერის ციხეში გაგზავნეს. ტრიბუნალის წინაშე იგი ყველაფერს უარყოფდა. ფული, განაცხადა მან, ესაა მისი სიყვარულის ქირა. „x-21“ მხოლოდ მეგობრული ზედმეტი სახელია, რომელიც მას გერმანელმა მეგობრებმა შეარქვეს. ის მოითხოვდა, რომ ფრანგ ოფიცრებს, სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლეებს, გამოეჩინათ ტრადიციული თავაზიანობა და არ დაესვათ მისთვის არა საჭირო და საჩოთირო შეკითხვები. მაგრამ მატა ჰარის თავზარი დაეცა, როდესაც მიხვდა, რომ ფრანგებისათვის ცნობილია გერმანიის საიდუმლო შიფრი.

ტრიბუნალმა მოწმეები დაკითხა, ყოფილი მინისტრი და მსხვილი მოხელე ერთსულოვნად ირწმუნებოდნენ, რომ თუმცა ისინი მისი საყვარლები იყვნენ, მაგრამ მასთან სახელმწიფო საქმეებზე არასოდეს არ ლაპარაკობდნენ და რომ მას არავითარი სამხედრო ინფორმაცია არ აინტერესებდა. პროცესის დროს უნდოდათ წაეკითხათ რომელიღაც მინისტრის ერთი სასიყვარულო წერილი, რომელიც

მატა ჰარის დაპატიმრების დროს უნახეს. მან პროტესტი განაცხადა, რომ წერილის ავტორი ცოლიანია და არ შეიძლება უსიამოვნების შეტანა მის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალის სხდომა სრულიად საიდუმლოდ მიდიოდა, მაინც გამოირკვა, რომ წერილი ხელმოწერილია გვარით, რომლის დასაწყისი ასია „მ“, ხოლო ბოლო — „ი“. პრესამ სწრაფად გადაწყვიტა, რომ საქმე ეხებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს ლუი ჟან მალვის.

ეს შემთხვევითი არ იყო. თუმცა მალვი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი და სოციალიზმის მტერი იყო, უფრო მძაფრი იმპერიალისტების წრეში „მარცხმოსურნედ“ ითვლებოდა და ცუდ ურთიერთობაში იყო კლემანსოსთან. სენატის გადაწყვეტილებით თავისი სასახურებრივი მოვალეობის მიმართ დაუდევრობისათვის მალვი გასახლებულიც კი იქნა 5 წლით საფრანგეთიდან. უფრო მოგვიანებით, როდესაც ერთ-ერთ რადიკალურ კაბინეტში მან ისევ მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი, მემარჯვენე დეპუტატები მას გამაყრუებელი ყვირილით შეხვდნენ: „მატა ჰარი! მატა ჰარი!“ მალვის არ მისცეს ლაპარაკის საშუალება და იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ნამდვილად კი წერილი დაწერილი იყო არა მალვის, არამედ გენერალ მესიმის მიერ, რომელსაც 1914 წელს სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა. ეს თვითკმაყოფილი დარდიმანდი, რომელმაც თავისი ჟენიტობითა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით საფრანგეთის არმიას დიდი ზარალი მიაყენა, კრიტიკის გარეშე აღმოჩნდა. მის დასაცავად ყოველივეთ აღიმართა რეაქციონური სამხედრო ხროვა, რომელმაც აქაც გააძართლა „დრეიფუსის საქმის“ დროს შეძენილი რეპუტაცია.

სასამართლომ მატა ჰარის სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ იგი მაინც არ კარგავდა იმედს, ფიქრობდა, რომ მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები მას გამოიხსნიან. მატა ჰარის პირდაპირი და დიპლომატიური გზით შუამდგომლობდა ორი მეფე, გერმანიის კრონპრინცი, ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი და ბევრი სხვა. (თუმცა ჰოლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ უარი თქვა გაეგზავნა პატიების დეპეშა, რადგან, ალბათ, მატა ჰარის შესახებ ბევრი რამ იცოდა). სიკვდილმისჯილმა შესთავაზა გაეცვალათ იგი 10 გამოჩენილ ფრანგ ოფიცერზე, რომლებიც ტყვედ იმყოფებოდნენ გერმანიაში. საფრანგეთის ხელისუფლებამ კატეგორიული უარი უთხრა.

ციხეში მატა ჰარის ნება დართეს მომსახურებოდა თავისი მოახლე ქალი. პატიმრობაში იგი გულმოდგინედ განაგრძობდა თავის

ტუალეტზე ზრუნვას. მაგრამ მისი იმედები თანდათან ცრუვდებოდა. მონოზნები, რომლებიც ნახულობდნენ მას, ეჭვობდნენ, რომ იგი ჭკუაზე არ იყო; იგი ნახეს, თუ როგორ ასრულებდა სიკვდილმისჯილთა საკანში ეგზოტიკურ ცეკვებს, რომლებიც ოდესღაც მალალი საზოგადოების ალტაცებას იწვევდა. დადიოდა ხმები, რომ მატა ჰარის საყვარლებმა მოახერხეს ჯარისკაცების მოსყიდვა, რომლებმაც განაჩენი სისრულეში უნდა მოიყვანონ და ისიმიც ცარიელ ვაზნებს ესვრიანო. უკანასკნელ მომენტში მისმა ვექილმა, მოხუცებულმა კლიუნემ, დანაცხადა, რომ მატა ჰარი ფეხმძიმედაა — საფრანგეთის კანონის მიხედვით ეს იწვევდა განაჩენის სისრულეში მოყვანის გადადებას. მაგრამ, უკვე რვა თვე იყო გასული, რაც მოცეკვავე ქალი ციხეში იმყოფებოდა, ვინ უმდა ყოფილიყო მისი ბავშვის მამა? კლიუნემ თავისი თავი დაასახელა — ამაში კი-ვექილური მოხერხება და სიმართლისმაგვარი. რამ ცოტა იყო. მატა ჰარიმ თვითონვე უარყო ეს ვერსია. უკანასკნელ წუთებში მას თავი ღირსეულად ეჭირა. 1917 წლის 15 ოქტომბერს, გარიჟრაჟზე, იგი, უკანასკნელ შოდაზე ჩაცმული, შეხვდა საბჭოდისწერო ზალას. დახვრეტის შემდეგ, როგორც ეს კანონით იყო მიღებული, დაზღვევისათვის ოფიცერმა ერთი ტყვია კიდევ დაახალა მკვდარს ცეფაში.

მაგრამ მოხდა თუ არა სინამდვილეში ყველაფერი ეს? უამრავი ცნობისმოყვარე შოვიდა პატარა სასაფლაოზე, სადაც მატა ჰარისათვის საფლავი იყო გათხრილი. საფლავი ცარიელი აღმოჩნდა. შეიძლება თვით მთავრობამაც, რომელიც არ იყო დარწმუნებული მატა ჰარის დანაშაულში, გადაწყვიტა, ხალხის დასაკმაყოფილებლად, გამოეცხადებინა მისი დახვრეტის ამბავი და ამავე დროს უფლება მისცა მას დაეტოვებინა საფრანგეთი. იყვნენ ადამიანები, რომლებსაც თითქოს უფრო მოგვიანებით უნახავთ მატა ჰარი ავსტრიის რომელიღაც განცალკევებულ სასახლეში. 1929 წელს ბორდოსთან ახლოს ნაპირზე ნახეს ვილაც ქალი უგონო მდგომარეობაში. როდესაც გონს მოვიდა, მან განაცხადა, რომ მისი გვარი და სახელია გლორია მაკალისტერი. შემდეგ მან თავისი ჩვენება შეცვალა და ირწმუნებოდა, რომ მას ჰქვია ბენიტა ადამსონი და რომ იგი წარმოშობით რიგიდანაა. დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო მატა ჰარი, რომელიც თითქოს ახლო მდებარე ციხიდან მეგობრებმა გააპარეს და ნავით გაიყვანეს. საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად უარყო ეს ამბავი და იგი სისულელედ გამოაცხადა. ლეგენდა კი განაგრძობდა არსებობას.

მატა ჰარი გახდა ბლანკო იბანიესის რომანის გმირი, თუ არა-

ფერს კიტყვით ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მეორეხარისხოვანი მწერლების მრავალრიცხოვან, თავის დროზე პოპულარულ ნაწარმოებებზე, რომლებიც ცნობილი ჯაშუშის ცხოვრების ისტორიას მიეძღვნა, უბრალოდ დასავლეთში გამოსულ უამრავ წიგნზე, სადაც აღწერილი იყო მისი ცხოვრების ისტორია; ჰოლივუდის ფილმებზე, სადაც მატა ჰარის როლს ასრულებდა ცნობილი კინოსახიობი გრეტა გარბო. ერთი სიტყვით, ლეგენდა დამუშავებული იყო „თავისუფალი მსოფლიოს“ საუკეთესო სტანდარტების მიხედვით, მაგრამ მაინც რა არის მასში ნამდვილი?

მატა ჰარის ნამდვილი სახელია მარგარიტა ჰერტრუდა ზელე, იგი წმინდა ჰოლანდიელი იყო და ცნობა, რომელიც უახლოეს დროამდე გვხვდებოდა ლიტერატურაში მატა ჰარის ჰოლანდიელისა და ინდონეზიელი ქალის შეუღლების შედეგად დაბადების შესახებ, წარმოადგენს მის შიერ გამოგონილი ავტობიოგრაფიის ანარეკლს. მარგარიტა ზელე დაიბადა ბურჟუაზიულ ოჯახში, 1876 წლის 7 აგვისტოს. ასე რომ პირველი მსოფლიო ომის დროს იგი ორმოც წლამდე იყო მიღწეული. ადრე გათხოვდა კოლონიური ჯარების ოფიცერზე რ. მაკლეოდზე, რომელიც წარმოშობით შოტლანდიელი იყო; მარგარიტა ქმართან ერთად ინდონეზიაში გაემგზავრა. მათ შეეძინათ ვაჟი და ქალიშვილი. მარგარიტას ოჯახური ცხოვრება უკულმართად წარიმართა. 1902 წელს იგი ქმარს გასცილდა და ევროპაში დაბრუნდა. იქ მას ფრიად გაუჭირდა. მენატურე ქალის ჯამაგირი პარიზში ძალზე მცირე იყო და მარგარიტა მაკლეოდი სწრაფად ეშვებოდა ძირს, მალე იგი ცხოვრების ფსკერზე აღმოჩნდა. მისი ცხოვრების ამ წლებზე ცნობებს გვაწვდის შემონახული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მისივე დღიური. მაგრამ ამას მოჰყვა პირველი მიღწევებიც. მიუხედავად იმ ნაკლებად მიმზიდველი ილეთებისა, რომლებითაც მარგარიტა მაკლეოდი ცდილობდა ხალხის მოტყუებას საცეკვაო საღამოებზე, იგი კარგი მოცეკვავე აღმოჩნდა. მის ხელოვნებას ადადებითად აფასებდნენ კომპოზიტორები მასნე და პუჩინი, ცნობილი რუსი ბალეტმეისტერი დიაგილევი. მიუხედავად იმისა, რომ მატა ჰარი ლამაზი არ იყო, იგი მაინც დიდი წარმატებით სარგებლობდა მაღალი საზოგადოების მოქეიფეებში. თუმცა ცნობები, რომ მისი საყვარლები მაღალი საზოგადოებიდან იყვნენ, ძალზე გადაჭარბებულია. ბერლინის პოლიციის უფროსმა ფონ იაგოვმა მას მისცა 30 ათასამდე მარკა (ეს დამტკიცებულ იქნა პროცესზე), მაგრამ სრულებითაც არაა დამტკიცებული, რომ ეს იყო საზღაური ჯაშუშური მუშაობისათვის, და არა ფული, გადახდილი

მატა ჰარისათვის, როგორც მალალი საზოგადოების კურტიზანი ქალისათვის.

1915 წ. მატა ჰარი ესპანეთიდან ჰოლანდიის მიეშგზავრებოდა. ინგლისის სამხედრო გემებმა გემი, რომელზედაც მოცეკვავე ქალი იმყოფებოდა, ბრიტანეთის ერთ ნავსადგურში შეიყვანეს შესამოწმებლად. მატა ჰარი მიიწვიეს ინგლისის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელთან, სერ ბაზილ ტომპსონთან. მაგრამ ინგლისელებს არაკეთილი მტკიცება არ ჰქონდათ მატა ჰარის წინააღმდეგ. ამიტომ ტომპსონმა ქალს რჩევა-დარიგება შისცა და თან დაუმატა, რომ მას აქვს ამის უფლება, ვინაიდან ასაკით ორჯერ უფროსია მასზე (გალანტური გადამეტება თითქმის 40 წლის მატა ჰარის მიმართ). მანვე ურჩია თავი დაენებებინა იმ ხელობისათვის, რომელსაც იგი აქამდე ეწეოდა. ინგლისელებმა სიფრთხილის მიზნით მატა ჰარი ისევ ესპანეთში დააბრუნეს, ალბათ, უმრალოდ იმიტომ, რომ, მათი აზრით, გერმანიის დაზვერვას რატომლაც უნდოდა მოცეკვავის გაგზავნა ჰოლანდიაში.

მატა ჰარი, უდავოდ, დაკავშირებული იყო გერმანელ ოფიცრებთან და დიდძალ ფულსაც ღებულობდა მათგან. ისმება კითხვა — რისთვის? უდავოა ის, რომ მისმა ნამდვილმა და ცრუ საყვარლებმა არც კი იფიქრეს მას დახმარებოდნენ. ხოლო გერმანიის კრონპრინცისა და მატა ჰარის ნაცნობობის ფაქტიც კი არაა დამტკიცებული. ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი ვანდერ ლინდენი, მეორე მოგონილი შუამდგომელი, ფარასოდეს არ შეხვედრია მას. მალვის იგი არასოდეს არ უნახავს. მართალია, გენერალმა მესიმიმ 1926 წელს აღიარა მატა ჰარის ნაცნობობის ფაქტი, მაგრამ უარყოფდა, რომ იგი მისი საყვარელი იყო. პატიმრობის დროს მოცეკვავე ქალზე ნამდვილად ზრუნავდნენ, მაგრამ მხოლოდ მისი კრედიტორები. დახვრეტის შემდეგ მისი ნეშტი არ დაკარგულა. დამტკიცებულია, რომ იგი გადასცეს ანატომიის კათედრას მედიკ სტუდენტებთან სამეცადინოდ.

უდავოა, რომ მატა ჰარის, როგორც ჯაშუშის, წარმატებები ძალზე გაზვიადებულია. მაგალითად, ფრანგების „გეგმა XVII" გერმანელებმა უფრო ადრე იცოდნენ, ვიდრე მატა ჰარის სახელს გაიგებდნენ. მოგონილია ავრეთვე მტკიცებანი ტანკის საიდუმლოების გაცემაზე. საიდუმლოება გასცა მხოლოდ ინგლისის სამხედრო სამინისტროს უფროსობამ, სამინისტროსი, რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლაში გამოეყენებინა ერთი შუტა ახლად დამზადებული მანქანები. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ტანკის გამოცდას მრავალი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ ფირმის მსახურები, ცოლებით და

სხვები. ისიც კი მოხდა, რომ გამოიყენეს პირველი გამოცდის დროს აღმოჩენილი დეფექტები და ერდეა გაუმართლებლად გამოაცხადეს. მატა ჰარის სამხედრო საკითხებისა არაფერი გაეგებოდა და მარტო ამიტომ არ წარმოადგენდა ისეთ დიდ მზვერავს, როგორსაც ლეგენდა ხატავს.

ახლა მარკიზ მონტესაკზე. ლეგენდა მის შემდგომ ცხოვრებაზეც გადმოგვცემს ცნობებს. მატა ჰარის სიკვდილის შემდეგ იგი თითქოს ესპანეთის რომელიღაც მონასტერში წავიდა. სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში მონტესაკი თითქოს იცავდა მონასტერს „წითლებისაგან" და. ამისათვის დახვრიტეს, როდესაც რესპუბლიკის ჯარმა მაინც დაიკავა ეს წმინდა სავანე. ისტორია, რა სათქმელია და, სავსებით „კოლორიტულია!" მას მხოლოდ ძალზე არსებითი ნაკლი აქვს: პარიზში არავინ იცნობდა პიერ მონტესაკს, და მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით, რომ ამგვარი კაცი, მგონი, სრულიადაც არ არსებობდა. შეიძლება მოგონილი მონტესაკი გაგზავნეს მონასტერში რუსი კაპიტნის „შაროვის" (სინამდვილეში — მასლოვის) მაგიერ, რომელიც თითქოს მატა ჰარის უყვარდა? ის, რომ მატა ჰარი მართლაც იცნობდა მასლოვს, სიწამდვილეა, მაგრამ იგი საფრანგეთში ჩამოვიდა არა 1915 წელს, არამედ შემდეგ, 1916 წელს. ამიტომ მატა ჰარის არ შეეძლო თავს დასდგომოდა მასლოვს 1915 წელს სამხედრო ჰოსპიტალში. ეგონებ, მასლოვმა იგი პარიზში გაიცნო (და მხოლოდ ერთხელ შეხვედრია, როგორც ამტკიცებენ მატა ჰარის ბიოგრაფიის ზოგიერთი ავტორები).

როგორც არ უნდა ყოფილიყო, გენერალი ა. ა. იგნატიევი, რომელიც იმ დროს საფრანგეთში რუსეთის სამხედრო ატაშედ მუშაობდა, გადმოგვცემს, რომ მატა ჰარი მივიდა მასთან მიღებაზე და დემონსტრაციულად განუცხადა, რომ „გაგიჟებით შეყვარებულია" მასლოვზე და დაიწყო მოურიდებელი კითხვების მიცემა მისი პოლიკის ადგილმდებარეობის შესახებ. მასლოვი დაიჭირეს იმ დროს, როდესაც მატა ჰარი უკვე ციხეში იმყოფებოდა. ა. ა. იგნატიევი თავის შემუარებში გადმოგვცემს, რომ მასლოვი ბერად შედგა. მაგრამ დასავლელი ავტორები სხვას ამტკიცებენ: 1918 წლის 7 ივნისს (მაშასადამე, მხედველობაში ზუსტი დრო!) მასლოვმა იქორწინა რომელიღაც ფრანგ ქალზე და რუსეთში დაბრუნდაო.

ლეგენდის შემადგენელი დანარჩენი ნაწილები უფრო ადვილად ქრება ფაქტებთან შეხებისას. მაგალითად, გერმანელების კოდი სულაც არ მოუპარავთ ესპანეთში და გაუშიფრავთ პარიზში. გერმანიის წყალქვეშა ნავები არ შეიძლებოდა ჩაეძირათ მეხედიას ნავსად-

გურთან, ვინაიდან ასეთი ნავსადგური არ არსებობს მაროკოში! ელერადობით ყველაზე შესაფერი ნავსადგური მედია იმყოფებოდა საფრანგეთის სამხედრო ბაზის ახლოს და არ შეიძლებოდა გამოეყენებინათ გერმანული იარაღის საიდუმლო გადმოტვირთვისათვის. და მართლაც, რასაკვირველია, დაზვერვას არავინ მისცემდა უფლებას შეგნებულად შეეწირა წყალქვეშა ნავები, რის ნაკლებობასაც გერმანია ასე განიცდიდა. მატა ჰარის არ სჭირდებოდა ეცნობებინა მრავალი, თითქოს მის მიერ მოპოვებული საიდუმლო. გერმანელებმა ამის შესახებ მატა ჰარის გარეშეც იცოდნენ (მაგ., გენერალ ნიველის შეტევის ამბავი გერმანიის დაზვერვამ გაიგო არა მოცეკვავე ქალისაგან, არამედ ბრძოლაში მოკლული ფრანგი ოფიცრის ქაღალდებიდან). ანდა, პირიქით, გერმანელებისათვის სრულიადაც არ იყო ცნობილი ზოგიერთი საიდუმლო, მიუხედავად იმისა, თითქოს მატა ჰარისაგან იღებდნენ ინფორმაციას (მაგალითად, ჯარისკაცების მღელვარებაზე საფრანგეთის არმიაში). კრეისერ „ჰემპშირის" დაღუპვას არავითარი კავშირი არ ჰქონია მატა ჰარისთან. კრეისერი, რომელზეც კიტჩენერი იმყოფებოდა, მოძრაობდა წინასწარ გაუთვალისწინებელი გზით და შემთხვევით დაეჯახა გერმანელების ნაღმს და ჩაიძირა. მტკიცება, თითქოს ტრიბუნალს წარუდგინეს მატა ჰარის დანაშაულობის დამადასტურებელი მასალები, რომლებიც დიპლომატიური საბუთების ასლებში იყო, ვერ პოვებს ვერავითარ ფაქტიურ დადასტურებას.

წამოიჭრა შთელი რიგი სხვა კითხვებიც, რაზედაც ლეგენდა ვერ იძლევა დამაჯერებელ პასუხს. მატა ჰარი, „გერმანიის კრონპრინცის საყვარელი", საერთოდ რატომ შეუშვეს საფრანგეთში, რატომ არ დააპატიმრეს, რადგან ადრეც ჰქონდათ მისი დანაშაულის დამტკიცებელი საბუთები, რატომ არ მოახდინეს ინტერნირება, რატომ არ გაასახლეს?

როდესაც მატა ჰარიმ მეორე ბიუროს სამსახური შესთავაზა, ამტკიცებდა, ფული არა მაქვსო. საფრანგეთის კონტრდაზვერვამ თითქოს დაუშტკიცა, რომ ეს იყო სიცრუე, რომ მოცეკვავეს ბანკში შიმდინარე ანგარიშზე ჰქონდა დიდი თანხა, მაგრამ ეს მტკიცებანი ისევ არ დასტურდება არავითარი ფაქტით. და, მართლაც, არავის არ უანგარიშია ხელგაშლილი ცხოვრების მოყვარული მატა ჰარის ვალების თანხა. არ შეიძლება დაეჭვდე, რომ ომის დროს მას ნაშდვილად უჭირდა ფული (მატა ჰარიმ 1914 წლის დასასრულს ესაგაში წარუმატებლად ჩატარებული საღამოს შემდეგ შეწყვიტა თავისი გამოსვლები). თუკი მატა ჰარი გერმანიის აგენტი იყო, გერმანელები,

რასაკვირველია, იზრუნებდნენ, რომ იგი ფულით მოემარაგებინათ.

„მეექვსე ბელგიელი?“ ხომ შეიძლებოდა იგი დაეჭირათ არა იმიტომ, რომ გაცემული იყო მატა ჰარის მიერ. ან რად სჭირდებოდათ გერმანელებს საფრთხეში ჩაეგდოთ ისეთი ძვირფასი მზვერავი, როგორიც მატა ჰარი იყო. ამით ხომ აშკარად გააგებინებდნენ მეორე ბიუროს, რომ შან გადასცა მათ მიერ მიცემული აგენტების სია? რისკი გასწიეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩქარა დაეპატიმრებინათ ორმხრივი ჯაშუში? ამაზეც არ არის პასუხი. გაუგებარია, რად სჭირდებოდა მატა ჰარის გერმანიის სამხედრო ატაშე ფონ კალესთან და საზღვაო ატაშე ფონ კრონთან თავისი კავშირის დემონსტრირება, როდესაც ფრანგებს ისედაც ჰქონდათ ეჭვი და მან იცოდა ამის შესახებ. გაუგებარია, რატომ დაბრუნდა იგი ისევ საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ მას უნდა სცოდნოდა, თუ რამდენად საშიშია მისი დაბრუნება სიის გაცემისა და ბელგიაში წასვლაზე უარის თქმის შემდეგ. გაუგებარია, რატომ აიღო მატა ჰარიმ აშკარად 15 ათას ფრანკზე გადმოგზავნილი ჩეკი— რა იყო ეს, მხოლოდ სისულელე? სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ სასამართლო პროცესზე საფრანგეთის დაზვერვას არ წარმოუდგენია გერმანული დეპეშის ტექსტი იმის თაობაზე, რომ „x-21“-ს გადაუგზავნეს 15 ათასი ფრანკი. წარმოდგენილი იყო მხოლოდ დეპეშის ტექსტის ამოშიფრული ასლი, რომელიც, რასაკვირველია, არაფერს არ ამტკიცებდა. სხვათა შორის, არ არის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ინფორმაცია, რომელიც მატა ჰარიმ გადასცა, დაეხმარა გერმანელებს ჩაეძირათ თუნდაც ერთი ტრანსპორტი. აი კითხვები, რომლებზეც არ არსებობს ერთი დამაჯერებელი პასუხიც კი!

ერთი სიტყვით, შესაძლებელია მატა ჰარი ჯაშუში იყო, მაგრამ ეს ვერ დაამტკიცეს მის პროცესზე. ყველაფერმა ამან წარმოშვა დამატებითი ჰიპოთეზები. შესაძლოა, ამტკიცებენ ზოგიერთები, გერმანიის დაზვერვამ გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა ისეთი ძვირად ღირებული აგენტი, როგორიც მატა ჰარი იყო და უარი უთხრა ფულის გადახდაზე (და სწორედ ამიტომ სცადა მეორე ბიუროს სამსახურში შესვლა), შემდეგ კი უბრალოდ გასცა გერმანელები. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს ისიც, რომ გერმანელებმა, უდავოდ, იცოდნენ ფრანგების მიერ იმ კოდის ამოშიფვრის შესახებ, რომლითაც გაგზავნილი იყო ცნობა 15 ათას ფრანკზე „x-21“-სათვის. მაგრამ მატა ჰარიმ ძალიან ბევრი იცოდა თუ ფაქტები არა, ხმები მაინც, და რაღაც დაუჯერებელია, რომ გერმანელები გასცემდნენ მას და ამით აიძულებდნენ მოეთხრო ყველაფერი მეორე ბიუროსათ-

ვის, რაც მისთვის ცნობილი იყო (კრონპრინცსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებზე). ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ მატა ჰარი გასცა მესიმომ, რომელსაც თავი მოაბეზრა საყვარელმა. სასიკვდილო საკანში მატა ჰარიმ მოასწრო დაწერა მოგონებებისა, რომლებიც დღესაც გამოუქვეყნებელია.

ლეგენდის დეტალებიც კი უმეტეს შემთხვევაში აღმოჩნდა ფანტაზია, თანაც დამუშავებული ყვითელი პრესის ცნობილი შაბლონით. ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო მატა ჰარიმ პოლიციელები დივანზე შიშველა მწოლარემ — მოგონილია. იგი მათ შეხვდა სრულიად დარბაისლურად, საუზმის დროს. ეპიზოდიც ცრუ ორსულობაზე მოგონილია. უბრალოდ სასამართლოს დროს მატა ჰარის დაუსვეს კანონით გათვალისწინებული ფორმალური კითხვა.

უფრო საინტერესოა სხვა რამ. თუმცა ჩავარდნილ ჯაშუშებზე უარს ამბობენ, მაგრამ იმპერიალისტური დაზვერვა შემდეგ იშვიათად იკავებს თავს თავისი წარმატებით ტრაბახის ცთუნებისაგან. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელებს არ გააჩნდათ არავითარი საფუძველი დაემალათ, რომ მატა ჰარი გერმანიის დაზვერვაში მუშაობდა. ნამდვილად კი ჯერ კიდევ 1929 წელს გენერალი გემპი, კონტრდაზვერვის ყოფილი უფროსი და მსხვილი ფიგურა რაიხსვერში, კატეგორიულად უარყოფდა მატა ჰარის თუნდაც რაიმე ფორმით კავშირს გერმანიის საიდუმლო სამსახურთან. მატა ჰარიზე დუმს გერმანიის დაზვერვის უფროსი პოლკოვნიკი ვალტერ ნიკოლაიც, რომელიც თავის მემუარებში არასოდეს არ უშვებს შემთხვევას დაიტრაბახოს წარმატებებით და მოჰყვეს გერმანიის მთელი რიგი აგენტების მოქმედებაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარტა რიშეს არ სჯეროდა მატა ჰარის ჯაშუშური მოღვაწეობა. მარტას ნანახი ჰქონდა საიდუმლო ალბომი, რომელშიც მოთავსებული იყო ესპანეთში მყოფი. გერმანიის ყველა აგენტის სურათი. მათ შორის არ იყო მატა ჰარის სურათი, გარკვეული საბუთი, რომლის გადაცემას აბრალებდნენ მატა ჰარის, როგორც მარტა რიშესათვის იყო ცნობილი, გერმანელებს ჩაუვარდა სხვა გზით. რიშეს აზრით, არ მართლდება ის მტკიცებანი, რომ მატა ჰარი ერთხელ შოტლანდიაში იყო ინგლისის ფლოტის შესახებ ცნობების შესაგროვებლად; სინამდვილეში იგი შოტლანდიაში გაემგზავრა თავისი ვაჟის სანახავად. მაგრამ მარტა რიშეს სწორედ ეს უკანასკნელი არგუმენტი სწორი არაა (მატა ჰარის შვილი გარდაიცვალა 3 წლის ასაკში) და თავისი უდაო მცდარობით ჩრდილს აყენებს

სხვა ორ მოსაზრებასაც, რომელთა შემოწმება ფაქტიურად შეუძლებელია.

მატა ჰარის უდანაშაულობაზე ეჭვის გამოთქმა საფრანგეთშიც დაიწყეს — ლეგენდას უსიტყვოდ იცავდა მხოლოდ რეაქციული ბულვარული პრესა. გაისმოდა ხმები, რომლებიც მატა ჰარის საფრანგეთში ჩამოსელას ხსნიდნენ იმით, რომ მას უბრალოდ არ უყვარდა ბერლინი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, მანამდე ბერლინიდან მატა ჰარი მთელი წლით წავიდა ჰოლანდიაში, სადაც მას ნამდვილად უჭირდა ფული. ასე რომ სრულიად გასაგებია მისი ჩამოსვლა პარიზში ვილისა და კოლექციების გაყიდვის მიზნით.

პირიქით, ადრე, როდესაც მატა ჰარი, თითქოს, შევიდა გერმანიის დაზვერვის სამსახურში, კვლავ მართავდა საცეკვაო სალამოებს, რითაც დიდი შემოსავალი ჰქონდა (მაგალითად, 1912 წლის იანვარში, იგი 2 ათას ფრანკს ღებულობდა წარმოდგენისათვის). არ არის მტკიცებანი, რომ მატა ჰარი ნამდვილად სწავლობდა ჯაშუშთა სკოლაში ბავარიაში. გერმანელები ყოველთვის უარყოფდნენ ამას. მართალია, როგორც უკვე აღნიშნეთ, მატა ჰარიმ მიიღო დიდძალი ფული ბერლინის პოლიციის უფროსის იაგოვისაგან, მაგრამ იგი განაგებდა მხოლოდ შინაგან საქმეებს (საიდუმლო პოლიციასაც) და არ ეწეოდა დაზვერვას. ხოლო ის, რომ გერმანიის ოფიციალური პირები შემთხვევის დროს მზად იყვნენ დაეხარჯათ სახელმწიფო ფულები საყვარლებზე — ამას საესებით ამტკიცებს მარტა რიშეს ისტორია.

1964 წელს გამოქვეყნდა წერილი უკვე ზემოთ ნახსენები ფრანგი ისტორიკოსის ა. კასტელოსი, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა მატა ჰარის დოსიეს ნაწილს. დოსიე სამხედრო სამინისროს არქივში ინახება. წერილი ადასტურებს ადრე გამოთქმულ ეჭვებს და ამასთანავე უპასუხოდ ტოვებს ზოგიერთ გაუგებარ კითხვას.

მოცეკვავე ქალი საფრანგეთში ჩამოვიდა ორჯერ: 1915 და 1916 წწ. მეორე ჩამოსვლის დროს იგი კაპიტანმა ლადუმ გამოიძახა და მეორე ბიუროში მუშაობა შესთავაზა (თავის „მოგონებებში" ლადუ აღტკიცებდა, რომ ინიციატივა მის თანამოსაუბრეს ეკუთვნოდა). ლადუს არ დაუმალავს მატა ჰარისათვის, რომ იგი მას გერმანიის ჯაშუშად თვლიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მატა ჰარიმ მიიღო მეორე ბიუროს წინადადება. მან განაცხადა, რომ მზად არის გაემგზავროს ბრიუსელში, სადაც ჯერ კიდევ ადრე იპატიჟებდა მას ვინმე ბანკირი ვარფლეინი, რათა იქ გააბას კავშირი გერმანიის გამოჩენილ ოფიცრებთან. თავისი სამსახურისათვის მოცეკვავემ, არც მეტი, არც ნაკ-

ლები, მილიონი ფრანკი მოითხოვა. ასეთი უზომო ციფრი მოწმობდა ან გულუბრყვილობას, ან გულუბრყვილობის გაწაფულ თამაშს. უკეთეს შემთხვევაში მეორე ბიურო გადაუხდიდა თავის აგენტს ათჯერ ნაკლებ თანხას, მაგრამ ლადუმ, რომელიც აშკარად არ ეგებოდა ანკეტაზე. სერიოზულად განუცხადა:

— ეს დიდი თანხაა, მაგრამ თუკი თქვენ ნამდვილად გააკეთებთ იმას, რასაც ჩვენ გთხოვთ, თქვენ მას გადაგიხდიან.

კაპიტანმა დაავალა მატა ჰარის გამგზავრებულიყო ჰაგაში და დალოდებოდა იქ ინსტრუქციებს, რომლებსაც მას მეორე ბიუროს ნდობით აღჭურვილი პირი მოუტანდა.

— როგორ ვიცნო იგი?

ლადუმ გაიღიმა და ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაც დაწერა, რომელიც მოცეკვავეს გადასცა. იქ ეწერა „აფ-44“.

— თქვენთვის უცნობია ეს ნომერი? — ჰკითხა მან და უარი რომ მიიღო, წყნარად დაუმატა, — ეს თქვენი ნომერია, ის, რომელიც მოგცათ გერმანიის საიდუმლო სამსახურმა.

მატა ჰარიმ გულისწყრომით უპასუხა, რომ მას თავი მოაბეზრა ასეთმა შეურაცხმყოფელმა და უსაფუძვლო ეჭვებმა.

მალე იგი ესპანეთში გაემგზავრა, რომ იქიდან შემოვლითი გზით, ნეიტრალური გემით ჰოლანდიაში ჩასულიყო. 9 ნოემბერს ესპანეთის ნავსადგურ ვიგოში იგი ჩაჯდა სამგზავრო გემ „ჰოლანდიაში“.

მაგრამ მან ვერ მოახერხა მიზნის მიღწევა. გზაში გემი დააკავეს ინგლისის სამხედრო გემებმა და შემოწმებისათვის ფალმუტში გაგზავნეს. ინგლისის ხელისუფლებმა გულმოდგინედ გაჩხრიკეს მოცეკვავე ქალის ჩემოდნები და განუცხადეს, რომ იგი გერმანელი ჯაშუში კლარა ბენედიქტია და უარი თქვეს მის გაშვებაზე... მატა ჰარი იძულებული გახდა ესპანეთში დაბრუნებულიყო. მადრიდში იგი დიდხანს ელოდა ინსტრუქციებს კაპიტან ლადუსაგან. მან, თავისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ დაიწყო მოქმედება: სწრაფად გაიცნო გერმანიის სამხედრო ატაშე ფონ კალე და მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცნობები. გამოსტყუა (მაგალითად, ის, რომ გერმანელები აპირებენ იარაღის გატანას მაროკოში და, რომ გერმანიის დაზვერვა იცნობს ფრანგების შიფრს). ეს ცნობები მან მეორე ბიუროში გადაგზავნა.

პარიზში დაბრუნებული მატა ჰარის ლადუ უფრო მეტი უნდობლობით შეხვდა. მასზე დადგენილ იქნა მეთვალყურეობა და მალე, 1917 წლის 13 თებერვალს, გაიცა ბრძანება მისი დაპატიმრების შე-

სახებ. გაჩხრეკის დროს კოსმეტიკასა და გრიმებს შორის აღმოჩენილ იქნა სიმპათიკური მელანი.

ორი თვის განმავლობაში მისთვის არ წარუდგენიათ ბრალდება. ბოლოს და ბოლოს გამომძიებელმა კაპიტანმა ბუშარდონმა მიიღო ნებართვა გამოეყენებინა ხელთ ჩაგდებული დეპეშები. მასში ლაპარაკი იყო აგენტ „x-21"-ზე, ამ აგენტისათვის გადახდილ ფულზე, იმაზე, რომ იგი შევიდა საფრანგეთის დაზვერვის სამსახურში, მაგრამ ფრანგები მას არ ენდობოდნენ. ერთ-ერთ დეპეშაში მითითებული იყო, რომ „x-21" ფრანგების დავალებით გემ „ჰოლანდიით" გაემგზავრა ბელგიაში და იქ მოხვედრას აპირებდა ჰოლანდიის ტერიტორიაზე გავლით, რომ ეს აგენტი მომარაგებულია აგრეთვე საიდუმლო მიმოწერისათვის საჭირო სიმპათიკური მელნით. დეპეშები იტყობინებოდნენ აგრეთვე, რომ „x-21" არ გაატარეს ინგლისელებმა, რის შემდეგ დაბრუნდა ესპანეთში და შემდეგ გაემგზავრა პარიზში. ყველაზე საფუძვლიანი მტკიცება, რომ ლაპარაკია მატა ჰარიზე,- ესაა ერთ-ერთი დეპეშით გადაცემული თხოვნა აგენტ „x-21"-ს გადაუგზავნონ ფული ჰოლანდიიდან მისი მსახურის ანა ლინტიენსის მეშვეობით. ეს იყო მატა ჰარის მსახური.

მოცეკვავემ გადაჭრით უარყო ყველა წარდგენილი ბრალდება. იგი ამტკიცებდა, რომ ლაპარაკია ვიღაც მისთვის სრულიად უცნობ ადამიანზე, ის გამომძიებელს სწერდა: „შეიძლება თვითონ გერმანელები აყენებენ საფრანგეთის დაზვერვას მცდარ კვალზე, შეიძლება ეს შურისძიებაა მათი მხრივ? რაც შეეხება დაჭერილ დეპეშებს — დარწმუნებული ხართ, რომ მათ (გერმანელებმა) არ იციან ის, რომ ეს დეპეშები წაკითხული იქნება თქვენ მიერ? შეიძლება საქმე ასე არის: ისინი უდეპეშებენ იმას, რაც სურთ თქვენ გაგაგებინონ?"

დეპეშებში შეინიშნებოდა ორი შეცდომა. მაგალითად, იქ მითითებული იყო, რომ „x-21" ფალმუტში იყო 11 ნოემბერს, მაშინ როცა მატა ჰარი ამ ადგილზე უფრო გვიან იყო. 1916 წლის 26 დეკემბერს ფონ კალე აცნობებდა, რომ „x-21" პარიზს გაემგზავრა, მატა ჰარი კი მადრიდიდან მხოლოდ 1917 წლის 2 იანვარს წავიდა.

როდესაც მატა ჰარი მიხვდა, რომ მისმა უარყოფამ ვერავინ დაარწმუნა, 1917 წ. 19 (თუ 21) მაისს მან მოულოდნელად ყველაფერი აღიარა. როდესაც 1916 წლის მაისში გერმანიის კონსულმა ამსტერდამში კრემერმა გაიგო, რომ იგი საფრანგეთში აპირებდა გამგზავრებას, შესთავაზა ხელი მოეკიდა სადაზვერვო ინფორმაციების შეგროვებისათვის. იგი დათანხმდა და კრემერმა მას 20 ათასი ფრანკი მისცა. მატა ჰარიმ, მისი მტკიცებით, ფული აიღო, მაგრამ არ გადაუცია ამს-

ტერდამში არავითარი ცნობა, გარდა იმისა, რასაც გაზეთებში კითხულობდა. ერთი სიტყვით, არსებითი არაფერი.

— ნუთუ არსებითი არაფერი? — ცდილობდა გამოტეხას გამომძიებელი. — მაშინ ასეთ შემთხვევაში კრემერი გაიგებდა თუ არა, რომ თქვენ სამსახურში მიგიღოთ ფონ კალემ, აუცილებლად აცნობებდა მას ამის შესახებ?

მატა ჰარი ცდილობდა ყველაფერი აეხსნა. ფონ კალე მას თავისი საკუთარი ჯიბიდან უხდიდა. კრემერის მეშვეობით მიღებული ახალი შემოსავალი ჰოლანდიიდან მისი ძველი თაყვანისმცემლის, ჰოლანდიის ბანკირის საჩუქარი უნდა ყოფილიყო. მატა ჰარიმ დაამტკიცა სასამართლოზე, რომ არასოდეს არ უცდია გაეგო ერთი თავისი მაღალი თანამდებობის ფრანგი „მეგობრისაგან“ მნიშვნელოვანი ცნობები, რომელთა შესახებაც იმ პიროვნებამ, უდავოდ, იცოდა.

მატა ჰარის დოსიე ან მისი ნაწილი, რომელიც გამოქვეყნებულია, არ ამტკიცებს „X-21“-ის რამდენადმე ფართო და ეფექტურ მოღვაწეობას საფრანგეთში. არ არის გამორიცხული, რომ მოცეკვავის ნაამბობში იმის შესახებ, თუ როგორ შეეიდა იგი გერმანელების სამსახურში, სიმართლის ნატამალი იყო. შეიძლება, ლადუს თავის სამსახურს რომ სთავაზობდა, იგი ნამდვილად აპირებდა პატრონის შეცვლას. ბუნებრივია, რომ ახალი შრომების ზოგიერთი ავტორი (მაგ., ს. ვააგენაარის „მატა ჰარის მკვლელობა“, ლონდონი 1964 წ.) მოცეკვავის წინააღმდეგ ბრალდების მთელ მასალას საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებისა და განსაკუთრებით გამომძიებელ ბუშარდონის გამონაგონად თვლის. თუკი მატა ჰარი ჯაშუში იყო, აღნიშნავენ ეს მკვლევარები, მაშინ მხოლოდ საფრანგეთისა უნდა ყოფილიყო, სხვაგვარად ვერ ახსნი მის დაბრუნებას პარიზში. ეს ჭკუამოკლე. თავის კავშირებსა და შესაძლებლობებზე ტრაბახს მიჩვეული ქალი სრულიად შეუფერებელი იყო დაზვერვაში მუშაობისათვის. მატა ჰარი გულახდილად ეთათბირებოდა თავის ბევრ ნაცნობს და სთხოვდა რჩევას, შესულიყო თუ არა მეორე ბიუროს სამსახურში. მისი დაპატიმრების დროს აღმოჩენილი „საიდუმლო მელანი“ შესაძლებელია, უბრალოდ წამლები იყო. ასევე ადვილად ხდება იმ სხვა მტკიცებათა უარყოფა, რომლებიც შეკრებილია მატა ჰარის წინააღმდეგ... ასეთია უკანასკნელი ვერსია, რომელიც გაბატონებულია ლიტერატურაში „ჯაშუშობის დედოფალზე“. ყოველ შემთხვევაში ლეგენდა მატა ჰარიზე ძალზე შორსაა სინამდვილისაგან.

ფრაუ დოქტორი

მატა ჰარის მოგონილი ცხოვრების ისტორია მთელ რიგ შემთხვევაში ფრაუ დოქტორის ლეგენდასთანაა გადახლართული. ეს ლეგენდაც პირველი მსოფლიო ომის წლებში წარმოიშვა. თვით გერმანიის დამარცხებამ და ჟურნალისტების დაჟინებულმა კვლევამაც ომის შემდგომ წლებში ვერ უარყო იგი. ხოლო როდესაც გერმანიაში ხელისუფლება ჰიტლერელებმა ჩაიგდეს ხელში, ლეგენდა კიდევ უფრო გაიფურჩქნა. დასავლეთის პრესის ფურცლებზე იმის გამო, რომ არ იყო რეალური ინფორმაცია ამბებზე, რაც „მიხაკისფერ რაიხში“ ხდებოდა, დაიწყეს ფანტასტიკური ტყუილების ჩმახვა და ჰიტლერული საიდუმლო სამსახურის ურიცხვი დანაშაულის თითქმის ნახევარში ფრაუ დოქტორის ხელს ხედავდნენ.

ლეგენდის განსაკუთრებულობა უპირველესად იმით გამოიხატება, რომ ფრაუ დოქტორის როლში მას გამოჰყავს მთელი რიგი ნამდვილი თუ გამოგონილი გერმანელი მზვერავი ქალები. „ვეფხისთვალებიან“ ქალს სხვადასხვა ავტორები იხსენიებდნენ ფრაუ კერად, ფრეილინ იანსენად, ბერტა ჰაინრიხსენად, ანა მარია ლესერსად, მარტა შრაგმიულერად. ფრაუ დოქტორს წარმოგვიდგენდნენ „საბედისწერო ლამაზმანის“ სახით, აცხადებდნენ ევროპის თითქმის ყველა კრონპრინცის საყვარლად, აწერდნენ სხვადასხვა რომანტიკულ ისტორიას, აცხადებდნენ გერმანიის დაზვერვის მრავალრიცხოვანი საქმის ორგანიზატორად. ფრაუ დოქტორის სიკვდილის ვერსიებიც კი სხვადასხვაგვარი იყო. ერთნი ამტკიცებენ, თითქოს იგი 1914 წელს დახვრიტეს რუსებმა, რომლებიც ომამდე იცნობდნენ მას ვენაში, როგორც გერმანელ მზვერავს. ამ შემთხვევაში ქარწყლდებოდა ყველა ცნობა 1914 წლის შემდეგ ფრაუ დოქტორის მოღვაწეობაზე ბელგიაში, შვეიცარიაში, პარიზში და ა. შ. სხვანი აცხადებენ, რომ იგი გარდაიცვალა ომის შემდეგ. საგიჟეთში მოხვდა და თავი მოიკლა თუ მოიწამლა ნარკოტიკებით. აქაც, ამგვარად, დიდი დიაპაზონია. არსებობს მრავალრიცხოვანი გადმოცემა ფრაუ დოქტორის სიმკაცრესა და შორსმჭვრეტელობაზე, ნიადაგ მეორდება ისტორია იმაზე, თუ როგორ უბრძანა ექსპერტს თავის მოკვლა, როდესაც გამოვლინდა ეფექტურობა ტანკებისა, რომლის შექმნის იდეა ექსპერტმა უაზრობად გამოაცხადა.

ფრაუ დოქტორი ყურადღებით ადევნებდა თვალს თავის აგენტებს. როდესაც ერთმა მათგანმა მოცეკვავე ქალთან დროსტარება დაიწყო პარიზში, მას ბულვარში შეხვდა უცნობი და წასჩურჩულა: „თქვენ დაგავიწყდათ ფრაუს რჩევა“. გამოუსადეგარ აგენტს ფრაუ

დოქტორი აშკარად სასიკვდილოდ სწირავდა, ცნობებს აწვდიდა მათ შესახებ ანტანტის კონტრდაზვერვას. ამ „რეგვენ ჯაშუშებს", გარდა სხვა რამისა, ყურადღება უნდა ჩამოეცილებინათ ნამდვილი აგენტებისაგან (ამგვარ ტაქტიკას იყენებდა, სხვათა შორის, ანტანტის დაზვერვაც).

1954 წელს ბერნარდ ნიუმენმა მიუნხენში მოახერხა ცნობები მიეღო ფრაუ დოქტორის შესახებ მისი ღვიძლი დისაგან.

ელიზაბეტ შრაგმიულერი (ასეთი იყო სინამდვილეში ფრაუ დოქტორის სახელი და გვარი) დაიბადა 1886 წელს სოფელში, დორტმუნდთან ახლოს. მამამისი იყო სოფლის ბურგომისტრი. ელიზაბეტმა დაამთავრა ფრეიბურგის უნივერსიტეტი და ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი მიიღო. 1914 წელს დიდი მეცადინეობის შემდეგ იგი ბელგიის სამხედრო ცენზურაში მოეწყო სამუშაოდ. შრაგმიულერმა თავი გამოიჩინა ამ სამუშაოზე და ბელგიაში გერმანიის საოკუპაციო ადმინისტრაციის უფროსმა გენერალმა ფონ ბეზელერმა მისი მიღება ურჩია გერმანიის დაზვერვის განყოფილებას ანტვერპენში. შრაგმიულერი აწარმოებდა დაპატიმრებული ანტანტის მზვერავების დაკითხვას. მისი წარმატება ამ დარგშიც შემჩნეულ იქნა და პოლკოვნიკმა ნიკოლაიმ მიაღწია იმას, რომ შრაგმიულერს მიაკუთვნეს ლეიტენანტის წოდება.

ამგვარად, შრაგმიულერი გახდა ერთადერთი ოფიცერი ქალი კაიზერის არმიაში. ელიზაბეტმა დაამთავრა სადაზვერვო სკოლა და თავად გახდა ანტვერპენში გერმანიის ცნობილ ჯაშუშთა სკოლის ერთერთი მასწავლებელი და ხელმძღვანელი. მაგრამ ელიზაბეტს არ აგზავნიდნენ სადაზვერვო დავალებებით საზღვარგარეთ და იგი არ იყო ისეთი საბედისწერო მაცთუნებელი, რომელზედაც ასე შელამაზებულად მოგვითხრობს ლეგენდა, ლეგენდის ბევრ ეპიზოდს აქვს თავისი საფუძველი. ინგლისელებმა მოახერხეს სურათის გადაღება მრავალი პირისათვის, რომლებიც შედიოდნენ იმ შენობაში, სადაც ანტვერპენის სკოლა იმყოფებოდა, და, შესაძლოა, აქედან წარმოიშვა ვერსია იმის თაობაზე, თუ როგორ შეგნებულად სწირავდა სასიკვდილოდ თავის ზოგიერთ აგენტს ფრაუ დოქტორი, აწვდიდა რა ამა თუ იმ გზით ცნობებს მათზე ანტანტის დაზვერვას. ზოგიერთი მოსწავლე ქალი ფრაუ დოქტორი ეგონათ. მაგრამ ამ შეცდომას უშვებდნენ მხოლოდ ჟურნალისტები და არა ანტანტის მზვერავები.

ომის დამთავრების შემდეგ შრაგმიულერმა გერმანიის ნაწილებთან ერთად დატოვა ბელგია და კითხულობდა ლექციებს პოლიტიკურ ეკონომიაში ფრეიბურგში, ხოლო როდესაც მოთხოვნა იყო — ლექციებს „ომის გამოცდილებაზეც" კი. ამ წლებში ელიზაბეტ შრაგ-

მიულერი უკვე სერიოზული ავადმყოფი იყო. მისი ძმა იოჰანი აქტიური ნაცისტი გახდა და ჰიტლერელების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მაგდებურგის პოლიციის უფროსის პოსტი მიიღო. მან ბევრი რამ იცოდა იმაზე, თუ როგორ მზადდებოდა ჰიტლერელების პროვოკაცია — რაიხსტაგის დაწვა; მაგრამ ჰიმლერთან კონფლიქტი მოუვიდა და დაემუქრა, გამოგააშკარავებო. ამიტომ 1934 წლის 30 ივნისს, „გრძელი დანების ღამეს", იოჰან შრაგმიულერი იმ სხვა მრავალ ნაცისტთან ერთად, რომლებსაც არ თვლიდნენ ფიურერის საკმაოდ ერთგულებად, ჰიმლერის ვაუბატონებმა მოკლეს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ელიზაბეტ შრაგმიულერს არავითარი კარიერის იმედი აღარ ჰქონდა ჰენრიხ ჰიმლერის უწყებაში. გესტაპომ მისი ბინაც გაჩხრიკა. ფრაუ დოქტორი გარდაიცვალა 1940 წლის თებერვალში. სიკვდილის შემდეგ მისი ქაღალდები, ალბათ, მათ შორის საინტერესო დღიურიც, კონფისკებულ იქნა ჰიტლერის ხელისუფლების მიერ.

ელიზაბეტ შრაგმიულერი იყო კონტრმზვერავი, ჯაშუშთა სკოლის მასწავლებელი. გარმანიის გარდა ომის დროს იგი მხოლოდ ბელგიაში იმყოფებოდა. თუმცა ფრაუ დოქტორი სრულიად არ ეკუთვნოდა „საბედისწერო ლამაზმანთა რიცხვს" და არც შეეძლო შეესრულებინა მისდამი მიწერილი ჯაშუშური „გმირობანი", ის მაინც თავისი საქმის სპეციალისტი იყო. რჩევებს, რომლებსაც იგი ანტვერპენის სკოლის მოსწავლეებს აძლევდა, დღემდე იმეორებს სადაზვერვო საქმის მრავალი ექსპერტი. ფრაუ დოქტორი ასწავლიდა დაუღალავად ევარჯიშათ მეხსიერება, შეძლებისდაგვარად ემოქმედათ მარტო, არ მინდობოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, თავი აერიდებინათ შემთხვევითი კავშირებისათვის, რის შედეგად შეიძლება მტრის კონტრდაზვერვის ქსელში მოხვედრა.

ფრაუ დოქტორის ინსტრუქციები შემდეგნაირი იყო: არასოდეს არ დაიწყოთ მოლაპარაკება მომავალ აგენტებთან, თქვენ მიერ ამორჩეული ადგილის გარდა; უკეთესია ესაუბროთ ადამიანს, რომელსაც გრძელი გზა გამოუვლია, დაღლილია, აღელვებული და ფრთხილი თქვენს მიმართ; მაშინ როდესაც თქვენ თვითონ ხართ დასვენებული, მშვიდი და ფხიზელი; საჭირო არ არის მხოლოდ რაღაც ერთი „ცნობისათვის" ნადირობა, ასე ადვილად შეიძლება თავის გაცემა; უმჯობესია ყოველგვარი სასარგებლო ინფორმაციის მოგროვება, რაგინდ წვრილმანიც არ უნდა იყოს, ამავე დროს არ უნდა გამოამეღავნოთ მის მიმართ არავითარი ინტერესი: თუ გსურთ ფიქსირება გაუკეთოთ მონაცემებს, მაშინ უმჯობესია, ეს გააკეთოთ საკუთარი გასავლის ჩანაწერის ფორმით; თუკი დაინახეთ 10 საზღვაო ზარბაზანი, აღნიშნეთ, რომ თქვენ დაბარჯეთ 10 შილინგი; წერილების დაწვის შემთხვე-

ვაში საჭიროა გაფანტოთ ფერფლი, თორემ კრიმინალისტს ბევრი რამის აღმოჩენა შეუძლია; თავი უნდა აარიდოთ გადაჭარბებულ ორიგინალობას ინფორმაციის გადაცემის დროს, თუ არა გაქვთ ახალი მეთოდის აბსოლუტური რწმენა, უკეთესია გამოიყენოთ უკვე ნაცადი ტექნიკა; არასოდეს არ უნდა მიიღო იდუმალი გამოეტყველება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც იგი შეიძლება მოეწონოს თქვენს აგენტს და გავლენა იქონიოს მის გულმოდგინებაზე; უნდა დამალოთ თქვენი ლინგვისტური ცოდნა, ეს წააქეზებს სხვებს ილაპარაკონ თქვენი თანდასწრებით.

ფრაუ დოქტორის რჩევებში იყო აგრეთვე რეკომენდაცია: იკითხე ბიბლია (უფრო ზუსტად მოთხრობა — მოსეს საქმენი). მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მკვლევარები, თვით ფრაუ დოქტორი, შესაძლოა, არა თავისი მიზეზით, ნაკლებად მისდევდა ბიბლიის წინასწარმეტყველის რჩევებს. წინასწარმეტყველი სადაზვერვო საქმისათვის ირჩევდა ნდობით აღჭურვილ საუკეთესო პირებს. შრაგმიულერი კი ძლიერ საეჭვო ხალხთან მუშაობდა და დიდ წარმატებას ვერ ეიაღწია.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წლებში დადიოდა ხმები ფრაუ დოქტორისა და მატა ჰარის კავშირზე. ფრაუ დოქტორის დამნიუმენთან საუბრის დროს დაადასტურა ეს ხმები. მისი სიტყვით, გერმანიის დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაიორი კეფერი და ელიზაბეტ შრაგმიულერი სპეციალურად ჩამოვიდნენ ანტვერპენიდან კელნში, რომ შეხვედროდნენ მატა ჰარის და გადაეცათ მისთვის ინსტრუქციები. ფრაუ დოქტორი ლაპარაკობდა მატა ჰარიზე, როგორც „აუფეთქებელ ყუმბარაზე" და თვლიდა, რომ კაპიტანმა ლადუმ სამსახური გაუწია გერმანელებს იმით, რომ მოაშორა მათ არასაჭირო აგენტი.

ეს მოთხრობა მაინც სერიოზულ ეჭვს იწვევს. მასში კელავ ყველაფერი ბუნდოვანია. რად სჭირდებოდა მატა ჰარის გამგზავრება ინსტრუქციების მისაღებად ჯერ კიდევ დაზვერვაში სულ ახლახან მიღებულ ფრაუ დოქტორთან? თანაც მთელი ეს ეპიზოდი არ შეიძლება მომხდარიყო 1915 წელზე ადრე, როდესაც ელიზაბეტ შრაგმიულერმა მუშაობა დაიწყო გერმანიის საიდუმლო სამსახურის ანტვერპენის განყოფილებაში, ლეგენდის მიხედვით კი მატა ჰარი ჯაშუში გახდა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე.

მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუმცა ფრაუ დოქტორის ლეგენდის საფუძველი გახდა ელიზაბეტ შრაგმიულერის ცხოვრება, ცალკეული ეპიზოდები აღებულია გერმანიის სხვა მზვერავი ქალების, კერძოდ, „ფრეილინ დოქტორის" (როგორც ეძახდნენ ანა მარია ლესერს) ისტორიიდანაც. დაზვერვაში სამუშაოდ იგი წააქეზა ჰუსართა ოფიცერთან, კარლ ფონ ვინანსკისთან კავშირმა. მისი საყვარელი მალე ჩაეფლო ვალებში და გასასტუმრებლად დათანხმდა საიდუმლო სამსახურში შესვლაზე. მოგვიანებით ვინანსკიმ მუშაობაში ჩაითრია ანაც. ნაზი წყვილი ომამდე რამდენიმე წლით ადრე ბელგიაში მოქმედებდა; ისინი ნამიურის სიმაგრეებს იხატავდნენ. მალე ვინანსკი მოულოდნელად გარდაიცვალა ჩირქოვანი აპენდიციტით, ანამ კი მიიღო დამატებითი მომზადება და მარტომ განაგრძო მოქმედება. მას

მიაწერენ ლიეჟის ფორტებს შორის ქალაქში შეღწევის რჩევას, თვით ფორტების დაცვის მოსადუნებლად. გერმანიის არმიამ 1914 წელს წარმატებით განახორციელა ეს. გეგმა.

მალე ანა მარია ლესელი გახდა პირველხარისხოვანი მზვერავი, რომელმაც კარგად იცოდა ფრანგული და ინგლისური ენები. ამასთანავე იცოდა, რა გზით შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შოვნა. ერთ დროს ფრანგი ოფიცრის საყვარელი იყო ლოტარინგიაში, აგროვებდა ცნობებს იქ მიმდინარე სამხედრო მანევრებზე. სადაზვერვო მიზნებით ინგლისშიც იმყოფებოდა. იქ ის ჩავიდა 1911 წელს შვეიცარიელი მასწავლებლის სახით. მაგრამ მისი შეკითხვები, რომლებიც საზღვაო საქმეს ეხებოდა, მეტისმეტად სპეციალურად მოეჩვენათ და ექვი დაიბადა. ანა მარია ლესერმა საჩქაროდ დატოვა ინგლისის ნაპირები.

მალე იგი ისევ გამოჩნდა ბელგიაში, სადაც საინჟინრო ჯარების ოფიცრის რენე ოსტენის საყვარელი გახდა. ერთხელ, როდესაც ისინი მანქანით მიემგზავრებოდნენ, ანას შემთხვევით ხელჩანთა გაეხსნა და რაღაც ქაღალდები გადმოუცვივდა. ოსტენი მივარდა ასაკრეფად. მისი ყურადღება მიიქცია ფურცელმა, რომელზეც შენიშვნები იყო ამოწერილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოფიცერმა რაღაც მოიმიზეზა და ცოტახნით წავიდა. ანამ გადაწყვიტა, რომ მან პოლიციას მიაშურა დასაბეზღებლად. მზვერავი საჭეს მიუჯდა და მანქანა მთელი სიჩქარით ვააქროლა.

ერთ-ერთ გერმანულ მოთხრობაში ამ ეპიზოდს ასეთ დეტალს უმატებენ. გზაზე ლესერის მანქანამ გაიტანა ღორი, რომელიც გოჭებთან ერთად გზაზე გადადიოდა. ეს იყო უკაცრიელი ადგილი. მზვერავმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება. მან მოკლული პირუტყვი მანქანაში შეათრია და ასე გაიარა რამდენიმე მილი. იქ მან ღორი მძღოლის ადგილზე გადააგორა და მანქანას ცეცხლი წაუკიდა. ღორს, რომელიც „საბედისწერო ქალის“ შემცველი უნდა ყოფილიყო, ყურში გარჭობილი ჰქონდა ქუდის დასამაგრებელი, ცეცხლმოკიდებული მანქანის გვერდით კი ანამ თავისი ხელთათმანი დატოვა.

მთელი ეს მასკარადი არ იყო ისეთი სულელური, როგორც იგი შეიძლება პირველი შეხედვით მოგეჩვენოთ. სანამ ექსპერტები მოვიდოდნენ დამწვარი ღორის გამოსაკვლევად, დიდი დრო გავიდოდა, მანამ კი, საეჭვოა, გამოჩენილიყვნენ მოყვარულნი, რომ გულდასმით შეესწავლათ კატასტროფის კვალი. ასე იყო თუ ისე, ანამ დრო მოიგო და გაიპარა.

ერთ-ერთი ნიღაბი, რომელსაც ანა მარია ლესერი ატარებდა, ეს იყო „ინტელექტუალური“, დიდად განსწავლული პიროვნების ნიღაბი და საფრანგეთის დაზვერვასაც კი ეშლებოდა ერთ დროს იგი ელიზაბეტ შრაგმიულერში. ანა კი, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ნამდვილად იღვწოდა საფრანგეთში ომის წლებში (1914 წლამდე მან კიდევ მოასწრო ვარშავაში ჩასვლა, მაგრამ იქ იგი ინფორმა-

ციას მარცვალ-მარცვალ აგროვებდა და არა იპარავდა სამხედრო გეგმებს, როგორც ამას ლეგენდა ამტკიცებს).

ეპიზოდი ბერძენ კოუდოიანისთან, გერმანული წყაროების მიხედვით, სწორედ ანა მარია ლესერთან იყო დაკავშირებული.

ერთხელ იგი მთარგმნელი გიდის სახით ახლდა სამხრეთ ამერიკიდან ჩამოსული ქალების ჯგუფს; ქალებს აინტერესებდა წითელი ჯვრის მუშაობა. სამხედრო ჰოსპიტალში ერთ-ერთი პალატის დათვალიერებისას, იქ მწოლიარე მძიმედ დაჭრილმა ბელგიელმა მესანგრემ გაკვირვებულმა წამოიყვირა, ანაზე მიუთითა და ექიმს უთხრა, რომ იგი გერმანიის ჯაშუშია. ეს იყო რენე ოსტენი.

ექიმმა ბრძანა ავადმყოფისათვის ქლოროფორმი მიეცათ, მაგრამ „მთარგმნელი" მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, მანქანაში ჩაჯდა და გაუჩინარდა, დელეგაცია კი ბედის ანაბარა მიატოვა.

ყოველთვის ვერ განსაზღვრავ, რა არის მართალი და რაა მოგონილი ანა მარია ლესერის თავგადასავალში. სიმართლეა მხოლოდ ის, რომ იგი ჯერ კიდევ ომამდე ღებულობდა ნარკოტიკებს. ომის მეორე ნახევარში იგი გერმანიის კონტრდაზვერვაში მუშაობდა ბელგიაში და მოახერხა ანტანტის ჯაშუშური ქსელის ზოგიერთი რგოლის გახსნა. ალბათ, ჟურნალისტებმა სწორედ ამ დროს აურიეს იგი ფრაუ დოქტორში.

მრავალი წლის შემდეგ, 1934 წლის 23 აგვისტოს, ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ ციურიხთან ახლოს, სანატორიუმში, გარდაიცვალა ავადმყოფი ანა მარია ლესერი. სიკვდილის წინ აღიარა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი ელიზაბეტ შრაგმიულერია და, რომ სწორედ მან გასცა მატა ჰარი, ვინაიდან გერმანიის დაზვერვამ გადაწყვიტა მოეცილებინა ეს ზედმეტ ტვირთად გადაქცეული აგენტი.

ამ საქმის ორგანიზაციაში, თითქოს, მონაწილეობდა იმ დროს დაზვერვის ახალგაზრდა ოფიცერი და ცნობილი მოცეკვავის ერთ-ერთი საყვარელი კანარისი. ანა მარია ლესერის სიკვდილისწინა აღსარებაში მეორდება ბევრი რამ მატა ჰარის ლეგენდიდან (ცარიელი ვაზნების ისტორიაც კი).

1934 წელს თითქმის ყველაფრის შემოწმება, რაც ეხებოდა ისტორიის გერმანულ მხარეს, შეუძლებელი იყო. უფრო მეტიც, არსებობს ვერსია, რომლის თანახმად, კანარისმა გადამწყვეტი ზომები მიიღო, რომ ცნობები „აღსარების" შესახებ არ გახმაურებულიყო დასავლეთ ევროპის პრესაში.

მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ „აღსარება" ორი გერმანელი მზვერავი ქალის შრაგმიულერისა და ლესერის არევის ჩათვლით, ნამდვილად არის მატა ჰარისა და ფრაუ დოქტორის ლეგენდის გამოძახილი. ეს საეჭვოს ხდის „აღსარების" მთელ ისტორიას და მოწმობს, რომ ლესერს აღიარების დროს ან დაკარგული ჰქონდა მეხსიერება, ან „აღსარება" დაამახინჯეს მანამ, სანამ „დეილი ექსპრესის" ფურცლებზე მოხვდებოდა.

სარჩევი

ბონაპარტის „საიდუმლო ბიურო“ 5
ულმის მახე 11
სამმხრივი თამაში 14
ხარბი „ანა ივანეს ასული“ 18
ფერფლიდან აღორძინება 22
საამკინძაო საქმის წერილმანები 27
ამაო მსგავსება 36
ლეონარდ მაკ-ნელის გული და პრინციპები 57
ამერიკელი ფუშე 60
პინკერტონი და მხიარული ქერივი 65
„ბრიტანეთის ლორდი თავისუფლებით ამაყობს“ 70
ექვსი ბატონის მსახური 74
მონათმფლობელთა ბუნაგში 80
მრჩეველ შტიბერის ღვთისმოსაობა და პორნოგრაფია 83
საიდუმლოებები გაზეთების ფურცლებზე 92
ქონდრის კაცი ბისმარკის მაგიდის ქვეშ 94
სიყალბეთა გენერალური შტაბი 101
ახლო და შორეულ აღმოსავლეთში 137
ომი ომამდე 142
დაეიწყებული ფუტლარი 152
გაკრეჭა დაკრძალვის შემდეგ 163
მტრედების მობილიზაცია 168
ოკუპირებულ ბელგიაში 179
თეთრი მანდილოსნის თავგადასავალი 186
ბრძოლა საიდუმლოებათა ხელში ჩასაგდებად 196
ხმის ჩამწერის დებიუტი 210
კაპიტან ლადუს ტოროლა 212
დაკარგულს ვერ დაიბრუნებ 222
ცენზურის ბუმერანგი 229
სიგარები და კოდი 234
„არა იპარო...“ 248
ზღვაოსანთა ბედი 253
უცერემონიოდ 259
აჩრდილები საიდუმლოებებზე ნადირობენ 264
კაიზერის ვაჟიშვილის გაქცევა 271
ყველა ჯურის ხალხი 274
ლეგენდა მატა ჰარიზე 280
ფრაუ დოქტორი 306

რედაქტორი მ. დანელია, მხატვარი ზ. დეიხაძე, მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია, ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე, კორექტორი შ. ხუტაშვილი, გამომშვები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 21.09.92; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.03.93; საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,13; სააღრ-საგამომც-თაბახი 17,87; ტირაჟი 5 000 შეკვ. № 204

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.